



№4

ISSN: 2298-0202 (Print)

ISSN: 2346-8483 (Online)

ბრიტოლ რობაქიძის სახელობის  
უნივერსიტეტი

აკადემიური მაცნე

სამართალი

თბილისი

2

0

1

5

**ბრიტოლ რეგაჰიძის სახელობის უნივერსიტეტი**

**ISSN 2298-0202 (Print)**

**ISSN 2346-8483 (Online)**

**აკადემიური მაცნე**

**სამართალი**

**№ 4**

**თბილისი – 2015**

## სარედაქციო კოლეგია

მამუკა თავხელიძე - მთავარი რედაქტორი (თბილისი, საქართველო)

გიორგი ღლონტი - მთავარი რედაქტორის მოადგილე (თბილისი, საქართველო)

ნინო ქემერტელიძე - მთავარი რედაქტორის მოადგილე (თბილისი, საქართველო)

ანა ფირცხალაშვილი	(თბილისი, საქართველო)
მალხაზ ბაძაღუა	(თბილისი, საქართველო)
ზურაბ ძლიერიშვილი	(თბილისი, საქართველო)
გია დეკანოზიშვილი	(თბილისი, საქართველო)
მერაბ ტურავა	(თბილისი, საქართველო)
ოთარ გამყრელიძე	(თბილისი, საქართველო)
მანანა მოსულიშვილი	(თბილისი, საქართველო)
დავით ძამუკაშვილი	(თბილისი, საქართველო)
ვალერიან ხრუსტალი	(თბილისი, საქართველო)
თემური თოდრია	(თბილისი, საქართველო)
ძურაბ ძლიერიშვილი	(თბილისი, საქართველო)
ხათუნა ლორია	(თბილისი, საქართველო)

ჰანს-იორგ ალბრეხტი	(ფრაიბურგი, გერმანია)
ანა მარგარიან	(ერევანი, სომხეთი)
ჯემს ო. ფინკენაუერი	(ნეწარკი, აშშ)
ტრევორ კარტლეჯი	(ნოტინჰემი, დიდი ბრიტანეთი)
ალექსანდრე სილაგაევი	(ყაზანი, რუსეთი)
ელიკო წიკლაური-ლამიხი	(ფრაიბურგი, გერმანია)
კამილ სალიმოვი ნაზიმოდლე	(ბაქო, აზერბაიჯანი)
ალენა შოსტკო	(ხარკოვი, უკრაინა)
ჯოვან შოპოვსკი	(კოსანი, მაკედონია)
დეჟან მაროლოვი	(კოსანი, მაკედონია)

## ადმინისტრაციული რედაქტორი:

გიორგი თოდრია	(თბილისი, საქართველო)
---------------	-----------------------

წინამდებარე აკადემიურ მაცნეში წარმოდგენილია ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები სამართალმცოდნეობის აქტუალურ საკითხებზე.

© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა

## სარჩევი

- ანა ფირცხალაშვილი** - პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურ-სამართლებრივი მნიშვნელობა და მათი წვდომა ადმინისტრაციულ რესურსზე 6  
**Anna Pirtskhalashvili** - Political and Legal Meaning of Political Parties and Their Access to Administrative Resources
- გულნაზი გალდავა, მაკა ქარდავა** - ადმინისტრაციული აქტები, ფრანგული და გერმანული, ადმინისტრაციული სამართლის სისტემების კონტექსტში 19  
**Gulnaz Galdava, Maka Kardava** - Administrative Acts in the Context of French and German Administrative Justice Systems
- გურამ სვანიძე** - რამდენიმე მოსაზრება არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის შესახებ. (დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით #235, 2012 წლის 22 მარტი, ქ. თბილისი) 29  
**Guram Svanidze** - A few remarks on the strategy for the prevention of juvenile delinquency (approved by Presidential Decree # 235, 2012 22, March, Tbilisi)
- პეტრე დაუთაშვილი** - არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ზოგიერთი მეთოდური მიდგომები განათლების სისტემაში 35  
**Petre Dautashvili** - Some Methodological Approaches to Juvenile Crime Prevention in the Education System
- გიორგი თოდრია** - საქართველოს სისხლის სამართლის სისტემის ზოგიერთი ლოგიკური პრობლემა 43  
**Giorgi Todria** - Some Logical Problems of the Criminal Justice System of Georgia
- მანანა მოსულიშვილი** - სამართლის ნორმის ახსნა-განმარტება - სახეები, მეთოდები, აქტები 54  
**Manana Mosulishvili** - Explanation of the Rule of Law- Definition - Types, Methods, Acts
- ამირან მოსულიშვილი** - სამართლის ცნება, არსი, შინაარსის შესრულების აუცილებლობა - სამართლის ავტორიტეტის განმტკიცების წინაპირობა 64  
**Amiran Mosulishvili** - Notion and Essence of Law, Necessity of Executions - Main Prerequisite for Strengthening the Law Authority
- გიორგი შაშიაშვილი** - უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის/ფულის გათეთრების/წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო-სამართლებრივი სისტემის, საერთაშორისო სტანდარტების ჩამოყალიბების და განვითარების ანალიზი. 76  
**Giorgi Shashiashvili** - Analyzes of formation of International Legal Systems and Standards Related to Struggle with Legalization of Illegal Incomes (Money Laundering)
- შალვა ალანია** - იურიდიული პირის პასუხისმგებლობის ფარგლები 93  
**Shalva Alania** - Legal Entity: Framework of Liability
- ლალი ბაგრატიონი** - უფლებამონაცვლეობის საკითხები მემკვიდრეობის სამართალში 99  
**Lali Bagrationi** - Issues of Succession in Inheritance Law

<b>ნუგზარ ბირკაია</b> - საქართველოში 1997-1999 წლებში განხორციელებული სასამართლო რეფორმის სამართლებრივი პრობლემები	105
<b>Nugzar Birkaia</b> - Legal Consequences of the Judicial Reforms Carried out in Georgia in 1997-1999	
<b>ხათუნა ბოლქვაძე</b> - მხარის ახსნა-განმარტების, როგორც მტკიცებულების ერთ-ერთი სახის შეფასება სამოქალაქო პროცესში	118
<b>Khatuna Bolkvadze</b> - Explanations of the Parties as a Form of Evaluation of Evidence in Civil Judicial Proceedings	
<b>დავით ელისაბედაშვილი</b> - უძრავი ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა - „გამოსახლება“, მორალური და ეკონომიკური მხარე	122
<b>Davit Elisabedashvili</b> - Moral and Economic Aspects of Vindication – Eviction	
<b>ირაკლი თედორაძე</b> - სამეწარმეო რისკების დაზღვევის ხელშეკრულება სამართლებრივი საფუძვლები და ასპექტები.	129
<b>Irakli Tedoradze</b> - Agreement on Insuring Entrepreneur Risks Legal Basics and Aspects	
<b>ეკა კენჭაძე</b> - საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არასრულწლოვანთა დანაშაულობის სტატისტიკა და მდგომარეობის ანალიზი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით	144
<b>Eka Kenchadze</b> - New Technological Approaches to Study Juvenile Crime Statistics and Analysis of the Situation in Secondary Educational institutions	
<b>აჩიკო კონცელიძე</b> - კიბერტერორიზმი და საინფორმაციო ომი (შედარებითი ანალიზი)	155
<b>Achiko Kontselidze</b> - Cyberterrorism and Information Warfare (Comparative Research)	
<b>მარინე კორძაძე</b> - საგადასახადო დავების წარმოების თავისებურებანი ელექტრონული კომუნიკაციის პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებით	170
<b>ლაშა კუხიანიძე</b> - დანაშაულებრივი უმოქმედობის დოგმატური ასპექტები	176
<b>Lasha Kukhianidze</b> - Dogmatic Aspects of Criminal omission	
<b>ნაზი მგელაძე</b> - ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონსტიტუციური გარანტიები საქართველოში	182
<b>Nazi Mgeladze</b> - Constitutional Guarantees of the Right to Health Care in Georgia	
<b>ავთანდილ ნაცვალაძე</b> - ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის თავისებურებანი	200
<b>Avtandil Nacvaladze</b> - Particularities of Damage Related to the operation of a motor vehicle	
<b>ირმა პერანიძე</b> - სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ზოგიერთი თავისებურებანი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით	205
<b>Irma Peranidze</b> - Some Peculiarities of Appeal of the Court’s Judgment according to the Civil Procedure Law	
<b>ქეთევან ცინცაძე</b> - მხარეთა უფლებები კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობასა და საქმის წარმოების განახლებასთან დაკავშირებით	212

<b>Ketevan Tsintsadze - The Rights of Parties in Connection with Rescission of a Judgment of Valid Court Decision and Reopening of the Case</b>	
<b>თამთა საჯაია - ოჯახში არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ძალადობა და მისი პრევენციის თანამედროვე მექანიზმები</b>	220
<b>Tamta Sajaia - Child Abuse in Family and its Contemporary Mechanisms of Prevention</b>	
<b>ქეთევან სუპატაშვილი - ბრალის შესახებ კლასიკური თეორიები</b>	234
<b>Ketevan Supatashvili - Classical Theories about Guilt</b>	
<b>თამთა ტაბატაძე - სახელმეკრულებო პასუხისმგებლობის შეზღუდვა ტურიზმის ხელმეკრულებაში</b>	243
<b>Tamta Tabatadze - Limitation of Contract Responsibility in Tourism Contracts</b>	
<b>ბეკა კებულაძე - მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით და თვითმკვლელობაში დახმარება</b>	249
<b>Beka Kebuladze - Termination of Life on Request and Assisted Suicide</b>	
<b>ალექსანდრე ღლონტი, გიორგი ალავიძე - ვადიანი თავისუფლების აღკვეთის კრიტიკული ანალიზი</b>	258
<b>Aleksandre Glonti, Giorgi Alavidze - Ineffectiveness of Penitentiary Sanctions for the Offenders who Committed Petty Crimes</b>	
<b>ია შალამბერიძე - მტკიცების სტანდარტი და ტვირთი პატივისა და ღირსების საკითხის განხილვისას</b>	274
<b>Ia Shalamberidze - Standard of Evidence and Burden while Discussing the Issues Related to Honor and Dignity</b>	
<b>დალი ჭანიძე - სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები საქართველოს სასამართლო სისტემაში</b>	281
<b>Dali Chanidze – Problematic Questions Related to Lawsuit Enforcement in the Georgian Jurisdiction System</b>	
<b>ნატო ჭითანავა - იპოთეკის მოწმობა</b>	267
<b>Nato Tchitanava - Notes about regulating legal norms of mortgage certification</b>	
<b>ია ხურციძე - ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის სტატუსი საქართველოში</b>	287
<b>Ia Khurtsidze - Status of a Person with Psychosocial Needs in Georgia</b>	
<b>ხათუნა ჯინორია - სამართლიანი ფასის შეთავაზების პროცედურული გარანტიები აქციათა იძულებით გასხვისებისას ქართული კანონმდებლობის მიხედვით</b>	297
<b>Khatuna Jinoria - Procedural Guarantees of Offering Fair Price in Squeeze-out Acquisitions According to Georgian Legislation</b>	

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის  
საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი,  
ასოცირებული პროფესორი

**პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურ-სამართლებრივი მნიშვნელობა და მათი წვდომა  
ადმინისტრაციულ რესურსზე**

**რეზიუმე**

სამართლებრივი სახელმწიფო და მისი სამართლებრივი წესრიგი დემოკრატიაზე უნდა აღმოცენდეს. ხალხის ნება, მისი სრულყოფილი და თავისუფალი გამოხატვა არის ის ღირებულება, რისთვისაც ადამიანი უხსოვარი, ჯერ კიდევ სახელმწიფოებრიობის დასაბამიდან იბრძოდა. ხალხის ნების გამოხატვა თანამედროვე მსოფლიოში ცივილიზებული ფორმითა და საშუალებებით ხდება. მას ყოველთვის თან ახლავს დაუნდობელი პოლიტიკური ბრძოლა ძალაუფლების მოპოვებისათვის. ერთის მხრივ, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს “ხელისუფლებისათვის ბრძოლის” თანასწორობა და დააბალანსოს საზოგადოებრივი ურთიერთობები ხალხის ნამდვილი ნების გამოსახატად, ხოლო მეორეს მხრივ, იგი ვალდებულია ხელი შეუწყოს პოლიტიკური პარტიების არსებობას, მათ განვითარებასა და ჩამოყალიბებას პლურალური გარემოს შექმნისათვის. სწორედ, ამიტომ არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი რეგულაციების დახვეწა და მისი შემდგომი ეფექტიანად ფუნქციონირება. კანონმდებლის მიერ ამ ინსტიტუტის კონსტიტუციურ-სამართლებრივ რანგში აყვანა მის მაღალ სტატუსზე მეტყველებს. ეს კი უაღრესად მნიშვნელოვანია განვითარებადი დემოკრატიის მქონე ქვეყნისათვის.

აღნიშნული სტატია შეეხება მოქალაქეთა პოლიტიკურ-სამართლებრივ გაერთიანებათა კონსტიტუციურ, სამართლებრივ მნიშვნელობას და მათ სტატუსს. თუმცა, აღნიშნული სტატიის ფარგლებში იმდენად არის საინტერესო პოლიტიკური გაერთიანებების ფუნქციონალური მნიშვნელობა, რამდენადაც განიხილება საკვანძო კითხვა: უნდა გააჩნდეთ, თუ არა მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებებს წინასაარჩევნო კომპანის წარმოებისას წვდომა ადმინისტრაციულ რესურსზე? ამ კონტექსტში იკვეთება სახელმწიფოს ვალდებულება ხელი შეუწყოს პოლიტიკური პარტიების ფუნქციონირებას და მათ განვითარებას, უზრუნველყოს მათთვის თანაბარი სასტარტო პირობების შექმნა. აღნიშნული კრიტერიუმები განიხილება საქართველოს კონსტიტუციის, საკანონმდებლო რეგულაციებისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ყურადღება გამახვილდება იმაზე, თუ რამდენად უნდა ჰქონდეთ პოლიტიკურ პარტიებს წვდომა ადმინისტრაციულ რესურსზე.

**საძიებო სიტყვები:** პოლიტიკური პარტია; ადმინისტრაციული რესურსი; კონსტიტუციური სამართალი

## Political and Legal Meaning of Political Parties and Their Access to Administrative Resources

### Summary

Legal state and legal order of the state should emerge on democracy. Will of people, its complete and free expression is the value for which people has been struggling even from the ancient times, from the very origin of statehood. Will of people is expressed in a civilized manner and methods in the modern world. It is always accompanied by the ruthless political struggle for taking over the power. On the one hand, the state should provide equality of “struggle for power” and balance the public relations for expression of true will of people, and, on the other hand, it is obliged to contribute to existence of the political parties, their development and establishment for creation of pluralist environment. That is why improvement of legal regulations and its further effective functioning is particularly important. Taking this institute to constitutional and legal rating refers to its high status. This is extremely important for a country with developing democracy.

The article hereof is related to constitutional and legal importance of political and legal unions of citizens and their status. However, functional importance of political unions is interesting in the frameworks of this article to the extent that a crucial question is considered: Should political unions of citizens have pre-election campaign access to administrative resources? This context expresses the state’s obligation to contribute to function and development of political parties, to provide them with equal starting conditions. The above criteria should be considered on the basis of the Constitution of Georgia, the legislative regulations and the Constitutional Court’s practice. Therefore, focus should be made on how far political parties must have access to administrative resources.

**Key words:** Constitutional court, Political parties, Political unions, Legal regulations

### პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურ-სამართლებრივი მნიშვნელობა და მათი წვდომა ადმინისტრაციულ რესურსზე

#### 1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების კონსტიტუციურ-სამართლებრივი მნიშვნელობა

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ერთის მხრივ, დასაბამს იღებს დემოკრატიის პრინციპიდან, მეორეს მხრივ, იგი ქმნის მყარ საფუძველს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის უზრუნველყოფისათვის, რადგან პოლიტიკურ პარტიებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ენიჭებათ სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად. ამიტომაც, აუცილებელია არსებობდეს სტაბილური პარტიული იდეოლოგია. ქართული პოლიტიკური პარტიები ხშირად უხვევენ თავიანთი იდეოლოგიური პოზიციებიდან. (1, 87) ეს რეალობა შეიძლება საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს შემასუსტებელ მიზეზად ჩაითვალოს. დემოკრატიული გზით არჩეული ხელისუფლება ქმნის საკანონმდებლო ორგანოს და



არის ამავდროულად ხელისუფლების სხვა ორგანოთა წყარო და პირიქით, თუ ხელისუფლებაში არ მოდის დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება იგი ვერ იქნება სამართლებრივი სახელმწიფოს გარანტორი.(1, 96) შესაბამისად, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება არის ორი კონსტიტუციური პრინციპის - დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს - გზაჯვარედინი.

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულით აღიარებული და უზრუნველყოფილია დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები. მათი ერთგვარი გაგრძელება კონსტიტუციის მე-5, მე-7 და 26-ე მუხლებში აისახება.

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში გაქდერებული „დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება“ ავალდებულებს სახელმწიფოს ხელი შეუწყოს ხალხის ნების გამოვლენას და საზოგადოებრივი პლურალიზმის შექმნას. „ხალხის პოლიტიკური ნება“, როგორც ასეთი მზა სახით არ არსებობს საზოგადოებაში. (2, 63) მისი განმარტება იურისტების, პოლიტოლოგების, ფილოსოფოსებისა და სოციოლოგების მსჯელობის საგანია. კობახიძის აზრით, ხალხის პოლიტიკური ქმედითუნარიანობის გათვალისწინებით, „ხალხის ნება უნდა განვიხილოთ არა იდეალურ, მყარ კატეგორიად, არამედ იმგვარ ფენომენად, რომელიც განსაკუთრებულ, პოლიტიკურ-სამართლებრივი პროცედურების საფუძველზე ყალიბდება“. (3, 60) ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებაზე ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები. თუმცა, მათი მთავარი სტიმულატორები არიან პოლიტიკური პარტიები. ისინი პოლიტიკურ სცენაზე მთავარი მოთამაშენი არიან და აქტიურად ქმნიან საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობის წინაპირობას. შემდეგ კი ხალხის ნების პოლიტიკურ კონცენტრირებას ახდენენ და საბოლოოდ, მხოლოდ სამართლებრივი პროცედურების დაცვითა და სამართლებრივი წესრიგის მკაცრ ჩარჩოში მოქცევით ცდილობენ ხელისუფლებაში მოსვლას. შესაბამისად, **იურიდიული თვალსაზრისით**, ხალხის პოლიტიკური ნება განისაზღვრება, როგორც განსაკუთრებული სამართლებრივი პროცესის შედეგი, რომელიც კონსტიტუციით გარანტირებული პოლიტიკურ-სამართლებრივი წყობიდან გამომდინარე, ხალხის აბსტრაქტული ნებიდან მოიპოვება. (3, 62) სწორედ, ამიტომ უნდა იყოს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო დაინტერესებული, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა სრულფასოვნად და ეფექტურად შეასრულონ მათი ფუნქციები. კონსტიტუცია პოზიტიურად ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ სხვადასხვაგვარი საშუალებებით და თანასწორობის პრინციპის დაცვით ხელი შეუწყოს პოლიტიკური პარტიების გამართულ ფუნქციონირებას.

#### **ა) სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი და პოლიტიკური პარტიები**

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპში სხვა კომპონენტებთან ერთად მოიაზრება, რომ ხელისუფლებას არჩევნების გზით ირჩევს ხალხი. იმისათვის, რომ ხალხს, ამომრჩეველს ჰქონდეს საშუალება არჩევნების საშუალებით გამოხატოს თავისი ნება, აუცილებელ პირობას წარმოადგენს პოლიტიკურ პარტიათა ალტერნატივის არსებობა, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიას შორის არჩევანის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს შექმნას ისეთი **სამართლებრივ-პოლიტიკური ლანდშაფტი**, რომელიც ხელს შეუწყობს პარტიების წარმოქმნას, მათ არსებობას, არჩევნებში ყველა პარტიისათვის თანაბარი სასტარტო პირობების შექმნას და მათი ძირითადი მიზნის განხორციელებას.

#### **ბ) მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება როგორც დემოკრატიის პრინციპის ნაწილი**

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით „ხელისუფლების წყაროა ხალხი“, ხოლო ამავე მუხლის მეორე პუნქტით „ხალხი თავის

ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით“. ეს პრინციპი კი კონკრეტდება საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებით, რომელიც უზრუნველყოფს „ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლინება“-ს.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება, რათა შეიქმნას ხელისუფლება, სახელმწიფომ ხელთ არსებული ყველა საშუალება უნდა გამოიყენოს. მათ შორის, არამარტო დააფინანსოს პოლიტიკური პარტიები, არამედ შეუქმნას მათ პრაქტიკული საშუალება იმისა, რომ გამოიყენონ სახელმწიფო რესურსი. ფინანსების გარდა არსებობს ისეთი სიკეთეები, რომლებიც სახელმწიფოს ხელთაა და მათი გამოყენება პოლიტიკური პარტიებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად სახელმწიფოს ბალანსზე არსებული შენობა ნაგებობანი. ხშირ შემთხვევაში რომელიმე საარჩევნო უბანზე არსებობს მხოლოდ ისეთი შენობა-ნაგებობანი, რომლებიც სახელმწიფოს საკუთრებაშია. თუ წინასაარჩევნო პერიოდისათვის სახელმწიფო სრულიად აკრძალავს ასეთი ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, მაშინ ის ამით ხელს შეუშლის პარტიებს მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპის ეფექტურად ჩატარებაში. ასეთ შემთხვევაში, პირველი, ამომრჩეველს არ მიეცემა საშუალება გამოხატოს თავისუფალი ნება, რადგან ის ვერ გაეცნობა ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის იდეებსა თუ მიზნებს, მას არ ექნება საკმარისი არჩევანის საკმარისი ალტერნატივა. აქედან გამომდინარე, ვერ იქნება საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადება გარანტირებული. მეორე, თვით პოლიტიკური პარტიის ფუნქცია ვერ იქნება შესრულებული და შესაძლოა დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი.

## **2. პოლიტიკური პარტიების ფუნქციები და მიზნები**

პოლიტიკური პარტიების მიზანი არის პოპულარიზაცია და ძალაუფლების მოპოვება, თუმცა ეს მიზანი არამარტო პოლიტიკურ პარტიებს, არამედ სხვა გაერთიანებებსა და ორგანიზაციებსაც აქვთ. ისინიც გარკვეულწილად თამაშობენ მთავარ როლს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. თუმცა პოლიტიკური პარტიები მათგან იმით განსხვავდებიან, რომ ისინი იღვწიან არა სხვა რომელიმე, ნებისმიერი ხასიათის პოპულარიზაციის და ძალაუფლების მოსაპოვებლად, არამედ პოლიტიკური ძალაუფლებისათვის, რომლის მიღწევის საშუალება არის მხოლოდ არჩევნები. ამიტომ, პოლიტიკურ პარტიებს სახელმწიფოს განსაკუთრებული მხარდაჭერა სწორედაც, წინასაარჩევნო ეტაპზე ესაჭიროებათ. ამას ასახავს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 291-ე მუხლი, რომლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა თანხა პარტიების საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გამოყოფილი თანხებით პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება ხორციელდება შემდეგი წესით: ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირ პარტიებისათვის თანხის გადაცემის გზით; ბ) ამ კანონის შესაბამისად, ფონდიდან პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის თანხის განაწილების გზით“. ამავე კანონის 29-ე მუხლი კი გამოყოფს პარტიების საარჩევნო კამპანიის დაფინანსებას და არეგულირებს მას საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის საფუძველზე.

აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ პოლიტიკურ პარტიებს საარჩევნო კამპანიისას თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად ესაჭიროებათ სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული

ხელშეწყობა, რომლის გარეშე წარმოუდგენელია მათი ბრძოლა პოლიტიკური ხელისუფლებისათვის. მათი არსია არჩევნების გზით ბრძოლა ხელისუფლებაში მოსვლისათვის, რაც წინასაარჩევნო კამპანიის ეფექტური ორგანიზების გარეშე წარმოუდგენელია. წინასაარჩევნო კამპანიის ორგანიზება კი, სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე ზოგიერთ შემთხვევაში თანასწორი და აქედან გამომდინარე ეფექტური ვერ იქნება.

მხოლოდ ის ფაქტი, რომ პოლიტიკური პარტიები პოლიტიკური ძალაუფლებისათვის არჩევნების გზით იბრძვიან, ვერ იქნება საკმარისი წინაპირობა იმისა, რომ ისინი კონსტიტუციის მიერ განსაკუთრებულად უნდა იქნენ დაცული. შემდეგი ფაქტორი იმისათვის, რომ პარტიათა ფუნქციების განხორციელება სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს არის ის, რომ პარტიათა არსებობა აუცილებელ პირობას წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისა და განვითარებისათვის, რადგან პარტიათა გარეშე წარმოუდგენელია დემოკრატიული ხელისუფლების ფუნქციონირება. გარდა ამისა პარტიებისათვის თანასწორი პირობების შექმნა განსაკუთრებით კი, წინასაარჩევნოდ ქმნის პლურალურ გარემოს და საზოგადოებას.

ამგვარი, ზოგადი მიმოხილვიდან გამომდინარე იკვეთება პოლიტიკურ პარტიათა ფუნქციები. ამისათვის სასარგებლოა მოვიშველიოთ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლი, რომელიც გვაწვდის განმარტებას, თუ რა არის პოლიტიკური პარტია, და რა ფუნქციები აქვს მას. აღნიშნული ნორმის თანახმად, „პარტია, როგორც თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნაწილი, არჩევნების მეშვეობით და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საშუალებებით მონაწილეობს მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ფორმირებასა და გამოხატვაში.“

მეცნიერთა ერთი ნაწილი საუბრობს პოლიტიკურ პარტიათა შვიდ ფუნქციაზე. ამ ფუნქციათა სრული და ეფექტური განხორციელება ხელს უწყობს პოლიტიკურ პარტიათა განვითარებას და აქედან გამომდინარე საზოგადოების აზრის ფორმირებას, სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოში. პოლიტიკურ პარტიათა ფუნქციებია:

- სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის მიღება;
- შუამავლობა საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის;
- არჩევანის, ალტერნატივის არსებობა;
- ამომრჩეველთა ინტეგრაცია;
- საზოგადოების სოციალიზაცია;
- თვითმმართველობა;
- საზოგადოების ნების ხელისუფლების დონეზე ლეგიტიმაცია.

როგორც ჩანს, პარტიათა ყველა ფუნქციის საფუძველს მაინც შუამავლის ფუნქცია ქმნის. მას ევალება საზოგადოების ნების ტრანსფორმაცია სახელმწიფოებრივ საფეხურამდე, ხელისუფლებამდე მიტანა. ეს იდეა ისევ კონსტიტუციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის პირველ წინადადებასთან გვაბრუნებს: „ხელისუფლების წყაროა ხალხი“. არჩევნები კი არის ერთგვარი ინსტიტუციური მექანიზმი, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს დემოკრატია. იმისათვის, რომ

შედგეს «ხალხის მმართველობა», ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკაში და ამის საუკეთესო გზა არჩევნებია.(4)

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში,(5) პარტიათა მიერ საარჩევნო კამპანიისას სახელმწიფო რესურსის (სატელევიზიო დროის) გამოყენების შესახებ აღნიშნა პოლიტიკურ პარტიათა კონსტიტუციურ-სამართლებრივი მნიშვნელობა და ამით დაასაბუთა სახელმწიფოს ვალდებულება პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერისა წინასაარჩევნო ეტაპზე:

„პოლიტიკური პარტიები მონაწილეობას იღებენ მოქალაქეთა ნების ფორმირებაში. თუმცა, მათ არა აქვთ მონოპოლია, მათ გვერდით დგანან პოლიტიკური გაერთიანებები, თუ ორგანიზაციები, რომლებიც ასევე მონაწილეობენ მოქალაქეთა ნების ფორმირებაში. მაგრამ, გერმანიის ძირითადი კანონის 21-ე მუხლი მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს აძლევს საშუალებას მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. სწორედ ეს ქმნის პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურ რანგს და აყენებს მათ სხვა გაერთიანებებზე უფრო მაღალ სამართლებრივ მდგომარეობაში. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური პარტიები მხოლოდ „წინასაარჩევნო ორგანიზაციები“ არ არიან. ისინი დემოკრატიული წესრიგის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი არიან.“

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ იმავე გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ პოლიტიკურ პარტიებს არა მხოლოდ შუამავლების ფუნქცია ეკისრებათ, არამედ უფრო მეტიც, მათ საბოლოოდ ეკისრებათ მოქალაქეთა ნების აღმასრულებლის ფუნქციაც.

როგორც მიმოხილვიდან ჩანს პოლიტიკური პარტიები ერთ-ერთ აუცილებელ ნაწილს წარმოადგენენ სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიული წესრიგისათვის. ამიტომაც, მათი როლი კონსტიტუციის პრინციპებისათვის განუსაზღვრელია. მათი ფუნქციონირება სახელმწიფოს ფულადი, ან სხვაგვარი რესურსების გამოყენების გარეშე არ იქნება ეფექტური, ამიტომაც ხელისუფლებამ კონსტიტუციის მიზნებისათვის უნდა უზრუნველყოს პარტიათა ეფექტური ფუნქციონირება, სახელმწიფოს მხარდაჭერის განსაკუთრებული საჭიროება კი, საარჩევნო კამპანიისას ჩნდება.

რაც უფრო დიდი და ფასეულია კონსტიტუციური, საზოგადოებრივი სიკეთე, მით უფრო მეტი დაცვა ესაჭიროება მას სახელმწიფოს მხრიდან. ამიტომაც პოლიტიკური პარტიების არსებობა და მათი თანაბარი შანსებით საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის გარანტირება არის ისეთი სიკეთე, რომელიც არა მხოლოდ კონსტიტუციის ცალკეული მუხლებიდან გამომდინარეობს, არამედ კონსტიტუციის ისეთი ფუნდამენტური პრინციპებიდან, როგორცაა დემოკრატიული წესრიგისა და სამართლიანი სახელმწიფო.

### **3. პოლიტიკურ გაერთიანებათა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა**

ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში არ არის ჩამოყალიბებული მიდგომა იმის შესახებ, თუ რომელი სამართლებრივი ორგანიზაციული ფორმა აქვს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას. ნაწილი იურისტებისა მას საჯარო სამართლის იურიდიულ პირად აღიქვამს,(6) მეორე ნაწილი კი პირიქით, მას კერძო სამართლის იურიდიულ პირად განიხილავს.(2, 57-58) ამ დავას თვით ქართული კანონმდებლობის ბუნდოვანება განაპირობებს.

ერთი მხარის არგუმენტებით, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ითვლებიან საჯარო მიზნების მისაღწევად

კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები, მათ შორის პოლიტიკური პარტიები. შესაბამისად, აქ მნიშვნელოვანია სწორედ ის, თუ რა მიზანი აქვს გაერთიანებას. ეს მიზანი ამ პოლიტიკური პარტიების შემთხვევაში ცალსახად საჯაროა, ამიტომ პოლიტიკური გაერთიანებები, თავიანთი სამოქმედო, საქმიანობის მიზნის გამო საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად უნდა ჩაითვალოს. (6, 109) ეს პოზიცია ასევე იმ არგუმენტით არის გამყარებული, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლში გარკვევითაა მინიშნებული, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი „შესაბამისი კანონით შექმნილი“ ორგანიზაციაა. (7, 309)

იურიდიულ ლიტერატურაში ასევე საგულისხმოა მეორე მხარის არგუმენტაციაც, რომელიც მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას კერძო სამართლის იურიდიულ პირად თვლის. ეს მოსაზრება ეყრდნობა არა სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის პირველ ნაწილს, არამედ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს, რომლის მეოთხე მუხლის თანახმად, „პარტია არის არასამეწარმეო იურიდიული პირი“. ამ შემთხვევაში ორგანული კანონი იერარქიულად მაღლა მდგომია ვიდრე სამოქალაქო კოდექსი და იგი საკითხთან მიმართებით უფრო სპეციალურიც არის, ვიდრე სამოქალაქო კოდექსი. შესაბამისად, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები ვერ ჩაითვლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად, იგი (კერძო სამართლის) არასამეწარმეო იურიდიულ პირია. (8, 314-315) გარდა ამისა საჯარო სამართლის იურიდიული პირი იქმნება სამართლებრივი აქტის საფუძველზე და არა ისე, როგორც პოლიტიკური პარტია ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე, ეს კი თავის მხრივ ეწინააღმდეგება დასავლურ კონცეფციას, რომელიც კატეგორიულად გამორიცხავს პოლიტიკური პარტიების ყოველგვარ პირდაპირ იდენტიფიცირებას საჯარო ხელისუფლებასთან. (3, 57-58.) ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებას არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიები, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციები, მასმედიის საშუალებები და სხვა დემოკრატიული ინსტიტუტებიც ისახავენ მიზნად, თუმცა, ისინი მხოლოდ საჯარო მიზნის გამო ვერ ჩაითვლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად. (3)

საკანონმდებლო რეგულაციებიდან და იურიდიულ ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებათგან, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური პარტიების სამართლებრივ- ორგანიზაციული ფორმა, აშკარად არაა გამოკვეთილი. ამას ემატება ის არგუმენტიც, რომ პოლიტიკური პარტია, როგორც მოსარჩელე სუბიექტი საკონსტიტუციო სასამართლოში ისე გამოდის, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. ამას სასამართლოს მრავალწლიანი პრაქტიკა ადასტურებს. (9) წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკურ გაერთიანებებს არ ექნებოდათ სასამართლოს მიერ მინიჭებული უფლება, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს სხვადასხვა ძირითად უფლებაზე ედავათ კონსტიტუციური წესით.

აღნიშნული მსჯელობა იმაზე მეტყველებს, რომ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება, ცალსახად არც საჯარო და არც კერძო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენს. მისი სტატუსი სწორედაც, მისი მრავალმხრივი და არაერთგვაროვანი სტატუსიდან გამომდინარეობს. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური პარტია არის ეკლექტური და ამავე დროს მას ახასიათებს შერეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. პოლიტიკური პარტიის როლი გამოიხატება ხალხის ნების ისეთ ტრანსფორმირებაში, რაც მის დახვეწას და ამ პოლიტიკური ნების ხელისუფლებაში მიტანას გულისხმობს. პოლიტიკური პარტია არის დემოკრატიის კონსტიტუციური პრინციპის სულისჩამდგმელი, თუმცა იმავდროულად იგი სამართლებრივ სახელმწიფოს უყრის საფუძველს.

სწორედ, ამიტომ არის იგი უნიკალური არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ სამართლებრივი თვალსაზრისით. ამიტომაც არის მისი სამართლებრივი სტატუსი, კერძოდ, მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა გამორჩეული, და მისი საჯარო, ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ქრილში განხილვა არასწორი იქნება.

#### **4. პოლიტიკურ გაერთიანებათა სახელმწიფო მხარდაჭერის სამართლებრივი რეგულირება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.**

გერმანიაში, სახელმწიფო პოლიტიკურ პარტიებს სხვადასხვა საშუალებებით უჭერს მხარს. სახელმწიფოს მხრიდან ასეთი მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა შეასრულონ მათზე კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციები. პოლიტიკური პარტიებისადმი სახელმწიფოს მხარდაჭერა განაპირობებს ეფექტურ და თანასწორ შეჯიბრებითობას. ლიტერატურაში არის ასევე საკმაოდ გავრცელებული და დასაბუთებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ პოლიტიკურ პარტიათა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა (Staatliche Leistung) არის სახელმწიფოს ვალდებულება (11)

პოლიტიკურ პარტიათა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ოთხი სხვადასხვა ფორმით გამოიხატება:

1. პარტიათა ისეთი პირდაპირი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერით უზრუნველყოფა, რომელიც პირდაპირ პარტიებისადმი არის მიმართული;
2. პარტიათა ისეთი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერით უზრუნველყოფა, რომელიც მიმართულია იმ პირებისადმი, რომლებიც შეწირულობის სახით ეხმარებიან სასურველ პოლიტიკურ პარტიას. ეს გამოიხატება მათდამი დაწესებული შეღავათებით, როგორცაა მაგალითად, გადასახადების შემცირება. აღნიშნული წარმოადგენს არაპირდაპირ მხარდაჭერას;
3. ასევე სახელმწიფო უზრუნველყოფს პოლიტიკური თანამდებობის პირებს, რომლებიც პარტიულობის ნიშნით იქნენ არჩეულნი. ასეთი განსაკუთრებით ხშირია, ადგილობრივი თვითმმართველობის კოლეგიურ (მაგალითად ადგილობრივი საბჭო) ორგანოებში . ესეც არაპირდაპირი დახმარების ერთ-ერთი სახეა.
4. სახელმწიფოებრივი მხარდაჭერით უზრუნველყოფილნი არიან ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები, ფონდები და გაერთიანებები, რომლებიც სამართლებრივად დამოუკიდებელნი არიან პოლიტიკური პარტიებისაგან, მაგრამ მათი პოლიტიკური საქმიანობა, მათი მიზნები მყარად არის ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირებული.

გერმანიის კანონით პარტიათა შესახებ §18 მე-3 პუნქტის მე-2 წინადადებით რეგულირებულია პარტიათა სახელმწიფოებრივი დაფინანსება. ხოლო ამავე კანონის §5 უშვებს პარტიების მიერ საჯარო რესურსის ან მომსახურების გამოყენებას, მხოლოდ თანასწორობის პრინციპის დაცვით.(12) მე-5 პარაგრაფი ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, უწინარეს ყოვლისა თანასწორობის პრინციპის გარანტირებისათვის უშვებს.

კანონის მე-5 პარაგრაფში გარანტირებულ “სახელმწიფოებრივ მხარდაჭერაში” იგულისხმება სახელმწიფოს მიერ:

- პარტიებისათვის საარჩევნო კამპანიისას “საზოგადოებრივი (საჯარო) ტელევიზიის” ეთერში დროის გამოყოფა;(14)
- სახელმწიფოს კუთვნილი დარბაზების, ან სხვა შენობების გამოყოფა; (15)

- ადგილების გამოყოფა წინასაარჩევნო პლაკატებისათვის;
- სახელწიფოს კუთვნილ ბანკებში, ან შემნახველ სალაროებში პოლიტიკური პარტიებისათვის, საბანკო ანგარიშის უფასო გახსნა და შემდგომ მათი უფასო მომსახურება.(15)

აღსანიშნავია, რომ გერმანიის ზოგიერთი მიწის კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან კონკრეტულ უბანში ან ოლქში, აქვთ უფლება მოითხოვონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან მათთვის შენობის, ან დარბაზის გამოყოფა, სადაც ისინი საარჩევნო კამპანიას ჩაატარებენ. (16)

## 5. პოლიტიკური პარტიების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა საქართველოში;

საქართველოში არსებული საკანონმდებლო რეგულირებანი დღეის მდგომარეობით სახელმწიფოს მიერ პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების, ან სხვაგვარი მხარდაჭერის რამდენიმე შესაძლებლობას უშვებს. პარტიათა სახელმწიფო დაფინანსებას პირველ ყოვლისა „პოლიტიკურ გაერთიანებათა შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე და 31-ე მუხლები ადგენენ. სახელმწიფო ყოველწლიურად ბიუჯეტიდან გამოყოფს თანხას პარტიათა საქმიანობის ხელშესაწყობად. (თუმცა ამ სტატიის ფარგლებში არ იქნება განხილული აღნიშნული რეგულაციების სამართლებრივი პრობლემატიკა). გარდა ამისა კანონმდებლობა ავალდებულებს საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომ მან წინასაარჩევნოდ ეთერი განსაზღვრული დროით პოლიტიკურ გაერთიანებებს დაუთმოს. საქართველოს საგადასახადო კოდექსით პარტიების შემოწირულობები და გრანტები თავისუფლდება მოგების გადასახადისაგან. ეს კი თავის მხრივ შეიძლება არაპირდაპირ მხარდაჭერად ჩაითვალოს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლის ნოემბერ – დეკემბრის ცვლილების შედეგად გამკაცრდა პარტიათა დაფინანსების წესები. ცვლილება ეხებოდა იურიდიული პირებისაგან მიღებულ შემოწირულობებს.(17)

საქართველოს დღევანდელი, 2011 წლის 27 დეკემბერს მიღებული საარჩევნო კოდექსი ბლანკეტურად კრძალავს პოლიტიკური გაერთიანებების მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას. არსებული მდგომარეობით, საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, ბლანკეტურად იკრძალება საარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის, იმ ორგანიზაციებისთვის განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება, რომლებიც ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ასევე იკრძალება აგიტაციის მიზნებისთვის ხელისუფლების, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების უსასყიდლოდ, ან შეღავათიანი პირობებით გამოყენება. თუმცა, ეს უკანასკნელი შეზღუდვა არ ვრცელდება პრეზიდენტზე, დეპუტატებზე, პრემიერ-მინისტრზე, მთავრობის სხვა წევრებზე და მათ მოადგილეებზე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრებზე და ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელებზე, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებზე.

ახალი საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, 2001 წლის საარჩევნო კოდექსიდან უცვლელი შინაარსით გადმოვიდა. აღნიშნულ ნორმაზე, საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში იმსჯელა და იგი კონსტიტუციურად ცნო.(18) სადავო იყო შემდეგი რეგულაცია: *“სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, აგრეთვე იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც*

*ფინანსდებიან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დაკავებული შენობების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ სხვა საარჩევნო სუბიექტებს არა აქვთ იმავე ან ანალოგიური დანიშნულების შენობების იმავე პირობებით გამოყენების შესაძლებლობა”.*

საარჩევნო კოდექსის ერთ-ერთ სიახლეს, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების კონტროლის კუთხით, წარმოადგენს უშიშროების საბჭოს მდივნის მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით უწყებათაშორისი კომისიის შექმნა. აღნიშნულ კომისიაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის უფლება ექნებათ პარტიებს, ხოლო სხდომებზე შესაძლოა მიიწვიონ ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები. კომისია იხილავს საკითხებს, რომლებიც უკავშირდება საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, აგრეთვე ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების წესების დარღვევის შესახებ ინფორმაციას, რომელსაც კომისიას აწვდიან საარჩევნო სუბიექტები, ან დამკვირვებელი ორგანიზაციები. კოდექსში ნათქვამია, რომ დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, კომისიას შეუძლია „რეკომენდაციით მიმართოს“ შესაბამის ორგანოს „გონივრულ ვადაში შესაბამისი ღონისძიებების გატარების მოთხოვნით“.

## **6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა პოლიტიკური გაერთიანებების მიერ ადმინისტრაციული რესურსების თანაბარ გამოყენებასთან დაკავშირებით**

საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები, „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, დავის საგანს წარმოადგენდა 2001 წლის საქართველოს საარჩევნო კოდექსის ნორმა, რომლის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციის უფლების მქონე პირების მიერ რომელიმე პარტიის (საარჩევნო ბლოკის) ან კანდიდატის მხარდასაჭერად, ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში საჯარო მოსამსახურეებს, რომლებიც სარგებლობენ სამსახურებრივი ავტომანქანებით, მათი გამოყენების უფლება აქვთ მხოლოდ საწვავის ანაზღაურების პირობით. აღნიშნული რეგულაცია მოქმედ, 2011 წლის 27 დეკემბრის საარჩევნო კოდექსში აღარ არსებობს. აღნიშნულ საქმეში მოსარჩელის აზრით, სადავო ნორმა ახდენდა დისკრიმინაციას პოლიტიკური ნიშნით, იგი მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმის საფუძველზე მხოლოდ იმ პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოიყენონ ადმინისტრაციული რესურსი, რომელთაც მათი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო მიუწვდებოდათ ხელი მასზე. ხოლო პარტიებს, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენლები სახელმწიფო სამსახურში ასეთი შესაძლებლობა არ აქვთ. სასამართლომ მიუთითა, რომ საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავება ხდება პირის პროფესიული უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით და იგი დაკავშირებული არ არის მათ პოლიტიკურ კუთვნილებასთან. სამსახურებრივი ავტომანქანები კონკრეტული პირებისათვის ხელმისაწვდომია არა მათი პარტიული კუთვნილების, არამედ კონკრეტულ თანამდებობაზე ყოფნის გამო, რომელიც საშუალებას აძლევს მათ, ჰყავდეთ პერსონალური სამსახურებრივი ავტომანქანა სამსახურებრივი ფუნქციების განხორციელების მიზნით. ამ თვალსაზრისით, ისინი ბუნებრივად პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან იმ პირებთან შედარებით, რომლებსაც ეს თანამდებობები არ უკავიათ.(18) შესაბამისად, ამ შემთხვევაში ნათელია, რომ სასამართლომ თვითონ დაადგინა დისკრიმინაციის ნიშანი.

სასამართლოს აზრით: საარჩევნო პროცესში მონაწილეობა იწვევს საარჩევნო უფლების მქონე ყველა პირის (დამოუკიდებლად იმისგან, უკავია, თუ არა მას კონკრეტული თანამდებობა საჯარო სამსახურში) არსებითად თანასწორად მიჩნევის აუცილებლობას. მაშასადამე, ზუსტად საარჩევნო



პროცესში მონაწილეობის უფლების საფუძველზე, თანამდებობრივად განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფი პირები, არსებითად თანასწორნი არიან. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა ითვალისწინებს არსებითად თანასწორი პირების დიფერენცირებულ მოპყრობას, მაგრამ არა პოლიტიკური ნიშნით.(18)

აღნიშნული დიფერენცირების ინტენსივობის ხარისხის განსასაზღვრად და უფლებაში ჩარევის შესაფასებლად, სასამართლომ იმსჯელა და მიიჩნია, რომ ავტომანქანაზე ყველა სუბიექტის მიერ იდენტური ხელმისაწვდომობის არარსებობა არსებითად არ ცვლის არჩევნებში სუბიექტების შანსების სასტატო პირობებს, რის გამოც, ის გავლენა უნარიანი შეიძლება იყოს საარჩევნო უფლებით სრულყოფილად და, იმავდროულად, სხვებთან თანაბარ სარგებლობაზე. სასამართლოს აზრით, (18) ის გარემოება, რომ საჯარო მოსამსახურეებმა შეიძლება სამსახურებრივი ავტომანქანები გამოიყენონ მხოლოდ საწვავის ანაზღაურების პირობით ამცირებს დიფერენცირების ინტენსივობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დიფერენციაცია იყო ნაკლებად ინტენსიური და ამიტომ არ უნდა გამოეყენებინა შემოწმების მკაცრი ტესტი. მისი აზრით, ამ შემთხვევაში კონკრეტული ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისას სხვაობას წარმოადგენდა მხოლოდ მანქანით სარგებლობასთან დაკავშირებული თანხები (საწვავის ანაზღაურების გარდა) და შესაბამისად, სადავო ნორმით არ ხდებოდა საარჩევნო სუბიექტების მკვეთრად განსხვავებულ პირობებში ჩაყენება (18) .

აქედან გამომდინარე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ საჯარო მოხელეების ის ნაწილი, რომლებიც სახელმწიფო მანქანით სარგებლობდნენ, სხვა საჯარო მოხელეებთან შედარებით, იმთავითვე „სამსახურებრივი ავტომანქანების მფლობელებად“ მიიჩნია,(18) და მხოლოდ ამის შემდეგ შეადარა ერთმანეთს აღნიშნული ჯგუფი. ამიტომაც, მან დიფერენციაციის ინტენსივობის დადგენისას აქცენტი მხოლოდ საწვავზე, და არა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ავტომანქანაზე გააკეთა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში, თვით დიფერენცის ინტენსივობის დადგენისას იკვეთება სასამართლო კოლეგიის მცდარი მიდგომა. საკონსტიტუციო სასამართლომ საჯარო მოხელეები აპრიორი სამსახურებრივი ავტომანქანების მფლობელებად განიხილა და შემდეგ მოახდინა მათი შედარება. მხოლოდ ის ფაქტორი, რომ მათ სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენება მხოლოდ საწვავის ანაზღაურების პირობით შეეძლოთ, გახდა „რაციონალური დიფერენციაციის ტესტის“ გამოყენების საფუძველი. რაც გულისხმობს დიფერენცირების მხოლოდ რაციონალურ დასაბუთებას და როგორც არათანაბარი მოპყრობის შეფასების „მკაცრი ტესტი“ ლეგიტიმური მიზნის არსებობის სავალდებულოობას, და მისი პროპორციულობის შემოწმებას. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში დიფერენციაციის ამგვარი ხედვა არ არის დასაბუთებული და დამაჯერებელი.

მიუხედავად იმისა, რომ ნორმა სასამართლომ კონსტიტუციურად სცნო, იგი დღეს არსებულ საარჩევნო კოდექსში აღარ არსებობს. როგორც ზემოთ აღინიშნა საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლით იკრძალება აგიტაციის მიზნებისთვის ხელისუფლების, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების უსასყიდლოდ, ან შეღავათიანი პირობებით გამოყენება. თუმცა, ეს უკანასკნელი შეზღუდვა არ ვრცელდება პრეზიდენტზე, დეპუტატებზე, პრემიერ-მინისტრზე, მთავრობის სხვა წევრებზე და მათ მოადგილეებზე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრებზე და ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელებზე, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებზე. აღსანიშნავია, რომ კანონმდებელმა გამოყო პირთა წრე, რომლებიც არჩევითი თანამდებობის პირები არიან. ისინი განსაკუთრებული რეჟიმით სარგებლობენ, სწორედ, მათი სამსახურებრივი მდგომარეობიდან, შესასრულებელი ფუნქციებიდან გამომდინარე. მათზე

დაცვის უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები ვრცელდება კონკრეტულ თანამდებობაზე ყოფნის მთელი ვადის განმავლობაში, თუ ისინი დაცვით სარგებლობენ არასამსახურებრივ საათებშიც, ამ კატეგორიის ადამიანების პერსონალური სამსახურებრივი ავტომანქანებიც უსაფრთხოების სპეციალურ მოთხოვნებს შეესაბამება. ამიტომ ეს პირები ისარგებლებენ სამსახურებრივი პერსონალური ავტომანქანებით, თუ ნებისმიერი სხვა მანქანით – უსაფრთხოება ერთნაირად უნდა იყოს უზრუნველყოფილი. აქედან გამომდინარე, არსებობს გონივრული მიზეზი იმისა, რომ აღნიშნულ პირთა კატეგორიას არ უნდა ეთქვას უარი სამსახურებრივი მანქანების გამოყენებაზე, რადგან მოქმედი საარჩევნო კოდექსით დადგენილი რეგულაცია უშვებს სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენებას განსაზღვრულ პირთა წრის მიმართ, რაც განპირობებულია ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტური გარემოებებით. საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციასთან შესაბამისად მიიჩნია სადავო ნორმა.

უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელმა ამ შემთხვევაში წინასაარჩევნო კამპანიისას საჯარო მოხელეთა მიერ სამსახურებრივ მანქანებზე თანაბარ წვდომაზე, ამ შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობით უფლებათა გარანტიების უფრო მაღალი სტანდარტი დააწესა, ვიდრე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ.

## 7. დასკვნა

პოლიტიკური პარტიების სახელმწიფო მმართველობაში განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, მათი ხელშეწყობა სახელმწიფოს ვალდებულებაა. ისინი რეალურად თავის არსში კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს მოიცავენ. მართალია, პოლიტიკური პარტიების ლანდშაფტის მრავალფეროვნება პირდაპირ პროპორციულად აისახება დემოკრატიული წესრიგის სიძლიერეზე, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი როლი სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებასა და მის შემდგომ განვითარებაში. სახელმწიფოს ვალდებულებაა ხელი შეუწყოს მათ, თუმცა მხოლოდ თანაბარი სასტარტო პირობების ფარგლებში. შესაბამისად, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებებისათვის სახელმწიფოს მხარდაჭერა, სახელმწიფოს ვალდებულებაა. მაგრამ იგი მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, როცა თანასწორი მოპყრობის, თანაბარი შანსების მიცემის პრინციპს ეყრდნობა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Loladze, B., Das Rechtsstaatsprinzip in DES Verfassung Georgiens und in DES Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens, Potsdam, 2015, S. 87;
2. Politische Willensbildung in: Pieroth, B., /Schlink, B., 28., Auflage, 2012., Heidelberg., 2012, Rn.152, 502; Ismayer W., (Hrsg.) Die politische Systeme Osteuropas im Vergleich, Ismayer W., Die politische Systeme Osteuropas 2002 Opladen. S. 15 ff; Ipsen, J., Staatsrecht II, Grundrechte, 15. Auflage. Muenchen 2012. Rn: 63.
3. კობახიძე, ი., პოლიტიკურ პარტიათა სამართალი, თბილისი 2008, გვ. 60-62;
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილება, II.პ. 8;
5. BverfGE 85, 264 (285). იგივე პოზიციაზეა საუბარი შემდეგ გადაწყვეტილებაშიც: BverfGE 91, 276 (286).
6. ჭანტურია, ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, გვ. 109; ქანთარია, ბ., (რედ. ტურავა), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, მუხლი 26, გვ. 309..
7. ქანთარია, ბ., (რედ. ტურავა), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, მუხლი 26, გვ. 309.
8. კუბლაშვილი, კ., ძირითადი უფლებანი, გვ. 314-315.

9. კობახიძე, ი., პოლიტიკური პარტიების სამართალი, 2008, თბილისი. გვ. 57-58.
10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები “ახალი მემარჯვენეები” და “საქართველოს კონსერვატიული პარტია” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები \_ ზვიად მიმიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 11 მარტის #2/6/221 განჩინება საქმეზე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის #1/3/511 განჩინება საქმეზე საქართველოს მწვანეთა პარტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
11. G. Stricker, Der Parteienfinanzierungsstaat, 1998, S. 99 ff., insbesondere S. 135 ff. mit Versuch der Begründung einer Pflicht des Staates zur Finanzierung eines Mehrparteiensystems; vgl. Morlok, in: Dreier, GG, Art. 21 Rn. 44. საწინააღმდეგო აზრზეა BVerfGE 111, 54 (98 f.) სადაც ის ხელმძღვანელობს ძველი პრაქტიკით.
12. §5 PartG . Gleichbehandlung (1) Wenn ein Träger öffentlicher Gewalt den Parteien Einrichtungen zur Verfügung stellt oder andere öffentliche Leistungen gewährt, sollen alle Parteien gleichbehandelt werden. Der Umfang der Gewährung kann nach der Bedeutung der Parteien bis zu dem für die Erreichung ihres Zweckes erforderlichen Mindestmaß abgestuft werden. Die Bedeutung der Parteien bemisst sich insbesondere auch nach den Ergebnissen vorausgegangener Wahlen zu Volksvertretungen. (2) Für die Gewährung öffentlicher Leistungen in Zusammenhang mit einer Wahl gilt Absatz 1 während der Dauer des Wahlkampfes nur für Parteien, die Wahlvorschläge eingereicht haben.
13. § 5 თანასწორი მოპყრობა
  - (1) თუ სახელწიფო დაფინანსებაზე მყოფი ორგანო/დაწესებულება თავის რესურსს ან საჯარო მომსახურებით სარგებლობის უფლებას პოლიტიკურ პარტიებს გადასცემს, მაშინ ის ყველა პოლიტიკურ პარტიას თანასწორად უნდა მოეპყროს. ასეთით სარგებლობა უნდა იყოს პროპორციული იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პარტია. პარტიების მნიშვნელობა კი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ როგორი იყო მისი შედეგები ბოლო არჩევნებისას.
  - (2) პირველი პუნქტით აღნიშნული საჯარო რესურსით, ან მომსახურებით სარგებლობა წინასაარჩევნო კამპანიისას მოქმედებს მხოლოდ იმ პარტიებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ საარჩევნო სიას.
  - (3) პირველი პუნქტით აღნიშნული საჯარო რესურსით ან მომსახურებით სარგებლობა შეიძლება პარტიებისათვის ნებადართული იყოს მაშინ, თუ ისინი აკმაყოფილებენ განსაზღვრულ მოთხოვნებს.
14. BVerfGE 47, 198; BVerfGE 14, 121; BVerfGE 7, 99; BVerfGE 24, 300; BVerfGE 13, 204
15. Vgl. H. März, BayVBl. 1992, 97 ff. Morlok, in: Dreier, GG, Art. 21 Rn. 93
16. ასეთია მაგალითად, § 8 "ნორდჰაინ-ვესტფალენის მიწის დასახლების კომუნალური წესდება".
17. კანონი ასევე ითვალისწინებდა, რომ პოლიტიკური პარტიები ვალდებული იქნებოდნენ კანონის ამოქმედების მომენტისათვის იურიდიული პირებისაგან მიღებული დაუხარჯავი თანხები კანონის გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში დაუბრუნებინათ თანხის გამცემისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული თანხები სახელმწიფოს საკუთრება გახდებოდა. აღნიშნულ რეგულაციას სამართლებრივზე უფრო პოლიტიკური მიზანი ჰქონდა. სამართლებრივად კანონისათვის ნამდვილი უკუძალის მინიჭება სამართლებრივი

სახელმწიფოს, მოქალაქის სამართლებრივი უსაფრთხოებისა და ნდობის პრინციპებს კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

18. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილება.
19. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილება, II, პარაგრაფი 21.

#### **გულნაზი გალდავა**

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე ადმინისტრირებასა და იურიდიულ საკითხებში, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

#### **მაკა ქარდავა**

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, სამართლის დოქტორანტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი

**ადმინისტრაციული აქტები, ფრანგული და გერმანული, ადმინისტრაციული სამართლის სისტემების კონტექსტში**

### **რეზიუმე**

სტატია ეძღვნება, ფრანგული და გერმანული ადმინისტრაციული აქტების განხილვას. ავტორთა ყურადღება ამ უმნიშვნელოვანესი საკითხებისადმი, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, ევროპაში, ადმინისტრაციული სამართლის მიმართ დიდმა ყურადღებამ განაპირობა. ამასთან, ფრანგული და გერმანული ადმინისტრაციული სამართალი შესაძლებელია განვიხილოთ ამ დარგის კლასიკურ გამოვლინებად. ადმინისტრაციული სამართლის ფარგლებში, რეგულირდება ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა, რომელთაც საკვანძო პოზიცია უკავიათ საფრანგეთსა და გერმანიაში. მათი საქმიანობის შედეგებზეა დამოკიდებული ამ ქვეყნების არამხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ პოლიტიკური სიტუაციაც.

ადმინისტრაციული აქტები ადმინისტრაციული სამართლის ცენტრალურ ინსტიტუტად განიხილება, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება სახელმწიფო მართლწესრიგის მოთხოვნები, სახელმწიფოს საქმიანობის კურსი და მოქალაქეთა მართლშეგნების თავისუფლების საზღვრები. ადმინისტრაციული აქტების მეშვეობით ხორციელდება სახელმწიფო მმართველობის უმნიშვნელოვანესი ფუნქციები.

სტატიაში, წარმოდგენილია ზემოაღნიშნული ქვეყნების ადმინისტრაციული აქტები სხვადასხვა კლასიფიკაციების მიხედვით.

ფრანგული და გერმანული ადმინისტრაციული აქტების ანალიზი თვალნათლივ გამოხატავს, რომ ქართული ადმინისტრაციული სამართალი, ისევე, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, გარკვეულწილად, ადმინისტრაციული სამართლის ზემოაღნიშნული სისტემების გავლენის სფეროშია მოქცეული. ეს გახლავთ, ერთგვარი საფეხურებრივი რეცეფცია, რადგან ადმინისტრაციული აქტის, როგორც ტერმინის (acte administratif) და რიგი სხვა სამართლებრივი მიდგომების დამკვიდრება გერმანულ ადმინისტრაციულ სამართალში, სწორედ ფრანგული ადმინისტრაციული სამართლის ზეგავლენით განხორციელდა, ხოლო გერმანული ადმინისტრაციული სამართლის სისტემის მემკვიდრედ, შესაძლებელია, განვიხილოთ ქართული ადმინისტრაციული სამართალი. გერმანული ადმინისტრაციული აქტის ეკვივალენტად ქართული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განიხილება, მაგრამ განსხვავებით გერმანული სისტემისაგან, ადმინისტრაციული სამართლის ქართულ სისტემაში, ნორმატიული აქტი, წარმოდგენილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კლასიფიკაციაში.

**სამიუბო სიტყვები:** ადმინისტრაციული აქტი; ფრანგული და გერმანული, ადმინისტრაციული სისტემები

**Gulnaz Galdava**

Vice-Rector at Grigol Robakidze University  
Associated Professor

**Maka Kardava**

Chief specialist at the legal department of the Ministry of  
Culture and Monument Protection PhD Invited  
lecturer at the Grigol Robakidze

### **Administrative Acts in the Context of French and German Administrative Justice Systems**

#### **Resume**

The article reviews French and German administrative acts. The authors draw their attention to these significant issues because of the huge attention towards the administrative law in Europe in the past decades. At the same time, French and German administrative laws may be considered as classic models. In the frame of the administrative law, the activities of the administrative bodies are regulated which occupy key position in France and Germany. Not only social-economic but also political situation in the state depends on the outcome of their [administrative bodies'] activities.

Administrative acts are central institutes of the administrative law which estimate legal requirements of the state order, course of the state activities and sets boundaries for the freedom of citizens' legal consciousness. Administrative acts implement key functions in the state governance.

The article presents the administrative acts of the aforementioned states according to different classifications.

Analysis of French and German administrative acts clearly demonstrates that the Georgian administrative law, as well as administrative-legal acts, at some point, is under the influence of the aforementioned administrative legal systems. It is sort of stage-based reception, because introduction of the administrative act, like the term (“acte administrative”) and other legal approaches in German administrative law, happened under the influence of the French Administrative Law. Georgian administrative law can be viewed as a successor of the German administrative justice system. The Georgian individual administrative-legal act is considered to be equivalent of the German administrative act, but unlike the German system, in the Georgian system of the administrative law, normative act is represented in the classification of administrative-legal acts.

**Key words:** Administrative-legal acts, German administrative system, France Administrative system

### ადმინისტრაციული აქტები, ფრანგული და გერმანული, ადმინისტრაციული სამართლის სისტემების კონტექსტში

ადმინისტრაციული აქტების ინსტიტუტი ადმინისტრაციული სამართლის ცენტრალური ინსტიტუტია, რადგან ისინი ქმნიან უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ ფორმასა და საფუძველს, საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში, მისაღწევი მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციისთვის.

ჩვენი არჩევანი, განგვიხილა ფრანგული და გერმანული ადმინისტრაციული აქტები, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, ევროპაში, ადმინისტრაციული სამართლის მიმართ დიდმა ყურადღებამ განაპირობა.

დასავლეთ ევროპული იურიდიული მეცნიერება და კანონმდებლობა დიდი ხანია იყენებს ადმინისტრაციული აქტის ცნებას და შემუშავებული აქვს საკმარისად ფართო თეორიული და ნორმატიული ბაზა ამ აქტების განსაზღვრისათვის.

ცნება, ადმინისტრაციული აქტი, სათავეს იღებს ფრანგული ტერმინიდან - „acte administratif“. საფრანგეთში ეს ტერმინი აერთიანებდა ადმინისტრაციის ნებისმიერ ქმედებას, როგორც საჯარო, ასევე, კერძო სამართლებრივ სფეროში.

საფრანგეთის ადმინისტრაციული სამართალი არეგულირებს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას, რომელთაც სახელმწიფოში უკავიათ საკვანძო პოზიცია. მათი საქმიანობის შედეგებზეა დამოკიდებული ქვეყნის არამხოლოდ სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ პოლიტიკური სიტუაციაც.

ადმინისტრაციული სამართლის ნორმებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საფრანგეთის სამართლებრივ სისტემაში. განსხვავებით სამართლის სხვა დარგებისაგან, საფრანგეთის ადმინისტრაციულ სამართალში, არ გვხვდება კოდიფიკაცია, ასევე, ადმინისტრაციული

სამართლის ინსტიტუტების კოდექსები. სამაგიეროდ 30 -ზე მეტ კრებულში თავმოყრილია საკანონმდებლო და სხვა სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ თემების მართვის, სახელმწიფო საკუთრების განკარგვის, პენსიების, ქალაქმშენებლობის, საქალაქო მეურნეობის და სხვა საკითხებს. თუმცა, ეს ნორმატიული აქტები გაერთიანებულია არა მიზნობრივი მთლიანობის გამო, არამედ სისტემატიზებულია მოხერხებული/ ხელსაყრელი გამოყენებისათვის.

საფრანგეთის ადმინისტრაციას მინიჭებული აქვს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების უფლებამოსილება.

ადმინისტრაცია თავის საქმიანობაში ეფუძნება სამ ძირითად წესს: უწყვეტობას, იერარქიულობას და დამოუკიდებლობას. ადმინისტრაციული ორგანოები უნდა ფუნქციონირებდნენ მუდმივად (მხოლოდ 1950 წელს, სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, აღიარებულ იქნა სახელმწიფო მოხელეთა გაფიცვის უფლება). ამასთან, უწყვეტობა ურყევად უნდა განხორციელდეს ისეთი მომსახურების სფეროებში, როგორც არის მოსახლეობის გაზით უზრუნველყოფის/ მომარაგების სისტემა.

იერარქიულობისათვის დამახასიათებელია საფეხურებრივი ხასიათი. ამ წესის შესაბამისად, მინისტრს ან მის ზემდგომ თანამდებობის პირს, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს თავისი დაქვემდებარების დაწესებულების ადმინისტრაციული აქტი.

ადმინისტრაციული სუბიექტის დამოუკიდებლობა მოიცავს მის დამოუკიდებლობას, განსაზღვრულ/თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

ფრანგულ ადმინისტრაციულ სამართალში, ადმინისტრაციული აქტი განიხილება, როგორც მმართველობის ორგანოს სამართლებრივი აქტი, რომელიც, ნორმატიული აქტისაგან განსხვავებით, აწესებს, ცვლის და წვეტს კონკრეტულ სამართალურთიერთობებს და არ ადგენს ზოგად წესებს. ადმინისტრაციას ქვეყნის კანონმდებლობა უფლებამოსილებას ანიჭებს მიიღოს ორი სახის გადაწყვეტილება:

1. ნორმატიული (რეგლამენტირებული) აქტები (მაგ: საგზაო მოძრაობის წესები, პროდუქციის ფასები);
2. ადმინისტრაციული ან ფინანსური ხასიათის ინდივიდუალური აქტები (გადასახადების დაწესების შესახებ, უხარისხო სურსათის ამოღების შესახებ). [15]

ადმინისტრაციული აქტის იურიდიული ძალა გამომდინარეობს იქიდან, თუ რომელი ორგანო გამოცემს მას.

ფრანგული ადმინისტრაციული აქტების ტიპების კლასიფიცირება შესაძლებელია ჩამოვყალიბოთ სხვადასხვა ფორმით:

**ა) მოსამზადებელი ადმინისტრაციული აქტები** - მოიცავს იმ წინადადებებს, დასკვნებს, სურვილებს, მოხსენებებს, რომლებიც განიხილებიან მისაღები გადაწყვეტილებების ერთგვარ წინაპირობად.

**ბ) დეკრეტები** - საფრანგეთის III რესპუბლიკის პერიოდში, დეკრეტებად იწოდებოდა ქვეყნის პრეზიდენტის მიერ მიღებული აქტები, რომლებიც გამყარებული იყო ერთი ან რამდენიმე მინისტრის ხელმოწერით.

საფრანგეთის IV რესპუბლიკის დროს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის გამოყოფამ, პრეზიდენტის დეკრეტების პარალელურად, გამოიწვია ისეთი რეგულირებების გაჩენა, რომლებიც, გარკვეულ სფეროებში, დღესაც შემორჩა (მაღალი რანგის ჩინოვნიკების დანიშვნა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი დეკრეტები, რომლებიც გამყარებული იყო დაინტერესებულ მინისტრთა ხელმოწერებით).

**გ) მინისტრთა გადაწყვეტილებები** - აღმასრულებელი ადმინისტრაციული აქტები, რომელთაც, როგორც წესი, არ აქვთ ნორმატიული ხასიათი. გამოსახება სხვადასხვა ფორმით (დეკრეტები, წერილები, ჩანაწერები და ა.შ.) უფრო მაღალი კატეგორიის ფორმად ითვლება დადგენილებები, რომლებიც ექვემდებარება დამოწმებას (**visas**).

დადგენილებები, რომელიც მიღებულია რამდენიმე მინისტრის ხელმოწერით იწოდება „მინისტრთაშორის“ დადგენილებებად.

**დ) რეგლამენტირებულ აქტებში** ანუ რეგლამენტებში, მოიაზრება ზოგადი ხასიათის აღმასრულებელი აქტები, რომლებიც ეხება არა ერთ პირს, არამედ პირთა ჯგუფს, ქალაქსა და მუნიციპალიტეტში ( საგზაო კოდექსი; მუნიციპალური დადგენილება, რომელიც აწესრიგებს ქუჩაში ცალმხრივ მოძრაობას).

**ე) არარეგლამენტირებული აქტები** - არის ინდივიდუალური გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება ინდივიდუალურად/სახელობითად მითითებულ ერთ კონკრეტულ პირს ან პირთა ჯგუფს.

**ვ) სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოების (მერი, პრეფექტი, საბჭო) მიერ მიღებული გადაწყვეტილებები** - დადგენილებები, რომელთაც არა აქვთ ნორმატიული ხასიათი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გვხვდება ადმინისტრაციული აქტების კლასიფიკაციის სხვა ფორმებიც : **ნაწილობრივი, სრული, საბოლოო, დამოკიდებული და დამოუკიდებელი ადმინისტრაციული აქტები.**

**აღმასრულებელი ადმინისტრაციული აქტების კლასიფიკაცია შესაძლებელია:**

- დროის /ვადის ან/და მოქმედების ხანგრძლივობის მიხედვით;
- ძალის გამოყენებით და მის გარეშე , სასამართლოს გზით;
- შესრულების მიხედვით;
- სანქციების მიხედვით, სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

საფრანგეთში ადმინისტრაციულ აქტებად კვალიფიცირდებოდა, ასევე, მარეგულირებელი აქტები, მათ შორის, აღმასრულებელი ხელისუფლების აბსტრაქტულ - გენერალური აქტები.

**აღმასრულებელ ადმინისტრაციულ აქტებად არ განიხილებიან:**

- უბრალო/უნებლიე, მატერიალური ფაქტები, ადმინისტრაციის მხრიდან (საავტომობილო შემთხვევა გამოწვეული ადმინისტრაციის ტრანსპორტით);



- ადმინისტრაციის წინასწარ განზრახული მატერიალური ქმედებები;
- აქტები, რომლებსაც აქვთ მხოლოდ მისათითებელი ფუნქცია/ ღირებულება;
- მოსამზადებელი აქტები, გარდა იმ აქტებისა, რომლებსაც შეუძლიათ სამართალწარმოების შეჩერება;
- ცირკულარები/ცირკულარული წერილები ან სამსახურებრივი ინსტრუქციები;
- ზოგიერთი ცალმხრივი აქტი არ განიხილება აღმასრულებელ აქტად, გადაწყვეტილების ელემენტის უქონლობის გამო.

საფრანგეთის სახელმწიფო საბჭოსათვის უმნიშვნელოვანესი იყო ადმინისტრაციული სანქციების/ ღონისძიებების შესაბამისობა ობიექტურ მართლწესრიგთან და არა ხელისუფლებასა და ცალკეულ ინდივიდებს შორის, კონკრეტული სამართალურიერთობის შინაარსი.

ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოების კომპეტენცია იძლეოდა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან, ხელშეკრულებებთან, განკარგულებებთან მიმართებაში, კანონის უზენაესობის და პრიორიტეტულობის გამოკვეთის შესაძლებლობას.

საფრანგეთის ადმინისტრაციული სასამართლოების მაკონტროლებელი კომპეტენცია ატარებდა ყოვლისმომცველ ხასიათს. თავდაპირველად, სახელმწიფო საბჭო ახორციელებდა კონტროლს მმართველობის ორგანოების ადმინისტრაციულ აქტებზე, დადგენილებებსა და ხელშეკრულებებზე. მოგვიანებით, მას დაემატა ასევე სარჩელები/დავები, ზიანის ანაზღაურებასა და საჯარო ქონებასთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცედურების ობიექტურ - სამართლებრივი ხასიათი, ყოველთვის ვერ აკმაყოფილებდა განმცხადებლის/ მოსარჩელის ინტერესებს. კერძოდ, მოსამართლეს, ადმინისტრაციული აქტის უკანონობის დადგენის შემთხვევაში, შეეძლო მხოლოდ მისი გაუქმება (მაშინაც კი, როცა ამ აქტით მიღებული იყო უარყოფითი გადაწყვეტილება ან გადაწყვეტილება უარის თქმის შესახებ). 1995 წლიდან, ადმინისტრაციულ სასამართლოებს მიეცათ მნიშვნელოვანი უფლებამოსილება, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა, არამხოლოდ შეეცვალათ გასაჩივრებული აქტის შინაარსი, არამედ, მიეღოთ გადაწყვეტილება ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის თაობაზე.

აქვე უნდა დავამატოთ, რომ საფრანგეთში, მხოლოდ 2000 წლიდან, არის დადგენილი შესაძლებლობა, სასამართლო პროცესის დაწყებამდე, გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ.

მთლიანობაში, ფრანგული ადმინისტრაციული სამართლის სისტემა მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაგრამ თავისი ფასეულობები კვლავ შეინარჩუნა. აუცილებელია აღინიშნოს: ერთი მხრივ, სასამართლოებისადმი მარტივი ხელმისაწვდომობა (რადგან ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების უფლება აქვთ არამხოლოდ ადრესატს ან მესამე პირს, რომელსაც ის უშუალოდ ეხება, არამედ იმ პირებსაც, რომელთა მატერიალური და მორალური ინტერესები, არც ისე მკაფიოდ არის გამოხატული), მეორე მხრივ, არამხოლოდ ადმინისტრაციული აქტები, არამედ ყველა სახის დადგენილებები და განკარგულებები, მათ შორის, მთავრობის მიერ მიღებული, შესაძლებელია, გასაჩივრდეს სასამართლოში და ამასთან, ეს პროცესი ექვემდებარება სიღრმისეულ სამართლებრივ კონტროლს.[7]

ადმინისტრაციული სამართლის გერმანული ტიპი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოებად ითვლება: ყველა ფედერალური ორგანო, მიწის ფედერალური ორგანოები, მუნიციპალური ორგანოები, ასევე, სახელმწიფო კორპორაციები/ დაწესებულებები, ფონდები. ადმინისტრაციულ ორგანოებად განიხილებიან სახელმწიფო თანამდებობის პირებიც. ადმინისტრაციული ორგანოების ცალკე ჯგუფს წარმოადგენენ, ასევე, პალატები და ე. წ. „თავისუფალი პროფესიები“ ( ადვოკატები, ნოტარიუსები, ექიმები, არქიტექტორები და ა.შ.).

გერმანიაში მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას ახორციელებენ სახელმწიფო მოხელეები, გერმანიის უზენაესი კანონის - კონსტიტუციის შესაბამისად. ფედერაცია ხელისუფლების სხვადასხვა საფეხურზე (მიწები, ქალაქები და სხვა გაერთიანებები), სამართალურთიერთობების რეგულირებისათვის, განსაზღვრავს კომპეტენციებს.

გერმანული ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანესი თავისებურება უკავშირდება დიფერენციაციას, რომელიც მოიცავს: მხოლოდ ადმინისტრაციულ აქტებს (gebundene Verwaltungshandeln), გადაწყვეტილებებს საკუთარი შეხედულების მიხედვით (Ermessen/დისკრეციული გადაწყვეტილებები) და თავისუფალი სივრცის ფარგლებში, განსჯას/გადაწყვეტილებების მიღებას (Beurteilungsspielraum).

გერმანიის ადმინისტრაციული სამართლის თეორიაში, ადმინისტრაციული აქტი ითვლება სახელმწიფო ადმინისტრაციის უმთავრეს ინსტიტუტად, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება სახელმწიფო მართლწესრიგის მოთხოვნები, სახელმწიფოს საქმიანობის კურსი და მოქალაქეთა მართლშეგნების თავისუფლების საზღვრები. ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, ხორციელდება სახელმწიფო მმართველობის უმნიშვნელოვანესი ფუნქციები. ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს აქვთ კონკრეტული შინაარსი და სახელწოდება. ადმინისტრაციული აქტი გამოიყენება მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს ან იმ სპეციალური ორგანოების მიერ, რომლებიც ასრულებენ საჯარო - სამართლებრივ უფლებამოსილებას.

იურისტ - მეცნიერები ( H.Maurer, Ch.U. Eriksen) მიუთითებენ, რომ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში, ტერმინი ადმინისტრაციული აქტი, მე-19 საუკუნის დასაწყისში, სწორედ ფრანგული ტერმინის („acte administratif“) გავლენით დამკვიდრდა. თუმცა, ფრანგული ადმინისტრაციული აქტისაგან განსხვავებით, გერმანული ადმინისტრაციული აქტი მხოლოდ საჯარო - სამართლებრივ სფეროში განხორციელებული ქმედებებით შემოიფარგლა.

დღემდე, ადმინისტრაციული აქტის კლასიკურ განმარტებად ითვლება, გერმანელი მეცნიერის - ოტო მაიერის (Otto Mayer), 1895 წელს შემოთავაზებული დეფინიცია, რომლის შესაბამისად, ადმინისტრაციული აქტი არის სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება, კონკრეტულ შემთხვევაში, საჭიროებისა და უფლებამოსილების დასაშვებობა და მასშტაბი.

ადმინისტრაციული აქტების ცალკეულ სახეებად კლასიფიკაციას, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. გერმანელი იურისტ - მეცნიერები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ არ არსებობს ადმინისტრაციული აქტის ერთიანი ფორმა, აქტები გამოირჩევიან მრავალფეროვნებით და ნაწილობრივ, ეს გამყარებულია კანონმდებლობით.

იურისტ-მეცნიერთა მოსაზრებით, ადმინისტრაციული აქტის სახის მიხედვით იცვლება მისი ისეთი პარამეტრები, როგორცაა: დასაშვებობა, მართლზომიერება, შინაარსი, სამართლებრივი შედეგი, სამართლებრივი ზემოქმედება, ასევე, სამართლებრივი დაცვის სახეები და მოცულობა.

გერმანული ადმინისტრაციული აქტის თანამედროვე დეფინიციას განსაზღვრავს კანონი „ადმინისტრაციული წარმოების შესახებ“ (**VwVfG § 35 Abs.1. S.1**), რომლის შესაბამისად, ადმინისტრაციული აქტის ფარგლებში, განიხილება ადმინისტრაციული ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც მიმართულია საჯარო-სამართლებრივ სფეროში, ინდივიდუალური ხასიათის ერთჯერადი, კონკრეტული შემთხვევის ან/და ქმედების რეგულირებისაკენ. ამასთან, ადმინისტრაციული აქტი ატარებს ხაზგასმით ინდივიდუალურ, ნორმატიული აქტის (**Rechtsnorm**) საპირისპირო ხასიათს.

ადმინისტრაციული აქტი არის ცალმხრივი მოწესრიგების და როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ მაშინ განიხილება ადმინისტრაციულ აქტად, როდესაც ის არეგულირებს კონკრეტულ შემთხვევას. სწორედ ამის მიხედვით ხდება გამოიჯვანაც: **ნორმატიული აქტი და ადმინისტრაციული აქტი**. ნორმატიული აქტი არის აბსტრაქტული, ზოგადი/ საყოველთაო რეგულირება, ხოლო ადმინისტრაციული აქტი კონკრეტული /ინდივიდუალური რეგულირება.

გერმანიის ადმინისტრაციული აქტის ძირითადი ელემენტებია:

1. გამოიცემა საჯარო - სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში (eine hoheitliche Maßnahme);
2. გამოიცემა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ( Behörde);
3. გამოიცემა ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე (auf dem Gebiet des öffentlichen Rechts);
4. არეგულირებს კონკრეტულ/ერთჯერად შემთხვევას (Einzelfall);
5. მოწესრიგება (Regelung) - აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს ;
6. ახდენს განუსაზღვრელ სამართლებრივ ზემოქმედებას (Aussenwirkung);

ადმინისტრაციული აქტები განსხვავდება შემდეგი საფუძვლების მიხედვით:

ა) მოწესრიგების შინაარსის მიხედვით, სამართალურთიერთობის დამდგენი (DES Inhalt DES Regelung) - აღმჭურველი, შემზღუდველი/ ამკრძალავი/ მავალბელი;

ბ) მოქმედების დროის მიხედვით (Nach DES zeitliche Wirkung) - ერთჯერადი და მრავალჯერადი/ მუდმივი;

გ) ზემოქმედების თვალსაზრისით (die zeitliche Wirkung) - უფლების მიმნიჭებელი/აღმჭურველი (begünstigte) და შემზღუდველი (Belastende);

დ) გამოცემის ფორმის მიხედვით (nach DES Form) - ზეპირი, წერილობითი, ელექტრონული და ა.შ.

ე) ობიექტის მოწესრიგების მიხედვით: (DES Regelungsobjekt). [3]

გერმანიაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციული აქტების კლასიფიკაციას უპირატესობის მიმნიჭებელ/ხელშემწყობ (პოზიტიური) და მავალბელ (ნეგატიური) ადმინისტრაციულ აქტებად. ამგვარი კლასიფიკაცია ასახავს, ლიბერალურ - სამართლებრივ სახელმწიფოში, ადმინისტრაციასა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობებს. [4]

უპირატესობის მიმნიჭებელ/ ხელშემწყობ (პოზიტიური) ადმინისტრაციულ აქტად, გერმანიის კანონმდებლობის (VwVfG § 48 Abs.2 S1.) საფუძველზე, განიხილება აქტი, რომელიც ასაბუთებს არსებით სამართლებრივ უპირატესობას. ლეგალური დეფინიციის თვალსაზრისით, ეს არის იმ სამართლებრივი პოზიციის დადასტურება, რომელიც ადრესატისათვის დაკავშირებულია განსაზღვრულ მოთხოვნასთან.

უპირატესობად ითვლება არსებული მართლწესრიგი, რომელიც მოიცავს ინდივიდუალური ინტერესის სამართლებრივ დაცვას. ამ აღიარების საზომი განისაზღვრება არსებული მართლწესრიგის ღირებულებებით. ასეთ აქტებად განიხილება გადაწყვეტილებები: მიწის ნაკვეთის მიცემის, მოსამსახურის დანიშვნისა და სტიპენდიების გადახდის შესახებ.[8]

მავალბელი (ნეგატიური) ადმინისტრაციული აქტის დეფინიციამ ვერ ჰპოვა ლეგალური დასაყრდენი. თეორიაში, ამ ტიპის ადმინისტრაციულ აქტად, მიჩნეულია ნეგატიური ხასიათის გადაწყვეტილებები, მოქალაქეებთან მიმართებაში. მავალბელი ხასიათი შესაძლებელია გამომუდგანდეს მინიჭებულ უპირატესობასთან დაკავშირებით უარის თქმის შემთხვევაშიც, ასეთი სახის აქტად განიხილება ნებისმიერი ბრძანება ან/და აკრძალვა თანამდებობიდან ჩამოცილების შესახებ. [9]

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ადმინისტრაციულ სამართალში, ადმინისტრაციული აქტი მიმართულია კონკრეტული/ერთჯერადი ქმედების/შემთხვევის რეგულირებისაკენ, ადმინისტრაციული აქტების კლასიფიცირება მაინც შესაძლებელია იურიდიული თვისებების მიხედვით. ჰ. მაურერის (H.Maurer) განმარტებით, გერმანიის ადმინისტრაციული სამართლის პრაქტიკაში, ამ ჯგუფს მიაკუთვნებენ ე. წ. „შერეულ აქტებს“, რომლებშიც წარმოდგენილია არამხოლოდ ცალკეული ერთჯერადი შემთხვევების რეგულირება, არამედ, ზოგადი საერთო რეგულირება, რაც ნორმატიული აქტებისთვის არის დამახასიათებელი (ეს ჯგუფი მოიცავს: სამართლებრივ გეგმებს, რომლებიც ნაწილობრივ ადმინისტრაციულ აქტებს მიეკუთვნება, ნაწილობრივ ნორმატიულ აქტებს<sup>[5]</sup>, საგზაო ნიშნებს, რომლებიც განეკუთვნებიან ადმინისტრაციული აქტის სპეციალურ შემთხვევას<sup>[6]</sup>, სატარიფო შეთანხმების განმარტებას<sup>[10]</sup>)

გერმანიის ადმინისტრაციული სამართლის კიდევ ერთ თვისებურებად, მეცნიერები (F.J.Peine, R.Stober) ასახელებენ „საერთო განკარგულებებს“ (VwVfG §35 S.2). ამ ტიპის განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც მიმართულია პირთა განსაზღვრული ან საერთო ნიშნით განსაზღვრული წრისაკენ და ეხება ცალკეული საგნების საჯარო - სამართლებრივ თვისებებს, ასევე, მისი საყოველთაო გამოყენების შესაძლებლობას საზოგადოების მხრიდან (თუმცა, შეუძლებელია იმ პირთა რაოდენობის განსაზღვრა, ვისზეც ვრცელდება ეს აქტი).

პირადი და საგნობრივი ხასიათის მიხედვით, გერმანიის ადმინისტრაციული აქტები იყოფა ორ ჯგუფად: აქტები, რომელთა ადრესატები არიან მოქალაქეები (**ნორმალური შემთხვევა**) და საგნობრივი აქტები (**სპეციალური შემთხვევა**), რომლებიც მიღებულია საგანთან/ ნივთთან დაკავშირებით და ასევე, არეგულირებს მის სტატუსს. ამ პრიზმაში ჰ. მაურერი(H.Maurer) განიხილავს შენობისათვის განსაზღვრული სტატუსის მინიჭებას [11]

კიდევ ერთი ძირითადი კლასიფიკაცია უკავშირდება აქტის ფორმას. გერმანიის კანონმდებლობა (VwVfG §37 Abs.2.3) გამოყოფს შემდეგ ფორმებს: ზეპირი, წერილობითი, ელექტრონული და სხვა საშუალებებით გამოცემული. სხვა საშუალებებით გამოცემის ფარგლებში, შესაძლებელია,

ვიგულისხმობთ ისეთი კონკლუდენტური მოქმედებები, როგორცაა: შუქნიშანი, სატელეფონო და სატელეგრაფო გზავნილები.

გერმანიის ადმინისტრაციულ სამართალში გვხვდება სხვაგვარი კლასიფიკაციებიც. ადრესატზე ზემოქმედების თვალსაზრისით ადმინისტრაციული აქტები იყოფიან ცალმხრივი და მრავალმხრივი (ორმხრივი, სამმხრივი,) მოქმედების აქტებად.

მრავალმხრივი მოქმედების ადმინისტრაციულ აქტად, განიხილება აქტი, რომელიც ხელშემწყობია და უპირატესობას ანიჭებს ადრესატს, მაგრამ აკისრებს ვალდებულებებს სხვა პირებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია, მშენებლობის ნებართვა, რომელიც თავისთავად ხელშემწყობია ადრესატისათვის, მაგრამ მავალბელია მეზობლებისათვის.

ხაზგასმას ექვემდებარება აქტები, რომელთა შეთანხმება არ წარმოადგენს აუცილებლობას და აქტები, რომელთა შეთანხმება აუცილებელია. ასეთი აუცილებელი შეთანხმების აქტების ფარგლებში, განიხილება მოხელის დანიშვნა. [12]

მოქმედების ვადის მიხედვით, ადმინისტრაციული აქტების კლასიფიკაციაში, გამოყოფენ ხანგრძლივი მოქმედების ერთჯერად და დროებით ადმინისტრაციულ აქტებს. [13]

„დროებითი აქტების“ ცნება პირველად გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებაში (BverwGO 67, 99) აისახა. დროებითი ადმინისტრაციული აქტი არის უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილება, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს, გარემოებების კვლევის მიმდინარეობის დასრულებამდე, ახალი გადაწყვეტილების მიღებამდე და ეფუძნება გარემოებების შესწავლის/კვლევის სრულ დეტალურ შედეგს. [14]

ფრანგული და გერმანული ადმინისტრაციული აქტების ანალიზი თვალნათლივ გამოხატავს, რომ ქართული ადმინისტრაციული სამართალი, ისევე, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, გარკვეულწილად, ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული სამართლის სისტემების გავლენის სფეროშია მოქცეული. ეს გახლავთ, ერთგვარი საფეხურებრივი რეცეფცია, რადგან ადმინისტრაციული აქტის, როგორც ტერმინის („acte administratif“) და რიგი სხვა სამართლებრივი მიდგომების დამკვიდრება, გერმანულ ადმინისტრაციულ სამართალში, სწორედ ფრანგული ადმინისტრაციული სამართლის ზეგავლენით განხორციელდა. ხოლო, გერმანული ადმინისტრაციული სამართლის მემკვიდრედ, შესაძლებელია, განვიხილოთ ქართული ადმინისტრაციული სამართალი. გერმანული ადმინისტრაციული აქტის ეკვივალენტად ქართული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი განიხილება, მაგრამ განსხვავებით გერმანული სისტემისაგან, ადმინისტრაციული სამართლის ქართულ სისტემაში, ნორმატიული აქტი, წარმოდგენილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კლასიფიკაციაში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ავტორთა კოლექტივი (მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა) „ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო“ თბილისი, 2008, თავი IV-V, გვ. 247 - 402
2. ტურავა პაატა, წიკვლაძე ნათია „ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო“ თბილისი, 2013წ. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თავი 3. გვ. 67-143

3. Battis Ulrich „Allgemeines Verwaltungsrecht. Müller, 2002 S.129-130
4. Bull/ Mehde „Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungslehre“ Heidelberg, 2009, S.298
5. BverwGE 44,332,338 ff.
6. BverwGE 27, 181;59,221,224 ff.
7. Fromont Michel, „ Die Annaehrung DES Verwaltungsgerichtbarkeiten in Europa, in: Schmidt-Assmann (Hg) Festgabe 50 Jahre Bundesverwaltungsgericht, 2003, S. 93
8. Kopp/Ransauer VwVfG (Komentar) 7. ueberarbeitete Auflage, Beck, 2000, S.1029
9. Maurer H. „Allgemeines Verwaltungsrecht “ Beck. 2 S 217
10. Maurer H. „Allgemeines Verwaltungsrecht“ Beck, 2004, S.194
11. Maurer H. „Allgemeines Verwaltungsrecht“ Beck, 2004, S.214
12. Peine F.J., „Allgemeines Verwaltungsrecht“ Heidelberg, 2006, S.111
13. Peine F.J „Allgemeines Verwaltungsrecht“ Heidelberg , 2006, S.97
14. Peine F.J „Allgemeines Verwaltungsrecht “ Heidelberg, 2006, S.97 Verwaltungsverfahrengesetz /[http:// www. gesetz-im internet.de/vwvfg/index.html/](http://www.gesetz-im-internet.de/vwvfg/index.html/)
15. *Козырин А.Н.* „ Административное право зарубежных стран“ М. „СПАРК“, 2003 ГЛАВА VI. Административное право Франции.

გურამ სვანიძე

სოციოლოგიის დოქტორი (Ph.D)

რამდენიმე მოსაზრება არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის შესახებ (დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით #235, 2012 წლის 22 მარტი, ქ. თბილისი)

### რეზიუმე

სტრატეგია საეტაპო დოკუმენტია; არსებობს მასში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესაძლებლობა, რომელიც დოკუმენტის მეთოდოლოგიურ ნაწილს ეხება, რაც გამოიწვევს მისი მოქმედების არეალის გაფართოებას და, შესაბამისად, დასახული ღონისძიებების სიის კორექტირებას;

სტრატეგიის მიზნობრივი ჯგუფის უფრო ფართო ცნება უნდა იყოს წარმოდგენილი, რადგან არსებული ვერსია წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ ცნებას;

უფრო მკაფიოდ უნდა მოხდეს დევიაციის და დანაშაულის ცნებების გამიჯვნა. პირველი წარმოადგენს მიზნობრივი ჯგუფის სტატუსიდან გამომდინარე არსობრივ ნიუანს. შედეგად უნდა ჩამოყალიბდეს დოკუმენტის დასახელების ახალი რედაქცია: „არასრულწლოვანთა ანტისოციალური და კრიმინალური ქცევის პრევენციის სტრატეგია“;

მოზარდები აქტიურად არიან ჩართულები სოციალიზაციის პროცესში არა მარტო ობიექტის, ასევე სუბიექტის როლში. მოზარდთა სუბიექტობა არის არა ინდივიდუალური, არამედ კოლექტიური. მას წარმოადგენს თანატოლთა არაფორმალური ჯგუფი, რომელიც ამ სოციალური ჯგუფის სუბკულტურის მატარებელია. სტრატეგიაში მუშაობის ინდივიდუალური და კოლექტიური მეთოდები უნდა იყოს გამოყენებული;

სტრატეგიაში არ არის აღწერილი მიზნობრივი ჯგუფის მოქმედების ტერიტორიალური და დროებრივი არეალები. ცალკე პრობლემად არ არის გამოყოფილი მოზარდთა თავისუფალი დროის ორგანიზაციის აუცილებლობა. ამ სოციალური დროის მონაკვეთზე ოპერირებენ თანატოლთა არაფორმალური ჯგუფები. აქედან გამომდინარე, კვლევის საგანი უნდა გახდეს მოზარდების თავისუფალი დროის ბიუჯეტები. დოკუმენტის ავტორებმა არ გაითვალისწინეს ამ ჯგუფის ისეთი არეალი, როგორცაა საცხოვრებელი ადგილი;

დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ასევე, პრობლემების ეკონომიკურ ასპექტს, ანუ „ჯიბის ფულის“ ეკონომიკას. აქედან გამომდინარე, კვლევის საგანი უნდა გახდეს მოზარდების „ჯიბის ბიუჯეტები“;

დოკუმენტში არ არის აღნიშნული მოზარდთა სოციალიზაციის პროცესის სპეციფიკა, რომლითაც ეს პროცესი ხასიათდება საზოგადოებრივ (society) და თემურ (community) სტრუქტურებში. სტრატეგიის ფოკუსში არ მოხვდა ისეთი თემური ტიპის ინსტიტუციები, როგორცაა მეზობელთა წრე, ნათესავთა გარემო, და, ნაწილობრივ, თანატოლთა ჯგუფი;

დოკუმენტში არ არის გათვალისწინებული სოციალიზაციის ინსტიტუტების ასაკობრივი სტრუქტურა. სოციალიზაციის პროცესი ბევრად განსხვავდება ასაკის მიხედვით ჰეტეროგენურ სტრუქტურებში, როგორც არის ოჯახი. ამ ჯგუფებს ახასიათებთ მათი მონაწილეების სტატუსების სიმეტრია და ასიმეტრია, რაც განსაზღვრავს პრევენციის ღონისძიებების თავისებურებას;

აღსანიშნავია ის, რომ სტრატეგიის ავტორებს გამორჩათ რელიგიური ინსტიტუტების შესაძლობლები.

**საძიებო სიტყვები:** სოციალური ჯგუფი, დევიაცია და დანაშაული, “peer group”, სუბკულტურა, თავისუფალი დროის ჯგუფი, სოციალიზაციის ინსტიტუტები.

**Guram Svanidze**  
Sociologist (Ph.D)

**A few remarks on the strategy for the prevention of juvenile delinquency (approved by Presidential Decree # 235, 2012 22, March, Tbilisi)**

Summary

Strategy is an important document, but there are reserves that could contribute to its further development. Namely, we are referring to some amendments concerning the methodological part of the strategy. It will clarify the objectives of the strategy and make a list of specific recommendations more comprehensive. Defining the target group needs to be redone. He was removed from the Criminal Code, which narrows the field of action. Identification of the risk factors that lie at the very social position of the target group should be the main element of the policy for the prevention of crime and deviant behavior among teenagers.

The distinction between deviant and criminal behavior must be more pronounced. Social immaturity is an integral part of the social status of adolescents. This leads to deviations in their behavior. Preventing deviation often serves to prevent subsequent criminal acts.

Teenagers are active participants in the process of socialization. They are both subject and object of this process. The latter involves both individual and collective aspects. The so-called "peer group" is a body of their relative independence and self-government. Youth subculture is created by these groups. Unfortunately, the current strategy focuses only on the individual working methods. The collective aspect is not developed.

The document does not describe the temporal and spatial location of teenagers' the subculture. A large number of problems have been ignored, particularly those relating to time management of adolescents' leisure time. "Peer group" are in fact informal youth leisure-groups. We believe that the study of time budgets and "pocket money" economy of minors is of great interest for the implementation of the strategy.

Such a spatial localization of the youth culture as a residential place is out of the focus of the document. Authors also underestimated the role of the non-institutional bodies of socialization (community affect). Such influences as milieu of neighbors and relatives are not analyzed. The same is in regards to the age homogeneity and heterogeneity of upbringing bodies of socialization. In document, we did not find the religious institutions among those that are helpful in the achievements of its goals.

**Key words:** social group, deviant and criminal action, "peer group", sub-culture, leisure time group, institutions of socialization.

**რამდენიმე მოსაზრება არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის შესახებ (დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით #235, 2012 წლის 22 მარტი, ქ. თბილისი)**

როგორც აღნიშნულია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის ტექსტში, ქვეყანაში არ არსებობდა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ერთიანი პოლიტიკა და დანაშაულის პრევენციის მაკოორდინირებელი ორგანო. ჩვენ გვაქვს საქმე საეტაპო დოკუმენტთან. მასში მკაფიოდ არის გაწერილი მისი მიზნები და ამოცანები. ის არის კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იყოს პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომა, და ამ მიდგომიდან გამომდინარე სახელმწიფო ორგანოებს შორის ფუნქციების განაწილება, მათი საქმიანობის კოორდინაცია. პრობლემებისადმი კომპლექსური მიდგომა ორგანულად უკავშირდება პრობლემატიკის სტრუქტურირებას, რომელიც მისი განვითარების სტადიების მიხედვით არის დალაგებული. ინტერესს იწვევს რისკჯგუფებისა და რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირების სქემები. სტრატეგიის თეორიულ-მეთოდოლოგიური თეზისები თავის განვითარებას ნახულობენ პრაქტიკული ღონისძიებების ჩამონათვალში.

ამასთანავე, არსებობს რეზერვი იმისა, რომ დაზუსტდეს დოკუმენტში წარმოდგენილი დებულებები. ავტორები სურვილს გამოთქვამენ კოლეგებთან ითანამშრომლობაზე, რათა



დაიხვეწოს სტრატეგია. ჩვენ გთავაზობთ ზოგიერთ მოსაზრებას სტრატეგიაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ.

ეს პროცედურა დაკავშირებულია არა მარტო თეორიულ-მეთოდოლოგიური ხასიათის აქცენტების გადაადგილებასთან. მას შეიძლება მოჰყვეს სტრატეგიის მოქმედების არეალის გაფართოება და შესაბამისად დასახული ღონისძიებების სიის კორექტირება, რამაც უნდა ხელი უნდა შეუწყოს „არასრულწლოვანთა ჭეშმარიტ ინტერესზე დაფუძნებულ“ (ციტატა ტექსტიდან) მიდგომის სრულყოფას, ამ სოციოდემოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენელთა დანაშაულის პრევენციის საქმეს.

მოგეხსენებათ, რომ დანაშაულებრივი ქმედების რისკ-ფაქტორები არსებობს თვით სოციალური ჯგუფის სტატუსში. ვიზიარებთ რა იმ დებულებას, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია სახელმწიფოს სისხლის სამართლის

პოლიტიკის ნაწილია, ჩვენ თვლით, რომ ავტორებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ამ სტატუსის მახასიათებლების ანალიზს. დოკუმენტში მეტნაკლებად წარმოდგენილია პრობლემის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ასპექტი, მაგრამ არ არის სოციოლოგიური ხედვა.

ამ კომპლექსურ დოკუმენტში სტრატეგიის მიზნობრივი ჯგუფის უფრო ფართო ცნება უნდა წარმოდგენილიყო, ვიდრე ის ვერსია, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსიდან არის ამოღებული. ფაქტობრივად ეს ცნება მოიცავს მხოლოდ იმ მოზარდთა კატეგორიას, რომელიც სტრატეგიაში გამოყოფილი განმეორებითი დანაშაულის პრევენციის მე-3 დონის მიზნობრივი ჯგუფია. ეს სპეციფიკური ჯგუფი მხოლოდ დიდი სოციალ-დემოგრაფიულ ჯგუფის ნაწილია, რომლის პრობლემები განიხილება ადრეული პრევენციისა და დანაშაულის პრევენციის პირველ და მეორე დონეებზე.

თქვენს ყურადღებას მივაქცევთ დოკუმენტის დასახელებას. იურისპრუდენციაში „დანაშაულის“ ცნება მოიცავს ქცევის ობიექტურ და სუბიექტურ ელემენტთა ერთობლიობას (დანაშაულის შემადგენლობას). მოზარდების შემთხვევაში ჩვენ ხშირად ვაწყდებით სუბიექტური მახასიათებლების გაუნვითავრებლობას. დოკუმენტში ამ მომენტის გათვალისწინების აუცილებლობა კარგად არის გაწერილი მეთოდოლოგიურ ნაწილში. მაგრამ დოკუმენტის ამავე ნაწილში მკაფიოდ არ არის აღნიშნული ანტი-სოციალური (დევიანტური)(1. 266, 273) (5. 347), და კრიმინალური ქცევის განსხვავება.

პირველი აფექტური გაუაზრებელი ქმედებაა, რომელიც გამომდინარეობს მოზარდის ტრანზიტული სოციო-ფსიქოლოგიურ-ბიოლოგიური სტატუსიდან. დანაშაულის ქმედება კი შეიცავს ჩამოყალიბებულ მოტივს, რომელიც დაფუძნებულია ან რაიმე ინტერესზე, ან ღირებულებაზე. „სოციალური ნორმებიდან გადახვევა უფრო ხშირად არასრულწლოვნის ზრდისა და განვითარების პროცესის სოციალური დამწიფების ნაწილია“ – წერია დოკუმენტში. არასრულწლოვნის სტატუსის გათვალისწინებით დევიაცია უფრო შეეფერება მის არსს, ვიდრე დანაშაული. დანაშაული უნივერსალური მოვლენაა და უფრო ახასიათებს ასაკობრივად უფროს კატეგორიებს. თუმცა, რა თქმა უნდა, დევიაცია საგრძნობლად ზრდის კრიმინალური ქცევის ალბათობას. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ჭირს ამ ორი ტიპის ქმედების დიფერენციაცია. აქედან გამომდინარე, უფრო მისაღებია, რომ დოკუმენტის დასახელების ახალი რედაქცია იყოს შემდეგი შინაარსის: **„არასრულწლოვანთა ანტისოციალური და კრიმინალური ქცევის პრევენციის სტრატეგია“**.

სტრატეგიაში გამოყენებულია საკმაოდ ტრადიციული მიდგომა, რომლის მიხედვით არასრულწლოვანი წარმოდგენს სოციალიზაციის ინსტიტუტების ზემოქმედების ობიექტს. გაუთვალისწინებელი რჩება ახალგაზრდული მოვლენების ავტონომიურობის ელემენტები, ამ

ჯგუფის სუბიექტობა. ასეთი მიდგომა არამარტო თეორიული და მეთოდოლოგიური დისკურსის მოთხოვნაა. ჩვენს საზოგადოებაში მკვეთრად სოციალური პროცესების გაახალგაზრდოების (იუვენტიზაციის) (4. 16–17) ტენდენციამ იჩინა თავი. ეს არ ეხება მარტო იმ ახალგაზრდების კატეგორიას, რომელმაც მიიღო უმაღლესი განათლება დასავლეთში. ისიც უნდა დავამატოთ, რომ ჩვენში შემოსული ახალი იდეოლოგიის ერთ-ერთი ღირებულება, რომელიც ემსახურება საქართველოში დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას, პოსტულირებს პიროვნების თვითგამორკვევის აუცილებლობას. იგივე ეხება სოციალიზაციის პროცესში მყოფ მოზარდებს. იგულისხმება მოზარდების აქტიური ჩართულობა ამ პროცესში არა მარტო ობიექტის, ასევე სუბიექტის როლში. ის, თუ როგორ არის განვითარებული არასრულწლოვნებში ეს აქტიური საწყისი, კარგად ჩანს მოზარდთა სუბკულტურაში (1. 94, 96, 174).

ამ მხრივ საინტერესო იქნებოდა დადგინდეს, რა ურთიერთობაში აღმოჩნდებიან სოციალიზაციის დადებითი პერსონაჟი, როგორცაა „უფროსი მოსწავლე“, რომლის ინსტიტუტის შემოღებას გვთავაზობს სტრატეგია, და არაფორმალური ლიდერი („back-bencher“ - დასავლეთში მიღებული მისი სახელი) (1. 24, 26).

ჩვენ ეჭვის ქვეშ არ ვაყენებთ მოზარდებთან მუშაობაში ინდივიდუალური მეთოდების გამოყენებას. ამგვარი პრაქტიკა მოიცავს თეზისს იმის შესახებ, რომ მოზარდი საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც მას ეხება, მონაწილეობის უფლებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი. სტრატეგიაში ამ მეთოდს მართებულად საკმარისი ყურადღება აქვს დათმობილი, მაგრამ არ უნდა გამოგვრჩეს ის ნიუანსი, რომ მოზარდთა სუბიექტობა არის არა ინდივიდუალური, არამედ კოლექტიური. მოზარდის ინდივიდუალიზაცია სოციალური მომჭიფების საბოლოო შედეგია, რომელიც გამოიხატება პიროვნულად და სოციალურად ჩამოყალიბებული ინდივიდის მიერ გაკეთებულ სოციო-პროფესიულ არჩევანში. ხსენებული არასრულწლოვნების კოლექტიური სუბიექტობის მთავარი ნიშანია თანატოლთა არაფორმალურ ჯგუფში ჩართულობა (peer-group) (2. 111-122).

ეს ჯგუფი ახალგაზრდული სუბკულტურის მატარებელია და გარკვეულწილად სოციალიზაციის ინსტიტუტების მიმართებაში ავტონომიური წარმონაქმნია. როდესაც ჩვენ ავღნიშნეთ, რომ სტრატეგიაში გამოყენებულია ახალგაზრდულ პრობლემათა მიმართ საკმაოდ ტრადიციული მიდგომა, ვიგულისხმებთ ამ გარემოების შეუფასებლობა. დოკუმენტში ნახსენებია თანატოლთა ჯგუფები, როგორც ერთერთი მიზნობრივი ჯგუფი, მაგრამ აქცენტი გაკეთდა ამ ჯგუფებში მონაწილე მოზარდ ინდივიდებთან და არა უშუალოდ ამ ჯგუფებთან მუშაობის აუცილებლობაზე.

ხსენებულ ნიუანსს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადრეული პრევენციისა და დანაშაულის პრევენციის დონეებზე. ის კარგავს თავის აქტუალობას მე-3 დონისთვის, როდესაც საკითხი ეხება თავისუფლების აღკვეთის ინსტიტუტებში მყოფ არასრულწლოვნებს. აქედან გამომდინარე, პრევენციული ზომები უნდა ჩატარდეს როგორც მხოლოდ ინდივიდ მოზარდებთან, ასევე მოზარდთა არაფორმალურ კოლექტივებთან. ეს წინადადება ხელს შეუწყობს სტრატეგიის განხორციელების არეალისა და მეთოდების არსენალის გაზრდას.

ტრადიციულმა მიდგომამ არ მისცა სტრატეგიის ავტორებს შესაძლებლობა უფრო სრულად დაეფიქსირებინათ მოზარდების როგორც სოციალური ჯგუფის არსებობის ტერიტორიალური და დროებრივი არეალები. მაგალითად, სტრატეგიაში ნახსენებია მოზარდთა თავისუფალი დროის რაციონალური ორგანიზაციის აქტუალობა, მაგრამ არ არის მოყვანილი ის დებულება, რომ თავისუფალი დრო ის არეალია, სადაც ოპერირებენ ახალგაზრდული ავტონომიური

წარმონაქმნები თავიანთი სუბკულტურით. ან ტერიტორიალურ არეალებს შორის არ არის ნახსენები საცხოვრებელი ადგილი (უბანი, ეზო და ა.შ.) არ არის საიდუმლო, რომ მოზარდთა დევიანტური ან კრიმინალური ქცევის შემთხვევების დიდი წილი მოდის ამ დროისა და სივრცის არეალებზე. ისიც არ არის გამორიცხული, რომ მოზარდის რეკრუტირება კრიმინალურ სამყაროში აქვე ხდება და მით უფრო დიდი ალბათობით, თუ ახლომახლო დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები ცხოვრობენ. ქურდულ ტრადიციებთან ბრძოლაში მიღწეული წარმატებები არ უნდა გახდეს მათი სრული იგნორირების საბაზი.

შედეგად ჩნდება სტრატეგიის განხორციელების ახალი მიმართულება – თავისუფალი დროის მარგანიზებული სპეციალური ინსტიტუციის შექმნა და მისი საქმიანობის განმსაზღვრელი ცალკე პროგრამა. იგივე ეხება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მომუშავე ინსტიტუციების დაარსების მიზანშეწონილებას.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე პრობლემების ეკონომიკურ ასპექტს. ჩვენ არ ვსაუბრობთ მარტო სოციალიზაციის ინსტიტუტების ფინანსური და მატერიალური ბაზით უზრუნველყოფაზე. არსებობს ისეთი მოვლენები, როგორცაა „ჯიბის ფულის“ ეკონომიკა, მოზარდთა საქონლის ბაზარი, რომლებიც არასრულწლოვანთა სუბკულტურას ემსახურებიან. ალბათ არ არის ძნელად წარმოსადგენი, რომ ამ „ეკონომიკის“ მდგომარეობა დიდ გავლენას ახდენს არასრულწლოვანთა ქცევაზე. სამწუხაროდ, ჩვენს სამეცნიერო პრაქტიკაში ეს გარემოება არ არის ბოლომდე გააზრებული. ანალიზის წარმართვა და კონკრეტული ღონისძიებების ჩამოყალიბება ამ მიმართულებით, გაშლის სტრატეგიის მოქმედების ასპარეზს. მაგალითად, პრობლემატიკის შესწავლის პრაქტიკაში უპრიანი იქნება მოზარდთა „ჯიბის ბიუჯეტების“ დათვლა. ეს მეთოდიკა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე დროის ბიუჯეტის დათვლის შემთხვევაში. ამ ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტურა, მისი შევსების ხერხები იმის კარგ შესაძლებლობას იძლევა, რომ დადგინდეს იქნეს დანაშაულის პრევენციის ღონისძიებების ჩატარების სახეობა.

დოკუმენტში არ არის აღნიშნული სოციალიზაციის პროცესის სპეციფიკა, რომლითაც ეს პროცესი ხასითდება საზოგადოებრივ (society) და თემური (community) სტრუქტურებში (1. 316).

პირველებს მიეკუთვნება ფორმალური (სკოლა, სპორტული სექცია და სხვა), მეორეში კი თემური ტიპის (ოჯახი) სტრუქტურები. უეჭველია, რომ თემური ტიპის ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში. მიუხედავად ამისა სტრატეგიის ფოკუსში არ მოხვდა ისეთი თემური ტიპის ინსტიტუციები, როგორცაა მეზობელთა წრე, ნათესავთა გარემო, და ნაწილობრივ თანატოლთა ჯგუფი.

დოკუმენტს მეთოდოლოგიურად უფრო გამართულს გახდიდა ის, თუ მასში გათვალისწინებული იქნებოდა რისკ-ჯგუფების დიფერენციაციის საფუძვლები. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს მათი შემადგენლობის ასაკობრივი სტრუქტურა (2). ასე, სოციალიზაციის პროცესი ბევრად განსხვავდება ასაკის მიხედვით ჰეტეროგენურ სტრუქტურებში, როგორც არის ოჯახი. ამ მხრივ შუალედური პოზიცია უკავია სკოლის კლასს (მასწავლებელი – თანატოლთა ჯგუფი). ასაკის მიხედვით ჰომოგენურ სტრუქტურას კი წარმოადგენს თანატოლთა ჯგუფი. ამ ჯგუფებს ახასიათებთ მათი მონაწილეების სტატუსების სიმეტრია და ასიმეტრია. ამ გარემოს მარტო ფორმალური მნიშვნელობა არ აქვს. ჯგუფების წევრთა სტატუსების თანაფარდობა განსაზღვრავს მათთან მუშაობის სპეციფიკას.

აღსანიშნავია ის, რომ სტრატეგიის ავტორებს გამორჩათ რელიგიური ინსტიტუტების შესაძლებლობები. კითხვებს ზადებს „ინტეგრაცია–რეინტეგრაციის“ ტერმინის გამოყენება ამ ტექსტში, როცა ცნობილია, რომ მოზარდები არიან ჩართულები სოციალიზაციის პროცესში.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Shmuel N. Eisenstadt From Generation to Generation (third edition), Transaction Publishers, New Brunswick (USA) and London (UK)
2. Shmuel N. Eisenstadt. From Generation to Generation. Age group and Social Structure. N.Y. Free London, 1964
3. Кон И.С. Психология старшеклассника. М. Просвещение, 1980
4. Митев П.-Э. Социална активност на младежта и науката. – София, 1980 (ბულგარულ ენაზე)
5. Critical Issues in Juvenile Delinquency. – Toronto, 1980

#### პეტრე დაუთაშვილი

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლის სამართლის დოქტორი  
ასოცირებული პროფესორი,

### არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ზოგიერთი მეთოდური მიდგომები განათლების სისტემაში

#### რეზიუმე

სტატიაში „არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ზოგიერთი მეთოდური მიდგომები განათლების სისტემაში“, განხილულია საქართველოს სამართალდამცავი და სასამართლო სისტემებისათვის უაღრესად აქრუალური საკითხები. ავტორი აანალიზებს არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილების ზომებს და ყურადღებას ამახვილებს შემდეგ სამ ძირითად ასპექტზე: 1. განათლება; 2. ფსიქოლოგია; 3. გარემო. სტატიაში მოცემულია რამდენიმე ცვლილება და დამატება სისხლის სამართლის კანონდებლობაში

საძიებო სიტყვები: არასრულწლოვანთა დანაშაული; პრევენცია; სისხლისსამართალი;

**Petre Dautashvili**

Grigol Robakidze University  
School of Law Associated Professor

## Resume

### Some Methodological Approaches to Juvenile Crime Prevention in the Education System

The article “Some methodological approaches to juvenile crime prevention in the education system” discusses a very crucial problem for law-enforcement and judiciary systems of Georgia. The author analyzes juvenile crime preventive measures and underlines three main aspects: 1. Educational; 2. Psychological; 3. Social. He offers some amendments and changes.

**Key words:** Juvenile, crime, prevention, education system.

### არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ზოგიერთი მეთოდური მიდგომები განათლების სისტემაში

*„დაჭერა, დაკავება და დაპატიმრება სავსებით კანონიერი ქმედებაა იმ არასრულწლოვანთა მიმართ, რომელთაც უკვე მიაღწიეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს, მაგრამ დასჯის ეს ფორმა უნდა გამოვიყენოთ, როგორც უკიდურესი ზომა და სასჯელის ვადაც მინიმალური უნდა იყოს. მსოფლიო, რომლის აშენებაც ჩვენ ბავშვებისთვის და ბავშვებთან ერთად გვსურს, იმ ბავშვებსაც გულისხმობს, რომელთა ცხოვრებაც ცუდად დაიწყო.“*

ტომას ჰამარბერგი

ცივილიზებულ სამყაროში ნებისმიერი ქვეყნის მომავალი იმით განისაზღვრება თუ როგორ ახალგაზრდობას აღზრდის ის დღეს. ამ ამოცანის გადაჭრა არ შეიძლება მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს, სკოლას ან ოჯახს დაეკისროს. მის გადაჭრას სახელმწიფოსაგან კომპლექსური მიდგომა სჭირდება. ამიტომაც აუცილებელი გაირკვეს და გაანალიზდეს ის მიზეზები, რაც განაპირობებს არასრულწლოვანთა მხრიდან დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების ჩადენას, რათა აღარ განმეორდეს ძველი შეცდომები და უფრო ხარისხიანად და ეფექტურად მოხდეს დასახული მიზნების განხორციელება. საზოგადოება ყოველთვის ეძებდა დანაშაულზე რეაგირების ოპტიმალურ საშუალებას, იმისათვის, რომ თავი დაეცვა დანაშაულისაგან, რომელიც ხდებოდა ან შეიძლება მომხდარიყო.

დღეისთვის თითქმის ყველა ქვეყანაში მოიმატა დანაშაულის რიცხვმა. შემამფოთებელია ის, რომ ძალადობისა და მკვლელობის ჩამდენ პირთა შორის სულ უფრო ხშირად ხვდებიან არასრულწლოვნები. არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დანაშაული საქართველოშიც მწვავე დისკუსიის საგანია. იგი რთული ფენომენია რასაც მრავალი გამომწვევი მიზეზი აქვს. შესაბამისად, არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას, როგორც სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო სექტორის, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების ერთიან ძალისხმევას.

თანამედროვე კრიმინალისტიკური მეცნიერება ორიენტირებულია სწორედ დანაშაულის ჩადენის მიზეზების აღმოფხვრაზე, რომ ადამიანებში, განსაკუთრებით მოზარდებში დამკვიდრდეს კანონმორჩილება, საზოგადოებისათვის მისაღები მორალი და ღირებულებები. დანაშაულის პროფილაქტიკის თანამედროვე კონცეფციები მოგვიწოდებენ დამსჯელობითი ზომებიდან სამედიცინო-ფსიქოლოგიურ, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ და სოციალურ-სამართლებრივ დახმარებაზე გადასვლისაკენ, განსაკუთრებით რისკ-ჯგუფების და ფსიქოლოგიურ-სოციალურ განვითარებაში გადახრების მქონე მოზარდებისათვის.

არასრულწლოვნის ან მოზარდის ზოგადი ცნება არ არსებობს. მოზარდობის ანუ არასრულწლოვნობის ასაკი არის ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის პერიოდი. არასრულწლოვნის განვითარება დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ, კულტურულ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე და იგი მათი ზეგავლენის ერთგვარი შედეგია(ნაყოფია). [10]

არასრულწლოვანის ასაკიდან გამომდინარე მოსახლეობის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი და სოციალურად დაუცველი ფენაა. არასწორი ოჯახური აღზრდა, შეფერხებები სასწავლო პროცესის წარმართვაში და სხვა ხასიათის ნეგატიური პრობლემები პირდაპირ კავშირშია იმ სოციალურ გადახრასთან, რომლებიც ხშირად ხელს უწყობენ არასრულწლოვნის დანაშაულებრივ გზაზე აღმოჩენას.

არასრულწლოვანთა დამნაშავეობის მიზეზების კვლევისას, უპირველესყოვლისა, აუცილებელია კარგად ვიცნობდეთ არასრულწლოვნის ფსიქოლოგიას, ნებისყოფას, მოზარდის პიროვნებად ფორმირების კანონზომიერებებს. ეს კიდევ უფრო გაგვიადვილებს იმ ფაქტორების გამოკვეთას, რომლებმაც მოზარდს დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგა.

გზა, რომელსაც ბავშვი დასრულებულ პიროვნებად ჩამოყალიბებამდე გაივლის არ მიმდინარეობს სწორხაზოვნად. იგი რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებულ საფეხურს შეიცავს. ზოგ საფეხურზე ბავშვის პედაგოგიური მართვა შედარებით ადვილია, ზოგზე კი ისეთ დაბრკოლებას აწყდება რომლის წარმატებით გადალახვა დიდ აღზრდელობით მუშაობას, საფუძვლიან მეცნიერულ ცოდნას და ფაქიზ პედაგოგიურ ტაქტს მოითხოვს.

11-12 წლის მოზარდებში, პიროვნების სულიერი ცხოვრების განვითარების გზაზე მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება. გარდატეხის პერიოდში მოზარდში აღინიშნება ენერჯის დიდი მოზღვავება, რომელსაც ყოველგვარი სულიერი და მორალური ნორმების გათვალისწინების გარეშე სურს თავი იჩინოს (დაიხარჯოს). მოზარდი საკუთარი “მე”-ს გამოჩენის მიზნით ხშირად ჩადის ისეთ ქმედებას, რაც სცილდება სოციალური ურთიერთობის ნორმებს და სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს. ბავშვი, რომელიც აქამდე მორჩილი და გამგონი იყო ერთბაშად იწყებს “აჯანყებას” უფროსების, მშობლებისა და მასწავლებლების წინააღმდეგ და ცდილობს მოქმედების სრულ დამოუკიდებლობას მიაღწიოს.

სრული დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა ამ ასაკის ბავშვებთან სხვადასხვა ძალით იჩენს თავს. ერთთან იგი ზომიერ ფორმაში ვითარდება, მაშინ როცა მეორესთან ნიაღვარივით მოვარდება და უფროსებისადმი მორჩილების ყველა ფსიქოლოგიურ საფუძველს შლის და ანგრევს. მოზარდი

განსაკუთრებით მოითხოვს მისი პიროვნებისადმი პატივისცემას, თანაგრძნობას, ანგარიშის გაწევას, მას აბრაზებს და ცუდ განწყობაზე აყენებს მისი პიროვნების დამცირება და გაუფასურება.

როცა მოზარდი ჩაბმულია საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში, მასში სოციალურად მისაღები ქცევის წესები და ნორმები ფიქსირდება, დადებითი სოციალური შინაარსის ნებისყოფა მტკიცდება. მაგრამ ზოგჯერ მოზარდი სათანადო აღზრდელითი ზემოქმედების უკმარისობის გამო ვერ ერთვება საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში. ვერ მიყვება სოციალურად მისაღებ ქცევის ნორმებს, არ ფიქსირდება მასში დადებითი ზნეობრივი წესები, იწყება საზოგადოებისაგან მისი გასხვისება, წარმოიქმნება ერთგვარი სიცარიელე, რომლის შესავსებად აუცილებელი ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმებიდან გადახრილ ჯგუფებთან დაკავშირება, გზა ეხსნება მიუღებელი ნორმების ათვისებას, ზნეობრივად გაუმართლებელი აქტივობის უნარის განვითარებას. ასეთ ვითარებაში იქმნება მცირე სოციალური ჯგუფები, მოქმედებათა საკუთარი სტანდარტებით.

არასრულწლოვან დამნაშავეთა ძირითად ბაზას სწორედ ე.წ. რთული ბავშვები შეადგენენ. მათთვის დამახასიათებელია გარემოს მტრულად აღქმა და აღზრდისადმი აქტიური წინააღმდეგობა. მკვეთრად გამოხატული სიჯიუტე, კაპრიზულობა, ღირებულებებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. ისინი ხშირად უხეშები, ცინიკოსები, თავხედები არიან.[11]

ძნელადაღსაზრდელის პროტესტი ძირითადად შემდეგნაირად გამოიყურება: აქვს სწავლისადმი ნეგატიური დამოკიდებულება, პერიოდულად აცდენს გაკვეთილებს, თავშეუკავებელია, აგრესიული, ხმაურობს, ჩხუბობს ამხანაგებთან, არ ერიდება უწმინჯურ გამოთქმებს, სიცრუეს, ეტანება ალკოჰოლს, სიგარეტს, ჯიბრზე არღვევს დისციპლინას. ცდილობს ყურადღება მიაქციოს გარეგნული ეფექტებით (თმის ვარცხნილობა, ჩაცმის სტილი, სიარულის მანერა, ჟარგონებით მეტყველება). იზიდავს ფუქსავატური, მსუბუქი ცხოვრება, ქუჩაში უმიზეზოდ ხეტიალი, მოსწონს ფილმები სუპერმენებზე, ძალადობაზე, აინტერესებს “შავი სამყაროს” ცხოვრება, უარს არ ამბობს გამოძალვასა და წვრილმან ქურდობაზე. აქედან კი დანაშაულამდე რამდენიმე ნაბიჯია. მარტივად, რომ ვთქვათ, ძნელადაღსაზრდელეები დამნაშავეთა რეზერვია.

პრევენცია ანუ პროფილაქტიკა დანაშაულთან და სხვა სამართალდარღვევასთან ბრძოლის ძირითადი მიმართულებაა. მის მიზანს წარმოადგენს დანაშაულის აღკვეთა-აცილება. დანაშაულის პროფილაქტიკის უშუალო სუბიექტები არიან სამოქალაქო საზოგადოების პირველადი რგოლები: ოჯახი, შრომითი და სასწავლო კოლექტივები. ისინი უშუალოდ ზემოქმედებენ ადამიანზე, ცხოვრებისა და აღზრდის პირობებზე, ანეიტრალეზენ კრიმინოგენურ სიტუაციას, ადგენენ და თავიდან იცილებენ კონკრეტული დანაშაულების მიზეზებსა და პირობებს და ახდენენ რეციდივის პროფილაქტიკას.

გაერომ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1990 წელს შეიმუშავა “ერ რიადის წესები” სადაც განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ბავშვთა სოციალურად სასარგებლო ღონისძიებებში ჩართვას და იმ პირობების შექმნას დაეთმო, რომელიც ბავშვებში არაკრიმინოლოგენული პოზიციის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

დანაშაულის თავიდან ასაცილებლად საგანმანათლებლო საშუალებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ მხრივ დიდი როლი აკისრია სკოლას, რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანი ბავშვისა და მოზარდის აღზრდა-განათლება და პიროვნული განვითარებაა.

პროფილაქტიკა გულისხმობს ინფორმაციის შეკრებას და ანალიზს, აღნიშნულის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას. დანაშაულობასთან ბრძოლის გეგმის შემუშავებას, მის რეალიზაციას, მიღებული შედეგების შეფასებას.

პრევენციული საქმიანობა სამ ძირითად ასპექტს მოიცავს:

1. საგანმანათლებლოს
2. ფსიქოლოგიურს
3. სოციალურს.

- საგანმანათლებლო ასპექტი გულისხმობს მოზარდებისათვის ისეთი ინფორმაციის გადაცემას, რომელიც ხელს უწყობს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ამავე დროს დაეხმარება მოზარდებს თვითშემეცნებისა და იდენტურობის ჩამოყალიბებაში.
- ამ მხრივ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური ასპექტიც, რომლის მიზანია ახალგაზრდისათვის ადეკვატური თვითშეფასების, კონფლიქტების მოგვარების, გადაწყვეტილების მიღების და სხვა ამგვარი უნარების ჩამოყალიბება
- და ბოლოს სოციალური, რომელიც გულისხმობს მოზარდის სოციალურთან ადაპტაციის გაადვილებას.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა ვერ პასუხობს სათანადო მოთხოვნებს. მაღალია არასრულწლოვანთა დანაშაულობის ხვედრითი წილი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით 2004 წელს საქართველოში იყო 598 არასრულწლოვანი მსჯავრდებული მათ შორის 10 გოგონა, 2005 წელს 475 (6 გოგო), 2006 წელს 1002 (23 გოგო) 2007 წელს 1060 (34 გოგო), 2008 წელს 1166 (47 გოგო). პროცენტულად დიდია ქურდობის, ხულიგნობის, ნარკოტიკების უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვის პროცენტული მაჩვენებელი, შემდეგ მოდის ისეთი დანაშაულები როგორცაა მკვლელობა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება.

საქართველოს მთავარ პროკურატურასთან ერთად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2010 წელი არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის წლად გამოაცხადა. პროკურატურის წარმომადგენლები სკოლებში ლექციებს ატარებენ სამართლებრივ საკითხებზე, რაც მაღლა სწევს განათლების დონეს და პრევენციის კარგი მექანიზმია. განათლების სამინისტრომ თბილისის სკოლებში დაიწყო ახალი პროექტის პილოტირება, რაც სკოლაში მანდატურის ყოფნას ითვალისწინებს. მანდატურები არ არიან პოლიციელები და არც რაიმე კავშირი აქვთ მათთან. მანდატურს არც იარაღი აქვს და არც ხელბორკილი. ისინი ერთი მხრივ დისციპლინას იცავენ სკოლაში, მეორე მხრივ კი თუ ბავშვს ქცევითი პრობლემა აქვს, მშობლებთან და სკოლის დირექტორებთან იმუშავებენ, მისცემენ რეკომენდაციებს, იმსჯელებენ დისციპლინურ სასჯელზე და სხვ.

დადებითი შედეგი უნდა გამოიღოს ასევე არასრულწლოვანთა ხაზით უზნის ინსპექტორების ინსტიტუტის აღდგენამ. მითუმეტეს თუ მათ საპატრულო ეკიპაჟები და ქვეითი პატრულებიც დაეხმარებიან. უზნის ინსპექტორმა აუცილებლად უნდა იცოდეს მის სამოქმედო ტერიტორიაზე რამდენი მოზარდი ცხოვრობს, ვინ სად სწავლობს ან მოღვაწეობს, უნდა იცოდეს რა მისწრაფება აქვთ ამ მოზარდებს, რა აინტერესებთ. ეს ხელს შეუწყობს ე.წ. რთული ბავშვების გამოვლენას და მათთან პროფილაქტიკური საუბრების ინტენსიურად ჩატარებას.



აღსანიშნავია მართლმადიდებლური ეკლესიის როლიც. მოძღვართან აღსარებაზე სისტემატიური სიარული ან პირიქით მოძღვართა ხშირი ვიზიტები სკოლაში, რელიგიური წესების დაცვა, წირვა-ლოცვაზე დასწრება, მრევლის წევრებთან ურთიერთობა – თვითდისციპლინას უვითარებს მოზარდებს.<sup>1</sup>

2002 წლიდან საქართველოში მოქმედებს კანონი მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ. ამ კანონის მიზანია არასრულწლოვანთა დაცვა იმ მავნე ზეგავლენისაგან, რომელიც დაკავშირებულია ალკოჰოლური სასმელების და თამბაქოს მოხმარება-გასაღებასა და აზარტულ თამაშობებში მონაწილეობასთან. კანონი ასევე კრძალავს არასრულწლოვანთათვის ალკოჰოლური სასმელების, ლუდისა და თამბაქოს მიყიდვას; არასრულწლოვანთა მიერ ალკოჰოლური სასმელების, ლუდისა და სასმელების რეალიზაციას. აკრძალულია აზარტულ სათამაშო დაწესებულებებსა და აზარტულ სათამაშო ავტომატებთან არასრულწლოვანთა დაშვება; ასეთ დაწესებულებებში მათი მუშაობა.

სკოლებში ხშირია უფროს კლასელების მხრიდან უმცროს კლასელებზე ზეწოლა ფულის გამოძალვის მიზნით. სწორედ, ამიტომ უსაფრთხო სკოლის ერთ-ერთი კომპონენტი სკოლის ტერიტორიაზე ნაღდი ფულის ხმარებიდან ამოღებაა. სკოლის სასადილოში აღარ მოხდება ნაღდი ფულის გადახდა, ფულის ნაცვლად ბავშვებს პლასტიკური ბარათები ექნებათ, რომელზეც მშობლები თანხას ჩარიცხავენ. იგეგმება სხვა პროგრამების განხორციელებაც, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, ეთიკურ განვითარებას.

აუცილებელია სკოლაში შეიქმნას ფსიქოლოგიური სამსახურები, რომლებიც ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა შორის კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობის მიზეზების შესწავლას და გაანალიზებას, გააცნობს მოზარდებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ხელს შეუწყობს უფროსკლასელებისათვის მორალისა და ეთიკის პრობლემებზე სადისკუსიო ცენტრის შექმნას.

ასევე სასურველია შეიქმნას საგანმანათლებლო წრეები, სადაც მოზარდები გაეცნობიან სპეციალურად მათთვის შერჩეულ ლიტერატურას, უყურებენ ფილმებს, რომელთა ირგვლივაც ბავშვებს შორის გაიმართება დებატები. შემუშავებული იქნება მონდომებული მოზარდების წახალისების ფორმებიც.

უმნიშვნელოვანესია, რომ პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელებამ არ შელახოს ბავშვთა უფლებები, თუმცა ბავშვმა აუცილებლად უნდა გაიზიაროს რა ზიანი გამოიწვია მისმა დანაშაულმა და გააცნობიეროს თავისი წილი პასუხისმგებლობა.

გარდა ამისა, არასრულწლოვანთა უფლებების მტკიცე და განუხრელ დაცვას საქმის განხილვის დროს ეხება ე.წ. „პეკინური წესები“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“. აღნიშნული აქტი ავალდებულებს სამართალდამცავ ორგანოებს არასრულწლოვანის მიერ დანაშაულის ჩადენის დროს დაადგინოს არასრულწლოვანთა აღზრდის პირობები; დაკავებისა და დაპატიმრების დროს მშობლებისა და მეურვეებისადმი აუცილებელი და სასწრაფო შეტყობინება; ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება და უფასო დაცვის უფლებით სარგებლობა; მოწმებთან პირისპირ შეხვედრა; დაპატიმრების შეცვლა სხვა ალტერნატიული ზომით; დაპატიმრებულ არასრულწლოვანის მოთავსება მოზრდილებისაგან განცალკევებით; მათი უფლებების სასწრაფო განმარტება. [5]

ნებისმიერ სოციალურ თუ სამართლებრივ სუბიექტს ვისაც ააქვს შეხება არასრულწლოვანთან, ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მასთან მუშაობა წარმართოს მეგობრულ და ურთიერთგაგების

<sup>1</sup> ჩვენი აზრით, სასურველი იქნებოდა, დანაშაულის პრევენციის თვალსაზრისით საგანმანათლებლო სისტემაში ჩამოყალიბდეს მოძღვრის ინსტიტუტი, რომელიც მეტად ეფექტურს გახდიდა მოსწავლე-ახალგაზრდობის ზნეობრივად აღზრდა-ჩამოყალიბებას.

რეჟიმში და რაც მთავარია ამ დროს გაიხსენოს თავისი ბავშვობის პერიოდი და განსაჯოს ყოველივე ისე, როგორც კონკრეტულ სიტუაციაში განსჯიდნენ მას.

ბუნებრივია, რომ აქ საუბარი მიდის არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციაზე, მაგრამ იმავდროულად სისხლის სამართლის კოდექსის მრავალი ნორმა, რომელიც ითვალისწინებს უამრავ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან გამომრიცხველ გარემოებებზე, სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ სუბიექტს მაქსიმალურად ავალდებულებს გაანალიზოს თითოეული მათგანი და შეუფარდოს მას. მაშასადამე, კი არ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, თუ როგორ უფრო მკაცრად უნდა დავსაჯოთ, არამედ იმაზე, თუ უფრო მეტად როგორ გავაუმჯობესოთ და წარვმართოთ მათთან მუშაობა ახლო, თუ შორეულ პერსპექტივაში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გავიხსენოთ ცნობილი პიროვნებების საუბრები იმის შესახებ, რომ არამართო ნებისმიერ მათგანს, არამედ უკლებლივ ყველა ადამიანს ბავშვობის პერიოდში მეტ-ნაკლებად აშკარად, თუ ფარულად ჩაუდენია დანაშაული ან სხვა სახის სამართალდარღვევა, რომლის შესახებაც გვიან ხდება ხოლმე ცნობილი. ამის დასტურად, მრავალი ცნობილი პიროვნება, თუ საზოგადო მოღვაწე საჯაროდ, თავმოწონებით და სიამაყით იხსენებს ბავშვობაში ჩადენილ „ცელქობებს“. უფრო მეტიც, მისაღებადაც თვლიან უნებლიედ ამგვარი სამართალდარღვევების ჩადენას, რადგან ეს ასაკთან ერთად მოზარდის ევოლუციის გარდაუვალი თანმდევი პროცესია, რომელიც უმეტესწილად ინდივიდის გონებრივი განვითარებისას (როგორც წესი) თანდათანობით ქრება. სწორედ, აქ არის საჭირო წინდახედული და ფაქიზი მიდგომა მოზარდის ფსიქიკასთან, რომ არ მოვახდინოთ ფაქტების დრამატიზება და მისი ფსიქიკის „ზედმეტად“ გაღიზიანება. გავიხსენოთ 2007 წელს არასრულწლოვან ზერეკიძის მიერ ჩადენილ დანაშაულზე ყოველგვარ სოციალურ, თუ იურიდიულ ფაქტს მოკლებული მასმედიის მიერ აგორებული და შეთხზული კრიმინოგენული ფონი, რომ თითქოსდა მცირეწლოვანთა მხრიდან იმატა დანაშაულთა რაოდენობამ. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებაც და კანონმდებელიც „იძულებულნი“ გახდნენ მოეხდინათ არალოგიკური, უსაფუძვლო და ყოვლად გაუმართლებელი რეაგირება შვიდ დანაშაულზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის შემცირებაზე 14-დან 12 წლამდე რითაც მოახდინა დამნაშავეთა გამცირეწლოვნება. ამასთანავე ბუნებრივია, რომ ამ დროს დარღვეული იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელის შეფარდების ინდივიდუალიზაციის პრინციპები. დღეს ზერეკიძე და მისთანები უკვე 22 და მეტი ასაკის საღად მოაზროვნე და ზოგადად არაკრიმინალური ორიენტაციის პიროვნებები არიან მიუხედავად იმისა, რომ სამართალში იყვნენ მიცემულნი და ექსკრიმინალის იარლიყი აქვთ. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ზერეკიძე არ უნდა დასჯილიყო ასე მკაცრად და არ უნდა მოხსენიებულიყო რეციდივისტად, ამ უკანასკნელს კი მკაცრად გამორიცხავს სისხლის სამართალი.

ჯერ კიდევ 2014 წელს საქართველოს მთავრობაში დაიწყო აქტიური საუბარი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტის შემუშავებაზე, რომელმაც ერთიან საკანონმდებლო სივრცეში უნდა მოაქციოს არასრულწლოვანთა დანაშაულის, როგორც სისხლისსამართლებრივი და სისხლის სამართლის პროცესუალური, ასევე მათ მიმართ პრევენციასთან დაკავშირებული საკითხები. ამ კანონპროექტმა უნდა შთანთქოს მედიაციის, სამოქალაქო შეთანხმებისა და განრიდების პროგრამა, რომელშიც სხვადასხვა სამართლის დარგებიდან ცალკეული ნორმატიული აქტებით კონცენტრირებული იქნება არასრულწლოვნებთან დაკავშირებული სოციალური, თუ სამართლებრივად რეგულაციის პრინციპები. 2015 წლის აპრილის თვეში პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებული იქნა აღნიშნული კანონპროექტი (რომლის ვარიანტიც სამწუხაროდ ვერ მოვიძიეთ), მაგრამ ამ მდგომარეობიდან გამომდინარე, მიგვაჩნია რომ მასში მაქსიმალურად უნდა იქნას გააზრებული ისეთი პრიორიტეტები, როგორიცაა:

1. მიტევებისა და პატიების პოლიტიკა სტიგმათა თეორიის პრინციპების პროგრესულად აღქმა და გატარება, როგორც პრაგმატული, ასევე ახლო თუ შორეული პერსპექტივების გათვალისწინებით.
2. არასრულწლოვანთა დანაშაულის გახსნის, გამოძიებისა და პრევენციის ინსტიტუტის გადაცემა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უწყებისათვის. წინდაწინ აქვე აღვნიშნოთ, რომ ასეთი მეთოდურ-ტექნიკური მიდგომა არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კიდევ ერთ ძალოვან უწყებად გარდაქმნა (ამ მის დასტურად სკოლაში მანდატურის ინსტიტუტის შემოღების პრაქტიკამაც დაგვანახა).
3. მთავარ პროკურატურაში ჩამოყალიბდეს სათანადო მაკოორდინირებელი ინსტიტუტი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს მაგალითად: „განათლების, განრიდებისა და მედიაციის პროკურატურა,“ რომლის ძირითად სამოქმედო სამართლებრივ ნორმატიულ აქტს უნდა წარმოადგენდეს კანონი „მედიაციის, სამოქალაქო შეთანხმებისა და განრიდების“ შესახებ.
4. არასრულწლოვან ბრალდებულთან(მსჯავრდებულთან) სისხლის სამართლის სუბიექტების მხრიდან პიროვნულად არ უნდა დომინირებდეს უფრო მეტად რეპრესიული დამოკიდებულება. პირიქით, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი უპირველესყოვლისა, უნდა განიხილებოდეს სოციალურ, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში სისხლის სამართლის ჭრილში.
5. პრობაციის სამსახურში ახალი ინსტიტუტის დაფუძნება, რომელიც ყოველდღიურად პირდაპირ ინსპექტირებას გაუწევდა არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან დაკავშირებულ სოციალურ-სამართლებრივ საკითხებს.
6. სასურველია საზოგადოებრივი პედაგოგის ინსტიტუტის განახლება და საზოგადოებრივი ფსიქოლოგის ინსტიტუტის დაფუძნება განათლების სისტემაში.
7. საკრებულოებსა თუ გამგეობებში არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის დაქვემდებარება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის.
8. სპორტისა და ახალგაზრდობის, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების სისტემატიურად აქტიური ჩართვა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთობლივი სპორტულ-გამაჯანსაღებელ და კულტ-მასობრივი ღონისძიებების დაგეგმვა-ჩატარებაში.
9. საზოგადოებისათვის ცნობილი პირებისა და ავტორიტეტების სისტემატიური ჩართვა არასრულწლოვნებთან აღმზრდელიობით მუშაობაში.

ამრიგად, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პროფილაქტიკა განათლების (და არამართო) სისტემაში, არის უმნიშვნელოვანესი ასპექტი საზოგადოებაში დანაშაულობის აცილებისა. იმისათვის, რომ ეს ძალისხმევა იყოს ეფექტური, აუცილებელია, რომ მთელი საზოგადოების ძალისხმევა ბავშვთა ჰარმონიული განვითარების მიზნით წარიმართოს. არასრულწლოვანთა აღზრდის პრობლემა გლობალურად უნდა იქნეს გააზრებული. პასუხისმგებლობა უნდა გაინაწილოს ყველა უწყებამ: სასწავლო დაწესებულებებმა, საგანმანათლებლო, ახალგაზრდულმა, სპორტულმა და კულტურულმა ორგანიზაციებმა.

ამასთან, საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს სხვა ქვეყნების მუშაობის პრაქტიკაში არსებული პრევენციის ფორმები და მეთოდები. მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა მექანიკურად, არამედ ეროვნული, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის თავისებურების გათვალისწინებით. ამასთანავე, სასურველია, რომ კანონმდებლის მიერ მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული შეთავაზებული რეკომენდაციები, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებისას, ასევე სხვა მიმართულებებითაც. მაგალითად, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის დაწესება 14-ის ნაცვლად 17 წლიდან, გარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია. 1995წ.
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 1999წ.(2015წ.უახლესი რედაქციით)
3. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. 1948წ.
4. ბავშვის უფლებათა კონვენცია. 1999 წ.
5. შუშანაშვილი, ხულიგნობა და მასთან ბრძოლა. თბ., 1968წ..
6. მ. ლეკვეიშვილი, აღმოფხვრათ დანაშაულობა არასრულწლოვანთა შორის. თბ., 1973წ..
7. ფურცხვანიძე, ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდა. თბ., 1974წ..
8. ზ. წულაია, მოზარდთა დანაშაულობა და მასთან ბრძოლა. თბ., 1974წ..
9. ნ. როგავა, ფ. გობეჩია, არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საკითხები. თბ., 1980წ..
10. კვირიკაშვილი, თ. ანდლულაძე - „საქართველოში დანაშაულობის პროფილაქტიკისა და არასრულწლოვანთა დანაშაულობის კვლევის კრიმინოლოგიურ-ფსიქოლოგიური საკითხები“. ჟურნალი „ალმანახი“ №13. სექტემბერი 2000წ..
11. გაბიანი, ლ. ღვინეფაძე. არამართლზომიერი ქცევა „ქუჩის“ მოზარდებში (სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგების მიხედვით). ჟ. „სამართალი“. თბ., 2001წ. №11.
12. შ. ჩხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია. თბ., 1954წ.
13. კრიმინოლოგია, გ. ლლონტის რედაქტორობით.თბ.2009წ.
14. პ. დაუთაშვილი, თანამედროვე ეტაპზე მცირეწლოვანთა და არასრულწლოვანთა დამნაშავეობის კრიმინოლოგიური ასპექტები, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თავისებურებანი და საკანონმდებლო პრობლემები. ქართულ – ბრიტანული უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომთა კრებული №2 თბ. 2009 წ.

გიორგი თოდრია

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლის პროფესორი

## საქართველოს სისხლის სამართლის სისტემის ზოგიერთი ლოგიკური პრობლემა

### რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში განხილულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლის განსაზღვრის ლოგიკური პრობლემები, რაც შემოთავაზებულია 1999 წელს მიღებულ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. გაანალიზებულია ლოგიკური შეცდომები, რომლებიც დამახასიათებელია გერმანული სისხლის სამართლის ნორმატიული თეორიისათვის და ასახულია მეცნიერთა დოგმატურ გამოკვლევებში, ნაწილობრივ ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ჩატარებული კვლევის შედეგად ავტორი გვთავაზობს

დანაშაულის ცნების განსაზღვრას, რომელიც უფრო შეესაბამება ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის დებულებებს.

**საკვანძო სიტყვები:** ლოგიკა, დანაშაულის მოძღვრება, გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრება, გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ ქმედების მართლ წინააღმდეგობას და ბრალეულობას, სასჯელის დანიშვნა.

**Giorgi Todria**

Grigol Robakidze University  
School of Law, Professor

### **Some Logical Problems of the Criminal Justice System of Georgia**

#### **Resume**

The author of the article titled “Some logical problems of the criminal justice system of Georgia” discusses the basis for determining the logical problems of criminal responsibility which is proposed in 1999 redaction of the Criminal Code of Georgia. He analyzes the logical errors which are typical for the German criminal normative theory and are reflected in scientific and dogmatic studies, partly inherent in the Georgian criminal legislation. On the basis of the studies carried out by the author, the new definition of the crime concept was developed which is more in line with the provisions of the Spanish Criminal Code.

**Key words:** Logic, doctrine of guilt, condemnation (of guilt) doctrine, circumstances which exclude actions and the illegitimacy of guilt, sentenced.

#### **საქართველოს სისხლის სამართლის სისტემის ზოგიერთი ლოგიკური პრობლემა**

1999 წლის 22 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი სისხლის სამართლის კოდექსი. ამ ნორმატიულ აქტში რამდენადმე ასახვა ჰპოვა გერმანული დოქტრინის იდეებმა. ამ იდეის რეალიზაციის უშუალო შედეგს წარმოადგენს საქართველოს სსკ მე-7 მუხლი, რომლის თანახმადაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს დანაშაული, ე. ი. კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. გერმანულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში “დანაშაულის” მოცემული განსაზღვრება არაა. იგი დომინირებს მხოლოდ დოქტრინალურ განსაზღვრებებში. მაგრამ გერმანული კანონმდებლობისაგან განსხვავებით, საქართველოს პარლამენტმა გერმანული მეცნიერების მიერ განვითარებული დანაშაულის დოქტრინალური განსაზღვრება აიყვანა დანაშაულის ცნების რანგში და კანონმდებლობის დონეზე დააფიქსირა იგი საქართველოს სსკ მე-7 მუხლში. ამ მიმართულებით არსებითად შეიცვალა დანაშაულის ნიშნების ინტერპრეტაცია. ყოველივე ამან რიგი ლოგიკური პრობლემა წარმოშვა, რომელიც ვლინდება გერმანიის სისხლის სამართლის დოქტრინაში და შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის სისტემაში.

**დანაშაულის მოძღვრების ლოგიკური პრობლემები**

ქმედების შემადგენლობა გაიგება, როგორც დანაშაულის პირველი ნიშანი. მსჯელობენ შემდეგნაირად: მაგალითად, ა-მ მოჰკლა ბ. მოცემულ შემთხვევაში გვაქვს ქმედების (და არა დანაშაულის) შემადგენლობა, მაგრამ ჯერ არაა დადგენილი ქმედების მართალწინააღმდეგობა. ა ხომ შეიძლება მოქმედებდეს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მყოფი.

მსგავს სიტუაციებში, როცა ლაპარაკობენ ქმედების შემადგენლობაზე, მხედველობაში აქვთ მოცემული დელიქტისა და დანაშაულის ობიექტური მხარის მსგავსება. აქ კვლავ ძნელია ვილაპარაკოთ დანაშაულის ცნებაზე, იგი ჯერ არაა დასრულებული. "x" შემადგენლობის ცნებასთან ჩვენ გვექნება საქმე, თუ დამტკიცდება, რომ პირი არ მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მყოფი, არამედ სურდა ჩაედინა მკვლელობა. მაგრამ აქ უკვე ერთვება ქმედების სუბიექტური მხარე. მაშასადამე, უიმისოდ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ "x" შემადგენლობის შესახებ. ქმედების შემადგენლობის ცნებასთან ჩვენ გვექნება საქმე, როცა სახეზეა ქმედების როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ასპექტი. მაგრამ, თუ ორივე ეს ასპექტი დადგენილია, ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს დანაშაულის (x) და არა ქმედების შემადგენლობასთან ანუ სავსებით განსაკუთრებულ მოვლენასთან.

ტერმინი "შემადგენლობა" გამოიყენება ორჯერ, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასაბუთებისას, რაც აკრძალულია ფორმალური ლოგიკის წესებით. დასაწყისში კატეგორია "ქმედების შემადგენლობა" არასრულად ასახავს ობიექტურ რეალობას, რადგანაც იგი ჯერ არაა დასრულებული ანუ არ მომწიფებულა დანაშაულის ცნებამდე. მაშასადამე, ფორმალურ-ლოგიკური თვალსაზრისით, "ქმედების შემადგენლობა" არ აკმაყოფილებს ცნების წარმოქმნის ლოგიკურ მოთხოვნებს: იგი მეტისმეტად ვიწროა, უფრო მეტიც, არ არის მკაცრად მეცნიერული მიდგომა ტერმინების გამოყენების თვალსაზრისით. მეორე მნიშვნელობით ეს ტერმინი ფიგურირებს, როცა დადგენილია შემადგენლობის ობიექტური და სუბიექტური ელემენტები.

მართალწინააღმდეგობა ცხადდება დანაშაულის მეორე ნიშნად. მოცემულ შემთხვევაში მსჯელობენ შემდეგნაირად: ჩვეულებრივ, ასრულებს რა ქმედების შემადგენლობას, პირი ამავე დროს სჩადის მართალსაწინააღმდეგო აქტს. ამრიგად, ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა ახდენს მართალწინააღმდეგობის ინდუცირებას და მის შემოწმებას მიმართავენ გამონაკლისის წესით.

მართალწინააღმდეგობა გაიგება, როგორც სამართლის და ზნეობის იმ ნორმების მიმართ წინააღმდეგობა, რომლებიც იმყოფებიან სისხლის სამართლის ფარგლებს გარეთ. მაგრამ ადგილი აქვს შემთხვევებს, როცა სრულდება ქმედების შემადგენლობა, მაგრამ იგი მართალსაწინააღმდეგო არ არის. მაგალითად, თუ პირი მოქმედებს აუცილებელი მოგერიების, ან კიდევ უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში და ა. შ. ასეთ შემთხვევაში, როგორც მსჯელობს იურისტ-ნორმატივისტი, ადგილი აქვს გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავენ მართალწინააღმდეგობას. ამრიგად, მივდევთ რა ფორმალური ლოგიკის კანონებს, ჩვენ ვღებულობთ ორ კონტრადიქტორულ მსჯელობას: კატეგორიაში "ქმედების შემადგენლობა" სურთ მოიაზრონ მოვლენა დადებითი ნიშნებით, ხოლო კატეგორიაში "მართალწინააღმდეგობა" – მოვლენა უარყოფითი ნიშნებით. ამ შემთხვევაში პრედიკატი "მართალწინააღმდეგობა" (თუ მხედველობაში აქვთ გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ მართალწინააღმდეგობას) განეკუთვნება რაღაც სხვას, მაგრამ არა დანაშაულს. ხომ არ შეუძლიათ მართალწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებებს იყვნენ თავსებადი

ქმედების “შემადგენლობასთან”, რომელიც მოიაზრება, როგორც მართლსაწინააღმდეგო მოვლენა.

შემდეგ, კატეგორიაში “მართალწინააღმდეგობა” მოიაზრება სხვადასხვა ერთეული მოვლენა – სამართალი და კულტურა. აქ ადგილი აქვს ლოგიკურ შეცდომას გაყოფაში, რამეთუ გაყოფის საფუძველი ერთი და იგივე არაა, ანუ ადგილი აქვს გაყოფას მრავალი საფუძვლის მიხედვით. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სისხლის სამართალი არ მოიაზრება როგორც სამართლის განსაკუთრებული ნაწილი, იგი გამიჯნულია სამართლის ყველა დანარჩენი დარგებისაგან. როგორც მიიჩნევენ, სისხლის სამართალი იცავს, ხოლო სამართლის დანარჩენი დარგების ნორმები არეგულირებენ. მეორეც, სამართალი არსებობს საზოგადოებაში სწორედ იმიტომ, რომ მოსახლეობის სხვადასხვა ფენის კულტურები და სახელმწიფოს მოთხოვნა არათავსებადია და ამ წინააღმდეგობის გამო სახელმწიფო მოითხოვს ძალისმიერ სტანდარტიზაციას, სხვადასხვა კულტურის საერთო მნიშვნელის ქვეშ გაერთიანებას. უკვე ამის გამო სამართალს და კულტურას არ შეიძლება ჰქონდეთ ე. წ. გვაროვნული ცნება “მართლზომიერების” ცნების სახით.

ამრიგად, თუ კატეგორიას “ქმედების შემადგენლობა” არ ძალუძს ასახოს ობიექტური რეალობა, რადგანაც, ლოგიკის ენით თუ ვიტყვით, მისი აღმწერი აბსტრაქცია ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ანუ არ მომწიფებულა დანაშაულის ცნებამდე, კატეგორია “მართალწინააღმდეგობა” საერთოდ გამოტანილია დანაშაულის ცნების ფარგლებიდან. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, “მართალწინააღმდეგობის” ცნების მოცულობას წარმოადგენენ მოვლენები, რომლებიც არ განეკუთვნებიან დანაშაულის სფეროს.

ბრალი ცხადდება ქმედების (დანაშაულის) მესამე ნიშნად. ხანგრძლივი კამათის შედეგად იურისტთა ნაწილი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ბრალი არის გაკიცხვა. კორექტულობის დაცვით დავაზუსტებთ მოცემულ აზრს: ტერმინით “ბრალი” აღინიშნება გაკიცხვა, ე. ი. ტერმინ “ბრალის” მნიშვნელობით გამოდის გაკიცხვა. ხოლო იურისტთა მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ ბრალი არის დამნაშავის დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი. აქ ორივე შემთხვევაში დარღვეულია მსჯელობის ექვივალენტურობის პრინციპი.

თუ გაკიცხვა არის აქტი, რომელსაც ახორციელებს სასამართლო, მაშინ იბადება კითხვა: წარმოადგენს თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება დანაშაულის ნიშანს? აქ საჭიროა გავიხსენოთ ცნობილი ქიმიკოსის დ. მენდელეევის მთავარი ლოგიკური კითხვა, რომელიც მან დასვა ცნების “დაუშლელი ელემენტის” მიმართ: რას ნიშნავს ელემენტის “დაუშლელობა”? ლაპარაკია ქიმიურ საშუალებებზე, რომლებსაც არ ძალუძს დაშალონ ელემენტი ანუ ლაპარაკია ელემენტის თვით თვისებაზე? ამით ანალოგია სრულდება. დავუბრუნდეთ სისხლის სამართალს და დავსვათ კითხვა: განეკუთვნება თუ არა დანაშაულს დანაშაულის შეფასების ხერხი, თუ საქმე გვაქვს განსხვავებულ მოვლენასთან? ცხადია, რომ დანაშაულის შეფასების ხერხი მოითხოვს სხვანაირ ლოგიკურ დახასიათებას, რაც არ განეკუთვნება დანაშაულს. ხატოვნად რომ ვთქვათ, რას ფიქრობს მოსამართლე და რას ფიქრობს დამნაშავე – ეს სულაც არ არის ერთი და იგივე.

დამნაშავის დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი – ეს არაა ლოგიკური პრობლემის გადაწყვეტა, რამეთუ ჩვენ საქმე გვაქვს მსჯელობის ექვივალენტურობის პრინციპის დარღვევის სხვა ფორმასთან. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ნაწილობრივ ეს საკითხი წყდება დანაშაულის სუბიექტური მხარის ანალიზისას. მეორეც, იმიტომ, რომ თვით ნორმატიული თეორიის მომხრეებს გაუფრთხილებლობა და მართლწინააღმდეგობის შეგნება გამოაქვთ ბრალის არეში, ე. ი. მოსამართლის და არა დამნაშავის მსჯელობის არეში. დაბოლოს,

თვით ბრალის კატეგორია, რომელსაც აგებენ ნორმატივისტები, სულაც არ განეკუთვნება დანაშაულის მოძღვრებას. ბევრი საკითხი, რომელიც ეხება შემსრულებელს, შერაცხადობის კრიტერიუმს, მართლწინააღმდეგობის შეგნებას, შეცდომას, საპატიებელ გარემოებებს და ა. შ., მიაკუთვნებენ გაკიცხვის (ბრალის) და არა დანაშაულის მოძღვრებას. ამიტომ მისწრაფება, განისაზღვროს “ბრალი” დანაშაულის მესამე ნიშნის სახით, წინააღმდეგობაშია იმ ამოცანასთან, რომლის გადასაწყვეტად შემოჰყავთ “ბრალი”-ს კატეგორია დანაშაულის ნიშნის სახით.

ამრიგად, „მართლწინააღმდეგობის,, კატეგორიასთან ერთად “ბრალის“ კატეგორია ასევე გამოტანილია დანაშაულის ცნების ფარგლებს გარეთ.

ანალიზის გაურთულებლად შევნიშნავთ, რომ დანაშაულის ნიშნების შესახებ საკითხის ნეოკანტიანური განმარტება ჩიხში შევიდა. დანაშაულის განსაზღვრება ისეთი ნიშნების მეშვეობით, როგორცაა ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი, იძლევა ფრიად ბუნდოვან წარმოდგენას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლის შესახებ. ფორმალურ-ლოგიკური თვალსაზრისით კატეგორია “ქმედების შემადგენლობა“ არის მეტისმეტად ვიწრო. კატეგორიები „მართლწინააღმდეგობა“ და “ბრალი“ კი საერთოდაა გამოტანილი დანაშაულის გაგების ფარგლებს გარეთ.

მკითხველს გავახსენებთ, რომ ნეოკანტიანური განმარტების თანახმად, შემეცნების ობიექტი ობიექტურად არ არსებობს და იქმნება გამოცდილებით. გამოდის, რომ დანაშაულს ობიექტური ნიშნები არ გააჩნია. ადვილი შესამჩნევია მხოლოდ ის, რომ დანაშაული წარმოადგენს კანონით გათვალისწინებულ ქმედებას (გფრ-ს სსკ, § 12). გამოცდილებას, რომელშიც იქმნება დანაშაულის ცნება წარმოადგენს განაჩენის აგების პროცესი. სწორედ მისი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი (საქართველოს სსკ, მე-7 მუხლი). გააჩნია თუ არა დანაშაულს ობიექტური ნიშნები? – კითხვა, რომელიც არსებობს ამ მიდგომის მიღმა. ასეთია ნეოკანტიანური მიდგომის არსი სისხლის სამართალში.

გზადაგზა შევნიშნავთ, რომ ბევრ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში აქამდეა შენარჩუნებული საბჭოთა დოქტრინის რუდიმენტი იმ დანაშაულის “საზოგადოებრივი საშიშროების” კატეგორიის სახით, რომელიც ასევე არ თავსდება დანაშაულის ცნების განსაზღვრის ლოგიკაში. ქმედება ცხადდება დანაშაულად სწორედ მისი საზოგადოებრივი საშიშროების განსაკუთრებული თვისებების გამო. ცხადია, რომ მოვლენის წარმოშობის წინაპირობა და ამ მოვლენის ნიშანი არ შეიძლება იყვნენ ერთი და იგივე დატვირთვის მატარებელი. მაგრამ მნიშვნელოვანია “საზოგადოებრივი საშიშროების” სხვა ნაკლი, რომელიც შემჩნეულია ნორმატივისტების მიერ. ორი მანქანის ურთიერთ დაჯახებისას სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა დაადგინონ, რომელმა მძღოლმა დაარღვია მართვის წესები. და მხოლოდ ამის შემდეგ წამოტივტივდება დამრღვევის ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების საკითხი. მოცემულ შემთხვევაში საზოგადოებრივი საშიშროება დამოკიდებულია მართლწინააღმდეგობის დადგენაზე. ყველა ამ საკითხს არავითარი კავშირი არ აქვს დანაშაულის ცნების განსაზღვრასთან. ისინი უფრო მეტად ასახავენ მოსამზადებელ ეტაპს დანაშაულის შემადგენლობის დაზუსტების გზაზე.

სისხლისსამართლებრივი პრობლემების გართულებამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში პირველ ადგილზე წამოსწია პროცედურული ხასიათის ამოცანები, რომლებმაც როგორღაც უკან გადასწიეს დეფინიციის ლოგიკური სრულყოფის საკითხები. ამის შედეგად სისხლის სამართლის კოდექსებში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი - დანაშაული



განსაზღვრება იმ ნიშნების ანაწყოების მეშვეობით, რომლებიც ვერ პასუხობენ ფორმალური ლოგიკის მოთხოვნებს. ეს საკითხი აქამდე რჩება პოლემიკის საგნად და სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობები ჯერჯერობით ვერ იძლევიან “დანაშაულის” ლოგიკურად დასაბუთებულ განსაზღვრებას. ამიტომ აქამდე პრობლემატურია საკითხი: რა ნიშნები უნდა გააჩნდეს ქმედებას, რომ იგი ვალდაროთ დანაშაულად?

რიგი ქვეყნებისა საერთოდ უარს ამბობენ დანაშაულის განსაზღვრაზე და პენოლოგიური მიდგომით კმაყოფილდებიან. მაგალითად, გფრ-ის სსკ-ში დაფიქსირებულია შემდეგი განსაზღვრება: “დანაშაულს წარმოადგენს მართალსაწინააღმდეგო ქმედება, რისთვისაც გათვალისწინებულია როგორც მინიმალური სასჯელი ერთი წლის და მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთის სახით.” ავსტრიის სსკ-ს მე-19 პარაგრაფში ნათქვამია: “დანაშაულს წარმოადგენენ განზრახ ქმედებები, რაც ისჯება თავისუფლების სამუდამო აღკვეთით ან თავისუფლების აღკვეთით სამ წელზე მეტი ვადით.” დანაშაულის მსგავსი განსაზღვრებაა მოცემული პოლონეთის რესპუბლიკის სსკ-ს მეშვიდე მუხლის მეორე პარაგრაფში, აგრეთვე ნორვეგიის სსკ-ში. შვედეთის სსკ-ს მე-11 მუხლში გათვალისწინებულია: დანაშაულს წარმოადგენს ქმედება, რომელიც განსაზღვრება წინამდებარე კოდექსით ან სხვა კანონით ან სტატუტით, რისთვისაც დადგენილია სასჯელი. შვეიცარიის სსკ-ს მე-9 მუხლში აღნიშნულია, რომ დანაშაულს წარმოადგენს მართალსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც ექვემდებარება დასჯას კატორღული ციხით. ჰოლანდიის სსკ-ს პირველი მუხლის თანახმად, “არ ისჯება ქმედებები ან უმოქმედობა, რაც არ შეადგენდა სისხლის სამართლის სამართალდარღვევას...” და ასე შემდეგ.

მაგრამ მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში ადგილი აქვს “დანაშაულის” განსაზღვრის მცდელობას ცნების შინაარსის მეშვეობით, მაგრამ ნეოკანტიანური გაგების წესების მიხედვით. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ საქართველოს სსკ მე-7 მუხლის დეფინიციის ნაკლოვანებებზე, ამიტომ მათ აღარ დავუბრუნდებით.

დაბოლოს, აღვნიშნავთ, რომ არის ქვეყნების ჯგუფი, რომლებიც ლოგიკური თვალსაზრისით დანაშაულის უფრო კორექტულ განსაზღვრებას იძლევიან. ასე მაგალითად, ესპანეთის სსკ მე-10 მუხლში განსაზღვრულია, რომ დანაშაულებს ანუ გადაცდომებს წარმოადგენენ კანონით დასჯადი ქმედებები, რომლებიც განზრახ ან გაუფრთხილებლობითაა ჩადენილი. ამ ასპექტში ჩვენ ვღებულობთ, რომ დანაშაულად აღიარებენ კანონით გათვალისწინებულ ქმედებას (მოქმედებას ან უმოქმედობას), რომელიც ჩადენილია განზრახ ან გაუფრთხილებლობით. მოცემული განსაზღვრება პასუხობს ფორმალური ლოგიკის ყველა მოთხოვნას. უფრო მეტიც, იგი პრაქტიკულად უფრო ზუსტია, ვიდრე ჩვენს მიერ განხილული დანაშაულის დეფინიციები შემდეგ მიზეზთა გამო:

ჯერ ერთი, განსაზღვრება მეცნიერულად მართებულია, რამეთუ “დანაშაულის” ცნების არსად გამოდის ქმედება, რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კანონში. აღვნიშნავთ, რომ მართო ეს მომენტი ყველა ქვეყნის კანონმდებლობაში აღიარებულია.

მეორეც, იგი არ უნდა შეიცავდეს მანკიერ წრეს. თუ დავუშვებთ, რომ დანაშაულს აქვს ისეთი ნიშანი, როგორცაა “ბრალი”, ხოლო “ბრალი” წარმოადგენს გაკიცხვას, მაშინ ჩნდება მანკიერი წრე. ქმედება იძენს დანაშაულის ნიშნებს, თუ ამ ფაქტში სასამართლომ დაინახა მოცემული ნიშნები, სასამართლოს კი შეუძლია დაინახოს ეს ნიშნები, თუ ისინი აღწერილია კანონში.

მესამე, მოცემული განსაზღვრება არ უნდა იყოს მოჭარბებული. მსჯელობები თავის თავში ფარავენ სიჭარბეს, თუ მივეყვებით იურიდიულ ლიტერატურაში არსებულ მსჯელობებს: “კანონში ჩვეულებრივად აღწერილი ქმედება ტიპურად მართალსაწინააღმდეგოა.” მაგრამ “ქმედება შეიძლება იყოს მართლზომიერი, მაგალითად, აუცილებელი მოგერიებისას”. ლოგიკური შეცდომა სახეზეა: თუ ქმედება, რომელიც ჩვეულებრივად აღწერილია კანონში, ტიპურად “მართალსაწინააღმდეგოა”, მაშინ “მართალწინააღმდეგობა” მეორე ნიშნის სახით ზედმეტია.

მეოთხე, მოცემული განსაზღვრება საკმარისია. გავაგრძელოთ მაგალითი. თუ ქმედება, რომელიც ჩვეულებრივად აღწერილია კანონში, ტიპურად მართალსაწინააღმდეგოა, მაშინ საკმარისია მართალწინააღმდეგობის შესამოწმებლად, რომ არ იყოს გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ მართალწინააღმდეგობას. მაგრამ, როგორც ამტკიცებენ, თუ ასეთი გარემოებები დადგენილია, მაშინ არაა მართალწინააღმდეგობა მეორე ნიშნის სახით. ასეთ შემთხვევაში დანაშაულის ცნების საკმარისობის დადგენის კრიტერიუმი მოცემულია არა თვითონ ცნებაში, არამედ მის ფარგლებს გარეთ.

### **გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრების ლოგიკური პრობლემა**

ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებასა და კანონმდებლობაში გადმოტანილი იქნა გერმანული დოქტრინის დებულებები, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოვლენათა არსის ნეოკანტიანური განმარტების გამო, ერთმანეთში ურევს ცნებას და ცნებისადმი ოპერაციონალურ მიდგომას. ეს აზროვნების პროცესის სრულიად სხვადასხვა პროდუქტია. “მართალწინააღმდეგობის” და “ბრალის” კატეგორიების დადგენით “დანაშაულის” კატეგორია არ განისაზღვრება, ისინი წარმოადგენენ დანაშაულში არსისა და მოვლენის გამოყოფის ხერხებს. თუ დადგენილია იმ გარემოებების არარსებობა, რომლებიც გამორიცხავენ მართალწინააღმდეგობას და ბრალს, ამით სუფთა სახით ვიღებთ დანაშაულის ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობებს. სწორედ ამით ყალიბდება სისხლის სამართლის საფუძველი.

სისხლის სამართლის ზოგიერთი ქართული სახელმძღვანელო, რომლებიც ეფუძნება გერმანული მეცნიერების ნეოკანტიანურ დოქტრინას, იგნორირებას უკეთებენ ცნების განსაზღვრის ლოგიკას და ამდენად, არასისტემურები არიან. ისინი სხვადასხვანაირად არიან დატვირთული მასალით, რომელიც განეკუთვნება სწორედ დანაშაულის მოძღვრებას და მასალით, რომელიც იმყოფება დანაშაულის მოძღვრების გარეთ, ანუ განეკუთვნება გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრებას. ორივე მოძღვრების მასალა არაა ერთგვაროვნად დამუშავებული. ყველაზე ინტენსიურად ვითარდება დანაშაულის მოძღვრება, მაგრამ ბრალის მოძღვრება სუსტადაა ჩამოყალიბებული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით ქართველი მეცნიერების მიერ ჩამოყალიბებულია ფრიად დასაბუთებული დებულებები.

შევნიშნავთ, რომ სისხლის სამართლის დაყოფა დანაშაულის მოძღვრებად და გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრებად წარმოადგენს სამართლის ამ დარგის გერმანული დოქტრინალური დაყოფის ნაყოფს. რეალურად პრაქტიკოსს არასოდეს მოუვა თავში აზრი მასალის დანაწევრების შესახებ, რომელიც უნდა მივაკუთვნოთ დანაშაულის შემადგენლობას, და მასალა, რომელიც, როგორც წერენ, უნდა განვიხილოთ ბრალის დონეზე ანუ გაკიცხვის მოძღვრების საფუძველზე. უფრო გასაგები ენით თუ ვიტყვით, ზოგიერთი საკითხის განხილვა ე. წ. ბრალის დონეზე ნიშნავს, რომ არსებობს დანაშაულის კვალიფიკაციის (“ქმედების სუბსუმციის”- გერმანული ტერმინოლოგიის მიხედვით), პრობლემა, რაც უნდა

გადაწყდეს სწორედ სასამართლო განაჩენის ფარგლებში, სულ ესაა. საერთოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ პროცედურული ხასიათის მსჯელობები ცალკეულ ნაშრომებში გადატვირთულია ბუნდოვანი, ზოგჯერ კი მოუფიქრებელი ტერმინებით, რომლებსაც უფრო მეტად აღრევა შეაქვთ ახალგაზრდა თაობის აზროვნებაში და ფრიად შორს არიან სისხლის სამართლის ლოგიკურად აგებული კურსისაგან.

მაგრამ რაღაც დროით მივენდოთ სისხლის სამართალში დასანერგ სიახლეს და განვიხილოთ შემოთავაზებული ბრალის მოძღვრების არსი. როგორც ჩვენ გვარწმუნებენ, ბრალის მოძღვრების აქტუალობა განპირობებულია სასამართლო პრაქტიკის მოთხოვნილებებით. სისხლის სამართლის საქმის განხილვისას წარმოიქმნება იმ მთელი რიგი საკითხების შეფასების გარდაუვალი აუცილებლობა, რომლებიც გამოდიან ქმედების შემადგენლობის ანალიზის ფარგლებიდან, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანია სასჯელის დანიშვნისას. ქართველმა მეცნიერებმა ყურადღება მიაპყრეს მოცემული პრობლემატიკის გააზრების მნიშვნელობას. ამ მიმართულებით თ. წერეთლის, ო. გამყრელიძის, გ. ნაჭყებias, მ. ტურვას, ლ. კუტალიას და სხვა ქართველი მეცნიერების ნაშრომებში დიდი მოცულობის მასალა დაგროვილი. ამიტომ ამჟამად შეიძლება ვთქვათ, რომ ქართული სამართლებრივი აზრი მზადაა სისხლის სამართლის სისტემის გადასახედად და ბრალის მოძღვრების შესაქმნელად.

ჩვეულებრივ, ძველი სქემით სისხლის სამართლის საერთო ნაწილის სისტემა წარმოგვიდგებოდა საკითხთა ორი ჯგუფის სახით. საკითხთა ერთი ჯგუფი განეკუთვნებოდა ქმედების შემადგენლობას, მეორე ჯგუფი კი – სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიღების მომენტიდან ზოგიერთ მეცნიერთა შორის ძირეულად შეიცვალა დამოკიდებულება საერთო ნაწილის ამ ფორმალისაგან მიმართ და შესაბამისად წარმოიშვა პროცედურების გააზრების მოთხოვნილება, რომელთა მოთავსება ძველ სქემაში (საბჭოთა მოდელში) არ იქნება ადვილი.

### **გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრების ფორმირების წინაპირობები**

ქმედების ობიექტური შემადგენლობის გააზრებისას სასამართლო პრაქტიკაში წარმოიშობა კაუზალურობის განსაკუთრებული წინაპირობების დადგენის პრობლემები. როგორც გ. იაკობსი აღნიშნავდა, შედეგის ობიექტური შერაცხადობისათვის კაუზალობა არ არის მარტო მინიმალური პირობა. საჭიროა კიდევ ქმედებისა და შედეგის ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება. სწორედ მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც წარმოიშობა რისკების ე. წ. დამთხვევის დროს. კერძოდ, ძვეს თუ არა დამდგარი შედეგი ადამიანის კონტროლის მიღმა, ამცირებს თუ არა ქმედება შედეგის მიყენების რისკს? აქვს თუ არა ადგილი მოვლენათა მსვლელობის ატიპურობას? დადგებოდა თუ არა შედეგი ქცევის მართლზომიერების შემთხვევაში? და ა. შ. ამ საკითხს კიდევ საფუძვლიანად განიხილავს რ. როქსინი. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ საკითხისადმი მსგავს მიდგომას ასევე ყურადღება მიაპყრო თ. წერეთელმა მიზეზობრივი კავშირის პრობლემათა დამუშავებისას.

ცხადია, რომ ყველა ეს საკითხი განეკუთვნება გარკვეულ ლოგიკურ პრობლემატიკას, რომელმაც, როგორც აღნიშნა მ. ტურავამ, წინა პლანზე წამოწია შედეგის ობიექტური შერაცხვის გამორიცხვის ნორმატიული კრიტერიუმების მოძიების საკითხი. ამ მიმართულებით ნეოკანტიანური მიდგომა სისხლის სამართალში მიზეზობრივი კავშირის აბსტრაგირების პირობებზე დიდ ყურადღებას ამახვილებს. და ეს გასაგებია, თუ

გავითვალისწინებთ, რომ ნეოკანტიანური მიდგომა განსაკუთრებულ მოთხოვნას აყენებს ოპერციონალური განსაზღვრებისადმი. მაგრამ ნორმატიული კრიტერიუმების ძიების პროცესმა გამოავლინა გაკიცხვის მოძღვრების არსებითი მეთოდოლოგიური ნაკლი. მოსამართლე ვერ ისარგებლებს მიზეზობრივი კავშირის ერთიანი კრიტერიუმით, რადგან მოვლენათა კავშირი, რომელიც იურისტის აზრით არის კაუზალური, სინამდვილეში წარმოადგენს მოვლენათა რეგულარულ თანმიმდევრობას. არსებობენ ცალკეული პრობლემური სიტუაციები, რომელსაც მოერგება ე.წ. ეკვივალენტურობის, კანონზომიერი პირობის, ადეკვატურობისა და რელევანტურობის, გენერალური მიზეზობრიობის და სხვ სახის მინი-თეორიები.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ქმედების სუბიექტური მხარე. მართლწინააღმდეგობის დადგენის შემდეგ ავტომატურად დგება მართლწინააღმდეგობის შეგნების საკითხი. ეს მიდგომა ფრიად მნიშვნელოვანია, რადგანაც, ბრალის გაბატონებული თეორიის თანახმად, როგორც აღნიშნავს ხ. ეშვი, მართლწინააღმდეგობის შეგნების საკითხი ხდება ბრალის (გაკიცხვის) ბირთვი. მოცემული საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლე ხშირად აწყდება “შეცდომათა” პრობლემატიკას. ამიტომ სწორედ სასამართლო პრაქტიკა ბრალის მოძღვრებას მჭიდროდ უკავშირებს შეცდომების საკითხს. აღსანიშნავია, რომ “შეცდომის” პრობლემა (გამონაკლისის გარდა) განეკუთვნება ბრალის და არა დანაშაულის მოძღვრებას.

არსებობს აზრი, რომ მართლწინააღმდეგობის შეგნება არ წარმოადგენს განზრახვის კომპონენტს და უნდა განისაზღვროს ბრალის დონეზე. მ. ტურავა მართლწინააღმდეგობის შეგნებას განიხილავს, როგორც ინდივიდუალური ბრალის ნორმატიულ კომპონენტს. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს საკითხი განეკუთვნება დანაშაულის ცნების განსაზღვრისადმი მიდგომას და არა თვით ცნებას.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს გაუფრთხილებლობის დანაშაულის პრობლემა. განზრახ დანაშაულისაგან მისი განსხვავების ანალიზისას ო. გამყრელიძე მიუთითებს, რომ გაუფრთხილებელი დანაშაულის საკითხის გადაწყვეტა მთლიანად განეკუთვნება ე. წ. ბრალს. ამასთან დაკავშირებით მოსამართლეს უხდება კითხვის დასმა: ჩადენილია თუ არა ქმედება წინასწარი განზრახვის გარეშე? და მხოლოდ ამის შემდეგ იგი იწყებს ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენას და ა. შ.

### **გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრების სისტემის შესახებ**

მოძღვრების ამ ნაწილის შემუშავების შესახებ წერდა ჯერ კიდევ კ. როქსინი, რომელიც მიუთითებდა, რომ საჭიროა ბრალის ნორმატიული ცნება განვითარდეს პასუხისმგებლობის ნორმატიულ ცნების სახით. ამ პოზიციას მხარს უჭერს რიგი ქართველი მეცნიერებისა.

*გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრების სისტემის პირველი ნაწილი – საკითხები, რომლებიც განეკუთვნება სისხლის სამართლის საფუძვლის კორექტირებას.*

*სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმირების სისტემის ელემენტები.* სასამართლო პრაქტიკაში წარმოიშობა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასთან და არა ქმედების შემადგენლობასთან, როგორც ეს მიაჩნდათ ადრე. თავის ნაშრომებში ეს საკითხი დაამუშავა ო. გამყრელიძემ, რომელიც აღნიშნავდა, რომ ასაკის, შერაცხადობის საკითხები და სხვა მოვლენები განეკუთვნება სწორედ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემატიკის სფეროს. ამ იდეას მხარს უჭერენ მ. ტურავა და სხვა ქართველი იურისტები. ასეთი გზით მეცნიერები აყალიბებენ

გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრების მეორე ნაწილს, რომლებიც მიმართულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის ზღვრების დაზუსტებისაკენ.

*გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ ქმედების მართლწინააღმდეგობას და ბრალეულობას.* ქართული მეცნიერების დამსახურებას წარმოადგენს ამ ინსტიტუტების საფუძვლიანად დამუშავება, რომლებიც ცალკეული თავების სახით (VIII და IX) მოთავსებულია საქართველოს სსკ-ში. ისინი დაკავშირებულია არა დანაშაულის ცნებასთან (დანაშაულის მოძღვრებასთან), არამედ სწორედ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესაძლებლობასთან.

როგორც აღნიშნული იყო, ქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობა ჩვეულებრივ ახდენს მართლწინააღმდეგობის ინიცირებას. მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში წარმოიშობა გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ მართლწინააღმდეგობას (საქართველოს სსკ-ს 28-ე-31-ე მუხლები). განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ერთ დეტალს. კანონმდებელი არ იძლევა ამ გარემოებების ამომწურავ ჩამონათვალს. საქართველოს სსკ-ს 32-ე მუხლი ნებას აძლევს მოსამართლეს თვითონვე დაადგინოს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არაა. ამით ხაზი გაესმევა გაკიცხვის მოძღვრების განვითარების მნიშვნელობას სწორედ გარემოებათა კლასიფიკაციის მიმართულებით (სამოქალაქო-სამართლებრივი უკიდურესი აუცილებლობა, პოლიტიკური წინააღმდეგობის უფლება, დაზარალებულის ნებართვა და ა. შ.), რომელიც თანდათანობით იქნება დადგენილი სწორედ სასამართლო პრაქტიკით.

საქართველოს სსკ-ს 33-ე – 38-ე მუხლებში გათვალისწინებულია გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ ბრალს. მნიშვნელოვანია ყურადღება მივაპყროთ იმ ფაქტს, რომ მოცემული მუხლები მოსამართლეს უფლებას აძლევს თვითონვე დაადგინოს ბრალის გამომრიცხავი გარემოებები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული.

ყველა გამოკვლევის სუსტი რგოლი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არ ასაბუთებენ კრიტერიუმს, რომლის მიხედვითაც განლაგდებიან მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხავი გარემოებები. ამის გარდა, დღემდე გაუგებარია, რატომ ამ გარემოებათა ჩამონათვალში გათვალისწინებულია რამდენიმე გარემოება და რატომ იფარგლება ჩამონათვალი გარემოებათა აღნიშნული სიით. ამრიგად. ეს ხარვეზი ატარებს მეთოდოლოგიურ ხასიათს და საჭიროა მისი შევსება.

ამის გარდა ყურადღება უნდა გამახვილდეს ტერმინოლოგიურ უზუსტობაზე. გაუგებრობას იწვევს ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორცაა “ბრალიუარიანობის გამომრიცხველი გარემოებები” და “ბრალის გამომრიცხველი გარემოებები”. “ბრალის გამომრიცხველი გარემოებების” ტერმინის გამოყენება არაკორექტულია. თუ ბრალი არის გაკიცხვა და ამ ორ შემთხვევაში პირს სასამართლო ვერ აკისრებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მაშინ ლოგიკურია დასკვნა, რომ როგორც მართლწინააღმდეგობის, ასევე ბრალის დროს გვაქვს ბრალის გამომრიცხავი გარემოებები. საკითხის არსს ამ შემთხვევაში უფრო ზუსტად ასახავს „ბრალიუარიანობის გამომრიცხველი გარემოებების“ ტერმინი.

*გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრების მეორე ნაწილი – საკითხები, რომლებიც განეკუთვნებიან სასჯელის დანიშვნას.*

პირველ რიგში თავს იჩენს დელიქტების სიმძიმის მიხედვით სასჯელების დიფერენციაციის პრობლემა. სისხლის სამართლის რეფორმის პროცესში ზოგიერთი მეცნიერის მიერ განიხილება დელიქტების ნაწილის გამოტანა ადმინისტრაციული კოდექსიდან და სისხლის სამართლის

კოდექსში მოთავსება. გარკვეულად ეს პოზიცია შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1984 წ. 21 თებერვლის გადაწყვეტილებას. მაშასადამე, დგება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველთან დაკავშირებული საკითხების ღრმა დამუშავების ამოცანა.

გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრების ამ ნაწილის ქვაკუთხედს წარმოადგენს მეტრიკული პრობლემა. სასჯელის ვადები სისხლის სამართლის კოდექსში დასაბუთებულია უპირატესად პოლიტიკური მოსაზრებებით და არ შეესაბამებია ჰუმანიზმის პრინციპებს. ამის შესახებ ბევრი აქვთ დაწერილი ქართველ მეცნიერებს. ამასთან დაკავშირებით დგება სხვა, უფრო რთული საკითხი, რომელიც ეხება თავისუფლების აღკვეთის ვადების დანაშაულთა სიმძიმის გათვალისწინებასთან შესაბამისობაში დაბალანსებულ მოყვანას. ამ მიმართულებით ასევე გადახედვას ექვემდებარება საქართველოს სსკ-ს ამა თუ იმ მუხლის ნაწილების კლასიფიკაციის კრიტერიუმები. საქართველოს სსკ-ს 109-ე მუხლთან მიმართებაში (მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) ეს აზრი გამოთქვა ო. გამყრელიძემ. ვფიქრობ, იგი შეეხება სისხლის სასამართლოს ყველა მუხლს. საერთოდ, ნორმის დაყოფა სხვადასხვა ნაწილებად ჯერჯერობით მოკლებულია რაიმე კრიტერიუმს და უფრო მეტად წარმოადგენს კანონმდებლის თავნებობის ნაყოფს.

**დასკვნა.** ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ სისხლის სამართლის დოქტრინა, რომელსაც იცავს ზოგიერთი ქართველი მეცნიერი, ერთმანეთში ურევს დანაშაულის ცნების ჩამომყალიბებელ საშუალებებს და თვით დანაშაულის ცნებას. საქართველოს სსკ-ს მე-7 მუხლში მოცემულია არა დანაშაულის ცნება, არამედ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლის აგების კონსტრუქცია. როგორც გვაჩვენებს ესპანეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა, დანაშაულის ცნების აგების ლოგიკურ წესებს პასუხობს მისი განსაზღვრება: დანაშაულად მიიჩნევა კოდექსით გათვალისწინებული ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ჩადენილია წინასწარ განზრახვით ან გაუფრთხილებლობით. ეს მომენტი არის ცენტრალური დანაშაულის მოძღვრებაში. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია გაკიცხვის (ბრალის) მოძღვრება. პრობლემატიკა, რომელიც ვლინდება მოცემულ მოძღვრებაში, პირდაპირ კავშირშია იმასთან თუ როგორ იქნება აგებული დანაშაულის მოძღვრების სისტემა.

ცხადია, რომ ამ პრობლემების ნაჩქარევი გადაწყვეტა შეუძლებელია. საჭიროა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ერთობლივი მონაწილეობა. წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევთავაზეთ საკითხთა ძალიან შეზღუდული წრე, რომლითაც არ ამოიწურება სისხლის სამართლის პრობლემატიკა. მიგვაჩნია, რომ შემდგომში უნდა გაგრძელდეს სისხლის სამართლის სისტემის, მისი ცალკეული ინსტიტუტების ლოგიკური ექსპერტიზა.

## ლიტერატურა

1. გამყრელიძე ო. სისხლის სამართლის პრობლემები. თბ. “მერიდიანი”. 2013
2. ნაჭყებია გ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. თბ. “ინოვაცია”. 2011
3. ტურავა მ. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბ. “მერიდიანი”. 2013

მანანა მოსულიშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი,  
სამართლის სკოლა, პროფესორი

## სამართლის ნორმის ახსნა-განმარტება - სახეები, მეთოდები, აქტები

### რეზიუმე

საზოგადოების განვითარებასთან ერთად ვითარდება სამართალშემოქმედებითი საქმიანობაც, მაგრამ მაინც რჩება ხარვეზები სამართლის ნორმის გაგების საკითხში, ხშირ შემთხვევაში გაურკვეველია რა დევს მის შინაარსში, რაც მისი შეფარდებისას სხვადასხვაგვარად გამოიყენება. აღნიშნული აუცილებლად მოითხოვს ახსნა-განმარტებას, რათა ყოველთვის სწორად იქნეს გამოყენებული ესა თუ ის ნორმა და არ ხდებოდეს მოსამართლის, პროკურორის, ადვოკატის ან სხვა პირის მიერ სამართლის ნორმით თავის სასარგებლოდ მანიპულირება.

**საძიებო სიტყვები:** სამართლის ნორმა, ნორმის ახსნა, განმარტების მეთოდები

**Manana Mosulishvili**

Grigol Robakidze University  
School of Law, Professor

## Explanation of the Rule of Law- Definition - Types, Methods, Acts

### Resume

The development of civil society is closely related to the development of the legislation and legal procedural approaches, but there are still gaps in the provision of understanding. In many cases it is unclear what lies in its content what is used in a variety of ways for its imposition. This requires an explanation, in order this or that norm to be always used properly and judges, prosecutors, attorneys or other persons not to manipulate with the law in their favor.

**Keywords:** Rule of law, explanation of rule of law, methods of definition.

## სამართლის ნორმის ახსნა-განმარტება - სახეები, მეთოდები, აქტები

### შესავალი

იურიდიულ ლიტერატურაში სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების პრობლემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მუდმივია. ახსნა-განმარტების ცნება პლურალისტურ ხასიათს ატარებს. ხშირ

შემთხვევაში, სამართლის ნორმა გაურკვეველადაა გადმოცემული, რაც შესაბამისად თავს იჩენს მისი გამოყენებისას, ასეთ შემთხვევებში ახსნა-განმარტება აუცილებლად უნდა მოხდეს, რათა რათა შესაბამისმა ორგანოებმა სწორად მოახდინონ ამ ნორმის ცხოვრებაში რეალიზება. ახსნა-განმარტების პროცესი, როგორც წესი, ჩადებულია ოფიციალურ აქტში და მას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის სუბიექტებისათვის. ახსნა-განმარტების სახეებს ასხვავებენ სუბიექტებისა და მოცულობის მიხედვით. სუბიექტების მიხედვით გამოყოფენ ოფიციალურ და არაოფიციალურ ახსნა-განმარტების სახეებს, ხოლო მოცულობის მიხედვით მოიაზრება სიტყვა-სიტყვითი, შეზღუდული და განვრცობითი ახსნა-განმარტების სახეები, ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება ახსნა-განმარტების ხერხებზეც: – გრამატიკული, ლოგიკური, ისტორიულ-პოლიტიკური, სისტემატიკური. და დახასიათებულია თითოეული მათგანი.

### **#1 სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების ცნება,**

იურიდიულ ლიტერატურაში სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების ცნების რამდენიმე განსაზღვრება არსებობს, ყოველი მათგანი მეტ-ნაკლებად სხვადასხვაგვარადაა მიმართული სამართლის ნორმის აზრის გასაგებად. მეცნიერთა ერთი ჯგუფი ახსნა-განმარტებას განსაზღვრავს როგორც სამართლის ნორმის აზრის ახსნას; მეორე ჯგუფი თვლის, რომ სამართლის ნორმის ახსნა-განმარტება მათი შინაარსის გარკვევაა, ახსნაა. მესამეს კი მიაჩნია, სამართლის ნორმის აზრის ახსნისა და გარკვევის პროცესია .

მესამე ჯგუფის პოზიცია უფრო მართებულად მიგვაჩნია, იგი საშუალებას იძლევა გადალახოს ახსნა-განმარტების გაგებისადმი ცალმხრივი მიდგომა, რომელიც არ აღმოფხვრის თავის თავს მხოლოდ ახსნით ან მხოლოდ სამართლის ნორმების ახსნით. უკიდურეს შემთხვევაში, სრულიად ნათელია, რომ ვიდრე გაირკვევა აზრი და სამართლის ნორმის შინაარსი, საჭიროა გაირკვეს თვითონ ინტერპრეტატორი და მხოლოდ შემდეგ კი აეხსნას სხვებს.

განმარტება აზრისა და სამართლის ნორმის შინაარსის ახსნა-განმარტების პროცესის შემდეგი ეტაპია. ეს ეტაპი კავშირშია ამხსნელის, ინტერპრეტატორის სააზროვნო პროცესთან, იგი მიმართულია სხვა სუბიექტისადმი, ამიტომ აქვს გამოხატვის გარეგანი ფორმა, როგორც წესი, იგი ჩადებულია გარკვეულ ოფიციალურ აქტში (დადგენილება, განსაზღვრება, ინსტრუქცია და ა.შ.) ცალკეულ შემთხვევებში მას აქვს გამოხატვის ზეპირი ფორმა – რჩევა, რეკომენდაცია, კონსულტაცია. განმარტება ახსნა-განმარტების უფრო მნიშვნელოვანი ნაწილია. მას დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის მრავალი სუბიექტისათვის.

ზოგ ავტორს მიაჩნია, რომ ნორმატიულ აქტებში გამოხატული სახელმწიფოებრივი ნების აზრის გადმოცემისას, რომელიც შესაძლებელი გახდა მისი გააზრების (გარკვევის) ახსნა-განმარტების პროცესში, მთავრდება ახსნა-განმარტების აქტის მიღებით, რომელიც იძლევა ინტერპრეტატორის აზრობრივ საქმიანობას გარკვეულ სამართლებრივ ფორმას, ეს არის სააზროვნო საქმიანობის შედეგი.

ახსნა-განმარტების აქტი შეიძლება იყოს სასამართლოს დადგენილება, ხელისუფლების ან მმართველობის ორგანოს ინსტრუქცია და ა.შ., მაშასადამე, სამართლის ნორმა არის ინტელექტუალური, სააზროვნო პროცესი, რომელიც ყალიბდება სამი ძირითადი ეტაპისაგან (სტადიისაგან) – გარკვევა, განმარტება და ახსნა-განმარტების აქტი. ახსნა-განმარტების ძირითად ობიექტად ყოველთვის გვევლინება სამართლის ნორმის ტექსტობრივი გამოხატულება.

სამართლის ნორმის ახსნა-განმარტება – არის სამართლის შემეცნების პროცესი, განხორციელებული ცნებების, მსჯელობის, გონივრული დასკვნების გამოტანის ფორმით. საქართველოს ნორმების გარკვევის აზრი შეუძლებელია საქმიანობის გარეთ მისი ახსნით, ე.ი.



მისი შინაარსის გახსნის გარეშე, თავის მხრივ, შეუძლებელია გატარდეს სამართლის ნორმის ახსნის წინასწარი გარკვევით, მისი აზრისა და შინაარსის გარეშე. მართალია, ყველა შემთხვევაში, სამართლის ნორმის გარკვევის პროცესი გადადის ახსნის პროცესში.

იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ახსნა-განმარტება ინტერპრეტატორის ინტელექტუალურ-ნებელობითი საქმიანობაა (გაგებისა და განმარტების შესახებ). სამართლის ნორმის ყველაზე სწორად რეალიზაციისათვის, რადგან სრულიად ნათელია, რომ კანონის აზრის არასწორად, არაერთგვაროვანმა (ურთიერთსაწინააღმდეგო) გაგებამ სინამდვილეში შეიძლება მიგვიყვანოს კანონიერების დარღვევასთან, იურიდიულ დავებთან, სამართლებრივი აქტების გაუქმებასთან ანუ ნეგატიურ, იურიდიულ შედეგებთან. სამართლის ნორმის ახსნა-განმარტებასთან ახლოსაა იმის კრიტიკა, რაც ნასესხებია ფილოლოგიიდან და იგი არ ესადაგება სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების პროცესს. კრიტიკისა და ახსნა-განმარტების კავშირის შეფასებაში უფრო მისაღებია პოზიცია, რომელიც კრიტიკას თვლის იურიდიული ნორმის წინაპირობად. მისი დანიშნულებაა სამართლის ნორმის ჭეშმარიტებისა და იურიდიული ძალის შეფასება. სამართლის ნორმის ახსნა-განმარტებას ზოგჯერ უკავშირებენ მის დაკონკრეტებას ე.ი. აზრობრივად მიზნის, ადგილისა და დროის გამოყენების დაზუსტებას. ახსნა-განმარტების მოცემული დახასიათება სრულიად გამართლებულია, რამდენადაც ნამდვილად ახსნა-განმარტების პროცესში მიმდინარეობს სამართლის ნორმის აზრისა და დანიშნულების დაზუსტება, მისი რეგულირების მოცულობას (იურიდიულ ფარგლებს) და ა.შ. დაკონკრეტება არ შეიძლება არ იყოს ახსნა-განმარტების შედეგი. იგი ახასიათებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს, აზუსტებს კონსტიტუციის ამა თუ იმ ნორმების აზრს და სხვა ნორმატიულ აქტებს.

სამართლის რეალიზაციის პროცესში ახსნა-განმარტება სამართლის ნორმის შეფარდების აუცილებელი სტადიაა. იგი მაშინ იწყება, როცა გაანალიზებულია ფაქტობრივი გარემოებანი და დავრწმუნდებით, რომ ისინი იურიდიული ხასიათისაა, იურიდიული მნიშვნელობისაა, არჩეულია საჭირო, მოქმედი სამართლის ნორმა და ითხოვს მისი აზრის გარკვევას.

სამართლის ნორმის ახსნა-განმარტებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოძღვრებას სამართლის შესახებ, რომ სამართალი გამოხატავს სახელმწიფოებრივ ნებას. სამართლებრივი ნორმა არ შეიძლება განხილული იქნას სახელმწიფოებრივი ნებისაგან ცალკე. სამართლის ნორმის ახსნა-განმარტება უნდა ეყრდნობოდეს ფილოსოფიურ დებულებებს იმის შესახებ, რომ აზროვნება და ენა შეესაბამებიან ერთმანეთს. ენა არის აზრის უშუალო გამოხატულება. ახსნა-განმარტება სამართლის ანალიზის ფორმალურ-დოგმატური ხერხია, რომელიც ავალდებულებს ინტერპრეტატორს მიჰყვეს კანონის ფორმალურ ლოგიკას.

ახსნა-განმარტება არის სამართალშემოქმედება, არა სამართლის ნორმის შექმნისა და შეცვლის პროცესი, არამედ მისი გაგება მისი სწორად გამოყენების მიზნით. ახსნა-განმარტება არის წარმონაქმნი, სამართლის ნორმაზე დამოკიდებული მოვლენა. ახსნა-განმარტება ყოველთვის მეორადია, ხოლო ნორმა – პირველადი.

ახსნა-განმარტებას აქვს დიდი მნიშვნელობა სამართალშეფარდების პრაქტიკისათვის. მრავალი შეცდომა სამართალშეფარდებაში აიხსნება სულისა და ენის სწორედ არასწორად გაგებით. მხარეებს შორის დავები სასამართლო პროცესებში მიმდინარეობს ერთი და იმავე კანონით, მაგრამ ამ დავებს სხვადასხვაგვარად ხსნიან საქმის მონაწილეები. სწორედ ახსნა-განმარტების პროცესმა წარმოშვა ხუმრობა: `ორი იურისტი – სამი შეხედულება`.

ახსნა-განმარტების ძირითად ამოცანად იყო და რჩება ერთგვაროვანი გაგება და სამართლის ნორმების გამოყენების სწორად უზრუნველყოფა სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე, ერთიანობის, მისი სამართლებრივი ველის გაძლიერება.

## **§2. სამართლის ნორმების ახსნა-განმარტების სახეები**

ახსნა-განმარტების სახეებს ასხვავებენ სუბიექტებისა და მოცულობის მიხედვით.

სუბიექტების მიხედვით – ახსნა-განმარტება იმის მიხედვით, თუ ვინ ახორციელებს მას (რომელი ორგანო, რომელი თანამდებობის პირი და ა.შ.) ამის საფუძველზე ასხვავებენ ახსნა-განმარტების ოფიციალურ და არაოფიციალურ სახეებს.

ოფიციალური ახსნა-განმარტება ხორციელდება ამისათვის უფლებამოსილი სუბიექტების მიერ: სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები. გარკვეულ გარემოებებში ახსნა-განმარტების წარმოების ნებართვა აქვთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ან დამოუკიდებლად ან სახელმწიფო ორგანოებთან ერთად. მაგალითად, პროფკავშირებს შრომითი კანონმდებლობის საკითხებზე. ოფიციალური ახსნა-განმარტება განმტკიცებულია სპეციალურ სამართლებრივ აქტში, აუცილებელია ყველასათვის, ვინც მიიღებს განმარტებულ სამართლებრივ ნორმას.

ოფიციალურ ახსნა-განმარტებას აქვს იურიდიული მნიშვნელობა, იწვევს გარკვეულ სამართლებრივ შედეგებს, ორიენტირებს მრავალრიცხოვან სამართალშემფარდებლებს ერთგვაროვანი ნორმების გასაგებად და სამართლის ნორმების შეფარდებისათვის.

ოფიციალურ ახსნა-განმარტებას შორის გამოყოფენ **ავთენტუიკურ** (აუტენტურ) ახსნა-განმარტებას, ე.ი. როცა ახსნა-განმარტება ხდება იმ ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ, რომელმაც მიიღო ეს ნორმა. ავთენტუიკური ახსნა-განმარტების აქტი სავალდებულო ძალის სამართლის წყაროა. (5)

ოფიციალური ახსნა-განმარტების შემდეგი სახეა **ლეგალური** –ნებადართული ახსნა-განმარტება, როცა იგი ხორციელდება იმ სუბიექტის მიერ, რომელიც უფლებამოსილია (მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლო და ა.შ) სამართლის ნორმათა ოფიციალური ახსნა-განმარტება არის ნორმატიული და კაზუალური. **ნორმატიული ახსნა-განმარტება** – ეს სამართლებრივი ნორმის აზრის და შინაარსის ისეთი ახსნაა, რომელიც სავალდებულოა მათთვის, ვინც გამოიყენებს მოცემულ ნორმას. თან. კაზუალური ახსნა-განმარტება არის ოფიციალური ახსნა-განმარტების სახე, რომელიც ნორმატიულისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი იძლევა სუბიექტის მიერ კონკრეტულ საქმეზე. კაზუალური ახსნა-განმარტებას აწარმოებენ მხოლოდ ის პირები, ვინც მოცემული იურიდიული საქმიანობის მონაწილეა. ეს არის ახსნა-განმარტება ვიწრო გაგებით, რომელსაც აქვს კერძო, კონკრეტულ დანიშნულებას. კაზუალური ახსნა-განმარტების აუცილებლობა წარმოიშვება იმ შემთხვევებში, როცა რომელიმე კონკრეტული საქმე, კონკრეტული საკითხი, დავა და ა.შ. წყდებოდა სხვადასხვა ინსტანციაში სხვადასხვაგვარად, წინააღმდეგობრივად. კომპეტენტური ორგანო, მაგალითად, უზენაესი სასამართლო განიხილავს რა მოცემულ საქმეს, იძლევა განმარტებას მისი არსის შესახებ, მიუთითებს დაშვებულ შეცდომაზე, ოფიციალური ახსნა-განმარტება ხელისუფლების ორგანოთა მიხედვით იყოფა სასამართლო და ადმინისტრაციულ განმარტებად. სასამართლო ახსნა-განმარტება ხორციელდება სასამართლოების მიერ. ადმინისტრაციულ ახსნა-განმარტებას იძლევა ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოების .

**სასამართლო** ახსნა-განმარტება არის ახსნა-განმარტება, ხორციელდება სასამართლოების მიერ, შეიძლება იყოს ზოგადი (ნორმატიული) და კაზუალური. კაზუალური ახსნა-განმარტება ხორციელდება როგორც უმაღლესი სასამართლო ინსტანციებით, ისე რაიონული და ა.შ სასამართლოების მიერ. ეს ახსნა-განმარტება არის კონკრეტულ ფაქტზე, კონკრეტული

შემთხვევაზე. არაოფიციალური ახსნა-განმარტება ხორციელდება ამისათვის არაუფლებამოსილი ორგანოების მიერ.

არაოფიციალური ახსნა-განმარტება არ არის იურიდიულად სავალდებულო, მას არ აქვს იურიდიული ძალა, აქვს რეკომენდაციების, რჩევების, კონსულტაციების ფორმა. არაოფიციალური ახსნა-განმარტება ხორციელდება ცალკეული მეცნიერის, სამეცნიერო კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოქალაქეების მიერ.

არაოფიციალური ახსნა-განმარტება იყოფა **დოქტრინულ** (სამეცნიერო), **პროფესიულ** (კომპეტენტურ) და **ჩვეულებრივ** სახეებად. მათ შორის დიდი მნიშვნელობა აქვს დოქტრინულ ახსნა-განმარტებას, მისი ძალა დასაბუთებულად, არგუმენტირებულად გადმოცემაშია ეს არის ავტორიტეტული მეცნიერული პოზიციები. მტკიცებულებათა სიზუსტე, იგი გავლენას ახდენს პრაქტიკოს მუშაკთა სამართლებრივ შეგნებაზე, ვინც იყენებს სამართალს. ამიტომ დიდი პოპულარობით სარგებლობენ სხვადასხვა კოდექსები, წესდებები, მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტები.

**პროფესიულ** ახსნა-განმარტებას იძლევიან იურისტი პროფესიონალები: მოსამართლეები, პროკურორები, ნოტარიუსები, ადვოკატები, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების მუშაკები (სოც.უზრუნველყოფის, განათლების და ა.შ) მათი პრაქტიკული საქმიანობის პროცესში. პროფესიონალიზმი ყოველთვის ნიშნავს პრაქტიკული საქმიანობის სფეროში ღრმა სპეციალური ცოდნით აღჭურვას. პროფესიული ახსნა-განმარტება ადასტურებს ინტერპრეტატორის პროფესიულ კომპეტენციას. **ჩვეულებრივი** ახსნა-განმარტება ხდება ჩვეულებრივ მდგომარეობაში ნებისმიერი მოქალაქის მიერ, რომელიც გამოთქვამს თავის პოზიციას, საკუთარ აზრს ამა თუ იმ სხვა სამართლებრივ აქტზე (აკრიტიკებს, ახალისებს მას).

ახსნა განმარტება მოცულობის მიხედვით შეიძლება იყოს: სიტყვა-სიტყვითი, შეზღუდვითი და განვრცობითი ახსნა-განმარტების სახეები. განმარტების დროს შინაარსი დგინდება ზუსტად ისეთი სახით, რომელიც პირდაპირაა გამოხატული კანონის ტექსტში. სიტყვა-სიტყვით ახსნა-განმარტებას კი აქვს სხვა მიზანი. აქ სუბიექტი, რომელიც სამართლებრივ ნორმას განმარტავს, უნდა დარწმუნდეს, რომ სამართლებრივი ნორმის მოთხოვნები ზუსტად შეესაბამება თვით კანონის ტექსტს, რომ ეს მოთხოვნები არც ვიწროდ და არც ფართოდ არ გადმოსცემს კანონის ტექსტს. **შეზღუდვითი** ახსნა-განმარტება გამოიყენება მაშინ, როცა სამართლის ნორმის შინაარსი გაგებულია უფრო ვიწროდ, ვიდრე ფორმულირებულია კანონის ტექსტში. ამდაგვარი ახსნა-განმარტება აუცილებელია, როცა კანონის ფორმულირება უფრო ფართოდაა, ვიდრე მისი აზრობრივი შინაარსი. მაგალითად, საოჯახო სამართლის ნორმის თანახმად, მეუღლეთა მიერ ერთად შეძენილი ქონება ითვლება საერთოდ და ექვემდებარება თანაბრად გაყოფას. ეს ნორმა განმარტება სასამართლოს მიერ შეზღუდულად, კერძოდ, სასამართლომ არ უნდა აწარმოოს გაყოფა იმ ნივთებისა, რომლებიც პროფესიულია ერთ-ერთი მეუღლესათვის, მაგალითად, მუსიკოსისათვის მუსიკალური ინსტრუმენტი.

**განვრცობითი** ახსნა-განმარტების დროს, პირიქით, სამართლის ნორმის შინაარსი უფრო ფართოდ გაიგება, ვიდრე ეს გამოიყურება კანონის ტექსტში, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლი აჟღერებს, რომ მოსამართლეები დამოუკიდებელნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. სრულიად ნათელია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას კონკრეტულ საქმეზე მოსამართლეს არა მარტო შეუძლია, არამედ მოვალეც კია დაემორჩილოს პრეზიდენტის ბრძანებულებებს, მთავრობის დადგენილებებს, თუ ისინი არეგულირებენ განსახილველ საკითხს.

ზოგჯერ კანონმდებელი, რეგულირებადი საკითხის არსიდან გამომდინარე, წინასწარ უშვებს **სიტყვა-სიტყვითი, შეზღუდვითი ან განვრცობითი** ახსნა-განმარტების შესაძლებლობას, მაგრამ

შემთხვევებში, როცა დგინდება სისხლის სამართლის სასჯელის სახეები, კანონმდებელი აუცილებლად თვლის მისცეს ამომწურავი ჩამონათვალი, რათა არ დაუშვას სასამართლოს მიერ თვითნებური გამოგონებები სასჯელებთან მიმართებაში და პირიქით, როცა კანონმდებელი უშვებს შესაძლებლობას გამოიყენოს შემამსუბუქებელი გარემოებანი, გამოიყენება განვრცობითი ახსნა-განმარტება.

### **#3. სამართლის ნორმების ახსნა-განმარტების მეთოდები**

მეცნიერებამ და პრაქტიკამ ორი ათასზე მეტი წლის პერიოდში სამართლის შესაფასებლად მისი უფრო წარმატებით გამოსაყენებლად გამოიმუშავეს რიგი ახსნა-განმარტების მეთოდები. ახსნა-განმარტება იძლევა შედეგს და არა გაგების საშუალებას. სამართლის ნორმის აზრის დასადგენად იგი თავის თავში მოიცავს საშუალებებს, ილეთებს, ხერხებს. როგორც წესი, ახსნა-განმარტების მეთოდი, ხერხი და ილეთი გამოიყენება ერთდროულად; ისინი ავსებენ ერთმანეთს, აძლიერებენ სამართლის ნორმის გაგების სისწორეს.

ასხვავებენ ახსნა-განმარტების შემდეგ მეთოდებს: გრამატიკულს, ლოგიკურს, სისტემატიკურს, ისტორიულ-პოლიტიკურს, სპეციალურს (იურიდიულს);

**გრამატიკული** ახსნა-განმარტება მდგომარეობს სამართლებრივი ნორმის შინაარსის ახსნას ანალიზისა და მისი სიტყვიერი გამოხატვის გზით ანუ სიტყვიერი ფორმულირებით. საჭიროა იმაში დარწმუნება, რომ ჩვეულებრივი სიტყვები კანონში ან სხვა ნორმატიულ აქტში გამოიყენება მათი ჩვეულებრივი და არა ახალი მნიშვნელობით; მაგალითად, სიტყვა „თავი“ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენება, მაგრამ მას თუ სამართლის ნორმაში მოვიხსენიებთ რამდენჯერმე, მას ყოველთვის ერთი და იმავე აზრი უნდა ჰქონდეს. წინადადების წყობაშია საჭირო გარკვევა, ახალი ტერმინების გაგება, რომლებიც კანონებშია გამოყენებული და ა.შ. მაგალითად, შეიძლება იყოს სიტყვები „მომეტებული საფრთხის წყარო“, „რეციდივისტი“, „განსაკუთრებით საშიში“ და ა.შ. გრამატიკული მეთოდის გამოყენებისას მხედველობაში მიიღება როგორც ცალკეული სიტყვისა თუ ფრაზის ზოგადი (ენობრივი) გამოყენება, ისე მისი იურიდიული მნიშვნელობა. (3)

ახსნა-განმარტების გრამატიკული მეთოდის დროს დგინდება სიტყვების გრამატიკული კავშირი, წერის ფორმა, წერის ნიშნების მნიშვნელობა, კავშირები და ა.შ.

ახსნა-განმარტების **ლოგიკური** მეთოდის დროს ანალიზდება ნორმატიული აქტის ცალკეული დებულებები, ემყარება კანონებისა და ლოგიკის წესებს. ანალიზის საგანს წარმოადგენენ არა მხოლოდ სიტყვები, არამედ მათით აღნიშნული ცნებები და მათი ერთმანეთთან შესაბამისობა, რადგან, არც თუ იშვიათად ნორმის აზრი არ ემთხვევა მის სიტყვიერ ფორმას, დაწერილ ტექსტს, არამედ ლოგიკური განმარტება კანონმდებლის მიზნის გარკვევას ემსახურება. ამ მეთოდს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სავინიმ დატიბომ (6)

**სისტემატიკური** ახსნა-განმარტების მეთოდი.. სამართლის ნებისმიერი ფორმა მთლიანი სისტემის შემადგენელი ნაწილია და ურთიერთობებს არეგულირებს მჭიდრო ურთიერთკავშირში სხვა სამართლებრივ ნორმებთან. სისტემატიკური ახსნა-განმარტების მეთოდისას ახსნა-განმარტება ადგენს სამართლის ნორმის ადგილს სამართლის სისტემაში, დარგში, სამართლებრივ ინსტიტუტში, კონკრეტულ ნორმატიულ აქტში, განისაზღვრება ლოგიკური კავშირი სხვა სამართლებრივ ნორმებთან. მოცემულ შემთხვევაში დგინდება ნორმის მოქმედების სფერო, პირთა წრე, რომლებზედაც იგი ვრცელდება, ყველაზე უფრო რეალურია ეს მეთოდი დარგის ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილების ნორმის ანალიზის დროს, რამდენადაც ისინი მოქმედებენ სისტემურად.

**ისტორიულ-პოლიტიკური** ახსნა-განმარტების მეთოდი. მოცემული მეთოდი ემყარება სამართლებრივი ნორმის მიღების კონკრეტულ-ისტორიული პირობების ანალიზს, შეისწავლება ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური მიზეზები და პირობები, რომლებმაც გამოიწვიეს სამართლებრივი ნორმის მიღების აუცილებლობა. დგინდება მიზეზები, რომელსაც მიჰყვებოდა კანონმდებელი.

ახსნა-განმარტების **სპეციალურ-იურიდიული** მეთოდი მიმართულია ტექნიკურ-იურიდიული ხერხების გარკვევისაკენ, რომელსაც იყენებს სამართალშემოქმედებითი ორგანო ნორმატიული აქტის მიღებისას იურიდიული ტექნიკის წესებზე დაყრდნობით. კერძოდ, ამ მეთოდის დახმარებით აიხსნება სამართლის ნორმის აზრი. იურიდიული ტერმინების განსაზღვრების, კონსტრუქციების, შენიშვნების, გამონათქვამების, ცნებების და ა.შ ანალიზის გზით.

მოცემული მეთოდი იძლევა შესაძლებლობას იურიდიული აქტების ახსნა-განმარტება განვასხვაოთ ინტერპრეტაციისგან – არაიურიდიული აქტებისაგან; მისი გამოყენების პროცესში გამოიყენება როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური ახსნა-განმარტების მეთოდები, ხერხები, საშუალებები, ილეთები, ეს არის საკუთრივ-იურიდიული, პროფესიული მეთოდი, განპირობებულია ტექნიკით კონსტრუირებულ ნორმატიულ აქტებში.

#### **#4. სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების აქტები**

ოფიციალური ახსნა-განმარტების შედეგები, როგორც წესი, ფორმდება სამართლებრივი აქტების სახით. ოფიციალური ახსნა-განმარტება პრინციპულად განსხვავდება არაოფიციალურისაგან იმით, რომ ოფიციალური ახსნა-განმარტება იწვევს –სამართლებრივი ახსნა-განმარტების აქტის მიღების აუცილებლობას. საჭიროა მაშინვე აღინიშნოს, რომ ოფიციალური ახსნა-განმარტების აქტი ისევე, როგორც ნორმატიული აქტები ან სამართალშეფარდებითი აქტები ხასიათდება მრავალი საერთო ნიშნით, რამდენადაც ისევე, როგორც უკანასკნელები მიეკუთვნებიან იურიდიულ აქტებს. იურიდიულ ლიტერატურაში აღინიშნება მათი მრავალსაფეხურიანი აგებულება, გამოწვეულია მათი მიმღები სუბიექტების სუბორდინაციიდან თუ, მაგალითად, ავიღებთ სასამართლო ახსნა-განმარტების აქტებს, მაშინ საჭიროა გამოვყოთ უზენაესი სასამართლოს აქტები, შემდეგ სააპელაციო, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აქტები. ახსნა-განმარტების სუბიექტების იერარქია გავლენას ახდენს მათ მიერ მოცემული აქტების იურიდიულ ძალაზე. უზენაესი სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა ქვემდგომი სასამართლოსათვის. სასამართლო ახსნა-განმარტების აქტებს აქვთ ფორმა, ანალოგიურია სხვა სამართლებრივი აქტებისათვის (გადაწყვეტილება, დადგენილება, ინსტრუქცია და ა.შ). არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ახსნა-განმარტების ოფიციალურ აქტებში გამოხატულია სახელმწიფოს ნება, ე.ი. ეს აქტებია, რომლებსაც ახასიათებს როგორც სახელისუფლებო დაცვით უზრუნველყოფა, ისე აუცილებელ შემთხვევაში კი, იძულებითაც.

სასამართლო ახსნა-განმარტების აქტების სპეციფიკური ნიშნების დიდი რაოდენობა კანონქვემდებარე აქტებია, ისინი ეფუძნებიან მოქმედ კანონმდებლობას. ესენია დამხმარე აქტები, რომლებიც აკონკრეტებენ, ინტერპრეტაციულ სამართლებრივ ნორმას; ე.ი. ხელს უწყობენ მის შედარებით სწორად გამოყენებას და შეფარდებას. მათი ადრესატია შეფარდების სუბიექტები და არა სამართლის ნორმის რეგულირების ყველა სუბიექტი. გარდა ამისა, ახსნა-განმარტების აქტის მოქმედება განპირობებულია ინტერპრიტირებული სამართლებრივი ნორმის მოქმედებით. გარდა ამისა, ახსნა-განმარტების აქტებს აქვთ იურიდიული მნიშვნელობა მხოლოდ მათ მიერ ახსნილი ნორმის მოქმედების ვადის ფარგლებში. თუ ინტერპრეტირებული ნორმა უქმდება, წყვეტს თავის მოქმედებას, მაშინ წყდება ახსნა-განმარტების აქტის მოქმედებაც.

სპეციფიკური ნიშნების აქტების რიცხვს მიაკუთვნებენ მისი მოქმედების უკუმაღის შესაძლებლობას. თუ სამართლებრივი ნორმა გამოყენებული იქნა სისხლის სამართალში ერთი მნიშვნელობით, ხოლო შემდგომში საკონსტიტუციო სასამართლომ მისცა განმარტება სხვა მნიშვნელობით, მაშინ სასჯელის შეცვლის შემთხვევაში შემსუბუქების მხრივ, მოცემული ქმედების კვალიფიკაციის შეცვლის შემდეგ, ასეთი ახსნა-განმარტების აქტს უნდა ჰქონდეს უკუმაღა.

სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების აქტები წარმოადგენს პროცესს, რომელიც ყალიბდება სამი ძირითადი ელემენტის ერთობლიობით: ესენია - გაგება, ახსნა და მათი აკუმულირების ახსნა-განმარტების აქტი.

სამართლის თეორიაში ახსნა-განმარტების აქტი (ინტერპრეტაციული აქტი) განიხილება, როგორც იურიდიულად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს დაკონკრეტებულ ნორმატიულ მიწერილობებს და მიმართულია სამართლის ნორმის შინაარსის ნამდვილი აზრის დასადგენად.

ოფიციალური ახსნა-განმარტების აქტები, ნორმატიულ-სამართლებრივ და სამართალგამოყენებით აქტებთან ერთად, წარმოადგენენ სამართლებრივ აქტებს, ამიტომ მათთვის დამახასიათებელია იგივე ნიშნები, რაც ზოგადად სამართლებრივი აქტების ახასიათებს.

იმ ორგანოებმა რომლებსაც არ აქვთ სამართალშემოქმედებითი ფუნქცია სამართლის ნორმების ახსნა-განმარტება უნდა განახორციელონ მხოლოდ ასახსნელი ნორმის შიგნით და მის ფარგლებში. დაუშვებელია მათ მიერ ახალი ნორმების დადგენა.

ოფიციალური ახსნა-განმარტების აქტები იერარქიულად განსხვავდებიან.

ავთენტუკური ახსნა-განმარტება წარმოადგენს განმარტებას, რომელსაც აწარმოებს მოცემული სამართლის ნორმის დამდგენი ორგანო. გამოსცემს რა ნებისმიერ ნორმატიულ აქტს, სამართალშემოქმედებით ორგანოს შეუძლია ნებისმიერ დროს განმარტოს ეს ნორმა, მისცეს განმარტებები ნორმატიული აქტის დაზუსტებისა და დაკონკრეტების მიზნით. ავთენტუკური ახსნა-განმარტების სუბიექტებს წარმოადგენს ყველა სამართალშემოქმედებითი ორგანო, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობა. ავთენტუკური ახსნა-განმარტების აქტი სავალდებულო ძალის სამართლის წყაროა. (5 )

დელეგირებული ახსნა-განმარტება ხორციელდება სუბიექტების მიერ, ვისაც ასეთი უფლება მინიჭებული აქვს, ნებადართული აქვს, მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, უზენაესი სასამართლო, რომლებიც არ წარმოადგენენ სამართალშემოქმედებით ორგანოებს, აქვთ უფლება აწარმოონ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ახსნა-განმარტება, მათ შორის ისეთი აქტებისა, რომლებიც მიიღება საქართველოს პარლამენტის მიერ.

სასამართლო ახსნა-განმარტება ხორციელდება სასამართლო ორგანოების მიერ. ადმინისტრაციული ახსნა-განმარტება წარმოადგენს, სამინისტროების, უწყებების, სხვა აღმასრულებელი ორგანოების მიერ წარმოებულ ახსნა-განმარტებებს სამართალგამოყენებით საქმიანობაში.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედებენ წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანოების მიერ წარმოებული ახსნა-განმარტების აქტები, სახელმწიფოს მეთაურის მიერ ახსნილი აქტები, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ახსნა-განმარტების აქტები, საზოგადოებრივი გაერთიანებების, თანამდებობის პირთა, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ განმარტებული აქტები.

ახსნა-განმარტების აქტებს შორის განსაკუთრებული მდგომარეობა უკავიათ პრეზიდენტის მიერ წარმოებულ ახსნა-განმარტებას. თავისი ფუნქციების რეალიზებისას და საკონსტიტუციო უფლებამოსილებების განხორციელებისას საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებებსა და განკარგულებებს. ბრძანებულებით ხდება პრეზიდენტის ნორმატიული ხასიათის გადაწყვეტილებების გაფორმება, ზოგადი ქვევის წესების შინაარსი, რაც გათვლილია მუდმივი ან მრავალჯერადი გამოყენებისათვის და ა გათვლილია ფიზიკურ და იურიდიულ პირთა, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებისათვის განუსაზღვრელი წრისათვის. გადაწყვეტილებანი ოპერატიულ, ორგანიზაციულ და ადმინისტრაციის საკადრო საკითხებზე მიიღება განკარგულებების ფორმით, რომლებიც ბრძანებულებებისაგან განსხვავებით, არ შეიცავენ ნორმატიული ხასიათის მიწერილობებს.

პრეზიდენტის მიერ წარმოებული ახსნა-განმარტებების განმასხვავებელ ნიშნებად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი:

- წარმოადგენენ ოფიციალურ ახსნა-განმარტების აქტებს, რადგანაც ხდება უმაღლესი თანამდებობის პირის – სახელმწიფოს მეთაურის მიერ;
- ატარებენ კანონქვემდებარე ხასიათს;
- აქვთ ნორმატიული ხასიათი, რადგანაც სავალდებულო ხასიათის შესასრულებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სუბიექტისათვის;
- პრეზიდენტის მიერ წარმოებული ახსნა-განმარტების აქტების დროში მოქმედება დაკავშირებულია ნორმათა მოქმედების დროსთან;

დადგენილების ფორმით გამოიყენება მთავრობის გადაწყვეტილებანი, ოპერატიული და სხვა სახის მიმდინარე საკითხებზე გადაწყვეტილებების გამოცემა ხდება სამართალგამოყენებითი აქტებით. მთავრობის მიერ წარმოებული ახსნა-განმარტების აქტები განსხვავდება კანონქვემდებარეობით, შესრულების ვალდებულებით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აქვთ დარგთაშორისი შინაარსი, მომზადების, მიღებისა და გამოქვეყნების გარკვეული პროცედურები: მათი შეცვლა და გაბათილება შესაძლებელი, თუ ისინი არ შეესაბამებიან საქართველოს კონსტიტუციას, კანონებსა თუ პრეზიდენტის ბრძანებულებებს.

სამინისტროების, კომიტეტებისა და უწყებების მიერ წარმოებული ახსნა-განმარტების აქტები თავისი ფორმებით განსხვავდებიან. ისინი გამოიყენება ინსტრუქციების, მითითებების, წერილების, განმარტებების, რეკომენდაციების, ჩანაწერების, ცირკულიარებისა და ა.შ. სახით. ამ აქტების იურიდიული ძალა არ არის ერთმნიშვნელოვანი და დამოკიდებულია მისი გამოცემა ორგანოს ფუნქციებზე.

ახსნა-განმარტების აქტები შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ერთპიროვნულად, ისე კოლევიალურად, პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან: ბრძანებები, ინსტრუქციები, თანამდებობის პირთა მიერ ხელმოწერილი მითითებები, მეორე ჯგუფს – სამინისტროს კოლევების და სხვა ორგანოების გადაწყვეტილებები.

საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილება კონსტიტუციის ახსნა-განმარტების შესახებ იმაში მდგომარეობს, რომ მათი გამოცემა შესაძლებელია მხოლოდ კონსტიტუციის მიერ უფლებამოსილი სუბიექტების მოთხოვნაზე და ა.შ.

საერთო იურისდიქციის სასამართლოების მიერ გამოცემული ოფიციალური ახსნა-განმარტების აქტების თავისებურება დაკავშირებულია სასამართლო სისტემაში ამა თუ იმ ორგანოს დადგენილებასთან, აგრეთვე მის მიერ განხორციელებულ უფლებამოსილებათა მოცულობასა და ხასიათზე.

ახსნა-განმარტების აქტებს ძალა და მნიშვნელობა აქვთ სამართლის ნორმის მოქმედების ფარგლებში, ხოლო მისი შეცვლის ან გაუქმების შესაბამისად შეიცვლება ან გაუქმდება ახსნა-განმარტების მოქმედებაც.

სამართლის გამოყენების პროცესში ახსნა-განმარტების აქტები თავისთავად არ ფლობენ პრაქტიკულ მნიშვნელობას, მათი რეალიზაცია ხდება მხოლოდ ასახსნელი ნორმის გამოყენების შემთხვევაში. ამიტომ აქტების შინაარსი სხვა ნორმატიული აქტებისაგან განსხვავებით უფრო დამხმარე მნიშვნელობისაა.

ნორმატიულ ახსნა-განმარტებას წარმოადგენს კომპეტენტური ორგანოების მიერ წარმოებული ოფიციალური განმარტება, რაც სავალდებულო შესასრულებელია ყველა პირისა და ორგანოსათვის და ყველა შემთხვევისათვის, რაც გათვალისწინებულია ასახსნელი სამართლებრივი ნორმით.

სამართლის თეორიაში ნორმატიულ ახსნა-განმარტებებში მიაკუთვნებენ: ავთენტიკურ და დოქტრინულ ახსნა-განმარტებას.

ავთენტიკური ახსნა-განმარტება წარმოადგენს განმარტებას, რომელსაც აწარმოებს მოცემული სამართლის ნორმის დამდგენი ორგანო. გამოსცემს რა ნებისმიერ ნორმატიულ აქტს, სამართალშემოქმედებით ორგანოს შეუძლია ნებისმიერ დროს განმარტოს ეს ნორმა, მისცეს განმარტებები ნორმატიული აქტის დაზუსტებისა და დაკონკრეტების მიზნით. ავთენტიკური ახსნა-განმარტების სუბიექტებს წარმოადგენს ყველა სამართალშემოქმედებითი ორგანო, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობა

დელეგირებული ახსნა-განმარტება ხორციელდება სუბიექტების მიერ, ვისაც ასეთი უფლება მინიჭებული ანუ ნებადართული აქვს, მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, უზენაესი სასამართლო, რომლებიც არ წარმოადგენენ სამართალშემოქმედებით ორგანოებს, აქვთ უფლება აწარმოონ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ახსნა-განმარტება, მათ შორის ისეთი აქტებისა, რომლებიც მიიღება საქართველოს პარლამენტის მიერ.

მთავრობის მიერ წარმოებული ახსნა-განმარტების აქტები განსხვავდება კანონქვემდებარეობით, შესრულების ვალდებულებით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ აქვთ დარგთაშორისი შინაარსი, მომზადების, მიღებისა და გამოქვეყნების გარკვეული პროცედურები: მათი შეცვლა და გაბათილება შესაძლებელია, თუ ისინი არ შეესაბამებიან საქართველოს კონსტიტუციას, კანონებსა თუ პრეზიდენტის ბრძანებულებებს.

## დასკვნა

ახსნა-განმარტება არის სამართალშემოქმედება, მხედველობაშია არა სამართლის ნორმის შექმნისა და შეცვლის პროცესი, არამედ სამართლის ნორმის გაგებისა და სწორად გამოყენების პროცესი. სამართლის ნორმა ყოველთვის პირველადია, ხოლო ახსნა-განმარტება კი მეორადი მოვლენაა. იგი საჭიროა ურთიერთობის ყველა მონაწილესათვის, მათ შორის დავების სწორად გადასაჭრელად. (3)

სამართალშემოქმედების დახვეწის მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში, სამართლის ნორმების მიღებისას აუცილებლად მიმაჩნია მოხდეს მისი ახსნა-განმარტება, რომ არ მოხდეს სამართლის ნორმებით მანიპულირება და ურთიერთობების არამართლზომიერს მოწესრიგება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**



1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო, უახლესი რედაქციით, 84-ე მუხლი;
2. გივი ლობჯანიძე. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, ქუთაისის საგამომცემლო ცენტრი, 2009 წ
3. Larenz (Canaris Methodentee hreder Rechtswissenschaft, 1995, 141 f)
4. ამირან მოსულიშვილი, მანანა მოსულიშვილი. შესავალი სამართალმცოდნეობაში. თბილისი, 2013 წელი
5. Vering, Geschichte und institutioner der eomischen. Privatrechtes, 1867, \$25, 32f.
6. Friedrich Carl von Savirgy, 1779-1861, Savirgy , System des heutigen römischen Rechts, Band I, 1840 , \$33, 206
7. Heinrich Dernburg , 1829- 1907, Dernburg, Pandekten, Band I, 1884 19, 42
8. Georg Friedrich Puchta, 1798 – 1846 Rudolf von Jhering 1818 – 1892
9. Anton Friedrich Justus Thibaut (1772-1840) Going, Europaisches Privatrecht II, 19, jahrundert, 1985, \$ 40 I, 254

**ამირან მოსულიშვილი**

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, სამართლის სკოლა  
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

### **სამართლის ცნება, არსი, შინაარსის შესრულების აუცილებლობა - სამართლის ავტორიტეტის განმტკიცების წინაპირობა**

#### **რეზიუმე.**

სამართალს დღეისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მისი ჩამოყალიბება ხდება არა მხოლოდ როგორც სახელმწიფოს მმართველობის საშუალება, არამედ, როგორც ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სისტემა.

დღეისათვის იურისტ-მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამართლის ცნება უნდა გამოხატავდეს ისეთ მნიშვნელოვან არსებით ნიშნებს, როგორცაა სამართლის სახელმწიფოებრივ-ნებელობითი და ნორმატიული ხასიათი, მისი გამოხატვის სპეციფიკური ფორმები, სისტემურობა და ფორმალურად განსაზღვრულობა.

ჩვენის აზრით, სამართლის ნორმატიული ხასიათის მიხედვით სამართალს ვასხვავებთ მართლშეგნებისაგან, სუბიექტური სამართლისა და სამართლებრივი ურთიერთობებისაგან.

სამართალი ყოველთვის მაღალავტორიტეტულია და დაფასებული, როცა მასში შემავალი სამართლებრივი ნორმები საზოგადოების მიერ სათანადოდ დადებითად ფასდება და რაც მთავარია, სრულდება კიდევ.

**საძიებო სიტყვები:** სამართლის ცნება, არსი, შინაარსი, ნორმატიული ხასიათი, შესრულების სავალდებულობა

**Amiran Mosulishvili**  
Grigol Robakidze University  
School of Law, Associate Professor

## **Notion and Essence of Law, Necessity of Executions - Main Prerequisite for Strengthening the Law Authority**

### **Summary**

Modern law has particular significance since its formation occurs not only as a means of state government, but also as a system of fundamental rights and freedoms of man and citizen.

Lawyers with the majority of scientists believe that law should reflect the important concept of the essential characteristic features, such as a state-arbitrary and normative character, its specific forms of expression, systematic and formal definiteness.

The author considers that according to the normative character of law, it differs from statutory law, subjective law and legal relations.

Law has always been highly respected and authoritative when its legal norms are positively evaluated by society, and most importantly, are properly fulfilled.

**Keywords:** Notion of law, contents of the statutory nature of the implementation; commitment.

**სამართლის ცნება, არსი, შინაარსის შესრულების აუცილებლობა - სამართლის ავტორიტეტის განმტკიცების წინაპირობა**

### **შესავალი**

თანამედროვე პერიოდში დიდი მნიშვნელობა აქვს თუ როგორ ყალიბდება სამართალი, რას გამოხატავს იგი და როგორ სრულდება იგი. ქართულ ენაში სამართალი სიტყვა სიმართლიდან გამომდინარეობს და უძველესი ისტორიული პერიოდიდანაა ცნობილი, მაგალითად ჯერ კიდევ შოთა რუსთაველი წელს ვეფხისტყაოსანში „ქმნა მართლისა სამართლისა. (2, 535 სტრ)

მეტად მნიშვნელოვანია სამართლის არსებითი ნიშნების განსაზღვრა, რაც დაგვეხმარება ამ ნიშნების შესწავლასა და შემეცნებაში, იურისტი-პრაქტიკოსისათვის იძლევა ყოველმხრივად

სანდო თეორიულ საფუძველს, ყოველივე კი, თავის მხრივ ვლინდება სამართალდამცავი და სამართალგამოყენებითი საქმიანობის პროცესში.

ზემოაღნიშნული ნამდვილად არ არის ადვილი. მაგალითად ლოურენს ფრიდმენი აღნიშნავს: „სამართალი – ყოველდღიურად გამოყენებადი სიტყვაა, იგი სასაუბრო ლექსიკონის ნაწილია და მრავალგვარი მნიშვნელობით გამოიყენება. იგი ისეთ ივე სათუთია და არამდგრადი, როგორც მინა, როგორც საპნის ბუშტი; ისეთივე შეუჩერებელია, როგორც დრო. შეუძლებელია სიტყვა „სამართალზე“ როგორც ზუსტ მნიშვნელობაზე ისაუბრო, საგანზე, რასაც ვერ შევხებოდით, ისე, მაგალითად, როგორც სკამს ან ძაღლს და ა.შ.“ (6, გვ.8)

## #1 სამართლის ცნება.

სამართლის ცნება სხვადასხვა მეცნიერის მიერ სხვადასხვაგვარადაა მოცემული, მაგალითად, სავინის აზრით, სამართალი არის ინდივიდის მოქმედების ფარგლებისა და თავისუფალი სივრცის განმსაზღვრელი წესი, (9 \$52, გვ. 332), დერნბურგი მიიჩნევს, რომ სამართალი არის „საერთო ნება“ ინტერესების კოლიზიისას ადგენს შესაბამის თანაფარდობას“ (10. 19,42), ხოლო პუხტა „სამართალს განსაზღვრავს ინდივიტა ისეთ „საერთო რწმენად“, რომელიც მისი შესრულების ძალაგაა. (11) და ბოლოს ულპიანეს მიაჩნია, სამართლიანობა არის მყარი და მუდმივი ნება, რომ თითოეულს მიეკუთვნოს თავისი უფლება. (12)

სამართლის ნებელობითი ხასიათი ნიშნავს, რომ სამართალი გამოხატავს კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეთა ნებას. აღნიშნული უნდა გავიგოთ, რომ ეს არის სამართალში გამოხატული სახელმწიფოებრივი ნება, რომ ეს საზოგადოების უმრავლესობის ნებაა.

ბუნებრივია, ეს არ ეხება ყველა სამართლებრივ ნორმას, (მაგალითად, საინტერესო მაგალითი მოჰყავს ტ.ნ. რადკოს წიგნში „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია“, იგი აღნიშნავს, რომ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციას რეფერენდუმზე ხმა მისცა გამოცხადებულთა ნახევარზე მეტმა, კერძოდ 58%-მა, ხოლო რეფერენდუმზე გამოცხადდა ამომრჩეველთა მხოლოდ 54%). (8, გვ.227)

ეს უკვე მოსახლეობის თითქმისნახევრის ნახევარია. სამართლებრივი ნორმების მიღების ამდაგვარ მაგალითს ვერ მოვიყვანთ საქართველოს მაგალითზე, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლის მეორე პუნქტი დაუშვებლად მიიჩნევს რეფერენდუმით ნორმატიული აქტის მიღებას. „ არ შეიძლება რეფერენდუმის მოწყობა კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად...(1, მუხლი 74)

ყველაზე ხშირად სამართლის ნორმებს იღებენ პარლამენტები, პრეზიდენტები, მთავრობები, რომლებიც არიან საკითხის დამყენებლები გარკვეული პოლიტიკური პარტიების, მოძრაობების, არჩევნებში გამარჯვებულები და ა.შ

ბოლო წლებში ისტორია გვიჩვენებს, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში აბსოლუტური გამარჯვებულები პრაქტიკულად არ არსებობენ. პარლამენტები და პრეზიდენტები, როგორც წესი, წაგებულებთან შედარებით, ხელისუფლების სათავეში მოდიან გარკვეული მცირედი უპირატესობებით. მიუხედავად ამისა, ისინი იღებენ ზოგადსავალდებულო ხასიათის სამართლებრივ აქტებს, ხშირად ამ აქტებშია გამოხატული არა მთელი საზოგადოების ინტერესები, არამედ მხოლოდ გამარჯვებული ძალების ინტერესები. სახელმწიფოს სამართლებრივ აქტებს აქვთ სახელმწიფოებრივ-ნებელობითი ხასიათი, რამდენადაც მათში აიხსნება, რომ სამართლის ნორმები იმ პირთა ნებელობითი შედეგია, ვისაც ეკუთვნის სამართალშემოქმედებითი ფუნქცია, შესაბამისად, სამართალი – ადამიანთა ნების პროდუქცია;

ძალაში შესული სამართლებრივი აქტი არსებით ზემოქმედებას ახდენს ადამიანთა ნებაზე, უკრძალავს ან ნებას რთავენ მათ გარკვეულ ქცევაზე.

იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ სამართალში რა სახის ნების გამოხატვაზეა საუბარი, როგორ შეესაბამება ცალკეული ადამიანის ნება სამართალში გამოხატულ ნებას, საჭიროა, განვასხვავოთ ისეთი ცნებები, როგორცაა „ნება ფსიქოლოგიური აზრით“ და „სახელმწიფოებრივი ნება“.

ფსიქოლოგიური აზრით ნება – ადამიანის ტვინის ნორმალურად აზროვნება ადამიანის შეგნებული ცხოვრების ერთ-ერთი გამოვლენაა. ფსიქოლოგების მიერ ნება განისაზღვრება, როგორც პიროვნების ფსიქოლოგიური ცხოვრების ერთ-ერთ მხარე, გამოხატული მის შეგნებულ ქმედებებსა და ქცევებში.

სამართალი სულაც არ არის ნებისმიერი ნების გამოხატვა, იგი მხოლოდ ისეთი ნების გამოხატვაა, რომელიც ჩადებულია კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში. სწორედ ასეთი ნება იძენს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და ყველა მოქალაქის მიერ ზოგადსავალდებულო შესასრულებელია.

სწორედ ამიტომ აქვს სამართალს არა უბრალოდ ნებელობითი, არამედ სახელმწიფოებრივ-ნებელობითი ხასიათი.

## **#2 სამართლის ნორმატიული ხასიათი.**

სამართალში გამოხატული ნების საფუძველში ჩადებულია ეკონომიკური, პოლიტიკური, ზნეობრივი და ა.შ. მოთხოვნები და ინტერესები. მათ შორის უმთავრესია ეკონომიკური ინტერესები. მრავალფეროვანი მოთხოვნებიანი ადამიანის შეგნებაშია და ზემოქმედებენ მათ ნებაზე.

**სამართლის ნორმატიული ხასიათი.** სამართლის სახელმწიფოებრივ-ნებელობითი ხასიათი ორგანულადაა დაკავშირებული მის ნორმატიულობასთან. სამართალი შედგება ნორმებისაგან – ქცევის ზოგადი ხასიათის წესებისაგან, რომლებიც მიმართულია რეგულირებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების დაცვისაკენ.

სამართლის ნორმატიული ხასიათი გამოხატავს ობიექტურ მოთხოვნებს „მოიცვას ზოგადი წესები“, ცალკეული ადამიანი ემორჩილება ამ საერთო პირობებს. მაგალითად, გივი მალცევი წერს (ვეფქრობთ, სრულიად მართებულად- ა.მ.) ნორმატიულობა, სამართლის უნივერსალური და ღრმა თვისებაა. ნორმა არის უძველეს ჩვეულებაშიც და თანამედროვე კანონშიც~

სამართლებრივი ნორმები დადგენილი ან სანქციონირებულია სახელმწიფოს მიერ და შესასრულებლად ზოგადვალდებულო ხასიათისაა. ეს ქცევის წესები გათვლილია არა რომელიმე ერთჯერად, ინდივიდუალურ გარემოებაზე, არამედ სისტემაზე, მის მრავალჯერად გამოყენებაზე.

სამართალში მოიაზრება ნორმათა სისტემა (ერთობლიობა) – ზოგადი ხასიათის ქცევის წესები, წინა პლანზე წამოიწევს სამართლის ნორმატიული გაგების წინააღმდეგი არგუმენტები, ზოგიერთი მეცნიერი გვთავაზობს სამართლის გაგებისადმი უფრო ფართო მიდგომას.

მეცნიერთა ერთი ნაწილი ვარაუდობდა რა, რომ სამართლის ნორმების შესწავლა იურისტისათვის პირველადი ვალდებულებაა, აღნიშნავდა, რომ იურისტთა უმრავლესობა იზღუდება მხოლოდ სამართლის ნორმების შესწავლით, მათი განხორციელებით სამართლებრივ ურთიერთობებში. იგი იძლევა სამართლის განსაზღვრებას, რომ სამართალი მოიცავს როგორც ნორმებს, ისე სამართლებრივ ურთიერთობებს, თუმცა, სხვების აზრით, ამ განსაზღვრებაში არ ითვალისწინებენ

ისეთი არსებითი სამართლებრივი ფორმების გამოვლენას, როგორცაა მართლშეგნება, რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მთელი ხალხის ნების ფორმირებისათვის, სახელმწიფო ხელისუფლების სახით, ისე კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობების ფორმირებისთვისაც.

ჩვენის აზრით, სამართლის ნორმატიული ხასიათის მიხედვით სამართალს განსხვავებით მართლშეგნებისაგან, სუბიექტური სამართლისა და სამართლებრივი ურთიერთობებისაგან. თუ დავეთანხმებით მეცნიერთა ორივე მოსაზრებას და სამართლის ცნებაში ჩავრთავთ სამართლებრივი ურთიერთობებისა და მართლშეგნების ცნებებს, მაშინ ეს ნიშნავს, რომ ურთიერთობათა მონაწილეების ქცევას უნდა მიეცეს ისეთივე ზოგადსავალდებულო მნიშვნელობა, როგორც აქვს თვით სამართლის ნორმას. ( 7)

თანამედროვე პერიოდში სამართლის ფართოდ გაგების იდეას ეძლევა უპირატესობა სხვადასხვა ქვეყნის იურისტ-მეცნიერთა ნაშრომებში, რომელთა ანალიზი საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ძველებურად არ არის მკვეთრი განსხვავება სამართალსა და იურიდიულ ზედნაშენს შორის, მისი რეალიზაციის ფორმებს; სამართლის სისტემასა და ადამიანის უფლებებს შორის. ისინი მჭიდროდ დაკავშირებული, ურღვევი, ურთიერთშედწევადი და იმავდროულად არა იდენტურებია.

როცა ჩვენ ვსაუბრობთ სამართლებრივ ურთიერთობებზე, გვესმის, რომ ეს განსაკუთრებული, დამოუკიდებელი, განსხვავებული სამართლის ნორმებისაგან შემდგარი სამართლის სისტემის ელემენტია, რომელსაც ახასიათებს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი შემდეგი მახასიათებლები: სუბიექტური სამართალი, იურიდიული ვალდებულებანი, ობიექტი, იურიდიული ფაქტი და ა.შ. თუ საუბარი სამართლებრივი ურთიერთობების პრინციპებზე ან მართლშეგნების შესახებაა, ეს სამართალთან მჭიდროდ დაკავშირებული, მაგრამ მისგან განსხვავებული მოვლენებია, თუმცა განსახიერებელია სამართალში, მაგრამ დამოუკიდებლად არსებული სამართლებრივი იდეოლოგიის, სამართლებრივი ფსიქოლოგიის სახით, რომლებიც მოქმედებენ სამართლებრივი ნორმების წარმოქმნამდე და აგრძელებენ ცხოვრებას მათი შეცვლის შემდეგაც.

ვეთანხმებით რა იმ მოსაზრებას, რომ სამართლის ნორმატიული გაგება რამდენადმე უფრო ვიწროა, ვიდრე სამართალი, მაინც ვერ ვადიარებთ, რომ სამართლის ფართოდ გაგება უფრო მართებულია, რადგან სამართლის შესახებ ასეთი მიდგომა ქმნის რამდენადმე გაფანტულ წარმოდგენას, ვინაიდან არავითარ მაღალ იდეალებს თავისთავად არ შეუძლიათ შეცვალონ ადამიანთა შორის ურთიერთობების სახელისუფლო ნორმატიული რეგულირება, ემსახუროს ობიექტურ კრიტერიუმად ადამიანთა ქცევის მართლზომიერებას და არამართლზომიერებას, პრაქტიკაში ჩვენ ვხედავთ, მაგალითად, რომ ადამიანის ბუნებითი და თავისუფლებების უმრავლესობა სხვადასხვა ადამიანების მიერ გაიგება სხვადასხვაგვარად, რადგან საზოგადოება შედგება მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენის, ჯგუფისაგან და ყოველ მათგანს, ბუნებრივია, აქვს ამ ცნების საკუთარი გაგება.

ზუსტად ასევე, თითქმის ყველა მოქალაქეს, აქციონერს, მესაკუთრეს და ა.შ აქვთ თავისი წარმოდგენა სამართლიანობაზე, თავისი შეხედულება უფლებებისა და თავისუფლებების ფარგლებზე. ასეთ სიტუაციაში, ობიექტური კრიტერიუმების გარეშე, ე.ი. მოქმედი პოზიტიური სამართლის (კანონის, კანონქვემდებარე აქტის), რომლებიც შეიცავენ სამართლის ნორმებს, რთულად გადასაჭრელია სამართლის სუბიექტების შესახებ ნებისმიერი დავა, მათი უფლებები და ვალდებულებები.

იმისათვის, რომ მივაღწიოთ სამართლის არსის უფრო ღრმად აღქმას, აუცილებელია აბსტრაგირებული იქნას იგი სამართლებრივი ურთიერთობების, ცალკეული სუბიექტისაგან, ცალკეული მონაწილისაგან, მაშინ შესაძლებელია დავინახოთ და აღვნიშნოთ სამართლის შედარებით უმნიშვნელოვანესი არსებითი, მთავარი ნიშნები, რომლებიც მას, როგორც მიზნობრივ ფენომენს ახასიათებს.

როგორც ცნობილია, სამართალი ნორმების, ზოგადსავალდებულო ქცევის წესების სისტემაა, მათი ერთობლიობაა, რომლებიც:

- გამოხატავენ სახელმწიფოს ნებას, რომელსაც შეესაბამებინ გარკვეული ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პირობები;
- დადგენილია ან სანქციონირებულია სახელმწიფოს მიერ;
- მათი შეუსრულებლობის შემთხვევებში დაცულია სახელმწიფოს იძულებითი ზომებით და
- ზემოქმედებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მართლწესრიგის განმტკიცების მიზნით, სასარგებლოა მთელი საზოგადოებისათვის ან პოლიტიკური ძალებისათვის, რომლებიც ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლების მიერ.

აქ უნდა გავაკეთოთ დათქმა, რომ ზემოხსენებული მიეკუთვნება პოზიტიურ სამართალს. არ შეიძლება არ აღინიშნოს გარკვეული უფლებებისა და თავისუფლებების არსებობა, რომლებიც მიეკუთვნება ბუნებრივ უფლებებსა და თავისუფლებებს. ამ უფლებებს არ ესაჭიროება სახელმწიფოებრივი აღიარება, თუმცა მათი დადასტურება და დაცვა – ნებისმიერი სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა. ესენია ადამიანის სიცოცხლის უფლება, სახელი, ღირსება, პატივი, საკუთრება, საცხოვრებელი ადგილის შერჩევა, აგრეთვე გადაადგილების, აზრის, რწმენის თავისუფლება. ჩამოთვლილ უფლებებსა და თავისუფლებებში კონცენტრირებულია ადამიანის შედარებით ფასეული, შედარებით მაღალზნეობრივი მოთხოვნები სახელმწიფოსადმი, სხვა მოქალაქეებისადმი, რათა აღიარონ და პატივი სცენ ამ უფლებებს. თუმცა, ამ უფლებათა უფლებათა დაცვის გარანტიები სულ უფრო ძლიერდება, რადგან აღიარებულია სახელმწიფოს მიერ.

მოცემულ შემთხვევებში საუბარია ადამიანის კონკრეტული უფლებების შესახებ, თუ სამართლის განმარტებაში არ აღინიშნება ადამიანის ბუნებითი უფლებები, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ხდება მათი იგნორირება ან დაკნინება, არ ხდება მათი აღიარება და ამიტომ განსაზღვრება არ არის სწორი.

სამართლისადმი ნორმატიული მიდგომა მაინც რით უშლის ხელს სამართლიანობის განმტკიცებას? თუ სახელმწიფოს მიერ გამოცემული სამართლის ნორმა განამტკიცებს, აფართოებს და გარანტირებს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, განსაზღვრავს პასუხისმგებლობას დარღვევისათვის, ამით იგი ემსახურება ადამიანის ბუნებით უფლებებს.

პოზიტიური სამართალი, მისი მნიშვნელოვანი ნიშნები განისაზღვრება იმით, რომ ის ცხოვრობს და მოქმედებს რეალურ სინამდვილეში. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია რეალურად იმოქმედოს როგორც ცალკეულ ადამიანზე, ისე მთელ საზოგადოებაზე.

სამართალს აქვს გამოხატვის სპეციალური ფორმა. სახელმწიფოებრივი ნება, რომ ჩაითვალოს სამართლად, უნდა იყოს გაფორმებული სამართლებრივი ნების ნიშნით. არ შეიძლება მისი გამოცხადება განცხადების, პროგრამების, მიმართვების და ა.შ. სახით. ამდგვარ დოკუმენტებში გადმოცემულია განზრახვების, სურვილების, სწრაფვების და ა.შ. სახით. სამართლისადმი ისტორიული პრაქტიკით გამომუშავდა არსებობის საკუთარი, სპეციფიკური ფორმები. ეს არის სახელმწიფოს მიერ სანქციონირებული ჩვეულებანი, ადმინისტრაციული ან სასამართლო

პრეცედენტი, ნორმატიული აქტი, გამოცემული კომპეტენტური ორგანოების მიერ, ხელშეკრულება, დადებული მხარეთა მიერ.

სახელმწიფოს ნების გამოხატვა ხდება კანონმდებლობით ზოგჯერ სამართალი, არ არის მთლად სამართლიანი, კანონი, სამართლის უმნიშვნელოვანესი ფორმაა, სამართლის ამა თუ იმ ფორმის წარმოშობა დაკავშირებულია პოზიტიური სამართლის დადგომის ისტორიულ პირობებთან, ეროვნულ ტრადიციებთან, ხალხის სამართლებრივ ფსიქოლოგიასთან და სამართლებრივ იდეოლოგიასთან.

### **#3 სამართლის სისტემურობა.**

ნებისმიერ თანამედროვე სახელმწიფოში სამართალი შესაძლებელია წარმოადგენდეს შეთანხმებულ, არა ურთიერთსაწინააღმდეგო, ურთიერთგანპირობებულ სისტემას. უკვე არსებულ მოქმედ სამართლებრივ ნორმებსა და ახალ ნორმატიულ აქტებს შორის უნდა იყოს აუცილებელი შეთანხმებულობა, თანამიმდევრობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართალი კი არ დაარეგულირებს ურთიერთობებს საზოგადოებაში, არამედ პირიქით, გააჩენს წინააღმდეგობებსა და კონფლიქტებს. ისტორიისათვის ცნობილია სამართლის არსებული სისტემის ნგრევის მრავალი შემთხვევა და თავისუფალ ადგილას ახალი სამართლებრივი სისტემის შექმნა. ამ პროცესებს ყოველთვის თან სდევს სამართლებრივი ტრადიციების ნგრევა, სამართლებრივი რომანტიზმის წარმოშობა, სამართლებრივი ნიჰილიზმის გაძლიერება, რაც უარყოფითად მოქმედებს მართლწესრიგზე, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე, ყალიბდება მათდამი უპატივცემულობა. კანონმდებელი, რომელსაც არ ძალუძს დაიცვას სამართალში სისტემურობის დაცვის მოთხოვნები, განწირულია არაეფექტური სამართალშემოქმედებისათვის.

### **#4 სამართლის ფორმალურად განსაზღვრულობა.**

სამართალი წარმოდგენილია როგორც ფორმალური მასშტაბი, რეგულირების ყველა მონაწილესათვის ერთნაირად თანასწორია. სამართლებრივ მიწერილობებში განსაზღვრულია სამართლის ყოველი სუბიექტის (სახელმწიფოს, ორგანიზაციების, თანამდებობის პირთა, მოქალაქის, უცხოელის, მოქალაქეობის არმქონე პირის) ქცევის საზღვრები, მათი უფლებები და მოვალეობანი დამაგრებულია. მოცემული ნიშანი მით უფრო გამოკვეთილად ვლინდება სამართალში, რაც უფრო ძლიერად და ღრმად დაეუფლება კანონმდებელი საკანონმდებლო ტექნიკას. რაც უფრო გარკვევით აყალიბებს სამართლებრივ მიწერილობებს, რომლებიც უნდა იყოს გასაგები და ნათელი სამართლებრივი რეგულირების მონაწილეთა ყველა მონაწილესათვის. ამით სამართალი უფრო ეფექტურად ასრულებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმალური რეგულატორის ამოცანას. შემთხვევითი როდია, რომ სამართალი ზოგჯერ განისაზღვრება როგორც „ფორმალური თავისუფლება“. ფორმალური განსაზღვრულობის შედეგად სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტებისათვის ცნობილია მინიჭებული უფლებები, რომელთა საზღვრებშიც მათ შეუძლიათ იმოქმედონ ან მოითხოვონ სამართლის სხვა სუბიექტებისაგან საჭირო ქმედებები, აქვთ შესაძლებლობა თავისი უფლებებისა და მოვალეობების რეალიზებისათვის.

**ობიექტური სამართალი** სახელმწიფოში მოქმედი ზოგადსავალდებულო წესებია (ნორმებია), რომლებიც აისახება კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში. ასეთი ნორმები გამომდინარეობს საყოველთაოდ აღიარებული წესებიდან, საერთაშორისო აქტების პრინციპებიდან და ხელშეკრულებებიდან. ადამიანი, რომელიც დაიბადა სახელმწიფოში, ან რომელმაც მიიღო მოქალაქეობა, თითქოსდა უკვე იღებს გამზადებულ ზოგადსავალდებულო წესების (ნორმების) სისტემას, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა მისთვის და რომლებიც მას აკისრებენ გარკვეულ შესაძლებლობას ამ სახელმწიფოში მათი მოქმედებისათვის.

მოქმედი სამართლის სისტემის ნორმები ფორმალურია, ადგენენ გარკვეულ ზოგად მოთხოვნებს სამართლის სუბიექტებისათვის, ანიჭებენ მათ უფლებებსა და ვალდებულებებს, რომელთაც აქვთ ზოგადსავალდებულო ხასიათი.

როცა საუბარია სამართალზე სუბიექტური აზრით, მაშინ მხედველობაშია, რომ სამართალი ეკუთვნის კონკრეტულ პირს (ფიზიკურს ან იურიდიულს). შემთხვევითი როდია, რომ რ. იერინგი გვთავაზობდა სამართლისათვის სუბიექტური აზრით დაერქვა კონკრეტული, ხოლო სამართლისათვის ობიექტური აზრით – ზოგადი ანუ აბსტრაქტული. ( ) სამართალი სუბიექტური აზრით არის მოქალაქის, უცხოელის, მოქალაქეობის არმქონე პირის სუბიექტური სამართალი. ეს საერთო აღიარებით არის ქცევის, ქმედების შესაძლო სახე და ზომა, მისთვის მიკუთვნებული უფლებებით. ეს ადამიანის პირადი, ინდივიდუალური უფლებაა, რომლითაც მას შეუძლია ისარგებლოს ანუ თავისი ინტერესებისათვის მოახდინოს რეალიზება ან უარი თქვას მათ რეალიზებაზე და ა.შ სუბიექტური სამართალი კონკრეტული პირის უფლებამოსილებაა, რაც ობიექტურ სამართალზეა დაფუძნებული. ამ გაგებით სუბიექტური სამართალი თვითნებური, თვითაღიარებული სამართალი კი არ არის, არამედ იგი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი საშუალებების, ნებადართული ქმედებების მომთხოვნელობის, გადაწყვეტილებების მოთხოვნების, კანონიერი ქცევის გარანტირებული სისტემაა.

სამართლის გამიჯვნა ობიექტური და სუბიექტური აზრით იმაში მდგომარეობს, რომ ობიექტური სამართლის ფაქტობრივი რეალიზება ხდება სუბიექტური სამართლის მეშვეობით ანუ ობიექტური და სუბიექტური სამართალი ურღვევ ერთობლიობაშია და მათი უერთმანეთოდ არსებობა შეუძლებელია.

## **#5 სამართლის არსი.**

სამართლის არსის შესახებ საკითხი სამართლის შესახებ ერთ-ერთი ფუძემდებლური, მთავარი, შედარებით მნიშვნელოვანი მოძღვრებაა. მითუმეტეს, რომ სამართლის არსი მრავალსაპექტიანია. ამ საკითხს მიემდვნა მრავალი სამეცნიერო სტატია და მონოგრაფია, რომელთა მხოლოდ ჩამონათვალსაც კი განხილვისა და ანალიზის გარეშე, მათში განხილული აზრებისა და იდეების გარეშე შეუძლიათ ამ თეზისის დამტკიცება.

თუ რატომაა ამდენი წიგნი მიძღვნილი სამართლის არსისადმი (სამეცნიერო სტატია, რასაკვირველია, კიდევ უფრო მეტია), ვფიქრობთ ნათელია. სამეცნიერო მნიშვნელობის გარდა, სამართლის არსის შესახებ საკითხს, უკანასკნელ პერიოდამდე ჰქონდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, რამდენადაც იდეალიზებულ იურიდიულ ლიტერატურაში იყო ერთ-ერთი პრინციპული პოლიტიკური დავის საგანი სოციალისტური იურიდიული მეცნიერების წარმომადგენლებსა და ე.წ. ბურჟუაზიას შორის. ეს ნამდვილად იყო სამართლის არსის ცნებისადმი ორი პრინციპული ურთიერთდაპირისპირებული მიდგომა. `არსი` ნიშნავს საგნის შედარებით ღრმა, მდგრადი ნიშნების ერთობლიობას (ამ შემთხვევაში სამართლის ნიშნების ერთობლიობაა მხედველობაში). დისკუსიის საგანი სწორედაც რომ სამართლის წარმოშობის მიზეზები, მისი განსაზღვრება, საზოგადოებაში მისი როლი, დამახასიათებელი ნიშნები და ა.შ. ზოგისათვის სამართალი არის სამართლიანობისა და თავისუფლების ინსტიტუტი, ადამიანთა უფლებების ხელისუფლებისაგან დაცვის საშუალება, ადამიანური კულტურის მიღწევა და გონება, ხოლო სხვებისათვის – საზოგადოებრივ ურთიერთობათა კლასობრივი რეგულატორია.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ სამართლის არსისადმი უფრო თავისუფალი მიდგომის გზაზე ძირითად ბარიერს საბჭოთა იურისტების უმრავლესობისათვის დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა იდეოლოგიური ბარიერი.



სამართლის არსის შესახებ ას წელზე მეტი ხნის წინ კ. მარქსისა და ფ.ენგელსის მიერ გამოთქმული დებულებები, რომ „სამართალზე მაღლა დგას მხოლოდ კანონად აღიარებული კლასის ნება“ - პრინციპში იმ პერიოდისათვის ეს, მართებულიც იყო. თუმცა, აღნიშნული დებულება, „ყველა დროისათვის“ გახდა დოგმა. თუმცა მათი ავტორები ამას ასე სულაც არ მიიჩნევდნენ. იურიდიული მეცნიერებების იდეოლოგიზაცია იყო სწორედ მიზეზი სამართლის არსის ცალმხრივად შემუშავებისა, რამდენადაც შეუძლებლად მიაჩნდათ კლასობრივი მიდგომისაგან გადახვევა, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ეს დასავლური ქვეყნების სამართლის დახასიათებას ეხებოდა.

სამართლის მნიშვნელობა სახელმწიფოს საერთაშორისო და საშინაო საქმეებში არა თუ მცირდება, არამედ მნიშვნელოვანწილად იზრდება, რომ არაფერი ვთქვათ მის მნიშვნელობაზე ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად:

სამართლის არსის ქვეშ მოიაზრება სამართლებრივი მოვლენების აუცილებელი ზოგადი და ძირითადი, მთავარი და მყარი ნიშნები, თვისებები, რომლებიც განსაზღვრავენ სპეციფიკას და სამართლის განვითარების კანონზომიერებებს, როგორც დამოუკიდებელ სუბსტანციებს.

სამართლის არსის შემადგენელი ნიშნები და თვისებები განუყოფელია მისგან, აუცილებლად მასთან ერთად არიან. არსის მიღწევა – ნიშნავს გავიგოთ ცნება და სამართლებრივი მოვლენები, გავიგოთ, რატომაა ისინი სწორედ ასეთები? ეს მეთოდოლოგიური მოთხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ არსის მოვლენები უნდა იქნას გაანალიზებული საზოგადოებრივ ურთიერთობებში; სამართლის რეალური ყოფიერების სახით მოქმედებაში.

სამართლის არსის გახსნა საერთოდ შეუძლებელია მხოლოდ კატეგორიებით, მისი შემეცნება შესაძლებელია შემეცნებული და გამოვლენილი იქნას მხოლოდ იმ კატეგორიათა სისტემის დახმარებით, რომლებიც წარმოსახავენ სამართლის ნამდვილ ბუნებასა და ისტორიას.

კატეგორიათა ერთმანეთთან ურთიერთკავშირი ურთიერთგადასვლა ფილოსოფიის ერთ-ერთი მოთხოვნაა. ადამიანური ცნებები არ არის უმოდრაო, ისინი მუდმივ მოძრაობაშია. „მოძრაობის გარეშე არ გამოხატავენ ცოცხალ ცხოვრებას“. გამოკვლევებს მუდმივად ექვემდებარებოდა სამართლის შინაარსი და ფორმა“. სამართალსა და სხვა მეცნიერებებში ამის შესახებ იყო შრომები, მაგ., „მიზეზი და შედეგი“ სამართალში და ა.შ, ხოლო კატეგორია „სამართლის არსი“ ხანგრძლივი დროის მანძილზე იყო „ეულად“. მხოლოდ „სამართლის ფუნქციების“ ცნების მეთოდოლოგიურ ბრუნვაში შემოღებამ გააჩინა მისი უფრო ღრმად შესწავლის შესაძლებლობა. (5გვ87)

კატეგორია „სამართლის არსი“ სამართლის თეორიაში გამოდის, როგორც ფუნდამენტური ცნება, ხოლო სამართლის თეორიის ცნებობრივი სისტემა გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება სამართლის არსის გამოვლენა ისტორიულად, როგორ გადადის მოვლენებში სამართლის ნორმები, სამართლებრივი ურთიერთობანი, კანონიერება და მართლწესრიგი, რომლებიც იძენენ სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მიწერილობების ფორმებს, გამოდიან სამართლებრივი რეგულირების მექანიზმში.

არსი არსებობს არა როგორც ერთჯერადი, აბსოლუტური, ცალკეული მოვლენა, ამოგლეჯილი გარკვეული სისტემიდან, არ შეიცავს თავის თავში არავითარ არსს. ეკონომიკისა და სამართლის ურთიერთკავშირის ანალიზი, მაგალითად, უნდა მოიცავდეს ეკონომიკის გავლენას სამართლის განვითარებაზე ან კანონმდებლობის მნიშვნელობას ეკონომიკის გაძლიერებისა და განვითარებისათვის. სამართლის პოლიტიკური როლის გამოკვლევა, კი მისი პოლიტიკური შინაარსის, პოლიტიკის მიმართულების შემეცნებაა.

თუმცა „მოვლენა და არსი“ არ არის რაღაც ერთგვაროვანი. მოვლენა არ არის არსის ზევით, იგი უშუალოდ თვით არსია, ისევე, როგორც არსი რეალურია, როგორც ის, რაშიც ისინი გამოიხატებიან.

არსის ჩარჩოები არა ერთხელ და მუდმივად მოცემული, არა სტატუტურია, არამედ დინამიკური და ცვალებადია, ვითარდება რა სხვადასხვა მიზეზით, მოძრავი ძალების გავლენით. შესაბამისად იცვლებიან სამართლის არსის ჩარჩოებამდე, რამდენადაც მოცემული არსი, განვითარების პროცესში წარმოშობს ახალ კავშირებს, ურთიერთობებს, მოიცავს რა უფრო და უფრო ფართო მოვლენებს. თეორიული კვლევების ამოცანა მდგომარეობს ამ ახალი კავშირებისა და მოვლენების შეღწევაში, ახალი ურთიერთობების გაცნობიერებაში. ამით აღმოჩნდება, რომ სამართლის არსის სიმდიდრე, რაც პირველ რიგში, მტკიცდება პოზიტიური, სოციალური მნიშვნელობის ფაქტებით, რომლებიც ქმედების შედეგად წარმოიშვნენ, აგრეთვე თვით სამართალში ახალი მოვლენებით, რომლებიც განიცდიან გარკვეულ ცვლილებებს სოციალური ფაქტორების ზეგავლენით. გამდიდრების ეს პროცესი, სამართლის არსის განვითარება უსასრულოა, ამოუწურავი და უწყვეტი. სწორედ ასეთივე უწყვეტი უნდა იყოს მისი შემეცნება, სამართალი ფორმისა და შინაარსის, არსისა და მოვლენის ერთიანობაა.

„სამართლის არსის“ და „სამართლის მოვლენის“ კატეგორიები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ სამართლის არსი გამოხატავს სამართლებრივი მოქმედების განვითარების ზოგად კანონზომიერებებს, ხოლო ცალკეული სამართლებრივი მოვლენა გამოხატავს მათი განვითარების მხოლოდ სპეციფიკურ კანონზომიერებებს; სამართლის არსში წარმოდგენილია სამართლის მოვლენათა ყველა ძირითადი, არსებითი, მთავარი ნიშანი ერთობლიობაში, მაშინ, როცა ცალკეული სამართლებრივი მოვლენა კიდევ შეიცავს არაძირითად, არაარსებით, არამთავარ ნიშნებს; სამართლის არსში შედის რაღაც შინაგანი, ღრმა, აუცილებელი, ხოლო მოვლენა, ხშირად მოიცავს გარეგან, ზედაპირულ და შემთხვევითს. სამართლის არსი მყარია, მშვიდია და მუდმივია, მოვლენა კი უფრო დინამიურია, მოძრავი და ცვალებადია; არსი ემსახურება სამართლის მოვლენათა კონცენტრირებულ გამოხატულებას, ხოლო უკანასკნელთ (ანუ სამართლის მოვლენებს) შეუძლიათ პირდაპირ, უშუალოდ და თავისთავად გამოვიდნენ.

სამართლიანად ისმის კითხვა: როგორია სამართლის მოვლენათა მიერ სამართლის არსის გამოხატვის ხასიათი მის მოვლენებში?

რამდენადაც სამართლის გამოვლენა მრავალმნიშვნელოვანი, სხვადასხვაგვარია, ამიტომ მისი არსის გამოხატულებაც უნდა შეესაბამებოდეს მის ფაქტობრივ მნიშვნელობას. თუ სამართლის ნორმებში ვლინდება არსის მხოლოდ ნაწილი, რაღაც მომენტი, მაშინ მაგალითად, სამართლის დარგებში ან სამართლის ფუნქციებში – სამართლის არსის, მისი მნიშვნელოვანი ნაწილის ფართო მხარეა.

#### **#6 სამართლის შინაარსის შესახებ.**

სამართლის შინაარსის პრობლემა სამართლებრივი აზრისათვის, უკვე დიდი ხანია, რაც საინტერესოა. ჩვენი მეცნიერება არ შეიძლება იზღუდებოდეს მხოლოდ იურიდიულ ნორმათა ფორმალური ნიშნებით, ამიტომ უნდა შევუდგეთ იურიდიულ ნორმათა შინაარსის, მისი შინაგანი ბუნების, სამართლის არსის შესწავლას.

სამართლის შინაარსის შესახებ თავისი აზრი გამოთქვა მეცნიერთა უმრავლესობამ, მაგალითად იხ. (3,4)

მათი ანალიზი მოცემულია დ.ა. ქერიშვილის ნაშრომში „სამართლის ფილოსოფიური პრობლემები“ (მ.,1972). ამ პრობლემას მიმართეს სამართლის ფორმის მკვლევარებმაც, რამდენადაც, ფორმა მოკლებულია ყოველგვარ ფასეულობას, თუ იგი არ არის შინაარსის ფორმა .

ჩვენის აზრით, სამართლის შინაარსის პრობლემის განხილვისას საჭიროა გათვალისწინებული იქნას, რომ იგი, საბოლოო ჯამში განისაზღვრება სოციალ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარების ღრმა პროცესებით – წარმოებითი ურთიერთობების ტიპით, კლასობრივი ძალების (ურთიერთბრძოლის, სოციალური კომპრომისების და ა.შ) გადანაწილებით, რაც სამართალშია გამოხატული სამართლებრივი დადგენილი წესების მრავალფეროვნების სახით.

თუ საგნის არსის ქვეშ იგულისხმება მისი ბუნების შედარებით მთავარი თვისება, მაშინ შინაარსის ქვეშ გაიგება საგნის არსის კონკრეტული გამოხატულება, რაც გამოხატულია მის ელემენტებში, რომლებიც ურთიერთმოქმედებენ ერთმანეთთან და გარემოსთან საზოგადოებრივი პირობებით, რომლებშიც ისინი მოქმედებენ.

სამართლის შინაარსში შედის აგრეთვე მისი ნორმებით გათვალისწინებული ხალხის შესაძლო და საჭირო ქცევა. აქედან გამომდინარე, როგორც დასკვნა სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის სახელმძღვანელოების ავტორები აღნიშნავენ, სამართლის შინაარსში შედის მისი რეგულაციური ფუნქცია – ზემოქმედება საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, რომლებიც ხორციელდება ხალხის ქცევაზე ზემოქმედების გზით.

თუ სამართლის შინაარსის პრობლემას განვიხილავთ არა მხოლოდ ფილოსოფიური პოზიციიდან, არამედ იურიდიული თვალთახედვითაც, დაგვაახლოვებს იგი არა ზოგადად შინაარსთან, არამედ იურიდიულ შინაარსთან, მაშინ მივყავართ დასკვნამდე. სამართლის შინაარსში საჭიროა განვასხვაოთ სოციალური, სახელმწიფოებრივ-ნებელობითი და საზოგადოებრივ-იურიდიული მომენტები. მსგავსი სტრუქტურული ანალიზი საჭიროა „სამართლის შინაარსის“ კატეგორიული აზრის შედარებით უფრო კონკრეტულად გამოკვლევა. ეს განსხვავება გვეხმარება დავაკვირდეთ სამართლებრივში სოციალური შინაარსის შთანთქმის პროცესებზე. სოციალური განაპირობებს სახელმწიფოებრივ ნებას, რომ თავის მხრივ, არის საკუთრივ-იურიდიულს. სოციალურ შინაარსში მთავარია ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები და ინტერესები, რამდენადაც სწორედ ისინი მიმართავენ სახელმწიფოსა და სამართალს, სწორედ მათთვისაა აუცილებელი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი თანადგომა რეალიზაციის ფორმა.

ცნობილია, რომ დასაწყისში უნდა იყოს (და არის კიდევ) ინტერესით გამოწვეული იურიდიული მოტივი, შემდეგ კი ჩნდება კანონი. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ სახელმწიფოს მხრიდან მივიღოთ კანონის სანქცია, ეკონომიკური ფაქტები უნდა მივიღოთ იურიდიული მოტივის ფორმით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლის სოციალური და სახელმწიფოებრივ-ნებელობითი შინაარსი რეალობაა, იურიდიული შინაარსი საწყისში – სოციალურია, შემდეგ გაივლის რა სახელმწიფოებრივ-ნებელობით პროცედურებს განმტკიცდება სამართლებრივი აქტით. ეს არ არის სამართლებრივი ფორმა, არ არის ნორმატიული აქტი, არამედ ეკონომიკური და ა.შ ინტერესებია, რომელთა ტრანსფორმირება ხდება სახელმწიფოს სამართალშემოქმედებითი ორგანოების მიერ მთელი საზოგადოებისათვის ზოგადსავალდებულო წესების სახით. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სამართლის შინაარსს წარმოადგენს „ყოფილი“ სოციალური ინტერესები, რომლებმაც შემდგომში მიიღეს იურიდიული მნიშვნელობა. სოციალური შინაარსი (ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური) ახასიათებს მათი სამართლის შევსების პროცესს, ხოლო სახელმწიფოებრივ-ნებელობითი არის სოციალური შინაარსის გარდაქმნა სახელმწიფოს ნების მეშვეობით. ყოველი სოციალური მოვლენა თუ ყოველი

სოციალური ინტერესი წმინდა სახით როდი იძენს სამართლებრივ ხასიათს, სამართლებრივ გაფორმებას. სოციალური მოთხოვნილებები, ურთიერთობები და ინტერესები განიცდიან სამართალში გარდაქმნის პროცესს სახელმწიფოებრივი ნების მეშვეობით, როცა ზოგადსავალდებულონი ხდება სახელმწიფოებრივი ნების გატარებით კანონმდებლის მეშვეობით. სოციალური შინაარსი ამ სტადიაზე ხდება სახელმწიფოებრივ-ნებელობითი, იძენს სამართლებრივ ფორმას, სამართლის ფორმის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ არის გადამწყვეტი როლი შინაარსისათვის, სწორედ ამიტომ, ასეთი სამართლებრივი ფორმები, როგორცაა ხელშეკრულებები, ნორმაშემოქმედებითი აქტები, პრაქტიკულად არ იცვლებიან სამართლის ფუნქციონირების მთელი დროის მანძილზე, ხოლო სამართლის შინაარსი კი პრინციპულად შეიძლება შეიცვალოს.

სამართლის საკუთრივ-იურიდიული შინაარსი – ეს არის სამართლის სუბიექტების იურიდიულად მნიშვნელოვანი ინტერესები, ქმედებები, ქცევები, როგორც ზოგადის, ისე კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობების ჩარჩოებში (ფარგლებში).

საკუთრივ-იურიდიული შინაარსი არის სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სოციალური შინაარსი ანუ ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ინტერესები, რეალიზებული სამართლის სუბიექტების მიერ, როგორც სამართლებრივი, იურიდიული მნიშვნელობით.

### **დასკვნა**

შეიძლება დავასკვნათ, რომ სამართალს აქვს მრავალფეროვანი განმარტება. თითოეული მისი დამახასიათებელი ნიშანი თავისებურ გავლენას ახდენს საბოლოოდ სამართლის მოთხოვნათა შესრულებაზე.

სამართლის არსი მასში გამოხატული სახელმწიფოებრივი ნებაა, შინაარსი კი სამართლით განმტკიცებული ინტერესები.

სამართალი ყოველთვის მაღალავტორიტეტულია და დაფასებული, როცა მასში შემავალი სამართლებრივი ნორმები საზოგადოების მიერ სათანადოდ დადებითად ფასდება და რაც მთავარია, სრულდება კიდევ.

იმ სახელმწიფოებსა და საზოგადოებებში, რომელთა მართვაც სამართლის საშუალებით ხდება, სამართლებრივი რეგულირების ეფექტიანობა და მართლწესრიგის სიმტკიცე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა საზოგადოებრივი ცნობიერების მიერ იგი აღქმული და აღიარებული.

სამართალი, როგორც ნორმათა სისტემა თავის საყრდენს ყოველთვის პოულობს საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა ფორმებში.

სამართლის ავტორიტეტულობა დამოკიდებულია მის სტაბილურობაზეც. რაც უფრო მაღალია საზოგადოებრივი მართლშეგნება, გაგებულია სწორად სამართლებრივი ნორმების მიწერილობანი, ნაკლებია სამართლისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, მით უფრო ეფექტიანია სამართლის ნორმათა შესრულება და მით უფრო მაღალი შეფასებისაა სამართალი.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს კონსტიტუცია. 1995 წლის 24 აგვისტო, უახლესი რედაქციით, მუხლი 74.
2. შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი 535-ე სტრ.
3. გივი ლომჯანიძე. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია. 2009 წელი

4. ამირან მოსულიშვილი, მანანა მოსულიშვილი. შესავალი სამართალმცოდნეობაში. წიგნი 1 (სახელმწიფოს თეორია). თბილისი, 2013 წელი, გამომცემლობა „გეორგია“.
5. ფილოსოფიის საკითხები, 1962, #2, გვ.87
6. Фридман Л. Введение в американское право., М., 1993, с.8
7. Иоффе О.С., Шаргородский М.Л., Вопросы теории права., М.1961; Алексеев С.С., Общая теория права. Курс лекций, Свердловск, 1963, вып.1.
8. Радько Т.Н. Теория государства и права, Учебник 2-е издание, М, 2011 г. стр, 227
9. Friedrich Carl von Savigny, 1779-1861, Savigny, System des heutigen römischen Rechts, Band I, 1840, 52, 332
10. Heinrich Dernburg, 1829- 1907, Dernburg, Pandekten, Band I, 1884 19, 42
11. Georg Friedrich Puchta, 1798 – 1846 Rudolf von Jhering 1818 - 1892
12. Ulpianus, ca. 170-22

**გიორგი შაშიაშვილი**

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის,  
სამართლის სკოლის დოქტორი

**უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის/ფულის გათეთრების/ წინააღმდეგ ბრძოლის  
საერთაშორისო-სამართლებრივი სისტემის, საერთაშორისო სტანდარტების ჩამოყალიბების და  
განვითარების ანალიზი.**

### **რეზიუმე**

წინამდებარე სტატია შეეხება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო-სამართლებრივი სისტემის, საერთაშორისო სტანდარტების ჩამოყალიბებას და განვითარებას.

ტრანსნაციონალური ხასიათის მქონე ორგანიზებული დამნაშავეობის და ტერორისტული საქმიანობის მაშტაბები, საერთაშორისო გაერთიანებისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას, ამ საშიში ფორმების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის წარმართვისათვის. აღნიშნულ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტს წარმოადგენს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის /ფულის გათეთრების/ წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებათა სისტემის ორგანიზაცია, რომელიც ეფუძნება ერთიან საერთაშორისო სტანდარტებს, რაც წინამდებარე სტატიის განხილვის საგანია.

მითითებულ სტატიაში მოკლედ მიმოხილულია სწორედ ზემოაღნიშნული, უნივერსალური საერთაშორისო სტანდარტების სისტემის შექმნისა და განვითარების მოვლენები, რომელთაგან ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკუთვნის რეკომენდაციებს, რომლებიც ასახულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტებში.

სტატიაში გაანალიზებული საკითხები საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ, თუ როგორ უნდა წარმართოს სახელმწიფომ, საერთაშორისო სტანდარტების სისტემების პრინციპების შესაბამისად, ეფექტური ბრძოლა ისეთი ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ, როგორცაა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია.

წინამდებარე კვლევის მიზანია უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასთან დაკავშირებული ადგილობრივი საკანონმდებლო სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრაში მოყვანა. აღნიშნული ხელს შეუწყობს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ეფექტურად წარმართვას.

**საძიებო სიტყვები:** უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, საერთაშორისო-სამართლებრივი სისტემა, საერთაშორისო სტანდარტები, რეკომენდაციები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტები.

**Giorgi Shashiashvili**

Grigol Robakidze University, School of Law, Professor

### **Analyzes of formation of International Legal Systems and Standards Related to Struggle with Legalization of Illegal Incomes (Money Laundering)**

#### **Summary**

The article is devoted to development of international systems and Standartes related to struggle against money Laundering in Georgia

The level of the transnational organized crime and terrorism activities demands special affords to detection to development of efficient measures to combat these dangers phenomenon. The main goal of article is to study the priority of international cooperation in this sphere related to organization of acting system, which is founded on international standards

In the mentioned article author analyzed the elaboration and development of the universal international standards and role of UN documentation

The author describes what is necessary to adopt mentioned approaches to national legislation and carry out affective struggle and prevention campaign against money laundering

**Key words:** Money laundering; International legal system, International Standards, UN documents

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის/ფულის გათეთრების/ წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო-სამართლებრივი სისტემის, საერთაშორისო სტანდარტების ჩამოყალიბების და განვითარების ანალიზი.

**შესავალი:**

წინამდებარე ნაშრომის კვლევის ფარგლებში განხილული იქნება უკანონო შემოსავლების გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო-სამართლებრივი სისტემები, მათი ჩამოყალიბების საფუძვლები და თანმიმდევრობა, აღიარებული საერთაშორისო სტანდარტები, წარმოჩენილი იქნება რეკომენდაციები და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტები.

### **ძირითადი ნაწილი:**

უკანონო შემოსავლების გათეთრების წინააღმდეგ მიმართული მოქმედებების თაობაზე შექმნილი დოკუმენტებიდან ფუძემდებლური ხასიათისაა „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 1988 წლის გაეროს კონვენცია, რომელიც ვენაში იქნა მიღებული (ვენის კონვენცია).

ვენის კონვენციამ დაადგინა დანაშაულებრივი გზით მიღებული ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებათა ორგანიზებისადმი გაეროს გლობალური მიდგომის პრინციპები, განსაზღვრა „უკანონო შემოსავლების გათეთრების“ ცნება.

ვენის კონვენციის თანახმად, „უკანონო შემოსავლების გათეთრებაში“ იგულისხმება საკუთრებისა და შემოსავლების კონვერსია ან გადაცემა, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულების შედეგად მიღებული საკუთრებისა და შემოსავლების ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროების, განკარგვის ხერხების დამალვა.

აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის განსაზღვრას, თუ რა უნდა ჩაითვალოს უკანონო შემოსავლებად. ვენის კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, უკანონო შემოსავლები – ეს არის ნებისმიერი საკუთრება, რომელიც მიღებულია ან შეძენილია პირდაპირ თუ არაპირდაპირ, დანაშაულის ჩადენის შედეგად, ე. ი. ნებისმიერი აქტივი, მატერიალური თუ არამატერიალური, უძრავი თუ მოძრავი, აგრეთვე ასეთ აქტივებზე უფლების ან მათში მონაწილეობის დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტები თუ აქტები.

„გაყინვაში“ ან „დაყადაღებაში“ იგულისხმება საკუთრების გადაცემის, კონვერსიის, განთავსების ან გადაადგილების დროებითი აკრძალვა ან საკუთრებაზე დროებით ყადაღის დადება ან მისი კონტროლზე აყვანა სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ გამოტანილი დადგენილების საფუძველზე. „კონფისკაცია“ ნიშნავს ამოღებას, ე. ი. საკუთრების ჩამორთმევას სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს დადგენილებით.

ვენის კონვენციის მე-5 მუხლის შესაბამისად, მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი ზომები, რათა გამოვლინდეს და „გაიყინოს“ ან დაყადაღდეს შემოსავლები, საკუთრება, სახსრები ან ნებისმიერი სხვა საგანი, რომლებიც დაკავშირებულია კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი დანაშაულების ჩადენასთან. იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლები გადაქცეულია ან გარდაქმნილია სხვა საკუთრებად, მითითებული ზომები მიიღება ამ საკუთრების და არა შემოსავლების მიმართ. თუ შემოსავლები მიერთებულია კანონიერი წყაროებიდან მიღებულ საკუთრებასთან, ასეთი საკუთრება, ნებისმიერი იმ უფლებამოსილებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, რომელიც შეეხება დაყადაღებას ან „გაყინვას“, ექვემდებარება კონფისკაციას იმ მოცულობით, რომელიც შეესაბამება ამ მიერთებული შემოსავლების ღირებულებას.

მოყვანილი დებულებებიდან ცხადია, რომ ვენის კონვენციამ განსაზღვრა საბაზო ცნებები უკანონო შემოსავლების გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებათა სისტემის ორგანიზებისათვის, აგრეთვე ის მოქმედებები, რომლებიც საფუძვლად უდევს გათეთრებასთან ბრძოლას (დაყადაღება, კონფისკაცია). აღსანიშნავია, რომ კონვენცია მიუთითებს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულების შედეგად მიღებული შემოსავლების გათეთრებაზე, მაგრამ მასში ჩამოყალიბებული „ჭუჭყიანი“ ფულის ლეგალიზაციასთან ბრძოლის სტანდარტები შეიძლება სხვა დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციასთან საბრძოლველად იქნეს გამოყენებული.

ვენის კონვენციამ დაადგინა სხვადასხვა ნორმა, რომლებსაც შეიძლება დანაშაულებრივი შემოსავლების გათეთრებასთან საერთაშორისო ბრძოლის ორგანიზების ნორმა-პრინციპები ეწოდოს. პირველად საერთაშორისო სამართალში კონვენციის მონაწილე ყველა ქვეყნისთვის სავალდებულო დებულებების სახით განისაზღვრა ისეთი ცნებები, როგორებიცაა „დანაშაულებრივი შემოსავლები“, მათი „გაყინვა“ და „ამოღება“, აგრეთვე პრინციპი, რომ ასეთი შემოსავლების ამოღება აუცილებელია, მაშინაც კი, თუ ისინი გადაქცეულია სხვა საკუთრებად ან შერეულია ლეგალურ აქტივებთან.

საერთაშორისო საჯარო სამართლის თეორიაში დანაშაულებრივი შემოსავლების გათეთრების წინააღმდეგ მიმართული მოქმედებები არის საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა და ამავდროულად განიხილება, როგორც მეთოდი, რომლის საშუალებითაც შეიძლება განხორციელდეს დანაშაულებრივი გზით მიღებული სახსრების დაყადაღება და ამოღება. ამოღებას ექვემდებარება არა მარტო გათეთრების საგნად ქცეული სახსრები, არამედ ნებისმიერი სხვა ფასეულობა, რომლის დანაშაულებრივი წარმომავლობა დამტკიცებულია.

დანაშაულებრივი შემოსავლების გათეთრების შემადგენლობის სპეციფიკა ისეთია, რომ მათთან დაკავშირებული ნებისმიერი ფინანსური ოპერაცია იქნება მათი გათეთრება (იმ პირობით, რომ გათეთრებული ქონების ოდენობა საკმარისია დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის თვალსაზრისით). ვინაიდან დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების საზღვარგარეთ გატანა, მათ შორის, უნაღლო ფორმით, შესაძლებელია მხოლოდ მათთან დაკავშირებული ამა თუ იმ ფინანსური ოპერაციის განხორციელების გზით, ნებისმიერი აქტივი, რომელიც ექვემდებარება ამოღებას განსახილველი საერთაშორისო წესების შესაბამისად, გათეთრების საგანი ხდება.

დანაშაულებრივი შემოსავლების გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებათა სისტემის განვითარების გზაზე ახალი ნაბიჯი იყო 1993 წლის ნოემბერში გაეროს მიერ მიღებული ტიპური კანონი ნარკოტიკებიდან მიღებული ფულის გათეთრების შესახებ, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობას ეფუძნება და შეიცავს რეკომენდაციებს ფულის გათეთრების თავიდან აცილების, მსგავსი ქმედებების გამოვლენის და შესაბამისი სანქციების დადგენის შესახებ. მასში მოცემულია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვიდან მიღებული ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ დანაშაულთა ორი პრედიკატული შემადგენლობის ფორმულირებები (მუხლი 20). პასუხისმგებლობას ექვემდებარებიან:

1) პირები, რომლებიც ახდენენ იმ სახსრების ან საკუთრების კონვერტირებას ან გადაცემას, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიღებულია ნარკოტიკული საშუალებების,



ფსიქოტროპული ნივთიერებების ან პრეკურსორების უკანონო ბრუნვიდან, ამ საკუთრების ან სახსრების უკანონო წყაროს დაფარვის ან დამალვის მიზნით, ან ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენაში მონაწილე ნებისმიერი პირისათვის დახმარების გაწევის მიზნით, რათა მან შეძლოს თავისი ქმედებებისათვის პასუხისმგებლობისთვის თავის არიდება;

2) პირები, რომლებიც ხელს უწყობენ იმ სახსრების, საკუთრების ან მათთან დაკავშირებული უფლებების ხასიათის, წყაროს, ადგილმდებარეობის, განკარგვის, გადაადგილების ხერხის ან ნამდვილ უფლებათა დაფარვას ან დამალვას, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიღებულია ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების ან პრეკურსორების უკანონო ბრუნვიდან.

ყველაზე ხშირად დანაშაულებრივი გზით მიღებულ შემოსავლებს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები იყენებენ. ამასთანავე, დანაშაულებრივი ჯგუფებისთვის მნიშვნელოვანია მყარი შემოსავლის მიღება, რომელიც გაამართლებს დანაშაულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს. პრაქტიკაში ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების შემოსავლები, რომლებიც, მაგალითად, საქმიანობას ახორციელებენ ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონო ბრუნვის, ადამიანებით ვაჭრობის და მეძავეების ექსპლუატაციის სფეროში, მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე მოგების საშუალო ნორმა ლეგალურ ბიზნესში. ასეთი შემოსავლები არა მარტო ფარავს დანაშაულებრივი დაჯგუფებების მიმდინარე ხარჯებს, არამედ საშუალებას აძლევს მათ, გააფართოონ თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობა, აგრეთვე დაამყარონ კონტროლი ეკონომიკის ლეგალურ სექტორზე.

დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლები შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი მიზნებისათვის:

- 1) დამნაშავეთა და მათი გარემოცვის მიმდინარე ხარჯების (დანაშაულთა ორგანიზებასა და მოხმარებაზე გაწეული ხარჯები) დაფარვა;
- 2) დაგროვება (ნაღდი ფულის, ძვირფასეულობის, სხვა ფუფუნების საგნების და სხვ.);
- 3) დანაშაულებრივი საქმიანობის განვითარება (საქმიანობის ძირითადი (პრედიკატული) სახეობის გაფართოება და მისი დივერსიფიკაცია);
- 4) ინვესტიციები ლეგალურ ეკონომიკაში (ფინანსურ ბაზარზე განთავსება, უძრავი ქონების შეძენა და სხვ.).

ცხადია, რომ მითითებული მიზნების რეალიზაციის პროცესში დანაშაულებრივი შემოსავლები გარკვეულ ცვლილებებს განიცდის – იმ ოპერაციების ობიექტი ხდება, რომელთა მსვლელობისას ეს შემოსავლები მეტ-ნაკლებად ხვდება ლეგალური ფინანსური სისტემის მოქმედების სფეროში. თუ ასეთი შემოსავლები მიღებულია ნაღდი ფულის სახით (მაგალითად, ნარკოტიკებით ქუჩაში ვაჭრობით) და დაგეგმილია მათი გამოყენება შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის დასაფინანსებლად (ნარკოტიკების ახალი პარტიის შეძენა), შემდგომი ფინანსური ოპერაციების განხორციელება რომ მოსახერხებელი იყოს, როგორც წესი, საჭიროა ბანკნოტების გაცვლა (წვრილი ნომინალის უფრო მსხვილზე გადაცვლა) ან მათი საბანკო დაწესებულებაში განთავსება.

სხვა მიზნებისათვის საჭიროა არა მარტო შესაბამისი ფინანსური შუამავლის მომსახურებით სარგებლობა, არამედ დანაშაულებრივი შემოსავლების წარმოშობის წყაროს წინასწარი შენიღბვაც. საკუთარი შემოსავლების არაკანონიერი ხასიათის დამალვის მცდელობა დამახასიათებელია ნებისმიერი დამნაშავისათვის, ვინაიდან ასეთი შემოსავლები შეიძლება მის წინააღმდეგ სამხილად იქცეს – კონკრეტულ დანაშაულთან მის კავშირზე მიუთითოს, ასევე ამოღებას დაექვემდებაროს, რაც ჩადენილ დანაშაულს აზრს დაუკარგავს.

გაეროს მიერ რეკომენდებულ ტიპურ კანონში შემოთავაზებულია, რომ დანაშაულად ჩაითვალოს საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებების მუშაკთა სხვადასხვა მოქმედება, კერძოდ, იმ პირთა მოქმედებები, რომლებიც პროფესიულად ახორციელებენ ნაღდი ვალუტის გაცვლის ოპერაციებს, აგრეთვე სხვა პირთა მოქმედებები, რომლებიც არღვევენ ფინანსური ოპერაციების განხორციელების დადგენილ წესს და სხვა მოთხოვნებს. პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებების ხელმძღვანელებს, მოსამსახურეებს და ნებისმიერ სხვა პირს, რომლებიც თავიანთი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას ახორციელებენ, აკონტროლებენ ფინანსური სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებულ ოპერაციებს, ან იძლევიან კონსულტაციებს ამ სფეროში, თუ ისინი განზრახ გაამჟღავნებენ ინფორმაციას იმ განცხადებების შესახებ, რომლებიც მათ უნდა გააკეთონ, ან ნებაყოფლობით შეიკავებენ თავს იმ განცხადებების წარდგენისაგან, რომლებიც უნდა წარადგინონ (იგულისხმება განცხადებები იმ სახსრების თაობაზე, რომლებთან დაკავშირებითაც არსებობს ეჭვები, რომ ისინი ნარკოტიკული საშუალებების ან ფსიქოტროპული ნივთიერებების არაკანონიერი ბრუნვიდანაა მიღებული).

ტიპური კანონის შესაბამისად, დანაშაულს სჩადიან ასევე ის პირები, რომლებიც განზრახ ანადგურებენ სარეგისტრაციო წიგნებს ან დოკუმენტებს, რომელთა შენახვა გათვალისწინებულია ამ კანონით, ან სხვისი სახელით ცდილობენ განახორციელონ ამ კანონში მითითებული გარკვეული ოპერაციები. ნაკლებად საშიშ დანაშაულად ითვლება იმ პირთა ქმედებები, რომლებმაც განახორციელეს ან მიიღეს გადახდა ნაღდი ფულით დადგენილ ზღვარზე მეტი ოდენობით, დაარღვიეს ვალდებულება, წარმოადგინონ განცხადება იმ ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების ან ფასეულობების საერთაშორისო გადაგზავნის შესახებ, რომლებთან დაკავშირებითაც გათვალისწინებულია განცხადებების წარდგენა, აგრეთვე იმ კომპანიების ხელმძღვანელების და მოსამსახურეების ქმედებები, რომლებიც ახორციელებენ ნაღდი ვალუტის გაცვლას, სათამაშო სახლების და საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებების თანამშრომლების ქმედებები, რომლებმაც დაარღვიეს ამ კანონის დებულებები.

პარიზში მსოფლიო ეკონომიკის საკითხებზე 1989 წლის ივნისში შემდგარი უმაღლესი დონის შეხვედრის დროს შეიქმნა ჯგუფი „დიდი შვიდეულის“ სახელმწიფოების და ევროკომისიის სამუშაო ჯგუფის (რომლის სახელწოდებაა „ფულის გათეთრება“) მიერ აღმოჩენილი სერიოზული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, ფულის ბაზრების ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის მიზნით. ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ფინანსური ზომების შემმუშავებელ ჯგუფს („Financial Action Task Force“ (FATF)) მომავალში უნდა შეეფასებინა ფულის გათეთრებასთან საერთაშორისო ბრძოლის სტანდარტები, ემხილებინა ნაკლოვანებები და, უპირველეს ყოვლისა, მოეხდინა საერთაშორისო თანამშრომლობის კოორდინაცია.

დროთა განმავლობაში FATF ფაქტობრივად გახდა მამოძრავებელი ძალა ფულის გათეთრებასთან საერთაშორისო ბრძოლაში: დაფუძნებიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ, 1990 წლის 19 აპრილს, FATF-მა გამოსცა თეზისები 40 რეკომენდაციით, რომლებიც მთელი მსოფლიო თანამეგობრობისათვის იყო განკუთვნილი. ამჟამად FATF-ის წევრია 34 ქვეყანა და 2 რეგიონალური ორგანიზაცია. ზოგიერთი ქვეყანა და საერთაშორისო ორგანიზაცია (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროპოლი, ინტერპოლი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია და სხვ.) FATF-ში მეთვალყურის სტატუსით სარგებლობს. გარდა ამისა, შექმნილია რეგიონალური ჯგუფები, რომლებიც მსოფლიოს ცალკეული რეგიონების შესაბამის გასაჭირს და განვითარების სხვადასხვა ხარისხს ითვალისწინებენ. FATF-ის საქმიანობის პირველ ეტაპზე მისი მონაწილეები გახდნენ 15 ქვეყნის წარმომადგენლები, „დიდი შვიდეულის“, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი 8 სახელმწიფოს, აგრეთვე ევროპის გაერთიანებათა კომისიის ჩათვლით.

1990 წლის ივლისში ჰიუსტონში (აშშ) გამართულ „დიდი შვიდეულის“ სამიტზე მოიწონეს FATF-ის მიერ წარმოდგენილი ანგარიში და დაადასტურეს „დიდი შვიდეულის“ ქვეყნების ვალდებულება, სრულად და გადაუდებლად შეასრულონ ამ ანგარიშში მოცემული 40 რეკომენდაცია ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ. FATF-ის რეკომენდაციები შეიცავდა მიმართვას მსოფლიოს ყველა ქვეყნისადმი, უზრუნველყოთ თავიანთი კანონმდებლობების ვენის კონვენციასთან შესაბამისობა.

FATF ცდილობდა, ფულის გათეთრების შემადგენლობა ნებისმიერ მძიმე პრედიკატულ დანაშაულზე გაეგრძელებინა, რადგან საგამომიებო ორგანოებს უჭირდათ „ფულის გათეთრების“ და პრედიკატული დანაშაულის გამიჯვნა.

ამის გარდა, ბანკებზე ზეწოლის განსახორციელებლად FATF ყველა ქვეყანაში იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის შემოღებას მოითხოვდა. თუმცა ეს მოთხოვნა დღემდე შეუთავსებელია ზოგიერთი ქვეყნის სისხლისსამართლებრივ სისტემასთან.

FATF-ის 40 რეკომენდაციის მნიშვნელოვანი მომენტი იყო ის, რომ რეკომენდაციები შეიცავდა მოწოდებას, ფინანსური მომსახურების გამწევ პირებს შეექმნათ მოვალეობათა კატალოგი, რომელიც ხელს შეუწყობდა ფულის გათეთრებასთან ბრძოლას.

FATF-ის 40 რეკომენდაცია (1990 წლის რედაქციით) მოიცავდა საკითხთა სამ ძირითად ბლოკს:

- 1) იმ პირთა სისხლისსამართლებრივი დევნის ზომების სრულყოფა, რომლებიც დაკავშირებული არიან ფულის გათეთრებასთან, ასეთი ქმედებების კრიმინალიზაციის და დანაშაულებრივი შემოსავლების კონფისკაციის ჩათვლით;
- 2) საფინანსო სისტემის როლის გაზრდა, საფინანსო ორგანიზაციების და საზედამხედველო ორგანოების მიერ ფულის გათეთრების აღსაკვეთად მიღებული ზომების ჩათვლით;
- 3) საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება ფულის გათეთრებასთან ბრძოლის სფეროში, მათ შორის, კომპეტენტურ ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის ნაწილში.

ყველა ქვეყანას მიეცა რეკომენდაცია, ვენის კონვენციის შესაბამისად, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვიდან მიღებული ფულის გათეთრება სისხლის სამართლის დანაშაულად ელიარებინათ. ამასთან ერთად მათ მიეთითათ, შემოსავლების გათეთრების კრიმინალიზაციის საკითხი სხვა სერიოზული დანაშაულებისაგან განცალკევებით განეხილათ.

საფინანსო დაწესებულებებისათვის რეკომენდებულ ზომებს შორის ყურადღება ექცეოდა შემდეგს:

- კლიენტების იდენტიფიკაცია, ანონიმური ანგარიშების წარმოების აკრძალვის, ანგარიშგების წარმოების და შენახვის წესების ჩათვლით;
- კომპეტენტური ორგანოებისათვის შეტყობინებების გაგზავნა გარკვეული სახსრების დანაშაულებრივი წარმომავლობის თაობაზე ექვსის გაჩენის შემთხვევაში;
- კლიენტის იმის თაობაზე ინფორმირების აკრძალვა, რომ მის შესახებ ინფორმაცია გაგზავნილია კომპეტენტურ ორგანოებში;
- ფულის გათეთრების თავიდან აცილებისაკენ მიმართული შიდა პროგრამების შემუშავება.

ამასთანავე, FATF-ის რეკომენდაციების მოქმედება ვრცელდებოდა არა მარტო ბანკებზე, არამედ არასაბანკო საფინანსო დაწესებულებებზედაც.

აღინიშნებოდა, რომ საფინანსო დაწესებულებების ინფორმაციის საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობა ხელს არ უნდა უშლიდეს მოცემული რეკომენდაციების რეალიზაციას. შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების შემდგომი გავრცელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 21-ე რეკომენდაციას, რომელიც საფინანსო დაწესებულებებისაგან მოითხოვდა, განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ იმ პირებთან საქმიანი ურთიერთობებისათვის, რომლებიც იმ ქვეყნებიდან იყვნენ, სადაც FATF-ის რეკომენდაციები არ სრულდება ან არასაკმარისად სრულდება.

საერთაშორისო თანამშრომლობის ნაწილში FATF იძლეოდა რეკომენდაციას, რომ, ფულის გათეთრების საქმეებზე ერთმანეთისათვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენასთან ერთად, განვითარებულიყო საექვო ფინანსური ოპერაციების, აგრეთვე მათში მონაწილე პირების შესახებ ინფორმაციის კომპეტენტურ ორგანოებს შორის გაცვლა.

40-მა რეკომენდაციამ სერიოზული გავლენა მოახდინა როგორც FATF-ის მონაწილე ქვეყნებში ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ეროვნული რეჟიმების, ისე მთლიანად საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბებაზე – მან ერთიანი საერთაშორისო სტანდარტები დაადგინა. FATF-ის რეკომენდაციების უმნიშვნელოვანესი შინაარსობრივი მახასიათებელია მათი ყოვლისმომცველი ხასიათი, რომელიც გამოიხატება:

- 1) სისხლისსამართლებრივი და პრევენციული ზომების კომპლექსური გამოყენებით;
- 2) ჩართული სუბიექტების ფართო წრით, საფინანსო დაწესებულებების, საზედამხედველო და სამართალდამცავი ორგანოების ჩათვლით;
- 3) ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ სხვა საერთაშორისო აქტების დებულებათა გათვალისწინებით.

ჩატარებული შემოწმებებისა და FATF-ის რეკომენდაციების შესრულების შედეგად მოხდა მათი სრულყოფა. რეკომენდაციებმა მოიცვა ოთხი მიმართულება: სისხლისსამართლებრივი, სამართალდაცვითი, ფინანსური და სხვა საერთაშორისო თანამშრომლობა, რომლებიც, FATF-ის აზრით, რეალიზაციის შემთხვევაში შესაძლებელს გახდის, შეიქმნას ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ეფექტიანი უნივერსალური სისტემა.

FATF-ის მიერ შემოთავაზებული მნიშვნელოვანი ზომებია რეკომენდაციები კეთილსინდისიერი მყიდველების უფლებათა დაცვის და სამოქალაქო-სამართლებრივი სანქციების შესახებ, მაგალითად, სასამართლოსთვის გათეთრებულ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებების ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელებით მიმართვის ნაწილში. აღსანიშნავია, რომ მოცემული სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები FATF-ის რეკომენდაციებში გამოჩენამდე ეროვნულ კანონმდებლობებსა და ფულის გათეთრებასთან ბრძოლის პრობლემატიკით დაკავებული საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივებში არ გვხვდებოდა.

საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, რომლებითაც გათვალისწინებულია დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების კონფისკაცია, არასოდეს არ შეხებია ასეთი ქონების კეთილსინდისიერი მყიდველების უფლებათა დაცვის პრობლემას. ტრადიციულად, განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობაში კეთილსინდისიერი მყიდველების უფლებებს პრიორიტეტი ენიჭება სხვა პირთა უფლებებთან შედარებით, სადავო ქონებაზე უფლებებთან მიმართებით. მაგრამ ღირს კი, მოვიხსენიოთ კეთილსინდისიერი მყიდველის უფლებების დაცვა „გათეთრებული“ ქონების ამოღებისას, რომელიც ადრე ჩადენილი დანაშაულის ან მის შედეგად მიღებული შემოსავლების საგანი გახდა? ამასთან დაკავშირებით FATF-ის მე-7 რეკომენდაცია ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოებმა აუცილებლობის შემთხვევაში მიიღონ ზომები, რათა კომპეტენტურ ორგანოებს მიაწიონ უფლებამოსილება, მოახდინონ გათეთრებული ქონების კონფისკაცია, ისე, რომ არ დაარღვიონ კეთილსინდისიერი მესამე პირების უფლებები. ამასთანავე, „კეთილსინდისიერების“ ცნება გულისხმობს მფლობელის მიერ მის მიერ შეძენილი ნივთის არაკანონიერი ბუნების არცოდნას.

FATF-ის რეკომენდაციები, რომლებიც ფულის გათეთრებასთან ბრძოლაში ფინანსური სისტემის როლს ეხება, გულისხმობს კლიენტის აუცილებელი იდენტიფიკაციის და დოკუმენტაციის წარმოების წესების დანერგვას, ბანკებისათვის ანონიმური ანგარიშების გახსნის აკრძალვას, ხოლო მარეგისტრირებელი ორგანოებისათვის – ანონიმური კომპანიების რეგისტრაციის აკრძალვას. შემოთავაზებულია, დაინერგოს არა მარტო საფინანსო დაწესებულებების (ბანკების, ფონდების და სხვ.), არამედ ფინანსურ ბაზარზე მომსახურების გამწვევი სხვა ორგანიზაციების (სადაზღვევო კომპანიები, სატრასტო ფონდები და ადვოკატებიც კი) მიერ შესრულებული გარიგებების მკაცრი კონტროლი და ანგარიშგება. სახელმწიფო ორგანოებს რეკომენდაცია ეძლევათ, ორგანიზება გაუწიონ უცხოურ ვალუტასთან, ძვირფას ლითონებსა და ძვირფას ქვებთან დაკავშირებულ მსხვილ გარიგებებს. ამასთანავე, მინიმალური ზღვარი, რომელიც განასხვავებს მსხვილ გარიგებას ისეთი გარიგებისაგან, რომელიც კონტროლს არ ექვემდებარება, რეკომენდაციებით დადგენილი არ არის.

რეკომენდაციები, რომლებიც ფულის გათეთრებასთან ბრძოლის სფეროში სხვა საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებას ეხება, გულისხმობს უცხოეთში დიდი ოდენობის თანხების

გადაგზავნის შესახებ საზღვარგარეთის ქვეყნების ცენტრალური ბანკების ინფორმაციის თავისუფალი ხელმისაწვდომობის აუცილებლობას, აგრეთვე საექვო გარიგებების შესახებ ინფორმაციის საერთაშორისო გაცვლას, კონფისკაციისას თანამშრომლობის და სამართლებრივი ურთიერთდახმარების საკითხებს.

FATF-ის რეკომენდაციების მნიშვნელობა მხოლოდ ის არ არის, რომ ისინი შეიცავს საერთაშორისო დონეზე დადგენილ კანონმდებლობის დებულებათა სტანდარტებს, რომლებიც საჭიროა დანაშაულის განსახილველ სახეობასთან საბრძოლველად, და რომ მათი შემუშავების პერიოდში, ე. ი. მე-20 საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში, ეს დებულებები დიდწილად რევოლუციური იყო. ვფიქრობთ, FATF-ის ძირითადი დამსახურებაა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ნებაყოფლობითი მონაწილეობის პრინციპი, ურთიერთკონტროლის მიზნით ინფორმაციის ნებაყოფლობითი წარდგენის პრინციპი და გამოვლენილი ნაკლოვანებების შემდგომი ნებაყოფლობითი აღმოფხვრა.

FATF-მა მთელ მსოფლიოს აჩვენა, რომ კანონმდებლობაში ამა თუ იმ ცვლილების ჭეშმარიტი ეფექტიანობა მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როცა ასეთი ცვლილების აუცილებლობა თავად სახელმწიფოს აქვს გააზრებული და გარედან თავს მოხვეული არ არის .

ეროვნულ კანონმდებლობაში საერთაშორისო ნორმების შეტანა როგორც იმპლემენტაციის, ისე ადაპტაციის გზით ყოველთვის არის ფაქიზი პოლიტიკურ-სამართლებრივი მომენტი, რომელიც შედეგს მხოლოდ მაშინ იძლევა, თუ არსებობს სახელმწიფოს პოლიტიკური ნება, მოახდინოს ამ ნორმების რეალიზაცია. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ნორმები ფინანსური ნაკადების მოძრაობის მექანიზმებს ეხება, ე. ი. ფინანსური ბაზრის ფუნქციონირების წესებს ცვლის (სწორედ ასე ხდება FATF-ის რეკომენდაციების მიღების შემთხვევაში), ასეთი ნორმების ეროვნულ კანონმდებლობაში შეტანის და ამ დებულებების შესრულების სარგებლიანობა ცხადი უნდა იყოს არა მარტო სახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის, არამედ ფინანსური ბაზრის თითოეული მონაწილისთვისაც.

ნებისმიერი ბაზარი ფუნქციონირებს შემდეგი კრიტერიუმიდან გამომდინარე: მოგებიანია თუ არამოგებიანი? ამიტომ FATF-ის რეკომენდაციები მხოლოდ მაშინ იქნება საყოველთაოდ მიღებული, როცა მათი შეუსრულებლობა ბაზრის მონაწილეებისათვის უსარგებლო გახდება. აი, რატომაა FATF-ის რეკომენდაციების ნებაყოფლობითი შესრულების პრინციპი და მათი შესრულების ნებაყოფლობითი კონტროლის პრინციპი ასე მნიშვნელოვანი ამ რეკომენდაციების პრაქტიკული რეალიზაციისათვის.

FATF-ის მიერ რეკომენდებულ იქნა დანაშაულებრივი შემოსავლების გათეთრებასთან საერთაშორისო ბრძოლის ის ფუძემდებლური ზომები, რომლებიც ამჟამად საფუძვლად უდევს განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობებს. დღესაც კი, როცა FATF-ის მიერ შემოთავაზებული ზომების დიდ ნაწილს საკითხის გადაწყვეტაში სიცხადე შეაქვს, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სრულად არ არის შესრულებული, ხოლო კანონში შეტანილი ბევრი დეტალი პრაქტიკაში არ მუშაობს. თუ გარიგებებზე და საფინანსო დაწესებულებებზე კონტროლის დაწესების სფეროში თვალსაჩინო პროგრესია მიღწეული, ინფორმაციის გაცვლის და ფულის გათეთრებაში დამნაშავე

პირთა საერთაშორისო დევნასა და გათეთრებული ქონების ამოღებაში საერთაშორისო თანამშრომლობის ნაწილში წარმატებები გაცილებით მოკრძალებულია.

ზემოაღნიშნული სტანდარტების პრაქტიკული დანერგვის უზრუნველყოფისაკენ მიმართულ მნიშვნელოვან ინიციატივად იქცა 1992 წლიდან FATF-ის ფარგლებში მისი წევრი ქვეყნების მიერ 40 რეკომენდაციის დაცვის ურთიერთშეფასების პირველი რაუნდის დაწყება. ამ რაუნდის განმავლობაში, რომელიც 1995 წელს დამთავრდა, პირველ რიგში, ფასდებოდა ეროვნული სისტემების საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული ბაზის მდგომარეობა. შედეგი ასეთი შეფასებებისა, რომლებიც ქვეყანაში FATF-ის წევრი სხვა ქვეყნებიდან ექსპერტების ჩასვლას გულისხმობდა, იყო კონკრეტული რეკომენდაციები შესაბამისი სამართლებრივი ბაზის სრულყოფის შესახებ.

„დანაშაულისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების შესახებ“ 1996 წლის 12 დეკემბრის №51/60 გაეროს დეკლარაციის შესაბამისად ფულის გათეთრებასთან ბრძოლის სისტემის კონცეფციამ, რომელიც ფინანსური ოპერაციების მონიტორინგს ეფუძნება, განვითარება ჰპოვა მე-6 (XXXVIII) რეზოლუციაში, რომელიც 1995 წლის მარტში მიიღო გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ნარკოტიკული საშუალებების საკითხთა კომისიამ. ამ რეზოლუციის მიზანი იყო თითოეული სახელმწიფოს ეროვნულ ორგანიზაციაში საექვო და უჩვეულო ოპერაციების შესახებ შეტყობინებების გაგზავნის წახალისება, კომპეტენტურ ორგანოებს შორის ეფექტიანი კავშირების განვითარება ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული საქმიანობის გამოძიების ხელშეწყობის და სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით.

რეზოლუცია მოუწოდებს ვენის კონვენციის მონაწილე ქვეყნებს, მიიღონ დამატებითი ზომები მისი დებულებების შესასრულებლად, განსაკუთრებით იმ დებულებებისა, რომლებიც ფულის გათეთრებასთან ბრძოლას ეხება. ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული ოპერაციების გამოვლენის მიზნით სახელმწიფოებს მოუწოდებდნენ, შეექმნათ ბანკების, სხვა საფინანსო დაწესებულებების და დიდი ოდენობის ნაღდი ფულის განმკარგველი არასაფინანსო საწარმოების მიერ საექვო ან უჩვეულო ოპერაციების შესახებ შეტყობინებების წარდგენის სისტემა. ამავე დროს, სახელმწიფოებს წინადადება ეძლეოდათ, განეხილათ ისეთი ეროვნული ორგანოს დაფუძნების საკითხი, რომელიც უფლებამოსილი იქნება, დაამუშაოს და გააანალიზოს საექვო და უჩვეულო ოპერაციების შესახებ მონაცემები. როგორც ხაზგასმით იყო აღნიშნული, ასეთი ეროვნული ორგანოები იმისათვის იქმნება, რომ ხელი შეუწყონ დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული აქტივების განსაზღვრას, გამოვლენას, „გაყინვას“ და დაყადაღებას.

აღნიშნული რეზოლუციით შემოთავაზებული იყო, საფინანსო დაწესებულებებიდან შემოსული ინფორმაციის შეკრებისა და ანალიზისათვის სპეციალური ორგანოების შექმნა ფულის გათეთრებასთან ბრძოლის პროგრამის უმნიშვნელოვანეს ელემენტად ყოფილიყო განხილული.

1995 წლის ივნისში 24 ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების წარმომადგენლებმა დააფუძნეს ფინანსური დაზვერვის ქვედანაყოფების საერთაშორისო გაერთიანება – ჯგუფი „ემონტი“, რომლის ამოცანაა ფინანსური დაზვერვის ეროვნული ქვედანაყოფების შექმნის და ფინანსური ინფორმაციის ოპერატიული გაცვლის განვითარების ხელშეწყობა. 1996 წელს ჯგუფ „ემონტის“ მიერ მიღებულ წესდებაში მოცემული განსაზღვრების შესაბამისად, ფინანსური დაზვერვის

ქვედანაყოფი არის ცენტრალური ეროვნული ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია იმისათვის, რომ მიიღოს, გააანალიზოს და კომპეტენტურ ორგანოებს გადასცეს გახსნილი ფინანსური ინფორმაცია:

1) იმ შემოსავლების შესახებ, რომლებიც, როგორც ექვობენ, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგია;

2) რომელიც მოთხოვნილია ეროვნული კანონმდებლობის ან ნორმატიული აქტის შესაბამისად, ფულის გათეთრებასთან ბრძოლის მიზნით.

1996 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის 51-ე სესიამ გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუციის შესრულების მიზნით 1992 წელს შექმნილი დანაშაულის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კომისიის ფარგლებში მიიღო „დანაშაულისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების შესახებ“ დეკლარაცია, რომელმაც მოუწოდა გაეროს წევრ ყველა სახელმწიფოს, ითანამშრომლონ ერთმანეთთან ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულისა და ფულის გათეთრების თავიდან აცილების მიზნით.

1996 წლის 24 აპრილის რეზოლუციაში ნარკოტიკული საშუალებების საკითხთა კომისიამ აღნიშნა, რომ FATF-ის 40 რეკომენდაცია არის სტანდარტი, რომლის საფუძველზედაც უნდა შეფასდეს შესაბამისი სახელმწიფოების მიერ ფულის გათეთრებასთან საბრძოლველად მიღებული ზომები. 1996 წლის ივნისში FATF-მა პირველად გადასინჯა თავისი 40 რეკომენდაცია ფულის გათეთრების ცვალებად ხერხებთან და ფინანსური მომსახურების სფეროში განვითარებად ტექნოლოგიებთან მათი უკეთესი მისადაგების მიზნით. ამ ნაშრომში გათვალისწინებული იყო 1992–1995 წლებში გამართული FATF-ის წევრი 26 ქვეყნის ურთიერთშეფასების პირველი რაუნდის შედეგები.

40 რეკომენდაციაში შეტანილი ძირითადი ცვლილებები (1996 წლის რედაქციით) გულისხმობდა შემდეგს:

- უფრო მკაცრი სახის მიცემა იმ დანაშაულთა ჩამონათვალის გაფართოების შესახებ მითითებისთვის, რომლებიც წინ უსწრებს ფულის გათეთრებას, მასში, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულების გარდა, სხვა სერიოზული დანაშაულების შეტანის ხარჯზე;

- პრევენციული ზომების მოქმედების არაფინანსურ საწარმოებსა და პროფესიებზე გავრცელების საკითხის შესწავლა;

- საფინანსო დაწესებულებების მიერ საექვო ოპერაციების შესახებ შეტყობინებების კომპეტენტური ორგანოებისათვის წარდგენის აუცილებლობა;

- ქვეყნების ყურადღების ფულის გათეთრების მიზნით ახალი ან განვითარებადი ტექნოლოგიების გამოყენების რისკზე კონცენტრაცია;

- ერთობლივი გამოძიებების ჩატარება, მათ შორის, გამოძიების ისეთი სპეციალური მეთოდების გამოყენებით, როგორცაა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების კონტროლირებადი მიწოდება;



- ფულის გათეთრებისთვის იმ კომპანიების გამოყენების პოტენციური საფრთხის შესწავლა, რომლებიც ფიზიკურად არ იმყოფებიან თავიანთი რეგისტრაციის ადგილზე.

1996 წლის ივნისიდან FATF-მა დაიწყო წლიური ანგარიშების გამოქვეყნება ფულის გათეთრების მეთოდებისა და ტენდენციების საკუთარი გამოკვლევების შესახებ, რომლებიც FATF-ის საქმიანობის დაწყებიდან ტარდებოდა.

1996–1999 წლებში გაიმართა FATF-ის წევრი ქვეყნების ურთიერთშეფასების მეორე რაუნდი, რომლის ძირითადი მიზანი იყო მათ მიერ 40 რეკომენდაციის გამოყენების ეფექტიანობის შემოწმება.

ამ პერიოდში FATF-ში ახალი წევრები არ მიუღიათ, თუმცა ფულის გათეთრებასთან ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტების გავრცელების სფერომ გაფართოება დაიწყო FATF-ის ტიპის რეგიონალური ჯგუფების დაფუძნების წყალობით. ფულის გათეთრებასთან ბრძოლის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი პირობაა ყველა ქვეყნის მიერ მათი კოორდინირებული გამოყენება. ამავე დროს, ცხადია, რომ ყველა სახელმწიფოს არ აქვს ასეთი სტანდარტების დასანერგად საჭირო რესურსები.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით 1997 წელს დაფუძნდა გაეროს ფულის გათეთრებასთან ბრძოლის გლობალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ფულის გათეთრებასთან ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობას, სახელმწიფოებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევას შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვაში, ფინანსური დაზვერვის ქვედანაყოფების შექმნის ჩათვლით.

1998 წლის მაისში ბირმინგემში გამართულმა „რვიანის“ სამიტმა აღნიშნა, რომ გლობალიზაციას თან სდევს ორგანიზებული დანაშაულის მკვეთრი ზრდა, რომელიც სხვადასხვა ფორმას იძენს, ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონო ბრუნვის, ადამიანებით ვაჭრობის, ახალი ტექნოლოგიების ბოროტად გამოყენების, თაღლითობის და კანონის მოთხოვნათა შესრულებისთვის თავის არიდების, აგრეთვე დანაშაულების შედეგად მიღებული შემოსავლების გათეთრების ჩათვლით.

აღნიშნულ გამოწვევებსა და საფრთხეებზე პასუხის სახით საბოლოო კომუნიკეში „რვიანმა“ მხარი დაუჭირა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს ზემოხსენებული კონვენციის შემუშავებას და მოიწონა FATF-ის გადაწყვეტილება, გაეფართოებინა თავისი საქმიანობა FATF-ის ტიპის რეგიონალურ ჯგუფებთან ურთიერთკავშირით.

ამავდროულად დადასტურებულ იქნა შეთანხმება, ფინანსური დაზვერვის ქვედანაყოფები დაფუძნებულიყო იმ ქვეყნებში, სადაც ისინი ჯერ კიდევ არ არსებობდა, ფულის გათეთრების შესახებ ინფორმაციის შეკრებისა და ანალიზისათვის და სხვა ქვეყნების ანალოგიურ სტრუქტურებთან ურთიერთკავშირისათვის. „რვიანმა“ აღიარა კორუფციასთან ბრძოლის ხერხების შესწავლის აუცილებლობა, რომელსაც კრიმინალური ფულადი სახსრების მნიშვნელოვანი ნაკადები ასაზრდოებს.

1998 წლის 10 ივნისს გაეროს გენერალური ასამბლეის მე-20 სპეციალურმა სესიამ მიიღო პოლიტიკური დეკლარაცია და ფულის გათეთრებასთან ბრძოლის მოქმედებათა გეგმა.

პოლიტიკური დეკლარაციით სახელმწიფოებს, რომლებსაც არ აქვთ ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ კანონმდებლობა, რეკომენდაცია მიეცათ, ისეთი კანონმდებლობა და პროგრამები მიიღონ, რომლებიც ვენის კონვენციის დებულებებს შეესაბამება. მოქმედებათა გეგმაში აღნიშნული იყო, რომ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვიდან, აგრეთვე სხვა მძიმე დანაშაულების შედეგად მიღებული ფულის გათეთრების პრობლემამ საერთაშორისო მასშტაბები შეიძინა და საფინანსო და სავაჭრო სისტემების მთლიანობის, საიმედოობისა და სტაბილურობისათვის გლობალურ საფრთხედ იქცა; ის მოითხოვს, ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მთელმა საერთაშორისო გაერთიანებამ მიიღოს ზომები, რათა დამნაშავეებს მოაკლდეთ უსაფრთხო თავშესაფრები, რომლებიც მათთვის და მათი დანაშაულებრივი შემოსავლებისთვისაა განკუთვნილი.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ აღიარა, რომ ფულის გათეთრებასთან ბრძოლის პოლიტიკის სათანადო კოორდინაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ეროვნული კანონმდებლობების შეთანხმება იმ საქმიანობისთვის ზიანის მიყენების გარეშე, რომელსაც ახორციელებს თითოეული სახელმწიფო საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფულის გათეთრებასთან ეფექტიანი ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო თანამშრომლობის და ისეთი ორმხრივი და მრავალმხრივი საინფორმაციო ქსელების შექმნის მეშვეობით, როგორცაა ჯგუფი „ემონტი“, რომლებიც სახელმწიფოებს საშუალებას მისცემს, გაცვალონ ინფორმაცია კომპეტენტურ ორგანოებს შორის.

მოქმედებათა გეგმა მოუწოდებს სახელმწიფოებს, უზრუნველყონ პროგრესი ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ დებულებების შესრულებაში, რომლებიც მოცემულია ვენის კონვენციაში, აგრეთვე სხვა საერთაშორისო დოკუმენტებში, FATF-ის 40 რეკომენდაციის ჩათვლით, შემდეგი პრინციპების გამოყენების საფუძველზე:

1) საკანონმდებლო ჩარჩოების შექმნა მძიმე დანაშაულების შედეგად მიღებული ფულის გათეთრების სისხლისსამართლებრივად დასჯადი ხასიათის აღიარებისათვის, ფულის გათეთრების დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენის, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნისათვის პირობების შექმნის მიზნით, შემდეგი საშუალებებით:

- დანაშაულების შედეგად მიღებული შემოსავლების გამოვლენა, „გაყინვა“, დაყადაღება და კონფისკაცია;
- ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ საქმეებში საერთაშორისო თანამშრომლობა და სამართლებრივი ურთიერთდახმარება;
- ფულის გათეთრების დანაშაულის იურიდიული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმებაში შეტანა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო დახმარება გამოძიებაში, საქმის სასამართლოში წარსადგენად მომზადებაში ან ამ დანაშაულთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში ;

2) საფინანსო რეგულირების ეფექტიანი რეჟიმის შექმნა, რათა არ იქნეს დაშვებული დამნაშავეების და მათი უკანონო სახსრების ეროვნულ და საერთაშორისო საფინანსო სისტემებში შეღწევა, რაც შესაძლებელს გახდის, შენარჩუნებულ იქნეს საფინანსო სისტემების მთლიანობა მთელ

მსოფლიოში და უზრუნველყოფილ იქნეს კანონებისა და ფულის გათეთრებასთან ბრძოლისაკენ მიმართული სხვა წესების შესრულება შემდეგი საშუალებებით:

- კლიენტების პიროვნების იდენტიფიკაციისა და შემოწმების შესახებ მოთხოვნები, რომლებიც ეფუძნება საკუთარი კლიენტის ცოდნის პრინციპის გამოყენებას, რათა არსებობდეს კომპეტენტური ორგანოებისათვის საჭირო ინფორმაცია კლიენტების პიროვნების და მათ მიერ განხორციელებული ფინანსური ოპერაციების შესახებ;
- ფინანსური ოპერაციების შესახებ სარეგისტრაციო ჩანაწერები;
- საექვო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის აუცილებელი წარდგენა;
- საბანკო საიდუმლოს დაცვასთან დაკავშირებული წინააღმდეგობების მოხსნა ფულის გათეთრების თავიდან აცილებისაკენ, გამოძიებისაკენ ან დასჯისაკენ მიმართული ძალისხმევისათვის;

3) სამართალდაცვით სფეროში ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც მიმართულია იმისკენ, რომ შეიქმნას საშუალებები, რათა:

- მოხდეს იმ დამნაშავეების ეფექტიანი გამოვლენა, გამოძიება, დევნა და დასჯა, რომლებიც ფულის გათეთრების ოპერაციებს ახორციელებენ;
- განხორციელდეს გაცემის პროცედურა;
- იმოქმედოს ინფორმაციის გაცვლის მექანიზმებმა.

2000 წლის თებერვალში FATF-ის პლენუმმა არამოთანამშრომლე ქვეყნებისა და ტერიტორიების გამოვლენის ინიციატივის განვითარების მიზნით მიიღო გადაწყვეტილება შეფასების ოთხი რეგიონალური ჯგუფის (ამერიკა, აზია/ოკეანეთი, ევროპა, აფრიკა/ახლო აღმოსავლეთი) შექმნის შესახებ და მიიღო FATF-ის 40 რეკომენდაციის ძირითად დებულებებთან შეუსაბამობის 25 სპეციალური კრიტერიუმი (საფინანსო დაწესებულებების კონტროლის არარსებობა ან არასაკმარისი კონტროლი; ანონიმური ანგარიშების არსებობა; საექვო გარიგებების შესახებ შეტყობინებების ეფექტიანი იძულებითი სისტემის არარსებობა; წინააღმდეგობები რეალური სარგებლის მიმღების დადგენაში; შემზღუდავი პრაქტიკა საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში; ფულის გათეთრების სისხლის სამართლის დანაშაულად არაღიარება; უფლებამოსილი ორგანოს არარსებობა და სხვ.).

თვით საბანკო გაერთიანების მიერ დანაშაულებრივი შემოსავლების გათეთრებაში ფინანსური სისტემის გამოყენების წინააღმდეგ პრევენციული ზომების აუცილებლობის აღიარების მიზნით 2000 წლის ოქტომბერში ვოლფსბერგის ჯგუფმა, რომელიც მსოფლიოს 12 უმსხვილეს ბანკს აერთიანებდა, მიიღო კერძო ბანკებში ფულის გათეთრებასთან ბრძოლის პრინციპები, რომლებიც ეხება კლიენტის პიროვნების იდენტიფიკაციას, ანგარიშების რეალური მფლობელების დადგენის, აგრეთვე უჩვეულო ან საექვო ოპერაციების გამოვლენის შემთხვევაში მოქმედებების ჩათვლით.

**დასკვნა**

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო-სამართლებრივი სისტემის, საერთაშორისო სტანდარტების ჩამოყალიბების და განვითარების დინამიკა, გავანალიზეთ რეკომენდაციები და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტები. მიმაჩნია, რომ წამოჭრილი პრობლემის მოგვარებისათვის მიზანშეწონილია უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასთან დაკავშირებული ადგილობრივი საკანონმდებლო სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრაში მოყვანა, ხელს შეუწყობს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ეფექტურად წარმართვას.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. A/CONF.187/INF.1. Tenth United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders. Vienna, 10-17 April 2000
2. Consistent Quantitative Operational Risk Measurement and Regulation: Challenges of Model Specification, Data Collection and Loss Reporting. (2007). International Monetary Fund
3. Convention on Laundering, Search, Seizure and Confiscation of the Proceeds from Crime. Strasbourg, 8.XI.1990
4. Convention on Laundering, Search, Seizure and Confiscation of the Proceeds from Crime. Strasbourg, 8.XI.1990
5. Convention on Laundering, Search, Seizure and Confiscation of the Proceeds from Crime - Explanatory Report - COETSER 6 (8 November 1990)
6. United Nations Convention against Illicit Traffic in Narcotic Drugs and Psychotropic Substances. Vienna, 20 December 1988
7. United Nations Convention against Transnational Organized Crime New York, 15 November 2000
8. United Nations Convention against Transnational Organized Crime (2004). New York, <http://www.unodc.org/documents/treaties/UNTOC/Publications/TOC%20Convention/TOCebook-e.pdf>



# დოქტორანტი

შალვა ალანია

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
სამართლის სკოლა, დოქტორანტი

## იურიდიული პირის პასუხისმგებლობის ფარგლები

### რეზიუმე

იურიდიული პირების პასუხისმგებლობის ფარგლების პრაქტიკაში არსებული პრობლემების ანალიზი მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ცვლილებების განსახორციელებლად. აღნიშნული საკითხი მეცნიერთა მხრიდან საერთოდ არ განხილულა. მნიშვნელოვანია საკითხის სამართლებრივი მხარე და პრაქტიკაში მისი არსებობის დროს წარმოქმნილი პრობლემების ანალიზი. იურიდიული პირების პასუხისმგებლობის საკითხი სამართლებრივ დახვეწას და სრულყოფას საჭიროებს. საყურადღებოა ამერიკის შეერთებული შტატებში და კონტინენტური ევროპის სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში იურიდიული პირის – როგორც, სამოქალაქო, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის და სისხლის სამართლის სუბიექტის არსებობა.

**სამიუბო სიტყვები:** იურიდიული პირი; პასუხისმგებლობა; პასუხისმგებლობის ფარგლები;

**Shalva Alania**

Grigol Robakidze University  
School of Law, Ph.D. Student

## Legal Entity: Framework of Liability

### Summary

The article “Legal Entity: framework of Liability” discusses new issues for Georgian legal science.

The analysis of the issues existing in the practice of the framework of liability of legal entities is very important in the process of implementation of legislative reforms. These theoretic issues has never discussed by scientific circles.

**Key words:** Legal Entity, responsibility, liability, framework of liability.

**იურიდიული პირის პასუხისმგებლობის ფარგლები იურიდიული პირის  
პასუხისმგებლობის წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები**

კლასიკური ქვეყნების სამოქალაქო კოდექსები იურიდიული პირის ლეგალურ დეფინიციას არ იძლევიან. აღნიშნული იმით იხსნება რომ ამ ქვეყნების სამართალს აინტერესებს არა დეფინიცია, არამედ ამ სუბიექტების რეალური შინაარსი, უფრო ზუსტად, სამართლებრივ ურთიერთობებში მათი მონაწილეობის ფორმები და ხასიათი. ამიტომ, როგორც სწორად იყო ქართული სამართლის მეცნიერებაში აღნიშნული, იურიდიული პირის ნიშნები იმ სამართლის ნორმებიდან გამოჰყავთ, რომლებიც ამ ქვეყნების საკანონმდებლო აქტებშია მიმოხილული და იურიდიული პირების სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავენ.

იურიდიული პირების ცნების ლეგალურ დეფინიციას არ შეიძლება ჰქონდეს სრულყოფილების პრეტენზია. როგორც წესი, ის მხოლოდ არსებით ნიშნებს განამტკიცებს. სხვა დანარჩენი კი ცალკეული ნორმების შინაარსიდან უნდა იქნეს გამოყვანილი. იგივე ითქმის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირველ ნაწილზეც, რომელიც თუმცა კი იძლევა იურიდიული პირის ლეგალურ დეფინიციას, მაგრამ ეს არ არის ამომწურავი სამართლის ამ სუბიექტის სრულად დახასიათებისათვის. იმავდროულად, 24-ე მუხლის ეს დეფინიცია სრულიად შეესაბამება დასავლეთის ქვეყნებში არსებულ შეხედულებას იურიდიული პირის სტატუსის შესახებ და მოქმედ კანონმდებლობას.

იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ გამოვიდეს. იურიდიული პირი წარმოიშვება ქონების და პირების გაერთიანებით ერთი მიზნის მისაღწევად. --განსაზღვრული მიზნის მიღწევა იურიდიული პირის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. მიზნის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია განვასხვავოთ სამართლებრივად მნიშვნელოვანი მიზანი და იურიდიულად მნიშვნელოვანი მიზანი. თუმცა მიზნის განსაზღვრას მესამე პირთან ურთიერთობაში არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. იურიდიული პირის მიზანი არ უნდა აიყოს ერთჯერადი, ერთი მოქმედებით მისაღწევი. იგი უნდა მოითხოვდეს წარმონაქმნის ხანგრძლივი ვადით არსებობას.--- იურიდიული პირის ერთ – ერთი აუცილებელი ნიშანია საკუთარი ქონების ქონის უნარი.

მთავარია, რომ ეს ქონება განცალკევებული იყოს წევრთა პირადი ქონებისაგან. თავად იურიდიული პირი კი არავის საკუთრება არ არის. იურიდიულ პირს აკისრია დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობა. იგი კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს თავისი ქონებით და არა მონაწილეების ქონებით. საკუთარი სახელის ქონა, იურიდიულ პირს ანიჭებს შესაძლებლობას შეიძინოს უფლებები და მოვალეობები, დადოს გარიგებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე. სახელის ტარება მისი მოვალეობაა. იურიდიული პირი, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან. იურიდიული პირის არსებობის წინაპირობა მაინც საკანონმდებლო ლეგიტიმაციაა. იურიდიულ პირს გააჩნია მრავალი სახის პასუხისმგებლობა, კერძოდ ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივი. სამივე სახის პასუხისმგებლობა მისი აუცილებელი ნიშნებიდან გამომდინარეობს, კერძოდ იურიდიული პირის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი ისაა, რომ მას უნდა ჰქონდეს თავისი დამოუკიდებელი ქონება და ეს ქონება განცალკევებული უნდა იყოს წევრთა პირადი ქონებისაგან. როგორც უკვე დავინახეთ, ამ ნიშანს დიდი ხნის ისტორია აქვს და უფრო ხანდაზმულია, ვიდრე თვით იურიდიული პირის ცნების ისტორია. დამოუკიდებელი ქონების არსებობაა ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი და წინაპირობა იურიდიული პირის

წარმოშობისთვის. იგი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ზოგი თეორია მას გადამწყვეტადაც კი მიიჩნევდა ( მიზნობრივი ქონების თეორია). იურიდიული პირი ამ ქონების მესაკუთრეა. თვითონ იურიდიული პირი კი არავის საკუთრება არ არის, როგორც ამას ხშირად შევხვდებით საბჭოთა ან პოსტსაბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში. იურიდიული პირის ქონება არც დამფუძნებლის ან მასში მონაწილეთა საერთო საკუთრებაა. მაშინაც კი, როცა საქმე საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან გვაქვს, რომლის ერთადერთი დამფუძნებელი სახელმწიფოა, ქონების მესაკუთრედ მაინც იურიდიული პირი გამოდის. მაგალითად სახელმწიფო უნივერსიტეტი მესაკუთრეა იმ ქონების, რომელიც მას სახელმწიფოსგან აქვს გადაცემული. თუმცა ამ უნივერსიტეტის ძირითადი განმკარგველი სახელმწიფოა, იგი მისი „მესაკუთრე“ მაინც არ არის. დამოუკიდებელი ქონების არსებობა უკავშირდება იურიდიული პირის დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხს. უზოგადესი პრინციპის თანახმად, იურიდიული პირი კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს თავისი ქონებით და არა მონაწილეების ქონებით.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ქვეყნის სამართალი იურიდიული პირის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ნიშნად მისი დამოუკიდებელი ქონების არსებობას აღიარებს, არც იურიდიული პირის მონაწილეების (პარტნიორების) პასუხისმგებლობას გამორიცხავს. მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო სამართალით ღია სავაჭრო საზოგადოება, რომელსაც ქართულ სამართალში შეესაბამება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, იურიდიული პირია, მაგრამ მისი პარტნიორები კრედიტორების წინაშე პირდაპირ და შეუზღუდავად აგებენ პასუხს. ანალოგიურ წესს ითვალისწინებს საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ.

იმ ქვეყნებშიც, სადაც კანონმდებლობა პირდაპირ განსაზღვრავს, რომ იურიდიული პირის პასუხისმგებლობა მხოლოდ მისი ქონებით შემოიფარგლება, სასამართლო პრაქტიკამ გამონაკლისები მაინც დაამკვიდრა. მაგალითად, გერმანიისა და ჰოლანდიის კანონმდებლობა შპს-ს პასუხისმგებლობას შემოფარგლავს მხოლოდ მისი ქონებით, მაგრამ სასამართლო პრაქტიკამ ხშირ შემთხვევებში პასუხი დააკისრა მის დამფუძნებლებს, განსაკუთრებით ერთი პირის მიერ დაფუძნებული შპს-ს შემთხვევაში. ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ ზიანი სწორედ პარტნიორის დაუდევარი მოქმედების შედეგად წარმოიშვა. ქართულმა სამართალმა გაითვალისწინა ეს ტენდენცია და მეწარმეთა კანონში განამტკიცა ანალოგიური ნორმა. სახელმწიფო საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც ასევე იურიდიულ პირებს წარმოადგენენ, მათი პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე არ შემოიფარგლება მხოლოდ მათი ქონებით – სუბსიდიურად (ე.ი დამატებით) სახელმწიფოც აგებს პასუხს საწარმოს კრედიტორების წინაშე. იურიდიული პირის ქონებით დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის პრინციპიდან ეს გამონაკლისები კიდევ უფრო ადასტურებენ იმ შეხედულებას, რომ იურიდიული პირი არის ნორმატიულ-სამართლებრივი კონსტრუქცია და მასში კანონმდებელი იმ შინაარსს დებს, რომელიც გარემოებათაგან გამომდინარე რაციონალური და მიზანშეწონილია. მაგრამ რაც აუცილებელია ამ ნიშნის დახასიათებისას, ესაა წევრთა პირადი ქონებისაგან განცალკევებული ქონების არსებობა. მის გარეშე არ შეიძლება იურიდიული პირი რეალურად არსებობდეს.

სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის გაიოლების მიზნით და სხვა მონაწილეთაგან განსხვავების უზრუნველსაყოფად იურიდიულ პირს აქვს საკუთარი სახელი. ეს ნიშანი ანიჭებს მას შესაძლებლობას შეიძინოს უფლებები და იკისროს მოვალეობები, დადოს გარიგებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე და ა.შ. მოკლედ, იყოს ყველა იმ ურთიერთობის მონაწილე, რომელსაც სამოქალაქო სამართალი მას განუსაზღვრავს.

საკუთარი სახელის არსებობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია იურიდიული პირის განსაზღვრისათვის. მისი მეშვეობით ხდება სამართლის ამ სუბიექტის ინდივიდუალიზაცია და



იდენტიფიკაცია. პირადი არაქონებრივი ურთიერთობების სფეროში სამოქალაქო სამართალი მას მნიშვნელოვან შედეგებსაც უკავშირებს.

საყურადღებოა ის, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა, 2006 წლის 25 აგვისტოს განიცადა ცვლილება. ეს ცვლილება შეეხო სისხლის სამართლის სუბიექტს, რომელიც მანამდე მხოლოდ ფიზიკური პირით იყო წარმოდგენილი და ამ დროიდან მას იურიდიული პირიც დაემატა, კერძოდ, იურიდიული პირიც უკვე საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით წარმოადგენს სისხლის სამართლის სუბიექტს. ე.ი. შესაბამისად მასზე შეიძლება გავრცელდეს სასჯელი. ეს საკითხი საკამათოა და არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ ევროპულ სივრცეში ის ჯერ კიდევ XX ს-ის დასაწყისში იყო განხილვის საგანი, კერძოდ შეუძლია იურიდიულ პირს თუ არა ჩაიდინოს ისეთი სოციალური აქტი, როგორცაა დანაშაული, რაც თავის თავში გულისხმობს არამარტო ობიექტურ საქციელს, არამედ სუბიექტურ, ფსიქოლოგიურ ასპექტებსაც, რომელიც მხოლოდ ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა. მიუხედავად ამისა, არაერთმა ცივილიზებულმა სახელმწიფომ აღიარა იურიდიული პირი, როგორც სისხლის სამართლის სუბიექტი ამა თუ იმ დანაშაულებზე.

საქართველოს სამოქალაქო სამართალი, ისევე როგორც დასავლეთის ბევრი ქვეყნის სამოქალაქო სამართალი, კერძო სამართლის იურიდიული პირების წარმოშობას რეგისტრაციის ფაქტს უკავშირებს. იურიდიული პირი არის ნორმატიულ სამართლებრივი კონსტრუქცია. ამიტომ იურიდიული პირების რეგისტრაციას კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს. იურიდიული პირის არსებობის ფუძემდებლური წინაპირობა საკანონმდებლო ლეგიტიმაციაა. მოქმედი კანონმდებლობა არ მიიჩნევს ამა თუ იმ წარმონაქმნს იურიდიულ პირად, თუ იგი არ იქნება როგორც იურიდიული პირი.

კერძო სამართლის იურიდიული პირები – იურიდიული პირის არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც საკუთარი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს. ერთმანეთისაგან განასხვავებენ კერძო სამართლისა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. კერძო სამართლის იურიდიული პირის შექმნას საფუძვლად უდევს მხარეთა კერძო ავტონომია და ნების თავისუფალი გამოვლენის პრინციპი. კერძო სამართლის იურიდიული პირები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად იმის მიხედვით, თუ საქმიანობის რომელს სფეროს განეკუთვნებიან ისინი: კომერციული თუ არაკომერციული იურიდიული პირები. არაკომერციული იურიდიული პირების სამართლებრივი მდგომარეობა მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსით. კომერციული იურიდიული პირების სტატუსი განსაზღვრულია კანონში მეწარმეთა შესახებ. კომერციული იურიდიული პირებიც თავის მხრივ იყოფა ორ ჯგუფად: ამხანაგობის ტიპის და კაპიტალურ საზოგადოებებად. წევრობაზე დაფუძნებული იურიდიული პირები თავის მხრივ შეიძლება დაიყოს წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებულ და მისგან დამოუკიდებელ იურიდიულ პირებად.

საჯარო სამართლის იურიდიული პირები – საჯარო სამართლის იურიდიული პირები მოწესრიგებულია კანონში საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ. საჯარო სამართლის უპირველესი იურიდიული პირი თვით სახელმწიფოა. სამოქალაქო სამართლის ურთიერთობებში ის ისევე მონაწილეობს, როგორც ნებისმიერი სხვა – კერძო თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი. სახელმწიფო იურიდიული პირია და ურთიერთობებში გამოდის მისი ორგანოების მეშვეობით. ისინი ახორციელებენ სახელმწიფოს საქმიანობას კონკრეტულ სფეროებში. გარდა სამინისტროებისა სახელმწიფოს შეუძლია სხვა მრავალი იურიდიული პირი სემნას იმის მიხედვით, თუ რა ამოცანების განხორციელება მოუწევთ მათ. საჯარო სამართლის

მეორე ჯგუფს შეადგენენ ე.წ. საჯარო სამართლებრივი ორგანოები : საზოგადოებრივი ტელევიზია, ეროვნული ბანკი და ა.შ. კიდევ საჯარო სამართალი იცნობს ასევე საჯარო სამართლებრივი დაწესებულებებისა და საჯარო სამართლებრივი ფონდების ცნებებს. ყველა ამ იურიდიულ პირს ახასიათებს ერთი საერთო ნიშანი ისინი იქმნება საგანმკარგულებლო წესით ანუ ზემდგომი სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე არწარმოშობილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს წარმოადგენენ პოლიტიკური პარტიები. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენს ასევე საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია. საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჩამონათალი არ არის ამომწურავი.

არასამეწარმეო იურიდიული პირები – არაკომერციული იურიდიული პირები, მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაედიანებების, სამოქალაქო საზოგადოების წ.ჭ არასამთავრობო სექტორის სამართლებრივ ფორმას წარმოადგენენ. არაკომერციული იურიდიული პირები მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსში. არაკომერციული იურიდიული პირი შეიძლება დაფუძნებული იყოს, როგორც წევრობაზე, ისე ქონების გაერთიანებაზე. იგი შეიძლება დააფუძნოს ერთმა ადამიანმაც. დაფუძნებისათვის აუცილებელია წერილობითი სადამფუძნებლო დოკუმენტი. რომელსაც წესდების ფორმა აქვს და ყველა დამფუძნებელი აწერს ხელს. იგი უნდა შეიცავდეს არაკომერციული იურიდიული პირის სახელწოდებას. სახელწოდების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია „არასამეწარმეო იურიდიული პირი“. არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდება არ შეიძლება ემთხვეოდეს უკვე არსებული იურიდიული პირის სახელწოდებას, რაც რეგისტრაციისას უნდა გადამოწმდეს. იურიდიული მისამართი ისეთივე აუცილებელი კომპონენტია, როგორც სახელწოდება. იურიდიული პირის ადგილსამყოფელად ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. მას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი. ყველა სხვა ადგილსამყოფელი აითვლება ფილიალის ადგილსამყოფელად. სასურველია სადამფუძნებლო დოკუმენტში საქმიანობის მიზნის განსაზღვრაც, რაც იურიდიული პირის ხელმძღვანელებს საქმიანობის ფარგლებს უწესებს, რითაც დამფუძნებლებს მათი კონტროლის საშუალება ეძლევათ. სადამფუძნებლო დოკუმენტი ასევე უნდა შეიცავდეს პირად მონაცემებს არასამეწარმეო იურიდიული პირის დამფუძნებლების, ხელმძღვანელი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების შესახებ. უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელი ორგანოების სახელწოდებები, მათი შექმნის წესი და უფლებამოსილებების ვადა. წევრად მიღების, წევრობიდან გასვლისა და გარიცხვის წესს.

არაკომერციული იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტები წერილობით უნდა გაფორმდეს და სასურველია სანოტარო წესითაც დამოწმდეს. არასამეწარმეო იურიდიული პირი წარმოშობილად ითვლება არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. არასამეწარმეო იურიდიულ პირებს უფლება აქვთ განახორციელონ სამეწარმეო საქმიანობა, მაგრამ ეს გარკვეულ მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს

სამეწარმეო იურიდიული პირები – კომერციული იურიდიული პირების სტატუსი სრულიად არის მოწესრიგებული კანონში მეწარმეთა შესახებ. კომერციულ იურიდიულ პირად ჩაითვლება მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი, რომელიც მისდევს სამეწარმეო საქმიანობას. კომერციული იურიდიული პირების განსაზღვრისას კონანო მიმართავს მათი ამომწურავი ჩამოთვლის ე.წ. numerus clausus პრინციპს. სამეწარმეო საქმიანობაში დასაშვებია საწარმოთა მხოლოდ ის ფორმები, რომელიც განმტკიცებულია კანონში. მეწარმეთა შესახებ კანონით მოწესრიგებული იურიდიული პირები პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ამხანაგობის ტიპის საზოგადოებები, კერძოდ, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება და კომანდიტური საზოგადოება. მათთვის დამახასიათებელია წევრობაზე აგებული ურთიერთობები ისე, რომ ამ იურიდიულ პირთა წევრები მათი საზოგადოების

კრედიტორის წინაშე პირადად თავიანთი ქონებით აგებენ პასუხს. კომერციული იურიდიული პირების მეორე ჯგუფს შეადგენენ ე.წ. კაპიტალური საზოგადოებები. ასეთ საზოგადოებებში პარტნიორები, ე.ი საზოგადოების წევრები, არ აგებენ პასუხს საზოგადოების კრედიტორების წინაშე. მაგრამ კრედიტორების დასაცავად აუცილებელია მინიმალური ქონების – კაპიტალის არსებობა. ამ ტიპის საზოგადოებებია: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი. კომერციული იურიდიული პირების სამართლებრივ ფორმათა ჩამონათვალი ამომწურავია და კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ მხოლოდ ერთ – ერთი ამ ფორმის არჩევა.

ხელმძღვანელობა, წარმომადგენლობა და პასუხისმგებლობა – სამოქალაქო კოდექსით იურიდიული პირების ორგანოების სტრუქტურა და კომპეტენცია მთლიანად სადამფუძნებლო დოკუმენტებზე არის დამოკიდებული და კანონით არ არის დადგენილი, მაგრამ კოდექსი მათ არსებობას მაინც სავალდებულოთ მიიჩნევს. სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებს ხელმძღვანელი პირების ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს. პირველში, იგულისხმება იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილებების მიღება, მეორეში – არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელით გამოსხვალ მესამე პირებთან ურთიერთობაში. იურიდიული პირის დამფუძნებლები უფლებამოსილნი არიან ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება ერთ ან რამდენიმე პირს მიანიჭონ. აღიარებული წესის მიხედვით მესამე პირებთან ურთიერთობებში ხელმძღვანელთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეუზღუდავია. აქედან გამომდინარე, მატ მიერ იურიდიული პირის სახელით მესამე პირებთან დადებული გარიგებები, თუნდაც ისინი არღვევდნენ წესდებით დადგენილ შეზღუდვებს, ნამდვილია.

ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების მქონე პირებს ეკისრებათ საქმის კეთილსინდისიერად გაძღოლის მოვალეობა. ამ მოვალეობის დარღვევით იურიდიული პირისთვის მიყენებული ზიანი მათ უნდა აუნაზღაურონ იურიდიულ პირს. რაც შეეხება იურიდიული პირის პასუხისმგებლობას კრედიტორების წინაშე იგი შემოიფარგლება მისი ქონებით და მისი ვალდებულებებისათვის იურიდიული პირის დამფუძნებლები და წევრები პასუხს არ აგებენ. იურიდიული პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მიადგა მესამე პირებს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების მქონე პირის მიერ დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას.

არასამეწარმეო იურიდიული პირების სამეწარმეო საქმიანობა - არაკომერციული იურიდიული პირი იქმნება იდეალური, საქველმოქმედო, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი სოციალური, კულტურული, სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო ამოცანების განსახორციელებლად. სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუცლის მე-5 ნაწილი არაკომერციული იურიდიული პირს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლებას ანიჭებს. თუკი არაკომერციულ იურიდიულ პირებს აეკრძალებოდათ სამეწარმეო საქმიანობა, მაშინ მათი არსებობა აზრსაც დაკარგავდა, ხოლო დასახული მიზნები – ფინანსური არარსებობის გამო – მიუღწეველი დარჩებოდა. ამრიგად, არაკომერციულ იურიდიულ პირებს უფლება აქვთ განახორციელონ სამეწარმეო საქმიანობა, მაგრამ ეს საქმიანობა გარკვეულ მოთხოვნილებებს უნდა შეესაბამებოდეს. პირველ რიგში, არაკომერციული იურიდიული სამეწარმეო საქმიანობა დამხმარე ხასიათის უნდა იყოს და მისგან მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. და მეორე, დაუშვებელია ასეთი სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არაკომერციული იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებსა

და ხელმძღვანელებს შორის . მოგება ან დასახულ მიზანს უნდა მოხმარდეს ან უნდა დარჩეს იურიდიულ პირს.

### **დასკვნა და რეკომენდაციები**

იურიდიული პირების პასუხისმგებლობის ფარგლების სამართლებრივი საკითხები საკანონმდებლო სივრცეში დახვეწას საჭიროებენ. პასუხისმგებლობის ფარგლების სამართლებრივი საფუძვლები, კონკრეტული ფორმები, პასუხისმგებლობის სუბიექტი დაკონკრეტებული და გამიჯნული უნდა იყოს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის კოდექსებში.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. საქართველოს პარლამენტი. სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge). (01.02,2016);
2. საქართველოს პარლამენტი. სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge). (01,02,2016);
3. საქართველოს პარლამენტი. სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს ზოგად-მი ადმინისტრაციული კოდექსი, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge). (01,02,2016);
4. თეა სუხიტაშვილი, „თეორიები სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძვლების შესახებ“ ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი, #4, 2012 წელი;
5. ინტერნეტ წყარო [Supremecourt.ge](http://Supremecourt.ge);
6. სოფიო მაჭავარიანი, „პასუხისმგებლობა კორპორაციულ ჯგუფში აშშ-სა და გერმანიის სამართლის მიხედვით და მისი პრინციპების ინტეგრაციის პერსპექტივები საქართველოში“ სამართლის ჟურნალი #1, 2013 წელი;

### **ლალი ბაგრატიონი**

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის,  
სამართლის სკოლის დოქტორანტი

### **უფლებამონაცვლეობის საკითხები მემკვიდრეობის სამართალში**

**რეზიუმე:** თანამედროვე კერძო სამართალში აღინიშნება გარკვეული წინააღმდეგობა მამკვიდრებლის კრედიტორების მიმართ მემკვიდრის პასუხისმგებლობაზე მსჯელობისას, რაც უშუალო კავშირშია უფლებამონაცვლეობის საკითხებთან. სტატიაში მემკვიდრეობითი უფლებამონაცვლეობის კვალიფიკაციის მცდელობის მიზნით განხილულია უნივერსალური და სინგულარული მონაცვლეობის არსი და მისი გავლენა მემკვიდრის სავალო

პასუხისმგებლობაზე მსოფლიო იურიდიულ დოქტრინებსა და ქართულ მემკვიდრეობით სამართალში.

**საბიებო სიტყვები:** უნივერსალური უფლებამონაცვლეობა, სინგულარული უფლებამონაცვლეობა, მამკვიდრებლის კრედიტორები, ლეგატი.

**Lali Bagrationi**

Grigol Robakidze University,  
School of Law, Ph.D. Student

### **Issues of Succession in Inheritance Law**

#### **Summary**

In the modern theory of private law there is some resistance to issues related to the creditors of a decedent's successor liability debate, which is directly linked to the succession. The article discusses the hereditary succession of qualifications in order to attempt a universal essence and singular succession and its impact on the world of legal doctrines and successor liability for the debt inherited from the Georgian law.

**Key Words:** Universal succession, singular succession, decedent's creditors, legacy.

#### **უფლებამონაცვლეობის საკითხები მემკვიდრეობის სამართალში**

მამკვიდრებლის ქონების სხვა პირებზე გადასვლის წესი მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ეთიკური, მორალური, რელიგიური, საოჯახო ასპექტებით. ამდენად, ნებისმიერი თანამედროვე განვითარებული ქვეყნისათვის მემკვიდრეობის სამართალი წარმოადგენს კერძო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს. მსოფლიო იურიდიულ დოქტრინას თუ მივმართავთ, შეიძლება გამოვყოთ აღნიშნული საკითხისადმი ორგვარი მიდგომა. მემკვიდრეობის გაგების პირველი მიდგომა დამახასიათებელია კონტინენტალური ევროპის ქვეყნებისათვის. ამ მიდგომის თანახმად მემკვიდრეობა განიხილება, როგორც უნივერსალური უფლებამონაცვლეობის ნაირსახეობა. აღსანიშნავია, რომ მემკვიდრეობითი უფლებამონაცვლეობის ასეთი კვალიფიკაცია სათავეს იღებს რომის კერძო სამართლიდან, რომლის ნორმებითაც, მემკვიდრის ქვეშ იგულისხმებოდა მამკვიდრებლის იურიდიული პიროვნება. (5, 222) მეორე მიდგომა მემკვიდრეობის კატეგორიის გაგებისადმი გავრცელებულია „ზოგადი სამართლის“ ქვეყნებში, რომელთა ეროვნულ კანონმდებლობებში მემკვიდრეობის არსი დაყვანილია გარდაცვლილი სუბიექტის ქონების განაწილებაზე მის კანონით და (ან) ანდერძით მემკვიდრეებს შორის.

პირველი მიდგომის თანახმად, მემკვიდრე სამკვიდროს მიღებისას ხდება მამკვიდრებლის უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი სრულად, ის სამკვიდროს იღებს მთლიანად, ამასთან დაუშვებელია სამკვიდროს მხოლოდ ნაწილის მიღება და უარის თქმა მის სხვა ნაწილზე. მემკვიდრეობა, რომელიც გადადის მამკვიდრებლის მემკვიდრეებზე, განიხილება როგორც მამკვიდრებლის მთელი აქტივებისა და პასივების ერთობლიობა. მამკვიდრებლის ვალეები, თანაბრად მისი აქტივებისა, შედის სამკვიდრო მასის შემადგენლობაში. ასეთი წესი დღეისათვის სრულად პასუხობს ეკონომიკური ბრუნვის მოთხოვნებს.

„ზოგადი სამართლის“ ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობებში მემკვიდრეობის საკითხი ოდნავ სხვაგვარად ესმით. დოქტრინალურ დონეზე, ისევე როგორც იურიდიულ პრაქტიკაში, პირის გარდაცვალებისას ხდება მამკვიდრებლის, როგორც იურიდიული პიროვნების, ასევე, მისი ქონების ლიკვიდაცია. ლიკვიდაციის განხორციელების პროცესში დგინდება მამკვიდრებლის ვალეები, ხდება ამ ვალეების, საგადასახდო და სხვა დავალიანებების დაფარვა, ხოლო, თავის მხრივ, მამკვიდრებლის მემკვიდრეები უფლებას იღებენ უკვე სუფთა ნარჩენზე (net estate). ასეთმა პროცედურამ მიიღო სახელწოდება „ადმინისტრირება“ (administration) და მიმდინარეობს სასამართლოს კონტროლის ქვეშ. მემკვიდრეობითი სამართლის ინგლისელი მკვლევარები ჯ. ჩეშირი და პ. ნორტი აღნიშნავენ, რომ ადმინისტრატორის ვალდებულებად ითვლება გარდაცვლილი პირის ქონების განაწილება იმ პირებს შორის, რომლებსაც ეს უფლება ეკუთვნის შემძენის უფლებით. (6, 650-651) გასაგებია, რომ ამ დროს გამორიცხულია კონტინენტალური სამართლის ქვეყნების მემკვიდრეობითი სამართლისთვის დამახასიათებელი ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის არსებობა, როგორცაა მემკვიდრის პასუხისმგებლობა მამკვიდრებლის ვალეებისადმი.

ამგვარად, კონტინენტალური ევროპის ქვეყნებში ჩამოყალიბდა წარმოდგენა მემკვიდრეობაზე, როგორც უნივერსალურ უფლებამონაცვლეობაზე. ასეთი მიდგომა გაზიარებულ იქნა მრავალი ევროპული ქვეყნის კანონმდებლობითა და დოქტრინით. მაგ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით (პარ.1922) გარდაცვლილი პირის ქონება მის მემკვიდრეებზე გადადის როგორც ერთიანი მთლიანი, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსით (მ.724) დადგენილია წესი, რომლის თანახმად მემკვიდრეებზე და ცოცხლად დარჩენილ მეუღლეზე გადადის გარდაცვლილის ქონება, უფლებები და ის მეველეობები, რომლებითაც ასე თუ ისე დატვირთული იყო სამკვიდრო ქონება.

ქართული ცივილისტური დოქტრინა განვითარების ყველა ეტაპზე, ტრადიციულად მემკვიდრეობის პროცესს განიხილავს, როგორც უნივერსალურ უფლებამონაცვლეობას. ქართული სამართლის წყაროებით, მემკვიდრე არა მარტო უფლებების სუბიექტია, არამედ მას მამკვიდრებლის ვალეების გადახდის მოვალეობაც ეკისრება. უნივერსალური უფლებამონაცვლეობა შეძლება იყოს შეზღუდული და შეუზღუდავი. ზოგან მამკვიდრებლის ვალეების გადახდის მოვალეობის შესრულება ხდება მხოლოდ სამკვიდროთი, ზოგან კი, თუ სამკვიდრო საკმარისი არ არის, მას ემატება მემკვიდრის პირადი ქონებაც. ასეთი მიდგომა დამახასიათებელი იყო რომის სამართლისათვის, სადაც მემკვიდრის შეუზღუდავი პასუხისმგებლობა გამომდინარეობდა თვით მემკვიდრეობის ცნებიდან, რაც, როგორც ზემოთაა აღნიშნული, გულისხმობდა მემკვიდრეში მამკვიდრებლის ქონებრივ უფლება-მოვალეობებთან ერთად მისი იურიდიული პიროვნების მონაცვლეობას. თუმცა განვითარების ბოლო ეტაპზე, რომის სამართალშიც თანდათანობით მკვიდრდება შეზღუდული პასუხისმგებლობა. გერმანული სამართალი კი თავიდანვე იდგა შეზღუდული პასუხისმგებლობის პოზიციაზე, სადაც მემკვიდრის პასუხისმგებლობა მხოლოდ სამკვიდრო ქონებაზე ვრცელდებოდა.

ქართული სამართლის წყაროებიდან განსახილველ საკითხებზე მსჯელობა შეგვიძლია ვახტანგის სამართლის წიგნითა და საქართველოს ჩვეულებითი სჯულით. ამ სამართლის წყაროებში მოყვანილი მაგალითებით ჩანს, რომ მემკვიდრე პასუხისმგებელია მამკვიდრებლის ვალებზე, თუმცა უფლებამოსილების ფარგლები არ არის გამოკვეთილი. ბესარიონ ზოიძე თავის წიგნში „ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი“ აღნიშნავს რა, რომ მემკვიდრეობა უნივერსალურ უფლებამონაცვლეობას გულისხმობს ჩვენში, მიუთითებს მაქ. კოვალევსკის ცნობაზე, ნაშრომში „Закон и обычаи на Кавказе“, სადაც ავტორი ფშაველების მისამართით წერს, რომ მოვალის გარდაცვალების შემდეგ, ქონება დარჩება თუ არ დარჩება სულერთია, ვალის გადახდის ვალდებულება გადადის შთამომავლებზე. და ასკვნის: უნდა ვივარაუდოთ რომ მსგავსი პასუხისმგებლობა საერთო მოვლენა უნდა ყოფილიყო ქართული სამართლისთვის. (2, 267)

თანამედროვე ქართული მემკვიდრეობითი სამართალი მემკვიდრეობის პროცესს განიხილავს როგორც უნივერსალურ უფლებამონაცვლეობას. რომან და ეკატერინე შენგელიები სახელმძღვანელოში „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“, მიუთითებენ რა მემკვიდრეობის სამართლის შინაარსის განმსაზღვრელ ნიშნებზე, ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად მიიჩნევენ მემკვიდრეობითი უფლებამონაცვლეობის უნივერსალურობის პრინციპს, რაც გამოხატულებას იმაში პოულობს, რომ მამკვიდრებლისა და მემკვიდრის ნებას შორის რაიმე განმაპირობებელი რგოლი არ უნდა არსებობდეს, რომ მემკვიდრე მამკვიდრებლის იურიდიული პიროვნების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს მთელი სისრულით. და იქვე აღნიშნავენ, რომ მემკვიდრე იკავებს ყველა იმ ქონებრივ უფლება-მოვალეობებს, რომლებიც მამკვიდრებელს გააჩნდა სიცოცხლის ბოლო პერიოდში, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. (4, 335) იგულისხმება გამონაკლისები, ის უფლება-მოვალეობები, რომელთა გადაცემა კანონმდებლობითაა დაუშვებელი ან ეწინააღმდეგება მათ ბუნებას. (მაგ. სხვა პირის რჩენის უფლება-მოვალეობა, პირადი სერვიტუტები ან ხელშეკრულებები).

თუმცა, თანამედროვე ქართულ მემკვიდრეობით სამართალში გვხვდება სხვა ისეთი ნორმებიც. როცა სახეზეა კერძო (სინგულარული) უფლებამონაცვლეობა. მაგალითად, როცა გარდაცვლილი პირის ქონება, როგორც ერთიანი და მთლიანი იყოფა გარდაცვლილის მემკვიდრეებს შორის მემკვიდრეობის სხვადასხვა საფუძვლით გადასვლისას. იმისათვის, რომ ამ შემთხვევაში არ შეირყეს უნივერსალური უფლებამონაცვლეობის პრინციპი, კანონმდებელი ხელოვნურად ავრცელებს უნივერსალობის პრინციპს მემკვიდრეობის მიღების თითოეულ საფუძველზე. ამასთან სამკვიდროს მიღება ერთ-ერთი საფუძვლით არ ნიშნავს სამკვიდროს მიღებას სხვა საფუძვლით. უფრო მეტიც, სამკვიდროს ერთი საფუძვლით მიღებისას, მემკვიდრე იღებს თავის თავზე მამკვიდრებლის ვალებსაც და მამკვიდრებლის კრედიტორების მიმართ სოლიდარულად იღებს პასუხისმგებლობას. როგორც არ უნდა იყოს, თვით ფაქტი კერძო უფლებამონაცვლეობის არსებობისა ერთიან სამკვიდრო მასაში ეწინააღმდეგება განსახილველი ურთიერთობების უნივერსალურობას, რომელიც გულისხმობს მემკვიდრეობის გადასვლას უცვლელი სახით, როგორც ერთიანი მთლიანის ერთსა და იმავე მომენტში. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ უნივერსალურობის პრინციპი შენარჩუნებულია თითოეული საფუძვლით მემკვიდრეობის მიღებისას, რაც იმას ნიშნავს, რომ ის მოქმედებს უფლებამონაცვლეობის ყოველ კერძო (სინგულარულ) შემთხვევაში.

ასევე, განსხვავებულია უფლებამონაცვლეობის ხასიათი საანდერძო დანაკისრისას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1383-ე მუხლის თანახმად, მოანდერძეს შეუძლია დააკისროს მემკვიდრეს ერთი ან რამდენიმე პირის სასარგებლოდ რაიმე ვალდებულების შესრულება სამკვიდროს ხარჯზე (საანდერძო დანაკისრი). თუ ჩავთვლით, რომ საანდერძო

დანაკისრის შედეგად ქონების მიღება მემკვიდრეობითი უფლებამონაცვლეობის სახეს წარმოადგენს, შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ საანდერძო დანაკისრი წარმოშობს სინგულარულ უფლებამონაცვლეობას მონადერძესა და ლეგატარს შორის, ლეგატარი ხდება მამკვიდრებლის ცალკეული უფლების მონაცვლე. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ძველი რომის სამართალში საანდერძო დანაკისრი ითვლებოდა სინგულარული უფლებამონაცვლეობის წარმოშობის საფუძვლად. სინგულარული უფლებამონაცვლეობა მდგომარეობს იმაში, რომ პირი იღებს გარდაცვლილის ქონებიდან რომელიმე ცალკეულ უფლებას, ამასთან, გარდაცვლილის ვალებზე, საერთო წესების თანახმად, პასუხს არ აგებს. ასეთი სინგულარული უფლებამონაცვლეობა დადგება მამკვიდრებლის განსაკუთრებული განკარგულების, საანდერძო დანაკისრის შედეგად. როგორც გიორგი ნადარეიშვილი აღნიშნავს „რომის სამოქალაქო სამართალში“, რომის სამართალი იცნობდა სინგულარულ მემკვიდრეობასაც - „ლეგატუმ“-ს. ამ შემთხვევაში მემკვიდრე იღებდა გარდაცვლილის ქონების ნაწილს, როგორც აქტივს და მამკვიდრებლის ვალებისთვის, როგორც წესი, პასუხს არ აგებდა. ეს წესი მოქმედებდა მაშინაც, თუ სინგულარული მემკვიდრე ქონების უფრო მეტ ნაწილს მიიღებდა, ვიდრე უნივერსალური მემკვიდრე. ლეგატარიუსის სიკვდილის შემთხვევაში მისი უფლებები ლეგატუმზე ლეგატარიუსის მემკვიდრეზე გადადიოდა.(3,158)

მეორეს მხრივ, ლეგატარი, არ არის მემკვიდრე, ის უშუალოდ არ იღებს სამკვიდროდან რაიმე უფლებებს. ყველაფერი, რაც ლეგატარს ეკუთვნის ანდერძის ძალით, მას უფლება აქვს მოითხოვოს მემკვიდრისგან და ამ შემთხვევაში ის გამოდის როგორც მემკვიდრის კრედიტორი, აქედან გამომდინარე, საანდერძო დანაკისრის მიმღები არ წარმოადგენს მემკვიდრეობითი უფლება-მონაცვლეობის სუბიექტს, იმდენად რამდენადაც, მისი უფლებები დაფუძნებულია არა თვითონ ანდერძზე, არამედ მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ყველა მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიუღებლობის, ან სამკვიდროზე უარის თქმის, ან ყველა მათგანის უღირს მემკვიდრედ ცნობის შემთხვევაში და უმკვიდრო ქონების სახელმწიფოზე გადასვლისას, ლეგატარი არ კარგავს უფლებას მოითხოვოს საანდერძო დანაკისრის შესრულება. ეს უფლება არ შეიძლება დამოკიდებული იყოს მემკვიდრის ნებაზე მიიღოს სამკვიდრო, რადგან საანდერძო დანაკისრის შესრულების ვალდებულება შეიძლება გადავიდეს სხვა მემკვიდრეებზე და არ არის დამოკიდებული მემკვიდრის პიროვნებაზე, რომელიც იღებს საანდერძო დანაკისრით დატვირთული მემკვიდრის წილს. ამ უფლების შესრულებას არანაირი დაბრკოლება არ ემუქრება. საანდერძო დანაკისრის შესრულების უფლების რეალიზაციისთვის აუცილებელი და საკმარისია მხოლოდ განკარგულება საანდერძო დანაკისრის შესახებ ანდერძში.

რაც შეეხება, საანდერძო დანაკისრისას უნივერსალური უფლებამონაცვლეობის პოზიციას, აიხსნება იმით, რომ განსაზღვრულ შემთხვევებში გარდაცვლილის ვალებზე პასუხისმგებლობა დგინდება იმ ქონებიდანაც, რომელიც განკუთვნილი იყო ლეგატარისთვის. სსკ 1387-ის მუხლის თანახმად, მემკვიდრემ, რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება დაევალა, უნდა შეესრულოს იგი საანდერძევი სამკვიდროს ნამდვილი ღირებულების ფარგლებში მამკვიდრებლის ვალების იმ ნაწილის გამოკლებით, რომლის გასტუმრებაც მას ხვდა წილად. აქედან გამომდინარე, თუ სამკვიდრო მასის სიდიდე დანაკისრის გარეშე, ვერ აკმაყოფილებს სრულად მამკვიდრებლის კრედიტორების მოთხოვნას, მაშინ ამოღება მოხდება საანდერძო დანაკისრით გათვალისწინებული ქონებიდან. თუმცა მსგავს შემთხვევაში, საქმე გვაქვს არა უნივერსალურ უფლებამონაცვლეობასთან, არამედ კანონიერი საფუძვლით ლეგატარის უფლებების შეზღუდვასთან, რადგან მამკვიდრებლის ვალების გადახდის ვალდებულება აწევს მემკვიდრეს და არა ლეგატარს, უკანასკნელი არანაირ ვალდებულებებს არ ატარებს, ე.ი. ეს უფლებამონაცვლეობა მაინც სინგულარულია. ამ პოზიციაზეა ზ. ახვლედიანიც, რომელიც



აღნიშნავს, რომ საანდერძო დანაკისრის მიმღები პირის მიმართ მემკვიდრეებს ეკისრებათ განსაზღვრული ვალდებულებები. მაგრამ ეს ვალდებულებები მემკვიდრეებმა უნდა შეასრულონ მამკვიდრებლის ვალების გადახდის შემდეგ დარჩენილი ქონებიდან. ამიტომ, თუ მოხდა ისე, რომ ანდერძით მემკვიდრემ უკვე გადასცა ქონება საანდერძო დანაკისრის მიმღებს, შემდეგ კი გამოირკვა, რომ მამკვიდრებელს ჰყავს კრედიტორები და დარჩენილი ქონება საკმარისი არ არის მათ დასაკმაყოფილებლად, მემკვიდრეს შეუძლია მოითხოვოს დანაკისრის მიმღებისგან ქონების ან მისი ნაწილის უკან დაბრუნება. (1,92) იგივე ავტორი, ამ საკითხზე მსჯელობის შედეგად აკეთებს დასკვნას, რომლის თანახმად, ლეგატი წარმოშობს არა მემკვიდრეობით, არამედ ვალდებულებით ურთიერთობებს, რომელშიც კრედიტორის სახით გამოდის ლეგატარი, ხოლო მოვალის სახით - მემკვიდრე. ლეგატის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება იმაშია, რომ მის საფუძველზე ლეგატარი ხდება მემკვიდრის კრედიტორი და უფლება აქვს მოითხოვოს მისგან ანდერძით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, თვით ლეგატარი კი არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს მოვალე და მამკვიდრებლის ვალებისთვის არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება. (1,92) ამის დასტურია ისიც, რომ კანონით მამკვიდრებლის კრედიტორს სასარჩელო მოთხოვნის უფლება არავის მიმართ არ წარმოეშობა, გარდა მემკვიდრეებისა. მამკვიდრებლის კრედიტორებს უფლება აქვთ წაუყენონ მოთხოვნები სამკვიდროს მიმღებ მემკვიდრეებს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში. (მუხლი 1391. საანდერძო დანაკისრის მიმღებს უფლება აქვს მოითხოვოს საანდერძო დანაკისრის შესრულება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში, რაც გამოითვლება სამკვიდროს გახსნის დღიდან.)

ლეგატარის მიერ საანდერძო დანაკისრის შედეგად შეძენილი უფლება ან საერთოდ არ შეიძლება განვიხილოთ უფლებამონაცვლეობის, მათ შორის მემკვიდრეობითი უფლებამონაცვლეობის შემთხვევად, ან წარმოადგენს უფლებამონაცვლეობას მემკვიდრისგან ლეგატარზე. თუმცა იგულისხმება, რომ სამკვიდროს მიღების შედეგად, სამკვიდრო მასაზე უფლება მემკვიდრეს წარმოეშობა უკვე მასზე ლეგატარის უფლებებით შეზღუდული მოცულობით. მემკვიდრე ამ შემთხვევაში მხოლოდ მოანდერძის ნებას ასრულებს მთელი ქონების ან მისი ნაწილის გადაცემის შესახებ, მაგრამ არ გადასცემს ლეგატარს უფლებებს ამ ქონებაზე (რადგან თავად უნდა ფლობდეს უფლებას, რომ გადასცეს სხვას). გარდა ამისა, ანდერძის შინაარსი შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ საანდერძო დანაკისრით. ამ შემთხვევაში, მემკვიდრე, რომელსაც არანაირი უფლება არ აქვს სამკვიდრო მასაზე, მხოლოდ ახორციელებს ქონების გადასვლას მამკვიდრებლიდან ლეგატარზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მემკვიდრეობა წარმოადგენს გარდაცვლილი პირის უფლებებისა და მოვალეობების გადასვლას სხვა პირებზე უნივერსალური უფლებამონაცვლეობის წესით, სინგულარული უფლებამონაცვლეობის ნიშნების შენარჩუნებით.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ახვლედიანი ზ. „მემკვიდრეობის სამართალი“ იურისტის ბიბლიოთეკა. თბილისი. 2007
2. ზოიძე ბ. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2000
3. ნადარეიშვილი გ. რომის სამოქალაქო სამართალი. გამომც. „ბონა კაუზა“ თბილისი 2005.
4. შენგელია რ. შენგელია ე. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2015
5. Римское частное право: სახელმძღვანელო / პროფ. ი.ბ. ნოვიცკის და ი.ს.პერეტერსკის რედაქციით, მოსკოვი, 1997. გვ. 222. (სკოლიო უნდა იყოს რუსულას)

6. Гражданское и торговое право зарубежных стран: სახელმძღვანელო ვ.ვ. ბეზუბახის და ვ.კ. პუგინსკის რედაქციით, მოსკოვი, 2004. (სკოლიო უნდა იყოს რუსულად)
7. Cheshire G., North P. Private International Law. London, 1987.

ნუგზარ ბირკაია

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლის დოქტორანტი

## საქართველოში 1997-1999 წლებში განხორციელებული სასამართლო რეფორმის სამართლებრივი პრობლემები

### რეზიუმე

სტატიაში განსახილველი პრობლემები ორ ძირითად საკითხად არის წარმოდგენილი, კერძოდ:

1. რეფორმატორთა პოზიცია 1997-1999 წლებში სასამართლო რეფორმის განხორციელების დროს და მოსამართლეთა კორპუსის მიერ გადადგმული ნაბიჯები სასამართლოს დამოუკიდებლობისა და თავიანთი უფლებების დასაცავად.

2. ის სამართლებრივი პრობლემა, რაც ახლდა ჩატარებულ სასამართლო რეფორმას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება და „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებები და დამატებები.

პირველი საკითხის განხილვისას საუბარია იმაზე თუ როგორი პოზიცია ჰქონდა რეფორმატორთა გუნდს 1997-1999 წლებში საქართველოში განხორციელებულ სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით, როგორ შეხვდა ამას მოსამართლეთა კორპუსი სასამართლოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და თავისი უფლებების დასაცავად.

მეორე საკითხში განხილული იქნება უშუალოდ ის სამართლებრივი პრობლემები, რაც წითელ ზოლად გასდევდა სასამართლო რეფორმას. კერძოდ: საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნები მოსამართლეთა ხელშეუხებლობის შესახებ და „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 86-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა მოსამართლეთათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება ამ საკითხზე, რომლითაც აღნიშნული ნორმა არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.

საკითხის აქტუალობა მდგომარეობს მასში, რომ გამოკვლეული იქნეს 1997-1999 წლებში ჩატარებული სასამართლო რეფორმის ხასიათი და ხარისხი, რომელიც წარმატებულ რეფორმად იქნა მიჩნეული, რა სამართლებრივი პრობლემები ახლდა მას, დაირღვა თუ არა კანონის უზენაესობის პრინციპი რეფორმის ჩატარების გზაზე, შეილახა თუ არა მოსამართლეთა

უფლებები, რამდენად აუცილებელი იყო ქვეყნისათვის ასეთი გზით სასამართლო რეფორმის ჩატარება, რა შედეგები გამოიღო ასეთი პრეცედენტის შექმნამ, გაამყარა სასამართლო ხელისუფლება თუ დაასუსტა მოსამართლეთა დამოუკიდებლობა?

რათქმუნდა ყოველივე ზემოაღნიშნული დაკავშირებულია მართლმსაჯულების პრინციპების განვითარებასთან საქართველოში და მეტად მნიშვნელოვანია. ამასთან საკითხის ობიექტური, სამართლებრივი, მეცნიერული გამოკვლევა და გაანალიზება დაეხმარება ჩვენს ქვეყანას მომავალში სასამართლო რეფორმის დემოკრატიული და სამართლებრივი პრინციპებით ჩატარებასა და დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბების საქმეში.

**საძიებო სიტყვები:** მოსამართლე, უფლებამოსილება, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა.

**Nugzar Birkaia**

Grigol Robakidze University,  
School of Law, Ph.D. Student

## **Legal Consequences of the Judicial Reforms Carried out in Georgia in 1997-1999**

### **Summary**

The article analyzed two main issues, particularly:

1. The position of the reformers in 1997-1999 during the implementation of judicial reform and the steps taken by the judges of the courts to provide independence and protection of their rights.
2. The legal problems which accompanies the reform of the judiciary system, the decision of Constitutional Court on November 3, 1998 and amendments and additions to the "Organic Law on General Courts of Georgia".

**Key words:** Judiciary reforms; Constitutional Court; Organic Law on General Courts.

### **საქართველოში 1997-1999 წლებში განხორციელებული სასამართლო რეფორმის სამართლებრივი პრობლემები**

**რეფორმატორთა და მოსამართლეთა პოზიცია სასამართლო რეფორმის განხორციელების დროს**

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომლითაც პრაქტიკულად განხორციელდა ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო სახელისუფლებო შტოებად დანაწილების კლასიკური პრინციპი, რაც უდაოდ დიდი გამარჯვება იყო ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრებისა და ადამიანის უფლების დაცვის მექანიზმის ახლებურად ჩამოყალიბებისათვის. [1]

თითქმის ორი წლის შემდეგ, 1997 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, რომლის 86-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „რაიონის (ქალაქის) სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, გარდა იმ მოსამართლეებისა, რომლებიც დანიშნული (არჩეული) იყვნენ ამ კანონის შესაბამისად, შეუწყდებოდათ უფლებამოსილება 1998 წლის 1 მაისს“. [3]

ორგანული კანონის ეს ნორმა ფაქტობრივად უპირისპირდებოდა კონსტიტუციურ პრინციპს დამოუკიდებელი სასამართლოს შესახებ, სახელმწიფოს ვალდებულებას დაეცვა და უზრუნველყო სასამართლოს დამოუკიდებლობა.

1997-1999 წლებში საქართველოს პრეზიდენტთან შექმნილი იყო პრეზიდენტის სათათბირო ორგანო იუსტიციის საბჭოს სახით, რომელსაც დავალებული ჰქონდა ქვეყანაში სასამართლო რეფორმის ჩატარება.

საქართველოს მოსამართლეთა კორპუსს, ძირითადად რაიონისა და ქალაქის და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა წარმომადგენლებს ჰქონდათ შეხვედრები, როგორც მთლიანად იუსტიციის საბჭოსთან, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს პრეზიდენტი, ასევე იუსტიციის საბჭოს ცალკეულ წევრებთან და ამერიკის შეერთებული შტატების იურისტთა ასოციაციის მუშაკებთან, რომლებიც ჩამოდიოდნენ საქართველოში და კურირებდნენ სასამართლო რეფორმის მიმდინარეობას.

1998 წლის 6 იანვარს საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე შეხვდა საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიაში იუსტიციის საბჭოს სრულ შემადგენლობას, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს პრეზიდენტი.

იუსტიციის საბჭოს წევრები არ უარყოფდნენ იმ გარემოებას, რომ:

1. მოქმედ მოსამართლეთათვის უფლებამოსილების შეწყვეტით ილახებოდა მათი უფლებები და ინტერესები, მაგრამ ამასთან ისინი მიუთითებდნენ, რომ მოსამართლეთა ინტერესებზე უფრო დიდად ღირებული იყო სასამართლო რეფორმა და ასეთ პირობებში სახელმწიფოს მოსამართლეთა ინტერესები უნდა ენაცვალებინა სასამართლო რეფორმისათვის.
2. იუსტიციის საბჭოს მიერ საქართველოში მოსამართლეთათვის უფლებამოსილების მოსალოდნელი შეწყვეტა შედარებული და გაიგივებული იყო აღმოსავლეთ გერმანიის სახელმწიფოს გაუქმების შემდეგ იქ მოქმედ მოსამართლეთა საყოველთაო განთავისუფლებასთან.
3. იუსტიციის საბჭოს მიაჩნდა, რომ ვერ დაიცდიდნენ 2001 წლამდე, ანუ იმ დრომდე, როცა მოქმედ მოსამართლეებს ეწურებოდათ უფლებამოსილების 10 წლიანი ვადა, თუ არ იქნებოდა ჩატარებული საკვალიფიკაციო გამოცდები და ხელახლა არ დაინიშნებოდნენ მოსამართლეები. მოქმედ მოსამართლეთა უფლებამოსილების გასვლამდე დაცდა მათ მიაჩნდათ სასამართლო რეფორმის გაჩერებად.

4. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის ბილეთები იბეჭდებოდა ა.შ.შ-ში და საფრანგეთიდან, ქ. სტრასბურგიდან შესაბამის კომისიას უნდა ჩამოეტანა საქართველოში, ხოლო შემდეგ უნდა ჩატარებულიყო გამოცდები, რაც საკმაოდ დიდი თანხები ჯდებოდა.
5. „რეფორმატორები“ მოქმედ მოსამართლეთა კორპუსის წინააღმდეგ ერთ-ერთ არგუმენტად იმასაც ასახელებდნენ, რომ თითქოს ისინი ისე იყვნენ დანიშნულნი 1991 წელს და შემდეგ წლებში, რომ არ ჰქონდათ ჩაბარებული შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდები და ამდენად იმ დროისათვის მოქმედი კანონის დარღვევით დაინიშნენ.
6. ერთ-ერთ ძირითად არგუმენტად ე.წ. „ახალგაზრდა რეფორმატორებისაგან“ ისმოდა, რომ სასამართლო სისტემაში კორუფცია იყო და მაშინდელი მოსამართლეები კორუმპირებულნი იყვნენ, რის გამოც ყველას ერთბაშად, ყოველგვარი მტკიცებულებათა გარეშე, უნდა შეწყვეტოდათ უფლებამოსილება.
7. „რეფორმატორებს“ მიაჩნდათ, რომ იმ დროისათვის მოქმედი მოსამართლეთა კორპუსის დანიშვნა განხორციელდა საბჭოური კონსტიტუციის საფუძველზე და ამდენად მოქმედ მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადის შეწყვეტა 1998 წლის 1 მაისიდან კანონიერი იყო.
8. ამკარად ჩანდა, რომ „რეფორმატორები“ ჩქარობდნენ განხორციელებინათ სასამართლო რეფორმა, შესაბამისად ჩაეტარებიათ საკვალიფიკაციო გამოცდები.
9. 1998 წლის 6 იანვარს საქართველოს პრეზიდენტთან და იუსტიციის საბჭოს წევრებთან მოსამართლეების შეხვედრის შესახებ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 7 იანვარს გამოქვეყნდა მოკლე ცნობა იმის შესახებ, რომ შედგა ზემოაღნიშნული შეხვედრა და თითქოს მოსამართლეებს არანაირი პრეტენზიები არ ჰქონდათ. [5]
10. ე.წ. „ახალგაზრდა რეფორმატორები“ ყურადღებას ამახვილებდნენ საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარებაზე და ღიად გაიძახოდნენ, რომ მოქმედი მოსამართლეები ვერაფერს ვერ მიაღწევდნენ, გამოცდებს ვერ ჩააბარებდნენ და ა.შ. საინტერესო ფაქტი მოხდა 1998 წლის 8 ნოემბერს, როცა მოსამართლეთა ასოციაციის კრების დაწყების წინ, ქ. თბილისში მაშინდელი ცეკავშირის შენობასთან, სადაც იკრიბებოდნენ მოსამართლეები, ე.წ. „თავისუფალი ინსტიტუტის“ აქტივისტების მიერ მოგზავნილი ე.წ. „შაოსანი ქალები“ კრებაზე მოსულ მოსამართლეებს „ოროსან“ მოსამართლეებს უწოდებდნენ, მაშინ როდესაც ჯერ საკვალიფიკაციო გამოცდაზე არცერთი მოსამართლე არ იყო განასვლელი და რაიმე შეფასება არ ჰქონდათ მიღებული.

ასეთ პირობებში საქართველოს მოსამართლეთა კორპუსმა გადაწყვიტა რა დაეცვა სასამართლოს დამოუკიდებლობა და თავიანთი უფლებები, 1997 წლის 8 ნოემბერს გაიმართა საქართველოს რაიონის (ქალაქის) და თბილისის სქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს იუსტიციის საბჭოს წევრებმა. მოსამართლეთა კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლეთათვის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ საერთაშორისო სამართლებრივი რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავებულ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ძირითად პრინციპებს და არადემოკრატიული იყო.

აღნიშნული რეზოლუცია გაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს და იუსტიციის საბჭოს.

1. 1997 წლის 22 დეკემბერს მოსამართლეებმა ქ. თბილისში, პირველად საქართველოს ისტორიაში, დააფუძნეს მოსამართლეთა ასოციაცია. [10] ასევე ამავე კავშირის ორგანო გაზეთი „სასამართლო“.
2. საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია ღიად აფიქსირებდა თავის მოსაზრებას „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 86-ე მუხლის პირველი პუნქტის

არაკონსტიტუციურობაზე, რადგან მიაჩნდა, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ საერთაშორისო სამართლებრივი რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავებულ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ძირითად პრინციპებს.

3. მოსამართლეთა ასოციაციას მიაჩნდა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამებოდა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. [1] მაშასადამე, საქართველოს კონსტიტუცია, როგორც მთელი ცივილიზებული მსოფლიო აღიარებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მე-7 კონგრესის მიერ ქ. მილანში 1985 წლის 26 აგვისტოს და 6 სექტემბერს მიღებულ და გენერალური ასამბლეის მიერ 1985 წლის 29 ნოემბრის და 1985 წლის 13 დეკემბრის რეზოლუციებით მოწონებულ „სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის ძირითად პრინციპებს“ [7] რომლის მე-12 პუნქტში აღნიშნული იყო, რომ „დანიშნულ ან არჩეულ მოსამართლეებს ჰქონდათ უფლებამოსილებათა გარანტირებული ვადა, მათი პენსიაზე სავალდებულო გავლამდე ან უფლებამოსილების ვადის დამთავრებამდე, სადაც ასეთი დადგენილი იყო.“, რომ აღნიშნულზე ასევე მიუთითა ევროსაბჭოს ეგიდით ადამიანური განზომილებების შესახებ მოსკოვის 1991 წლის სექტემბრის თათბირმა, სადაც მონაწილეობდა მსოფლიოს 40 წამყვანი სახელმწიფო. დასახელებული თათბირის გადაწყვეტილების 19.1 და 19.2 პუნქტებით გათვალისწინებული იყო, რომ უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო მოსამართლეთა დამოუკიდებლობის შესახებ საერთაშორისო სამართლით აღიარებული ნორმები, რომ სასამართლო ორგანოთა დამოუკიდებლობა გარანტირებული და განმტკიცებული იყოს ქვეყნის კონსტიტუციაში და სრულდებოდეს პრაქტიკაში. განსაკუთრებული ყურადღება კი მიქცეული უნდა ყოფილიყო სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების დაცვისადმი. ამრიგად, ცივილიზებულ მსოფლიოში აღიარებულ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიებს შორის ერთ-ერთი მთავარი იყო ის, რომ დანიშნულ ან არჩეულ მოსამართლეებს ჰქონდათ უფლებამოსილებათა გარანტირებული ვადა, ანუ რა ვადითაც ისინი იყვნენ დანიშნული ხელშეუხებელნი იყვნენ და მათ იცავდა ქვეყნის კონსტიტუცია და ხელისუფლება.

4. საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციას მიაჩნდა, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლში [3] ამომწურავად იყო მითითებული მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველები და მოსამართლეთათვის უფლებამოსილების შეწყვეტის ისეთ ხელოვნურ საფუძველს არ ითვალისწინებდა, როგორსაც უთითებდა ამავე კანონის 86-ე მუხლის პირველი პუნქტი.[3]

5. საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია თვლიდა, რომ იმ დროისათვის მოქმედი მოსამართლეთა კორპუსის უმრავლესობა დანიშნული იყო 1991 წლის თებერვალში დამოუკიდებელი საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით 10 წლის ვადით და ეს ვადა იწურებოდა 2001 წელს. ის გარემოება, რომ მოსამართლენი დანიშნულნი იყვნენ ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ, აღიარებული იყო 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციით<sup>9</sup> „ხოლო საქართველოს ხელისუფლება იყო სამართალმემკვიდრე წინა ხელისუფლების. საბჭოური პერიოდის კონსტიტუციის შესაბამისად მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება ხდებოდა საყოველთაო არჩევნების შედეგად. 1990 წლის 28 დეკემბერს კი დამოუკიდებელი საქართველოს ლეგიტიმურმა უზენაესმა საბჭომ ცვლილება შეიტანა საბჭოური კონსტიტუციის შესაბამისად 164-ე მუხლში [2] და განსაზღვრა მოსამართლედ გამწესების ახალი წესი - დანიშვნა 10 წლის ვადით, რაც განხორციელდა კიდევ 1991 წელს. ამასთან

დამოუკიდებელი საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 28 დეკემბერს მიღებული იქნა კანონების მთელი პაკეტი, რომელმაც განსაზღვრა სასამართლო წყობილების საფუძვლები, მოსამართლეთა სტატუსი, საკვალიფიკაციო და დისციპლინარული კოლეგიის საქმიანობის წესი და ა.შ. და ეს კანონები სრულებითაც არ იყო საბჭოური პერიოდის, ამ კანონების საფუძველზე მოხდა მოქმედი სასამართლო კორპუსის ფორმირება. [1]

6. იმდროინდელი მოსამართლეთა კორპუსი, რომ კანონიერად იყო დანიშნული მოსამართლეთა ასოციაცია ასაბუთებდა შემდეგი არგუმენტებით, კერძოდ მოქმედ მოსამართლეთა უმეტესი ნაწილი დანიშნული იყო განმეორებით 1991 წლის 22 თებერვალს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ 1990 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე. [2] აღნიშნული კანონის 81-ე მუხლი მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების უფლებამოსილებაში მიუთითებდა, რომ საკვალიფიკაციო კოლეგიები აფასებდნენ მოსამართლედ და ადმინისტრაციულ მოსამართლედ პირველად დასახელებული კანდიდატის მზადყოფნას სასამართლო საქმიანობისათვის და უწყობდნენ მას საკვალიფიკაციო გამოცდას. ამრიგად, საკვალიფიკაციო გამოცდა უნდა ჩაებარებინა მხოლოდ მოსამართლედ პირველად დასახელებულ კანდიდატს, ასეთი კი, როგორც სტატისტიკა მოწმობდა იყო დაახლოებით 20% და მათ პირად საქმეებში იყო მაშინდელი საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნები საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების თაობაზე. გარდა ამისა, მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია, ატარებდა რა მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ატესტაციას, დასკვნები მათთვის სხვადასხვა საკვალიფიკაციო კლასის მისანიჭებლად ეგზავნებოდა საქართველოს პრეზიდენტს, როგორც სახელმწიფო მეთაურს, რათა მათ პრეზიდენტის განკარგულებით მინიჭებოდათ მოსამართლის ესა თუ ის საკვალიფიკაციო კლასი. 1993, 1994, 1995, 1996 და 1997 წლებში საქართველოს მოსამართლეებს საკვალიფიკაციო კლასები მიენიჭათ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის - პრეზიდენტის განკარგულებით, რითაც მოხდა მოსამართლეთა კორპუსის ლეგიტიმაცია საქართველოში არსებული ხელისუფლების მიერ და ფაქტობრივად კიდევ ერთხელ დამტკიცდა მოსამართლეთა უფლებები.

7. მოსამართლეთა ასოციაციას მიაჩნდა, რომ მოქმედ მოსამართლეთა უფლებამოსილების შეწყვეტა ეწინააღმდეგებოდა რა გაეროსა და ევროსაბჭოს მოთხოვნებს, აქედან გამომდინარე არანაირი კანონიერი საფუძველი არ არსებობდა ამისა და ასეთი პრეცედენტის დაშვებას არ შეიძლებოდა მომავალში დადებითი შედეგი მოჰყოლოდა და კეთილსასურველი იმიჯი შეექმნა ჩვენი ქვეყნისათვის.

8. აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს სასამართლო რეფორმა გაჩერდებოდა, მაშინ მოქმედ მოსამართლეთა კორპუსის უფლებამოსილების შეწყვეტისა და მოსამართლეთა ხელახალი დანიშვნის გარეშე, მოსამართლეთა ასოციაციას უსაფუძვლოდ მიაჩნდა, რადგან თვლიდა, რომ როგორც სააპელაციო, ისე სხვა სასამართლოები სავსებით შესაძლებელი იყო დაკომპლექტებულიყო მაშინდელი მოსამართლეთა კორპუსით იმ ვადით, რაც მათ ჰქონდათ დარჩენილი მათ უფლებამოსილებათა ფარგლებში, ხოლო შემდეგ განხორციელებულიყო მოსამართლეთა კადრების შერჩევა იმ წესით, რაც განსაზღვრული იყო ორგანული კანონით „საერთო სასამართლოების შესახებ“. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მოსამართლეთა კორპუსს მიაჩნდა სამართლიანად, ობიექტურად და კანონიერად.

9. მოსამართლეთა ასოციაცია თვლიდა, რომ სასამართლოს სახეს ქართულ საზოგადოებაში კარგად აჩვენებდა „დილის გაზეთის“ 1998 წლის 30 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული „პრეს-გამოკითხვა“, რომელიც ჩაატარა სააგენტო „თბილისის“ სოციოლოგიურმა სამსახურმა, სადაც

შეკითხვაზე - ყველაზე უფრო ვისი იმედი აქვს ხალხს? პოლიციის, პროკურატურის, თუ სასამართლოსი გამოკითხულთა 37,3 % უპასუხა, რომ სასამართლოსი მაშინ როდესაც პოლიციის და პროკურატურის მიმართ გამოკითხულთა მხოლოდ 12% და 5,7% გამოთქვა იმედი. [9] ნიშანდობლივი იყო ისიც, რომ 1991-1998 წლებში არცერთი მოსამართლე არ ყოფილა მიცემულ სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

10. რაც შეეხება აღმოსავლეთ გერმანიის მაგალითს, მოსამართლეთა ასოციაციას დაუშვებლად მიაჩნდა აღმოსავლეთ გერმანიის და საქართველოში მოქმედი მოსამართლეთა კორპუსისათვის მოსალოდნელი უფლებამოსილების შეწყვეტის იდენტურ მოვლენად წარმოსახვა, რადგან აღმოსავლეთი გერმანია გაუქმდა, როგორც სახელმწიფო, ხოლო საქართველომ პირიქით 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული არჩევნების შედეგად მოიპოვა დამოუკიდებლობა, რის შემდეგაც ხელისუფლებაში მოსულმა ეროვნულმა ხელისუფლებამ ჩამოაყალიბა და დანიშნა ქვეყანაში ახალი მოსამართლეთა კორპუსი, ანუ სულ სხვა რეალობასთან გვეკონდა საქმე.

11. 1998 წლის მარტში საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციას ეწვივნენ აშშ-ს იურისტთა საზოგადოების წარმომადგენლები, რა დროსაც წარიმართა საუბარი იმის თაობაზე, თუ რაოდენ კანონიერად მიმდინარეობდა სასამართლო რეფორმა საქართველოში, მოსამართლეთათვის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტა იყო თუ არა უკანონობა. საუბრისას მათ დაადასტურეს, რომ აშშ-ში შეუძლებელია მოსამართლეებს ვადაზე ადრე შეუწყდეს უფლებამოსილება, ხოლო რაც შეეხება საქართველოს უფლებამოსილების შეწყვეტა თქვენმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა და ჩვენ ვერ ჩავერევიით. [6]

12. საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციას მიაჩნდა, რომ სასამართლო რეფორმა უნდა ჩატარებულიყო ევოლუციური გზით, საკანონმდებლო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფით, დემოკრატიულ მოთხოვნებზე დაყრდნობით, საერთაშორისო პრაქტიკისა და ჩვენი ქვეყნის ისტერიული მონაცემების გათვალისწინებით, იმ პრინციპით, რომ დაცული ყოფილიყო არა მარტო სასამართლოს და თითოეული მოსამართლის დამოუკიდებლობა, არამედ მათი უფლებებიც.

### **სამართლებრივი პრობლემა, რაც დაკავშირებული იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებასთან**

1. საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციაში გადაწყვიტეს თავიანთი უფლებების დასაცავად მიემართათ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის ერთ-ერთმა წევრმა მიმართა კიდევ საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი სარჩელით.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 86-ე მუხლის პირველი პუნქტი ცნობილი იქნა არაკონსტიტუციურად. როგორც ცნობილია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გადასინჯვას არ ექვემდებარება, ე.ი. მოქმედ მოსამართლეებს უფლებამოსილება არანაირი პირობების დაწესებით არ უნდა შეწყვეტოდეთ.[4]

3. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში მიუთითებდა, რომ „მართალია საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის პირველ მუხლში არ წერია, რომ იგი აღიარებს 1991 წელს მოქმედი კონსტიტუციის კანონიერებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია არ იცავს 1991 წელს მოქმედი კონსტიტუციის დებულებებისა და პრინციპების მემკვიდრეობითობას; ამ დროს არც სახელმწიფო და არც



საზოგადოებრივი წყობილება უკვე აღარ იყო სოციალისტური. აქედან გამომდინარე, სასამართლო კოლეგია 1991 წელს დანიშნულ მოსამართლეებს არ მიიჩნევს სოციალისტური სისტემის მოსამართლეებად." [4]

4. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ 1997 წლის 13 ივნისს მიღებულმა ორგანულმა კანონმა „საერთო სასამართლოების შესახებ“ გაზარდა ის მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება მოსამართლეობის კანდიდატს (მუხლი 46). [4]

სასამართლო კოლეგიას მიაჩნდა, რომ ახალი კანონით დაწესებული მოთხოვნები არ უნდა შეეხოთ მოქმედ მოსამართლეებს და იგი არ უნდა გახდეს მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი, რადგან კანონს (ისე, როგორც სხვა ნორმატიულ აქტებს) უკუძალა არა აქვს, ე.ი. მათი მოქმედება არ ვრცელდება იმ ფაქტებზე, ურთიერთობებსა და გარემოებებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ აქტის გამოცემამდე. სხვაგვარად რომ ვთქვათ ნორმა (კანონი) შესაძლებელია შეეფარდოს მხოლოდ იმ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშვებიან მისი გამოცემის, მისი ძალაში შესვლის შემდეგ." [4]

5. სასამართლოს ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი შეეხება შრომის თავისუფლებას და შრომითი უფლებების დაცვის საკითხებს. ამ მუხლის პირველი პუნქტი აღიარებს არა შრომის უფლებას, არამედ შრომის თავისუფლებას, ე.ი. თავისუფალი შრომის უფლებას - კანონი უნდა იცავდეს მოქალაქეთა შრომით უფლებებს. უფრო მეტიც სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, დაიცვას თავისი მოქალაქეთა შრომითი უფლებები არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საზღვარგარეთაც...". „საყურადღებოა ის გარემოება, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 86-ე მუხლის პირველი პუნქტით ქვეყნის მთელი სასამართლო სისტემის მოსამართლეებს უფლებამოსილება ვადამდე უწყდებათ, ანუ დათხოვნილი იქნებიან თანამდებობიდან ყოველგვარი საფუძვლის გარეშე. ამ შემთხვევაში კანონი არ ითვალისწინებს მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის რაიმე საფუძველს, თუ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 54-ე მუხლი ითვალისწინებს მოსამართლეთა თანამდებობიდან დათხოვნას მხოლოდ კანონში ჩამოთვლილი საფუძვლების მიხედვით, ამავე კანონის 86-ე მუხლის პირველი პუნქტი ქვეყნის მოსამართლეთა მთელ კორპუსს უფლებამოსილებას ვადამდე უწყვეტს, ანუ თანამდებობიდან ითხოვს ყოველგვარი საფუძვლის გარეშე." [4]

6. საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილების მე-4 პუნქტში მიუთითა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვიდე კონგრესის მიერ 1985 წლის 6 სექტემბერს მიღებულ „სასამართლო ორგანოთა დამოუკიდებლობის ძირითად პრინციპებში“ საყოველთაოდ აღიარებულია დებულება, რომ არჩეულ და დანიშნულ მოსამართლეებს აქვთ უფლებამოსილებათა გარანტირებული ვადა პენსიაზე სავალდებულო გასვლამდე ან უფლებამოსილების ვადის გასვლამდე. საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული მუხლი მოითხოვს კანონმდებლობის ამ პრინციპებთან შესაბამისობას." [4] იმავე პუნქტში შემდეგ ვკითხულობთ:

7. „ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1994 წლის 13 ოქტომბრის მემორანდუმში, 1998 წლის 8-10 ივლისს სტრასბურგში მიღებულ მოსამართლეთა ევროპულ წესდებაში აღიარებულია პრინციპი, რომ მოსამართლეთა უფლებამოსილების შეწყვეტა დაიშვება ისეთი ამომწურავი შემთხვევებიდან ერთ-ერთის დადგომისას, როგორცაა: გადაგომა, საპენსიო ასაკი, სამედიცინო დასკვნა, უფლებამოსილების ვადის ამოწურვა ან დისციპლინარული დარღვევა. ეს ის

შემთხვევებია, რაც მხედველობაში აქვს საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლს, რაც გაითვალისწინა კიდევ „საერთო სასამართლოების შესახებ: ორგანული კანონის 54-ე მუხლმა.“ „ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ 86-ე მუხლით ხელყოფილია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, რის დაცვასაც საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი მოითხოვს.“[4]

8. მე-5 პუნქტში ვკითხულობთ „კონსტიტუცია არის სახელმწიფოს უზენაესი კანონი. სახელმწიფოში მიღებული ყველა კანონი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი უნდა გამოდინარეობდეს კონსტიტუციიდან და შეესაბამებოდეს მას. თუ კანონი ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი არ შეესაბამება კონსტიტუციას იგი უნდა გაუქმდეს. ამ კონკრეტულ სიტუაციაში სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის ის დებულება, რომელიც ითვალისწინებს მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას - კონსტიტუციას, კერძოდ კი, მისი 30-ე მუხლის მე-4 პუნქტს, არ შეესაბამება და იგი უნდა გაუქმდეს“[4]

9. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მე-10 პუნქტში აღნიშნული იყო, რომ „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“, რაც იმას ნიშნავდა, რომ ხელისუფლება განაწილებულია სამ შტოდ: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად. ხელისუფლების ამ სამი შტოს კომპეტენცია ისე უნდა იყოს რეგლამენტირებული კონსტიტუციით, რომ ხელისუფლების არც ერთ შტოს არ უნდა შეძლებოდა ხელისუფლების მეორე შტოს ფუნქციების მითვისება და მითუმეტეს, ხელისუფლების არცერთ შტოს არ უნდა შეძლებოდა ვადამდე შეწყვეტა უფლებამოსილების ვადა ხელისუფლების მეორე შტოსათვის. ამასთან საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა მოქმედებდეს მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში და არა თავისი შეხედულების მიხედვით. საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ სასამართლო ხელისუფლებისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა, მაშინ იქნებოდა კანონიერი, თუ ასეთ უფლებას საკანონმდებლო ხელისუფლებას მიანიჭებდა კონსტიტუცია.“[4]

10. იმ დროისათვის, როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იხილავდა საქართველოს მოსამართლეთა კორპუსისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობის საკითხს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთათვის ცნობილი არ იყო ის ფაქტი, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო ანალოგიურ სარჩელზე ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლომ 1994 წლის 22 დეკემბერს. მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის თავმჯდომარის განსაკუთრებული აზრი იმის შესახებ, რომ თურმე ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციასთან შესაბამისად მიიჩნია რეფორმამდე დანიშნულ მოსამართლეებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციამ გამოიწვია აღნიშნული გადაწყვეტილება და გამოირკვა, რომ ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლომ 1994 წლის 22 დეკემბერის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ „მეორე მუხლის პირველი პუნქტის დებულება „შეწყვეტილი იქნას მოსამართლეთა უფლებამოსილება “ ეწინააღმდეგებოდა ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციის 155-ე მუხლის მე-2 პუნქტს“ [11] ე. ი. ლიტვის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლომ 4 წლით ადრე, ვიდრე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავდა მოსამართლის სარჩელს, გამოიტანა ანალოგიური გადაწყვეტილება, რასაც საგულდაგულოდ მაღავდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის თავმჯდომარე.

11. საქართველოს მოსამართლეთა კორპუსს მიაჩნდა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ზემოხსენებული გადაწყვეტილებით გაასწორა ის სერიოზული შეცდომა, რაც

საქართველოს პარლამენტმა დაუშვა „საერთო სასამართლოების შესახებ“ მიღებულ ორგანულ კანონში და რეფორმა თავის სწორ გზაზე დააბრუნა. ცხადია დემოკრატიული და სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღებისათვის საკონსტიტუციო სასამართლო ყველასგან, მათ შორის „რეფორმატორთა“ გუნდისგანაც, მადლობას იმსახურებდა, მაგრამ მოხდა საწინააღმდეგო, რადგან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს აღნიშნული გადაწყვეტილება, საკონსტიტუციო სასამართლოს წინ დაწვეს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა ფიტულები და ა.შ, რაც თავისთავად სასამართლო ხელისუფლების დაშინებასაც ისახავდა მიზნად.

12. ამრიგად, არსებობდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელსაც კონსტიტუციის ძალა ჰქონდა და რომლის ძალით მოქმედ მოსამართლეებს უფლებამოსილება არ უნდა შეწყვეტოდათ ვადის გასვლამდე. კერძოდ, აღნიშნული გადაწყვეტილების მე-3 პუნქტში ნათლად იყო მითითებული, რომ ახალი კანონით დაწესებული მოთხოვნები არ უნდა შეხებოდა მოქმედ მოსამართლეებს და იგი არ უნდა გამხდარიყო მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი.

13. მთლიანად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მოქმედ მოსამართლეთათვის რწმუნების ვადაში უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის რაიმე პირობის დაკანონება დაუშვებელი იყო. ამრიგად მოქმედ მოსამართლეთა უფლებრივი საკითხი ამ მიმართებით ამომწურავად იყო განმარტებული.

14. როგორც ცნობილია, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას აქვს საყოველთაო ხასიათი, ვრცელდება ფართო წრეზე, შესასრულებლად სავალდებულოა ყველასათვის, მისი შეუსრულებლობა ისჯება კანონით. აქედან გამომდინარე, უდაო იყო, რომ ახალი სასამართლო სისტემის ამოქმედების შემთხვევაში სამუშაოთი პირველ რიგში უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ იმ დროისათვის მოქმედი მოსამართლეები, რამეთუ მათი უფლებამოსილების საკითხი 2001 წლამდე ხელშეუხებელი იყო.

15. ზემოაღნიშნულ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ევროსაბჭოს გენერალური სამდივნოს სამართლებრივ საქმეთა დირექტორატის 1998 წლის 4 დეკემბრის წერილში მითითებული იყო, რომ აუცილებლად მიაჩნდათ იურიდიული ორგანოების, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების პატივისცემა, რომ თავიანთ მოვალეობად თვლიდნენ საჭიროების შემთხვევაში დახმარებოდათ საქართველოს ხელისუფლებას ამ გადაწყვეტილების აღსრულებაში,[6] ხოლო ევროსაბჭოს ვენეციის კომისიამ „დემოკრატია სამართლის მეშვეობით“ 1998 წლის დეკემბერში ჩატარებულ თავის სხდომაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება ცალსახად მოიწონა და სამართლებრივ საკითხთა განხილვის დარგში მას წინ გადადგმული ნაბიჯი უწოდა. ასე გამოეხმაურა ცივილიზებული მსოფლიო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სავსებით სამართლებრივ გადაწყვეტილებას.

16. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საქართველოს პარლამენტმა 1998 წლის 24 დეკემბერს ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“ კვლავ შეიტანა მორიგი უკვე მეოთხე ცვლილებები და დამატებები. ამრიგად, მოქმედ მოსამართლეთა უფლებამოსილების შეწყვეტის ვადა განსაზღვრა 1999 წლის 15 მაისით [3] ანუ გამართლდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ჩანაწერი: „სასამართლო კოლეგია თვლის, რომ მოსამართლეთა საყოველთაო დათხოვნა არ უნდა ხდებოდეს პოლიტიკური მოსაზრებით, ხელისუფლების თვითნებობით და ხელისუფლების შეცვლის მოტივით. მით უფრო, ბევრი არსებითი მნიშვნელობის კანონი არ არის მიღებული ან არ ამოქმედებულა და არ არის

გამორიცხული, რომ ხვალ-ზეგ ისევ დადგეს საკითხი მოსამართლეთა კორპუსის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ." [4]

17. ასეთი კანონის მიღება ადრე დაშვებული სერიოზული შეცდომის, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გასწორდა, კიდევ უფრო სერიოზული გაღრმავება იყო, რადგან თარიღების შეცვლით, მოსამართლეთათვის უფლებამოსილების ვადის შეწყვეტის 1999 წლის 20 იანვარის ნაცვლად 1999 წლის 15 მაისის დაწესებით ახალი, ამჯერად თითქოს კონსტიტუციასთან შესაბამისი ნორმა არ მკვიდრდებოდა.

18. ამრიგად, ქვეყანაში შეიქმნა მეტად არასასურველი დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის საფუძველთა-საფუძვლის დამანგრეველი პრეცედენტი, როდესაც საქართველოს პარლამენტი შესაძლებლად მიიჩნევდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ანულირებას მის მიერ იმავე საკითხზე კანონში შეტანილი ცვლილება-დამატებით, არადა საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული იყო, რომ არც პარლამენტს და არც სხვა ორგანოს არ ჰქონდა კანონით მინიჭებული უფლება შეეჩერებინა, შეეცვალა ან გაეუქმებინა საკონსტიტუციო სასამართლოს ესა თუ ის გადაწყვეტილება. ამასთან ასეთი პრეცედენტის შექმნა საშიშროებას უქმნიდა მთლიანად სასამართლო ხელისუფლებას მომავალში, რადგან ასეთი „პრაქტიკის“ დამკვიდრების შემთხვევაში საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა ცვლას შესაძლებელი იყო გამოეწვია სასამართლო ხელისუფლების ცვლაც.

19. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ახალი ცვლილებები და დამატებები ეწინააღმდეგებოდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, ქვეყანაში აზრს კარგავდა საკონსტიტუციო კონტროლი, საერთოდ საკონსტიტუციო სასამართლო და დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება.

20. მაშასადამე, სახეზე იყო ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება, პირველი - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც მოქმედ მოსამართლეთა უფლებამოსილების საკითხი 2001 წლამდე გარანტირებული იყო და ამ გადაწყვეტილებას ვერავინ შცვლიდა<sup>28</sup> და მეორე, საქართველოს პარლამენტის მიერ 1998 წლის 24 დეკემბრის თარიღით ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“ შეტანილი ცვლილებები და დამატებები, რომლითაც მოქმედ მოსამართლეებს 1999 წლის 15 მაისს უწყდებოდათ უფლებამოსილება. [4]

21. როგორც ცნობილია, მოქმედ მოსამართლეებს შეუწყდათ უფლებამოსილება 1999 წლის 15 მაისს, ანუ მოსამართლეთა კორპუსის 228 მოსამართლე ყოველგვარი მიზეზის გარეშე დათხოვნის იქნა სამუშაოდან.

#### IV დასკვნა

საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ 86-ე მუხლის პირველი პუნქტი ყველა რედაქციით, მათ შორის ბოლო 1998 წლის 24 დეკემბრის რედაქციით, საქართველოს მოსამართლეთათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ 1999 წლის 15 მაისიდან ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროსაბჭოს მოთხოვნებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 1998 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ 86-ე მუხლის პირველი პუნქტი მოსამართლეთათვის უფლებამოსილების ვადამდე

შეწყვეტის შესახებ, საქართველოს პარლამენტმა 1998 წლის 24 დეკემბერს აღნიშნულ ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებებით და დამატებებით კვლავ მიიღო რა ანალოგიური კანონი ქვეყნის მოსამართლეებისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე, ამით ხელისუფლებამ გამოხატა უპატივცემულობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და მთლიანად საქართველოს კონსტიტუციის მიმართ, რითაც დაარღვია კანონის უზენაესობის პრინციპი.

ასეთი მოქმედებით უხეზად შეილახა ქვეყნის 228 მოსამართლის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები, რადგან ხელოვნურად, უკანონოდ, ვადამდე შეუწყვიტეს უფლებამოსილება და წაართვეს შრომის უფლება.

რასაკვირველია, ასეთი არაკონსტიტუციური გზით ჩატარებული რეფორმა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს წარმატებულ სასამართლო რეფორმად საქართველოში, პირიქით ეს არის კლასიკური ნიმუში იმისა, თუ როგორ არ უნდა ტარდებოდეს სასამართლო რეფორმა.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუცია.
2. საქართველოს კონსტიტუცია 1990 წლის 28 დეკემბრის ცვლილებებით.
3. 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“.
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება.
5. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1998 წლის 7 იანვრის ნომერი.
6. გაზეთი „სასამართლო“ 1998 წლის ნომერი 4.
7. გაეროსა და ევროსაბჭოს რეკომენდაციები მოსამართლეთა დამოუკიდებლობის შესახებ.
8. ჯ. ხეცურიანი „დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ“. ქ. თბილისი 2006 წელი.
9. „დილის გაზეთი“ 1998 წლის 30 იანვრის ნომერი.
10. საქართველოს მოსამართლეთა კავშირის (ასოციაციის) წესდება 1997 წელი.
11. ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლოს 1994 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება.

**მხარის ახსნა-განმარტების, როგორც მტკიცებულების ერთ-ერთი სახის შეფასება სამოქალაქო პროცესში**

**რეზიუმე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, მტკიცებულება ეს არის კანონით გათვალისწინებული წყაროდან და კანონიერი წესით მიღებული ცნობები, რომელთა საფუძველზე მხარეები იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ფიზიკური და იურიდიული პირები თავიანთ სამოქალაქო უფლებებს იცავენ სასამართლოსათვის მიმართვის გზით. ისინი თავიანთ სასარჩელო მოთხოვნებს ამყარებენ ფაქტებზე, რომელთა დადასტურება ხდება მტკიცებულებათა მეშვეობით. სწორედ ამიტომ უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია მტკიცებულებებს სამოქალაქო პროცესში. ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარეს მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს მოწინააღმდეგის მიმართ, მატერიალური სამართლის ნორმების გათვალისწინებით, თუმცა მისი სასარჩელო მოთხოვნა შესაძლოა არ დაკმაყოფილდეს საქმის განხილვისას სათანადო და უტყუარი მტკიცებულებების წარუდგენლობის მიზეზით, ვინაიდან სამოქალაქო კანონმდებლობა იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

მოცემულ შემთხვევაში ჩვენი კვლევის მიზანია იმ საკითხის შესწავლა, თუ როგორ ხდება სასამართლოში მხარის ახსნა-განმარტების, როგორც მტკიცებულების შეფასება სასამართლო პრაქტიკაში, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რამდენად ერთგვაროვანია სასამართლო პრაქტიკა და რა ხარვეზები არსებობს ამ კუთხით.

**საძიებო სიტყვები:** სამოქალაქო, ახსნა-განმარტება, მტკიცებულება, შეფასება, გადაწყვეტილება.

## Explanations of the Parties as a Form of Evaluation of Evidence in Civil Judicial Proceedings

### Summary

The article “Explanations of the parties as a form of evaluation of evidence in civil judicial proceedings” is devoted an actual issues of judiciary practices According Georgia Civil Proceeding Code evidence can be described as information received from sources provided by the law and according the law. On the basis of existent evidence parties of civil judicial proceedings are defending their rights through applying to the court. They have verify their statements of claim using the evidence which are proofing by the court investigation.

That is why in the civil proceedings the parties paid special attention to evidence. In some cases, a judgment can be made in favor of one side of the process, only because the other side is unable to provide sufficient evidence to support its case.

The article discusses some approaches that can improve the efficiency of the court to consider the evidence submitted by parties of civil proceeding

**Key words:** Civil; Evidence; Explanation Clarification, Assessment, Decision

### მხარის ახსნა-განმარტების, როგორც მტკიცებულების ერთ-ერთი სახის შეფასება სამოქალაქო პროცესში

#### შესავალი

1997 წლის 14 ნოემბერს მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს, რომ სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. სავალდებულოა, რომ სასამართლოს შინაგანი რწმენა მტკიცებულებებთან მიმართებით აისახოს საბოლოო გადაწყვეტილებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებას. გასათვალისწინებელია, რომ საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოების დადგენისათვის პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს მტკიცებულებათა რაოდენობას, ამ დროს გადაწყვეტია მისი შინაარსი და დამაჯერებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო გადაწყვეტილება შესაძლოა ეფუძნებოდეს ერთ დამაჯერებლად მიჩნეულ მტკიცებულებასაც.

სასამართლოს არ შეუძლია გადაწყვიტოს არც ერთი საქმე ფაქტობრივი გარემოებების დადგენის გარეშე, ამ გარემოებების დასადგენად კი იგი იყენებს სწორედ მტკიცებულებებს. სასამართლოს ამოცანას წარმოადგენს სამართლის სუბიექტების კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და

ინტერესების დაცვა. ამ უფლებების დაცვის მიზნით მან უნდა დაადგინოს არსებობს თუ არა სინამდვილეში უფლება, რომლის დაცვასაც ითხოვს მოსარჩელე, ეკისრება თუ არა მოპასუხეს შესაბამისი ვალდებულება და რაში გამოიხატება ის. უფლებები და ვალდებულებები თავისთავად არ წარმოიქმნება. კანონი უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას, შეცვლასა და შეწყვეტას უკავშირებს გარკვეული იურიდიული ფაქტების არსებობას.

სასამართლოს თავის გადაწყვეტილებაში შეუძლია დაეყრდნოს მხოლოდ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც წარმოდგენილია სასამართლო პროცესზე მხარეთა მიერ და გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით. კონკრეტული საქმის სწორად გადაწყვეტისათვის სასამართლომ წინასწარ უნდა დაადგინოს მტკიცების საგნის ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები. ფაქტების დამტკიცების პროცესი საკმაოდ დეტალურად რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით. კანონმდებლობით განსაზღვრულია მტკიცების საშუალებათა წრე, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, ამ მტკიცებულებათა დასაშვებობა და განკუთვნილობა, მტკიცების ტვირთის განაწილება მხარეთა შორის, ანუ რომელმა მხარემ რა გარემოება უნდა დაამტკიცოს, მტკიცებულებათა გამოკვლევის წესი, მტკიცებულებათა შეფასების ზოგადი წესები და ა.შ.

სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებებია კანონით განსაზღვრული მტკიცების საშუალებები, რომელთა გამოყენებით სასამართლოს შეუძლია დაადგინოს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები. კანონი ამომწურავად განსაზღვრავს მტკიცებულებათა ანუ მტკიცების საშუალებათა სახეებს. ესენია: მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებები, მოწმეთა ჩვენებები, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები, ექსპერტთა დასკვნები და ფაქტების კონსტატაციის მასალები.

საპროცესო კოდექსის შესაბამისად სასამართლო ვალდებულია უშუალოდ გამოიკვლიოს მტკიცებულებები. სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ უნდა მოისმინოს საქმის მონაწილის ახსნა-განმარტება, მოწმის ჩვენება, ექსპერტის დასკვნა, მოსამართლე უნდა გაეცნოს წერილობით მტკიცებულებებს, დაათვალიეროს ნივთიერი მტკიცებულებები, გაეცნოს ფაქტების კონსტატაციის მასალებს. ამიტომ უშუალოდ წესის დარღვევა, მისგან გადახვევა სასამართლო პრაქტიკაში კვალიფიცირდება როგორც შეცდომა, აქედან გამომდინარე ყველა სამართლებრივი შედეგით (2). მართალია, მტკიცების ყველა საშუალების მიმართ გამოიყენება მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების საერთო წესები, მაგრამ მტკიცების თითოეულ საშუალებას თავისი გარკვეული სპეციფიკაც გააჩნია როგორც შინაარსის, ისე გამოყენების საპროცესო ფორმის თვალსაზრისით.

## **მასალები და მეთოდები**

წინამდებარე კვლევის ძირითად მასალას წარმოადგენს 1997 წლის 14 ნოემბერს მიღებული მოქმედი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და სასამართლო აქტები (გადაწყვეტილებები). იმისათვის, რომ სამართლებრივად სწორად განვსაზღვროთ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არსებული პრობლემური საკითხები მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის გამოყენება, რომელიც დღევანდელ რეალობას განსაზღვრავს. თავად საკითხის პრობლემატურობაზე უშუალოდ სასამართლო პრაქტიკა მიუთითებს. ამიტომ აუცილებელია სასამართლო პრაქტიკის არსებული ხარვეზების ანალიზი და მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბება.

## **ძირითადი ნაწილი**



სამოქალაქო პროცესში დამკვიდრებულია სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპი. ცხადია, რომ შინაგანი რწმენა არ ნიშნავს თვითნებობას. სასამართლოს თვითნებობა წარმოადგენს ობიექტურ საფუძველს მოკლებულ, დაუსაბუთებელ და გაუმართლებელ პოზიციას, რომელიც თვით სასამართლოს პირად სიმპათიებსა და სურვილებს ემყარება. სასამართლოს შინაგანი რწმენა – ეს შეფასების შინაგანი, სუბიექტური კრიტერიუმია, რომელიც ყოველთვის უნდა ემყარებოდეს გარკვეულ ობიექტურ მონაცემებს. მტკიცებულებათა შეფასება, ისე, როგორც ყოველგვარი შეფასება, წარმოადგენს აზრობრივ პროცესს და ასეთი შეფასების დროს სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ლოგიკის კანონებით, რომელიც გვასწავლის სწორად აზროვნებას. სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასება გულისხმობს მტკიცებულებათა როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლიობაში შეფასებას. ამასთან სასამართლო ვალდებულია საქმეში არსებული მტკიცებულებები შეაფასოს მათი შინაარსის და იურიდიული დამაჯერებლობის კუთხით. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს მოსაზრებებზე, რის გამოც მან ზოგიერთი მტკიცებულება ცნო უტყუარად, ხოლო სხვები – არასარწმუნოდ. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს საქმეში არსებული ესა თუ ის მტკიცებულება, რატომ შეაფასა ასე და არა სხვაგვარად. კანონის ასეთ დანაწესს აქვს სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ზემდგომ ინსტანციის სასამართლომ უნდა შეამოწმოს გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთებულობა, რაც შეუძლებელი იქნება, თუ გადაწყვეტილებაში არ იქნება მითითებული, რა მოსაზრებით გაიზიარა საქმის განმხილველმა სასამართლომ ესა თუ ის მტკიცებულება, ან რატომ უარყო საქმეში არსებული სხვა მტკიცებულება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 127-ე მუხლის კომენტარში ავტორები წერენ, რომ “მხარე - ეს არის პირი, რომელიც სადავო სამართლებრივი ურთიერთობის უშუალო მონაწილეა, ამიტომ, მან ყველაზე კარგად უნდა იცოდეს იმ გარემოებათა შესახებ, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმისთვის. ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობს კანონმდებელი, როდესაც მხარეთა ახსნა-განმარტებას თვლის მტკიცების ერთ-ერთ დამოუკიდებელ და მნიშვნელოვან წყაროდ. ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ მხარეთა ახსნა-განმარტების ის ნაწილი, რომელიც მოთხოვნის ჩამოყალიბებას, დაზუსტებას, თუ დაკონკრეტებას ემსახურება და ახსნა-განმარტების ის ნაწილი, რომელიც საქმის გარემოებას შეეხება. მტკიცებულებას წარმოადგენს მხარის ახსნა-განმარტების ის ნაწილი, რომელიც საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობა-არარსებობას ადასტურებს. იმის მიუხედავად, თუ რა ფორმითაა წარმოდგენილი მხარეთა ახსნა-განმარტება - წერილობითი თუ ზეპირი ფორმით, მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს ახსნა-განმარტების მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც შეიცავს მითითებას ფაქტების შესახებ” (3). აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლოში გავრცელებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ახსნა-განმარტებას საქმის ფაქტიური გარემოებების შესახებ აძლევს არა უშუალოდ მხარე, რომელიც ესწრება საქმის განხილვას, არამედ მისი სახელშეკრულებო წარმომადგენელი, მაგალითად ადვოკატი, არ შეესაბამება კანონს და მის იმპერატიულ მოთხოვნას, რომლის თანახმადაც: “საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის პროცესი იწყება მხარეთა (მესამე პირთა, თანამონაწილეთა, კანონიერ წარმომადგენელთა) ახსნა-განმარტების მიღებით: მხარეები იძლევიან ახსნა-განმარტებებს მათთვის ცნობილი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესახებ” (სსკ-ის 127-ე მუხლის პირველი ნაწილი). სახელშეკრულებო წარმომადგენელს ფართო საპროცესო უფლებები აქვს. მას შეუძლია გაანალიზოს საქმის მასალები, გამოთქვას თავისი მოსაზრებები საქმეში არსებული მტკიცებულებების უტყუარობის შესახებ, იმის შესახებ, თუ რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული და როგორი გადაწყვეტილება უნდა იქნეს გამოტანილი და ა.შ. მაგრამ მას არ

შეუძლია შეითავსოს მხარის, როგორც მტკიცებულების წყაროს ფუნქცია, ისე როგორც არ შეუძლია შეითავსოს მოწმის ან ექსპერტის ფუნქცია (1).

საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის განჩინებაში, რომელიც გამოტანილია საქმეზე №ას-217-543-09 (4), განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებები შეაფასა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნათა უგულებელყოფით, რომლის თანახმადაც სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის თაობაზე. კერძოდ, საკასაციო პალატა აღნიშნულ განჩინებაში მიუთითებს, რომ ვინაიდან მოპასუხეთაგან ერთ-ერთი ცნობდა სარჩელს, აღნიშნული წარმოადგენდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს ამ მოპასუხის ნაწილში მაინც. სასამართლომ კი ეს ფაქტი ყურადღების მიღმა დატოვა, რამაც არასწორი გადაწყვეტილების მიღება გამოიწვია.

ამასთან საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს ამ მოპასუხის ახსნა-განმარტება არ მოუსმენია. მხარის ახსნა-განმარტება კი წარმოადგენს მნიშვნელოვან მტკიცებულებას, თუნდაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლში მითითებული დებულების თვალსაზრისით. აღნიშნული ნორმის თანახმად, ერთ მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება, რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნასა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძველად დაუდოს თავის გადაწყვეტილებას. აღნიშნულმა მოპასუხემ სააპელაციო სასამართლოში მიცემული ახსნა-განმარტებით დაადასტურა მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოება, ანუ მოსარჩელის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი. სააპელაციო სასამართლოს კი მისი ახსნა-განმარტება სრულად და ყოველმხრივ არ განუხილავს. ახსნა-განმარტებაში მითითებული ასეთი გარემოების აღიარებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება და დააკმაყოფილოს მოთხოვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დასაბუთდეს, თუ რატომ უარყო სასამართლომ მხარის ასეთი ახსნა-განმარტება. ზ/აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ამ თვალსაზრისით სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა იყო არასრულად დასაბუთებული, რის გამოც გააუქმა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

## **დასკვნა**

ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მართლმსაჯულება კვლევის რთული პროცესია. სხვა ტიპის კვლევებისაგან განსხვავებით, სადაც მოსაზრებების გამოთქმისა და დასკვნების გაკეთების სრული თავისუფლებაა, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება მხოლოდ ერთმანეთთან შესაბამისობაში მყოფ მონაცემებს – მტკიცებულებებს უნდა ემყარებოდეს. როდესაც საუბარია სამართლიან და ობიექტურ სასამართლოზე, პირველ რიგში მხედველობაში მიიღება მოსამართლის მიერ თავისი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა, ანუ რამდენად გამომდინარეობს იგი პროცესზე წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან. თუკი სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა იყოს ობიექტური, მაშინ ის ინფორმაციაც და ფაქტებიც, რომელიც მოცემულია საქმეში მტკიცებულების სახით თავის მხრივ უნდა იყოს უტყუარი, მტკიცებულებათა უტყუარობას კი სასამართლო ადგენს საქმის განხილვის დროს მათი გამოკვლევის ეტაპზე და

ერთმანეთთან შედარების საფუძველზე. აღნიშნული კი სრულყოფილად უნდა იყოს ჩამოყალიბებული გადაწყვეტილებაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ლილუაშვილი თ, ლილუაშვილი გ, ხრუსტალი ვ, ძლიერიშვილი ზ. 2014წ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. I ნაწილი. თბილისი. გამომცემლობა "სამართალი".
2. ქურდაძე შ. 2005წ. სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში. თბილისი. გამომცემლობა "მერიდიანი".
3. ლილუაშვილი თ, ხრუსტალი ვ, 2007წ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი. თბილისი. გამომცემლობა "სამართალი".
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმე Nას-217-543-09. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
5. Перетерский И. С. Дигесты Юстиниана. 1984. Избранные Фрагменты в переводе и с примечаниями И. С. Перетерского.

### დავით ელისაბედაშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის,  
სამართლის სკილის, დოქტორანტი

### უძრავი ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა - „გამოსახლება“, მორალური და ეკონომიკური მხარე

#### რეზიუმე-

როგორც თემის მსვლელობისას ავლნიშნე, ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა-გამოსახლებასთან დაკავშირებული პრობლემა არაა ერთგვაროვანი, კერძოდ კანონი იმდენად უხვად შეიცავს ხარვეზებს რომ პრობლემა მთელს პროცესზე ვრცელდება. ეს საკითხი საკმაოდ დიდი ღირებულების მატარებელია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კუთხით, თუ სწორად მივუდგებით პრობლემას და მისი გადაჭრის გზებს, სავარაუდოდ, თავიდან იქნება აცილებული შემდგომში ყველა პრობლემა რაზეც საუბარი გვაქვს. სტატიის მსვლელობისას შევეცადე ჩამეტარებინა საქართველოსა და საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყნის კანონმდებლობისა და პრაქტიკის შედარება და მათი ანალიზის მოხდენა, რაც ნათლად დაგვანახებს რომ საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა მეტად ფაქიზად უდგება გამოსახლების საკითხს და მინიმუმადე აქვთ დაყვანილი პრობლემა და რისკები რაც ამ პროცესის თანმდევია. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ პრობლემატიკასთან დაკავშირებული

ნაშრომები თუ სხვა სახის ლიტერატურა ქართულ ენაზე მწირია და თითქმის არ მოიპოვება, ძნელია პირველი ნაბიჯების სწორად დაგეგმა და შემდგომ განხორციელება.

ნაშრომის აქტუალობა საზოგადოების ნებისმიერი ფენისთვის დამახასიათებელია, რეალობა იმაზე უფრო საგანგაშოა, ვიდრე სტატისტიკა. იქიდან გამომდინარე, რომ პრობლემის აღმოსაფხვრელად უნდა გავიაროთ პირველი ეტაპები, მის გადასაჭრელად საჭიროა ელემენტარული გზებით დაწყება. საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკისა და კანონმდებლობის დამახასიათებელი ნიუანსები მორგებული უნდა იქნას ქართული სამართლის რეალობას და ფესვები გაიდგას ჩვენს კანონმდებლობაშიც.

**საძიებო სიტყვები:** უძრავი ქონება, უკანონ მფლობელი, გამოსახლება, ადმინისტრაციული აქტი

**Davit Elisabedashvili**

Grigol Robakidze University  
School of Law, Ph.D. student

### **Moral and Economic Aspects of Vindication – Eviction**

#### **Summary**

The author analyzes problematic issues related to vindication – eviction. The abundance of errors and ambiguities in legislation affects the entire enforcement process. These issues are of high theoretical and practical importance. If proper approach is chosen to solve the problem, further obstacles and complications might be avoided. During the study the author has made comparison and analysis of the legislation and practice in Georgia and in the foreign countries evidencing that foreign legislations treat these issues with more prudence to minimize the risks that might be involved in the process of eviction.

It is difficult to take the first steps to conduct research in the abovementioned direction, since Georgian literature which touches upon these problematic issues is very penurious and hardly can be found. The relevance of the study is attributable to any layer of society. Reality is even more alarming rather than statistics. The problem should be solved starting from the elementary level as the first steps are to be taken. The ambiguities and nonuniform or sometimes controvertial interpretation of the existent problems and rules appear due to lack of completeness of the law as well as due to the absence of the relevant instructions (necessity of which is also emphasized by court enforcement officers), detailed description and reglamentation as guide to particular enforcement procedures. The author assumes that formation of specific groups of legislators aimed at theoretical scrutiny of the submitted problem will eliminate the errors step by step. They should take into consideration foreign practices and legislation; the rules established by them should be adjusted to Georgian reality to stoke roots in Georgian legislation, will certainly be time-consuming and have to pass many stages but with high probability most part of the problems will be solved.

**Key words:** Vindication; Eviction; Legislation; Legal Practice.

**უძრავი ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა - „გამოსახლება“,  
მორალური და ეკონომიკური მხარე**

**შესავალი**

სააღსრულებო სისტემის გამართულმ უშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსათვის. სამართლიანობის აღდგენის ფაქტობრივ სისრულეში მოყვანა სწორედ ამ სამსახურის პირდაპირი მოვალეობაა. დღეს საქართველოში საკმაოდ პოპულარული სფეროა აღსრულება, თუმცა ამ სამსახურს ხშირად უწევს გამოწვევების მიღება. აღნიშნული სტატიის ატუალობა ქვეყანაში შექმნილმა მძიმე ვითარებამ გამოიწვია. აღნიშნული სტატიის ამოცანაა ზუსტად დადგინდეს რა შეიძლება ჩაითვალოს გამოსახლების ეტაპების ხარვეზებად, დარღვევად, უშუალოდ რა ეტაპზე ირღვევა კანონით მინიჭებული უფლებები მხარეების მიმართ, და რით შეიძლება მოვაგვაროთ ეს პრობლემა.

საჯაროდ ცნობილია „იპოთეკარების“ საქმე. სახეზე ორი მხარეა, ერთის მხრივ კრედიტორები ითხოვენ გაცემული კრედიტის უკან დაბრუნებას ან ამისთვის კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას, რაც გულისხმობს „იპოთეკისსაგნის“, მოვალის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების რეალიზაციას. უძრავი ქონების რეალიზაციით მოვალე მხარე იურიდიულად კარგავს საკუთრების უფლებას, თუმცა იმ დროისთვის ჯერ კიდევ მის მფლობელობაშია. ძირითად პრობლემას ვაწყდებით სწორედ მაშინ, როდესაც ფაქტობრივად უნდა მოხდეს მოვალისათვის ქონების ჩამორთმევა.

სააღსრულებო სამსახური კრედიტორს სთავაზობს რამდენიმე სახის სერვისს. მათგან ჩვენი განხილვის ობიექტია ერთ-ერთი სერვისი – ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა - „გამოსახლება“. ეს უკანასკნელი დიდ პრობლემად აწევს სახელმწიფოს. ამ პროცესის რეგულაცია ერთი ხელის მოსმით არ შეიძლება რადგან ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავა ხალხი და შეიძლება უარესი პრობლემის წინაშე დავდეთ. ერთი შეხედვით თუ გამარტივებული იქნება „გამოსახლების“ პროცედურა, მოვალე მარტივად და მოკლე დროში რჩება უსახლკაროდ (რომელსაც ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი წარმოადგენს), ხოლო თუ პროცედურა გართულდება და მივიღებთ ბიუროკრატიულ ნორმებს, ამან შესაძლოა გამოიწვიოს საბანკო საკრედიტო საპროცენტო გაზრდა. ამიტომ საჭიროა მოხდეს არსებული პრობლემის ძირფესვიანად შესწავლა და აღმოფხვრა. სწორედ ამ თემაზე იქნება მსჯელობა სტატიაში.

საკუთრება, როგორც აბსოლუტური უფლება: საკუთრების უფლება სწორედ რომ აბსოლუტურ უფლებათა მნიშვნელოვანი სახეა. აბსოლუტურობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მესაკუთრის უფლებამოსილებათა ფარგლები არაა ზღვარდადებული. თუმცა, ეს ტერმინი იმავდროულად ამ უფლებამოსილებათა ერთგვარი თავისუფლების მაუწყებელიცაა. უფლების აბსოლუტურობა, უნდა განვიხილოთ ამ უფლების მატარებლის, იგივე მესაკუთრისა და ყველა დანარჩენ მესამე პირთა ურთიერთდამოკიდებულებაში. საკუთრების თვისება სწორედ იმაშია, რომ ნივთის ამა თუ იმპირზე კუთვნილებას უნდა აცნობიერებდეს არა მარტო ამ ნივთის მფლობელი, არამედ ყველა დანარჩენი მესამე პირი. ამ დამოკიდებულებაში მესაკუთრე გამოიყურება, როგორც უფლების სუბიექტი, ხოლო მესამე პირი როგორც ვალდებულების სუბიექტი.

მესაკუთრის საკუთრების უფლების დარღვევის შემთხვევაში, შეუძლია მოითხოვოს როგორც უფლების დამრღვევი მოქმედების აღკვეთა, ისე დარღვეული უფლებების სხვაგვარად აღდგენა, მაგალითად ვინდიკაციის გზით (2, გვ 16-19). საკითხავია, სამართლებრივად შეიძლება თუ არა

შემოიფარგლოს ამ ვალდებულ მესამე პირთა წრე. ვალდებულ პირებს მიეკუთვნება ყველა პოტენციური სამართალდამრღვევი, იმის მიუხედავად, თუ რა დამოკიდებულებაში არიან ისინი მესაკუთრესთან, იცნობენ მას თუ არა, მის ქვეყანაში ცხოვრობენ თუ სხვა ქვეყანაში. ყველა ადამიანი პოტენციური სამართალდამრღვევია ისევე, როგორც ყველა ადამიანი მოკვდავია. აქედან გამომდინარეობს, რომ აბსოლუტურ სამართლებრივ ურთიერთობებს ხშირად არ გააჩნიათ სახელმწიფოებრივი ფარგლები.

მართალია, რელატიული უფლება კონკრეტულ პირთან ურთიერთობაში არსებული უფლებაა, მაგრამ იგი სულაც არ აუქმებს აბსოლუტურ უფლებას. ასე მაგალითად, თუ მე ჩემი საკუთრების ობიექტს ვინმეს მივაქირავებ, ბუნებრივია, ჩემს წინაშე კონკრეტულად ვალდებული პირი დამქირავებელი იქნება, მაგრამ ყველა დანარჩენი მესამე პირის თავშეკავების ვალდებულება კვლავაც ძალაში რჩება. მესამე პირთა მხრიდან დაცვის ობიექტი ხდება, არამხოლოდ საკუთრების უფლება, არამედ ვალდებულებითი უფლებებიც. მესამე პირი, რომელიც ხელყოფს საკუთრების ობიექტს, ამით იგი ჯერ ერთი ხელყოფს დამქირავებლის ვალდებულებით უფლებას, და მეორეც, მესაკუთრის როგორც რელატიულ, ისე საკუთრების უფლებას. თუმცა, ხელყოფის უშუალო ობიექტია საკუთრების აბსოლუტური უფლება, რასაც შემდგომში თან ახლავს რელატიულ უფლებათა ხელყოფაც.

**საძიებო სიტყვები:** საკუთრება; გამოსახლება; უძრავი ქონება; სამართალდამრღვევა;

### **ძირითადი ნაწილი**

უძრავი ქონების უკანონო მფლობელობიდან გამომდინარე - „გამოსახლება“ არის ყველაზე რთული პროცედურა სააღსრულებო სფეროში. კანონში განხორციელებული ცვლილების მიხედვით დღეს დღეისობით „გამოსახლების“ სააღსრულებო წარმოება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე. სააღსრულებო წარმოებაში, გამოსახლების დროს, სააღსრულებო ორგანოს წარმომადგენელი, აღმასრულებელი ვალდებულია საქმე აწარმოოს კანონით გათვალისწინებული ვადების დაცვით. სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან 5 დღეში მოვალეს უგზავნის გაფრთხილებას (წინადადებას გადაწყვეტილების შესრულების შესახებ), რომელიც აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ შემუშავებული ფორმით არის. გაფრთხილებაში დაწვრილებითაა გაწერილი კრედიტორისა და მოვალის უფლება-მოვალეობები, ასევე გამოსახლების ზუსტი დრო. მოვალეს ეძლევა წინადადება, გაფრთხილების მიღებიდან ათი დღის ვადაში ნებაყოფლობით შეასრულოს მასზედ დაკისრებული ვალდებულება, გადასცეს სააღსრულებო ორგანოს წარმომადგენელს უძრავი ქონება გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში. ამ ნორმის შემდეგ კანონში მასთან დაკავშირებული ვადები კონკრეტულად გაწერილი აღარ არის. კრედიტორი, რომელიც სარგებლობს აღსრულების ორგანოს „გამოსახლების“ სერვისით და ამისთვის გადახდილი აქვს მისთვის კანონით დადგენილი საფასური, არ იცის რა პერიოდში შეიძლება დადგეს მისთვის სასურველი შედეგი. მაგალითად კოლუმბიაში, კანონის მიხედვით, გამქირავებელი (კრედიტორი) გამოსახლების დაწყებამდე ვალდებულია გაფრთხილება მისცეს მოვალეს, ეს გაფრთხილება უნდა შეიცავდეს კონკრეტულ განმარტებას, თუ რატომ სურს კრედიტორს მისი გამოსახლება, ანუ საფუძველი რა არის, დაროგორ უნდა მოიქცეს დამქირავებელი, რომ გამოსახლების პროცესი აიცილოს თავიდან, ზუსტი დრო და ფორმა, როდის და როგორ უნდა იქნას გაფრთხილება გაგზავნილი იცვლება კანონის მიხედვით, ანუ ერთი რაიმე კონკრეტული მიდგომა და ფორმა არ არსებობს. იურისდიქციის მიხედვით, ზოგიერთი კრედიტორი გაფრთხილებას აგზავნის ფოსტის მეშვეობით, ზოგიკი - სახლის კარებში უტოვებს. გაფრთხილების გაგზავნის შემდეგ, კრედიტორი ვალდებულია დაელოდოს დამქირავებელს რას მოიმოქმედებს იგი, ვადის გასვლის

შემდეგ ის თავისი ნებით ვერ მოახერხებს გამოსახლებას და სჭირდება სასამართლო ორდერი (განჩინება). სამოქალაქო სასამართლოს აქვს ცალკე გამოყოფილი დანაყოფი, რომელიც უშუალოდ გამოსახლების საკითხებს განიხილავს და ისინი საკმაოდ ეფექტურად მუშაობენ ვადებთან მიმართებაში. პროცედურა მიმდინარეობს რამდენიმე დღის ან კვირის განმავლობაში და არა - თვეები.

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, აღმასრულებელი ვალდებულია ყველა კანონიერი ზომა გამოიყენოს, რათა უმოკლეს ვადაში დადგეს სასურველი შედეგი. მიუხედავად ამისა, ჩემი აზრით, ვადებთან დაკავშირებული პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, ეს უკანასკნელი კონკრეტულად უნდა იქნეს გაწერილი კანონმდებლის მიერ. აღნიშნული ცალსახად დაიცავს კრედიტორის, როგორც ამ პროდუქტის მომხმარებლის უფლებას, რადგან მას უკვე ეცოდინება ის მაქსიმალური ვადაც, რაც შეიძლება იყოს საჭირო სასურველი შედეგის მისაღებად. მაგალითისთვის, შვედეთის სააღსრულებო კოდექსით გათვალისწინებულია, რომ სააღსრულებო სააგენტოს მიერ ყველა აუცილებელი დოკუმენტის მიღების შემდეგ, გამოსახლება უნდა მოხდეს ოთხი კვირის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ მოვალეს მიეცემა საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, გამოსახლება შეიძლება განხორციელდეს ამ მოქმედებიდან ერთ კვირაში, ან თუ იგი საზღვარგარეთ ცხოვრობს, შეტყობინების გაგზავნიდან ორ კვირაში. (4, გვ 1-2)

გამოსახლების ზემოაღნიშნული პირველი ეტაპის შემდეგ, მოქმედება უფრო რთულ საფეხურზე გადადის, კერძოდ, იწყება უშუალოდ გამოსახლების პროცესი. თუ მოვალე არ ასრულებს გაფრთხილებაში მითითებულ მოქმედებას, სააღსრულებო ორგანოს წარმომადგენელი წინასწარ დაგეგმილ დროს იწყებს ამ პროცესს. კანონი კრედიტორს ავალდებულებს დაესწროს სააღსრულებო წარმოებას თავად ან წარმომადგენლის მეშვეობით, მოვალის არ ყოფნა არ განიხილება, როგორც შემაფერხებელი გარემოება, თუმცა თუ კრედიტორი (წარმომადგენელი) არ გამოცხადდება გამოსახლების პროცესზე, კანონი ითვალისწინებს სააღსრულებო წარმოების გადადებას. განმეორების შემთხვევაში კრედიტორს უკან უბრუნდება სააღსრულებო ფურცელი შეუსრულებელი სახით. თუ მოვალე მხარე არ ესწრება აღსრულებას ან ნებაყოფლობით არ გააქვს თვისი ნივთები უძრავი ქონებიდან, ეს ვალდებულება გადადის კრედიტორზე. მისი ვალდებულებაა ნივთების გატანისა და შენახვის ხარჯების გაღებაც. მართალია კანონი იცავს მის უფლებებს და ეს ხარჯები მოვალეს ეკისრება თეორიულად, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ მოვალის გამოსახლება უმეტეს შემთხვევაში იმიტომ ხდება, რომ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ვალის გადაუხდელობის გამო გაიყიდა, დავრწმუნდებით რომ ამ მუხლის პრაქტიკაში რეალიზაცია უმეტესად შეუძლებელია. რა დრომდე უნდა შეინახოს კრედიტორმა მოვალის მოძრავი ქონება? თავის მხრივ ეს ხომ გარკვეულ ხარჯთან ან/და დისკომფორტთან არის დაკავშირებული? კანონით არ არის მოწესრიგებული ის მაქსიმალური ვადა, რა პერიოდიტაც კრედიტორი ვალდებულია შეინახოს მოვალის ქონება. ეს გახლავთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი. შვედეთის სააღსრულებო კოდექსის თანახმად, პირს, რომელიც შესანახად იბარებს ნივთებს, შეუძლია გაყიდოს იგი, თუ გამოსახლებიდან 3 თვის განმავლობაში მოვალე არ წაიღებს მას. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 84 პუნქტი 1-ს მიხედვით (1, გვ 46-47)

1. სხვისი მფლობელობიდან ან/და სარგებლობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის საქმეზე როდესაც აღსასრულებელი გადაწყვეტილება ითვალისწინებს უძრავი ქონების კრედიტორის მფლობელობაში და სარგებლობაში გადაცემას ან/და უძრავი ქონებიდან პირთა გამოსახლებას (გამოყვანას), აღსრულების ეროვნული ბიურო უზრუნველყოფს უძრავი ქონების

გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში კრედიტორისათვის გადაცემას. თუ კანონის ეს მუხლი გულისხმობს, რომ სააღსრულებო ორგანო იღებს ვალდებულებას გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადასცეს კრედიტორს უძრავი ქონება, რატომღა უწევს ამ ხარჯების გაღება? ცალსახაა რომ კანონში ხარვეზია. გამოსავალი იქნება, თუ კანონში შევა ცვლილებები და ეს ურთიერთობა დარეგულირდება იმგვარად, რომ მოვალის ქონების გამოტანის და შენახვის ვალდებულება აღსრულების ორგანოს ვალდებულება იქნება. თუ ამითვის (პირობითად კონკრეტული ვადის მითითებით) განმავლობაში მოვალი არ მიაკითხავს ქონებას აღსრულების ორგანო აუქციონის წესით მოახდენს ამ ქონების რეალიზაციას. შემოსულ თანხას დადებს დეპოზიტზე და მომდევნო ექვსი თვე კვალვ ექნება შესაძლებლობა მოვალეს მივიდეს და მიიღოს მისი ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი.

უძრავი ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა შეიძლება მოხდეს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს (მათ შორის კერძო აღმასრულებელს). სააღსრულებო ორგანოს მეშვეობით გამოსახლება ხდება საქ. კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქ. კანონის შესაბამისად. ევროპის მრავალ ქვეყანაში- გამოსახლება რეგულირდება ექვსი ძირითადი კანონით: სახელმწიფო სამართალი, ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, იჯარის, ფედერალური კანონი, საერთო სამართლის, და სასამართლო წესით.

### **გამოსახლების პროცესთან დაკავშირებული სირთულეები**

გამოსახლების პროცედურასთან დაკავშირებული სირთულეები მთელი ამ პროცესის განმავლობაში გვხვდება, მნიშვნელოვანია არ დაზიანდეს პირთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა. კანონში მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ ყველა ღონე უნდა იქნას გამოყენებული პოლიციის წარმომადგენელის ან გამოსახლების პროცედურის მწარმოებელი პირების მიერ, რათა თავიდან იქნას აცილებული ყველა მოსალოდნელი საფრთხე. საინტერესოა ის ფაქტი, თუ რას მოიცავს საფრთხის თავიდან აცილება. იგივე სავალალო შედეგს ვაწყდებით ნივთებთან დაკავშირებითაც, როგორც უნდა მოხდეს მათი გამოტანა, ისე რომ არ იქნეს დაზიანებული. აღსრულების ეროვნული ბიურო ნივთების დაზიანების შემთხვევაში პასუხიმგებლობას თავის თავზე არ იღებს. ჩემი აზრით, უნდა არსებობდეს მყარად დასაბუთებული არგუმენტები, თუ რატომ მოხდა ნივთის დაზიანება, შემდეგ ეს ყოველივე ოქმშიც უნდა აღინიშნოს.

ამ მოქმედებით, მეორე მხარეს შანსი ეკარგება შემდგომში დაზიანებულ ქონებასთან დაკავშირებით დავა დაიწყოს სასამართლოში. ვფიქრობ აქტივზე უნდა იქნას დეტალური მითითება იმის შესახებ, რა ვითარებაში დაზიანდა ნივთი. სადავოა ასევე საკითხი, ხომ არ ეკიდებოდა პოლიციის თანამშრომელი ან სხვა პირი ნივთს უდიერად და გაზრახ მოახდინა მისი დაზიანება, თუ ეს მხოლოდ გაუფრთხილებლობის ან აუცილებლობისგან იქნა გამოწვეული. დასკვნის სახით რომ ვთქვათ, კანონი მიგვითითებს, დაზიანების შესაძლებლობაზე პროცესის განმავლობაში, ხოლო აღსრულების ეროვნული ბიურო აღნიშნულზე პასუხიმგებლობას არ იღებს. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მოვალეს ჰქონდა მოცემული დრო იმისათვის რომ ნებაყოფლობით მოეხდინა უძრავი ქონების გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაცემა საქმის მწარმოებელი აღმასრულებლისათვის. რადგან მოვალემ ეს არ მოისურვა, შეიძლება აღქმული იქნეს როგორც განზრახ ხელშეშლა სასამართლო გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანისა. ამიტომაც კანონმდებელმა განსაზღვრა, რომ ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა არ დაეკისროს სააღსრულებო ორგანოს, რადგან ამით დამატებით წახალისება არ მოხდეს მოვალის.

როგორც ზემოთა ვღნიშნეთ, გამოსახლების პროცესში უმნიშვნელოვანესია არ მოხდეს იქ მყოფ პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა, გერმანული კანონმდებლობის მიხედვით,



ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომ თუ პირს, რომელიც გამოასახლეს ემუქრება უსახლკარობა, მას შეიძლება მიეცეს სოციალური დახმარებები. მიენიჭოს გარანტი ან შეღავათებით სარგებლობის უფლება საბანკო სესხებზე. გერმანელები უსახლკარობას, როგორც საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დარღვევის ფაქტს ის ეალიქვამენ. ასევე აქვთ გამონაკლისი შემთხვევები: შეღავათი შეიძლება მოვალეს გაეწიოს ინვალიდობის, ავადმყოფობის, ორსულობის ან ასაკისგამო.

### **კანონში შესული ცვლილებების ანალიზი და დასკვნა**

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს განხორციელებული კანონში შესული ცვლილებების შეჯამებისას ვაწყდებით პრობლემატურ საკითხებს. მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოსახლების პროცესის დაწყება გააჭიანურებს და პრობლემას შეუქმნის რეალიზაციას. კერძოდ, აუქციონის დროს გართულებული გამოსახლების ფონზე, დაიკლებს შემძენთა რიცხვი, რაც თავის მხრივ გამოიწვევს სარეალიზაციო ქონების უფრო დაბალ ფასში გაყიდვას. მაგალითისთვის, მოვალის ქონების ღირებულება შეადგენს 200 ათას ლარს, სააღსრულებო ფურცლითგ ათვალისწინებული მოთხოვნა 100 ათასი ლარი. აუქციონის შედეგად უძრავი ქონების რეალიზაცია მოხდა 50 ათას ლარად. რა შედეგი მივიღეთ, მოვალის ქონება გაიყიდა მინიმალურ ფასად, ანუ 100 000 ლარის დავალიანების გამო მან დაკარგა 200 000 ლარად ღირებული ქონება და სანაცვლოდ მას კიდევ დარჩა 50 000 ლარი დავალიანება.

ხშირ შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულია რომ, თუ უზრუნველყოფილი მოთხოვნის არსებობის დროს, უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციით ვერ ხდება კრედიტორის ვალდებულების სრული მოცულობით დაფარვა, მაშინ აღმასრულებელი აღსრულებას მიაქცევს მოვალის სხვა უძრავ-მოძრავ ქონებაზე. აღნიშნული მაგალითის მიხედვით კრედიტორი მხარეც დაზარალებულია, ვინაიდან ის რეალიზაციის შედეგად 200 ათას ლარად შეფასებული ქონებიდან ის ვერ იკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნას, ჭიანურდება სააღსრულებო წარმოებაც. მოცემული კანონის დათქმა (კანონში განხორციელებული ცვლილება), არც ერთი მხარის ინტერესებში არ შედის.

ყოველივე ზემოაღნიშნული პირდაპირი დარტყმაა ქვეყნის ეკონომიკურ მხარეზე, საბანკო სექტორისთვის მოსალოდნელი საზიანო შედეგების გათვალისწინებით. დროის გაჭიანურების პრობლემა, კეთილსინდისიერი შემძენი რომელიც ითხოვს გამოსახლებას და მისი რეალურად კუთვნილი უძრავი ქონების გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში მიღებას უწევს უფრო მეტი დროის კარგვა. ვაწყდებით ყოველგვარი გონივრული ვადის დარღვევას, იმის გათვალისწინებით, რომ კანონი ისედაც არ იძლევა ზუსტ ვადებს როდის უნდა დასრულდეს გამოსახლების პროცესი, და უძრავი ქონების გადაცემა კრედიტორისათვის. ხოლო სწრაფი რეალიზაციის მიმდინარეობა ორივე მხარის ინტერესებში შედის, კერძოდ, კრედიტორს სურს რაც შეიძლება მალე მოახდინოს თავის დარღვეული უფლების აღდგენა- ამოსაღები თანხის მიღებით, ხოლო მოვალე, ცდილობს დროის მოკლე მონაკვეთში რეალიზებული თანხით დაიფაროს მისი ვალდებულება და დარჩენილი თანხა (რეალიზაციის შედეგად ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაიბრუნოს უკან.

საბოლოოდ, საბანკო სექტორი გაზრდის საპროცენტო განაკვეთს და შედეგად მივიღებთ, რომ ვითომდა ურჩ გადამხდელთა უფლების დასაცავად, „გამოსახლების“ პროცესის მიმართულებით მიღებულ ცვლილებით („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქ. კანონში) გაზრდილი საპროცენტო განაკვეთის გადახდა მოუწევს კეთილსინდისიერ

მსესხებლებს. ამიტომაც ჩემთვის სრულიად გაუგებარია აღნიშნული ცვლილებების შეტანა კანონში, რომლითაც ვერც ერთი მხარე ნახულობს სარგებელს.

არსებული პრობლემების და ნორმების არაერთგვაროვანი, ხშირად წინააღმდეგობრივი გაგების მიზეზი, საკუთრივ კანონის არასრულყოფილებასთან ერთად ისიცაა, რომ არ არსებობს შესაბამისი ინსტრუქცია (რომლის აუცილებლობაზეც თავად სასამართლო აღმასრულებლებიც მიუთითებენ), კონკრეტულად განსახორციელებელი სააღსრულებო პროცედურების დაწვრილებითი აღწერა-რეგლამენტაცია. ვფიქრობ კანონმდებელთა ცალკეული ჯგუფის ჩამოყალიბება, რომლებიც უშუალოდ ამ პრობლემის თეორიულ მხარეზე მუშაობისკენ იქნება მიმართული მომავალში ნაბიჯ-ნაბიჯ შეავსებს თითოეულ ხარვეზს და აღმოფხრის მას. რათქმაუნდა ამ ყოველივეს დიდი დრო დასჭირდება და არაერთი ეტაპის გავლა მოუწევს თუმცა სავარაუდოდ პრობლემის დიდ ნაწილს მაინც გადაჭრის.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ
2. ზოიძე, ბ.- საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში. 2007, თბილისი.
3. [http://www.transparency.ge/sites/default/files/post\\_attachments/shenishvnebi\\_da\\_mosazrebebi\\_udzra\\_vi\\_nivtis\\_aramartlzomieri\\_mplobelis\\_gamosaxlebaze.pdf](http://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/shenishvnebi_da_mosazrebebi_udzra_vi_nivtis_aramartlzomieri_mplobelis_gamosaxlebaze.pdf)
4. <http://www.dca.ca.gov/publications/landlordbook/evictions.shtml>
5. <https://www.google.ge/webhp?sourceid=chrome-instant&ion=1&espv=2&ie=UTF-8#q=eviction%20process>
6. <http://nbe.gov.ge/files/studybook.pdf>
7. European Commission - Case study on the functioning of enforcement proceedings relating to judicial decisions in Member States .Final Report.

ირაკლი თედორაძე  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;  
სამართლის სკოლის დოქტორანტი

### სამეწარმეო რისკების დაზღვევის ხელშეკრულება სამართლებრივი საფუძვლები და ასპექტები.

#### რეზიუმე

ნათელია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს განვითარებისთვის ესაჭიროება ფინანსური მდგრადობა და სტაბილურობა, პოტენციური ბიზნესმენები და ინვესტორები დგანან გაკოტრების

საშიშროების პირისპირ ყოველგვარი გარანტიების და პრევენციული საშუალებების გარეშე. ჩემი აზრით, ამ პრობლემის ეფექტური გადაჭრის საშუალებაა სამეწარმეო რისკების დაზღვევა, ხოლო იმისათვის, რომ სამეწარმეო რისკების დაზღვევა იყოს ქმედითი საჭიროა მისი სამართლებრივი ასპექტების განხილვა და დამუშავება, რაც წარმოადგენს სტატიის მიზანს

სტატიაში განხილულია ისეთ მნიშვნელოვანი და აქტუალური თემა, როგორცაა სამეწარმეო რისკების დაზღვევა. თემა ძალიან მნიშვნელოვანია ბიზნესის განვითარებისთვის და ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზე მყოფი ქვეყნის ეკონომიკურ-სამართლებრივი სისტემებისთვის.

სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე წამყვანი კომპანიების „ალდაგი ბისიაი“, „ჯი პი აი“ ჰოლდინგი, „აისი გრუპი“, „უნისონი“-ის მიერ შეთავაზებული სერვისების და მათი სამართლებრივი რეგულირების მონიტორინგი, დავამუშავე და ღრმად გავანალიზე რუსეთის ფედერაციის გამოცდილება სამეწარმეო რისკების დაზღვევის სფეროში, გავეცანი წამყვანი რუსული და ინტერნაციონალური სადაზღვევო კომპანიების: სს „რუსეთის სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია“, შპს „Ингосстрах“, სს „ალიანს სადაზღვევო ჯგუფი“, შპს „ПАРИТЕТ-СК“, სს „გეფესტ სადაზღვევო საზოგადოება“, და სხვა კომპანიების გამოცდილებას, ასევე გავეცანი და მოვახდინე სისტემატიზაცია ზემოთხსენებული კომპანიების სადაზღვევო პრაქტიკაში წარმოქმნილი იურიდიულ პრობლემატიკას, მათ მიერ დანერგილ რეგლამენტებს და ხელშეკრულებების სპეციფიკას, გამოვყავი საიტერესო და საქართველოსათვის მისაღები პრაქტიკა და შევეცადე ამ კვლევის შედეგები და ჩემი მოსაზრებები გამეზიარებინა საქართველოში სადაზღვევო სფეროში მოღვაწე როგორც კომპანიებისთვის ასევე იურისტებისთვის.

სტატიის დამუშავებისას ჩემს მიერ გამოყენებული იქნა: სისტემური, ლოგიკური, შედარებით სამართლებრივი, განზოგადება, ინდუქციური და დედუქციური, ანალოგია და მონაცემთა ანალიზის მეთოდები.

სტატიაში განხილულია: სამეწარმეო რისკების ზოგად სამართლებრივი ბაზისი, მოყვანილია სამეწარმეო რისკების დაზღვევის ხელშეკრულების ზოგადი დახასიათება.

წარმოების შეჩერებით გამოწვეული ზარალის რისკების დაზღვევა კონტრაგენტების მიერ ნაკისრი ვალდებულებების არშესრულების/არაჯეროვანი შესრულების დაზღვევის ხელშეკრულება ფინანსური რისკების დაზღვევა

ფინანსური რისკების დაზღვევის ნაირსახეობები

დასკვნები და შეთავაზებები:

1. სამოქალაქო კოდექსში ასახვა უნდა ჰპოვოს „სამეწარმეო რისკის“ ცნებამ;
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში უნდა შევიდეს მთელი თავი, რომელიც დაარეგულირებს სამეწარმეო რისკების დაზღვევის საკითხებს საკანონმდებლო დონეზე;
3. უნდა გაიმიჯნოს სამეწარმეო რისკების ხელშეკრულება ქონების დაზღვევის ხელშეკრულებიდან და დაემატოს სამეწარმეო რისკების დაზღვევის ხელშეკრულების ცალკე თავი სამოქალაქო კოდექსში.

ნაშრომში გამოყოფილია რისკები, რომლებიც უნდა განეკუთვნებოდეს სამეწარმეო რისკებს:

- კონტრაგენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არშესრულების (არაჯეროვნად) შესრულების რისკი;
- წარმოების/კომერციული საქმიანობის იძულებით შეჩერების ან გრძელვადიანი გაჩერების რისკი;

- მეწარმის საბანკო, საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციაში არსებული ფულადი რესურსების დაკარგვის რისკი;
- რეალური დანახარჯები ან/და „საინვესტიციო პორთფელის“ შემოსავლების სხვადასხვა მიზეზების გამო ნაწილობრივ ან სრულიად დაკარგვის რისკი;
- ინოვაციური რისკები - კვლევა-საძიებო სამუშაოების ჩატარებისას ნებისმიერი ზიანი, საპროექტო საკონსტრუქტორო პროექტების, სამეცნიერო-ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვისას მიყენებული ნებისმიერი ზიანის/დანაკარგების რისკის დაზღვევა;
- წარმოებაზე და რეალიზაციაზე მეწარმისგან დამოუკიდებლად დანახარჯების ზრდის რისკი;
- საბანკო რისკების დაზღვევა;
- ფინანსური რისკების დაზღვევა.

**საძიებო სიტყვები:** სამეწარმეო რისკის დაზღვევის ხელშეკრულება; სამეწარმეო რისკი; სამეწარმეო რისკის დაზღვევა; ფინანსური რისკის დაზღვევა, სადაზღვეო ინტერესი, საკრედიტო რისკები, სავალუტო რისკები, საინვესტიციო რისკი.

**Irakli Tedoradze**

Grigol Robakidze University  
Law School, PhD Student

## **Agreement on Insuring Entrepreneur Risks Legal Basics and Aspects**

### **Summary**

Impregnable position of Georgian foreign policy is to become the world's full-fledged member. For the last decade, the country actively attempts to integrate in the European economy, arrange and bring in conformity with the legal space that will facilitate the country to be more attractive both for the International Community and potential investors and significantly strengthen the country's internal economic positions. In this respect, signing the Association Agreement with the EU is considered a step forward; this event opens opportunities for Georgian business to Europe. Accordingly, it is vitally important for the country to establish the regulations approved in Europe and to develop the legal space considering international standards.

The article discusses important and actual issues such as insuring entrepreneurial risks. The issue is greatly important for business development and for the country's economic-legal systems that are on the stage of development.

Within working on the topic, I have done the monitoring of the offered services and legal regulations of the leading companies on the Georgian insurance market such as “Aldagi BCI”, “GPI Holding”, “IC Group”, “Unison”; I have elaborated and deeply analyzed the experience of the Russian Federation in the field of entrepreneur risk insurance; I have learnt the experience of the leading Russian and international insurance companies: “State Insurance Company of Russia”, “Ingosstrakh” LTD, JSC “Alliance Insurance Group”, “Paritet-CK” LTD, JSC “Gefest Insurance Company”, and other companies; I have also read and systematized the legal problems of the aforementioned companies’ insurance practice, regulations established by them and agreement specifics; I have separated interesting practice acceptable to Georgia and tried to share the findings of my research and opinions to the companies and lawyers working in the Georgian insurance sector.

Therefore, I will try to characterize legal problems of entrepreneur risk insurance, and suggest recommendations to the legislative and insurance companies for the development of the field.

It is clear that small and middle-size business needs financial sustainability and stability for development; potential businessmen and investors are facing the threat of bankruptcy without any guarantees and preventive measures. In my opinion, effective solution of this problem is insuring entrepreneur risks, and to make entrepreneur risk insurance effective it is necessary to discuss and elaborate its legal aspects that is the objective of the article.

At present, legal aspects of entrepreneur risk, insurance and legal basics of business insurance are very actual and less developed problems both in insurance and generally legal space. (See annex 1).

There is no clear view established in legal literature (on the legal essence of entrepreneur risk insurance and regulation of legal aspects). Entrepreneur risk is a specific risk that may occur only in implementing entrepreneur activities.

For the purpose of better understanding the essence of entrepreneurial risk insurance and its legal structure, it is necessary to characterize general legal and economic functions of entrepreneur risks.

**Key words:** Agreement on entrepreneur risk insurance, entrepreneur risk, entrepreneur risk insurance, financial risk insurance, insurance interest, credit risks, currency risks, investment risk.

## სამეწარმეო რისკების დაზღვევის ხელშეკრულება სამართლებრივი საფუძვლები და ასპექტები.

### შესავალი:

საქართველოს საგარეო პოლიტიკის შეუვალე პოზიციაა გახდეს მსოფლიოს სრულფასოვანი და თანასწორუფლებიანი წევრი, ქვეყანა ბოლო ათწლეულის განმავლობაში აქტიურად ცდილობს ინტეგრაცია მოახდინოს ევროპულ ეკონომიკაში, მოაწესრიგოს და შესაბამისობაში მოიყვანოს სამართლებრივი სივრცე, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანას გახდეს მიმზიდველი, როგორც მსოფლიო

თანამეგობრობისთვის, ასევე პოტენციური ინვესტორებისთვის და საგრძნობლად გააძლიეროს ქვეყნის შიდა ეკონომიკური პოზიციები. ამ მიმართულებით წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა, ეს მოვლენა უხსნის გზას ევროპისაკენ ქართულ ბიზნესს. გამომდინარე აქედან, უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყანაში დაინერგოს ევროპაში აპრობირებული რეგულაციები და განვითარდეს სამართლებრივი სივრცე საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

სტატიაში მინდა შევუხებო ისეთ მნიშვნელოვან და აქტუალურ თემას, როგორცაა სამეწარმეო რისკების დაზღვევა. თემა ძალიან მნიშვნელოვანია ბიზნესის განვითარებისთვის და ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზე მყოფი ქვეყნის ეკონომიკურ-სამართლებრივი სისტემებისთვის.

სტატიის დამუშავებისას ჩემს მიერ გამოყენებული იქნა: სისტემური, ლოგიკური, შედარებით სამართლებრივი, განზოგადება, ინდუქციური და დედუქციური, ანალოგია და მონაცემთა ანალიზის მეთოდები.

თემატიკაზე მუშაობის ფარგლებში მოვახდინე საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე წამყვანი კომპანიების „ალდაგი ბისიაი“, „ჯი პი აი“ ჰოლდინგი, „აისი გრუპი“, „უნისონი“-ის მიერ შეთავაზებული სერვისების და მათი სამართლებრივი რეგულირების მონიტორინგი, დავამუშავე და ღრმად გავაანალიზე რუსეთის ფედერაციის გამოცდილება სამეწარმეო რისკების დაზღვევის სფეროში, გავეცანი წამყვანი რუსული და ინტერნაციონალური სადაზღვევო კომპანიების: სს „რუსეთის სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია“, შპს „Ингосстрах“, სს „ალიანს სადაზღვევო ჯგუფი“, შპს „ПАРИТЕТ-СК“, სს „გეფესტ სადაზღვევო საზოგადოება“, და სხვა კომპანიების გამოცდილებას, ასევე გავეცანი და მოვახდინე სისტემატიზაცია ზემოთხსენებული კომპანიების სადაზღვევო პრაქტიკაში წარმოქმნილი იურიდიულ პრობლემატიკას, მათ მიერ დანერგილ რეგლამენტებს და ხელშეკრულებების სპეციფიკას, გამოვყავი საინტერესო და საქართველოსათვის მისაღები პრაქტიკა და შევეცადე ამ კვლევის შედეგები და ჩემი მოსაზრებები გამეზიარებინა საქართველოში სადაზღვევო სფეროში მოღვაწე როგორც კომპანიებისთვის ასევე იურისტებისთვის.

გამომდინარე ზემოთხსენებულიდან სტატიაში შევეცდები დავახასიათო სამეწარმეო რისკების დაზღვევის სამართლებრივი პრობლემატიკა, შევთავაზო კანონმდებელს და სადაზღვევო კომპანიებს რეკომენდაციები სფეროს განვითარებისთვის.

ნათელია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს განვითარებისთვის ესაჭიროება ფინანსური მდგრადობა და სტაბილურობა, პოტენციური ბიზნესმენები და ინვესტორები დგანან გაკოტრების საშიშროების პირისპირ ყოველგვარი გარანტიების და პრევენციული საშუალებების გარეშე. ჩემი აზრით, ამ პრობლემის ეფექტური გადაჭრის საშუალებაა სამეწარმეო რისკების დაზღვევა, ხოლო იმისათვის, რომ სამეწარმეო რისკების დაზღვევა იყოს ქმედითი საჭიროა მისი სამართლებრივი ასპექტების განხილვა და დამუშავება, რაც წარმოადგენს სტატიის მიზანს

ამჟამად, საქართველოში სამეწარმეო რისკების დაზღვევის სამართლებრივი ასპექტები და ბიზნესის დაზღვევის სამართლებრივი საფუძვლები წარმოადგენს ძალიან აქტუალურ და ნაკლებად დამუშავებულ პრობლემას როგორც სადაზღვევო ასევე მთლიანად სამართლებრივ სივრცეში. (იხილეთ დანართი 1)

იურიდიულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ცალსახა პოზიცია და შეხედულება სამეწარმეო რისკების დაზღვევის სამართლებრივ არსზე და რეგულირების სამართლებრივ ასპექტებზე (1). სამეწარმეო რისკი არის სპეციფიკური რისკი, რომელიც შეიძლება დადგეს მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას.

იმისათვის, რომ უკეთ გავერკვეთ სამეწარმეო რისკების დაზღვევის ხელშეკრულების არსში, მის სამართლებრივ სტრუქტურაში აუცილებელია მოხდეს სამეწარმეო რისკების ზოგადსამართლებრივი და ეკონომიკურ ფუნქციური დახასიათება.


**სამეწარმეო რისკების ზოგად სამართლებრივი დახასიათება:**

**სამეწარმეო რისკის სუბიექტი.** აუცილებლად უნდა მოიაზრებოდეს მხოლოდ:

1. ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას;
2. კერძო იურიდიული პირი;
3. არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი (ააიპ), რომელსაც აქვს სამეწარმეო საქმიანობის წარმოების უფლება.

**სამეწარმეო რისკი** შეიძლება განვსაზღვროთ როგორც შემთხვევითი მოვლენა, რომელსაც აქვს ნეგატიური ზეგავლენა მატერიალურ რესურსზე, სამეწარმეო საქმიანობის ცალკეულ პროცესებზე, და ამით აყენებს მატერიალურ ზიანს (დანაკარგებს) მეწარმეს. როგორც იურიდიულ ისე ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს უამრავი კლასიფიკატორი თუ როგორ უნდა იყოფოდეს სამეწარმეო რისკები, რა შეიძლება იქნას მიჩნეული სამეწარმეო რისკად გთავაზობთ ერთ ერთ მათგანს (გამოსახულება#1)[1], რომლის თანახმადაც ავტორი გვთავაზობს სამეწარმეო რისკების ოთხ კატეგორიად დაჯგუფებას.

გამოსახულება#1



როგორც ვხედავთ რისკები დაჯგუფებულია შემდეგნაირად:

1-ლი ჯგუფი (ლურჯი) **საოპერაციო რისკები**, რომელსაც განეკუთვნება: ვაჭრობის პროცესი, ინფორმაციის გადაცემა, ხელმძღვანელობის გამართვა, ბუღალტრული აღრიცხვა.

მე-2 ჯგუფი (იისფერი), **ფინანსური რისკები**, რომელსაც განეკუთვნება: კაპიტალის ღირებულება (ალბათ ავტორი გულისხმობს ლიკვიდობას, ან გაუფასურების რისკს), ზრდის კაპიტალიზაციას, ბაზრის ცვალებადობას, საბანკო და საგირაო რისკებს.

მე-3 ჯგუფი (წითელი) **დაუძლეველი ძალა**, მუშახელის დაზიანება, ავადმყოფობა ან ქურდობის ფაქტი, მესამე პირების ვალდებულებები, ბუნებრივი კატაკლიზმები, ქონების დაკარგვა.

მე-4 ჯგუფი (მწვანე) **სტრატეგიული რისკები**: კონკურენცია, ბრენდინგი და იმიჯი, ზრდის სტრატეგია, მომხმარებლისა და ბაზრის ცვალებადობა.

გარკვეული ლოგიკა დევს სამეწარმეო რისკების ესეთ დაჯგუფებაში, მაგრამ არ მიმაჩნია სწორად და ვერ დავეთანხმები, რადგან ბევრი აქ წარმოდგენილი რისკი შეიძლება ისეთივე წარმატებით მივაკუთვნოთ სხვა ტიპის დაზღვევას, მაგალითად, მუშახელის ზიანი გავიყვანოთ ჯანმრთელობის დაზღვევაში.

ჩემი ღრმა რწმენაა, რომ სამეწარმეო რისკებში უნდა შევიყვანოთ წმინდა სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული რისკ ფაქტორები და შევეცადოთ დავამკვიდროთ მათი დაზღვევის კულტურა.

სამეწარმეო რისკებს უნდა/შეიძლება განეკუთვნებოდეს:

1. დანაკარგების რისკი, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების იძულებით შეჩერებასთან
2. დანაკარგების რისკი, რომელიც გამოწვეულია მეწარმის კონტრაგენტების მიერ არ შესრულებული ვალდებულებებით (ვერ მიაწოდეს დროულად საქონელი, დაგვიანებული ანგარიშსწორება, უხარისხო და უვარგისი საქონლის მიწოდება და ა.შ.)
3. დანაკარგები, რეალური ზარალი, რომელიც გამოწვეულია მოსალოდნელი შემოსავლების მიუღებლობით
4. მეწარმის ფინანსური რესურსების დაზღვევა, რომელიც განთავსებულია საკრედიტო ორგანიზაციებში ან ბანკში სადეპოზიტო ან მიმდინარე ანგარიშებზე.
5. საინვესტიციო და ინოვაციურ პროექტებში ჩადებული რესურსების (ფინანსური) დაზღვევა
6. სარეალიზაციო ბაზარზე მოთხოვნის დაცემის შემთხვევაში მიყენებული ზარალის და დანაკარგების დაზღვევა დანაკარგები შეიძლება დავყოთ ორ კატეგორიად: რეალური ზარალი და მიუღებელი სარგებელი.

### **სადაზღვევო ინტერესი**

შეიძლება დახასიათდეს როგორც კომპლექსური, რადგან შეიცავს სამ ელემენტს: რეალურ ზარალს, მიუღებელ სარგებელს და პასუხიმგებლობას. სხვა სადაზღვევო ინტერესებიდან მას გამოარჩევს ის, რომ სადაზღვევო მოვლენა შეიძლება დადგეს მხოლოდ დაინტერესებული პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას.

დამზღვევი არის სამართლის სუბიექტი, რომელიც ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას (ინდივიდუალური მეწარმე, კერძო სამართლის იურიდიული პირი ან არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა საწესდებო მიზნების მისაღწევად).

დამზღვევი და ბენეფიციარი სამეწარმეო რისკების დაზღვევის ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა იყოს თვით სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სამართლის სუბიექტი. ხელშეკრულებაში სხვა ბენეფიციარის მითითება დაუშვებელია და თუ ასეთი პირი მითითებულია ეს უნდა იწვევდეს ხელშეკრულების ბათილობას ამ ნაწილში, ხოლო თუ დანიშნულია დაზღვეული პირი, ხელშეკრულება ბათილია სრულიად. მაგალითი ესეთი რეგულირებისა შეგვიძლია ვიხილოთ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 933 მუხლში.

სამეწარმეო რისკების დაზღვევის ხელშეკრულება დადებული უნდა იქნას ან კონტრაგენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არ შესრულებული მიყენებული ზარალი-დანაკარგის



მიმართ ან სამეწარმეო საქმიანობის მეწარმისგან დამოუკიდებლად შეჩერებით მიღებული ზარალის - დანაკარგის მიმართ, როგორც „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 1 მუხლის კომენტარი გვეუბნება (2) სამეწარმეო საქმიანობა უნდა ატარებდეს არაერთჯერად ხასიათს. გამომდინარე აქედან, სამეწარმეო საქმიანობის შეჩერება, რომელიც განისაზღვრება როგორც სადაზღვევო შემთხვევა უნდა ატარებდეს არაერთჯერად ხასიათს. ნათელი ხდება, რომ სამეწარმეო რისკების დაზღვევის ხელშეკრულება არ შეიძლება სადაზღვევო შემთხვევად მოისაზრებდეს იმ დანაკარგს ან მიუღებელ სარგებელს, რომელიც გამოწვეულია სამეწარმეო საქმიანობის ერთჯერადი შეჩერებით, მაგალითად, დაიკარგა მიწოდების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნედლეული, რამაც გამოიწვია წარმოების შეჩერება და შემდგომი დანაკარგები. ისმის კითხვა, რა არის გამოსავალი; ასეთ შემთხვევაში, ნათელია, რომ რეალური ზარალი მეწარმემ განიცადა. პასუხი მარტივია, დაზღვეული უნდა იყოს თვითონ ტვირთი და გადამზიდის პასუხისმგებლობა. სამეწარმეო რისკების დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში დაზღვევას ექვემდებარება არა მარტო ფინანსური რისკები, არამედ დანაკარგები, ზარალი და პასუხისმგებლობაც. მეწარმე სუბიექტს შეუძლია აირჩიოს სამართლებრივი ურთიერთობა სადაზღვევო კომპანიასთან და დააზღვიოს მისი ქონება ქონების დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში ან სამეწარმეო რისკების დაზღვევის ხელშეკრულებით არჩეული ხელშეკრულებიდან გამომდინარე. სხვადასხვა იქნება სამართლებრივი რეგულირებაც.

გამომდინარე იქიდან, რომ სამეწარმეო რისკების ხელშეკრულების დადებისას შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს მომავალში მიყენებული ზარალის ოდენობა, სადაზღვევო კომპენსაციას ახასიათებს პირობითად საორიენტაციო ოდენობა და ის შეიძლება განისაზღვრებოდეს შემდეგნაირად:

1. დანაკარგების დაზღვევა მიყენებული ზიანიდან გამომდინარე გარკვეული (განსაზღვრული) ოდენობით
2. ფაქტიური დანაკარგების დაზღვევა
3. დაზღვევა, რომელიც ითვალისწინებს სადაზღვევო ორგანიზაციის პასუხისმგებლობის (ასანაზღაურებელი თანხის) ლიმიტს.

სამეწარმეო რისკების დაზღვევის ხელშეკრულებაში უნდა შემოვიდეს ცნება „სადაზღვევო ფასი“, რომელიც განისაზღვრება მეწარმისთვის სამეწარმეო საქმიანობით მიყენებული დანაკარგების/ზარალის ოდენობით, რომელსაც განიცდიდა მეწარმე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას.

როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 821 მუხლი გვეუბნება, მზღვეველი ზიანს ანაზღაურებს მხოლოდ სადაზღვევო თანხის ფარგლებში. სამეწარმეო რისკების დაზღვევისას სადაზღვევო ფასის განსაზღვრა წარმოადგენს სირთულეს, რადგან ხელშეკრულების დადებისას რთულია განისაზღვროს ზიანის ოდენობა, ხოლო სამეწარმეო საქმიანობის წარმოების პირობების მკვეთრი გაუარესების დაზღვევისას მიყენებული ზიანის გათვლა წარმოუდგენელიც. მაგალითი ასეთი გაუარესებისა შეგვიძლია მოვიყვანოთ 1998 წელს რუსეთის სახელმწიფოს მიერ გატარებული ვალდებულებითი ურთიერთობების ფინანსური რესტრუქტურისა და პოლიტიკა; 2008-2011 წლის ეკონომიკური კრიზისი, რომლის შედეგები დღესაც კი აისახება ბევრ კომპანიაზე.

### **სამეწარმეო რისკების დაზღვევის ხელშეკრულების ზოგადი დახასიათება**

სამეწარმეო რისკების დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება განვსაზღვროთ როგორც შეთანხმება მზღვეველსა და დამზღვევს შორის, რომლის შედეგადაც ერთი მხარე - მზღვეველი წინასწარ ხელშეკრულებაში შეთანხმებული გასამრჯელოს (სადაზღვევო პრემიის) სანაცვლოდ

ხელშეკრულებაში გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას აუნაზღაურებს დამზღვევეს მიყენებულ ზიანს ან/და დანაკარგებს, რომლებიც გამოწვეულია სამეწარმეო საქმიანობიდან და ზიანი ეხება: ქონების ზიანს ან მეწარმის მიუღებელ სარგებელს, რომელიც გამოწვეულია მეწარმის კონტრაგენტების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არშესრულებით ან არასათანადო შესრულებით სადაზღვევო ფასის ფარგლებში.

ხელშეკრულების არსს და მთავარ ფუნქციას წარმოადგენს მეწარმის ფინანსური და სხვა სამეწარმეო რისკებიდან დაცვა, რათა მან განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა ნაკლებად რისკიან გარემოში.

ზიანი როგორც წესი უნდა განისაზღვროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდგომ, ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ანაზღაურების ლიმიტს და ანაზღაურება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ სადაზღვევო შემთხვევებზე, რომელიც დეტალურად არის აღწერილი ხელშეკრულებაში.

სამეწარმეო რისკების დაზღვევის ხელშეკრულება შესაძლებელია დაიდოს სამეწარმეო საქმიანობის ნებისმიერი სფეროს მიმართ, მეწარმემ აუცილებლად უნდა მიაწოდოს მზღვეველს შემდეგი ინფორმაცია:

- საქონლის რაოდენობა, ხარისხი, სამუშაოების და მომსახურებების ფასი, ბაზარის მოთხოვნა, ტევადობა და სიმძლავრე, მეწარმის წილი ბაზარზე;
- მეწარმის წინა და მიმდინარე წლის ფინანსური მაჩვენებლები;
- ზოგადი და მიმდინარე ლიკვიდობა, საკუთრებაში არსებული კაპიტალის კოეფიციენტი;
- კონტრაგენტების და პარტნიორების ფინანსური მონაცემები მეწარმესთან მიმართებაში და ასევე ვალდებულებები როგორც მიმდინარე ისევე შეუსრულებელი, შეძლებისდაგვარად კონტრაქტორების ლიკვიდურობის მონაცემები და სხვა.... (განსაზღვრა ხდება ხელშეკრულების დადებისას მხარეებს შორის)

### **სამეწარმეო რისკების დაზღვევის ცალკეული ხელშეკრულებების ზოგადი დახასიათება**

**წარმოების შეჩერებით გამოწვეული ზარალის რისკების დაზღვევა** საშუალებას აძლევს მეწარმეს აანაზღაუროს მისგან დამოუკიდებლად სამეწარმეო საქმიანობის სისტემატიური შეჩერებით გამოწვეული ზარალი. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველმა უნდა აანაზღაუროს:

- საწარმოს მიმდინარე ხარჯები: დანახარჯები, რომელიც არ არის დაკავშირებული საწარმოს ბრუნვასთან, ასევე ხელფასები, საგადასახადო დავალიანება, რომელიც უკავშირდება ხელფასს - საშემოსავლო გადასახადები, იჯარის ხარჯები.
- ზარალის შემცირებასთან დაკავშირებული ხარჯები - ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია წარმოების სარეზერვო რესურსებზე გადაყვანასთან, ზეგანაკვეთური სამუშაო დროის ანაზღაურება;
- მიუღებელი სარგებელი ან/და მოგება

იმისათვის, რომ დადგინდეს ზარალის საერთო ოდენობა და სადაზღვევო კომპენსაციის ოდენობა შედარებული უნდა იქნას საწარმოს მაჩვენებლები შეჩერების დროს და საწარმოს წინა წლის საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლები, როდესაც საწარმო მოქმედებდა მისი გეგმური მოგების შესრულებისას. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ანაზღაურებას არ ექვემდებარება წარმოების შეჩერების ის პერიოდი, რომლის მიზანიც იყო მოდერნიზაცია–გადაიარაღება და სხვა მოქმედებები, რომელიც მიმართული იყო საწარმოს განვითარებაზე, რადგან იგულისხმება, რომ ესეთი შეჩერება მიმართულია მოგების გაზრდაზე და არ ითვლება ზარალად.

## კონტრ აგენტების მიერ ნაკისრი ვალდებულებების არშესრულების/არაჯეროვანი შესრულების დაზღვევის ხელშეკრულება

უმეტესწილად ასეთი ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულება გამოიყენება საგარეო ვაჭრობის სფეროში საექსპორტო საქმიანობის დროს. დაზღვეული შეიძლება იქნას როგორც ცალკეული ასევე რამდენიმე საერთო მახასიათებლების მქონე გარიგებები. დაზღვევის ხელშეკრულება უნდა დაიდოს საქონლის გადაზიდვის დაწყებამდე ხოლო სადაზღვევო პირობები იწყებს მოქმედებას, როდესაც მყიდველმა მიიღო საქონელი და თანმხლები დოკუმენტაცია (გადახდის მოთხოვნა, ანგარიშვაქტურა და ა.შ.). სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მყიდველმა უნდა დაამტკიცოს მისი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება, ხოლო სადაზღვევო თანხის ანაზღაურების შემდგომ მყიდველი ხდება მზღვეველის მევალე და მეწარმემ მას უნდა გადასცეს ყველა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს მყიდველის ვალდებულებას და მის შეუსრულებლობას.

### ფინანსური რისკების დაზღვევა

სადაზღვევო მომსახურებების ერთობა, რომელიც მიმართულია დაიცვას და მოახდინოს მეწარმის ფინანსური დანაკარგების რისკის პრევენცია და დაცვა. ფინანსური რისკის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ რისკი დგება მხოლოდ ფინანსურ-საკრედიტო და სავალუტო-საბირჟო, საფონდო საქმიანობის წარმოების დროს და რისკი პირდაპირ კავშირშია ასეთი ოპერაციების შესრულების სპეციფიკასთან.

სამეწარმეო რისკი და ფინანსური რისკი არ არის ერთი და იგივე ცნება. ფინანსური რისკი არის სამეწარმეო რისკის ერთერთი ნაირსახეობა, რადგანაც ფინანსური რისკი ეს არის პოტენციურად შესაძლებელი შემთხვევითი მოვლენა, რომელიც ახდენს ზეგავლენას მეწარმის მიერ ფულადი რესურსების მიღების, შენახვის, მიზნობრივი ხარჯვის, ანგარიშსწორების და დაგროვების პროცესზე, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მეწარმეს: დანაკარგების, მოგების დაკარგვის, ზარალის ანაზღაურების ანგარიშსწორების გზით. გამომდინარე აქედან, ვხვდებით, რომ სამეწარმეო რისკი არის უფრო ფართო ცნება და ფინანსური რისკი არის მისი შემადგენელი ნაწილი. ფინანსურ რისკებს უნდა განეკუთვნებოდეს:


- საკრედიტო რისკი
- პროცენტის რისკი
- სავალუტო რისკი
- ფინანსური სარგებლის მიუღებლობის რისკი
- საინვესტიციო რისკები

მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო საინვესტიციო რისკების დაზღვევა არის ერთ ერთი გარანტი იმისა, რომ ქვეყანაში თამამად შემოვა პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის განვითარებას და ქვეყანაში ფინანსურ სტაბილურობას, ამავდროულად უცხოური ინვესტიციები არის გზა დასაქმების პრობლემების გადასაჭრელად, თუნდაც მის ნაწილში და არა მთლიანად. გთავაზობთ ქვეყნების რეიტინგს სადაც პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ნაკლებად განიცდის რისკებს. (ფიგურა 1)

Figure 1 ფიგურა 1

**2015 FDI Confidence Index® ranking and scores**

2015 FDI ნდობის ინდექსი შეფასებები და ქულები



თუ ჩვენ ყურადღებით დავაკვირდებით მოცემულ ფიგურაზე გამოსახულ ინფორმაციას და გავანალიზებთ, მივხვდებით, რომ იქ წარმოდგენილია მსოფლიო სავაჭრო და სამეწარმეო ცენტრები, სადაც ბიზნესისთვის შექმნილია ხელსაყრელი პირობები და გარემო ბიზნესისთვის არ არის აგრესიული.

დიდ იმედს გამოვხატავ, რომ სადაზღვევო კულტურის ამაღლების შემდგომ საქართველოც გახდება ბიზნესისა და წარმოების განვითარების გზაზე მდგომი ერთერთი ქვეყანა. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების შესახებ მონაცემები იხილეთ დანართი 2

**ფინანსური რისკების დაზღვევის ნაირსახეობები**

**1. საკრედიტო რისკების დაზღვევა** - უზრუნველყოფს მევალის მიერ ძირითადი ვალის და პროცენტის არგადახდის რისკს. ასეთი ტიპის დაზღვევის ობიექტია ვალის არგადახდის (არადროული გადახდის) რისკი პროდუქციის მყიდველის მხრიდან თუ მასზე გაცემული იყო კომერციული კრედიტი, ან/და პროდუქციის მიწოდება იწარმოებოდა განვადებით გადახდის საფუძველზე. კომერციული კრედიტების დაზღვევის დროს მთავარ ობიექტად გვევლინება ფინანსური ინტერესი, რომელიც დაკავშირებულია გამყიდველის ფინანსურ უზრუნველყოფასთან განვადებით ანგარიშსწორების დროს. სადაზღვევო შემთხვევა ამ დროს არის მევალის მიერ არ გადახდა ან არადროული გადახდა ნაკისრი ვალდებულებებისა. სადაზღვევო ფასი გადახდილი უნდა იქნას სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდგომ თუ წარმოდგენილი იქნება შემდეგი დოკუმენტაცია (ანგარიშები, ზედნადები, დავალიანების

გადახდის შესახებ შეტყობინება (მიმოწერა), საბუღალტრო უწყება და ა.შ.). შეიძლება გამოვყოთ: კომერციული, სამომხმარებლო, საექსპორტო დაზღვევა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საექსპორტო კრედიტის დაზღვევა, რომლის მთავარი დანიშნულებაა დაიცვას როგორც ექსპორტიორის ქონებრივი ინტერესები, ასევე იმ საკრედიტო ორგანიზაციების ქონებრივი ინტერესები, რომლებიც საექსპორტო საქმიანობისთვის გამოყოფს კრედიტებს. დაზღვევა იცავს ექსპორტიორებს ფინანსური დანაკარგებისგან, რომელიც გამოწვეულია საკრედიტო დავალიანების შეუსრულებლობით. სადაზღვევო შემთხვევა არის კრედიტის არ დაფარვა, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც კრედიტორის ბანკროტობით ასევე სხვა ნებისმიერი ფინანსური პრობლემებით, რომელიც მრავლად არის სამეწარმეო საქმიანობაში.

**2. სავალუტო რისკების დაზღვევა** - იცავს გარე სავაჭრო ოპერაციების, საკრედიტო და სხვა სავალუტო ოპერაციების შესრულების პროცესში წარმოქმნილ სავალუტო დანაკარგებიდან, რომელიც უკავშირდება როგორც ერთი უცხოური ვალუტის კურსის მეორე უცხოურ ვალუტის კურსთან ცვლილებას, ასევე ეროვნულ ვალუტის კურსთან ცვლილებას. სავალუტო რისკების დაზღვევა ხორციელდება გარე სავაჭრო ხელშეკრულებაში სხვადასხვა დამცავი პირობების წინასწარი დათქმების ჩართვით, რომლებიც მოწოდებულია შეზღუდოს ან თავიდან აიცილოს დანაკარგები საგარეო პარტნიორებთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში, რომლებთანაც ანგარიშსწორება ხორციელდება თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში ან კლირინგის წესით.

სავალუტო რისკების დაზღვევის უმარტივესი მეთოდებია: ექსპორტიორის მიერ გასაყიდი ფასის ეროვნულ ვალუტაში ფიქსირება; საექსპორტო და საიმპორტო რისკების ისეთი ურთიერთ მიზმა, როდესაც ყველა მოთხოვნის და ვალდებულების თანხობრივი რაოდენობა ემთხვევა ერთსა და იმავე ვალუტაში; ეროვნული ბანკებიდან სარფიანი პირობების მიღება (მედიაცია ბიზნესსა და ბანკებს შორის) და სხვა.

### **დასკვნები და შეთავაზებები:**

სამეწარმეო რისკების დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ასპექტების გამოსავლენად ჩატარებულმა თეორიულმა კვლევამ და პრაქტიკული გამოცდილების ანალიზმა აჩვენა რომ: სამეწარმეო რისკების დაზღვევა უნდა აღვიქვათ როგორც სადაზღვევო შემთხვევისას მეწარმისთვის მიყენებული ზიანის მინიმიზაციის ფინანსური ინსტრუმენტი.

თავისუფალი კონკურენციისა და ეკონომიკის პირობებში მეწარმისთვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება სამეწარმეო რისკების ეფექტური მართვა, სადაც სადაზღვევო მექანიზმებს და კულტურის მაღალ დონეს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

სამეწარმეო რისკი წარმოადგენს კომპლექსურ და მრავალწახნაგოვან მოვლენას, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა სამართლებრივ ლიტერატურაში ცალსახა მიდგომები, ამიტომაც შეგვიძლია გამოვიყენოთ სამეწარმეო რისკის განმსაზღვრელი უამრავი კლასიფიკატორი, რომლებიც თანაბრად შეიძლება ვთქვათ რომ მართებულია. ბიზნესის განვითარებამ და მეწარმე სუბიექტების აურაცხელმა რისხვა დაგვაყენა მეწარმეების ეფექტური დაცვის არარსებობის პრობლემის პირისპირ, როგორც ამ სტატიაში შევეცადე ამესახა ასეთი დაცვის მექანიზმია სადაზღვევო სისტემა და მისი უნიფიკაცია.

რა თქმა უნდა, სამეწარმეო რისკები გამომდინარეობს ქონებრივი ინტერესებიდან და მათზე შეიძლება გავრცელდეს ქონების დაზღვევის მთავარი პრინციპები, მაგრამ, როგორც ჩანს, ზემოთ სამეწარმეო რისკები მოიცავს არამართო ქონების ზიანს, არამედ სხვა სავალუტო, ფინანსურ, საკრედიტო და საინვესტიციო რისკებსაც, ამიტომაც საჭიროა:

1. სამოქალაქო კოდექსში ასახვა უნდა ჰქონდეს „სამეწარმეო რისკის“ ცნებამ;
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში უნდა შევიდეს მთელი თავი, რომელიც დაარეგულირებს სამეწარმეო რისკების დაზღვევის საკითხებს საკანონმდებლო დონეზე;
3. უნდა გაიმიჯნოს სამეწარმეო რისკების ხელშეკრულება ქონების დაზღვევის ხელშეკრულებიდან და დაემატოს სამეწარმეო რისკების დაზღვევის ხელშეკრულების ცალკე თავი სამოქალაქო კოდექსში.

ნაშრომში გამოყოფილია რისკები, რომლებიც უნდა განეკუთვნებოდეს სამეწარმეო რისკებს:

- კონტრაგენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არშესრულების (არაჯეროვნად) შესრულების რისკი;
- წარმოების/კომერციული საქმიანობის იძულებით შეჩერების ან გრძელვადიანი გაჩერების რისკი;
- მეწარმის საბანკო, საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციაში არსებული ფულადი რესურსების დაკარგვის რისკი;
- რეალური დანახარჯები ან/და „საინვესტიციო პორთფელის“ შემოსავლების სხვადასხვა მიზეზების გამო ნაწილობრივ ან სრულიად დაკარგვის რისკი;
- ინოვაციური რისკები - კვლევა-სამიეზო სამუშაოების ჩატარებისას ნებისმიერი ზიანი, საპროექტო საკონსტრუქტორო პროექტების, სამეცნიერო-ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვისას მიყენებული ნებისმიერი ზიანის/დანაკარგების რისკის დაზღვევა;
- წარმოებაზე და რეალიზაციაზე მეწარმისგან დამოუკიდებლად დანახარჯების ზრდის რისკი;
- საბანკო რისკების დაზღვევა;
- ფინანსური რისკების დაზღვევა.

ცხადია, რომ სამეწარმეო რისკების დაზღვევა არის ახალი ინსტიტუტი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების განვითარების კუთხით და ამ ურთიერთობების მოგვარების შესაძლებლობა უნდა ენიჭებოდეს სამეწარმეო რისკების დაზღვევის ხელშეკრულებას. ამისათვის კი საჭიროა რომ: სამოქალაქო კოდექსში დავამატოთ სამეწარმეო რისკების დაზღვევის ხელშეკრულების თავი, რის შედეგადაც ამ ინსტიტუტის უნიფიკაციის პროცესი დაიწყება და გაჩნდება სამოქალაქო და სასამართლო პრაქტიკა, რაც საგრძნობლად დაეხმარება სფეროს განვითარებას.

ვიმედოვნებ, რომ ამ პროცესში აქტიურად ჩაერთვებიან ასევე სადაზღვევო კომპანიები და შემოგვთავაზებენ მისეულ ხედვებს თავიანთი რეგლამენტებითა და სამეწარმეო რისკების დაზღვევის ტიპური ხელშეკრულების პირობებით და სადაზღვევო პოლისების ფორმებით.


გთავაზობთ სამეწარმეო რისკის დაზღვევის მიახლოებითი სადაზღვევო პოლისის ზოგად ფორმას



დანართი 1

№	დაზღვევის სახეობა	მთლიანი პრემია	წილი ბაზარზე	ანაზღაურებული ზარალი	წილი ბაზარზე
1	სამედიცინო (ყვანმრთელობის) დაზღვევა	380,333,584	73.78%	235,294,925	88.88%
2	ქონების დაზღვევა	41,020,206	7.96%	3,655,903	1.38%
3	სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა)	31,410,515	6.09%	16,746,087	6.33%
4	სიცოცხლის დაზღვევა	22,638,777	4.39%	1,545,651	0.58%
5	სამოქალაქო მასუხისმგებლობის დაზღვევა	7,985,268	1.55%	113,007	0.04%
6	საპაეო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (კორპუსის დაზღვევა)	5,596,879	1.09%	0	0.00%
7	ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა	4,839,680	0.94%	4,105,457	1.55%
8	სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო მასუხისმგებლობის დაზღვევა	4,224,867	0.82%	2,135,888	0.81%
9	საპაეო სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული მასუხისმგებლობის დაზღვევა	4,131,232	0.80%	0	0.00%
10	ტვირთების დაზღვევა	3,820,441	0.74%	336,395	0.13%
11	სამოგზაურო დაზღვევა	3,664,416	0.71%	312,827	0.12%
12	უბედური შემთხვევის დაზღვევა:	2,902,265	0.56%	169,584	0.06%
13	დაზღვევა საფინანსო დანაკარგებისაგან	2,029,654	0.39%	0	0.00%
14	საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევა	490,656	0.10%	324,549	0.12%
15	მცურავი სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა (კორპუსის დაზღვევა)	351,826	0.07%	0	0.00%
16	მცურავ სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული მასუხისმგებლობის დაზღვევა	31,163	0.01%	0	0.00%
17	სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	0	0.00%	0	0.00%
18	იურიდიული ხარჯების დაზღვევა	0	0.00%	0	0.00%
	<b>სულ:</b>	<b>515,471,427</b>	<b>100%</b>	<b>264,740,274</b>	<b>100%</b>

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით  
დანართი 2





## გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამოყენებული მოსაზრებები კვლევაში ეყრდნობა შემდეგი მეცნიერების ნაშრომებს: Жучков С.В. Правовое регулирование страхования предпринимательского риска в Российской Федерации: Дисс. ...канд. юрид. наук. – М., 2005; Волкова И.А. Страхование предпринимательского риска в гражданском праве России: Дисс. ...канд. юрид. наук. – М., 2004; Лаптева И.В. Гражданско-правовое регулирование страхования предпринимательского риска: Дисс. ...канд. юрид. наук. – СПб., 2006
2. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი მესამე გამოცემა ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, გამომცემლობა სამართალი
3. Peter M. Jones. 2010. Trade Credit Insurance. Pearson
4. Jerry Glickman. 2012. Trade Credit Insurance an Invaluable Aid to Successful Domestic and International Business. Routledge.
5. Rey Rees. 2013. Regulation of International insurance markets. Unity
6. Julian Burling. 2011. Research Handbook on International Insurance Law and Regulations.
7. Shaun Crawford. 2014. Global Insurance Outlook
8. Шихов А.К. 2010. Страхование. – М.: ЮНИТИ.
9. Фогельсон Ю.Б. 2012. Комментарий к страховому законодательству – М.: Юрист
10. Волкова И. А. 2011. Страхование предпринимательского риска в гражданском праве России
11. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა I სპეციალური გამოცემა 2012
12. Алтынникова И.В. Страхование предпринимательских рисков // Главбух. – 2001. – № 6. С. 17 – 25.
13. Жучков С.В. Правовое регулирование страхования предпринимательского риска в Российской Федерации: Автореф. дисс. ...канд. юрид. наук: 12.00.03. – М., 2005.
14. სადაზღვევო ფორუმი: <http://www.erm360.com/> MyriskControl; [www.flickr.com](http://www.flickr.com)
15. <http://www.rgs.ru/>

ეკა კენჭაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის,  
სამართლის სკოლის, დოქტორანტი

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არასრულწლოვანთა  
დანაშაულობის სტატისტიკა და მდგომარეობის ანალიზი ინფორმაციული ტექნოლოგიების  
გამოყენებით

## რეზიუმე

ნაშრომის მიზანია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიზნით გატარებული აქტივობების გაანალიზება. განხილულია მანდატურის ინსტიტუტის უფლება-მოვალეობები, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს პრიორიტეტები ამ მიმართულებით.

ნაშრომში გაანალიზებულია ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში არასრულწლოვანთა დანაშაულობების შესახებ სამართლებრივი ინფორმაციის დამუშავებაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობა. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს რისკების მაქსიმალურად შემცირებას სამართალწარმოებაში. დღეს არ არსებობს სხვადასხვა სკოლებში გამოვლენილი დარღვევების მონაცემების ერთიანი ელექტრონული ბაზა, რაც დაგვეხმარებოდა მდგომარეობის ერთიანი სურათის წარმოსაჩენად, მათი შემდგომი სტატისტიკური დამუშავებისა და ანალიზის წარმოებისთვის.

ნაშრომში დასაბუთებულია დანაშაულის პრევენციის პოლიტიკის გატარებისთვის კვლევისა და ანალიზის, როგორც ერთ-ერთი მეთოდის, ჩატარების აუცილებლობა. სადაც მოხდება დანაშაულის სტატისტიკური აღწერა, დანაშაულისა და დელინქვენტური ქცევის გამომწვევი ფაქტორების შესწავლა და არსებული შედეგების შეფასება, ასევე რისკფაქტორების იდენტიფიცირება და დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ანალიზი სოციოლოგიური კვლევების საფუძველზე.

ნაშრომში გაანალიზებულია მანდატურის საქმიანობის დროიდან დანაშაულობის სურათი საქართველოს დედაქალაქის სკოლების მიხედვით. კვლევამ აჩვენა, რომ ყველაზე მეტი დარღვევა მოდის დილით დაგვიანებაზე და შემდეგ გაკვეთილზე დაგვიანებაზე და გაკვეთილიდან გასვლაზე. კვლევაში ნაჩვენებია, აგრეთვე, დარღვევათა პროგნოზი 2015-2018 წლებისთვის. ყოველი მათგანს ზრდადი ხასიათი აქვს და ამიტომ გასათვალისწინებელია არსებული მიმართულებით ქმედით ღონისძიებებში.

**საძიებო სიტყვები:** დანაშაული, არასრულწლოვანი, მანდატური, სტატისტიკა, ანალიზი

**Eka Kenchadze**

Grigol Robakidze University,  
School of Law, Ph.D. Student

### **New Technological Approaches to Study Juvenile Crime Statistics and Analysis of the Situation in Secondary Educational institutions**

#### **Summary**

The thesis aims to analyze the activities implemented for the prevention of delinquency. The duties of the mandatory service of institutes, as well as the priorities of the Ministry of Internal Affairs, are reviewed.

In the presented paper, there has been studied the importance of using the information technologies for working on the legal information about the delinquency at schools. The use of the information technologies provides the maximum decrease of risks in the litigation process. Nowadays, the united

electronic databases of violations at different schools do not exist; it would help to create the united image for further processing and analysis of statistical data.

There has been substantiated the necessity of conducting the research and analysis, as one of the methods, for the implementation of delinquency prevention policy. The research will include the statistical description of the delinquency, study of the causative factor of crime and delinquency behavior, evaluation of the current results, identification of risk-factors and analysis of the causative reasons of the crime based on the sociological researches.

The crime at schools since the existence of mandatory service is analyzed according to the schools of the capital city of Georgia. The research showed that the most cases of the violence are school pupils lagging in the morning and lagging for entering and leaving the class. Moreover, in the research, there is showed the violence forecast for 2015-2018. Each of them is being increased, and therefore, it should be considered in the meaningful processes of this direction.

**Key words:** Crime, juvenile, mandatory service, analyze, statistics

**საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არასრულწლოვანთა  
დანაშაულობის სტატისტიკა და მდგომარეობის ანალიზი ინფორმაციული ტექნოლოგიების  
გამოყენებით**

2010 წლის თებერვალში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაამტკიცა „უსაფრთხო სკოლის პროგრამა“. პროგრამის მიზანს შეადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა უსაფრთხო თანაარსებობის უზრუნველყოფა და დისციპლინარული გადაცდომების შემცირება, კონფლიქტების, ჯანმრთელობის ან სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული ქმედების და ნარკოტიკული დანაშაულის პრევენცია. ამისათვის, საჯარო სკოლებში შეიქმნა მანდატურის ინსტიტუტი, რომელიც პასუხისმგებელია მთელი ქვეყნის მასშტაბით საჯარო სკოლებში ძალადობისა და დანაშაულის პრევენციაზე.

პროგრამის ფარგლებში მანდატურების კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული ზრდის მიზნით ხორციელდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტები. 2012წლიდან განათლების და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების სამსახური ამერიკის სკოლის უსაფრთხოების სამსახურის საერთაშორისო ეროვნული ასოციაციის (NASRO) წევრ გახდა. ურთიერთ თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება NASRO-ს წევრი ქვეყნების ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარება, ერთობლივი პროექტები, გაცვლითი პროგრამები და ტრენინგები. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მანდატურებმა გაიარეს გადამზადების კურსები.

2012წლისბოლოს „ზოგადიგანათლებისშესახებ“ კანონშიშეტანილი ცვლილების თანახმად, მანდატურებს შეეზღუდათ გარკვეული უფლება-მოვალეობები (სკოლის ადმინისტრაციის

საქმიანობაში ჩარევა და მასწავლებლის კონტროლი). ამჟამად მანდატურის მთავარი ფუნქცია ბავშვების უსაფრთხოებაზე ზრუნვა და დისციპლინის დაცვაა.

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია და ანტი-ნარკოტიკული კამპანია წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საერთაშორისო ორგანიზაცია PH INTERNATIONAL-თან თანამშრომლობით შეიმუშავა ტრენინგ-მოდული პოლიციელთათვის - „არასრულწლოვნებთან მოპყრობის თავისებურებაზე“. აღნიშნულიმოდული მოიცავს ინფორმაციას ბავშვთა განვითარების ფსიქო-სოციალურ ასპექტებზე და მათთან მუშაობის პრინციპებზე, აგრეთვე თეორიულ ინფორმაციას არასრულწლოვანთა უფლებების დაპასუხისმგებლობების საკანონმდებლო რეგულირების შესახებ. იუსტიციის უმაღლესი სკოლისა დაგ აეროს ბავშვთა ფონდის ორგანიზებით მოსამართლეები სისტემატურად გადიან ტრენინგებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში. სკოლის მანდატურის სამსახური, რომელიც შეიქმნა 2010 წელს, ითვალისწინებს:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა ჯანმრთელობისათვის და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას;

ბ) საჯარო სკოლებში და მიმდებარე ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების, აგრეთვე ნარკოტიკული დანაშაულის აღკვეთას;

გ) მოზარდ მოსწავლეთა შორის ურთიერთდაპირისპირების აღმოფხვრას;

დ) საჯარო სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეთა მიერ ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის ტარების, ალკოჰოლური და ნარკოტიკული საშუალებების გავრცელების აღმოფხვრას.

სკოლის მანდატურის სამსახური უზრუნველყოფს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრების კონტროლს; სკოლაში და მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარ და გამოვლენილ სამართალდარღვევებზე რეაგირებას, მის აღკვეთას და შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირებას (ცივი იარაღის ტარების, ნარკოტიკული ნივთიერებების შენახვა-მობმარების, ჯანმრთელობის დაზიანების, თამბაქოს რეალიზაციის წესის დარღვევის, წვრილმანი ხულიგნობის და სხვა ისეთი ქმედებების შესახებ, რომელიც ხელყოფს საზოგადოებრივ წესრიგს და ხელს უშლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას); სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, დირექციის ან მასწავლებლის თხოვნით სოციალური ქცევის პრობლემის მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობას, მათთან ინდივიდუალური გასაუბრებების წარმოებას, მათ ქცევაზე დაკვირვებასა და კონტროლს; მოსწავლეებისთვის სამოქალაქო თავდაცვასთან, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებასთან, ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ დარღვევებთან და მათ შედეგებთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდებას;

მშობლებისა და დირექციის ინფორმირებას სკოლის რეჟიმს ძნელად შეგუებულ მოსწავლეთა ქცევასთან დაკავშირებით; საგანგებო სიტუაციებში (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა დასხვა) სკოლაში მომუშავე პირების, მოსწავლეთა და სკოლაში მყოფი სხვა პირების დაცვას და ევაკუაციაში ხელშეწყობას; დაპირისპირებულ მოზარდებს შორის მედიატორის როლის

შესრულებას, კონფლიქტური სიტუაციის გამოვლენას და გადაჭრას; აწარმოებს სოციალური ქცევის პრობლემის მქონე მოსწავლეთა მშობლებთან შეხვედრებს; ახორციელებს სკოლის შინაგანაწესის შესრულებაზე კონტროლს; ახდენს საჯარო სკოლაში გამოვლენილ დარღვევებზე აღრიცხვის ფურცლის შედგენას სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად და სკოლის დირექტორისა და სამსახურის უფროსისათვის წარდგენას. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არასრულწლოვანთა დანაშაულობების შესახებ სამართლებრივი ინფორმაციის დამუშავებაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას უტყუარი და ობიექტური შედეგების მისაღებად დღეს არსებითი როლი აკისრია. ინფორმაციული ტექნოლოგიები სამართლებრივ სფეროში უზრუნველყოფს სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას გლობალურ სივრცეში სამართლებრივი ინფორმაციის შეგროვების, შენახვისა და გავრცელებისათვის. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს რისკების მაქსიმალურად შემცირებას სამართალწარმოებაში. სახელმწიფომ მუდმივად უნდა იზრუნოს ქართული პროგრამულ-ტექნიკური საშუალებებისა და საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებასა და გამოყენებაზე, საერთაშორისო დონეზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება იურიდიულ სფეროში მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: სამართლებრივი საცნობარო სისტემების შექმნა დანაშაულთა რეგისტრაციისა და იდენტიფიკაციის ავტომატიზირებული სისტემების შექმნა სამართალდამცავ ორგანოებში საქმიანობის დაგეგმვისა და აღრიცხვის ავტომატიზირებული სისტემების შექმნა და სხვ. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სამართლებრივი ინფორმაციის დასამუშავებლად საშუალებას იძლევა მოვახდინოთ: ინფორმაციის ოპერატიულად მიღება დანაშაულის ეპიზოდების მონაცემთა ფორმირება თითოეულ ექვმიტანილზე (დამნაშავეზე) ინფორმაციის დაგროვება მონაცემების დაჯგუფება ყველა პირზე, რომლებიც ფიგურირებენ გამოძიების მასალებში დაკავების ვადებისა და დაკავებაში ყოფნის ვადების კონტროლი მონაცემების მომზადება საბრალდებო დასკვნისათვის ცნობებისა და სხვა ანგარიშგების დოკუმენტების შედგენა და სხვ. 2009 წლის 17 ივლისს იუსტიციის სამინისტროსთან შეიქმნა მონაცემთა გაცვლის სააგენტო, რომლის მიზანია საქართველოს სამართლებრივ სივრცეში ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის გაცვლის სამართლებრივი რეგულირება. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია. სააგენტოს მიზანს შეადგენს: ინფორმაციული ტექნოლოგიების შემუშავებისთვის აუცილებელი სტანდარტების შემუშავება ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა ციფრული ხელმოწერის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ინფორმაციული უსაფრთხოების იდენტიფიკაციის მიზნით ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის ჩატარება ინფორმაციული ტექნოლოგიების (სისტემების) სფეროში მოქმედ ადგილობრივ, საერთაშორისო და უცხო ქვეყნებში ორგანიზაციებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან და კერძო სამართლის სუბიექტებთან ურთიერთობის დამყარება ინფორმაციული ტექნოლოგიების (სისტემების) სფეროში ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის მიღება ინფორმაციული ტექნოლოგიების (სისტემების) სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება ინფორმაციული ტექნოლოგიების (სისტემების) განვითარების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა

უფლებამოსილებების განხორციელება მანქანური დამუშავების შედეგად მიღებული სამართლებრივი ინფორმაცია უნდა იყოს: სარწმუნო, ობიექტურად უნდა ასახავდეს რეალობას; სრული, უნდა ასახავდეს მოცემულ შემთხვევასთან დაკავშირებულ ყველა ფაქტებს, მოვლენებს, პროცესებს. უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ერთიანი ელექტრონული ბაზა, სადაც გაერთიანებული იქნებოდა მონაცემების სხვადასხვა სკოლებში გამოვლენილი დარღვევების შესახებ. რაც დაგვეხმარებოდა მდგომარეობის ერთიანი სურათის წარმოსაჩენად, მათი შემდგომი სტატისტიკური დამუშავებისა და ანალიზის წარმოებისთვის. დღეისათვის იურისპრუდენციის საქმიანობის სწორად წარმართვაში მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების, შესაბამისი პროგრამული პაკეტებისა და საინფორმაციო სისტემების გამოყენება არსებით როლს ასრულებს. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს კვლევასა და ანალიზს, მათ შორის, დანაშაულის სტატისტიკას, დანაშაულისა და დელინქენტური ქცევის გამომწვევი ფაქტორების შესწავლას და არსებული პროგრამების შედეგების შეფასებას. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, პროგრამების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მათი სწორად დაგეგმვა, მუდმივი მონიტორინგი, შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, მოდიფიცირება. შესაბამისად, პრევენციული პოლიტიკის ფარგლებში მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს პროგრამების შეფასებას, არსებული სერვისების, რესურსების ანალიზსა და სწორად დაგეგმვას. ბოლო დრომდე არასრულწლოვანთა დანაშაულის სტატისტიკა არ არის საკმარისად დეტალური და სრულყოფილი.

სამართლის საქმისწარმოების ელექტრონულმა სისტემამ და მისმა სტატისტიკურმა მოდულმა სამომავლოდ უნდა უზრუნველყოფს დეტალური, ყოვლის მომცველი სტატისტიკის წარმოება. თუმცა უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ოფიციალური სტატისტიკა არ არის საკმარისი არასრულწლოვანთა დანაშაულის სრული სურათის შესაქმნელად. მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა დანაშაულის შესწავლა, რისკფაქტორების იდენტიფიცირება და დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ანალიზი სოციოლოგიური კვლევების საფუძველზე. ოფიციალური სტატისტიკის შევსება უნდა ხდებოდეს კვლევის შედეგებით. ეფექტური ადმინისტრირების უზრუნველსაყოფად სტატისტიკური მაჩვენებლების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული კრიმინოლოგიური მდგომარეობის ანალიზში. ხარისხიანი სტატისტიკის წარმოება რთული პროცესია, რომელიც საჭიროებს სათანადოდ კვალიფიციურ ადამიანურ და მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს, უწყებათაშორის კოორდინაციას, ეფექტურ მენეჯმენტსა და კომპლექსურ მიდგომას. სტატისტიკის რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ძველი სისტემის გარდაქმნისა და მისი თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. საერთაშორისო სტანდარტების დეტალური ანალიზისა და ევროპის კავშირის ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა შეიმუშავა სისხლის სამართლის სტატისტიკის კონცეფცია – სტატისტიკის წარმოების სრულიად ახალი, თანამედროვე მეთოდოლოგია. დანაშაულის სტატისტიკის სრულყოფილი და სანდო სისტემა მნიშვნელოვანი საშუალებაა ფაქტებზე დაყრდნობით ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლებრივი თვალსაზრისით შექმნილი მდგომარეობის სურათის მისაღებად, გასაანალიზებლად და

პროგნოზირებისათვის. კრიმინოგენული მდგომარეობის წინასწარი შეფასება ძლიერ მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მომავალში თავიდან იქნას აცილებული უარყოფითი შედეგები. მაჩვენებელთა წინასწარი განსაზღვრა, ანუ პროგნოზირება საშუალებას მოგვცემს დავგეგმოთ მთელი რიგი ღონისძიებები უსაფრთხოების გაუმჯობესების თვალსაზრისით. სწორედ ნაშრომში წარმოდგენილი საპროგნოზო მაჩვენებლები გახლავთ ის საფუძველი, რომლებზე დაყრდნობითაც მანდატურის სამსახურს საშუალება მიეცემა სწორად დასახოს გზები და განახორციელოს ის ღონისძიებები, რაც გააუმჯობესებს შედეგებს და შექმნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სტაბილურ და უსაფრთხო გარემოს. სტატისტიკური ანალიზისათვის გამოყენებულია პროგრამული პაკეტი SPSS. კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები გახლავთ სტატისტიკური ანალიზის ხერხები და მეთოდები, როგორცაა დაჯგუფების, აბსოლუტური, შეფარდებითი და საშუალო სიდიდეების, ვარიაციული ანალიზის. ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ასევე სტატისტიკური პროგნოზირების ძირითადი ხერხები და მეთოდები. კონკრეტულ დანაშაულებზე სტატისტიკური ინფორმაციის ცოდნა მნიშვნელოვანია, რათა წარმოდგენა გვქონდეს, თუ რომელი დანაშაულების მიმართ არის უფრო პრიორიტეტული ყურადღების გამახვილება და გამომწვევი მიზეზების კვლევა. ერთიანი სტატისტიკური ანგარიშისათვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად პირველადი აღრიცხვის დოკუმენტებს წარმოადგენს მანდატურთა მიერ შევსებული ოქმები. დანაშაულთა დინამიკის ტენდენციების სტატისტიკური ანალიზი სტატისტიკური

კვლევის ეტაპზე პირველადი მასალის დაჯგუფება და განზოგადებული მაჩვენებლების გაანგარიშება სამართლებრივი და იურიდიულად მნიშვნელოვანი მოვლენების დროში


ცვლილებების ანალიზის საშუალებას იძლევა, რაც მიიღწევა დინამიკის მწკრივების აგებითა და დამუშავებით. დინამიკურ მწკრივებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი სამეცნიერო-შემეცნებითი პოტენციალი და, ამასთან ერთად, წარმოადგენენ ზოგადად სამართალდარღვევების და კერძოდ, დამნაშავეობის დროში ცვლილების ასახვის მარტივ და თვალსაჩინო ხერხს. ნაშრომში მანდატურების საქმიანობის დროიდან დანაშაულობის სახე საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მიხედვით ასახულია ცხრილი 1-ში:

ცხრილი 1.

TBILISI						
დარღვევები	2012-2013 I სემესტრი	2012-2013 II სემესტრი	2013-2014 I სემესტრი	2013-2014 II სემესტრი	2014-2015 I სემესტრი	ჯამი
აზარტული თამაშები	20	35	65	102	105	327
აგრ ძალური ნივთები	100	160	205	133	473	1071

ალკოჰოლის მოხმარება	55	35	19	15	11	135
არაეტიკური მოქმედება	175	205	289	139	131	939
გაკვეთილებზე დაგვიანება	895	1098	11444	18257	21852	53546
სკოლაში დილით დაგვიანება	45102	56600	67405	112090	105360	386557
გაკვეთილები დან წასვლა	4054	3785	3703	4255	5077	20874
გაკვეთილებზე მობილურით სარგებლობა	115	256	564	1107	188	2230
გაკვეთილის ჩაშლა	1556	2057	2365	2828	2355	11161
სიგარეტის მოწევა	256	300	371	442	754	2123
მასწავლებლის შეურაცყოფა		5	8	36	39	88
ჩხუბი	305	453	582	653	1011	3004
ნარკოტიკების მოხმარება			0	8	0	8
ქონების დაზიანება	58	45	30	69	63	265
ცივი იარაღის გამოყენება			19	60	13	92
სხვა დარღვევები სკოლაში	1251	2003	2390	7464	6078	19186





სურათი 1


ცხრილიდანაც ჩანს და სურათი1-დანაც ნათლად იკვეთება, რომ ყველაზე მეტი დარღვევები მოდის დილით და გაკვეთილზე დაგვიანებაზე. რადგანაც დიდია სხვაობა ზოგიერთი სახის დარღვევათა რაოდენობებს შორის, ამიტომ ცხრილში დარღვევები დავყავით ორ კატეგორიად: მნიშვნელოვან ანუ დიდი რაოდენობით დარღვევები და მცირე რაოდენობით დარღვევები და დიაგრამები ავაგეთ მათთვის ცალკე. ცხრილი1-ის საფუძველზე მნიშვნელოვან ანუ დიდი რაოდენობით დარღვევებისთვის გამოვითვალეთ სტატისტიკური მახასიათებლები, რომლებიც მოცემულია

ცხრილი 2-ში.

სტატისტიკური დახასიათება								
	საშუალო მონაცემი	სტანდარტული შეცდომა	მედიანა	სტანდარტული დევიაცია	კოეფიციენტი	რანგი	მინიმუმი	მაქსიმუმი
დაგვიანება გაკვეთილზე	21239.4	8816.497	18257	19714.2857	1.3367824	52448	1098	53546
დაგვიანება სკოლაში დილით	145602.4	61171.04	105360	136782.594	2.0683477	329957	56600	386557
გაკვეთილიდან წასვლა	7538.8	3342.721	4255	7474.55244	4.8913835	2.206786	17171	20874
გაკვეთილის ჩაშლა	4153.2	1756.284	2365	3927.16987	2.2088143	9104	2057	11161


მნიშვნელოვან დარღვევებს შორის ხვედრითი წილები ნაჩვენებია სურ.2-ზე. დილით დაგვიანებაზე

მოდის მთელ დანარჩენ დარღვევებს შორის 79%, გაკვეთილზე დაგვიანებაზე - 12% და ა. შ.



picture 2

შედარებით მცირე რაოდენობის დარღვევები ნაჩვენებია სურათ3-ზე.




picture 3

საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ მახასიათებლებს შორის თანაფარდობა


კარგად ასახავს შეფარდებითი სიდიდეები. მათი გაანგარიშებისას უფრო ხშირად ორი აბსოლუტური სიდიდის შედარება ხდება, თუმცა შესაძლებელია საშუალოების, ან თვით შეფარდებითი სიდიდეების შეპირისპირებაც და ახალი შეფარდებითი სიდიდის მიღება.

დანაშაულთა პროგნოზირება განსაკუთრებულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. საქმე ის არის, რომ დანაშაულობა, როგორც სოციალური სინამდვილის ნაწილი, ხასიათდება სირთულით, დინამიურობით, კავშირების ნაირსახეობით, სხვადასხვა სახის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ურთიერთ ზემოქმედებით. ამით აიხსენება ის გარემოება, რომ დანაშაულთა პროგნოზი არ შეიძლება იყოს ისეთივე ზუსტი, როგორც პროგნოზი სხვა სფეროებში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მანდატურის სამსახურის შედეგად გამოვლენილ ფაქტებზე დაყრდნობით გაკეთებულია პროგნოზი, გამოვლენილია ყველაზე მეტად გავრცელებული დანაშაულის სახეობა მოსწავლეთა შორის. პირველი კატეგორიის დარღვევებისთვის ჩვენ გავანალიზეთ 2012-2015წლებში არსებული სტატისტიკური


მონაცემები რეგისტრირებულ დანაშაულებზე (სემესტრების მიხედვით) და ტრენდის საფუძველზე ვაჩვენებთ მათი მოსალოდნელი პროგნოზი 2015-2018წლებისათვის. მივიღეთ შემამოფოთებელი სურათი.



picture 4



picture5



picture6

როგორც ტრენდის წრფეებიდან ჩანს, ყველა ზემოთჩამოთვლილი მნიშვნელოვანი კატეგორიის დარღვევის სახე ხასიათდება ზრდადი ტემპით, რაც მდგომარეობის გამოსასწორებლად არსებულ ქმედით ღონისძიებებში აუცილებლად გასათვალისწინებელია.

## ლიტერატურა:

1. <http://ganatleba.me>. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის უფლება-მოვალეობები. 2012
2. [.Http://mandaturi.gov.ge/index.php?page=67&lang=geo.ს.ს.ო.პ.საგანმანათლებლოდაწესებულებისმანდატურისსამსახურისშინაგანაწესი](http://mandaturi.gov.ge/index.php?page=67&lang=geo.ს.ს.ო.პ.საგანმანათლებლოდაწესებულებისმანდატურისსამსახურისშინაგანაწესი).
3. Ian J.Lloyd. Information Technology Law.6<sup>th</sup> Edition. Oxford University Press. 2011

## აზიკო კონცელიძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სამართლის სკოლა სადოქტორო პროგრამის სტუდენტი

## კიბერტერორიზმი და საინფორმაციო ომი (შედარებითი ანალიზი)

### რეზიუმე

აღნიშნული კვლევის ფარგლებში მიზნად გვაქვს დასახული მიმოვიხილოთ ვირტუალურ რეალობაში არსებული ისეთი სოციალურად მნიშვნელოვანი ფენომენები როგორც არის : კიბერტერორიზმი და საინფორმაციო ომი, შევაფასოთ არსებული ბარიერები და მსგავსება განსხვავებები ამ ორ ვირტუალურ სოციალურ მოვლენას შორის.

მიზნად გვაქვს დასახული მიმოვიხილოთ წამყვან მეცნიერ მკვლევართა ნაშრომები(წიგნები, პუბლიკაციები, სტატიები და ა.შ) საკვლევით თემატიკის გარშემო. ასევე მიმოვიხილოთ პრაქტიკოსი იურისტების, ლექტორების და ექსპერტების მოსაზრებები კიბერტერორიზმის და საინფორმაციო ომის ფენომენებთან მიმართებით როგორც თეორიული კუთხით, ასევე განვიხილოთ მათ შეფასებები და დასკვნები კონკრეტულ კაზუსურ სიტუაციებთან მიმართებით.

ნაშრომის ძირითად ნაწილში მაგალითების სახით მიმოვიხილავთ რამდენიმე რეზონანსულ ფაქტს როგორც ისტორიიდან ისე თანამედროვე რეალობიდან, რაც მკითხველს საშუალებას მისცემს პრაქტიკული კუთხით ერთიანობაში მარტივად აღიქვას საკვლევით თემატიკა, დაინახოს ძირეული განსხვავებები საკვლევ ობიექტებს შორის, შეაფასოს რისკები და გააკეთოს ინდივიდუალური დასკვნები.

ნაშრომის ბოლო ნაწილში თვალსაჩინოებისათვის შემოგთავაზებთ მსგავსებებს და განსხვავებებს კვლევის ძირითად ობიექტებს - კიბერტერორიზმს და საინფორმაციო ომს შორის, რაც შემდგომში

მკითხველს საშუალებას მისცემს მარტივად გაავლოს დიფერენცირების ზღვარი ზემოაღნიშნულ ორ მნიშვნელოვან ვირტუალურ სოციალურ მოვლენას შორის.

**საძიებო სიტყვები:** კიბერტერორიზმი, საინფორმაციო ომი, კიბერომი, კიბერშეტევა, ელექტრონული ინფრასტრუქტურა, მასმედია, სამართალი, სოციალური ქსელი.

**Achiko Kintselidze**

Grigol Robakidze University

School of Law, PhD student

### **Cyberterrorism and Information Warfare (Comparative Research)**

AchikoKontselidze

#### **Summary**

Within this research our aim is to review socially important phenomena existing in virtual reality such as:

Cyberterrorism and Information warfare; evaluation of the barriers, similarities and differences between these two virtual social events.

We have aimed to overview the papers (books, publications, articles, etc.) of the leading scholars around the research topic. In addition to this, we have to review the ideas of practitioner lawyers, lecturers and experts about cyberterrorism and information warfare phenomena in theoretical point of view as well as discuss their assessments and conclusions with respect to specific casus situations.

In the main part of the paper, in the form of examples, we will review some resonance facts from the history as well as from modern reality that will allow the reader to easily perceive the research topic in practical point of view, see the fundamental differences between research objects, evaluate the risks and make individual conclusions.

In the final part of the paper, for the purpose of visibility, I will provide similarities and differences between the main research objects – Cyberterrorism and Information warfare which will allow the reader to easily draw the differentiation line between these two important virtual social events given above.

**Key words:** Cyberterrorism; Information warfare; Cyberwar; Cyber-attack; Electronic infrastructure; Media; Justice; Social network.

### **კიბერტერორიზმი და საინფორმაციო ომი (შედარებითი ანალიზი)**

#### **შესავალი**

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის საგანს წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიური ევოლუციის ეპოქაში უაღრესად აქტუალური ორი ვირტუალური კიბერმოვლენა: საინფორმაციო ომი და კიბერტერორიზმი. ორივე ზემოთაღნიშნული ფენომენი პირდაპირ უკავშირდება

საინფორმაციო ტექნოლოგიის წიაღსვლებს, მათი ჩასახვა კიბერსივრცეში მოხდა და ეტაპობრივად მათი ტრანსფორმაციაც ხდება არსებული გამოწვევების პირობებში.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ როგორც კიბერტერორიზმის ისე საინფორმაციო ომის რამდენიმე ნაწილობრივ განსხვავებული ცნება არსებობს როგორც პრაქტიკაში, ისე მეცნიერულ დონეზე ჩატარებულ კვლევებში. ზოგიერთ ნაშრომში საწყის დონეზე აღნიშნული ფენომენები ერთმანეთთანაც კი არის გაიგივებული, შესაბამისად გვსურს მიმოვიხილოთ ის ძირითადი წყაროები, მეცნიერ მკვლევართა მოსაზრებები და კონკრეტული ქვეყნების დონეზე მიღებული მარეგულირებელი შინაარსის მატარებელი აქტები, რომელთა საფუძველზეც მივიღეთ კიბერტერორიზმის და საინფორმაციო ომის თანამედროვე ცნებები. ავტორის ერთ-ერთ უმთავრეს თვითმიზანს წარმოადგენს მკითხველისთვის თვალსაჩინო გახადოს ორივე ზემოთაღნიშნული ფენომენის ტრანსფორმაციის პროცესი ჩასახვის მომენტიდან დღევანდელ რეალობამდე.

პროფესორები ჯანზევსკი(Lech J. Janczewski) და კოლარიკი(Andrew M. Colarik) ნაშრომში "სახელმძღვანელო მასალა კიბერტერორიზმის და საინფორმაციო ომის კვლევისათვის" აღნიშნავენ, რომ კიბერტერორიზმის ცნება ჩაისახა 1996 წელს კიბერსივრცის და ტერორიზმის ცნების ურთიერთშერწყმის საფუძველზე. კიბერტერორის ცნება მალევე აიტაცა აშშ-ს სამხედრო ძალებმა, რამაც მისი სამომავლო პოპულარობა განაპირობა კიდევ. 1998 წელს სტრატეგიული საერთაშორისო კვლევების ცენტრის მიერ შექმნილ კვლევით მოხსენებაში "კიბერდანაშაული, კიბერტერორიზმი, კიბერომი, ელექტრონული შეტევის თავიდან აცილება", კიბერტერორიზმი განმარტებულია როგორც: წინასწარგანზრახული, პოლიტიკურად მოტივირებული შეტევა, ჩადენილი სუბნაციონალური ჯგუფების, საიდუმლო აგენტების ან ინდივიდუალური სუბიექტების მიერ - ინფორმაციაზე, კომპიუტერულ სისტემაზე და პროგრამაზე, რამაც გამოიწვია თავდასხმა არამებრძოლ სუბიექტებზე[10,43]. ნაშრომში პროფესორები პარალელს ავლებენ კიბერტერორიზმს და მის ძველად ცნობილ ცნებას შორის, რომელსაც საინფორმაციო ომის სახელით მოიხსენიებენ. თავის მხრივ საინფორმაციო ომს განმარტავენ, როგორც: სახელმწიფოს ან მათი აგენტების მიერ განხორციელებულ შეტევას ინფორმაციაზე და კომპიუტერულ სისტემებზე, კომპიუტერულ პროგრამებზე - რაც ზიანის მომტანია მტრისთვის. პროფესორების გადმოსახედიდან მთავარი განსხვავება ამ ორ ცნებას შორის არის ის, რომ კიბერტერორიზმი მიზნად ისახავს შიშის დანერგვას და ზიანის მიყენებას ნებისმიერი პოტენციური სუბიექტისადმი(დაუკონკრეტებელი მიზნებიდან გამომდინარე), ხოლო საინფორმაციო ომი გამოიყენება ომის მიზნებიდან გამომდინარე(იდეოლოგიური ან რეალური). პროფესორები ხაზს უსვამენ ასევე იმ ფაქტს, რომ ეს ორივე ფენომენი ერთიანდება კიბერდანაშაულის სამართლებრივი ცნების ქვეშ - რომელშიც მოიაზრება ყველა დანაშაული, რაც ჩადენილია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. (გვსურს შევნიშნოთ, რომ დღევანდელ რეალობაში ჯანზევსკის და კოლარიკის განმარტებები საინფორმაციო ომთან მიმართებით მოძველებულია, რადგან თანამედროვე საინფორმაციო ომმა შინაარსობრივად მოქმედებების გაცლებით დიდი სპექტრი მოიცვა.)

ჯანზევსკი და კოლარიკი ნაშრომში არაერთჯერ აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ კიბერტერორიზმი და საინფორმაციო ომი ხშირად ძალიან ჰგავს ერთმანეთს, რისი ილუსტრაციისთვისაც მოჰყავთ შემდეგი მაგალითი: "ინდივიდუალურმა სუბიექტმა მოახერხა წვდომა საავადმყოფოს სამედიცინო ბაზაზე და ერთ-ერთი ალერგიული ეფექტის მქონე წამლის შეფუთვიდან ელექტრონულად გააქრო აღნიშვნა ალერგიული ეფექტის შესახებ, რასაც მოჰყვა პაციენტის სიკვდილი"[10,44] ავტორები სვამენ შემდეგი შინაარსის შეკითხვას: რომელი ცნება მიესადაგება არსებულ კაზუსურ სიტუაციას? ავტორებს მოყვანილი ჰყავთ ოთხი საპასუხო ვარიანტი:

- თუ დამნაშავემ იცოდა პოტენციური მსხვერპლის შესახებ და ცუდი ურთიერთობა ჰქონდა მასთან, მაშინ სახეზე გვაქვს მკვლელობა;
- თუ ექსპერტიზა დაადგენს რომ დამნაშავე მზად იყო ჩაედინა ანალოგიური შინაარსის განუსაზღვრელი ოდენობის აქტი მაშინ სახეზე გვექნება კიბერტერორიზმი;
- თუ დადგინდება, რომ დანაშაული ჩაიდინა უცხოური ძალების აგენტმა, მაშინ სახეზეა საინფორმაციო ომი;
- ხოლო თუ დადგინდა, რომ არასრულწლოვანმა თინეიჯერმა განახორციელა აღნიშნული ქმედება, მას დიდი ალბათობით კიბერ-ტერორისტობას ვერ შევრაცხავთ.

ავტორები ბოლოს შენიშნავენ, რომ ასეთ დროს მოტივზე უფრო მნიშვნელოვანია სუბიექტი მარტო მოქმედებდა თუ სხვასთან ერთად, ან რამდენად რეზონანსული იყო მომხდარი ფაქტი.

მასალები და კვლევის მეთოდოლოგიური აპარატი

აღნიშნული სტატიის წერის პროცესში მოკვლევულ იქნა მსოფლიოს წამყვანი მეცნიერ მკვლევარების ნაშრომები (წიგნები, სტატიები, პუბლიკაციები, ბროშურები) კიბერტერორიზმის და საინფორმაციო ომის ფენომენტთან მიმართებით, მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი პროფესორების ნაშრომები: დოროთი დენინგი, ფედერალური ბიუროს აგენტი მარკ პოლიტი, მაურა კონვეი, ჯანზევსკი და კოლარიკი, ვეიმანი, თომას რონა, გერნაუოტი, ფოგლემანი და ვინდალი, ბრაუნი და ა.შ.

ასევე სამთავრობო დონეზე მიღებული აქტები და ყოველწლიური მოხსენება ანგარიშები საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებით, სადისერტაციო ნაშრომები, მრავალრიცხოვანი ინტერნეტ წყაროები.

რაც შეეხება კვლევი მეთოდოლოგიურ აპარატს, სტატიაზე მუშაობის პროცესში გამოყენებული იქნა კვლევის შემდეგი მეთოდები: ანალიზი, სინთეზი, შედარება, ახსნა განმარტების მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, განზოგადება, კონკრეტიზაცია.

### ძირითადი ნაწილი

ჩატარებული კვლევის ფარგლებში მიზნად გვაქვს დასახული მიმოვიხილოთ კონფლიქტის თანმდევი მიმდინარე პროცესები ვირტუალურ სივრცეში. საინტერესოა მოხდეს კიბერტერორიზმის შინაარსის მატარებელი ფაქტების გამიჯვნა საინფორმაციო ომის ელემენტების შემცველი ფაქტებისაგან. მართალია, კიბერტერორიზმის ოფიციალური სამართლებრივად გაწერილი დეფინიცია არ არსებობს საერთაშორისო დონეზე, მაგრამ პრაქტიკაში გამოვლენილი კონკრეტული ფაქტები, თავისი შინაარსის და საფუძვლების გათვალისწინებით იძლევა ამ ორი ვირტუალური სოციალური მოვლენის ერთმანეთისგან ურთიერთგამიჯვნის საშუალებას.

საინტერესოა თუ სად გადის ზღვარი საინფორმაციო ომსა და კიბერტერორიზმს შორის?

სანამ საკითხის ძირულ განხილვაზე გადავალთ, უპრიანია მოკლედ მიმოვიხილოთ კიბერტერორიზმის და საინფორმაციო ომის პრაქტიკაში გავრცელებული ცნებები:

გამოთქმა "საინფორმაციო ომი" პირველად გამოიყენა ამერიკელმა თომას რონამ 1976 წელს [20]. ის ამ ტერმინში გულისხმობდა "საკუთარი საინფორმაციო სისტემის დაცვას და მოწინააღმდეგე მხარისადმი კომპლექსურ, მიზანმიმართულ და დამანგრეველ ინფორმაციულ ზეგავლენას" [1].

პროფესორი რონა ხვდებოდა, რომ მალე საინფორმაციო ტექნოლოგიები გახდებოდა ამერიკის ეკონომიკის წარმატების გასაღები. ის ასევე აცნობიერებდა იმ ფაქტს, რომ ეს გაზრდიდა ამერიკის ელექტრონულ ინფრასტრუქტურაზე შეტევის რისკებს. 1980 წლამდე პროფესორ რონაის იდეა დისკუსიის საგანი გახდა შტატების საჰაერო ძალების წარმომადგენლებისათვის (USAF), საბოლოოდ ისინი მივიდნენ დასკვნამდე რომ "ინფორმაცია" შესაძლოა ყოფილიყო როგორც სამიზნე, ისე იარაღი[13].

1996 წლის თებერვალში, რამდენიმეწლიანი კვლევების საფუძველზე ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტმა(DOD) გამოაქვეყნა დოქტრინა ომის წარმართვის და კონტროლის შესახებ(3-13.1), ეს იყო პირველი ოფიციალური დოქტრინა საინფორმაციო ომთან დაკავშირებით. აღნიშნული დოქტრინა საინფორმაციო ომს განმარტავდა როგორც:

"ოპერაციული უსაფრთხოების, სამხედრო ხრიკების, ფსიქოლოგიური აქტების, ელექტრონული ომის და მოწინააღმდეგის ფსიქიკური განადგურების მცდელობებს. რომელთა მიზანს წარმოადგენს ორმაგი დაზვერვის განხორციელება, ინფორმაციის უარყოფა, დეგრადაცია, მოწინააღმდეგის შეტევის და კონტროლის პოტენციალის ნეიტრალიზება. ამავდროულად მეგობრული კავშირების დაცვა და წინააღმდეგობრივი აქტების კონტროლი[11].

1998 წლის ოქტომბერში თავდაცვის დეპარტამენტმა გამოსცა ახალი აქტი სახელწოდებით "ერთიანი დოქტრინა საინფორმაციო ოპერაციების შესახებ"(რომლის პირველადი ვერსიის სახელი იყო "ერთიანი დოქტრინა საინფორმაციო ომის შესახებ")

მეცნიერებაში საინფორმაციო ომი შინაარსობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით ორ კომპონენტად არის გაყოფილი: პირველ შემთხვევაში თვით ინფორმაცია გამოიყენება როგორც დანაშაულის ჩადენის იარაღი, რაც შეეხება მეორე შემთხვევას - ამ ეტაპზე ინფორმაცია არის სამიზნე(დამნაშავე სუბიექტის გადმოსახედიდან)[9,162].

2005 წელს დაცულ სადისერტაციო ნაშრომში: "გლობალური პასუხი კიბერტერორიზმს და კიბერდანაშაულს" - ჩრდილოეთ ტეხასის უნივერსიტეტის დოქტორანტი სულიემან ოზერენი მნიშვნელოვან დასკვნებს აკეთებს საინფორმაციო ომის, ზოგადად კიბერდანაშაულის და კონკრეტულად კიბერტერორიზმის ფენომენების შეფასების კუთხით.

როგორც ბატონი ოზერენი აღნიშნავს: საინფორმაციო ომის ორგვარი განმარტება არსებობს, ერთის მიხედვით: "საინფორმაციო ომი არის ინფორმაციული ოპერაციების ერთობლიობა - ჩადენილი კრიზისის ან კონფლიქტის პერიოდში, რომლის მიზანია კონტროლის დაწესება ან უპირატესობის მოპოვება მოწინააღმდეგეზე ან მოწინააღმდეგეებზე[18,3] (ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტი 1999), ავტორის მოსაზრებით აღნიშნული დეფინიცია ფოკუსირებულია საინფორმაციო ომის სამხედრო მხარეზე. ალტერნატიული განმარტების თანახმად საინფორმაციო ომში მოიაზრება: "ნებისმიერი ქმედება ჩადენილი მოწინააღმდეგის ინფორმაციის უარსაყოფად, მისათვისებლად, მის გასანადგურებლად, საკუთარი თავის დასაცავად ანალოგიური შინაარსის საპირისპირო ქმედებებისაგან, ასევე სხვისი ინფორმაციის საკუთარი სამხედრო მიზნებით გამოყენება."[7,3]

პროფესორ პატრიკ გალეის ნაშრომში საინფორმაციო ომი განმარტებული აქვს, როგორც "შეტევითი ქმედებები, ჩადენილი სხვის ინფორმაციაზე და მასზე დაფუძნებულ პროცესებზე



საინფორმაციო უპირატესობის მისაღწევად, ამავდროულად საკუთარი ინფორმაციის და მასზე დამყარებული პროცესების, ასევე საინფორმაციო სისტემების დაცვა"[8].

პროფესორი ნიცბერგი ნაშრომში კონფლიქტი და კომპიუტერი(2002 წელი) კომპიუტერული ტექნოლოგიების გადმოსახედიდან საინფორმაციო ომს განმარტავს, როგორც "კომპიუტერის და ზეგანვითარებული ტექნოლოგიების ბოროტად გამოყენებას საიმისოდ, რომ ძირი გამოუთხაროს მოწინააღმდეგის კომპიუტერულ რესურსებს".[15]

კონგრესის კვლევითი ცენტრის მიერ 2004 წლის 19 ივლისს კონგრესისათვის წარდგენილ მოხსენებით ანგარიშში, რომლის ავტორიც გახლავთ კლეი ვილსონი(Clay Wilson), საინფორმაციო ომი განმარტებულია როგორც: "ინფორმაცია თანამედროვე ეპოქაში წარმოადგენს სამეფოს, იარაღს და შეტევის ობიექტს ერთდროულად(თავდაცვის დეპარტამენტი)[25,5], ინფორმაციაზე შეტევაში(თავდასხმა) მოიაზრება: ინფორმაციის კოპირების არასანქცირებული მცდელობა, ასევე ინფორმაციაში და ინსტრუქციებში უკანონოდ ცვლილებების შეტანა. საინფორმაციო ომი მოიცავს არა მხოლოდ შეტევას კომპიუტერზე და კომპიუტერულ ქსელზე, არამედ შეტევას ნებისმიერ ინფორმაციაზე(მისი ფორმის მიუხედავად). ის ვრცელდება მედიის მეშვეობით, მოიცავს ოპერაციებს ინფორმაციის შიგთავსის წინააღმდეგ, შეტევა ხშირად ხორციელდება არა მარტო დაცვის სისტემებზე და პროგრამებზე, არამედ ასევე უშუალოდ(ფიზიკურად) მოწყობილობებზე -რომლებშიც ინახება ფასეული ინფორმაცია. მასში ასევე მოიაზრება შეტევა ადამიანების ცნობიერებაზე.[5,9-19]

პროფესორი უინ შვარტუა წიგნში "ქაოსი ელექტრონულ ავტომაგისტრალზე: საინფორმაციო ომი" - საინფორმაციო ომის კონცეფციაში აერთიანებს შემდეგ ფაქტორებს: პოლიტიკას, ეკონომიკას, ძალას, შიშს და თვითგადარჩენას. ის განმარტავს: "საინფორმაციო ომში, საინფორმაციო ხანის შეიარაღება(იგულისხმება ტექნოლოგიები ავტ.) ჩაანაცვლებს ტყვიას და ბომბს," რომლის გამოყენებაც არ იქნება აკრძალული არც სახელწიფოებისთვის და არც გარე სუპერძალებისათვის.[21,16]

ჩატარებული კვლევების ფარგლებში პროფესორი შვარტუა ახდენს საინფორმაციო ომის კლასიფიკაციას III კატეგორიად:

- 1) პერსონალური საინფორმაციო ომი - რაშიც მოიაზრება შეტევა ინდივიდუალურ წარმოებებზე, შეტევა პერსონალურ კომპიუტერებზე, ან კონკრეტული ინდივიდების კუთვნილი პერსონალური ინფორმაციის გამოყენება;
- 2) კორპორაციულ საინფორმაციო ომში ავტორი მოიაზრებს კომერციულ ორგანიზაციებს შორის კონკურენციის პროცესში წარმოშობილი შუღლის საფუძველზე განხორციელებულ შეტევებს, ინდუსტრიულ შპიონაჟს, დეზინფორმაციებს რეიტინგზე შეტევის მიზნით და ა.შ;
- 3) გლობალურ საინფორმაციო ომში - მოიაზრება შეტევები გლობალურ ინდუსტრიულ ზონებზე. როგორც ავტორი აღნიშნავს ამ ტიპის აქტები განხორციელებული იქნება ინტერნეტის მასშტაბით ყველაზე ელიტური სუბიექტების მიერ სხვადასხვა კომპიუტერული ქსელების და სისტემების წინააღმდეგ.[18,4-5]

დორითი დენინგი 1999 წელს გამოცემულ წიგნში "საინფორმაციო ომი და უსაფრთხოება" განმარტავს: "საინფორმაციო ომი შედგება ისეთი ქმედებებისგან, როგორც არის ინფორმაციის დაცვა, გამოყენება, მითვისება, უარყოფა, ინფორმაციის და რესურსების განადგურება - რომელთა თვითმიზანს წარმოადგენს მნიშვნელოვანი უპირატესობის მოპოვება ან გამარჯვება მოწინააღმდეგესთან კონფრონტაციის პროცესში." [5,10] პროფესორი დენინგი საინფორმაციო ომის ორ კატეგორიას გამოჰყოფს: შეტევითს და თავდაცვითს. შეტევითი საინფორმაციო ომის მიზანს წარმოადგენს შეცვალოს ინფორმაცია, ან არ დაუშვას მისი მიზნობრივი გამოყენება. ხოლო თავდაცვითი საინფორმაციო ომის მიზანს წარმოადგენს ინფორმაციის დაცვა შეტევებისგან. შინაარსობრივად დაცვითი საინფორმაციო ომი მჭიდროდ არის დაკავშირებული საინფორმაციო უსაფრთხოებასთან. [5,12]

როგორც შენონ ლოვსონი ნაშრომში: "საინფორმაციო ომი: ამერიკის კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე კიბერტერორისტული შეტევების საფრთხეების ანალიზი" განმარტავს - "საინფორმაციო ომი შესაძლოა ჩადენილ იქნას ნებისმიერი სახის ინფორმაციის წინააღმდეგ, რომელიც ღირებულების მატარებელია ერთი ან მეორე მხარისათვის. საინფორმაციო ომში შესაძლოა სრულად იქნეს ჩართული მედია(თავისი ამომწურავი შესაძლებლობებით). [12,2]

როგორც პროფესორი დუნიგანი ნაშრომში "შემდეგი ომის ზონა" აღნიშნავს: "საინფორმაციო ომი მიეკუთვნება 90-იანი წლების სპეციფიკურ ტერმინს სამხედროების და ხელისუფლებების საქმიანობაში. როგორც ავტორი შენიშნავს ის ერთგვარი მარკეტინგული გათვლაა. პროფესორ დუნიგანის მოსაზრებით საინფორმაციო ომში მოიაზრება ისევ იმის კეთება რასაც ყოველდღიურად ვაკეთებთ, მაგრამ დროში უფრო შემოკლებულ ვადებში(ტექნოლოგიების და ქსელის დახმარებით). საინფორმაციო ომი არაფერს ახალს არ წამოადგენს, მისი იდეა ასეულობით წლის წინ ჩაისახა, უბრალოდ ამ ყველაფერს ხორცი შეესხა თანამედროვე ეპოქაში [6,147]. იმის გათვალისწინებით, რომ საინფორმაციო ომი ერთგვარად წარმოადგენს ძველი გამოცდილების ხარჯზე შემუშავებულ რეცეპტს, რომლის დამზადებაც ახალ ბოთლში(ეპოქაში ავტ.) მოხდა, ის უმაღლესე იქცა შემადრწუნებელი თანამედროვე კიბერომის ნათელ სახედ. პრაქტიკაში ხშირად კიბერომი და საინფორმაციო ომი ერთმანეთშია აღრეული(გამომდინარე იქედან რომ ამ ორ ფენომენს ბევრი საერთო მახასიათებელი გააჩნია), მაგრამ მასშტაბების გათვალისწინებით შინაარსობრივად კიბერომი საკუთარ თავში მოიცავს საინფორმაციო ომსაც.

რაც შეეხება კიბერტერორიზმს - კიბერ ტერორიზმი არის კომპიუტერზე, ქსელზე და მათში არსებულ ინფორმაციაზე შეტევის ან შეტევის განხორციელების მუქარა, სახელმწიფოს ან მისი ხალხის პოლიტიკურად, სოციალურად, რელიგიურად ან იდეოლოგიურად დაშინების მიზნით [3,7].

როგორც წინამორბედი საინფორმაციო ომის შემთხვევაში, კიბერტერორიზმის მრავალგვარი განმარტება გხვდება პრაქტიკაში, მიმოვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

სულეიმან ოზე რენის მოსაზრებით, კიბერტერორიზმი შესაძლოა უბრალოდ განიმარტოს როგორც: კიბერსივრცეში კომპიუტერული რესურსების გამოყენებით შეტევა სუბიექტებზე, პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე [18,7].

როგორც ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორი დოროთი დენინგი 2000 წლის 23 მაისს კიბერტერორიზმთან დაკავშირებით გაკეთებულ სპეციალურ მოხსენებაში განმარტავს "კიბერტერორიზმი წარმოადგენს კიბერსივრცის და ტერორიზმის ნაზავს. ზოგადი გაგებით მასში მოიაზრება უკანონო შეტევა ან შეტევის საფრთხის შექმნა სხვის კომპიუტერზე, ქსელზე და მათში შენახულ ინფორმაციაზე - ხალხის შეშინების ან მთავრობების ლეგიტიმურ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით. პოლიტიკური ან სოციალური თვითმიზნებიდან გამომდინარე[4].

როგორც გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტი მარკ პოლიტი 1997 წელს გამოსვლაში აღნიშნავს: კიბერტერორიზმი არის წინასწარგანზრახული, პოლიტიკურად მოტივირებული შეტევა ინფორმაციაზე, კომპიუტერულ სისტემებზე, პროგრამებზე და მათში შენახულ ინფორმაციაზე - რაც იწვევს არამებრძოლი სუბიექტების უფლებების შელახვას, ჩადენილი სუბნაციონალური ან ფარული აგენტების მიერ."[19]

ამერიკის ნაციონალური ინფრასტრუქტურის თავდაცვითი ცენტრის დირექტორის რონალდ დიქის მოხსენებაში კიბერტერორიზმი განმარტებულია როგორც: "კომპიუტერის მეშვეობით ჩადენილი კრიმინალური აქტები რომელთა მიზანია შეჭრა, მკვლელობა ან/და მასიური ნგრევა(დესტრუქცია) და ტერორის შექმნა სოციალურ საიმისოდ, რომ აიძულო ხელისუფლება შეცალოს მიღებული გადაწყვეტილებები[2].

ზემოხსენებული კონცეფციების კრებულის სახით ვილსონს კიბერტერორიზმი განმარტებული აქვს როგორც: კომპიუტერის გამოყენება პოლიტიკური მოტივებით როგორც იარაღის ან როგორც სამიზნის, სუბნაციონალური ან ფარული აგენტების მიერ - ძალადობის, სოციალურ ზემოქმედების ან ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით[24].

სადისერტაციო ნაშრომში სულეიმან ოზრემს მიმოხილული აქვს კიბერტერორიზმის ვარიაციული ტიპოლოგიები[18,8]. სხვადასხვა მეცნიერების მოსაზრებებში მნიშვნელოვანი სხვაობაა კიბერტერორიზმის ფენომენის კლასიფიცირების კუთხით. ბარი კოლინის მოსაზრებით(1999) სამი სახის კიბერტერორისტული აქტი არსებობს: დესტრუქცია(განადგურება), შეცვლა(გადაკეთება) და დაუფლება/განმეორებით გადაცემა. პროფესორი გრაბოსკი(1998) ასევე სამი სახის კიბერტერორიზმის აქტს გამოყოფს: ფაილების განადგურება, უკანონო წვდომა ინფორმაციაზე და მათი კოდირება (დაშიფვრა) და სისტემის გადატვირთვა (ამის ხარჯზე მისი მუშაობის შეფერხება).[17,73]

ზანინის და ედვარდსის მიერ წარმოებული კლასიფიკაციის მიხედვით სამი სახის შეტევითი აქტი არსებობს: პირველ შემთხვევაში ტერორისტები იყენებენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს (მაგალითად ინტერნეტს - პროპაგანდის მიზნით). მეორე შემთხვევაში ინტერნეტის და კომპიუტერის ქსელის გამოყენებით ტერორისტები ახორციელებენ დამანგრეველ შეტევას[26,41]. მესამე შემთხვევაში სახეზე გვაქვს დესტრუქციული შეტევა, რომლის თვითმიზანს წარმოადგენს აქტიური დამანგრეველი შეტევა როგორც ვირტუალურ, ისე ფიზიკურ სისტემებზე(მაგალითად: ენერჯიაზე, წყალზე, მიწოდების კონტროლის სისტემებზე და ა.შ)[26,45].

კიბერტერორიზმის და საინფორმაციო ომის ფენომენების ურთიერთგამიჯვნის თვალსაჩინოებისათვის საინტერესო მოსაზრებას ავითარებენ პროფესორები: ტეილორი, კაეტი, ლოპერი, ფრიჩი ფა ლიედერბახი. რომლის თანახმადაც კიბერტერორიზმი შესაძლოა გახდეს საინფორმაციო ომის ნაწილი, სხვა სიტყვებით რომ ითქვას საინფორმაციო ომი მოიცავს კიბერტერორიზმის ფენომენს[23,20].

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ორივე შემთხვევაში: კიბერტერორიზმიც და საინფორმაციო ომიც, დანაშაულის ჩადენის იარაღად საინფორმაციო ტექნოლოგიების წიაღსვლებს იყენებს. უფრო მეტიც - შეიძლება იმის თქმაც, რომ ორივე შემთხვევაში შესაძლოა საერთო მიზნები გვექონდეს სახეზე, მაგრამ მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი დანაშაულის ჩადენის მასშტაბებშია. კიბერტერორიზმის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია აქტიური ტერორის გამოყენება დასახული მიზნების მისაღწევად. როგორც წესი კიბერტერორიზმის დროს ჩანს წყარო და მიზნები, საინფორმაციო ომის დროს კი სუბიექტი ეფექტურად ცდილობს საკუთარი თავის შენიღბვას. გასათვალისწინებელია მეორე ფაქტორიც - საინფორმაციო ომს აქვს განვრცობადობის უფრო ფართო არეალი ვიდრე კიბერტერორიზმს. შესაძლებელია იმის დანამდვილებით თქმა, რომ მნიშვნელოვანწილად თანამედროვე ეპოქაში შეირაღებული კონფლიქტები უკვე ჩაანაცვლა საინფორმაციო ომმა. ხშირ შემთხვევაში სწორად მიმართულ პროპაგანდას საზოგადოებაზე გაცილებით მძიმე და დამანგრეველი ეფექტის მოხდენა შეუძლია ვიდრე ტერორისტის ხელში იარაღს. შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში შეიარაღებულ კონფლიქტებს განვითარების მთელ ეტაპზე სრულად გასდევს აქტიური საინფორმაციო ომის ელემენტები.

დღევანდელ მსოფლიოში, სადაც დღითიდღე უფრო მეტად იღვიძებს მივიწყებული კონფლიქტები, საქართველოს კატეგორიის ქვეყნებში - სადაც არსებობს პოტენციური აგრესიის მუდმივი საფრთხე მეზობლებისგან, აუცილებლობას წარმოადგენს წინასწარი მომზადება მომავალი საინფორმაციო ომისთვის. ასეთი ტიპის მოუმზადებლობამ სამწუხაროდ მძიმე შედეგები მოიტანა ჩვენი ქვეყნისათვის 2008 წელში, არც 2013 წელს განვითარებული უკრაინის სცენარი ყოფილა დიდად განსხვავებული ჩვენი შემთხვევისგან. 2008 წელს საქართველოსთან კონფლიქტამდე 1 წლით ადრე დაიწყო რუსეთმა საინფორმაციო ომისთვის აქტიური მზადება, ადგილი ჰქონდა პრორუსული იდეოლოგიის პროპაგანდას, გადაღებულ იქნა ფილმი აფხაზეთზე - "Абхазия. Взгляд из Европы" (რომლის გაცნობაც საზოგადოების ფართო მასებისათვის ინტერნეტის მეშვეობით განხორციელდა), ფილმის სცენარის ავტორი და მთავარი გმირი არის ინგლისელი კავკასიოლოგი ჯორჯ ჰიუიტი. ფილმში საუბარი იყო იმაზე, რომ აფხაზეთმა უკვე გაიარა მნიშვნელოვანი ეტაპები განვითარების პროცესში და დროა მან დაიწყო არსებობა როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ[1]. აღნიშნულ პროპაგანდულ მასალაში სახეზე გვექონდა საქართველოს ისტორიის აშკარად გაყალბებული ფაქტები, მაგრამ სწორედ საინფორმაციო ომისთვის სათანადოდ მოუმზადებლობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ არავის გაუმახვილებია ყურადღება არსებული მოწოდების შინაარსობრივ სიყალბეზე.

უკრაინის შემთხვევაში საინფორმაციო ომს ჯერ კიდევ კონფლიქტის აქტუალურ ფაზაში შესვლამდე ჰქონდა ადგილი. რუსეთი მოხერხებულად იყენებს მედიას და ინტერნეტს(ბლოგერებს) თვითმიზნების რეალიზაციისათვის, ინტერნეტის მომხმარებელთა დიდი ნაწილი ახალგაზრდობაა - საზოგადოების ნაწილი რომელსაც ყველაზე მეტად "სტკივა"

ეკონომიკური პრობლემები და ყველაზე ადვილად რეაგირებენ სტრესულ ფაქტორებზე. ანუ იდეაში ბლოგური ტიპის საინფორმაციო ომის გათვლაა საზოგადოების ყველაზე ადვილად მართვადი ნაწილის - ახალგაზრდობის კონფლიქტში ჩათრევა. შინაარსობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით ვირტუალური სივრცე იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ რამდენიმე ადამიანის შეთანხმებული მოქმედებით, უმტკივნეულო დისკუსია რეკლამის დონეზე შეიფუთოს როგორც კონფლიქტი, რომლის თავდაპირველი ინიციატორების გამოვლენა განვითარების შემდგომ ეტაპზე შესაძლოა შეუძლებელიც კი აღმოჩნდეს. ასეთი ტიპის პროვოკაციებს მრავლად ჰქონდა ადგილი რუსეთ - უკრაინის კონფლიქტის დაწყებამდე და საინფორმაციო ომი გასდევდა აღნიშნულ კონფლიქტს განვითარების თითოეულ ეტაპზე.

დიდ სიახლეს აღარ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ეტაპობრივად შეიარაღებული კონფლიქტები ვირტუალურ რეალობაში გადაინაცვლებს, თუ არსებულ ეპოქაში სამხედრო ინფრასტრუქტურა იყო შეტევის პირველადი ობიექტი, მომავლის კონფლიქტებში ელექტრონული ინფრასტრუქტურა შეითავსებს უპირატესი სამიზნის როლს. ტექნოლოგიურმა რევოლუციამ ბევრი ქვეყანა დააფიქრა ღირებულებების პრიორიტეტულობის ცვალებადობაზე. თანამედროვე მსოფლიოში, მას შემდეგ რაც დღითიდღე მზარდი დოზით თავს იჩენს მოძიებული კონფლიქტები, ქვეყნების ხელისუფალთა უმრავლესობა სერიოზულად დაფიქრდა ინფორმაციის მოძრაობის პროცესის გაკონტროლების აუცილებლობაზე, საფუძვლების დონეზე ეს განპირობებულია იმით, რომ 21 საუკუნეში სწორედ ინფორმაცია არის ფასეულობაც, იარაღიც და თავდაცვის საშუალებაც. უკვე წლებია გარკვეული ქვეყნების ჯგუფი ინტენსიურად მუშაობს საინფორმაციო ომის წარმოების ტაქტიკის შემუშავება დახვეწაზე. აღნიშნულ სფეროში პიონერის როლი შეერთებული შტატების არმიამ იკისრა. ამერიკის არმიის მიერ წარმოებული საინფორმაციო ომის ნათელ მაგალითს წარმოადგენს სპარსეთის ყურეში მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტებში ერაყის საკომუნიკაციო ქსელების წინააღმდეგ წარმოებული კამპანია[14] რომლის უპირველეს თვითმიზანს წარმოადგენდა ერაყის ბანკებზე შეტევა და ამის ხარჯზე სადამ ჰუსეინისათვის ფინანსური ზიანის მიყენება. თავდაპირველად ეს ნაბიჯი ამერიკელი ექსპერტების და კიბერსპეციალისტების მიერ შეფასებული იქნა როგორც არამართებული - რადგან არსებობდა დიდი რისკი, რომ მშვიდობიან მოსახლეობასაც მიაღებოდა მნიშვნელოვანი ზიანი. როგორც ნაციონალური კვლევითი ცენტრის მეცნიერი ჰერბერტ ლინი თავდასხმით კიბერომთან დაკავშირებით მოხსენებაში აღნიშნავს - "როცა არ იცი იმ კომპიუტერის დანიშნულება რომელსაც უტევ, ესე იგი რაღაც უკანონობას სჩადიხარ".[16]

როგორც ჰარვარდის სამართლის სკოლის პროფესორი ჯეკ გოლდსმიტი აცხადებს: "კიბერომი ძალიან პრობლემატური ცნებაა ომის სამართლის გადმოსახედიდან, გაეროს წესდება ზოგადად ამბობს, რომ ერთ ქვეყანას არ შეუძლია ძალის გამოყენება მეორე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობით ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიმართ, მაგრამ რა ტიპის კიბერშეტევა შეიძლება ჩაითვალოს ძალის გამოყენებად რთული სათქმელია, რადგან ძალა როგორც ასეთი არ არის სუფთად განმარტებული"[14].

მიუხედავად საკითხის გარშემო აზრთა სხვადასხვაობისა, 2003 წელს ერაყში სამხედრო ინტერვენციის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე შტატების კიბერძაღვებმა შეტევა განახორციელეს ერაყის საკომუნიკაციო ქსელზე, რასაც მოჰყვა ფიზიკური შეტევა საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაზეც[22]. შტატები ასევე პარალელურ რეჟიმში თანამშრომლობდა სხვა ქვეყნებთანაც და მათი დახმარებითაც ახდენდა ერაყის საკომუნიკაციო ქსელების ბლოკირებას. როგორც ამჟამად ცნობილია შტატების შეტევებს შედეგად მოჰყვა საკომუნიკაციო ქსელების მნიშვნელოვანი შეფერხება როგორც ერაყის ტერიტორიაზე, ისე მეზობელ ქვეყნებშიც. ჩატარებული ოპერაციების შედეგად მცირე ზიანი მიიღო ასევე ბუშის ადმინისტრაციამაც. ერთ

ერთი ამერიკელი სამხედრო საკითხების მკვლევარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად ანალოგიურ აქტს ამერიკის მხრიდან ადგილი ჰქონდა 1990 წელშიც სერბიის ტელეკომუნიკაციის ქსელის მიმართ განხორციელებული შეტევის დროს, რასაც შედეგობრივად მოჰყვა ინტელსატის სატელიტური საკომუნიკაციო სისტემების ბლოკირება და ნეიტრალიზაცია რამდენიმე დღის მანძილზე[14].

შტატებს თავის მხრივ არც რუსეთი ჩამორჩა, სადაც უკვე კარგა ხანია რაც ჩამოყალიბდა ინიციატივა იმის თაობაზე, რომ მოხდეს სპეციალური მიმართულების ფორმირება როგორც სკოლების ისე უმაღლესი სასწავლებლების ბაზაზე იმისათვის, რომ მომზადდეს კვალიფიციური კადრები საინფორმაციო ომის საწარმოებლად. ასეთი კადრების მომზადება გათვლილი იქნება როგორც შეტევითი ისე თავდაცვითი ომის წარმოებაზე.

არსებული რისკების პირობებში, აბსოლუტური საფუძველი გვაქვს ვარაუდისათვის რომ აღნიშნულ თემატიკას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს როგორც საქართველოში ისე ჩვენს მეზობელ უკრაინაში(რეგიონში არსებული რთული გეოპოლიტიკური ფონის გათვალისწინებით). პირველ რიგში აუცილებელია მეტი მუშაობა საზოგადოების სწორად ინფორმირებაზე, მნიშვნელოვანია მედიის როლის გაკონტროლება. დღეს მედია ისე როგორც არასდროს პირისპირ დგას მზარდი გამოწვევების წინაშე, მართალია მათ არსებულ რეალობაში ხშირად ინფორმაციის პირველივე წყაროდანვე ეძლევათ მასალის მოპოვების და გაშუქების შესაძლებლობა, მაგრამ ხშირად ასეთი ტიპის ინფორმაციას მოჰყვება გარკვეული პროვოკაციული ელემენტებიც, სწორედ ასეთი ელემენტები წარმოადგენს საინფორმაციო ომის ნაწილს. მედიამ დღეს უნდა შესძლოს როგორც ნამდვილი და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის, ასევე მოპოვებული მრავალპროფილური მასალის დიფერენცირება, სწორი ხედვების ჩამოყალიბება, დაკვირვების ობიექტის ზუსტი იდენტიფიცირება და შეფასება. მცირე დეტალსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ზემოთაღნიშნულ პროცესში, ერთი მცირე შეცდომის ხარჯზე მედია შესაძლოა უნებლიეთ ჩათრეული აღმოჩნდეს ანტისახელმწიფოებრივ და ანტისაზოგადოებრივ პროპაგანდაში - რაც საინფორმაციო ომის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია. შეტევითი საინფორმაციო ომის მთავარი თვითმიზანი როგორც წესი ინფორმაციის ვაკუუმის შექმნა და შემდგომ ეტაპზე ამის ხარჯზე პანიკის გამოწვევაა საზოგადოებაში. აღნიშნულის ნათელი მაგალითი სახეზე გვქონდა 2008 წელს მიმდინარე პროცესებში, ყურადსაღებია რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი: ქართული მედია უნებლიეთ ახდენდა ქართული ჯარის დისლოცირების ადგილების გასაჯაროებას, რაც საფრთხეს უქმნიდა ჩვენს ჯარისკაცებს, ასევე ბევრჯერ გავრცელდა ცრუ ინფორმაცია ქართული ჯარის განადგურების და დედაქალაქის შესაძლო დაბომბვის შესახებ. რაც გვამლევს ნათელ საფუძველს ვარაუდისთვის, რომ იმ ეტაპზე ქართული მედია უნებლიეთ აღმოჩნდა ჩათრეული ანტიქართულ საინფორმაციო ომში - რომლის საბოლოო თვითმიზანს ქართული საზოგადოების ფსიქოლოგიური "დამუშავება" წარმოადგენდა. სამომავლოდ უპრიანია თუ ჩვენი ქვეყანაც ნაბიჯს აუწყობს კონფლიქტების "მატარებლის" "ტექნოლოგიურ" რელსებზე გადასვლის ტენდენციას, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს თავდაცვისუნარიანობას ინფორმაციული პროპაგანდის წინააღმდეგ და სოციუმში გაზრდის დაცულობის სინდრომს.

### **შედეგები:**

კვლევის ამ ნაწილში, გვსურს საკითხის თვალსაჩინოებისათვის შემოგთავაზოთ ის მსგავსებები და განსხვავებები რაც პრაქტიკაში ამ ორი ვირტუალური ფენომენის ერთმანეთთან ასოცირებას იწვევს და ამავედროულად გამორიცხავს კიდევ მათი ერთმანეთში აღრევის შესაძლებლობას.

საერთო მახასიათებლები:

ორივე ფენომენი პირდაპირი მნიშვნელობით ეყრდნობა საინფორმაციო ტექნოლოგიურ წიაღსვლებს, კერძოდ ორივე შემთხვევაში როგორც წესი დანაშაულის ჩადენის საგანი, საშუალება და იარაღი საინფორმაციო ტექნოლოგებია.

საინფორმაციო ომიც და კიბერტერორიზმიც ვირტუალურ მოვლენას(ფენომენს) წარმოადგენს და როგორც წესი რაიმე რეალური ქმედების განხორციელებას არც ერთი მათგანი არ ისახავს მიზნად.

ორივე ფენომენის შემთხვევაში უმთავრეს თვითმიზანს როგორც წესი წარმოადგენს პანიკის გამოწვევა სოციუმში;

ორივე შემთხვევაში საზოგადოების სათანადო ინფორმირება მნიშვნელოვნად ამცირებს პოტენციურ რისკებს დამანგრეველი ეფექტის მოხდენის თავიდან აცილების კუთხით.

ურთიერთგანმასხვავებელი ფაქტორები:

კლასიკური შინაარსით კიბერტერორიზმი უფრო მწვავე შინაარსის მატარებელი ფენომენია ვიდრე საინფორმაციო ომი(კიბერტერორიზმის შემთხვევაში მაკვალიფიცირებელ ელემენტს წარმოადგენს ძალადობა, ხოლო საინფორმაციო ომის შემთხვევაში ძალადობა როგორც ასეთი იმპერატიულად არ არის აუცილებელ ელემენტად ფიქსირებული);

მასშტაბების გათვალისწინებით საინფორმაციო ომი აღემატება კიბერტერორიზმს(მოიცავს პოტენციურ მსხვერპლთა უფრო ფართო წრეს);

არსებობს თავდასხმით და თავდაცვითი საინფორმაციო ომი, კიბერტერორიზმში კი მხოლოდ თავდასხმითო აქტები მოიაზრება შინაარსობრივად;

საინფორმაციო ომი ხელისუფლების მაღალი ეშელონების დონეზე იგეგმება და ხორციელდება(მათში როგორც წესი კონკრეტული ქვეყნების დაზვერვის და კონტრდაზვერვის სამსახურებიც არის ჩართული), ხოლო კიბერტერორიზმი უმეტეს შემთხვევაში ტერორისტული ორგანიზაციების ხელწერის ნიმუშია;

კლასიკურ სტილში თუ განვიხილავთ, საინფორმაციო ომის წარმოებას მეტი რესურსი და დრო ესაჭიროება ვიდრე იგივე შემთხვევაში კიბერტერორისტული აქტების განხორციელებას;

საინფორმაციო ომი დროში შესაძლოა მნიშვნელოვნად გაიწელოს(წლების მანძილზე გაგრძელდეს), ხოლო კიბერტერორიზმი უფრო მოკლევადიან პერიოდზეა გათვლილი. საინფორმაციო ომის წარმოება ხდება, ხოლო კიბერტერორისტული აქტის განხორციელება;

საინფორმაციო ომის შემთხვევაში თვითმიზნები როგორც წესი მყარად არის შენიღბული, ხოლო კიბერტერორიზმის შემთხვევაში ნათელია;

განმასხვავებელი ფაქტორია ასევე მედიის როლი და ჩართულობა პროცესებში, კერძოდ საინფორმაციო ომის შემთხვევაში მედიის როლი უფრო წინ არის წამოწეული, უფრო მეტიც, დაგეგმვის ძირეულ ეტაპზე საინფორმაციო ომის წარმოებაზე გათვლა მნიშვნელოვნად ეყრდნობა მედიის ნებისთ თუ უნებლიედ ჩათრევას წარმოებულ კამპანიაში, ხოლო კიბერტერორიზმის წარმოების შემთხვევაში ასეთი თვითმიზნები არ გვაქვს სახეზე;

მნიშვნელოვან სახესხვაობას წარმოადგენს მიზნების და შედეგების წინასწარი განჭვრეტის შესაძლებლობა. კერძოდ, საინფორმაციო ომის შემთხვევაში პოტენციური შედეგების განჭვრეტა შედარებით მარტივია ვიდრე იგივე კიბერტერორიზმის ფენომენის შემთხვევაში;

ბრძოლა საინფორმაციო ომის წინააღმდეგ შედარებით მარტივია, თუ გყავს ძლიერი მედია(რომელიც არ ჩაერთვება მიზანმიმართულ დეზინფორმაციულ პროპაგანდაში), ხოლო კიბერტერორიზმის შემთხვევაში შედეგებს მარტივად ვერ განჭვრეტ;

საინფორმაციო ომი შეტევების უფრო ფართოს სპექტრს მოიცავს: შეტევა მედიაზე, დეზინფორმაცია სხვადასხვა წყაროებიდან, არსებული არხების ბლოკირება და ა.შ, ხოლო კიბერტერორიზმის შემთხვევაში შეტევა როგორც წესი ერთი არხის მეშვეობით ხორციელდება;

კიბერტერორიზმის შემთხვევაში საზოგადოებისთვის მიწოდებული მესიჯი ნათელია, ხოლო საინფორმაციო ომის შემთხვევაში პირიქით დაფარული და შენიღბული;

კიბერტერორიზმი კანონმდებლობაში იმპლემენტირებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას წარმოადგენს. რაც შეეხება საინფორმაციო ომს, მიუხედავად იმისა რომ მას აშკარად ანტისახელმწიფოებრივი იდეოლოგია უდევს საფუძვლად, ის მაინც იდეოლოგიის პროპაგანდამდეა დაყვანილი და ხშირ შემთხვევაში საკანონმდებლო რეგულაციების ჩარჩოებს გარეთ არის დარჩენილი;

კიბერტერორიზმის შემთხვევაში პოტენციურ მსხვერპლთა რიცხვი კონკრეტიზებულია, ხოლო საინფორმაციო ომის შემთხვევაში საპირისპირო მდგომარეობა გვაქვს სახეზე;

შინაასრობრივად საინფორმაციო ომს გააჩნია განვითარების მეტი პერსპექტივა და მოქმედების ფართო არეალი იგივე შემთხვევაში კიბერტერორიზმთან შედარებით(რომლის შემთხვევაშიც ერთი აქტის განხორციელებით უმეტეს შემთხვევაში თვითმიზნის რეალიზება სრულად ხდება);

კიბერტერორიზმი შესაძლოა ჩადენილ იქნეს კონკრეტული ქვეყნის შიდა საზღვრებში მდებარე დაჯგუფების თუ ორგანიზაციის მიერ, ხოლო საინფორმაციო ომის კლასიკური ვარიანტი თავის თავში მოიაზრებს გარე ძალების მიერ წარმოებულ ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდას კონკრეტული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

## **დასკვნა**

მას შემდეგ რაც მიმოვიხილეთ ის ძირითადი მახასიათებლები, რაც კიბერტერორიზმს და საინფორმაციო ომს განასხვავებს სხვა ვირტუალური კიბერმოვლენებისაგან, გვსურს დასკვნის სახით შემოგთავაზოთ საკვანძო დებულებები:

მიუხედავად იმისა, რომ კიბერტერორიზმს და საინფორმაციო ომს საერთო საფუძვლები გააჩნიათ, ასევე იმის მიუხედავად რომ ზოგიერთი მეცნიერი ამ ორ ვირტუალურ მოვლენას ერთმანეთთან აიგივებს და შინაარსობრივი მსგავსებების გათვალისწინებით პრაქტიკაშიც ხშირია აღრევა, მიზანშეწონილია ჩატარებული კვლევის საფუძველზე დავასკვნათ, რომ ეს ორი ვირტუალური ფენომენი საფუძვლების დონეზე მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან და შესაბამისად მათი ერთი ცნების ქვეშ მოქცევა არ არის მიზანშეწონილი.

თანამედროვე - ყოველდღიურად მზარდი ინტერნაციონალური კონფლიქტების ეპოქაში საინფორმაციო ომი უფრო აქტუალური და პრაქტიკაში ხშირად გამოყენებადი ფენომენია, ვიდრე კიბერტერორიზმი.

საინფორმაციო ომს იდეოლოგიური ომი უდევს საფუძვლად, შესაბამისად მას როგორც კონცეფციას გაცილებით დიდი ისტორია გააჩნია ვიდრე კიბერტერორიზმს.

მედიის კონტროლი და საზოგადოების სათანადო ინფორმირებულობა ორივე ზემოაღნიშნულ ფენომენტთან ბრძოლის პროცესში წარმატების საწინდარია.



ყურადსაღები ფაქტია დასჯადობის პრობლემატიკაც. მიუხედავად იმისა რომ საინფორმაციო ომი არანაკლები დამანგრეველი ეფექტის მატარებელი ფენომენია ვიდრე კიბერტერორიზმი, მისი საკანონმდებლო რეგულაციის ჩარჩოებში მოქცევა ძალიან რთულია. უმეტესი ქვეყნების კანონმდებლობაში კიბერტერორიზმი მოქცეულია რეგულაციების ჩარჩოებში, ხოლო საინფორმაციო ომი პროპაგანდამდეა დაყვანილი და დარჩენილია რეგულაციის ჩარჩოებს გარეთ. რაც შეეხება საქართველო კანონმდებლობას სსსკ-ის 324 პრიმა მუხლით რეგულირდება კიბერტერორიზმის დანაშაულის შემადგენლობა. მზარდი გამოწვევების პირობებში მიზანშეწონილია ასევე საინფორმაციო ომის თაობაზე ჩანაწერის გაკეთება კოდექსში(კერძოდ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში).

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე პერიოდში მზარდი ოდენობით იღვიძებს მიძინებული კონფლიქტები, უპრიანია ყველა ქვეყანამ და მათ შორის საქართველომაც იფიქროს სულ მცირე თავდაცვითი საინფორმაციო ომის წარმოების პოტენციალის ამაღლებაზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბელქანია თ. საინფორმაციო ომი. [ვებ-გვერდი]. ლინკის მისამართი: [http://expertclub.ge/portal/cnid\\_12144/alias\\_Expertclub/lang\\_ka-GE/tabid\\_2546/default.aspx](http://expertclub.ge/portal/cnid_12144/alias_Expertclub/lang_ka-GE/tabid_2546/default.aspx). [www.expertclub.ge](http://www.expertclub.ge). (25.09.2015).
2. Berinato S. 2002. *The Truth about Cyberterrorism*. CIO. [WWW Page]. URL: [http://www.cio.com.au/article/26124/truth\\_about\\_cyberterrorism/](http://www.cio.com.au/article/26124/truth_about_cyberterrorism/). (05.03.2016).
3. Brown L. 2006. *Cyberterrorism And Computer Attack*. New York: Novinka Books.
4. Denning D. 2000. *CYBERTERRORISM - Testimony before the Special Oversight Panel on Terrorism Committee on Armed Services U.S. House of Representatives*. The Terrorism Research Center. [WWW Page]. URL: <http://www.stealth-iss.com/documents/pdf/CYBERTERRORISM.pdf>. (27.02.2016).
5. Denning D. 1999. *Information Warfare and Security*. UK: Addison-Wesley.
6. Dunnigan J. 2003. *The Next War Zone: Confronting the Global Threat of Cyberterrorism*. New York: Citadel Press.
7. Fogleman R. Widnall S. 1995. *Cornerstones of Information Warfare*. Washington: [WWW Page]. URL: <http://www.csse.monash.edu.au/courseware/cse468/2006/cornerstones-iw.html> ton: (02.03.2016).
8. Galley P. 1996. *ComputerTerrorism: What are its risks?*. [WWW Page]. URL: <http://www.stealth-iss.com/documents/pdf/compterrorism.pdf>. (01.03.2016).
9. Ghernaouti S. 2013. *CyberPower - Crime, Conflict And Security In Cyberspace*. Switzerland: EPFL Press.
10. Janczewski L. Colarik A. 2005. *Managerial Guide for Handling Cyber-Terrorism ad Information Warfare*. USA: Idea Group Publishing.
11. Kross W. 1996. *Joint Doctrine for Command and Control Warfare(C2W)*. Joint Pub 3-13.1. [WWW Page]. URL: [http://www.iwar.org.uk/rma/resources/c4i/jp3\\_13\\_1.pdf](http://www.iwar.org.uk/rma/resources/c4i/jp3_13_1.pdf). (10.03.2016).
12. Lawson S. 2002. *Information Warfare: An Analysis of the Threat of Cyberterrorism Towards the US Critical Infrastructure*. SANS Institute. [WWW Page]. URL: <http://www.sans.org/reading-room/whitepapers/warfare/information-warfare-analysis-threat-cyberterrorism-critical-infrastruc-8>

13. Lin A. 2000. *Comparison of The Information Warfare Capabilities of The ROC and PRC*. <https://cryptome.org/cn2-infowar.htm>. (08.03.2016).
14. Markoff J. Shanker T. 2009. *Halted '03 Iraq Plan Illustrates U.S. Fear of Cyberwar Risk*. The New York Times. [WWW Page]. URL: [http://www.nytimes.com/2009/08/02/us/politics/02cyber.html?\\_r=1](http://www.nytimes.com/2009/08/02/us/politics/02cyber.html?_r=1). (20.02.2016).
15. Nitzberg S. 2002. *Conflict and the Computer: Information Warfare and Related Ethical Issues*. [WWW Page]. URL: <http://csrc.nist.gov/nissc/1998/proceedings/paperD7.pdf>. (05.03.2016).
16. Owens A. Dam W. Lin S. 2009. *Technology, Policy, Law, and Ethics Regarding U.S. Acquisition and Use of Cyberattack Capabilities*. Washington DC: The National Academies Press.
17. Özeren S. 2008. *Cyberterrorism and International Cooperation: General Overview of the Available Mechanisms to Facilitate an Overwhelming Task. Responses to Cyber Terrorism*. Edited by Centre of Excellence Defence Against Terrorism. Ankara: IOS Press.
18. Özeren S. 2005. *Global Response To Cyberterrorism And Cybercrime: A Matrix For International Cooperation and Vulnerability Assessment*(Dissertation).USA: UMI Dissertation Services. ProQuest Information and Learning Company.
19. Pollit M. 1997. *Cyberterrorism – Fact or Fancy? Proceedings of the 20th National Information Systems Security Conference*. [WWW Page]. URL: <http://www.cs.georgetown.edu/~denning/infosec/pollitt.html>. (03.03.2016).
20. Rona T. 1976. *Weapon Systems and Informatio War*. Washington: Boeing Aerospace Co Press.
21. Schwartua W. 1994. *Information Warfare: Chaos on the Electronic Superhighway*. USA: Publishers Group West.
22. Syversen J. 2009. *Cyberwarfare*. Cyber-Son - A Blog Discussing "Cyber" Topics. [WWW Page]. URL: <http://www.cyber-son.com/2009/08/cyberwarfare.html>.(11.02.2016).
23. Taylor R. Caeti T. Loper D. Fritsch E. Liderbach J. 2006. *Digital Crime And Digital Terrorism*. New jersey: Pearson Education Inc.
24. Wilson C. 2003. *Computer Attack and Cyber Terrorism: Vulnerabilities and Policy Issues for Congress*. CRS Report for Congress. [WWW Page]. URL: <https://fas.org/irp/crs/RL32114.pdf>. (15.02.2016).
25. Wilson C. 2004. *Information Warfare and Cyberwar: Capabilities and Related Policy Issues*. CRS Report for Congress. [WWW Page]. URL: <http://www.globalsecurity.org/>
26. Zanini M. & Edwards S. J. A. 2001. *The Networking of terror in the information age*. In J. Arquilla & D. Ronfelt (Eds). Santa Monica, CA: RAND Corporation.

მარინე კორძაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სამართლის სკოლა, დოქტორანტი

**საგადასახადო დავების წარმოების თავისებურებანი ელექტრონული კომუნიკაციის პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებით**

**რეზიუმე**

შემოსავლების სამსახურსა და გადამხდელთა შორის, 2011 წლიდან არსებობს ელექტრონული კომუნიკაცია ვებ-პორტალის სახით. დღეის მდგომარეობით ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფ გადასახადის გადამხდელებს ავალდებულებს ვებ-სერვისების მეშვეობით ელექტრონულ კომუნიკაციას. შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ სისტემებში ყველა საგადასახადო აგენტი - გადასახადის გადამხდელია ჩართული. ამ მომსახურებებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია გადამხდელთა პორტალი, განსაკუთრებით კი განცხადებების ელექტრონულად წარდგენის და პასუხების გაგზავნის სისტემა, რომელშიც განხორციელდა შემოსავლების სამსახურში მიმდინარე ყველა სახის მომსახურების გაწევისთვის საჭირო დოკუმენტების მიმოწერისა და დამუშავების პროცედურების სრული ავტომატიზაცია. ელექტრონული კომუნიკაციით გადამხდელის მიმართ იგზავნება ადმინისტრაციული აქტები. აღნიშნული ითვლება ჩაბარების პროცედურად და აითვლება ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების ვადა. აღნიშნული პროცედურა მოიცავს მნიშვნელოვან სამართლებრივ მხარეს, რომელიც საქართველოს საგადასახადო, ზოგადი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსებით არის დარეგულირებული.

**საძიებო სიტყვები:** საგადასახადო დავა; ელექტრონული კომუნიკაცია; ადმინისტრაციული აქტის ჩაბარების პროცედურა.

**Marine Kordzadze**

Grigol Robakidze University

School of law, PhD student

**Specifics of conduct of tax disputes in relation to procedural violations of electronic communication**

**Abstract**

Since 2011 there has been electronic communication between the Revenue Service and tax payers via a web portal. At present the Revenue Service of the Ministry of Finance obliges the taxpayers who are registered with the tax authorities to communicate electronically via web-services. All tax agents, tax payers, are involved in the electronic systems of the revenue service. One of the most important services among them is a portal

of payers, especially the system of electronic submission of applications and reply sending, in which procedures of correspondence and document processing, which are necessary for provision of all types of the ongoing services of the revenue service, have been completely automatized. Administrative acts are sent to a payer by electronic communication. This is considered as a delivery procedure and the term for appeal of an administrative act is counted down. This procedure includes an important legal aspect, which is regulated by the Tax, General Administrative and Administrative Procedural Codes of Georgia.

**Key words:** tax dispute; electronic communication, procedure of delivery of administrative acts.


### საგადასახადო დავების წარმოების თავისებურებანი ელექტრონული კომუნიკაციის პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებით

შემოსავლების სამსახურსა და გადამხდელს შორის არსებობს ელექტრონული მომსახურებისა და დოკუმენტების სხვადასხვა სახეები, კერძოდ

- ელექტრონული განცხადებების სერვისი [www.rs.ge](http://www.rs.ge);
- ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;
- ელექტრონული საგადასახადო სპეციალური ანგარიშ-ფაქტურა;
- საგადასახადო მოთხოვნების ელექტრონულად წარდგენის მექანიზმი;
- საგადასახადო საჩივრის აღრიცხვის სისტემა;
- ელექტრონული საინკასო დავალებები;
- იპოთეკა/გირავნობის რეგისტრაციის სერვისი;
- ქონების დაყადაღების ელექტრონული სერვისი;
- საგადასახადო ადმინისტრირების სისტემა;
- საფინანსო-ანალიტიკური რუკა;
- გეზების ადმინისტრირების პროგრამული უზრუნველყოფა;
- ექსპერტიზის სამმართველოს პროგრამული უზრუნველყოფა;
- საფოსტო გზავნილების აღრიცხვის სისტემა;
- ტრანსპორტის გადაადგილების ბარათების აღრიცხვის სისტემა;
- ავტო-გასამართ სადგურებზე ლუქების აღრიცხვის სისტემა;
- წარმოშობისა და დაშვების სერტიფიკატების სისტემა;
- ფარმაცევტული პროდუქციის აღრიცხვის სისტემა;

ელექტრონული კომუნიკაციით იგზავნება: შეტყობინება, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი, საგადასახადო მოთხოვნა, საგადასახადო ორგანოში დოკუმენტაციის წარმოდგენის მოთხოვნა, ინფორმაცია სიახლეებთან დაკავშირებით, და სხვა

## გადამხდელის გვერდი



ვებ-გვერდის მეშვეობით – პირის მიერ ელექტრონული ფორმით შედგენილი და წარდგენილი დოკუმენტი/წერილი, ასევე საგადასახადო ორგანოს მიერ ელექტრონული ფორმით შექმნილი და გაგზავნილი დოკუმენტი/წერილი არ საჭიროებს უფლებამოსილი პირის ხელმოწერას და მას აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც წერილობითი ფორმით წარდგენილ/გაგზავნილ, პირადი ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებულ დოკუმენტს/წერილს. გადამხდელზე ადმინისტრაციული აქტების ჩაბარება წარმოებს ვებ პორტალის მეშვეობით. აღნიშნული ელექტრონული კომუნიკაციით გაგზავნილი ადმინისტრაციული აქტები (შეტყობინება, საგადასახადო მოთხოვნა და სხვა) ითვლება გადამხდელზე ჩაბარებულად და ვებ. პორტალის შეტყობინების ფანჯრის გახსნისთანავე აითვლება და ფიქსირდება გადამხდელის მიმართ გასაჩივრების ვადა. აღნიშნული ვადის დარღვევა უფლებას ართმევს გადამხდელს შემდგომ გასაჩივროს ადმინისტრაციული აქტები.

ხშირად არის შემთხვევები, როდესაც ვებ პორტალის მეშვეობით შემოსავლების სამსახურის მხრიდან გადამხდელის მიმართ ვებ. პორტალზე გაიგზავნა ადმინისტრაციული აქტი, პორტალში შეტყობინების ფანჯრის გახსნისთანავე გადამხდელმა მიმაგრებული ფაილი არ /ან ვერ/ გახსნა, მიუხედავად აღნიშნულისა შემოსავლების სამსახურმა ვებ გვერდის მეშვეობით, იგი მიიჩნია ჩაბარებად, შესაბამისად ელექტრონული კომუნიკაციის სახით შედგა ადმინისტრაციული აქტების გადამხდელზე ჩაბარების სამართლებრივი პროცედურა და ერთი თვის შემდგომ შემოსავლების სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის საჯარო გამოქვეყნების თაობაზე. პარალელურად საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლის შესაბამისად, შემოსავლების სამსახურის მიერ ადმინისტრაციული აქტი უნდა გაიგზავნოს საფოსტო

გზავნილით გადამხდელთან, რომელიც ასევე თუ არ ჩაბარდა გადამხდელს მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შემდგომ აღნიშნული პროცედურა შემოსავლების სამსახურის მხრიდან ჩაითვლება ადმინისტრაციული აქტის ჩაბარებად და შემდგომ მიიღება გადაწყვეტილება-ბრძანების სახით ადმინისტრაციული აქტის საჯარო შეტყობინების წესით გამოქვეყნების თაობაზე, რომელიც rs.ge-ზე აიტვირთება. აღნიშნული კი ითვლება გადამხდელზე ჩაბარების პროცედურის დასრულებად. საგადასახადო ორგანოს მიერ გადამხდელისათვის ელექტრონული ფორმით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი სამსახურის ვებგვერდზე გაცნობისთანავე, რის თაობაზეც საგადასახადო ორგანოს ინფორმაცია მიეწოდება ვებგვერდიდან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე, აღნიშნული პროცედურა რამდენიმე მუხლით არის დარეგულირებული, კერძოდ საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დოკუმენტის გაგზავნის ან/და წარდგენის ფორმას ირჩევს საგადასახადო ორგანო. ამავე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, საგადასახადო ორგანოს მიერ პირისათვის ელექტრონული ფორმით გაგზავნილი დოკუმენტი ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი გაცნობისთანავე, ხოლო ამ კოდექსის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში – გაცნობისთანავე ან გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე განთავსებიდან 30-ე დღეს, თუ ამ ვადაში ადრესატი შეტყობინებას არ გასცნობია. საგადასახადო კოდექსის 299-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საგადასახადო ორგანოს მიერ პირის მიმართ ამ კოდექსის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს დავის განმხილველ ორგანოში დადგენილი წესით, ხოლო, მე-4 ნაწილის მიხედვით, პირს უფლება აქვს, გასაჩივროს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში. საჩივრის წარდგენისათვის კანონმდებლობით დადგენილი 30 დღიანი ვადის დარღვევის შემთხვევაში, სახეზეა საგადასახადო კოდექსის 301-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით დადგენილი საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის #996 ბრძანების მე-14 მუხლის შესაბამისად დადგენილია, რომ ოფიციალური დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შემოსავლების სამსახურის უფროსი სტრუქტურული ერთეულის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს პირისთვის **ელექტრონული და წერილობითი დოკუმენტის** საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით ჩაბარების შეუძლებლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

ელექტრონული კომუნიკაციის დროს წარმოქმნილი პრობლემები, დაკავშირებულია ხშირად შემოსავლების სამსახურის მხრიდან ვებ პორტალის ტექნიკურ ხარვეზებთან, კერძოდ იხსნება შეტყობინების ფანჯარა, მაგრამ ვერ გაიხსნა მიმაგრებული ფაილი, აღნიშნული კი პროგრამულად ითვლება წაკითხულად და ფიქსირდება პორტალზე, შესაბამისად აითვლება გასაჩივრების ვადა.

ამასთან საფოსტო გზავნილით ადმინისტრაციული აქტები გადამხდელს გაეგზავნა, მაგრამ ვერ ჩაბარდა გადამხდელისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, აღნიშნულიც მიიჩნევა შემოსავლების სამსახურის მხრიდან ჩაბარებად, რაც ასევე ქმნის სამართლებრივ ხარვეზს და პრობლემას, აღნიშნული პროცედურები იძლევა საფუძველს გადამხდელის მხრიდან დაიწყოს საგადასახადო დავა აღნიშნული პროცედურების დარღვევების გამო, რათა მოიპოვოს უფლება შემდგომში გააგრძელოს საგადასახადო დავა არსებითი საკითხის (თვით ადმინისტრაციული აქტების ბათილობის მოთხოვნით) გადასაწყვეტად, აღნიშნული კი მოითხოვს გადამხდელის მხრიდან უამრავ რესურსს და დროს.

ელექტრონული კომუნიკაციის პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებით, საგადასახადო დავების წარმოებას გააჩნია სპეციფიკურობა, კერძოდ დავის საგნად განიხილება მხოლოდ აღნიშნული პროცედურული სახის საკითხები, ხოლო გადამხდელის მიერ არსებითი სადავო საკითხის განხილვა, პროცედურული საკითხის გადაწყვეტის შემდგომ განიხილება ახალი სასარჩელო განცხადების წესით, რაც აჭიანურებს გადამხდელის მიერ წარმოებულ საგადასახადო დავის საბოლოო დასრულებას. შემოსავლების სამსახურის მიერ გადამხდელზე ადმინისტრაციული აქტის ჩაბარების პროცედურებთან დაკავშირებით არსებულმა პრობლემებმა და ელექტრონული კომუნიკაციის დროს არსებულმა ხარვეზებმა უკანასკნელ პერიოდში მიიღო მასიური ხასიათი, შესაბამისად გახშირდა პროცედურული სახის დარღვევებთან დაკავშირებული საგადასახადო დავები. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში 2014 წელს შეტანილი იქნა სულ 3027 საჩივარი. 2014 წელს საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მხოლოდ 2550 საქმეზე. სადავო თანხამ შეადგინა 521,341 მილიონი ლარი. მიღებული გადაწყვეტილებებით მომჩივანთ/გადამხდელთა მოთხოვნა 1062 შემთხვევაში (42%) სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 1052 შემთხვევაში (41%) უარი ეთქვა, ხოლო 436 შემთხვევაში (17%) საჩივარი განმხილველი დარჩა სხვადასხვა პროცედურული მოთხოვნის დარღვევის ან დავის შეწყვეტის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ ამჟამად განიხილება 60-მდე საგადასახადო დავა, მხოლოდ ელექტრონული კომუნიკაციის პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებით.

### **დასკვნა და რეკომენდაციები**

მართალია სიახლეს წარმოადგენს და დიდი მიღწევა იყო შემოსავლების სამსახურის მხრიდან ვებ-პორტალის შექმნა, თუმცა ეს არ არის მხოლოდ ვებ-საიტი, რომლის მეშვეობითაც დაინტერესებული პირი იღებს ინფორმაციას შემოსავლების სამსახურის სტრუქტურისა თუ საქმიანობების შესახებ, არამედ ეს არის შემოსავლების სამსახურის მრავალრიცხოვანი მომსახურებების პორტალი, რომლის მეშვეობითაც მნიშვნელოვნად იზოგება გადამხდელის დრო, ენერჯია და ფინანსური რესურსები, მაგრამ მნიშვნელოვანია აღნიშნული ვებ პორტალის და ელექტრონული კომუნიკაციის სამართლებრივი მხარე და პრაქტიკაში მისი არსებობის დროს წარმოქმნილი პრობლემების ანალიზი, შესაბამისად მნიშვნელოვანია წინადადებების და რეკომენდაციების შეთავაზება. სტატიაში წარმოდგენილ პრობლემაზე მსჯელობის დროს ვასკვნით, რომ ტექნიკურად სა სამართლებრივად დახვეწას და სრულყოფას საჭიროებს გადამხდელზე ადმინისტრაციული აქტების, როგორც ელექტრონული, ისე საფოსტო გზავნილების სახით ჩაბარების და გადამხდელთა მიმართ ადმინისტრაციული აქტების საჯაროდ გამოქვეყნების წესი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მიუთითებს, რომ სახელმწიფოს მართალია გააჩნია გარკვეული დისკრეცია, მაგრამ მის მიერ გამოყენებული საშუალებები საგადასახადო ურთიერთობის დროს არაა შეუზღუდავი. დისკრეცია ექვემდებარება ისეთი საფუძვლებით შეზღუდვას, როგორცაა კერძო და საჯარო ინტერესების სამართლიანი ბალანსის დადგენა. სასამართლოს მიერ საგადასახადო დავების განხილვის დროს მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ საგადასახადო ურთიერთობების მართლზომიერების დადგენა საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებში. არამართლზომიერია სხვა პირის მიზეზით გადასახადის გადამხდელისთვის საგადასახადო პასუხისმგებლობის დაწესება ისეთ შემთხვევებში, როდესაც გადამხდელი სრული მოცულობით ასრულებს მასზე დაკისრებულ

ვალდებულებებს. ევროპული სასამართლოს ზემოაღნიშნული პრეცედენტული სამართლებრივი ხედვა ექვემდებარება წევრ სახელმწიფოთა მიერ კანონმდებლობაში ასახვასა და პრაქტიკაში დანერგვას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს პარლამენტი. სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge). (20,12,2015);
2. საქართველოს პარლამენტი. სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge). (20,12,2015);
3. საქართველოს პარლამენტი. სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge). (20,12,2015);
4. საქართველოს პარლამენტი. სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის #996 ბრძანება/კოდიფიცირებული/ [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge). (20,12,2015);
5. ნადარაია, როგავა, რუხაძე, ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი წიგნი პირველი §§ 1-155, 2014 წელი;
6. ბიზნეს სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევა, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, 2012 წელი;
7. ალეკო ნაჭყებია, ადმინისტრაციულსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2005-2014) წიგნი გამოცემულია GIZ-ის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) ფინანსური მხარდაჭერით. © ალეკო ნაჭყებია, 2015 © GIZ, 2015;
8. შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული ანგარიშები /2013-2014 წელი/
9. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს ვებგვერდი - [www.taxdisputes.gov.ge](http://www.taxdisputes.gov.ge) ;
10. ინტერნეტ წყაროები [mof.ge](http://mof.ge); [rs.ge](http://rs.ge); [Supremecourt.ge](http://Supremecourt.ge); [tcc.gov.ge](http://tcc.gov.ge)



ლაშა კუხიანიძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი,  
სამართლის სკოლა, დოქტორანტი

## დანაშაულებრივი უმოქმედობის დოგმატური ასპექტები

### რეზიუმე

აღნიშნულ სტატიაში კვლევის მიზანია იურიდიულ, ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაზე დაყრდნობით შესწავლილ იქნეს დანაშაულებრივი უმოქმედობის სისხლის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, მიზეზები და მისი გამოვლენის ფორმები.

უმოქმედობის კატეგორია სისხლის სამართლებრივ კონტექსტში მრავალმხრივი სპეციფიკურობით ხასიათდება აქტიური მოქმედებისგან განსხვავებით. დანაშაულებრივი უმოქმედობის კრიმინალიზაციას და დენტალიზაციას გააჩნიათ არსებითი განმასხვავებელი ნიშნები. მხედველობაშია მისაღები ქმედების ცალკეული სახეები, რომლებიც არამართო სამართლებრივ კატეგორიაშია მოქცეული, არამედ მორალურ-ეთიკურ ჭრილშიც გადადის და კიდევ უფრო რთულდება მისი კრიმინალიზაციის პროცესი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება ამ მხრივ და შეიცავს კონცეპტუალურ განსხვავებებს სხვა ქვეყნების კანონმდებლობისგან განსხვავებით.

დანაშაულებრივი უმოქმედობის სისხლის სამართლებრივი პრობლემის გააზრებას და მისი ცალკეული ნიშნების პასუხისმგებლობის განსაზღვრას აქვს არამართო ზოგად თეორიული, არამედ წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობაც. სწორედ მის მართლგონიერ გადაწყვეტაზეა დამოკიდებული საქართველოს სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობის ეფექტურობა, ნეგატიური მოვლენების აღკვეთა და პრევენცია.

**საძიებო სიტყვები:** სისხლისსამართალი, დანაშაულებრივი უმოქმედობისა, დანაშაულის შეუტყობინებლობა, დაუხმარებლობა

Lasha Kukhianidze

Grigol Robakidze University  
School of Law, Ph.D. Student

### Dogmatic Aspects of Criminal Omission

The purpose of the research in the presented article is to study the criminal and criminological aspects and reasons of the criminal omission based on the legal, philosophical and sociological literature.

Category of omission in criminal context with the difference of active behaviour is characterized by the variety of specificity. Criminalization and penalization of criminal omission has distinctive features.

**Keywords:** Criminal law; Criminal omission; cover-up of crime withhold of help

## დანაშაულებრივი უმოქმედობის დოგმატური ასპექტები

### შესავალი

დანაშაულის ობიექტურ მხარეს წარმოადგენს ქმედება, როგორც ადამიანის შეგნებული და მიზანდასახული ქცევა. სწორედ ქმედების ობიექტური შემადგენლობა ახდენს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების, ადამიანური ქცევების, უმართლობად ტიპიზირებას. ქმედების შემადგენლობის ობიექტური (გარეგანი) ნიშნები არის არსობრივად აღქმადი საგნები და მოვლენები. მისი აუცილებელი პირობაა ქმედების განხორციელება ანუ ფიზიკური პირის მიერ სისხლის სამართლის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ან მისთვის საფრთხის შექმნა. ადამიანის ნებელობითი ქცევა შეიძლება გამოიხატებოდეს, როგორც მოქმედებაში, ასევე უმოქმედობაში. თუ აქტიური მართლსაწინააღმდეგო მოქმედების დროს ადამიანი აქტიურად ქმნის მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის წინაპირობას, უმოქმედობის დროს მან მოქმედებისგან თავის შეკავებით შეიძლება გამოავლინოს თავისი ნებელობითი იმპულსი. ამასთანავე, უმოქმედობა გულისხმობს სისხლისსამართლებრივ უმოქმედობას, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილში. ადამიანი შესაძლოა სისხლისსამართლებრივად უმოქმედოდ იყოს, თუმცა ფიზიკურად მოქმედებდეს. შესაბამისად, უმოქმედობის დროს პირი სრულ უძრაობაში კი არ უნდა იყოს, არამედ არ უნდა ასრულებდეს კონკრეტულად მისთვის დაკისრებულ მოვალეობას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის 3 ნაწილის თანახმად, უმოქმედობის მართლწინააღმდეგობის განსაზღვრისათვის აუცილებელია სამი წინაპირობის არსებობა:

- 1) პირს უნდა ეკისრებოდეს მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა.
- 2) მას უნდა ჰქონდეს მოქმედების შესაძლებლობა.
- 3) მოქმედებით შედეგი თავიდან უნდა იყოს აცილებული.

ფორმალურად მოქმედებისა და უმოქმედობის ძირითადი განსხვავება მდგომარეობს ნორმის შინაარსში, რომლის რეგულირების ობიექტიცაა სათანადო ქმედება. ამკრძალავი ნორმის დარღვევა შესაძლებელია მხოლოდ მოქმედებით, მავალებელი ნორმისა- მხოლოდ უმოქმედობით ანუ გარკვეული დადებითი მოქმედების შეუსრულებლობით. ნორმის შექმნის პროცესში თავდაპირველად ირკვევა განსაზღვრული ქმედების აკრძალვის ან დავალდებულების აუცილებლობა და მხოლოდ აქედან გამომდინარეობს, რომ ეს ქმედება აკრძალვისა და დავალდებულების მიხედვით უნდა იყოს მოქმედებად და უმოქმედობად. მოქმედება იკრძალება არა იმიტომ, რომ ის მოქმედებაა, არამედ იმიტომ, რომ ეს მოქმედება სისხლის სამართლებრივად დაუშვებელია, ე.ი პირველადი ქმედების სისხლისსამართლებრივი შეუწყნარებლობა, ხოლო ქმედების ფორმა (მოქმედება და უმოქმედობა) მეორადია. იმიტომ არა ქმედების ცალკეული სახე განსაზღვრავს ნორმის შინაარსს, არამედ თვით ნორმის ამკრძალავი და მავალებელი ხასიათის მიხედვით უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან მოქმედება და უმოქმედობა. აკრძალვა „ნუ დაფარავ გადასახადს!“ და მავალებელი ნორმის დისპოზიცია „გადაიხადე გადასახადი!“ უმოქმედობა ამკრძალავი ნორმის რეალიზების, მისი პრაქტიკული არსებობის ფორმაა.

დანაშაულებრივი უმოქმედობა არის არა საკუთრად „უმოქმედობა“, არამედ სხვაგვარად მოქმედება, სუბიექტი ისჯება არა იმის გამო, რომ მან არ იმოქმედა, არამედ იმის გამო, რომ მან იმოქმედა არასათანადოდ ანუ იმოქმედა სხვაგვარად. ამასთანავე, სხვადასხვა ობიექტის მიმართ ინდივიდი ერთდროულად შეიძლება მოქმედებდეს და უმოქმედებდეს კიდევ.

იმისათვის, რომ სუბიექტმა ფიზიკურად გამოხატოს უმოქმედობა, ფსიქიკურად უნდა იმოქმედოს, ე.ი ფსიქოლოგიურად უმოქმედობაც მოქმედებაა, მაშასადამე, უმოქმედობა მხოლოდ ფიზიკურად (ობიექტურად) არის უმოქმედობა, ფსიქოლოგიურად (სუბიექტურად) კი მოქმედებაა. მაგრამ სისხლის სამართლის უმოქმედობის ცნება არ აინტერესებს არც მხოლოდ ფიზიკურ და არც მხოლოდ ფსიქიკურ ასპექტში. სისხლისსამართლებრივ დაინტერესებას ის იწვევს მართოდენ როგორც ფსიქო-ფიზიკური კატეგორია. ამავე დროს, უმთავრესი მნიშვნელობის არის არა ის, რომ უმოქმედობა ერთ-ერთ ასპექტში ემთხვევა მოქმედების ცნებას, არამედ ის, რომ მოქმედება და უმოქმედობა არ ემთხვევა ერთმანეთს ორთავე ასპექტში: უმოქმედობის ცნებაში მოქმედების ნაწილობრივი და არა აბსოლუტური გამოხატულება მეტყველებს სწორედ იმაზე, რომ უმოქმედობის ცნება განსხვავდება მოქმედების ცნებისაგან, რომ უმოქმედობა მოქმედება არ არის და რამდენადაც უმოქმედობა გამოირჩევა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, მოქმედების ცნებისათვის უცხო სპეციფიკით, ამ უკანასკნელისაგან მისი როგორც სისხლისსამართლებრივი ცნების დამოუკიდებლობა არავითარ ეჭვს არ უნდა ბადებდეს.

მაგრამ რა პირობებში ეკისრება სუბიექტს მოქმედების ვალდებულება? „სამართლებრივი მოვალეობა“, - ის არ უნდა სცილდებოდეს მოქმედების შესაძლებლობის ფარგლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოვალეობა დაკარგავს რეალურ იურიდიულ ძალას.

ქმედების განხორციელების შესაძლებლობა, ქმედებისა და ნების თავისუფლება უმოქმედობის დასჯადობის უმთავრესი წინაპირობაა. უმოქმედობის სისხლისსამართლებრივ უმოქმედობად განსაზღვრა არ დაიშვება, თუ სუბიექტს არ შესწევდა უნარი ემოქმედა. მოქმედების თავისუფლება არ განეკუთვნება არც მიზეზობრიობის, არც ბრალეულობის და არც სამართლებრივი მოვალეობის საკითხს, ის უშუალოდ ქმედების, როგორც ასეთის, სფეროთი შემოიფარგლება და წინ უსწრებს ყველა დანარჩენ პრობლემას. გარეგნულად აქტის განხორციელება, ე.ი ფაქტობრივი უმოქმედობა, მსგავსად ფაქტობრივი მოქმედებისა, ჯერ არ აფუძნებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რამეთუ უმოქმედობა ისევე, როგორც მოქმედება, შესაძლოა ჩადენილ იქნას იძულებით ან „ნებელობითი უნარის“ უქონლობით (შეურაცხადობით).

ობიექტური შეუძლებლობისას ნების შესაბამისი ქმედება გამოირიცხება და ამიტომ არ არსებობს უმოქმედობაც: ისიც იძულებისაგან თავისუფალი, წარმოდგენებით განსაზღვრული ქმედებაა. უმოქმედობა, მოქმედების მსგავსად, ნების შესაბამისობას მოითხოვს, რომელშიც მოქმედების ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობა იგულისხმება. უმოქმედობა ზუსტად ისევე, როგორც მოქმედება, ნების განხორციელებაა. მისი სისხლისსამართლებრივი შეფასება უნდა დაემყაროს იმას, რომ დამდგარი საზიანო შედეგის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო სუბიექტის მართლზომიერი, მოვალეობის შესაბამისი მოქმედების მეშვეობით. ე.ი სისხლისსამართლებრივი მოვალეობა სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობას თავის თავშივე შეიცავს. ამრიგად, პირი არღვევს მოვალეობას არა მაშინ, როდესაც მას არ გააჩნია სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ ის ამ შესაძლებლობას ფლობს.

არსებობს დანაშაულთა ნაწილი, რომელთა ჩადენა მხოლოდ უმოქმედობით თუ შეიძლება: ასეთია, მაგალითად, დანაშაულის შეუტყობინებლობა (საქ-ოს. სსკ-ის 376-ე მუხლი), დაუხმარებლობა (სსკ-ის. 129-ე მუხლი), და ა.შ. გარდა ამისა, არსებობს დანაშაულთა

კატეგორია , რომელთა ჩადენა შესაძლებელია მოქმედებით , თუმცა სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის პირობების არსებობისას , ხორციელდება უმოქმედობითაც. მაგალითად , მკვლელობა შეიძლება როგორც ადამიანისთვის ცეცხლსასროლი იარაღის მიყენებით , ასევე მისთვის საკვების არ მიწოდებით . როგორც წმინდა , ასევე შერეულ უმოქმედობაზე ვრცელდება უმოქმედობისთვის დამახასიათებელი სუბიექტური და ობიექტური მხარეები.

ფინალისტების მიხედვით, უმოქმედობის ობიექტური მხარე გულისხმობს ნორმატიული მოთხოვნით გათვალისწინებული მოქმედების შეუსრულებლობას , ხოლო სუბიექტური მხარე კი პირის უნარს განახორციელოს ეს ქმედება . პირველ რიგში , განვიხილოთ სუბიექტური მხარე , რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის 3 ნაწილის მეორე წინაპირობაცაა.

მოქმედების რეალური შესაძლებლობა გულისხმობს იმ შექმნილ გარემოს , რომელშიც პირს უნდა მიეღო გადაწყვეტილება მოქმედებასა თუ უმოქმედობასთან დაკავშირებით . აქ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ , როგორც გარემო პირობები , ასევე თავად პირის ფიზიკური თუ ფსიქიკური მდგომარეობა.

მნიშვნელოვანია ასევე გავითვალისწინოთ სსკ-ის. მე-8 მუხლის 3 ნაწილის წინაპირობა - მოქმედებით შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობა . ეს გარკვეულ კავშირშია მიზეზობრიობასთან, რადგან შეზღუდვა გამორიცხავს პირის პასუხისმგებლობას იმ შედეგისთვის , რაც მისი ჩარევის გარეშეც აუცილებლად დადგებოდა . მაგრამ როდის ეკისრება პირს მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა ? თუ პირს ვინმეს მიმართ მოეთხოვება აქტიური მართლზომიერი მოქმედება , მას სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია აქვს.

ფუნქციონალური დოგმატიკა სამართლებრივი დოგმატიკის ფუნქციას ორ ნაწილად ყოფს : ა) განსაცდელში მყოფი პირის დაცვის მოვალეობა იმ პირის მხრიდან , ვისაც აქვს ასეთი დაცვის მოვალეობა. ბ) საფრთხის წყაროს მხრიდან მომდინარე საფრთხის აღკვეთის მოვალეობა იმ პირის მხრიდან, ვისაც ევალება ამ საფრთხის თავიდან აცილება.

პირველ რიგში , კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთებთან დაკავშირებით დაცვის მოვალეობა , შეიძლება წარმოიშვას როგორც სამართლებრივი ნორმიდან , ასევე მჭიდრო ბუნებრივი ურთიერთკავშირის საფუძველზე . მაგალითად , მშობელი შვილის სამართლებრივი გარანტია და დედას ევალება შვილის გამოკვება . თუ იგი ამ ვალდებულებას არ შეასრულებს და ბავშვი მოკვდება, დედის მიერ ჩადენილი დანაშაული იქნება უმოქმედობით განხორციელებული მკვლელობა .

სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია შეიძლება გამომდინარეობდეს ხელშეკრულებიდანაც . აუცილებელი არ არის , რომ ხელშეკრულება პირდაპირ ითვალისწინებდეს გარანტორულ ფუნქციას , მისი შინაარსიდან გამომდინარე ნათელი უნდა იყოს მსგავსი მოვალეობის არსებობა . მაგალითად, მამული სამამული ფორმასთან ხელშეკრულებით იღებს ვალდებულებას დაეხმაროს ნებისმიერ ადამიანს , რომელიც იხრჩობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ , სპეციალური გარანტიის ფუნქცია შეიძლება წარმოიშვას კონკრეტული საფრთხის წყაროებისთვისაც . მსგავსი მოვალეობა შეიძლება გამომდინარეობდეს წინმსწრები ქცევიდანაც . ამასთანავე , აუცილებელია წინა მოქმედებამ საფრთხე შეუქმნას კანონით დაცულ სიკეთეს.

გარანტორული ფუნქციის წარმოშობის მიზეზად შეიძლება იქცეს მესამე პირებზე მეთვალყურეობის მოვალეობაც.

უმოქმედობით ჩადენილი დელიქტი იმავე ზოგადი სტრუქტურით ხასიათდება , როგორც მოქმედებით ჩადენილი . დანაშაულის უმოქმედობით ჩადენა შესაძლებელია , როგორც განზრახ , ასევე გაუფრთხილებლობით . შესაძლებელია უმოქმედობით მცდელობა და თანამსრულებლობა

, უმოქმედობით თანამონაწილეობა სხვის მიერ აქტიური ქმედებით ჩადენილ დანაშაულში და აქტიური ქმედებით დახმარება სხვის მიერ უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულში.

დანაშაულებრივი მოქმედების უმოქმედობისგან გამიჯვნა რთული და როგორც სისხლის სამართლის თეორიაში , ასევე პრაქტიკაში მეტად მნიშვნელოვანი საკითხია , ვინაიდან დანაშაულის მოქმედებით ჩადენის წინაპირობები დანაშაულის უმოქმედობით ჩადენის წინაპირობებისაგან განსხვავდება. მოქმედებით ჩადენილი დანაშაულისათვის ნებისმიერი პირი ისჯება , შერეული უმოქმედობისას კი , მე-8 მუხლის პირობებისას , მხოლოდ გარანტი აგებს პასუხს , ამიტომაც იმის დადგენა, პირმა მოქმედებისათვის უნდა აგოს პასუხი თუ უმოქმედობისათვის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგენისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება .

სსკ-ის. მე-8 მუხლის 3 ნაწილი ამომწურავად არ განსაზღვრავს მი პირთა წრეს, რომელთაც მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა ეკისრებათ . კანონმდებელი ამ საკითხის გადაწყვეტას სისხლის სამართლის დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკას აკისრებს.

მოქმედების მოვალეობის დიფერენციაცია მისი წარმოშობის საფუძველზე არ ნიშნავს იმას , რომ გარანტის მოვალეობა ამისდა მიხედვით სხვადასხვა ინტენსივობის იყოს. თუ საფრთხე წარმოიშვა ,გარანტი ,მისი მოვალეობის წარმოშობის საფუძვლის მიუხედავად , ვალდებულია დაიცვას სამართლებრივი სიკეთე .გარანტის ფუნქციის აღიარებისთვის გადამწყვეტია კანონის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობის ძირითადი შინაარსი.

ბრალის გამორიცხვა უმოქმედობის დროსაც იმავე საფუძველზეა შესაძლებელი, როგორც მოქმედების დროს.

ქმედების<sup>2</sup> განხორციელების შესაძლებლობა, რომელიც მიზეზობრივი კავშირის აუცილებელი პირობაა, სსკ-ის. თანახმად, ბრალის ინდივიდუალიციაა. პირი მხოლოდ მაშინ გაიკიცხება, თუ მას ქმედების განხორციელების შესაძლებლობა ჰქონდა .

ასევე მნიშვნელოვანია შევხვით გაუფრთხილებლობით ჩადენილ შერეული უმოქმედობის საკითხს აღნიშნულ სტატიაში.

გაუფრთხილებლობით ჩადენილი შერეული უმოქმედობა ისჯება მხოლოდ მაშინ, როდესაც ქმედების გაუფრთხილებლად ჩადენას სისხლის სამართლის კანონმდებლობა დასჯადად აცხადებს (სსკ-ს. მე-10 მუხლი მე-4 ნაწილი). გაუფრთხილებელი თვითიმედოვნება შერეული უმოქმედობისას მოიცავს სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობას წინდახედულობის ნორმათა დარღვევით , როდესაც პირს საფრთხე და მისი თავიდან აცილების შესაძლებლობა გაცნობიერებული აქვს. უმოქმედობისას თვითიმედოვნების საკანონმდებლო განმარტებას ვერ გამოვიყენებთ ( სსკ-ის. მე-10 მუხლის 2 ნაწილი), რადგან იგი დანაშაულის მოქმედებით ჩადენისათვისაა კონსტრუირებული. უმოქმედობისას დანაშაულებრივი შედეგი მაშინაა გამოწვეული დანაშაულებრივი თვითიმედოვნებით, როცა პირი ცნობიერად არღვევს წინდახედულობის ნორმას, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ ფიქრობს , რომ ეს შედეგი თავიდან იქნება აცილებული მის ჩარევის გარეშე (სსკ-ის. მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი ) .

მოქმედებით და უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულებრივი დაუდევრობის სტრუქტურა ერთმანეთისგან არ განსხვავდება .

დანაშაულებრივი დაუდევრობით შერეული უმოქმედობა მაშინაა ჩადენილი ,როდესაც პირს წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება გაცნობიერებული არ ჰქონდა, მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას არ ითვალისწინებდა , თუმცა მას ევალებოდა და შეეძლო კიდევ .

დანაშაულებრივი უმოქმედობით ჩადენის სქემა :

## I . ქმედების შემადგენლობა

### 1. ქმედების ობიექტური მხარე.

ა) შედეგი.

ბ)უმოქმედობის მიზეზობრიობა.

- გარანტის ფუნქცია
- შესაძლო ქმედების განხორციელება
- შედეგის თავიდან აცილების რეალური შესაძლებლობა

გ)ობიექტური შერაცხვა

### 2.ქმედების სუბიექტური შემადგენლობა განზრახვა

II.მართლწინააღმდეგობა

III.ბრალი

## **დანაშაულებრივი უმოქმედობის შედარებითი მიმოხილვა გერმანიის, შვეიცარიის, ავსტრიის და ამერიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში**

**გერმანიის** სისხლის სამართლის დოგმატიკის მიხედვით-ზოგიერთი დანაშაულებრივი ქმედების დასჯადობის საკითხი განისაზღვრება დანაშაულებრივი ქმედების შემადგენლობის განხორციელებით, რომლებიც სპეციალურადაა განსაზღვრული გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში (მაგალითად, 138&, 266a აბზ. 1). სწორედ ზოგადი ნაწილის 13& იძლევა ჩამოყალიბებულ დეფინიციას უმოქმედობის დასჯადობისთვის, რომლის მიხედვითაც უმოქმედობის დელიქტები მხოლოდ შედეგიანი დელიქტებია .პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ დგება თუკი ამსრულებელი სპეციალურ სამართლებრივ ურთიერთობაშია და ვალდებულია ზიანის თავიდან აცილებაზე.

**შვეიცარიის** სისხლის სამართლის დღევანდელი კოდექსი შერეული უმოქმედობისათვის დასჯადობას გარანტის მოვალეობას უკავშირებს (სსკ-ის. მე-11 მუხლი).

**ავსტრიის** სისხლის სამართლის კოდექსი , რომელიც მიღებულია 1974წ. 29 იანვარს ზოგადი ნაწილის 2& იძლევა სპეციალურ დეფინიციას დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაზე უმოქმედობის მეშვეობით. რომლის მიხედვითაც სპეციალურ სამართლებრივ მოვალეობაზეა ლაპარაკი დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებაზე და მხოლოდ მაშინ დაეკისრება პასუხისმგებლობა უმოქმედობისათვის.

**ამერიკის** შეერთებული შტატების სისხლის სამართალში მართლსაწინააღმდეგო შედეგის თავიდან აცილების მოვალეობა უმოქმედობისათვის შესაძლებელია , კონკრეტული კანონის ,

ასევე Common Law-ის საფუძველზეც აღმოცენდეს . აშშ სს კოდექსი გარანტის მოვალეობის წარმოშობის საფუძველებს არ ითვალისწინებს . უფრო მეტიც მისთვის უცნობია დანაშაულის შემადგენლობის ზოგადი არსი და დანაშაულის განმარტების დეფინიციასაც იშვიათად ვნახავთ შტატების ცალკეულ კანონმდებლობაში. ტრადიციულად აშშ-ის დოქტრინალურ და სასამართლო პრაქტიკაში მიჩნეულია , რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება , მხოლოდ მას შემდეგ როდესაც დადგენილი იქნება დანაშაულის 2 ელემენტი :

Actus Reus (დანაშაულებრივი ქმედება) და Mens Rea (განზრახვის ბრალეული მდგომარეობა ) , რომლებიც საფუძველს ინგლისის სამართლიდან იღებენ . (7)

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ. „ სისხლის სამართალი-ზოგადი ნაწილი “ თბ. 2011 წ.
2. ნაჭყეზია გ. „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“ თბ. 2007 წ.
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.
4. ტურავა მ. „სისხლის სამართალი-ზოგადი ნაწილი დანაშაულის მოძღვრება “ თბ. 2011წ.
5. წერეთელი თინათინ, ტყემელიაძე გიორგი „ მოძღვრება დანაშაულზე “ თბ. 1969 წ.
6. Kaufman A. “ Die Dogmatik der Unterlassungsdelikte” Gottingen 1959
7. Козочкин И. . “Уголовное Право США - успехи и проблемы “ С.П 2007г.
8. Уголовное уложение ( уголовный кодекс ) Федеративной республики Германия, Проспект 2015 г.
9. Уголовный Кодекс Австрии, С.П. 2004 г

ნაზი მგელაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
სამართლის სკოლა, დოქტორანტი

## ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონსტიტუციური გარანტიები საქართველოში

### რეზიუმე

ჯანმრთელობის დაცვის უფლება ადამიანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა, რომელიც აღიარებულია და დაცულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და სხვა ეროვნული საკანონმდებლო აქტებით.

ჯანმრთელობის დაცვის უფლებას სოციალური უფლების მნიშვნელობა გააჩნია და იგი საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლითაა განმტკიცებული. აღნიშნული მუხლი ერთ-ერთი ფართო მოცულობისა და შინაარსის მქონე მუხლია, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ორ უმნიშვნელოვანეს სფეროს მოიცავს: ჯანმრთელობის დაცვასა და ბუნებრივ გარემოს. იგი ერთი მხრივ, ავალდებულებს სახელმწიფოს ხელმისაწვდომი გახადოს სამედიცინო მომსახურება და

უზრუნველყოს გარემოს დაცვა, ხოლო მეორე მხრივ, ადამიანს უფლებას აძლევს ისარგებლოს სამედიცინო დაზღვევითა და დახმარებით. იცხოვროს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ, ასევე ავალდებულებს ყველას გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს. აღნიშნული უფლება/ვალდებულება ვრცელდება, როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე.

ჯანმრთელობის დაცვის უფლების უზრუნველყოფა სახელმწიფოს აქტიურობაზე, კერძოდ, მის მიერ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებაზეა დამოკიდებული, რასაც უნდა უზრუნველ ყოფდეს ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემა.

*საძიებო სიტყვები:* ჯანმრთელობის დაცვა, ადამიანის უფლება, ჯანდაცვის სისტემა.

**Nazi Mgeladze**

Grigol Robakidze University  
School of Law, PhD. Student

## **Constitutional Guarantees of the Right to Health Care in Georgia**

### **Summary**

The right to health care is one of the fundamental human rights recognized and protected by the Constitution of Georgia, as well as the international treaties and other national legislative instruments.

The right to health care has the meaning of social right and is enshrined in the Article 37 of the Constitution of Georgia. The above-mentioned Article is one of the articles with a wide scope and content, covering two most important areas of public life: health care and natural environment. On the one hand, it obliges the State to provide access to medical services and environment protection, and, on the other hand, entitles an individual to benefit from medical insurance and aid, to live in a healthy environment, to obtain full and objective information as to the state of environment, as well as obliges everyone to care for the natural and cultural environment. This right / obligation shall apply to the citizens of Georgia, as well as to foreign citizens and stateless persons.

Provision of the right to health care depends on the activity of the State, in particular, implementation of the obligations stipulated by the state medical programs in the health care sector which should be provided by the country's health care system.

**Keywords:** Health care, human rights, health care system.

**ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონსტიტუციური გარანტიები საქართველოში**



## **შესავალი**

ჯანმრთელობის დაცვის უფლება საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლითაა განმტკიცებული, რომელიც ეყრდნობა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (1948 წ.) 25-ე მუხლს - „ყველას აქვს უფლება მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ადეკვატური ცხოვრებისა“ [15]. აღნიშნული უფლების რეალიზაციის მიზნით ქვეყანაში მოქმედებს როგორც ეროვნული კანონმდებლობა, ასევე ჯანმრთელობის დაცვის ცენტრალური და ადგილობრივი პროგრამები. მიუხედავად ამისა, ჯანმრთელობის უფლების სრული მოცულობით განხორციელება გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. ხშირად ჯანმრთელობის დაცვის უფლებების პრაქტიკული გამოყენების მხრივ ჩნდება მნიშვნელოვანი ხარვეზები, რასაც განაპირობებს, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, ასევე პოლიტიკური მდგომარეობა და ამ უფლების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის საფუძვლიანი შესწავლისა და ანალიზის ნაკლებობა.

დღეისათვის სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ჯანმრთელობის დაცვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებაა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია შესწავლილი იქნას, თუ რამდენად არის საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი ჯანმრთელობის დაცვის უფლების გარანტი, რამდენად შეესაბამება არსებული რეალობა და სახელმწიფოს მიდგომა კანონმდებლობით განმტკიცებულ ჯანმრთელობის დაცვის უფლების განხორციელებას.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლით გარანტირებული ჯანმრთელობის დაცვის უფლების განხორციელებისათვის სახელმწიფოს როლის განსაზღვრასა და გაანალიზებას, ჯანმრთელობის დაცვის უფლების მარეგულირებელ საქართველოს კანონმდებლობის ზოგად მიმოხილვას, ასევე იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების ანალიზსა და გავლენას საქართველოს კანონმდებლობაზე, რომლებიც საქართველოს პარლამენტის მიერ არის რატიფიცირებული და იურიდიული ძალა გააჩნია, რაც შეიძლება გახდეს გარკვეული ორიენტირი ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის უფლებების შესახებ კანონმდებლობისა და პრაქტიკის სრულყოფის თვალსაზრისით.

## **2. ჯანმრთელობის დაცვის უფლება, როგორც სოციალური უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განშტოება**

მე-XVII-XVIII საუკუნეებიდან მოყოლებული სამართლებრივ დოგმატიკაში ფეხი მოიკიდა სოციალური სახელმწიფოს იდეამ, რომელიც კანონმდებლობით უნდა ყოფილიყო განმტკიცებული. სახელმწიფომ დაიწყო სოციალური უფლებების აღიარებაზე ფიქრი, მათ შორის მთავარ ამოცანად დაისახა საკუთარ თავზე აედო შრომის, ჯანმრთელობისა და განათლების უფლებების განმტკიცება [5].

სოციალური სახელმწიფო მუდამ უნდა ზრუნავდეს ქვეყანაში სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დამკვიდრებაზე. სოციალურია ისეთი სახელმწიფო, სადაც ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტი მოსახლეობის სოციალური დონის ამაღლება, ადამიანი სოციალური უფლებებზე ზრუნვაა, რაც უნდა გამოიხატებოდეს სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ღონისძიებების განხორციელებით და ამ უფლებების რეალიზაციის ვალდებულება არ უნდა ატარებდეს მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ სოციალური სახელმწიფოს მიზანია სამართლიანი სოციალური წესრიგის დამკვიდრება, საერთო

ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნება, მოსახლეობის შემდგომი დაგვარად თანაბარზომიერი უზრუნველყოფა, ქვეყნის მასშტაბით ცხოვრების მაქსიმალურად თანაბარი პირობების შექმნა. ეს მიზნები, ობიექტური გარემოებების გამო, არ არის სრულად მიღწევადი და სახელმწიფოსათვის წარმოადგენს მუდმივ ამოცანას და ზრუნვის საგანს. სახელმწიფოს ამ მიმართულებით მოქმედების ფართო არეალი გააჩნია [10].

საკონსტიტუციო სასამართლო ასევე ამბობს, რომ „სახელმწიფო ვალდებულია არსებული რესურსების ფარგლებში მოსახლეობის სოციალური უფლებების დასაცავად მიმართოს მაქსიმალურ ძალისხმევას, რათა ამ უფლებათა დაცვის, სულ მცირე, მინიმალურად აუცილებელი დონე მაინც უზრუნველყოს. სხვანაირად, აზრი ეკარგება სახელმწიფოთა საერთაშორისო – სამართლებრივ ვალდებულებებს, რაც გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოს მოქმედებანი ამ მიმართულებით სტაბილურ, ევოლუციურ ხასიათს უნდა ატარებდეს და დადებითი დინამიკით გამოირჩეოდეს [11].

საქართველოში, სოციალური სახელმწიფოს იდეები გამოხატული იყო ჯერ კიდევ 1921 წლის კონსტიტუციაში, სადაც სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს ცალკე თავი ეკავა – „სოციალ-ეკონომიკური უფლებანი“, კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფოს ერთერთი უმთავრესი ფუნქცია მოქალაქეთა ღირსეული არსებობისათვის ზრუნვა იყო [13].

ქართველი ერის ნება სოციალური სახელმწიფოს დამკვიდრების შესახებ ასახულია მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოს ხელი შეუწყოს თავის მოქალაქეებს სოციალური უფლებების განვითარების მიღწევაში. აქედან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს სოციალური სახელმწიფოს პრინციპს, როგორც საქართველოს კონსტიტუციური წესწყობილების ერთ-ერთ ქვაკუთხედს. იგი მოიცავს სამართლებრივი ურთიერთობების ისეთ უმნიშვნელოვანეს ასპექტებს, როგორებიცაა: სოციალური სამართლიანობა, სოციალური თანასწორობა, სოციალური უსაფრთხოება, სოციალური დაცვა და აშ. [1].

საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის 31-ე მუხლი სოციალური სახელმწიფოს ზოგად პრინციპებს განსაზღვრავს, რომლის მიხედვით, სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. აღნიშნული მუხლი მიუთითებს სახელმწიფოს მნიშვნელოვან მისიაზე – უზრუნველყოს სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების განხორციელება საკუთარი ტერიტორიული ერთეულებისა და იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის. რა იგულისხმება სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში? სახელმწიფომ რა ღონისძიებები უნდა გაატაროს მოსახლეობის სოციალური პრობლემების მინიმუმამდე დაყვანისათვის? „სოციალური უზრუნველყოფის მინიმალური სტანდარტების შესახებ“ 1952 წლის 102 კონვენციის შესაბამისად, პირველ რიგში სოციალური უზრუნველყოფის სფეროებს განეკუთვნება სამედიცინო მომსახურება, ავადმყოფობის დროს ფულადი შეღავათი, დახმარება უმუშევრობის, პენსია მოხუცებულობისა და სამუშაო ტრავმის შემთხვევებში, დახმარება მშობიარობის, შეზღუდული შესაძლებლობისა და მარჩენალის დაკარგვის გამო [9]. კონვენციით განმტკიცებული სოციალური უზრუნველყოფის სისტემას შესაძლებელია დაემატოს სხვა უფლებები, რომლებიც სოციალურ სფეროს განეკუთვნება და არანაკლებ აწუხებს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს. ამ სფეროების უზრუნველსაყოფად, პირველ რიგში, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს სპეციალური ფინანსური რესურსები და შესაბამისი პროგრამა, რადგან საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის ნორმა არ იყოს მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის. ავტორთა ნაწილი [8] მიიჩნევს, რომ არ შეიძლება მოქალაქეები მხოლოდ სახელმწიფოს კმაყოფაზე იყვნენ და გულხელდაკრეფილები ელოდებოდნენ სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას საკუთარი სუბიექტური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მათ უნდა გამოიყენონ

სოციალური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად თავიანთი ძალები. ავტორის ამგვარი მოსაზრება საკმაოდ არგუმენტირებულია, ვინაიდან პირველ რიგში საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა ინდივიდმა თვითონ უნდა აიღოს, ხოლო სახელმწიფომ კი უნდა უზრუნველყოს თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სუბიექტური უფლებები, გარკვეული სოციალური რეგულირების მოთხოვნა და კონკრეტული მოვალეობები კანონმდებლისათვის სოციალური სახელმწიფოს ცალკე აღებული პრინციპიდან არ გამომდინარეობს. სწორედ ამიტომ არის 31-ე მუხლის პირველი წინადადება, რომელიც მიმართულია ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის ცხოვრების თანაბარი პირობების შექმნაზე, ნაკლებად პრეტენზიული სახელმწიფოს მიმართ. აქ საუბარია “ზრუნვაზე” სახელმწიფოს მხრიდან და არა “ვალდებულებაზე”, რომელიც ეკისრება სახელმწიფოს. შესაბამისად, 31-ე მუხლის პირველი წინადადება არის სახელმწიფოს მიზნის დამდგენი ნორმა, რომელიც არ არის მოვალეობა, მაგრამ, ამავდროულად, არ არის მხოლოდ დეკლარაციული და პროგრამული დანაწესი. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი წინადადება არ ადგენს ძირითად უფლებას, მის შინაარსსა და ფარგლებს. აქ საუბარია სახელმწიფოს სამომავლო მოქმედებებზე და არა რეალურად არსებულ, აღიარებულ და გარანტირებულ ძირითად უფლებაზე [10]. საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული განმარტებას ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან სახელმწიფოს უპირველესი ვალდებულება უნდა იყოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარი სოციალური პირობების შექმნა და იგი განუწყვეტლივ უნდა ზრუნავდეს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დონის განვითარებისათვის.

სოციალური უფლებები ადამიანის ძირითადი უფლებების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განშტოებაა, რომელთა შორის ფუნდამენტური ადგილი უკავია ჯანმრთელობის დაცვის უფლებას.

ჯანმრთელობის უფლების ყველაზე ფართოდ გამოყენებადი და ყოვლისმომცველი განმარტება მოცემულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტში. პაქტის მე-12 მუხლი განსაზღვრავს, რომ „მოცემული პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყველას უფლებას ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტზე“ [19].

გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებათა კომიტეტის მე-14 ზოგადი კომენტარი განმარტავს, რომ „ჯანმრთელობის უფლება მოიცავს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების მთელ რიგს, რაც ხელს უწყობს პირობებს, რომლებშიც ადამიანებს შეუძლიათ იცხოვრონ ჯანსაღი ცხოვრებით და ვრცელდება ფუძემდებელ პირობებზე“.

ჯანმრთელობის დაცვის უფლება ბევრ ქვეყანას ძირითად კანონში - კონსტიტუციაში აქვს ასახული, ასევე ამ უფლების რეალიზაციის მიზნით რატიფიცირებული აქვს საერთაშორისო ხელშეკრულება, ან კონვენცია, მიღებული აქვს შიდა ეროვნული სამართლებრივი აქტები, რომლითაც უშუალოდ რეგულირდება ჯანმრთელობის დაცვის უფლებასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის უფლება განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლით. აღნიშნული მუხლი მჭიდროდ უკავშირდება კონსტიტუციის მე-15 მუხლს, რომლის მიხედვით, სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და სახელმწიფოს აკისრებს, ისეთი პირობების შექმნის ვალდებულებას, სადაც ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე არ შეექმნება.

ჯანმრთელობის უფლების, როგორც სოციალური უფლებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განშტოების, რეალიზაცია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოზე, რომლის უპირველესი ვალდებულება უნდა იყოს ზრუნვა ქვეყნისა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დონის განვითარებისათვის.

### **3. სახელმწიფოს დისკრეცია ჯანდაცვის სფეროში**

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი ერთის მხრივ ამკვიდრებს სახელმწიფოს ვალდებულებას ხელმისაწვდომი გახადოს სამედიცინო მომსახურება და უზრუნველყოს გარემოს დაცვა, ხოლო მეორე მხრივ, ადამიანს უფლებას აძლევს ისარგებლოს სამედიცინო დაზღვევითა და დახმარებით. იცხოვროს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ, ასევე ავალდებულებს ყველას გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს. აღნიშნული უფლება/ვალდებულება ვრცელდება, როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე. ასეთი კატეგორიის სუბიექტებზე კონსტიტუცია ამბობს: „ყველას აქვს უფლება“. კონსტიტუციის 37-ე მუხლის მიხედვით, ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ავალდებულებს სახელმწიფოს, თუნდაც უმაღლესი ზნეობრივი იდეალებიდან გამომდინარე, აღმოუჩინოს სამედიცინო დახმარება ინდივიდებს, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები, მაგრამ მუდმივად ან დროებით იმყოფებიან საქართველოში [8].

ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზაციის მიზნით საქართველოს კონსტიტუცია სამედიცინო დახმარების ორ მნიშვნელოვან ელემენტს გამოყოფს: ჯანმრთელობის დაზღვევას და კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უფასო სამედიცინო დახმარებას. ჯანმრთელობის დაცვის უფლების მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში ტერმინი „სამედიცინო დახმარება“ იშვიათად გამოიყენება, ძირითადად გამოყენებულია „სამედიცინო მომსახურება“. ავტორთა ნაწილი [8] მიიჩნევს, რომ დახმარება უფრო ერთჯერადი აქტია, ვიდრე მომსახურება. „მომსახურება“, უფრო ადეკვატურად ასახავს მედიცინის მიზნებს, რომლის მიხედვით, სამედიცინო დაწესებულება და ექიმი ვალდებულია არათუ დაეხმაროს, არამედ კვალიფიციურად მოემსახუროს პაციენტს და საუბრობს, კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველ პუნქტში ცვლილების შეტანაზე, რომლითაც „დახმარების“ ნაცვლად, ჩაიწერება „მომსახურება“. ავტორის ამგვარი არგუმენტი გარკვეულწილად დამაჯერებელია, ვინაიდან პაციენტი არის ნებისმიერი პირი, რომელიც, მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სარგებლობს, საჭიროებს ან აპირებს ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მომსახურებით [23]. მომსახურება კი ხორციელდება გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ, ანუ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს მის მიერ გაწეული მომსახურებისათვის მიეცემა შესაბამისი ანაზღაურება, რომელსაც შეიძლება ინდივიდი თავად იხდიდეს, ან სადაზღვევო კომპანია ან/და სახელმწიფო ანაზღაურებდეს. დახმარება კი თავისი შინაარსიდან გამომდინარე უანგარო, ერთჯერად ქმედებად აღიქმება.

ჯანმრთელობის უფლების კონსტიტუციური შინაარსის გაანალიზების გარდა, საჭიროა განისაზღვროს ტერმინი - ჯანმრთელობა. საქართველოს კონსტიტუცია არ განმარტავს ჯანმრთელობის ცნებას. იგი არც საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებშია განმარტებული. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინის ერთმნიშვნელოვანი განმარტება არ არსებობს. ძირითადად გამოიყენება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტება, რომლის მიხედვით „ჯანმრთელობა ეს არის სრული ფიზიკური, გონებრივი და სოციალური კეთილდღეობა, და არამხოლოდ დაავადებისა და უძლურობის არარსებობა“. ავტორთა ნაწილი მიიჩნევს [8], რომ

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის შინაარსს შეესაბამება ჯანმრთელობის ცნების აღნიშნულ განმარტება და ამ ნორმის განმარტებითი ანალიზიდან ჩანს, რომ ჯანმრთელობის დაცვა სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს მრავალი ღონისძიების განხორციელებას. ასეთი დაცვა საჭიროა არა მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანს გარკვეული პრობლემები აქვს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, არამედ, მაშინაც, როცა ის ჯანმრთელია. კონსტიტუციის 37-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ პრევენციულ ღონისძიებებს, როგორცაა: ჯანმრთელობის დაზღვევა, სამედიცინო დახმარება, სამკურნალო საშუალებათა კონტროლი, ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრება, ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა. ამ ღონისძიებების განხორციელებით სახელმწიფო აღწევს ადამიანის სრულ ფიზიკურ, ფსიქიკურ და სოციალურ კეთილდღეობას. ავტორთა ნაწილი კი თვლის, რომ „ჯანმრთელობის ცნების ამგვარი განმარტება არ შეიძლება სრულყოფილად ჩაითვალოს, იმდენად რამდენადაც თითქმის შეუძლებელია მოიძებნოს პიროვნება, რომელიც არსებული განმარტების მიხედვით ჩაითვლება ჯანმრთელად, თუ არაფერს ვიტყვით ადამიანთა ჯგუფზე ან მთლიანად მოსახლეობაზე. ამიტომ, ჯანმრთელობის ცნების არსებული ფორმულირება ალბათ უნდა მივიღოთ, როგორც იმ იდეალური მოდელის განმარტება, რომელსაც ნებისმიერი საზოგადოება უნდა ესწრაფოდეს“ [3.17].

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ჯანმრთელობის დეფინიციის გაანალიზების შედეგად ნათლად ჩანს, რომ ჯანმრთელად ყოფნა მოიაზრებს ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური მდგომარეობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტს, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია სახელმწიფოს დისკრეციაზე. საქართველოს საკანონმდებლო ბაზა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ზემოაღნიშნულ განმარტებას მიესადაგოს ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი ნორმები, თუმცა ჯანმრთელობის უფლების რეალიზაცია მოითხოვს სახელმწიფოსაგან არამხოლოდ სამართლებრივი ნორმებით განმტკიცებას, არამედ გარკვეულ ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას.

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტი მიუთითებს „ხელმისაწვდომ სამედიცინო დახმარებაზე“, რაც გულისხმობს სამ სხვადასხვა კომპონენტს. ესენია:

- ინფორმაციული ხელმისაწვდომობა – სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სამედიცინო მომსახურების შესახებ ყველა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა პაციენტისათვის (სამედიცინო დაწესებულებებში ინფორმაციის განთავსება თვალსაჩინო ადგილზე, მედია საშუალებით ინფორმაციის მიწოდება, განმარტე-ბუკლეტების, პლაკატების და სხვა საშუალებების განთავსება თვალსაჩინო ადგილზე და სხვა).
- გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა – გულისხმობს ამბოლატორიული სამედიცინო დაწესებულებების განლაგებას გარკვეულ რადიუსში, რათა მოხერხდეს მოქალაქეებისათვის დროულად სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.
- ფინანსური ხელმისაწვდომობა – გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ყველა მოქალაქისათვის ჯანდაცვის უზრუნველყოფას, საყოველთაო და თანაბარ ხელმისაწვდომობას სახელმწიფოს სამედიცინო პროგრამების, აგრეთვე სამედიცინო დაზღვევის მეშვეობით [7].

საქართველოში სამედიცინო მომსახურების თანაბრად ხელმისაწვდომობა ხორციელდება სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების საშუალებით. ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ძირითადი მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის დონის ამაღლება. ეფექტურად მომუშავე ჯანდაცვის სისტემამ ყოველმხრივ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობა ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებით. სახელმწიფო სამედიცინო პროგრამები ემსახურება ხელმისაწვდომობის პრინციპს [7]. სამივე კომპონენტის განხორციელება მნიშვნელოვნადაა

დამოკიდებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემაზე, რომლის ძირითადი მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის დონის ამაღლება. ეფექტურად მომუშავე ჯანდაცვის სისტემა უნდა უზრუნველყოს მოსახლეობა ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებით. ამასთან, სახელმწიფო უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას. სამედიცინო მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობა ხორციელდება სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების საშუალებით, რაც გულისხმობს, რომ პაციენტი მიიღებს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ მომსახურებას, შესაბამისი პროგრამების ფარგლებში. შესაძლებელია ზოგ შემთხვევაში სახელმწიფო სამედიცინო მომსახურებას სრულად აფინანსებდეს, ზოგ შემთხვევაში კი პაციენტის მხრიდან თანაგადახდას საჭიროებდეს [6.]

მიუხედავად კონსტიტუციაში დეკლარირებული ვალდებულებისა, უფასო სამედიცინო მომსახურება საქართველოში სრულად ვერ განხორციელდა. 2009 წლიდან დაიწყო ადამიანების გარკვეული ჯგუფების პროგრამული დაფინანსება. სახელმწიფომ უზრუნველყო „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის“, „სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების ჯანმრთელობის დაზღვევის“, „კომპაქტურად დასახლებებში მყოფ იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო დაზღვევის“, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სამედიცინო დაზღვევის“ სახელმწიფო პროგრამების შემუშავება/განხორციელება [26].

საქართველოს მთავრობის 2012 წლიდან ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში სახელმწიფოს მიერ განხორციელდა 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალების და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცების (საპენსიო ასაკის მოსახლეობა), სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევა [27].

საქართველოს ჯანდაცვის სისტემის შემდგომი რეფორმირების პრიორიტეტების განსაზღვრაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოსალოდნელი შედეგების სოციალური, სამედიცინო და ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრას, უპირატესობა მიენიჭა იმ სტრატეგიების შერჩევას, რომელთა განხორციელება შეეხებოდა არამარტო ცალკეულ ჯგუფებს, არამედ მთლიანად ქვეყნის მოსახლეობას.

2013 წლის 21 თებერვლიდან ამოქმედდა საქართველოს მთავრობის №36 დადგენილება „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ [28]. აღნიშნული დადგენილებით დამტკიცდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა პირველადი ჯანდაცვის, ამბულატორიულ, გადაუდებელ და გეგმიურ სტაციონარულ მომსახურებაზე მოსახლეობის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდას, სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შექმნას. 2014 წელს სახელმწიფო დაზღვევის მქონე პირები საყოველთაო ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამაში გაერთიანდნენ. იყო ვარაუდი, რომ ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში გაუარესდებოდა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის №165 და 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი მოსარგებლეების ფაქტობრივი მდგომარეობა. 2014 წელს საქართველოს მთავრობის N36 დადგენილებაში შეტანილი ცვლილებებით, სხვადასხვა სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციარებს ძირითადად შეუწარმუნდათ სამედიცინო მომსახურების ის პირობები, რომლებითაც ისინი სარგებლობდნენ სახელმწიფო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში [12].

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის ზრდის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი მიღწევა იყო 2013 წელს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის დანერგვა, რომელმაც საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყო სამედიცინო მომსახურების საბაზისო პაკეტი. 2014 წელს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხულ ბენეფიციართა 80.3% კმაყოფილი იყო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მიღებული ამბულატორიული სერვისით, ხოლო 96.4% კმაყოფილებას გამოთქვამდა ჰოსპიტალურ დონეზე მიღებული გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებით. ამასთანავე, კვლევის მონაცემებით მოსახლეობა აღნიშნავს, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებით გაიზარდა მათი ფინანსური ხელმისაწვდომობა ამბულატორიულ (გამოკითხულთა - 77%) და სტაციონარულ (გამოკითხულთა - 88%) სერვისებზე [29].

საზოგადოების ნაწილი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამას წარმატებულად მიიჩნევს, რადგანაც მოსახლეობაში არსებობს აღნიშნული პროგრამის მიმართ კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი, ნაწილი კი თვლის, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არაეფექტურია, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა სახელმწიფოს ხარჯები, თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენა სხვადასხვა სოციალურ ფენას მიკუთვნებული მოქალაქეები და მთელი რიგი პრობლემები შეუქმნა კერძო სადაზღვევო სექტორს, რომელიც კლიენტს კარგავს.

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, აღნიშნული პროგრამა შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის გარანტიად, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნავდეს, როგორც სახელმწიფო, ასევე პირადად ინდივიდი. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს სადაზღვევო სისტემის განვითარებას, ხოლო ადამიანმა უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს საკუთარ ჯანმრთელობაზე და მხოლოდ სახელმწიფოზე არ უნდა იყოს დამოკიდებული.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გამოწვევაა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის N724 დადგენილება, რომლითაც დამტკიცდა 2014-2020 წლების საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფცია „საყოველთაო ჯანდაცვა და ხარისხის მართვა პაციენტთა უფლებების დასაცავად“. აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია ჯანდაცვის სისტემის განვითარების ხედვა, რომელშიც თავმოყრილია დარგის განვითარების საფუძვლები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე აღიარებულ პრინციპებთან და ფასეულობებთან მიმართებაში. დოკუმენტში, ასევე, განსაზღვრულია ჯანდაცვის სექტორის ძირითადი მახასიათებლებისა და პრიორიტეტული დაავადებების ეფექტური პრევენციისა და მართვის კუთხით გასატარებელი სტრატეგიული რეფორმებისა და სამოქმედო გეგმების ძირითად ასპექტები [29].

მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებების შესახებ ქვეყნას გააჩნია მყარი სამართლებრივი ბაზა და სახელმწიფო ახორციელებს სხვადასხვა მნიშვნელოვან პროგრამებს, ამ უფლების სრული რეალიზაციისათვის კვლავ არსებობს მთელი რიგი პრობლემები, მათ შორისაა მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობა, მედიკამენტებზე მოსახლეობის ფინანსურად ხელმიუწვდომლობა, მედიკამენტების მაღალი ფასები, სამედიცინო მომსახურების არასრული პაკეტი და ა.შ. ამ პრობლემების აღმოფხვრისთვის საჭიროა მოსახლეობისათვის მედია საშუალებით ინფორმაციის მიწოდება და თვალსაჩინო ადგილზე ინფორმაციის განთავსება, მედიკამენტოზური მკურნალობის მიზნით შესაბამისი პროგრამის შემუშავება, ასევე უპრიანია იქნებოდა სახელმწიფო თუკი დაარეგულირებდა მედიკამენტების ფასებს, რომელიც შესაძლებელია მოწესრიგდეს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებით, გადაიხედოს არსებული პროგრამების ეფექტიანობაზე და შემუშავდეს მოსახლეობის ინტერესებზე უფრო მეტად ორიენტირებული პროგრამები.

ჯანმრთელობის უფლება მჭიდროდ უკავშირდება და დამოკიდებულია ადამიანის სხვა უფლებათა რეალიზებაზე. ეს მოიცავს სიცოცხლის, ადამიანის პატივისა და ღირსების, განათლების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანასწორობის, წამების აკრძალვის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და შეკრების, გაერთიანების და გადაადგილების თავისუფლების უფლებებს, რომლებიც წარმოადგენენ ჯანმრთელობის უფლების განუყოფელ კომპონენტებს.

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში მოცემული მუხლების უმრავლესობა იცავს ინდივიდის ჯანმრთელობას. მე-15 მუხლის მიხედვით, სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი, მე-17 მუხლი ამბობს, რომ ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლება შეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება [14].

#### **4. ეროვნული საკანონმდებლო აქტების ზოგადი მიმოხილვა**

საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმა რეალურად 1995 წელს დაიწყო, რომელიც მიზნად ისახავდა ჯანდაცვის ორგანიზაციისა და მართვის ისეთი მოდელის დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფდა დარგში ახალი ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრებასა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და საერთაშორისო ვალდებულებების საფუძველზე შეიმუშავა შესაბამისი კანონმდებლობა.

გარდა საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლისა, ქვეყანაში მოქმედებს მთელი რიგი სამართლებრივი აქტები, რომლების უმუალოდ უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობის უფლების დაცვის რეგულაციას.

საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ჯანდაცვის კანონმდებლობის ძირითად ქუდს ქმნის შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

1. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც შეიცავს საკმაოდ ძლიერ, დეკლარაციული ხასიათის დებულებებს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობის შესახებ, ასევე ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის, პაციენტის პატივის, ღირსების და მისი ავტონომიის აღიარების, პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ პაციენტთა, აგრეთვე ამა თუ იმ დაავადების მქონე პირთა დისკრიმინაციისგან დაცვის შესახებ.

კანონის მე-2 თავი ეთმობა მოქალაქეთა უფლებებს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში და კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას, აწესებს გარანტიებს ინფორმაციის მიღების, ინფორმირებული თანხმობის, სამედიცინო მომსახურების გაწევის არჩევის უფლების და სამედიცინო ჩარევაზე უარის თქმის შესახებ [21].

2. „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონი არეგულირებს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის შესაბამისი პროფესიული განათლების, პრაქტიკული მომზადების, მის პროფესიულ საქმიანობაზე სათანადო სახელმწიფო ზედამხედველობის დაწესების საკითხებს, ასევე სამართლებრივ ურთიერთობებს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტსა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის. კანონი განსაზღვრავს, რომ საექიმო საქმიანობის



სუბიექტი უნდა ხელმძღვანელობდეს მხოლოდ პროფესიული სტანდარტებით, ჰუმანიზმის პრინციპებით, საქართველოს კანონმდებლობით და პატივს სცემდეს პაციენტის ღირსებას, აღმსარებლობასა და ტრადიციებს [24].

3. „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული საკანონმდებლო აქტი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად კანონს ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობაში, რომლის უშუალო მიზანიც არის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქალაქის უფლებების დაცვა, აგრეთვე მისი პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა. კანონი კრძალავს ყოველგვარ დისკრიმინაციას და მკაფიოდ იცავს პაციენტის ძირითად უფლებებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, ინფორმირებულ თანხმობაზე, მკურნალობისა და მოვლის საუკეთესო ხელმისაწვდომ სტანდარტზე, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე და პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობაზე [23].

4. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მოქმედებს 2007 წლიდან. კანონის მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა; ოჯახის რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება. კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირზე. კანონმდებელი მე-2 თავში ახდენს ადამიანის უფლებების დეკლარირებას საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან მიმართებაში. კერძოდ, კანონი ამბობს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა ადამიანის უფლებაა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში დაცული იყოს გადამდები დაავადებებისაგან, ასევე ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში. იგი არეგულირებს სპეციფიკური ინფექციების საკითხებსაც და აკეთებს ზოგად დათქმას, რომ ამ სფეროში სახელმწიფო შეიმუშავებს პრევენციისა და კონტროლის სტრატეგიის შემუშავებას და განხორციელებას. კანონში ასევე მოცემულია ზოგადი დებულება ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის შესახებ [25].

ქვეყანაში მოქმედებს სპეციალური კანონები, რომლებიც ეხება მარგინალური ჯგუფების სხვადასხვა კატეგორიას. კერძოდ, აივ/ინფიცირებულების უფლებებს არეგულირებს კანონი აივ ინფექცია/შიდსის შესახებ, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა უფლებებს არეგულირებს საქართველოს კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ, წამალ დამოკიდებულ პირთა უფლებებს არეგულირებს საქართველოს კანონი ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ, ხოლო პატიმრების უფლებებს (მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში) არეგულირებს პატიმრობის კოდექსი და ა.შ.

გარდა აღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებების მარეგულირებელ საქართველოს ძირითად საკანონმდებლო აქტებს წარმოადგენს:

- „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „სამედიცინო–სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონი;

- „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „იოდის, სხვა მიკროელემენტებისა და ვიტამინების დეფიციტით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი
- „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ბავშვთა ბუნებრივი კვების დაცვისა და ხელშეწყობის, ხელოვნური საკვების მოხმარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „პატიმრობის კოდექსი“ საქართველოს კანონი;
- „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ საქართველოს კანონი;

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტების გარდა, რომლითაც უშუალოდ რეგულირდება ადამიანის ჯანმრთელობის უფლებები, საქართველოში მოქმედი სხვა ზოგადი საკანონმდებლო აქტების შესაბამისი ნორმებიც აწესრიგებს ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხლი განსაზღვრავს ექიმის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ იგი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფს არასაპატიო მიზეზით სამედიცინო დახმარების არ აღმოუჩენს [22]. კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის გარეშე სამედიცინო მომსახურების გაწევისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი [20] ადგენს შესაბამის საჯარიმო სანქციებს (მუხლი 44<sup>2</sup>, მუხლი 44<sup>5</sup>, მუხლი 44<sup>7</sup>, მუხლი 44<sup>8</sup>, მუხლი 44<sup>9</sup>, მუხლი 44<sup>10</sup>), „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამ კანონის მიზანს წარმოადგენს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, ადამიანის სხვა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან ერთად, კანონი ცალკე გამოყოფს ჯანმრთელობის მდგომარეობას და ამბობს, რომ მიუხედავად ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობისა, იგი თანასწორია და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი იგივე უფლებებით სარგებლობს, რითაც სხვა ჯანმრთელი ადამიანები. ამ ნიშნით დაუშვებელია ყოველგვარი დისკრიმინაცია და ა.შ.

**5. ჯანმრთელობის დაცვის უფლება სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში და მათი იმპლემენტაციის მდგომარეობა ეროვნულ კანონმდებლობაში**

ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის უფლება მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულებითაა აღიარებული.

ჯანმრთელობის დაცვის უფლება და სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ჯანდაცვაზე სხვადასხვაგვარად არის თავმოყრილი საერთაშორისო კანონმდებლობაში. უფლება ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტზე საერთაშორისო აქტების უმეტეს ნაწილში სხვადასხვანაირად არის განმარტებული. ჯანმრთელობის დაცვის უფლება შეიძლება სხვა უფლებათა შემადგენლობაში შედიოდეს და პირდაპირ თუ არაპირდაპირ გულისხმობდეს მას.

1991 წლის 9 აპრილის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად გამოცხადდა საერთაშორისო სამართლის ნორმების უპირატესი მნიშვნელობა საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების უშუალო მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველო შეუერთდა მრავალ ხელშეკრულებას ადამიანის უფლებათა სფეროში და იკისრა ეროვნული სამართლის - საერთაშორისო სამართლის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება [2].

საერთაშორისო სამართლის ძირითადი დოკუმენტები, სადაც ჯანმრთელობის დაცვის უფლება დეკლარირებულია - არის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელსაც საქართველო მიუერთდა 1991 წელს და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ზოგიერთი დებულება გარკვეულწილად კავშირშია ჯანმრთელობის დაცვის უფლებასთან, უფლებათა განუყოფლობისა და ერთიანობის ჭრილში. კერძოდ, პაქტის მე-6 და მე-7 მუხლები უშუალო კავშირშია ჯანმრთელობის დაცვის უფლებასთან. აღნიშნული პაქტი საქართველოში ძალაშია 1994 წლიდან. ჯანმრთელობის უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (1948 წელი) 25-ე მუხლით, ევროპის სოციალური ქარტიის (1961 წელი) მე-11 მუხლით, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის (1966 წელი) მე-12 მუხლით, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (1979 წელი) მე-12 მუხლით, ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციის (1989 წელი) 24-ე მუხლით. აღნიშნულ საერთაშორისო დოკუმენტებში დაცული დებულებები მიუთითებენ არა მარტო ადამიანის ჯანმრთელობის უფლებაზე, არამედ ჯანმრთელობის ისეთ წინაპირობებზე, როგორცაა უსაფრთხო წყალი, სათანადო კვება და გარემოს დაცვით განპირობებული ჯანმრთელობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის სოციალურ ქარტიის იმპლემენტაციის პროცესი საქართველოს პარლამენტის 2005 წლის პირველი ივლისის N1876 დადგენილებით დაიწყო. აღნიშნული პაქტიდან საქართველო სავალდებულოდ მხოლოდ გარკვეულ მუხლებს აღიარებს, მათ შორისაა მე-11 მუხლი, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეებს აკისრებს ვალდებულებას უშუალოდ ან სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მიიღონ ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს: ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზების მაქსიმალურად აღმოფხვრას; საკონსულტაციო და საგანმანათლებლო საშუალებების უზრუნველყოფას ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ჯანდაცვის საკითხებში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დადგენის მიზნით და მაქსიმალურად შესაძლო დონეზე ეპიდემიურ, ენდემურ და სხვა დაავადებათა, ისევე როგორც უბედურ შემთხვევაში აღკვეთს [17].

ჯანმრთელობის უფლების მნიშვნელოვან აღიარებას შეიცავს „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მე-12 მუხლი, რომელიც ეხება

არამართო უფლებას ზოგადად, არამედ ნაბიჯებსაც, რომლებიც უნდა გადაიდგას ამ უფლების განხორციელებისათვის. აღნიშნული მუხლი პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს გაატარონ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც საჭიროა მკვდრადშობადობისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისა და ბავშვის ჯანსაღი განვითარების უზრუნველყოფისათვის; გარემოს ჰიგიენისა და მრეწველობაში შრომის ჰიგიენის ყველა ასპექტის გაუმჯობესებისათვის; ეპიდემიური, ენდემურ, პროფესიული და სხვა დაავადებების თავიდან აცილებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლისათვის [18]. ამ მნიშვნელოვან დოკუმენტს საქართველოს 1994 წელს შეუერთდა.

საქართველო 1994 წლიდან შეუერთდა „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციას, რომლის 24-ე მუხლის მიხედვით მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე უფრო სრულყოფილი მომსახურებით და დაავადებათა მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენის საუკეთესო საშუალებებით. აღნიშნულ მუხლში მოცემულია ზომები, რომლებიც უნდა განხორციელდეს, მათ შორის ახალშობილთა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება, სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა პირველად ჯანდაცვაზე ყურადღების გამახვილებით, ბრძოლა დაავადებებისა და საკვების ნაკლებობის წინააღმდეგ, დედებისათვის სათანადო დახმარების გაწევა მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომ პერიოდებში, ინფორმირება ბავშვთა ჯანმრთელობის, კვების და ძუძუთი კვების უპირატესობის შესახებ, პროფილაქტიკური სამედიცინო დახმარების განვითარება და ტრადიციული პრაქტიკის აღმოფხვრა, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ბავშვთა ჯანმრთელობაზე [19].

„საქართველოს დამოკიდებულება საერთაშორისო სამართლისა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობისადმი მკაფიოდ გამოხატულია ფორმულაში – საქართველოს რესპუბლიკა აღიარებს საერთაშორისო სამართლის პრინციპს საქართველოს კანონების მიმართ“ [1].

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მიხედვით, „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალო მოქმედი სამართლით,“ შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში წარმოდგენილი ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ძირითადად, გამომდინარეობს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პრინციპებიდან.

საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, „საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან“ [13]. აღნიშნული, ძირითადად, ვრცელდება საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო-სამართლებრივ ჩვეულებით ნორმებზე (პრინციპებზე). რაც შეეხება საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ისინი ვერ თავსდება ან აღნიშნულ ფორმულაში და მათი მოქმედება ქვეყნების ტერიტორიაზე გამორიცხულია სათანადო სპეციალური აქტის გარეშე [1]. აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო სამართლებრივი აქტები ძალაში შედის საქართველოს მიერ მისი რატიფიცირების შემთხვევაში, რის შემდეგაც იგი ხდება შესაბამისი საერთაშორისო აქტის მონაწილე სახელმწიფო, რომელიც ვალდებულია გადასინჯოს ეროვნული კანონმდებლობა

საერთაშორისო აქტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და ხელი შეუწყოს მის განხორციელებას.

ეროვნული სასამართლოების მიერ პრაქტიკაში საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმები მათი ზოგადი ხასიათის გამო იშვიათად გამოიყენება, ხოლო მაშინ, როდესაც ეს ნორმები, ამა თუ იმ სახით, ეროვნული სამართლის ნორმებშია ასახული, სასამართლოები ბედავენ მათ გამოყენებას [1]. ავტორის ამგვარი მოსაზრება მართებულია, ვინაიდან საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებული პრაქტიკის მიხედვით, იშვიათადაა გამოყენებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის უფლების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სამართლებრივი აქტების რატიფიცირების შემდგომ არის მიღებული, აქედან გამომდინარე, ივარაუდება, რომ მათში გატარებული ძირითადი პრინციპები შეესაბამება საერთაშორისო დოკუმენტებში დაცულ უფლებებს.

საერთაშორისო აქტების, მათ შორის ეკონომიკური, კულტურული და სოციალური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლის შინაარსის უშუალო გავლენად შეიძლება ჩაითვალოს სხვადასხვა სპეციალური კანონების არსებობა ეროვნულ კანონმდებლობაში. მაგალითად, საქართველოს კანონები „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“, „აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“ და „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ არეგულირებს აღნიშნული დაავადებებით დაავადებული მარგინალური/მოწყვლადი ჯგუფების უფლებრივ მდგომარეობას, ხოლო „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი შეიცავს დეკლარაციულ დებულებებს სამედიცინო დახმარების მოსახლეობისათვის საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობის შესახებ, თუმცა კანონში არ არის სათანადოდ დაცული მარგინალური/მოწყვლადი ჯგუფების უფლებები, მიუხედავად იმისა, რომ მათი უფლებების დარღვევის უფრო მეტი საფრთხე არსებობს. ვინაიდან ჯანმრთელობის დაცვის უფლების ძირითადი მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონია უპირაჩი იქნებოდა კანონში მარგინალური ჯგუფების უფლებების დაცვის მარეგულირებელი ნორმების შეტანა.

საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს შორის ერთერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია ბავშვის უფლებების კონვენცია და იგი ყველაზე ფართოდ აღიარებულ დოკუმენტად ითვლება, რომლის მონაწილე სახელმწიფოებს შორის საქართველოცაა. საქართველოს ამ დოკუმენტს 1994 წელს შეუერთდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანამ აიღო კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პასუხისმგებლობა. მიუხედავად ამისა, დღემდე საქართველოში არ არსებობს კანონი ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ, როგორც ეს სხვა ქვეყნებშია მიღებული, მაშინ როდესაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ბავშვთა უფლებების დარღვევის უამრავი ფაქტი ხდება. მიზანსწორილია მიღებული იქნას კანონი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ბავშვთა უფლებები, მათ შორის ჯანდაცვის სფეროში.

## **დასკვნა**

როგორც წინამდებარე ანალიზი ცხადყოფს ჯანმრთელობის უფლება ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა და მისი სრული სახით რეალიზაცია სახელმწიფოზე დამოკიდებული.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა. სახელმწიფოს მთავარი პრიორიტეტი გახდა ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა და ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც ორიენტირებულია მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების გეოგრაფიულ და ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებების შესახებ ქვეყანას გააჩნია მყარი სამართლებრივი ბაზა, რომელიც ძირითადად გამომდინარეობს იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და კონვენციებიდან, რომლის მონაწილე სახელმწიფოცაა საქართველო. სახელმწიფო ახორციელებს სხვადასხვა მნიშვნელოვან პროგრამებს. მიუხედავად ამისა, ამ უფლების სრული რეალიზაციისათვის კვლავ არსებობს მთელი რიგი პრობლემები, მათ შორისაა მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობა, მედიკამენტებზე მოსახლეობის ფინანსურად ხელმიუწვდომელობა, მედიკამენტების მაღალი ფასები, სამედიცინო მომსახურების არასრული პაკეტი და ა.შ. ამ პრობლემების აღმოფხვრისთვის მიზანშეწონილია სახელმწიფოს მხრიდან, როგორც ჯანმრთელობის უფლების დაცვის გარანტიებზე ზრუნვა, ასევე მოქალაქეთა ინფორმირების მექანიზმების სრულყოფა. კერძოდ, მოსახლეობისათვის მედია საშუალებით ინფორმაციის მიწოდება და თვალსაჩინო ადგილზე ინფორმაციის განთავსება, მედიკამენტოზური მკურნალობის მიზნით შესაბამისი პროგრამის შემუშავება, ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფომ დაარეგულიროს მედიკამენტების ფასები, რომელიც შესაძლებელია მოწესრიგდეს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებით, გადაიხედოს არსებული პროგრამების ეფექტიანობაზე და შემუშავდეს მოსახლეობის ინტერესებზე უფრო მეტად ორიენტირებული პროგრამები.

მნიშვნელოვან საკითხად რჩება მოქალაქეთა პასუხისმგებლობა საკუთარ ჯანმრთელობაზე, რაც ჯანმრთელობის დაზღვევით უნდა გამოიხატებოდეს. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კერძო სადაზღვევო სისტემის განვითარებას.

მედიცინის სწრაფად განვითარებასთან ერთად მკვეთრად იმატა ამ სფეროში მოქალაქეთა დავებმა და საჩივრებმა. აქედან გამომდინარე, სასურველია სახელმწიფომ უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენა და განსაზღვროს ამ დარღვევასთან ბრძოლის გზები. კონსტიტუციით ჯანმრთელობის დაცვის უფლების აღიარება, მის პრაქტიკულ და ეფექტურ დაცვას ავტომატურად ვერ უზრუნველყოფს. უფლების რეალიზაცია დამოკიდებულია პოლიტიკურ ნებაზე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე, სასამართლო სისტემის ეფექტურობაზე და სხვადასხვა უფლებათა დამცველი ორგანიზაციების ძალისხმევაზე.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი შეიცავს დეკლარაციულ დებულებებს სამედიცინო დახმარების მოსახლეობისათვის საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობის შესახებ, კანონში არ არის სათანადოდ დაცული მარგინალური/მოწყვლადი ჯგუფების უფლებები. უპრიანი იქნებოდა კანონში მარგინალური ჯგუფების უფლებების დაცვის მარეგულირებელი ნორმების შეტანა.

საქართველო 1994 წლიდან ბავშვის უფლებების კონვენციის მონაწილე სახელმწიფოა. ქვეყანას აღებული აქვს კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პასუხისმგებლობა. მიუხედავად ამისა, დღემდე საქართველოში არ არსებობს კანონი ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ. მიზანშეწონილია მიღებული იქნას შესაბამისი საკანონმდებლო აქტი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ბავშვთა უფლებები, მათ შორის ჯანდაცვის სფეროში.

### **ბიბლიოგრაფია**

1. ალექსიძე ლ., 2010. *თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“*, თბილისი;
2. ახვლედიანი მ. 2011. *ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონსტიტუციური გარანტიები საქართველოში*. თბილისი;
3. გერზმავა ო. 2008. *საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი*. თბილისი

4. იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., 2005. *საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები*, თბილისი: მერიდიანი;
5. იზორია, *თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია*, 2009, გვ. 43.
6. კვაჭაძე მ., მანჯავიძე ირ., 2010. *ადამიანის უფლება ჯანმრთელობაზე და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა*. თბილისი;
7. კვაჭაძე მ., მანჯავიძე ი., კვანტალიანი ნ., მირზიკაშვილი ნ., გვენეტაძე ნ., აზაურაშვილი გ. 2011. წიგნი პაციენტებისათვის „ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა“ (გზამკვლევი). თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო;
8. ქანთარია ბ. 2013. *საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის კომენტარი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი*. თბილისი: შპს „პეტიტი“;
9. ადამიანის უფლებები: *სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის*, 2009. ხელმისაწვდომია: <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1--0-10-0--0-0--0-0prompt-10--.%2e-4---4--0-0l--11-en-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-00&a=d&c=samartal&cl=CL4.2&d=HASH01b75e94e1fa8d3d8337472a.2.5#HASH01b75e94e1fa8d3d8337472a.2.5>;
10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის №2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები პარლამენტის წინააღმდეგ;
11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის № 1/1/27, 129, 158 გადაწყვეტილება საქმეზე ბაჭუა გაჩეჩილაძე, ვლადიმერ დობორჯგინიძე, გივი დონაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
12. საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2439.pdf>;
13. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, თავი მე-13. ხელმისაწვდომია <http://constcommission.ge/1921>;
14. საქართველო. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი. 1995. კონსტიტუციური კანონი: საქართველოს კონსტიტუცია (786, 24/08/1995). თბილისი, საკანონმდებლო მაცნე N31-33; ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/303460>. (04.10.2013 წლის მდგომარეობით);
15. ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია (1948). ხელმისაწვდომია <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf>;
16. ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების შესახებ (1950); ხელმისაწვდომია: <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1---0-10-0---0---0direct-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=samartal&cl=CL4.2&d=HASHf0877861c7b833d8b38f87.1>;
17. ევროპის სოციალური ქარტია (1961). ხელმისაწვდომია Codex R3;
18. „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი (1966). ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1483577>;
19. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია (1989). ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901>;
20. საქართველო. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. 1984. კანონი: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (161, 15/12/1984). თბილისი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 12-ის დანართი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216>. (16.02.2016 წლის მდგომარეობით);

21. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 1997. კანონი: ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (1139, 10/12/1997). თბილისი, საკანონმდებლო მაცნე N47-48. (ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980>. (11.12.2015 წლის მდგომარეობით);
22. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 1999. კანონი: სისხლის სამართლის კოდექსი (2287, 22/07/1999) თბილისი, საკანონმდებლო მაცნე N41(48). ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>. (18.12.2015 წლის მდგომარეობით);
23. საქართველო. საქართველოს პარლამენტი, 2000. საქართველოს კანონი: პაციენტის უფლებების შესახებ (283, 05/05/2000). თბილისი, საკანონმდებლო მაცნე N19 ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16978>. (11.12.2015 წლის მდგომარეობით);
24. საქართველო. საქართველოს პარლამენტი, 2001. საქართველოს კანონი: საექიმო საქმიანობის შესახებ (904, 08/06/2001). თბილისი, საკანონმდებლო მაცნე N18. ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/15334>. (16.07.2015 წლის მდგომარეობით);
25. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2007. საქართველოს კანონი: საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ (5069, 27/06/2007). თბილისი, საკანონმდებლო მაცნე N26. ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21784>. (11.12.2015 წლის მდგომარეობით);
26. საქართველო. საქართველოს მთავრობა, 2009. საქართველოს მთავრობის დადგენილება: სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ(218, 09/12/2009). თბილისი, საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4372>. (17.10.2014 წლის მდგომარეობით);
27. საქართველო. საქართველოს მთავრობა, 2012. საქართველოს მთავრობის დადგენილება: ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალების და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცების (საპენსიო ასაკის მოსახლეობა), სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ (165, 08/05/2012). თბილისი, საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1650266>. (15.08.2014 წლის მდგომარეობით);
28. საქართველო. საქართველოს მთავრობა, 2013. საქართველოს მთავრობის დადგენილება: საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ (36, 21/02/2013). თბილისი, საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1852448>. (30.10.2015 წლის მდგომარეობით);
29. საქართველო. საქართველოს მთავრობა, 2014. საქართველოს მთავრობის დადგენილება: 2014-2020 წლების საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფციის „საყოველთაო ჯანდაცვა და ხარისხის მართვა პაციენტთა უფლებების დასაცავად“ დამტკიცების შესახებ (724, 26/12/2014). თბილისი, საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2657250>.



**ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად  
დამდგარი ზიანის თავისებურებანი**

**რეზიუმე**

დელიქტურ სამართალში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის გავრცელებული შემთხვევაა მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენების შედეგად ზიანის მიყენება. მომეტებული საფრთხის წყაროს თავისებულების გათვალისწინებით შეუძლებელია მასზე ადამიანის მიერ სრული კონტროლის განხორციელება. მომეტებული საფრთხის წყაროს მოხმარება სამართლებრივად ნებადართულია, თუმცა მისგან გამომდინარე ზიანისათვის პასუხისმგებლობა ჩვეულებრივი სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობასთან შედარებით უფრო მკაცრია – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს ბრალის მიუხედავად ეკისრება. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის პრინციპი ვრცელდება მომეტებული საფრთხის წყაროებზე (ავტოსატრანსპორტო საშუალება, მანქანა-დანადგარები და სხვა), რომელთა ფლობა შედარებით მაღალი ხარისხით განაპირობებს საზიანო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, კერძოდ პირს პასუხისმგებლობა ეკისრება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ზიანის დადგომისას მფლობელს დაცული აქვს მომეტებული საფრთხის წყაროს ექსპლუატაციის წესები. ამ კუთხით აქტუალურ საკითხს წარმოადგენს პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა, რაც განსხვავებულად წესრიგდება საქართველოსა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით.

**საძიებო სიტყვები:** ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა, მომეტებული საფრთხის წყარო, სატრანსპორტო საშუალება, ზიანი, პირდაპირი მფლობელი, არაპირდაპირი მფლობელი

**Avtandil Nacvaladze**

Gridol. Robakidze University,  
School of Law, Ph.D. Student

**Particularities of Damage Related to the operation of a motor vehicle**

**Summary**

The common source of increased danger in the tort law of liability are results of damage without fault committed by negligence. Often it is impossible to fully control of man-made properties which are source of increased danger. Such sources of increased danger are legally permitted to use, but the subsequent damage to the normal responsibilities of a civil liability of more stringent legal - obligation to compensate the owner of the source of increased danger regardless of the fault lies. The reason is that without fault liability principle applies to the growth of threat sources (vehicles, machinery, etc.), which maintained

a relatively high level due to the damaging consequences of such a person is liable even when damage occurs to the owner secured has increased source of the threat of exploitation rules. In this regard, the urgent issue is the determination of the person in charge, which is regulated differently on foreign law.

**Keywords:** liability without fault, the source of increased danger, vehicle, damage, direct owner, indirect owner

## ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის თავისებურებანი

### შესავალი

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევებს უმეტესწილად განსხვავებულია უცხო ქვეყნებში მოქმედი კანონმდებლობისგან. პრობლემა ძირითადად წარმოიშობა პასუხისმგებელ პირთა წრის განსაზღვრისას, როდესაც მესაკუთრეს სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე ფლობის უფლებით გადაცემული აქვს პირდაპირი მფლობელისათვის მომეტებული საფრთხის წყარო, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს მესაკუთრეს მფლობელთან ერთად უნდა დაეკისროს თუ არა პასუხისმგებლობა. ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარ ზიანს ადგილი აქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ამდენად აუცილებელია პასუხისმგებელი პირის სწორად განსაზღვრა და ამ საკითხის საკანონმდებლო დონეზე სწორი მოწესრიგება. მოცემული თემის მიზანს წარმოადგენს კვლევის შედეგად სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანისას მარეგულირებელ ეროვნულ კანონმდებლობაში ნაკლოვანებების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის შესაძლო გზების დასახვა.

### ძირითადი ნაწილი

ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი. ხოლო ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, თუ პირი სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მფლობელის ნებართვის გარეშე, იგი ვალდებულია მფლობელის ნაცვლად აანაზღაუროს ზიანი. ამასთან, მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ბრალის გამო. ამ ნაწილის პირველი წინადადება არ გამოიყენება, თუ მოსარგებლე მფლობელის მიერ დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართავად, ან თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისგან.

აღნიშნული ნორმით არ არის დაკონკრეტებული თუ რომელი სუბიექტი მოიაზრება მფლობელში, ამდენად მფლობელად შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ან პირი რომელიც კანონიერი საფუძველით ფლობს მას. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ნორმით გათვალისწინებული “მფლობელის” ცნების ქვეშ იგულისხმება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე. მიუხედავად იმისა, რომ მესაკუთრის ნების

საფუძველზე სატრანსპორტო საშუალების მფლობელობისა და სარგებლობის უფლების გადაცემის შედეგად მისი მიმღები პირი ხდება მართლზომიერი მფლობელი, აღნიშნული ნორმა ასეთ პირს უწოდებს “მოსარგებლეს”. [4]

სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი განასხვავებს ოთხ შემთხვევას:

- მფლობელის მიერ სატრანსპორტო საშუალებით ზიანის მიყენებას;
- მფლობელის მიერ სატრანსპორტო საშუალების სამართავად დანიშნული პირის მიერ ზიანის მიყენებას.
- მფლობელის მიერ მოსარგებლისათვის გადაცემული სატრანსპორტო საშუალებით ზიანის მიყენებას.
- იმ პირის მიერ ზიანის მიყენებას, როდესაც სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მფლობელის ბრალის გამო. [4]

აღნიშნული მუხლი ასევე ითვალისწინებს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს, კერძოდ სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა არ გამოიყენება, როცა ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი წარმოიშვა საავიაციო ტრანსპორტის ექსპლუატაციის დროს. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 09 ნოემბრის გადაწყვეტილებით განმარტებულია, რომ სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას სატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს, თუ ზიანი გამოწვეულია თუნდაც ნივთის ექსპლუატაციის დროს, მაგრამ სხვა გარე ფაქტორების ზემოქმედებით და არა მომეტებული საფრთხის წყაროს თვისებებიდან გამომდინარე. პასუხისმგებლობის მთლიან ან ნაწილობრივ გამომრიცხველ გარემოებად უნდა ჩაითვალოს როგორც დაუძლეველი ძალა (სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი), ასევე დაზარალებულის ბრალი. [1]

ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის პრობლემა წარმოიშობა, მფლობელის მიერ მოსარგებლისთვის სატრანსპორტო საშუალების გადაცემისას დამდგარი ზიანის დროს. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში სასამართლო პრაქტიკაში ჩამოყალიბდა შემდგომი მიდგომა, კერძოდ: - უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილით მფლობელის პასუხისმგებლობის წარმოშობის ერთ-ერთ წანამდღვარს წარმოადგენს მფლობელის მიერ ნივთის მოსარგებლისთვის გადაცემა. ამასთან, ნორმის მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელობა არ აქვს, მფლობელობა პირდაპირია თუ არაპირდაპირი. მთავარია, რომ ნივთის გადაცემა მფლობელის მიერ უნდა ხორციელდებოდეს მართლზომიერ საფუძველზე. თხოვების ხელშეკრულება თავისი იურიდიული ბუნებით ცალმხრივი ხელშეკრულებაა და ამ ხელშეკრულების ფარგლებში მოთხოვნის უფლება გააჩნია მხოლოდ გამნათხოვრებელს, ხოლო მონათხოვრეს აკისრია მხოლოდ ვალდებულებები. ასეთ შემთხვევაში, როდესაც სამართალურთიერთობას ჰყავს ერთადერთი მოთხოვნის მქონე სუბიექტი, ნივთის განათხოვრების შედეგად დამდგარი ზიანის რისკის მატარებელი სწორედ გამნათხოვრებელია (მესაკუთრე). სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარგებლეზე ავტომატურად განათხოვრებით ნივთის მფლობელს (მესაკუთრეს) შეუწარმუნდა ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციით მოსალოდნელი რისკიც და მის შედეგზე პასუხისმგებლობაც და მფლობელობის გადაცემით იგი მონათხოვრეზე (მოსარგებლეზე) არ გადასულა. მეორე მხრივ არ

გამოირიცხა მოსარგებლის პასუხისმგებლობა, რომელსაც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე. [2]

- საქმე #ას-864-822-2013-ზე სასამართლომ განმარტა – სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლით ზიანის ანაზღაურებისათვის გასათვალისწინებელია ორი გარემოება, რომლის არსებობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს სატრანსპორტო საშუალების მფლობელს (მესაკუთრეს) და არა მოსარგებლეს. კერძოდ, ეს გარემოებებია: ა. მოსარგებლე მფლობელის მიერ დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართავად; ბ. სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან. ორივე შემთხვევაში მოსარგებლის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს სატრანსპორტო საშუალების მფლობელს და არა მოსარგებლეს. ასეთ დროს მნიშვნელობა ენიჭება მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ მიყენებული ზიანის ინსტიტუტის თავისებურებას, რომლის შესაბამისად, სამოქალაქო პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს პირს, რომელიც არ წარმოადგენს ზიანის მიმყენებელს, ბრალი არ მიუძღვის ზიანის მიყენებაში. ეს პასუხისმგებლობა განსაკუთრებით მკაცრი პასუხისმგებლობაა, რომელიც შეიძლება დადგეს ბრალის გარეშე. ასევე, დაზარალებულს უფლება აქვს ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს იმ პირისაგან, ვისაც უშუალოდ ბრალი მიუძღვის ზიანის მიყენებაში სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის მოსაზრება, რომ პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდა მხოლოდ მანქანის ფაქტობრივ მოსარგებლეს – მოიჯარეს და თავად როგორც მეიჯარე უნდა გათავისუფლებულიყო პასუხისმგებლობისაგან. [3]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და ეროვნული სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვამ ცხადყო, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის დროს პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც პირდაპირ მფლობელს, ისე არაპირდაპირ მფლობელს (მესაკუთრეს).

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, როგორც მესაკუთრის ისე მფლობელისათვის სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრების შემდგომ, მესაკუთრე უფლებამოსილია თუ არა რეგრესის წესით აინაზღაუროს ზიანი მფლობელისგან – ანუ უშუალო ზიანის მიმყენებლისგან. აღნიშნული საკითხი არ არის მოწესრიგებული საკანონმდებლო დონეზე. სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე არსებითი მნიშვნელობა გააჩნია დადგინდეს ზიანის გამომწვევი მიზეზი. თუკი ზიანი დამდგარია ნივთის თვისებით, რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურება არ უნდა მოხდეს, თუმცა თუკი ზიანი გამოწვეულია მომეტებული საფრთხის წყაროს ექსპლუატაციის წესების დარღვევით, მაშინ აღნიშნული წესი უნდა გავრცელდეს.

გერმანიაში ავტოსატრანსპორტო საშუალების შედეგად მიყენებული ზიანის ურთიერთობებს აწესრიგებს საგზაო შემთხვევის შესახებ კანონი. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ძირითად დებულებას შეიცავს კანონის მე-7 მუხლი, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელს აკისრებს პასუხისმგებლობას მისი ექსპლუატაციის შედეგად მიყენებულ ზიანზე. [5] ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრულ მფლობელის ცნებაში ყოველთვის მესაკუთრე არ იგულისხმება. მფლობელად ითვლება პირი, რომელიც საკუთარი ხარჯით იყენებს სატრანსპორტო საშუალებას და რომლის განკარგულებაშიცაა აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება. თუკი პირი ავტოსატრანსპორტო საშუალებას იყენებს ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე იგი ხდება მისი მფლობელი და შესაბამისად მას ეკისრება ყველა ხარჯის ანაზღაურება, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული საშუალების ექსპლუატაციასთან და მოსალოდნელ ზიანთან. [5]

რაც შეეხება ფრანგულ სამართალს, იგი ავტოსატრანსპორტო საშუალების შედეგად დამდგარ ზიანზე მომწესრიგებელ ნორმას ცალკე არ ითვალისწინებს და რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის 1384-ე მუხლით, რომლის პირველი აბზაცის მიხედვით პირს პასუხისმგებლობა ეკისრება არა მხოლოდ უშუალოდ მის მიერ მიყენებული ზიანისათვის, არამედ იმ ზიანისთვისაც, რომელიც მიყენებულია მისი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი პირების ან მის მფლობელობაში არსებული ნივთების მიერ. [4] საფრთხის შემცველი ნივთით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა ორ ფაქტორს: ა) ნივთის მფლობელსა და მესაკუთრეს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულია თუ არა ნივთით მიყენებულ ზიანზე ფაქტობრივი მფლობელის პასუხისმგებლობა. ბ) გადაეცა თუ არა მფლობელს მესაკუთრისგან ნივთის თვისებებზე მფლობელობის უფლება. ზემოაღნიშნული ერთ-ერთი პირობის არსებობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება ეკისრება პირდაპირ მფლობელს. [4]

რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 1079-ე მუხლი განსაზღვრავს ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას. იჯარის ან ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ავტოსატრანსპორტო საშუალების ფლობის უფლებით გადაცემის დროს, დამდგარ ზიანზე პასუხისმგებელია მოიჯარე/დამქირავებელი და არა თავად მესაკუთრე. ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე თანასაკუთრების არსებობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელია არა ყველა მესაკუთრე, არამედ უშუალოდ ის ვინც ახორციელებდა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას. [6]

ამდენად, უცხო ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პასუხისმგებლობა ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარ ზიანზე ეკისრება მხოლოდ პირდაპირ მფლობელს.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართული კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ორიენტირებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანისას გაზარდოს პასუხისმგებელ პირთა წრე და პასუხისმგებლობა დააკისროს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მფლობელს. აღნიშნული მიდგომა გაუმართლებელ პასუხისმგებლობას აკისრებს ავტოსატრანსპორტო საშუალების არაპირდაპირ მფლობელს, ვინაიდან იგი არ არის ავტოსატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე, არ ახორციელებს მანქანის ექსპლუატაციას და არ შეუძლია მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილება.

უცხო ქვეყნის კანონმდებლობის მიმოხილვის შედეგად გამოვლინდა, რომ პასუხისმგებელ პირად ითვლება პირი, რომელიც საკუთარი ხარჯით იყენებს სატრანსპორტო საშუალებას, მის განკარგულებაშია იგი და ახორციელებს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას. ავტოსატრანსპორტო საშუალების ფლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში (ქირავნობა, იჯარა), გადაცემის შედეგად წყდება ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეზე ექსპლუატაციის შედეგად მოსალოდნელი რისკი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია შეიცვალოს საქართველოში დამკვიდრებული მიდგომა და ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარ ზიანზე პასუხისმგებლობა დაეკისროს მხოლოდ პირდაპირ მფლობელს. ქართულ სამართალში დამკვიდრებული წესი, რომელიც იწვევს არაპირდაპირი მფლობელისათვის გაუმართლებელი პასუხისმგებლობის დაკისრებას, უნდა შეიცვალოს და პასუხისმგებლობა

დაეკისროს მას, ვინც უშუალოდ ახორციელებდა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას ზიანის მიყენების მომენტში

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე #ას-494-463-2010, 9 ნოემბერი, 2010
2. საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე #ას-254-239-2010, 20 ივლისი, 2010
3. საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე #ას-864-822-2013, 16 დეკემბერი, 2013
4. მ. წულაძე, ნივთით და მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის პასუხისმგებლობათა პრაქტიკულ-თეორიული ასპექტები, თბილისი, 2013
5. G. Spindler, O. Rieckers, Tort law in Germany, 2011
6. Гуляев М. В. Ответственность за причинение вреда источником повышенной опасности, Россия 1997

ირმა პერანიძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის,  
სამართლის სკოლის დოქტორანტი

### სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ზოგიერთი თავისებურებანი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით

#### რეზიუმე

წინამდებარე სტატია შეეხება სამოქალაქო კატეგორიის დავებზე სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით გამოტანილი და კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილებების გასაჩივრებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მხარეებს, მათ შორის მოპასუხეს აძლევს შესაძლებლობას სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრონ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილებები, იმავდროულად გარკვეული სახის შეზღუდვებს უწესებს მათ, რაც წინამდებარე სტატიის განხილვის საგანია.

მითითებულ სტატიაში მოკლედ მიმოხილულია პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა, მოპასუხის სტატუსით პროცესში მონაწილე მხარისათვის გასაჩივრების უფლების შეზღუდვა.

სტატიაში გაანალიზებული შემთხვევები საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ, ასეთი უფლების შეზღუდვა ეწინააღმდეგება თუ არა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით აღიარებულ უფლებას, ასევე მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პრინციპებს და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6.1. მუხლით აღიარებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას.

წინამდებარე კვლევის მიზანია იმ საკანონმდებლო ხარვეზების გარკვევა, რაც ხელს უშლის მოპასუხის სტატუსის მქონე სუბიექტს, გასაჩივრების უფლების შეზღუდვის გამო მართლმსაჯულების განხორციელებაში, ასევე ამ ხარვეზების აღმოფხვრისა და საკანონმდებლო ნორმების დახვეწის გზების დადგენა. აღნიშნული ხელს შეუწყობს დაინტერესებული პირის უფლების რეალიზებას – ეფექტურად დაიცვას თავისი უფლებები სამართლიანი სასამართლო განხილვის მეშვეობით.

**საძიებო სიტყვები:** სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა; სარჩელი, საჩივარი, მოპასუხე გადაწყვეტილება

**Irma Peranidze**

Grigol Robakidze University  
School of Law, PhD student

## **Summary**

### **Some Peculiarities of Appeal of the Court's Judgment according to the Civil Procedure Law**

#### **Abstract**

The presented article concerns the issues related to the appeal of not enforced decisions on civil lawsuits and claims.

Despite the fact that the Civil Procedure Code of Georgia gives the opportunity to the parties, including defendants to appeal against the judgment of the court on the claims, it imposes some restrictions on them which is the subject of discussion of this article.

The article provides a brief overview of the juridical practice regarding appealing the decision of first instance and appellate court; it also discusses restriction of the right of appeal for a party presented by a defendant.

The cases analyzed in the article help to determine whether such a restriction contradicts the right recognized by the Article 42 of the Constitution of Georgia, the principles of the Code of Civil Procedure and the right of fair trial recognized by the Article 6.1 of the European Convention.

The research aims to clarify the legal deficiency that hinders the defendant to administer justice due to the restriction of the right of appeal against the administration of justice. The article also discusses the ways of eliminating this deficiency and improving the legislative norms.

This will contribute to the realization of rights of a person concerned to effectively protect his/her rights through a fair trial.

**Key words:** Civil Procedure Law; claim, complaint, defendant, judgment.

### სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ზოგიერთი თავისებურებანი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით

#### შესავალი:

წინამდებარე ნაშრომის კვლევის ფარგლებში განხილული იქნება სააპელაციო და საკასაციო საჩივრის ობიექტი, მოპასუხე, როგორც სააპელაციო და საკასაციო საჩივრის სუბიექტი, მოპასუხის სტატუსის მქონე სუბიექტისათვის გასაჩივრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა, ამ შეზღუდვის გამომწვევი მიზეზები და სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო პრობლემის წარმოჩენა.

#### ძირითადი ნაწილი:

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

1997 წლის 14 ნოემბერს მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. ამდენად, სასამართლო არსებობს იმისათვის, რომ დაიცვას პირის, ე.ი. ფიზიკური ან იურიდიული პირის დარღვეული, თუ სადავოდ გამხდარი უფლება და კანონით გათვალისწინებული ინტერესი.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, კვლევის საგანს წარმოადგენს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც გულისხმობს მოპასუხის სტატუსის მქონე სუბიექტის მიერ წარდგენილი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივრის დაუშვებლობას.

კვლევის მიზანია ამ შედეგის დადგომის გამომწვევი მიზეზების გაანალიზება და პრობლემის გადაწყვეტისათვის საკანონმდებლო თუ პრაქტიკული რეკომენდაციის შემუშავება.

წინამდებარე კვლევის ამოცანაა დასახული მიზნის მისაღწევად შევისწავლო სასამართლო პრაქტიკა, გავანალიზო სხვა ქვეყნების მიდგომა ანალოგიური პრობლემისადმი და ამ მიმართულებით ჩავატარო კვლევა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, სასამართლოში საქმის წარმოება იწყება სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ამრიგად, იმ პირს, რომელსაც სურს მეორე პირისაგან რაიმეს (ნივთის, ფულად თანხის) მიკუთვნება ან მისგან რაიმე მოქმედების შესრულება ან ასეთი მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავება, ან კიდევ უფლების თუ სამართლებრივი ურთიერთობის დადგენა ან ასეთი ურთიერთობის შეცვლა-გარდაქმნა, მან უნდა მიმართოს



სასამართლოს სარჩელით.

სარჩელი ეს არის უფლების დაცვის შესახებ პირის შუამდგომლობა სასამართლოსადმი, რათა მან განიხილოს ამ სარჩელში მოპასუხის წინააღმდეგ წაყენებული მოთხოვნა და გამოიტანოს ამის თაობაზე თავისი გადაწყვეტილება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სარჩელი საპროცესო სამართლის ინსტიტუტია, რომელიც არ არსებობს იმ უფლებაზე მითითების გარეშე, რომლის დაცვასაც მოსარჩელე მოითხოვს, ე.ი. მოპასუხისადმი წაყენებული მოთხოვნის გარეშე [2, 271]

სარჩელთან დაკავშირებით, საქმის არსებითად გადაწყვეტის მიზნით სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება. სასამართლო გადაწყვეტილება-ესაა კანონით დადგენილი წესით საქმის განხილვის შედეგად სასამართლოს მიერ მიღებული მართლმსაჯულების აქტი, რომელიც პასუხობს კანონით წამოყენებულ მოთხოვნებს და რომლითაც საქმე წყდება არსებითად.[2,360] სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილებების სააპელაციო წესით, ხოლო სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობას ითვალისწინებს. ასეთი საჩივრის ობიექტს წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით გამოტანილი და კანონიერ ძალაში შეუსვლელი პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები, ამ სასამართლოების მიერ გამოტანილი მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ასევე დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინება დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან ერთად.

სააპელაციო და საკასაციო სასამართლოები განიხილავენ და საბოლოო გადაწყვეტილებებს იღებენ ქვედა ინსტანციის სასამართლოების განჩინებებზე შემოტანილ კერძო საჩივრებზე, მაგრამ ეს საჩივრები განიხილება არა სააპელაციო ან საკასაციო წესით, არამედ კერძო საჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით.

სასამართლოში სამოქალაქო დავის განხილვაში მონაწილე თითოეულ პირს თავისი საპროცესო სტატუსი და შესაბამისი უფლება-მოვალეობები გააჩნია. ძირითად მხარეებს მოსარჩელე, მოპასუხე და დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირები წარმოადგენენ. სააპელაციო და საკასაციო საჩივრის უფლების სუბიექტებსაც სწორედ ეს მხარეები მიეკუთვნებიან: ე.ი. მოსარჩელე და მოპასუხე, აგრეთვე მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით (სსკ 364-ე, 391-ე მუხლები) აგრეთვე თანამონაწილეები (თანამოსარჩელები, თანამოპასუხეები, რომლებიც სარგებლობენ ყველა იმ საპროცესო უფლებით, რომლებიც ამ კოდექსის თანახმად მინიჭებული აქვთ მხარეებს (სსკ 87-ე მუხლი).

იმ შემთხვევაში, როდესაც თანამონაწილეობის საფუძველს წარმოადგენს საერთო უფლება (86-ე მუხლის "ა" პუნქტი), ე.ი. სარჩელის საგანია საერთო უფლება, მაშინ ერთ-ერთ მოსარჩელეს შეუძლია შეიტანოს სააპელაციო (საკასაციო) საჩივარი გადაწყვეტილებაზე ნებისმიერ ფარგლებში. იგივე შეუძლია ერთ-ერთ მოპასუხეს (თანამოპასუხეს), როცა ვალდებულება სოლიდარულია.

იმ შემთხვევაში, როცა ერთ სარჩელში გაერთიანებულია სხვადასხვა მოსარჩელის სხვადასხვა მოთხოვნა, სხვადასხვა ან ერთი და იგივე მოპასუხის მიმართ, მაშინ ერთ-ერთ მოსარჩელეს (თანამოსარჩელე) შეუძლია გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელიც ერთ სარჩელში გაერთიანებულ მის მოთხოვნას ეხება.

იგივე წესი უნდა გავრცელდეს თანამოპასუხეებზეც, როდესაც მათ მიმართ აღძრულია არა

ერთიანი, არამედ სხვადასხვა (განცალკევებული) მოთხოვნები.

თუ საქმის წარმოება სასამართლოში მინდობილი აქვს ერთ-ერთ თანამონაწილეს (87-ე მუხლის მე-2 პუნქტი) გასაჩივრების უფლებამოსილებით, მაშინ მას შეუძლია გასაჩივროს გადაწყვეტილება, როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ.

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, არ ითვალისწინებს ისეთი პირის მიერ სააპელაციო გასაჩივრების უფლებას, რომელიც არ ფიგურირებდა საქმეში არც მხარედ, არც მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნით, არც თანამონაწილედ და არც უფლებამონაცვლედ, თუმცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებით [3] და სამოქალაქო დავებზე ერთგვაროვანი პრაქტიკით, დადგენილი იქნა შემდეგი: იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრულია ისეთი პირის უფლებები და მოვალეობები, რომელიც არ ფიგურირებდა საქმეში არც მხარედ (მოსარჩელე, მოპასუხე), არც მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნით, არც თანამონაწილედ და არც უფლებამონაცვლედ და აქედან გამომდინარე არც საქმეში ყოფილა ჩაბმული და არც დაბარებული (მოწვეული), ასეთ პირს უნდა მიეცეს უფლება გასაჩივროს გადაწყვეტილება, რადგანაც დარღვეულია მისი ფუნდამენტური უფლება, მონაწილეობა მიიღოს სასამართლოში იმ საქმის განხილვაში, რომელიც მის უფლებას შეეხება.

ამრიგად, საპროცესო სამართლის ნორმების იმპერატიული ხასიათის მიუხედავად, სასამართლო პრაქტიკით, განისაზღვრა, რომ სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრების უფლება აქვთ არა მხოლოდ მხარეებს (მოსარჩელე, მოპასუხე), მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, უფლებამონაცვლეებს, თანამონაწილეებს (თანამოსარჩელე, თანამოპასუხე) მათი თანამონაწილეობის საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, არამედ სხვა პირებს, რომლებიც არ ფიგურირებენ საქმეში როგორც მხარეები, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებით განისაზღვრა მათი უფლებები ერთ-ერთი მხარის მიმართ.[2, 461-462]

როგორც უკვე აღინიშნა, სამოქალაქო დავაში ძირითად მხარეებს მოსარჩელე, მოპასუხე და დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირები წარმოადგენენ და სააპელაციო, თუ საკასაციო საჩივრის უფლების სუბიექტებსაც სწორედ ეს მხარეები მიეკუთვნებიან, თუმცა სარჩელის წარდგენის ეტაპზე სასამართლოსათვის ჯერ კიდევ არაა ცნობილი და არც შეიძლება იყოს ცნობილი, რომ მოპასუხე, რომელზეც მიუთითებს მოსარჩელე, როგორც უფლების დამრღვევი, მართლაც ის პირია, რომელმაც ნამდვილად დაარღვია მოსარჩელის უფლება. ეს საკითხი სასამართლომ უნდა გაარკვიოს არა სარჩელის მიღების წინ, არამედ საქმის არსებითად განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით.

კანონით დადგენილი წესის დაცვით სარჩელის სასამართლოში აღძვრა და მოპასუხისაგან სრულიად გარკვეული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის წაყენება უკვე ქმნის ვარაუდს, რომ როგორც მოსარჩელე, ისე მოპასუხე წარმოადგენენ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს და ეს ვარაუდი არის სავსებით საკმარისი იმისათვის, რომ სასამართლომ მიიღოს და განიხილოს სარჩელი, ცხადია თუ არსებობს სარჩელის წარმოებაში მიღების სხვა წინაპირობები. სასამართლო არ არის უფლებამოსილი მოსარჩელის მიერ დასახელებული მოპასუხე შეცვალოს სხვა მოპასუხით, ამისათვის აუცილებელია მოსარჩელის თანხმობა.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც დასახელებულია რამდენიმე მოპასუხე, მიუხედავად იმისა, მათი მონაწილეობა სავალდებულოა თუ ფაკულტატიური, სსსკ-ის 86-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თითოეული მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად,

რაც ნიშნავს, რომ სხვა თანამონაწილისაგან დამოუკიდებლად გააჩნია ყველა ის უფლება, რაც მოპასუხისათვის არის გათვალისწინებული საპროცესო კანონმდებლობით, მათ შორის გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება.

ამდენად, სააპელაციო თუ საკასაციო წესით საჩივრის წარდგენა საპროცესო ნორმათა იმპერატიული ბუნებიდან გამომდინარე (სსკ-ის 364, 391), მოპასუხეს აძლევს შესაძლებლობას ისარგებლოს ამ უფლებით, თუმცა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავისი ერთ-ერთი განჩინებით მოპასუხის სტატუსით საქმეში მყოფი მხარის საკასაციო საჩივარი დასაშვებად არ ცნო.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით ირკვევა, რომ ნასყიდობის, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებების, ასევე ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის თაობაზე დავაში, გარიგების მხარეებთან ერთად, მოპასუხედ მითითებული იქნა სააღსრულებო ფურცლის გამცემი ნოტარიუსი. სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ მიღებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი, საკასაციო წესით გაასაჩივრა ნოტარიუსმა. საკასაციო სასამართლომ მისი საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობისას განმარტა: "სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, განიხილოს პირის მოთხოვნა დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების თაობაზე, და უპირველესად ადგენს მოთხოვნის მქონე პირის უფლების ნამდვილობას. კანონის ეს უზოგადესი ნორმა ასახულია მთელ რიგ სპეციალურ საპროცესო ნორმებში, თუმცა სპეციალური რეგულაცია არსობრივად მე-2 მუხლისაგან არ განსხვავდება. ამგვარ ნორმათა რიგს განეკუთვნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში. მას შემდეგ, რაც სასამართლო დარწმუნდება, რომ დაცულია კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნის ფორმალური მხარე, ხდება იმის შემოწმება, მოთხოვნის წარმდგენ პირს გააჩნია თუ არა ნამდვილი იურიდიული ინტერესი წარდგენილი მოთხოვნის მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ სადავო ურთიერთობის უშუალო ადრესატს მხარე არ წარმოადგენს და ეს ურთიერთობა რაიმე გავლენას არ ახდენს მის სამოქალაქო უფლებათა განხორციელებაზე, სასამართლო მხარეს უარს ეტყვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმგვარად, რომ არაუფლებამოსილი პირის მიერ წარდგენილი პრეტენზიის საფუძველზე სადავო სამართალურთიერთობის კანონშესაბამისობას აღარ შეამოწმებს. მართალია, კანონის ფორმალური მიზნებისათვის ნოტარიუსი წინამდებარე დავაში მოპასუხის სტატუსით სარგებლობდა, თუმცა საქმის მასალების შესწავლით საკასაციო პალატა ასკვნის, რომ სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის სამართლებრივი შედეგის ადრესატებს გარიგების მხარეები წარმოადგენენ და ამას რაიმე უფლება-მოვალეობები ნოტარიუსის მიმართ არ წარმოუშვია. ამასთანავე, ამგვარი გარემოების არსებობაზე არც კასატორს, მიუთითებია საკასაციო საჩივარში. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სადავო სამართალურთიერთობის უშუალო მხარეებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებიათ, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ნოტარიუსის მიერ წარდგენილი პრეტენზია, თუნდაც საფუძვლიანი იყოს, გავლენას ვერ იქონიებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე".

საკასაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინების ანალიზით ირკვევა, რომ საქმეში მოპასუხის სტატუსის მქონე პირი (ნოტარიუსი) არც სააპელაციო საჩივრის წარდგენაზე უფლებამოსილს არ წარმოადგენდა, რაც ფორმალური თვალსაზრისით წინააღმდეგობაშია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე და 391-ე მუხლების მოთხოვნებთან.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სამოქალაქო საქმეებზე ერთგვაროვანი პრაქტიკის

ჩამოყალიბების მიზნით განმარტა შემდეგი: "თუ აღმოჩნდება, რომ საქმეში მოპასუხედ მონაწილეობს რამდენიმე პირი და ერთ-ერთი მათგანი აშკარად არასათანადო მოპასუხეა, რადგან საქმის შედეგი მის უფლებებზე ვერ იმოქმედებს, სხვები კი სათანადო მოპასუხეები არიან (მაგალითად, სესხის ხელშეკრულების ბათილობის დავებში მოპასუხედ გარიგების მხარესთან ერთად ნოტარიუსის აღნიშვნა) ასეთ შემთხვევაში სწორია, რომ არასათანადო მოპასუხის მიმართ სარჩელს დაკმაყოფილებაზე ეთქვას უარი უსაფუძვლოდ გამო იმდენად, რამდენადაც ასეთი მოპასუხის ამორიცხვის ინსტიტუტს, ანუ "ამორიცხვის" ნორმას საერთოდ არ იცნობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა [1].

მიმაჩნია, რომ Nას-575-546-2015 სამოქალაქო საქმეზე უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის სამართლებრივი შედეგის ადრესატებს გარიგების მხარეები წარმოადგენენ და ამას რაიმე უფლება-მოვალეობები ნოტარიუსის მიმართ არ წარმოუშვია-სწორია, თუმცა პრაქტიკის საფუძველზე დადგენილი ეს წესი ფორმალურად იწვევს საპროცესო კოდექსით მხარისათვის მინიჭებული გასაჩივრების უფლების შეზღუდვას.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლომ განმარტა, გააჩნია თუ არა პირს მე-6 მუხლით (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) მოცული პრეტენზია, დამოკიდებული შეიძლება იყოს არა მარტო იმ სამოქალაქო უფლების არსებით შინაარსზე, რომელიც განსაზღვრულია ეროვნული კანონმდებლობით, არამედ იმ საპროცესო ბარიერებზეც, რომლებიც ხელს უშლიან ან ზღუდავენ პოტენციური პრეტენზიების სასამართლოს წინაშე წარდგენის შესაძლებლობა. (Fayed v.the United Kingdom) [5, 232-233].

ამდენად, მიუხედავად იმისა, სათანადოა თუ არა მოპასუხე, თუკი იგი დავაში რჩება მოპასუხის სტატუსით, მისთვის მიუღებელი სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების და პოტენციური პრეტენზიების წარდგენის უფლება უნდა გააჩნდეს.

მიმაჩნია, რომ მსგავს შემთხვევებში ზემოაღნიშნულ საკითხზე საკანონმდებლო ნორმის არარსებობა მნიშვნელოვნად ართულებს დაინტერესებული პირის უფლების რეალიზებას – ეფექტურად დაიცვას თავისი უფლებები სასამართლოს მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია საკანონმდებლო რეგულაციით დადგინდეს არასათანადო მოპასუხის არა მხოლოდ სათანადო მოპასუხით შეცვლა, არამედ საქმიდან მისი "ამორიცხვა".

## დასკვნა

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ სამოქალაქო საპროცესო სამართალში არასათანადო მოპასუხის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრების უფლების შეზღუდვის საკითხი, ამ საკითხთან დაკავშირებით საკანონმდებლო რეგულაციის ხარვეზი და ვფიქრობ, ამ პრობლემის მოგვარებისათვის მიზანშეწონილია ცვლილება იქნეს შეტანილი კანონმდებლობაში და საკანონმდებლო რეგულაციით დადგინდეს არასათანადო მოპასუხის არა მხოლოდ სათანადო მოპასუხით შეცვლა, არამედ საქმიდან მისი "ამორიცხვა", რაც ამორიცხავს ასეთი პირის სასამართლო დავაში მონაწილეობას და სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბ. 2011 წ.
2. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი თბ., 2005 წ.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე
4. საქართველოს კონსტიტუცია თბ. 1995 წ.
5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. თბილისი 2004 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გვ.232-233.

## ქეთევან ცინცაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის,  
სამართლის სკოლის დოქტორანტი, თბილისი, საქართველო

**მხარეთა უფლებები კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობასა და საქმის წარმოების განახლებასთან დაკავშირებით**

## რეზიუმე

წარმოდგენილი სტატია შეეხება სამოქალაქო სამართალწარმოების ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორც არის კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება. მოცემულ სტატიაში დეტალურად არის განხილული კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თითოეული საფუძველი და მისი მნიშვნელობა. სტატიაში დასკვნის სახით გამოკვეთილია, დღეის მდგომარეობით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკანონმდებლო დონეზე არსებული ხარვეზები და პრაქტიკაში არსებული ის გარკვეული ბუნდოვანება, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებამ გამოიწვია.

**სამიეზო სიტყვები:** სამოქალაქო სამართალი, სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, საქმის წარმოების განახლება

**Ketevan Tsintsadze**

Gr. Robakidze University,  
School of Law Ph.D. Student

## The Rights of Parties in Connection with Rescission of a Judgment of Valid Court Decision and Reopening of the Case

### Summary

The present article deals with the important issue of civil proceedings such as defeasance of the court decision entered into force and resumption of proceedings. The article provides a detailed discussion of each grounds for the defeasance of the court decision entered into force, namely: when can participation of judge in case discussion become the basis for annulling the decision, what is “the party concept” and what is the difference between “the party” defined by civil procedure and “the party” defined by administrative procedure, who is implied by “the person who may be affected by a court decision”. In addition, in the article there is an in-depth review of the importance of overall 5-year term of the decision defeasance, in this respect the legislation of European countries, decisions of European Human Rights Court are used and relevant decision on defeasance of part 4 of article 426 of the Constitutional Court is analyzed. In conclusion, the article highlights the current gaps on the legislative level regarding the mentioned issue and the certain ambiguity of the practice that was caused by the mentioned decision of the Constitutional Court and partial defeasance of article 426.

**Keywords:** Civil Law; Rescission of a Judgment; resumption of proceedings

### შპრეთა უფლებები კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობასა და საქმის წარმოების განახლებასთან დაკავშირებით

**მასალები და მეთოდები:** წარმოდგენილი კვლევა დაეყრდნო სისტემური ანალიზის, ლოგიკური ანალიზის და შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდებს. კვლევის ძირითად წყაროდ გამოყენებულია საქართველოს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადამიანს უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები და ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა.

### შესავალი

სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება ადამიანის უფლებათა დაცვის უმნიშვნელოვანეს გარანტიას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“ (1). სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპია და მის არსზე და მნიშვნელობაზე არაერთხელ იმსჯელა, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო, ისე უზენაესმა სასამართლომ (7;8;9;10;11;12). სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ყველა იმ გადაწყვეტილების (ქმედების) გასაჩივრების შესაძლებლობას, რომელიც ადამიანის უფლებებს არღვევს (8, II, 1). ამასთან, აღნიშნული კონსტიტუციური უფლება მოიცავს, როგორც სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრების უფლებას, ისე შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, უკვე დასრულებულ და კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე საქმის

წარმოების განახლების შესაძლებლობას (გადაწყვეტილების ბათილად ცნობა ან/და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება).

მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი სტატიის კვლევის საგანს - საქმის წარმოების განახლების მხოლოდ ერთი საფუძვლის - კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობის საკითხის შესწავლა წარმოადგენს. შესაბამისად, საქმის წარმოების განახლების აღნიშნული საფუძვლის სიღრმისეულად გააზრების მიზნით, სასურველია დეტალურად განვიხილოთ იმ პირთა წრე და ის შემთხვევები, რომელზეც ვრცელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის მოქმედება.

### **§1. გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და საქმის წარმოების განახლების საფუძვლები**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის თანახმად, დაინტერესებული პირის განცხადებით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ: ა) გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში; ბ) ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მიწვეული საქმის განხილვაზე; გ) პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება არ იყო მიუწვეული საქმის განხილვაზე. შესაბამისი საფუძვლებით გადაწყვეტილების ბათილად ცნობა დაუშვებელია, თუ მხარეს შეემლო მათი საქმის განხილვის პროცესში დაყენება (პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოში) (2).

ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება გააჩნია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს (და არა მხოლოდ მხარეს), რომლის ინტერესებსაც ეხება/შეეხო მიღებული გადაწყვეტილება. უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული ნორმის „ა“ ქვეპუნქტი ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც მოსამართლე, რომლის მიმართაც არსებობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე-31-ე მუხლებით განსაზღვრული აცილების საფუძველი, მონაწილეობდა საქმის განხილვაში (მხარეს აღნიშნული საფუძვლის დაყენება საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე არ შეემლო). გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვს იმ მოსამართლეს: რომელიც მონაწილეობდა ამ საქმის განხილვაში (იგულისხმება სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოები); რომელსაც განუცხადეს აცილება და ეს აცილება მიიღო სასამართლომ; რომელიც დროებით გადაყენებულია (ჩამოცილებულია) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან; რომელიც არ არის ამ კოლეგიური სასამართლოს შემადგენლობაში და ის არ შეუყვანით ამ შემადგენლობაში კანონით დადგენილი წესით (5; 698). ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლი შეიცავს აცილების საფუძვლებს, რაც საქმის მიუკერძოებლად განხილვის ინტერესებითაა განპირობებული. სწორედ ამიტომ, თუ არსებობს მოსამართლის აცილების ერთ-ერთი საფუძველი, რომელიც ამ მუხლშია მითითებული, მოსამართლეს ეკრძალება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს მის განხილვაში.

რაც შეეხება, შესაბამისი ნორმის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებს, უნდა აღინიშნოს, რომ თავისი არსით ორივე ქვეპუნქტი იდენტურ პროცესუალურ დარღვევაზე მიუთითებს (კანონით დადგენილი წესით საქმის განხილვაზე მიუწვევლობა), თუმცა ამ შემთხვევაში განსხვავებულნი არიან სუბიექტები - ერთის მხრივ - მხარე (ან კანონიერი წარმომადგენელი), მეორეს მხრივ კი - პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებსაც უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება. ამდენად, პირველ შემთხვევაში ნორმა მიუთითებს უშუალოდ

პროცესის მონაწილეზე, რომელიც სათანადო წესით ჩაბმულია საქმეში და შესაბამისი პროცესუალური სტატუსი გააჩნია, მეორე შემთხვევაში კი სახეზე გვყავს პირი, რომლის ინტერესებსაც უშუალოდ ეხება გადაწყვეტილება, თუმცა იგი სათანადო წესით არ არის ჩაბმული საქმის განხილვაში.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ თავისი არსით 422-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში მოხსენიებული „მხარე“ სამოქალაქო სამართალწარმოებასა და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში განსხვავებული შინაარსის მატარებელია. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის IX თავის თანახმად, სამოქალაქო პროცესის მხარე არის მხოლოდ - მოსარჩელე და მოპასუხე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VI თავის თანახმად კი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარის სტატუსით სარგებლობენ როგორც მოსარჩელეები და მოპასუხეები, ისე მესამე პირები. ამდენად, შეიძლება კი ჩავთვალოთ, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში 422-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი მხოლოდ მოსარჩელეს/მოპასუხეს (და არა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით/მოთხოვნის გარეშე მესამე პირს) შეეხება? თუ ამ საკითხს ფორმალურად შევხედავთ და ნორმას მხოლოდ სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით განვმარტავთ, მაშინ შესაძლებელია ზემოაღნიშნულ კითხვაზე პასუხი დადებითი იყოს, თუმცა, შესაბამისი ნორმის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სხვა ნორმებთან ერთობლიობაში განხილვის შემთხვევაში შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ პირობებში, როდესაც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირი მოსარჩელის იდენტური საპროცესო სტატუსით სარგებლობს (სსსკ-ის 88.2 მუხლი), დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირს კი მხარეთა საპროცესო უფლებები გააჩნია (სსსკ-ის 91-ე მუხლი), მათზეც მოსარჩელის/მოპასუხის მსგავსად თანაბრად უნდა გავრცელდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება.

რაც შეეხება, იმ სუბიექტთა წრეს თუ ვინ იგულისხმება 422-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთა წრეში, იმ შემთხვევაში, თუ ამ საკითხს ფორმალურად განვმარტავთ, მაშინ მათში შეიძლება მოვიაზროთ როგორც - სათანადო მოსარჩელე ან მოპასუხე (თუ არ განხორციელდა მათი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე-85-ე მუხლებით შეცვლა), ისე მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ან მის გარეშე და ასევე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრული სავალდებულო მიწვევის და ჩვეულებრივი მიწვევის მესამე პირი. მსგავსი განმარტება გაკეთდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში №3/1/531 საქმეზე „თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (7, II, 9).

თუმცა, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არსებითად განსხვავებული მოსაზრება შეიძლება ჩამოყალიბდეს, თუ ჩვენ სიღრმისეულად გავანალიზებთ სასამართლოს როლს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით/მოთხოვნის გარეშე მესამე პირთან და ადმინისტრაციული პროცესით განსაზღვრულ სავალდებულო/ჩვეულებრივი მიწვევის მესამე პირთან მიმართებაში. ცალსახაა, რომ ადმინისტრაციულ პროცესში სასამართლოს მიერ სავალდებულო მიწვევის მესამე პირის (სასკ-ის მე-16.2 მუხლი) საქმეში ჩაუბმელობა გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს, რადგან მისი სასამართლო პროცესში ჩაბმა სასამართლოს ვალდებულებას, ხოლო რაც შეეხება ჩვეულებრივი მიწვევის მესამე პირს (სასკ-ის 16.1 მუხლი) (3; 6, 52-53), ისევე როგორც სამოქალაქო პროცესით განსაზღვრულ მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე (სსსკ-ის 89-ე მუხლი) (2), საინტერესოა რამდენად შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება იმ პირის მიუწვევლობის საფუძველით, რომლის



საქმეში ჩაბმა სასამართლოს უფლებამოსილებას (არა ვალდებულებას) წარმოადგენს და რომლის მიუწვევლობაც, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ საფუძველი არ არის? ამ მიმართებით საკმაოდ წინააღმდეგობრივია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა კერძოდ, იმ პირობებში, როდესაც სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლო არ არის უფლებამოსილი საკუთარი ინიციატივით ჩააბას საქმეში მესამე პირი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაინტერესებული პირის მიუწვევლობა შემდგომში გადაწყვეტილების/განჩინების ბათილად ცნობის საფუძველი ხდება. ამდენად, ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შემთხვევა და წინააღმდეგობრივი სამართლებრივი რეგულირება.

## **§2. გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ხანდაზმულობის ვადა**

სტატიის დასაწყისში უკვე აღინიშნა, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებას დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობა გააჩნია. თუმცა, მიუხედავად მისი დიდი მნიშვნელობისა, ის არ არის აბსოლუტური უფლება. „სასამართლოსადმი მიმართვის უფლება შეიძლება შეიზღუდოს გარკვეული პირობებით, რაც გამართლებული იქნება დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური საჯარო ინტერესით“ (10, II, 15). სწორედ ასეთი ლეგიტიმური საჯარო მიზნით გამართლებულ შეზღუდვას წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული საერთო ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2013 წლის 5 ნოემბრამდე მოქმედი რედაქცია), რომლის მიხედვითაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა დაუშვებელი არის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ კანონმდებელმა, სისხლის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსით საქმის წარმოების განახლების/ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ვადებთან დაკავშირებით განსხვავებული რეგულირება დააწესა (3;4). თუმცა აქვე უნდა განიმარტოს, რომ სისხლის და სამოქალაქო პროცესუალური სამართალი კონცეპტუალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. ერთ შემთხვევაში სახელმწიფო გვევლინება ძლიერ მხარედ, მაშინ როდესაც მეორე შემთხვევაში ჰორიზონტალური ტიპის სამართლებრივ ურთიერთობასთან გვაქვს საქმე. შესაბამისად, ყოველთვის საფრთხილოა, რომ სისხლის სამართლის პროცესში სახელმწიფომ მის ხელთ არსებული ძალაუფლება ბოროტად არ გამოიყენოს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ის, რომ განაჩენის გადასინჯვისთვის კანონმდებელმა ვადა არ დაადგინა. სისხლის და სამოქალაქო პროცესუალურ სამართალს არსებითად განასხვავებთ აგრეთვე პრინციპები, მაგალითად, როგორცაა სისხლის სამართლის პროცესში ყოველგვარი ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის წესი, უდანაშაულობის პრეზუმფცია, განსხვავებით სამოქალაქო პროცესუალური სამართლისგან, სადაც მხარეები აბსოლუტურად თანასწორები არიან და სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე მიმდინარეობს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობასთან მიმართებაში კანონმდებელი სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპს ანიჭებს უპირატესობას, შესაბამისად, საქმის წარმოების განახლებას კონკრეტული ვადით განსაზღვრავს. თუმცა, მიმაჩნია, რომ კანონმდებელმა არ უნდა დაუშვას ბლანკეტური შეზღუდვა და საქმის წარმოების განახლება (5 წლიანი ხანდაზმულობის ვადის გარეშე)

გამონაკლისის სახით დაშვებული უნდა იყოს სამოქალაქო/ადმინისტრაციულ საქმეებზეც, მაშინ როდესაც შეზღუდვამ შესაძლებელია დაარღვიოს კონსტიტუციით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება.

ამასთან, თუ, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების/განჩინების ბათილად ცნობის ხანდაზმულობის ვადასთან მიმართებაში გადავხედავთ საზღვარგარეთის ქვეყნების, მათ შორის ბალკანეთის ქვეყნების კანონმდებლობას, ვნახავთ, რომ ხორვატიის, სლოვენის და სერბეთის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, გადაწყვეტილების/განჩინების ბათილად ცნობის მოთხოვნა დასაშვებია 5 წლის შემდეგაც, თუ პირი არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში, სათანადო წესით არ ჩაბარდა შესაბამისი გადაწყვეტილება ან წარმოდგენილი იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ (18; 19; 20). საინტერესოა ასევე ის გარემოება, რომ რუსეთის სამოქალაქო კანონმდებლობა კონკრეტულ შეზღუდვას არ აწესებს (13, 100-101; 14, 299-301).

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მის არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა ზოგიერთ შემთხვევაში საქმის წარმოების განახლების აუცილებლობაზე და მის მნიშვნელობაზე, მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებაში საქმეზე „ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ“. (15, 38-40; 16, 55-58; 17, 79).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილებით საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი და ძალადაკარგულად გამოცხადდა სსსკ-ის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ეხებოდა სსსკ-ის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის დაუშვებლობას გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ (7).

აღნიშნულ საქმესთან მიმართებაში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განისაზღვრა საკმაოდ ვიწრო წრე, იმ პირთა და საქმეთა კატეგორიის, რომლებზეც არ უნდა გავრცელდეს 5 წლიანი ხანდაზმულობის ვადა. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების/განჩინების ბათილად ცნობის 5 წლიანი ხანდაზმულობის ვადა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლთან მიმართებაში არაკონსტიტუციურად შეიძლება მიჩნეულიყო, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი გადაწყვეტილება სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლო იყო ან კერძო პირს ზიანი სწორედ ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებით მიადგა. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით, 5 წლიანი ხანდაზმულობის ვადა აბსოლუტურად გონივრული და საკმარისი იყო კერძო პირებს შორის არსებულ დავასთან მიმართებაში, რადგან ხანდაზმულობის ვადა რეალურად სამართლებრივი გარემოს სტაბილურობისა და სამართალწარმოების ეფექტურობის განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს (7).

მიმაჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა ფიზიკურ პირთა შორის დავასთან მიმართებაში, ფაქტობრივად არათანასწორ მდგომარეობაში აყენებს სახელმწიფოს მონაწილეობით არსებულ საქმეზე და ფიზიკურ პირებს შორის არსებულ დავაზე მიუწვეველ დაინტერესებულ მხარეს, რადგან ორივე შემთხვევაში პირის კანონიერი უფლება და ინტერესი თანაბრად იზღუდება და ირღვევა, სამართლებრივი გარემოს სტაბილურობისა და

სამართალწარმოების ეფექტურობის აუცილებლობის ხარისხი კი ორივე შემთხვევაში იდენტურია.

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიუხედავად შესაბამისი ნორმის ძალადაკარგულობის მიმართ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არაერთი კრიტერიუმის დადგენისა, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მიხედვით, 426-ე მუხლის მე-4 ნაწილი 422-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიმართ სრულად ძალადაკარგულად იქნა ცნობილი. შესაბამისად, ბუნდოვანია სასამართლოს მიერ 422-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სუბიექტთა მიმართ 5 წლიანი ხანდაზმულობის ვადის გავრცელება/ გაუვრცელებლობის საკითხი ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამისი კრიტერიუმების მიმართ სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს თუ ეს ყველა მსგავსი შემთხვევის მიმართ პირდაპირი იურიდიული ძალის მქონეა. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის გავრცელება/გაუვრცელებლობის საკითხთან დაკავშირებით დადგენილი კრიტერიუმები იმდენად ზოგადი ხასიათისაა, რომ იძლევა ფართო და არაერთგვაროვანი განმარტების საშუალებას, რაც გულისხმობს სასამართლოს მიერ ყველა ინდივიდუალური შემთხვევის არსებითად განხილვას და კონკრეტულ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების შესაბამის კრიტერიუმებთან მისადაგებას, ამდენად, საბოლოოდ ჯამში ვადის გავრცელება/გაუვრცელებლობის საკითხის შეფასების ტვირთი მთლიანად საქმის განმხილველ სასამართლოზე გადადის.

## დასკვნა

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების საკითხის სიღრმისეულად შესწავლის შედეგად, რამდენიმე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო თუ პრაქტიკული ხარვეზი გამოიკვეთა. მაგალითად, ერთგვარ ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში განსაზღვრული „მხარის“ ცნება, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის IX თავის შესაბამისად, მხოლოდ მოსარჩელეს/მოპასუხეს ეხება, თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სხვა შესაბამის ნორმებთან ერთობლიობაში განხილვის გზით მესამე პირებზეც უნდა გავავრცელოთ. მეორე საკითხი, რომელიც ასევე საკანონმდებლო ხარვეზს წარმოადგენს, შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სხვა ნორმების წინააღმდეგობრიობას, კერძოდ, იმ პირობებში, როდესაც სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლო არ არის უფლებამოსილი საკუთარი ინიციატივით ჩააბას საქმეში მესამე პირი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაინტერესებული პირის მიუწვევლობა შემდგომში გადაწყვეტილების/განჩინების ბათილად ცნობის საფუძველი ხდება. ამდენად, ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შემთხვევა და წინააღმდეგობრივი სამართლებრივი რეგულირება.

გარდა ამისა, შეუძლებელია ყურადღება არ გამახვილდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის გავრცელება/გაუვრცელებლობის საკითხთან დაკავშირებით დადგენილ კრიტერიუმებზე, რომელიც საკმაოდ ბუნდოვანი და ზოგადი ხასიათისაა, რაც თავის მხრივ იძლევა ფართო და არაერთგვაროვანი განმარტებების საშუალებას, რითიც საფრთხე შეიძლება შეექმნას სამართლებრივი გარემოს სტაბილურობასა და სამართალწარმოების ეფექტურობას. ამასთან, დადგენილი კრიტერიუმები არათანასწორ

მდგომარეობაში აყენებს სახელმწიფოს მონაწილეობით არსებულ საქმეზე და ფიზიკურ პირებს შორის არსებულ დავაზე მიუწვეველ დაინტერესებულ მხარეს, რადგან ორივე შემთხვევაში პირის კანონიერი უფლება და ინტერესი თანაბრად იზღუდება და ირღვევა, სამართლებრივი გარემოს სტაბილურობისა და სამართალწარმოების ეფექტურობის აუცილებლობის ხარისხი კი ორივე შემთხვევაში იდენტურია.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველო. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი 1995. კონსტიტუციური კანონი. საქართველოს კონსტიტუცია (№786, 24/08/1995). თბილისი: საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995. [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) (20.06.15 მდგომარეობით)
2. საქართველო. საქართველოს პარლამენტი 1997. საქართველოს კანონი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (№1106, 14/11/1997). თბილისი: საქართველოს პარლამენტის უწყებები, 47-48, 31/12/1997. [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) (20.06.15 მდგომარეობით)
3. საქართველო. საქართველოს პარლამენტი 1999. საქართველოს კანონი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (№2352, 23/07/1999). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე №39(46) 06/08/1999. [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) (20.06.15 მდგომარეობით)
4. საქართველო. საქართველოს პარლამენტი 2009. საქართველოს კანონი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (№1772, 09/10/2009). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე №31 03/11/2009. [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) (20.06.15 მდგომარეობით)
5. ლილუაშვილი თ. ხრუსტალი ვ. 2007, *საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი*. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“
6. საქართველოს უზენაესი სასამართლო 2010. *პრაქტიკული რეკომენდაციები ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის საკითხებზე მაგისტრის მოსამართლისათვის*. თბილისი.
7. საქართველო. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. სასამართლო გადაწყვეტილება: საქმე №3/1/531 „ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (05.11.2013). თბილისი. [www.conscourt.ge](http://www.conscourt.ge) (20.06.15)
8. საქართველო. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. სასამართლო გადაწყვეტილება: საქმე №1/3/421,422 „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (10.11.2009). თბილისი. [www.conscourt.ge](http://www.conscourt.ge) (20.06.15)
9. საქართველო. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. სასამართლო გადაწყვეტილება: საქმე №1/1/403,427 „კანადის მოქალაქეები ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (19.12.2008). თბილისი. [www.conscourt.ge](http://www.conscourt.ge) (20.06.15)
10. საქართველო. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. სასამართლო გადაწყვეტილება: საქმე №1/466 „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (28.06.2010). თბილისი. [www.conscourt.ge](http://www.conscourt.ge) (20.06.15) 15
11. საქართველო. საქართველოს უზენაესი სასამართლო. სასამართლო გადაწყვეტილება: საქმე №ბს-746-732(კს-14) (20.01.15). თბილისი. [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge) (20.06.15)
12. საქართველო. საქართველოს უზენაესი სასამართლო. სასამართლო გადაწყვეტილება: საქმე №ბს-334-324(კს-13) (09.07.13). თბილისი. [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge) (20.06.15)
13. Вандышев В. В. Деврова. Д. В. 2001, *Гражданский Процесс*. Москва: Юрайт
14. Решетникова И. В. Ярков В. В. 2008. *Гражданский Процесс*. Москва: Норма

15. European Court of Human Rights. Application №67579/01 „Kuznetsova v. Russia“(12.11.07);[http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/Pages/search.aspx#{"fulltext":\["KUZNETSOVA"\],"documentcollectionid2":\["GRANDCHAMBER","CHAMBER"\],"itemid":\["001-80951"\]}](http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/Pages/search.aspx#{).  
www.echr.coe.int (20.06.15)
16. European Court of Human Rights. Application №18156/05 „TchiTchinadze v. Georgia“(27.05.2010);[http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/Pages/search.aspx#{"fulltext":\["tchitchinadze v.georgia"\],"documentcollectionid2":\["GRANDCHAMBER","CHAMBER"\],"itemid":\["001-98923"\]}](http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/Pages/search.aspx#{).  
www.echr.coe.int (20.06.15)
17. European Court of Human Rights. Application №15869/02 „Cudak v. Lithuania“(23.03.2010);[http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/Pages/search.aspx#{"fulltext":\["cudak"\],"documentcollectionid2":\["GRANDCHAMBER","CHAMBER"\],"itemid":\["001-97879"\]}](http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/Pages/search.aspx#{).  
www.echr.coe.int (20.06.15)
18. Lexology. The Croatian New Civil Procedure Act.  
<http://www.lexology.com/library/detail.aspx?g=bbe2b59a-38bc-4380-9f9f-b496ea55b609> .  
www.lexology.com (20.06.15)
19. The World Law Guide. Civil Procedure Code.  
[http://www.mpravde.gov.rs/images/22\\_civil\\_procedure\\_code.pdf](http://www.mpravde.gov.rs/images/22_civil_procedure_code.pdf). www.lexadin.nl (20.06.15)
20. The World Law Guide. Civil Code.  
<http://www.lexadin.nl/wlg/legis/nofr/eur/lxweslv.htm>.www.lexadin.nl (20.06.15)

**თამთა საჯაია**

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
სამართლის სკოლა, დოქტორანტი

**ოჯახში არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ძალადობა და მისი  
პრევენციის თანამედროვე მექანიზმები**

**რეზიუმე**

ოჯახში არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებულ ძალადობას სამწუხაროდ არა თუ ლოკალური, არამედ საერთაშორისო პრობლემის ხასიათი აქვს. მიუხედავად ამისა, საქართველოს, როგორც ტრადიციული სახელმწიფოს მკვიდრნი საკუთარ პრობლემებს საჯარო განხილვის საგნად არასოდეს აქცევენ; გარდა ამისა, დაბალია მათი ინფორმირებულობის დონე ძალადობისაგან თავდაცვის კუთხით არსებული სამართლებრივი მექანიზმების შესახებ. შესაბამისად, ოჯახში არასრულწლოვანთა უფლებების ხელყოფის მასშტაბური ხასიათი და მომეტებული საშიშროება; საზოგადოების დუმილი; ნაკლები ინფორმირებულობა განაპირობებს აღნიშნული თემატიკის აქტუალობას; მიზეზშედეგობრივად კი ამ პრობლემის გადაჭრის გზების - პრევენციული მექანიზმების ძიების აუცილებლობას.

წინამდებარე სტატიით - „ოჯახში არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ძალადობა და მისი პრევენციის თანამედროვე მექანიზმები“ ავტორი სრულად იზიარებს მოსაზრებას, რომ

სჯობს დანაშაულის წინასწარ აღკვეთა, ვიდრე შემდგომ მისი ჩადენისათვის დასჯა. აგრეთვე განმარტავს, რომ ოჯახში არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ძალადობის აღკვეთის მომეტებული მნიშვნელობა სხვა სახის დანაშაულებთან შედარებით და ამ საკითხის აქტუალობა აიხსნება იმით, რომ უფლებათა მსგავსი ხელყოფა განსაკუთრებული სისასტიკით ანადგურებს ბავშვის ფიზიკურ თუ ფსიქიკურ სამყაროს; უკარგავს რწმენას ოჯახის სიწმინდეზე და გაუცხოებულს ხდის მთელი საზოგადოების მიმართ, შესაბამისად, ამგვარი უფლებაშელახული ახალგაზრდა თაობა, რომელიც თავის მხრივ ჩვენი მომავალია, ერთმნიშვნელოვნად ხდება შემდგომში სოციალური არასტაბილურობისა და კრიმინოგენული მოვლენების გამწვავების წყარო.

სტატიაში ავტორის მიერ თანმიმდევრულადაა განხილული მთელი რიგი აქტუალური საკითხებისა, როგორცაა ოჯახში არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ძალადობის არსის წვდომისა და ერთიანი ცნების ჩამოყალიბების პრობლემები; არასრულწლოვანთა ხელშეუხებლობის შემლახავი მსგავსი ქმედებების პრევენციის აუცილებლობის დასაბუთება; კლასიფიცირებულია მეცნიერებასა და პრაქტიკაში სისხლის სამართლის კუთხით რეგულირებული ოჯახური ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა სახეები; განმარტებულია ოჯახში არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ზოგად-სოციალური და სპეციალურ-კრიმინოლოგიური პრევენციული მექანიზმების არსი; დეტალურად არის შესწავლილი, რამდენად იძლევა საქართველოს რეალობა აღნიშნულ მექანიზმთა რეალიზების საშუალებას; რა სტრატეგიებით ხელმძღვანელობს ჩვენი სახელმწიფო დღეს არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებულ ძალადობრივ დანაშაულთა აღკვეთის სფეროში და რა ცვლილებებსა თუ დამატებებს საჭიროებს ქართული პრევენციული პოლიტიკა უახლოეს მომავალში.

**საძიებო სიტყვები:** ოჯახი, არასრულწლოვანი, ძალადობა, პრევენცია.

*Tamta Sajaia*

Grigol Robakidze University  
School of Law Ph.D. Student

## **Child Abuse in Family and its Contemporary Mechanisms of Prevention**

### ***Summary***

Unfortunately, child abuse in family is an international phenomenon. Georgian families prefer to keep negative issues, including facts of violence, within their families; whereas level of their awareness regarding legal mechanisms of self-defense against violence within families is significantly low. Therefore, there is a high risk of violation of child's rights within such families. The fact, that society is indifferent, having low levels of knowledge regarding the violence makes the current theme topical, especially from a preventive perspective.

In the article "Child abuse in family and its contemporary mechanisms of prevention" author fully acknowledges that the best way to prevent mentioned crime is to prevent it on the initial phase, rather

than punishing already occurred criminal act. Moreover, author explains that an early stage prevention of child abuse within families is more important than in any other types of crimes. Cruel violation of juvenile's rights may lead to their psychological and physical instabilities, destroy their understanding of family values and alienate them from society. Therefore, generation of such youth, which is at the same time our future generation, becomes a source of social instability and bolsters criminogenic atmosphere in the country.

Author sequentially reviews topical issues, such are:

- Problems of understanding and developing of a single accepted definition of violence against juveniles in families;
- Justification of using preventive mechanisms against child abuse phenomenon;
- Classification of the preventive measures related to the mentioned phenomenon;
- Clarification of social and criminological mechanisms of preventive measures;
- In-depth study of mentioned mechanisms to identify whether they fit in the contemporary Georgian reality and whether they may be used efficiently against child abuse;
- Justification of prevention mechanisms dedicated against violation of child's rights;
- Classification of academic and empirical measures against domestic violence.

**Keywords:** Family, Juvenile, Violence, Prevention.

## ოჯახში არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ძალადობა და მისი პრევენციის თანამედროვე მექანიზმები

### შესავალი

განვითარებული სახელმწიფოს უპირატესი მიზანი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაა, თუმცა აღსანიშნავია, რომ თავად საზოგადოება იმ ერთიანი მექანიზმის ნაწილია, რომელიც ებრძვის ნებისმიერ უარყოფით სოციალურ მოვლენას, განსაკუთრებით კი დანაშაულის ფენომენს და მიზნად საყოველთაო კეთილდღეობას ისახავს. სამწუხაროდ, ცივილიზაციის ისტორიაში განსაკუთრებული საშიშროებით მუდამ ძალადობრივი ხასიათის ქმედებები გამოირჩეოდა. ძალადობა ნებისმიერ ეპოქას ახასიათებდა, თუმცა მისი გამოვლინების ფორმები და გავრცელების დონე განსხვავდებოდა კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და შექმნილი სოციალური მოვლენების შესაბამისად [3,4].

დღესდღეობით, ჩვენს საზოგადოებაში ძალადობა განპირობებულია მატერიალური და სულიერი სიკეთეების არათანაბარი განაწილებით; ადამიანის თვითდაუკმაყოფილებლობით საკუთარი სოციალური დანიშნულების სფეროში; რაც მწვავედაა ალკოჰოლით, ნარკომანიით, უფლებადამრღვევთა დაუსჯელობითა და სხვა ნეგატიური სოციალური მოვლენებით.

განსაკუთრებული საშიშროების შემცველია ის ფაქტები, რომ აღნიშნული უარყოფითი ცვლილებები ეხება საზოგადოების შეგნებას, მათ შორის ოჯახურ ურთიერთობათა სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი სოციუმის ძირითადი უჯრედია, ყოველწლიურად იმატებს ოჯახური ძალადობის ფაქტები და სამწუხაროდ, მომეტებული ვიქტიმურობით სწორედ არასრულწლოვანთა ჯგუფები ხასიათდებიან. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ XXI-ე საუკუნეში მიაღწია წინსვლას და აღიარა „ბავშვი“, როგორც სრულფასოვანი

და თანასწორუფლებიანი სტატუსის მქონე პირი, შეიმუშავა მრავალი საერთაშორისო თუ ეროვნული საკანონმდებლო აქტი და იკისრა მისი ინტერესების დაცვა და განვითარების ხელშეწყობა, რეალურად, არასრულწლოვანთა უფლებები თითქმის ყველა სფეროში ირღვევა და რაც მთავარია, თავად „ოჯახი“ ჯერ კიდევ არ არის ბავშვის აბსოლუტური დაცულობის გარანტი [5].

აღნიშნულს მოწმობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შექმნილი სტატისტიკური მონაცემები ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ, საქართველოში 2015 წლის იანვარ - ივნისის მდგომარეობით გამოძიება დაიწყო ოჯახური ძალადობის 682 საქმეზე სსკ-ის 11<sup>1</sup> (პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისათვის) და 126<sup>1</sup> (ოჯახური ძალადობა) - მუხლებით; სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდა 455 პირის მიმართ; დაზარალებულად ცნობილ იქნა 510 პირი, აქედან 80 -მამაკაცი, 425 - ქალი, 5 პირის სქესი კი უცნობია. სამწუხაროდ, ამ პერიოდისათვის ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალდა 21 მცირეწლოვანი და 12 არასრულწლოვანი, რაც ნახევარი წლის მონაცემებისათვის ფატალურ სტატისტიკად შესაძლოა ვაღიაროთ [7].

ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული 510 პირიდან 6% - ე. ი. 33 ბავშვია და ეს ყოველივე იმის გათვალისწინებით, რომ სტატისტიკა ეფუძნება სამართალდამცავ ორგანოებში მიმართვიანობის პირობებში აღრიცხულ საქმეებს, მაშინ როდესაც შესაძლოა არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლით რეგულირებული ოჯახური ძალადობის სხვა ფაქტებიც არსებობდა, თუმცა არ განხორციელებულა სათანადო ორგანოების ინფორმირება და მოძალადეთა პასუხისგება.

აქედან გამომდინარე, ოჯახში არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ძალადობის გავრცელების ტენდენციები, მათი უარყოფითი შედეგები, ნეიტრალიზაციის სიძნელეები, მომეტებული ლატენტობის გამო სრულყოფილი სტატისტიკის არარსებობა, მოწმობს აღნიშნულ პრობლემაზე სამართლებრივი რეაგირების, კომპლექსური თეორიულ-პრაქტიკული კვლევის ჩატარების, რაც მთავარია, პრევენციულ მექანიზმთა განხილვა-ძიების, შესაბამისი დასკვნებისა თუ რეკომენდაციების შემუშავების, სრულყოფილი პრევენციული პოლიტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობას.

## **ძირითადი ნაწილი**

აღსანიშნავია, რომ იურიდიულ მეცნიერებაში არ არსებობს ერთიანი მიდგომა, რომლითაც განისაზღვრება „ოჯახში არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ძალადობის“ ფენომენი. საიმისოდ, რათა შემუშავდეს მსგავსი დეფინიცია, აუცილებელია დადგინდეს თუ ვინ მიიჩნევა ოჯახის წევრად. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით ოჯახის წევრია: მეუღლე, დედა, მამა, პაპა, ბებია, შვილი(გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), მეურვე, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას [1]. შესაბამისად, ბავშვის მიმართ ძალადობად შეიძლება მივიჩნიოთ ნებისმიერი მოქმედება თუ უმოქმედობა ოჯახის წევრის მხრიდან, რომელიც ფიზიკური თუ ფსიქიკური ძალადობის მეშვეობით მიზნად ისახავს ბავშვზე ყოველმხრივი კონტროლის დაუფლებას, რაც შედეგად ხელს უშლის მის ოპტიმალურ ფიზიკურ თუ მენტალურ განვითარებას, საფრთხეში აყენებს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსგავსი ძალადობის მხოლოდ ადრეული



გამოვლენა გახდის ეფექტურს სახელმწიფოში არსებული პრევენციული პოლიტიკის განხორციელებას.

ზოგადად დანაშაულის პრევენცია წარმოადგენს სახელმწიფოს, საზოგადოების, ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა მიზანმიმართულ ზემოქმედებას დანაშაულის დეტერმინაციისა და მიზეზობრიობის პროცესებზე, იმ მიზნით, რათა არ მოხდეს დანაშაულებრივ ქმედებებში ახალ პირთა ჩაბმა ან პირთა მიერ დანაშაულის ხელახლა ჩადენა [4, 435]. ბავშვთა მიმართ განხორციელებული ოჯახური ძალადობის პრევენციის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმით აიხსნება, რომ უფლებათა და თავისუფლებათა მსგავსი შელახვა სოციალური არასტაბილურობისა და კრიმინოგენულ მოვლენათა გამწვავების პირველადი და პირდაპირი საფუძველია.

აღსანიშნავია, რომ კრიმინოლოგიაში მიღებულია დანაშაულთა პრევენციის ზომების კლასიფიცირება ზოგად და სპეციალურ ღონისძიებებად. ზოგად-სოციალური ზომები სპეციალურ-კრიმინოლოგიურისაგან განსხვავებით მიზნად ისახავს არა კონკრეტული დანაშაულის პრევენციას, არამედ ხანგრძლივი სამოქმედო გეგმის პირობებში, კომპლექსურ ზემოქმედებას ახდენს სოციალურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა უმნიშვნელოვანეს ასპექტებზე.

დანაშაულისა და შესაბამისად, არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ოჯახური ძალადობის აღკვეთის ზოგად-სოციალური მექანიზმებია: ეკონომიკური; სოციალურ-პოლიტიკური; სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი და სოციალურ-ფსიქოლოგიური; კულტურულ-აღმზრდელობითი ღონისძიებები.

### **ზოგად-სოციალური პრევენცია**

*ეკონომიკური მექანიზმები.* დღესდღეობით საქართველოში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, შეიმჩნევა ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის უარყოფითი გავლენა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყველა სფეროზე. ბავშვებზე ძალადობა უმეტესად თავს იჩენს ფინანსური სირთულეების მქონე ოჯახებში, აქედან გამომდინარე, არასრულწლოვანთა მსგავსი ძალადობისაგან დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა სახელმწიფოში ეკონომიკური მოვლენების სტაბილიზაცია; ფინანსური კრიზისის დროულად დაძლევა, სახელმწიფოს ქმედითი ჩართულობა ოჯახის დაცვისა და მხარდაჭერის პროცესებში, ინვესტიციების მოზიდვა; ინფლაციის შემცირება; სოციალური დახმარების პროგრამების სრულყოფა და სხვ.

*სოციალურ-პოლიტიკური მექანიზმები.* საოჯახო პოლიტიკა სოციალური პოლიტიკის ნაწილია და წარმოადგენს პრინციპების, შეფასებებისა და სხვა სახის ორგანიზაციული ქმედებების სისტემას, მიმართულს ოჯახის ნორმალური განვითარებისა და არსებობისაკენ. ოჯახი, როგორც საზოგადოების საყრდენი, სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტად უნდა იქცეს და რაც მთავარია, აუცილებელია ამ მხრივ ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფა და სისტემატიზაცია.

*სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მექანიზმები.* არასრულწლოვანთა მიმართ ოჯახური ძალადობის თითოეული შემთხვევა მეტყველებს მასზე, რომ ხელისუფლება ვერ ახორციელებს საკუთარ თავზე აღებულ ვალდებულებას და ვერ უზრუნველყოფს იმ მიზნის განხორციელებას, რასაც „ბავშვთა ჭეშმარიტი ინტერესების“ დაცვა წარმოადგენს. სახელმწიფოს ეკისრება მისია, ყველა დაშვებული ხერხით უზრუნველყოს „ბავშვთა“ უფლებების დაცვა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში ეფექტური კანონმდებლობის არსებობა.

საქართველოში „ბავშვთა“ უფლებები უპირატეს და უზენაეს ღირებულებას წარმოადგენს. უდანაშაულობასთან ბრძოლის გზაზე ჩვენი სახელმწიფო ცდილობს, „ბავშვთა“ დაცვის სფეროში

არსებული ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს საერთაშორისო სტანდარტებთან. სწორედ ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ საქართველო მრავალი საერთაშორისო შეთანხმების მონაწილედ გვევლინება. რა თქმა უნდა, თითოეულ ამ აქტზე დეტალურად ვერ შევჩერდებით, თუმცა აუცილებელია იმ წყაროებზე ყურადღების გამახვილება, რომლებიც ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით ფუნდამენტურია.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ გაეროს 1989 წლის „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის რატიფიცირება 1994 წელს მოახდინა, რომლის თანახმად: „, ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყველა ადამიანი...“ ამავე კონვენციის მე-19 მუხლის მიხედვით კი: „მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომას ღებულობენ იმ მიზნით, რათა ბავშვი დაიცვან მშობლის, კანონიერი მეურვის ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ უფლების ბოროტად გამოყენებისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან, სექსუალური ბოროტების ჩათვლით“ [13].

2008 წელს, გაეროს კომიტეტის სხდომაზე, საქართველო მესამედ წარსდგა მოხსენებით ბავშვის უფლებების შესახებ. სამწუხაროდ, კომიტეტმა შემოთავაზებულმა საქართველოში ბავშვთა უფლებების არასათანადო დაცვასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც გაერომ წარადგინა შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება ძალადობის ფაქტების პრევენციასა და ბავშვთა მეტ დაცულობას განაპირობებდა [1].

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის გარდა აღსანიშნავია ევროპის საბჭოს მიერ 2007 წლის 25 ოქტომბრის

„სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის წინააღმდეგ ბავშვთა დაცვის ლანსაროტის კონვენცია“ [14], რომელსაც საქართველომ 2009 წელს მოაწერა ხელი, ხოლო 2014 წელს პარლამენტმა მიიღო დადგენილება აღნიშნული კონვენციის რატიფიცირების თაობაზე. „ლანსაროტის კონვენციის“ სახით საერთაშორისო დონეზე ხელმისაწვდომად გაიხსნა ყველაზე სრულყოფილი დოკუმენტი სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის სფეროში.

ყველა ფორმის სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის მიზნით, კონვენცია მოიცავს მთელ რიგ პრევენციულ ღონისძიებებს. საქმე ეხება პროფესიონალებისა და საზოგადოების მობილიზებას, ბავშვებთან მომუშავე პირთა მომზადებასა და სკოლებში სწავლის პერიოდში, ბავშვთა მეტ ინფორმირებას. შესაძლოა ითქვას, რომ „ლანსაროტის კონვენცია“ უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯია ბავშვთა მიმართ სქესობრივი ძალადობის შემცველ დანაშაულებთან ბრძოლის გზაზე და უაღრესად საამაყოა, რომ საქართველო ამ კონვენციის ხელშემკვერი მხარეა.

აღსანიშნავია, რომ 2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროსაბჭოს კონვენციას „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“, რითაც დაიხვეწა ოჯახში ძალადობის სფეროში არსებული კანონმდებლობა. კონვენციით დეტალურად რეგულირდება ოჯახში ძალადობის ნებისმიერი ფორმის დეტერმინაციის, აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის პროცედურები [8].

ეროვნულ ნორმატიულ ბაზას რაც შეეხება, უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვთა უფლებები აღიარებულია სახელმწიფოს უზენაესი საკანონმდებლო აქტით - კონსტიტუციით. კერძოდ 36-ე მუხლის თანახმად სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას, რაც მთავარია, დაცულია დედათა და ბავშვთა უფლებები [10]. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი სპეციფიკური არსებაა

როგორც პოლიტიკური, ასევე პროცესუალური გაგებით, საქართველოს კონსტიტუცია 36-ე მუხლის გარდა სახელდებით მეტად არ მოიხსენიებს არასრულწლოვნებს, არამედ მოიაზრებს მათ ზოგადად კონსტიტუციით დაცულ პირთა წრეში.

ოჯახში არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის აღკვეთის მარეგულირებელ კონკრეტულ ნორმებს ვხვდებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და სხვა სამართლებრივ აქტებში, თუმცა მათ დეტალურად მოგვიანებით შევეხებით.

**სოციალურ-ფსიქოლოგიური და კულტურულ-აღმზრდელობითი მექანიზმები.** თითოეულ სახელმწიფოში, მათ შორის საქართველოში საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ხელშემწყობი სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები შესაძლოა ორ ჯგუფად დავყოთ:

1. სოციუმის დამოკიდებულება კანონისა და მართლმსაჯულების მიმართ;
2. საზოგადოების მიერ კონკრეტული დანაშაულის ფენომენის არსებობის აღიარების დონე. საკმაოდ მნიშვნელოვან პრევენციულ მეთოდს წარმოადგენს საზოგადოების სამართლებრივი ნიჰილიზმის დამარცხება. მართლშეგნება ეს ის სულიერი გარემოა, სადაც ხდება სამართლის რეალიზაცია და რაც უფრო მაღალია მართლშეგნებაში ამა თუ იმ ნორმის აღიარების ხარისხი, მით უფრო ეფექტურია ნორმა. აქედან გამომდინარე, ყოველი სახელმწიფო ცდილობს, გავლენა მოახდინოს პირთა მართლშეგნებაზე, ხელს უწყობს ღირებულებების ფორმირებას.

საზოგადოების აზრს რაც შეეხება დანაშაულის, კერძოდ არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ოჯახურ ძალადობის ფენომენის მიმართ, საკმაოდ საინტერესო იქნება, განვიხილოთ გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2013 წელს ჩატარებული სამუშაო-კვლევა „ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში“<sup>[2]</sup>, რომლის ფარგლებში მთელი ქვეყნის მასშტაბით, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გამოიკითხა 3345 ადამიანი 3284 ოჯახიდან. კვლევაში არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ძალადობის საკითხები სხვადასხვა კუთხით არის განხილული:

*ა) ძალადობის სხვადასხვა ფორმის შესახებ საზოგადოებაში არსებული ცოდნა.*

- ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიკაციის და სათანადო ორგანოებისათვის შეტყობინების შესაძლებლობა დამოკიდებულია მასზედ, თუ რამდენად სწორად შეუძლია საზოგადოებას ძალადობის ყველა ფორმის ამოცნობა. აღსანიშნავია, რომ ზოგადად არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ფორმებიდან საქართველოს მოსახლეობის 64%-მა ფსიქოლოგიური; 90%-მა ფიზიკური; 78%-მა სექსუალური ძალადობისა და 79%-მა ბავშვის ინტერესების უგულებელყოფის ყველა ფორმის ამოცნობა მოახდინა.
- კითხვაზე „რას მოიმოქმედებთ, თუ გახდებით ბავშვის მიმართ ძალადობის მოწმე“, 70%-მა აღნიშნა, რომ ამჯობინებს უშუალოდ მიმართოს ბავშვის მშობლებს, ვიდრე მოითხოვოს პროფესიონალების ჩარევა. ეს სამწუხაროა, რადგან ძალადობის ნებისმერი შემთხვევის შესახებ უნდა ეცნობოს შესაბამის ორგანოებს.
- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობამ მოახდინა ძალადობის ფორმათა იდენტიფიცირება, მხოლოდ 29%-მა მიიჩნია, რომ 2013 წლამდე ბოლო 10 წლის მანძილზე ბავშვთა მიმართ ძალადობა მზარდ პრობლემად იქცა. აღნიშნული მოწმობს მასზედ, რომ საზოგადოება არ არის ინფორმირებული არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის, მით უფრო ოჯახური ზემოქმედების ფაქტების შესახებ და ვერ აფასებს ამ პრობლემის სირთულეს სათანადო დონეზე.

*ბ) რესპოდენტთა გამოცდილება, დამოკიდებულება და აღქმა ბავშვის აღზრდის პროცესში ფიზიკური ძალადობის გამოყენებაზე.*

- კვლევის შედეგად დადგინდა - საზოგადოების იმ 66 პროცენტიდან, ვისაც ბავშვობაში ფიზიკური ძალადობა განუცდია, 40% ფიქრობს, რომ დასაშვებია ბავშვების მიმართ ფიზიკური დისციპლინური სასჯელის გამოყენება.
- კითხვაზე, იყენებენ ან აპირებენ თუ არა გამოიყენონ საკუთარი შვილების ფიზიკური დასჯის მეთოდი, დადებითად უპასუხა ქალების 30%-მა და კაცების 17%-მა, საერთო ჯამში კი საზოგადოების 60%-მა განაცხადა, რომ ოჯახში აღზრდის მკაცრი მეთოდების გამოყენება უფრო შედეგიანია, ვიდრე არაძალადობრივისა.
- პირის განათლების დონე პირდაპირ არის დაკავშირებული მის შეხედულებასთან ფიზიკური ძალადობის, როგორც დასჯის ფორმის მიმართ; რაც უფრო განათლებულია ადამიანი, მით უფრო ნაკლებია იმის ალბათობა, რომ მან დასჯის ფორმად დასაშვებად მიიჩნიოს ფიზიკური ძალადობის გამოყენება. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ არასრული საშუალო განათლების მქონე პირების 66%-მა პოზიტიური დამოკიდებულება გამოხატა ოჯახში ბავშვთა ფიზიკური დასჯის მიმართ, ხოლო უმაღლესი განათლების მქონე 64%-მა ნეგატიურად შეაფასა აღზრდის მსგავსი მეთოდი.

*გ) ოჯახში სექსუალური ძალადობის მიმართ საზოგადოებაში გავრცელებული დამოკიდებულება.*

- საქართველოს მოსახლეობის 42%-ის აზრით, ყველაზე დიდი ალბათობით, ბავშვზე შესაძლო სექსუალურ ძალადობაში „ექვმიტანილი“ არიან უცხო პირები, ხოლო მეორე ადგილზე დგანან ოჯახის მეგობრები და ნაცნობები (35%). მშობლების მხრიდან ასეთი ძალადობის შესაძლებლობა დაუმვა 5%-მა, ხოლო ოჯახის სხვა წევრების მხრიდან – 10%-მა. საქართველოში მოსახლეობა ფაქტობრივად საერთოდ არ აღიარებს, რომ ასეთი რამ შეიძლება ჩაიდინოს ოჯახის წევრმა, ხოლო „უცხო პირების“ როლი უკიდურესად გადაჭარბებულია.

*დ) 14-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდების შეხედულებები.*

- აღნიშნული კვლევის ფარგლებში გაიმართა ჯგუფური დისკუსია 14-18 წლის ქართველ მოზარდებთან. გაირკვა, რომ ოჯახის ძლიერი წევრი ასოცირდება ოჯახის მამაკაც წევრთან (ხშირად მამა), რომელიც ყველა ჯგუფმა დაასახელა, როგორც ყველაზე სავარაუდო მოძალადე. დედები, როგორც სავარაუდო მოძალადეები, დასახელდნენ ფსიქოლოგიური ძალადობის კონტექსტში.
- სამწუხაროდ, ყველა ბავშვმა მიუთითა სახლზე, როგორც ბავშვების მიმართ გამოვლენილი ძალადობის ყველაზე შესაძლო ადგილზე. სამივე ჯგუფმა ასევე დაასახელა ქუჩა, როგორც რიგით მეორე ყველაზე უფრო ძალადობრივი ადგილი, განსაკუთრებით – ბიჭებისთვის. მაგრამ, „სახლში ძალადობისგან განსხვავებით, ქუჩაში ბავშვს შეუძლია საკუთარი თავის და უფლებების დაცვა. სახლში ბავშვს არ შეუძლია მშობლისთვის წინააღმდეგობის გაწევა“ (17 წლის ბიჭი თბილისიდან).
- მოზარდები მკაფიოდ განასხვავებენ ერთმანეთისგან მკაცრ აღზრდას და ფიზიკურ დასჯას. მონაწილეთა უმრავლესობამ აღწერა ძალადობა, როგორც ბავშვის ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობის დამაზიანებელი ფაქტორი, ხოლო ზოგმა გამოთქვა მოსაზრება ფიზიკური დასჯის დადებითი გავლენის შესახებ: „მე ასეთი კარგი რომ ვარ, ეს იმიტომ, რომ დედა მცემდა ბავშვობაში. ახლა გავიზარდე და მესმის ყველაფერი და დასჯას აღარ ვსაჭიროებ. მე არ ვბრაზდები დედაჩემზე; პირიქით – ვფიქრობ, რომ პატარა ბავშვს შეუძლებელია რამე გააგებინო ფიზიკური დასჯის გარეშე“ (17 წლის ბიჭი ქუთაისიდან).

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2013 წელს ჩატარებული კვლევის მონაცემების საფუძველზე შესაძლოა ითქვას, რომ საქართველოს საზოგადოება, არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებულ ძალადობას, განსაკუთრებული პრობლემის სტატუსს არ ანიჭებს. უფრო მეტიც, მოქალაქეები კატეგორიულად უარყოფენ ოჯახებში ბავშვთა მიმართ განხორციელებული

ძალადობის ფენომენის არსებობას; აღზრდის საუკეთესო საშუალებად ჯერ კიდევ ძალმომრეობას მიიჩნევენ; მოქალაქეები არ აღიარებენ საკუთარ ვალდებულებას ბავშვის მიმართ ოჯახური ძალადობის განხორციელების ეჭვის შემთხვევაში მიმართონ შესაბამის ორგანოებს; რაც ყველაზე სამწუხაროა, არასრულწლოვანთა ნაწილიც კი არ თვლის მათი უფლებების მსგავს ხელყოფას დასაგმობად და მზადაა აღზრდისა და თანაცხოვრების იმავე მეთოდი გამოიყენოს საკუთარი შვილების მიმართ მომავალში.

შესაბამისად, ნათელია, რომ საქართველოში აუცილებელია ეფექტური სოციალურ-ფსიქოლოგიური და კულტურულ-აღმზრდელობითი მექანიზმების ამოქმედება, რათა თითოეული მოქალაქე განსაკუთრებით კი არასრულწლოვნები აცნობიერებდნენ სად გადის ზღვარი დასაშვებსა და აკრძალულს შორის ოჯახურ ურთიერთობათა სფეროში.

### **სპეციალურ-კრიმინოლოგიური პრევენცია**

არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ოჯახური ძალადობის სპეციალურ-კრიმინოლოგიური პრევენცია ხორციელდება სპეციალური სუბიექტების მიერ პროფესიონალურ დონეზე და ყურადღების ცენტრში აქცევს მომეტებულად - ვიქტიმურ და მომეტებულად-კრიმინოგენულ ჯგუფებს. აღნიშნულ სუბიექტებში მოიაზრება სახელმწიფო ორგანოები და ამ ორგანოთა მუშაკები, რომლებიც აღჭურვილნი არიან უფლებამოსილებით, ოჯახური ძალადობის ნიშნების სისტემური აღმოფხვრის პირობებში, დაიცვან ბავშვთა ინტერესები.

სპეციალურ-კრიმინოლოგიური პრევენცია რამდენიმე ასპექტს მოიცავს:

1. სახელმწიფოს სამართალდამცავ ორგანოთა საქმიანობა;
2. სახელმწიფო დაწესებულებების: სკოლების, სამედიცინო ცენტრების, სოციალური დახმარებისა და დაზარალებულთა დროებითი განთავსების ცენტრების ერთობლივი მოქმედება (მსხვერპლთა რეაბილიტაცია);
3. მოძალადეებზე ინდივიდუალურ-კრიმინოლოგიური მექანიზმების გავრცელება.  
აუცილებელია, დასახელებულ ასპექტთა დეტალური რეგულირება ეროვნული კანონმდებლობის მეშვეობით. აღნიშნული კუთხით, საქართველოს ნორმატიული ბაზა შემდეგნაირად გამოიყურება:

2006 წელს საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო კანონი „**ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ**“, რომელმაც ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობის აღიარებით მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა დაისახა მიზნად, კერძოდ:

- ბ) ოჯახში ძალადობის გამოვლენის, აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის ეფექტიანი საკანონმდებლო მექანიზმების შექმნა;
- გ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სისტემის შექმნა;
- დ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შექმნა;
- ე) ოჯახში ძალადობის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის უზრუნველყოფა;
- ვ) მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხელშეწყობის უზრუნველყოფა” [9].

ძალადობისა და უგულებელყოფის მსხვერპლი ბავშვების დაცვის მექანიზმების შემუშავების მიზნით სამმა სამინისტრომ (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და მეცნიერების, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტრომ) 2010 წლის 31 მაისს გამოსცა ერთობლივი

ბრძანება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“, რომელმაც მიზნად დაისახა ბავშვზე ძალადობის შემთხვევების იდენტიფიკაციის, შესაძლო მსხვერპლთა შეფასებისა და მათი საჭიროებების უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემის განვითარება. ბრძანების თანახმად:

*„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტებია საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი (შემდგომში – საპატრულო პოლიცია) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურები (შემდგომში – საუბნო სამსახურები), სააგენტო, სკოლები, ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებები (ბავშვთა საადმინისტრაციო დაწესებულებები, ბავშვთა სახლები, დღის ცენტრები, მცირე საოჯახო ტიპის სახლები), სამედიცინო დაწესებულებები და სოფლის ექიმები.“*

*„სკოლების, სამედიცინო და ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებების ადმინისტრაცია და სოფლის ექიმები ვალდებული არიან ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ადგილზე მოახდინონ ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული გადაუდებელი მდგომარეობისა და ბავშვზე განხორციელებული ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის იდენტიფიკაცია და აწარმოონ შემთხვევის მართვა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში“ [12].*

აუცილებელია აქვე აღინიშნოს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილება, რომლითაც კოდექსს დაემატა 11<sup>1</sup> მუხლი - პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისათვის და 126<sup>1</sup> მუხლი - ოჯახში ძალადობა (ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა...“).

აღნიშნული აქტების სინთეზში განხილვის შედეგად, შევძლებთ გამოვარკვიოთ, თუ როგორ მიმდინარეობს სისხლის სამართლის კუთხით პრაქტიკაში არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ოჯახური ძალადობის ფაქტების რეგულირება. წარმოვიდგინოთ შემთხვევა:

არასრულწლოვანი „ა“ საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე იყო. მართალია, მასწავლებლები მის ცუდ ყოფაქცევას არ უჩიოდნენ, თუმცა „ა“, მუდამ გულჩათხრობილი, მაღალი აკადემიური მოსწრებით არ გამოირჩეოდა. ერთ დღეს, გაკვეთილების შემდეგ, მისმა მასწავლებელმა „ა“-სა და ჯგუფელის საუბარი მოისმინა, საიდანაც ირკვეოდა, რომ „ა“-ს გულჩათხრობილობას მამის მიერ მუდმივად განხორციელებული ცემა განაპირობებდა. მასწავლებელმა იფიქრა, რომ ბავშვი ამ „გამოგონილი ამბებით“ საკუთარი „ცუდი ნიშნების“ გამართლებას ცდილობდა თანატოლთან და მის სიტყვებს მნიშვნელობა არ მიანიჭა.

იმავე დღეს „ა“-ს მამა სახლში ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში დაბრუნდა და ჩვეულებისამებრ, მეუღლესა და „ა“-ს ჩხუბი დაუწყო. არასრულწლოვანის დედამ ვედარ მოითმინა აღნიშნული და საპატრულო პოლიცია გამოიძახა. პოლიციის მუშაკები დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ შემთხვევის ადგილზე, დაადგინეს რა არასრულწლოვანისა და დედის მიმართ უფლებათა შელახვის საფრთხის არსებობა, გამოსცეს „ა“-ს მამის მიმართ შემაკავებელი ორდერი.

ყოველივე იმგვარად განვითარდა, რომ „ა“-მ დედასთან ერთად ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დროებით საცხოვრებელში- თავშესაფარში ხუთი თვე გაატარა, სადაც მათ გაეწიათ შესაბამისი სარეაბილიტაციო მომსახურება, ხოლო „ა“-ს მამა სასამართლომ ცნო დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ (ოჯახში ძალადობა წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვანის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ) და „ბ“ (ოჯახში ძალადობა არასრულწლოვანის თანდასწრებით მისივე

ოჯახის წევრის მიმართ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენაში და სასჯელის სახით განუსაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ვადით 120 საათი.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი შემთხვევა, სამწუხაროდ რეალობას მოკლებული არ არის. პრაქტიკაში ხშირია მსგავსი ფაქტები. შესაბამისად, ყოველივე ზემოთქმული საშუალებას იძლევა, გამოვარკვიოთ ის ხარვეზები, რომლებიც არსებობს არასრულწლოვანთა ოჯახური ძალადობის სპეციალურ-კრიმინოლოგიური პრევენციის კუთხით. საბედნიეროდ, აღნიშნული არ ეხება სახელმწიფოს სამართალდამცავ ორგანოთა საქმიანობას, ვინაიდან, მათი უფლება-მოვალეობები მკაცრად არის რეგლამენტირებული როგორც „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონით, ასევე „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით.

ოჯახური ძალადობის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე სამართალდამცავი ორგანოები სათანადო რეაგირებას ახდენენ; ადგილზე შეისწავლიან შემთხვევას და საჭიროების შემთხვევაში შემაკავებელ ორდერს გამოსცემენ ერთი თვის ვადით, ან სასამართლოს მიერ გამოიცემა დამცავი ორდერი ექვსი თვის ვადით, რომელიც ითვალისწინებს „მსხვერპლთა“ თავშესაფარში განთავსებას და „მომალადეთა“ მიმართ გარკვეული სახის შემზღვევით ღონისძიებათა გატარებას. ამ პროცედურების პარალელურად, თუკი ქმედებაში იკვეთება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, ოჯახის მომალადე წევრის მიმართ გამოიყენება სისხლისსამართლებრივი მექანიზმები.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო დაწესებულებების, კერძოდ სოციალური მომსახურების სააგენტოს, თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების საქმიანობაც საკმაოდ ეფექტურია. არასრულწლოვნებს არამომალადე მშობელთან ერთად ათავსებენ თავშესაფრებში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მომალადეა ორივე მშობელი, ან ბავშვს მხოლოდ ერთი მშობელი ჰყავს, შესაძლოა დადგეს ბავშვის სხვა ნათესავისათვის ან მინდობით აღზრდის სახით გადაცემის საკითხი.

საქართველოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო უფლებამოსილია სასამართლოს წესით მოითხოვოს მომალადე (მსჯავრდებული) პირებისათვის მშობელთა უფლებების ჩამორთმევა ან შეზღუდვა.

ხარვეზი ვლინდება ორი მიმართულებით:

ა) საქართველოში არასრულწლოვანებთან ურთიერთობის მქონე, უმეტესად სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებები მიუხედავად „**ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ**“ ბრძანებით გათვალისწინებული ვალდებულებისა, ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე შეატყობინონ სოციალური მომსახურების სააგენტოს ან პოლიციას, არ ასრულებენ მოვალეობებს, სწორედ იმგვარად, როგორაც ჩვენ მიერ წარმოდგენილ მაგალითში არის აღწერილი. სკოლის მასწავლებლები ხშირად არასერიოზულად აღიქვამენ არასრულწლოვანთა მონათხრობს ოჯახში მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტების შესახებ; ან მიიჩნევენ, რომ აღნიშნული მოვლენები მათ პასუხისმგებლობას სცილდება და არ არიან ვალდებული, რაიმე სახის რეაგირება მოახდინონ ყოველივეზე; ან კიდევ კომპეტენტური ორგანოებისათვის შეტყობინების ნაცვლად არასრულწლოვნის მშობლებთან დამოუკიდებლად მსჯელობენ მომხდართან დაკავშირებით. შესაბამისად, სახელმწიფო დაწესებულებათა მსგავსი ინერტულობა ართულებს არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ოჯახური ძალადობის მონიტორინგისა და აღკვეთის პრობლემას, საბოლოოდ კი სახელმწიფოს პრევენციული პოლიტიკა შესაბამისი ეფექტურობით ვერ ხორციელდება.

ბ) არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ოჯახური ძალადობის ქმედით აღკვეთას ხელს უშლის სახელმწიფოს არასათანადო მიდგომა „მომალადეთა რეაბილიტაციის“ საკითხებისადმი. მართალია, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონი ითვალისწინებს მომალადეთა ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარების, გაჯანსაღებისა და განკურნების სარეაბილიტაციო კურსების შექმნისა და უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს განსაზღვრის ვალდებულებას, თუმცა ათი წელია აღნიშნული ვალდებულება მხოლოდ ნორმად რჩება და ჯერ კიდევ არ არის მომალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრი.

მართალია, საქართველოში მოქმედი დანაშაულის პრევენციის ცენტრი ახორციელებს ზოგადად დანაშაულთა სამი დონის პრევენციას, გათვლილს ახალგაზრდა თაობაზე. აღსანიშნავია აგრეთვე, მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა, რომლის ფარგლებში სოციალური მუშაკი ახდენს მსჯავრდებულის ბიოფსიქოსოციალურ შეფასებასა და ყოველთვიურ მონიტორინგს, თუმცა აღნიშნული პროგრამა არ მოიაზრებს დამნაშავეთა, მით უფრო მომალადეთა ფსიქო-სოციალური პრობლემების სიდრმისეულ კვლევა-აღმოფხვრას, რასაც სავარაუდოდ ხანგრძლივი მუშაობა და მომალადის გარკვეული დროით იზოლაცია თუ უზრუნველყოფს [6]. ზემოდასახელებული მაგალითით მომალადეს სასჯელის სახით გამასწორებელი სამუშაო შეეფარდა, მართალია, მან გაიარა მთელი სასამართლო წარმოება და საკუთარ თავზე გამოსცადა ნასამართლობის უარყოფითი შედეგები, თუმცა ძირეული პრობლემა გამოუკვლეველი და აღმოუფხვრელი დარჩა. ძალადობის პრევენციის ეფექტურობას განაპირობებს არამხოლოდ სისხლისსამართლებრივი სასჯელი, არამედ დანაშაულის ჩადენის ინდივიდუალური მიზეზების გამოვლენა და აღმოფხვრა.

არასრულწლოვან „ა“-ს შემთხვევაში შესაძლოა მამის მსგავს ქმედებას ალკოჰოლური ნივთიერებების ზემოქმედება იწვევდა, ან სხვა გარემოება ედო საფუძვლად. სამწუხაროდ, აღნიშნული მიზეზები გამოუკვლეველი და აღმოუფხვრელი დარჩა, რაც ძალადობის კვლავ განხორციელების საფრთხეს ქმნის.

აღსანიშნავია, რომ ევროპის წამყვან სახელმწიფოებში მომალადეთა რეაბილიტაციის საკითხი საკმაოდ ეფექტურად არის რეგულირებული. კერძოდ, „ა“-ს მამის შემთხვევაში მას სავალდებულოდ ერთი წლით განათავსებდნენ მომალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრში, სადაც გამოიკვლევდნენ ძალადობის გამოვლინების მიზეზებს და რეაბილიტაციის კურსი სწორედ მიღებულ შედეგთა გათვალისწინებით დაიგეგმებოდა. რა თქმა უნდა, მსგავსი ცენტრის შექმნა და მომალადეთა რეაბილიტაცია სახელმწიფოს მიერ დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, თუმცა მის გარეშე ოჯახური ძალადობის ეფექტურ პრევენციაზე ვერ ვიმსჯელებთ.

## დასკვნა

არასრულწლოვანთა სიცოცხლესა თუ ჯანმრთელობაზე ზრუნვა მშობლებისა და ახლობლების პირდაპირი მოვალეობაა, აქედან გამომდინარე უფრო მეტ სისასტიკესთან გვაქვს საქმე, როდესაც ბავშვთა მიმართ ძალადობა ოჯახში იჩენს თავს. ცნობილია, რომ მოზარდები ქმედებათა იმ მოდელს ითვისებენ, რომელთა დემონსტრირებასაც უფროსები ახდენენ, აქედან გამომდინარე, ხშირად ბავშვი, რომელიც ოჯახურ ძალადობას განიცდის ებმება ანტისაზოგადოებრივ ქმედებებში, ხდება ალკოჰოლურ თუ ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებელი; თავად ძალადობს სხვებზე; სქესობრივი ძალადობის მსხვერპლნი იძენენ მათი ასაკისათვის შეუსაბამო ჩვევებსა და ცოდნას სქესობრივ ურთიერთობათა სფეროში, რაც ვლინდება სხვადასხვა სახის ფსიქიკური დარღვევით; ისინი განიცდიან სოციალიზაციის სიძნელეს; არ გააჩნიათ



ურთიერთობათა ნორმალურად წარმოების უნარები და საკუთარი პრობლემების გადაჭრის გზებს ხშირ შემთხვევაში პოულობენ კრიმინალურ, ასოციალურ გარემოში. მიუხედავად ამისა, არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ოჯახური ძალადობის წინასწარი აღკვეთა კვლავ რჩება რთულ და არაერთგვაროვან საკითხად.

შესაძლოა, გამოვყოთ მსგავსი ძალადობის პრევენციის სახელმწიფო მექანიზმის ძირეული ხარვეზები:

- ა) საზოგადოების ნაკლები ინფორმირებულობა ძალადობის პრობლემის არსებობის შესახებ;
- ბ) რიგი სახელმწიფო ორგანოებისა და მუშაკების მიერ რეფერირების ვალდებულებათა უგულებელყოფა; გ) მოძალადეთა სპეციალიზებული სარეაბილიტაციო ცენტრების არარსებობა.

აღსანიშნავია, რომ ზოგად-სოციალური და სპეციალურ-კრიმინოლოგიური პრევენციული ღონისძიებები ვერ იქნება ეფექტური, თუკი აღნიშნული პრობლემატური საკითხები არ აღმოიფხვრა. ამ კუთხით, აუცილებელია:

- საზოგადოების ინფორმირება მოქალაქეების პასუხისმგებლობისა და ბავშვების მიმართ გამოვლენილი ძალადობის შესაბამისი ორგანოებისათვის შეტყობინების წესისა და პროცედურების შესახებ;
- შესაბამისი კამპანიების განხორციელება, რათა მშობლებმა გამოიყენონ ბავშვთა აღზრდის არათუ ძალადობრივი, არამედ ალტერნატიული დისციპლინური მეთოდები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური პროგრამების დანერგვა, რომელთა მიზანი იქნება ბავშვთა მიმართ განხორციელებული ოჯახური ძალადობის უარყოფით მოვლენათა იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის ხელშეწყობა;
- სახელმწიფო დაწესებულებებში დასაქმებული პროფესიონალების უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის ზომების დეტალური საკანონმდებლო რეგლამენტირება და ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურების საკითხებზე რეგულარული ტრენინგების ჩატარება;
- მოძალადეთა ინდივიდუალური სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნა და ძალადობის წარმომქმნელ მიზეზებზე ეფექტური ზემოქმედება.

აუცილებელია გავაცნობიეროთ, რომ ბავშვთა მიმართ განხორციელებული ოჯახური ძალადობის აღმოფხვრა დამოკიდებულია არამხოლოდ სახელმწიფოს პოლიტიკაზე, არამედ მასზედ, რამდენად დაუშვებს საზოგადოება და მისი თითოეული წევრი, რომ ოჯახური ურთიერთობების მსგავსი ნეგატიური ტენდენციები განვითარდეს მომავალში.

## ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი. 2014. *მომიყვი რა მოხდა. დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა. სახელმძღვანელო ტრენინგებისა და პროფესიონალებისათვის*. თბ.
2. USAID, *ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში, ეროვნული კვლევა არსებული ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ*. ხელმისაწვდომია: [http://unicef.ge/uploads/Unicef\\_VAC\\_GEO\\_Final3\\_02\\_09.pdf](http://unicef.ge/uploads/Unicef_VAC_GEO_Final3_02_09.pdf)
3. Антонян Ю. М. 2000. *Насилие. Человек. Общество*. М.
4. Долгова. А. И. 2008. *Криминология. Учеб.* М.
5. ქურციკიძე მ. ესაძე ლ. 2003. *ბავშვთა დახმარების ერთიანი ეროვნული სამოქმედო პროგრამა საქართველოში. აღმნახი*, 4. <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d->

01000-00---off-0period--00-1----0-10-0---0---0direct-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-800&a=d&c=period&cl=CL4.10&d=HASH017a1f43e4a3ba17b3c498bb.5.

6. საქართველოს დანაშაულის პრევენციის ცენტრის ოფიციალური ვებ-გვერდი. <http://prevention.gov.ge/>
7. საქართველოს შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი. 2015 წელი, იანვარი-ივნისი. *ოჯახური ძალადობა*. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი. <http://police.ge/ge/useful-information/statistics/skhvadaskhva-sakhis-statistika-kvlevebi?page=2>
8. საქართველო. მთავრობის 2014 წლის 16 ივნისის #1071 განკარგულება ევროპის საბჭოს 2011 წლის 11 მაისის „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენციის ხელმოწერის თაობაზე. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2378090>
9. საქართველო. პარლამენტი. კანონი: ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ (3143,28.10.2015). ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422>
10. საქართველო. პარლამენტი. კონსტიტუცია (786, 04.10.2013). ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>
11. საქართველო. პარლამენტი. სისხლის სამართლის კოდექსი (2015 წლის დეკემბრის მდგომარეობით), ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>
12. საქართველო. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და მეცნიერების, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტრო. ბრძანება - #152/ნ-3496-345/ნ, (152ნ, 07.06.2010). ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1021481>
13. გაეროს 1989 წლის 20 ნოემბრის „ბავშვის უფლებათა კონვენცია“. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901>
14. ევროსაბჭოს 2007 წლის 25 ოქტომბრის „სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის წინააღმდეგ ბავშვთა დაცვის ლანსაროტის კონვენცია“. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2684715>

## ბრალის შესახებ კლასიკური თეორიები

### რეზიუმე

სტატია ეხება ზოგადად ბრალისა და ბრალეული პასუხისმგებლობის იდეას, რომელიც წარმოადგენს ცივილიზაციის უმთავრეს ღირებულებას. ისტორიას ახსოვს პერიოდები როდესაც არ იყო დახვეწილი ბრალეულობის იდეა და ძალიან არამყარი და აბსტრაქტული კავშირის დადგენაც საკმარისი იყო პირის ბრალდებისათვის, თანდათან გაჩნდა საჭიროება შეგნებული და არგუმენტირებული რეგულირების აუცილებლობის. ბრალის არსის საკითხი არ კარგავს აქტუალურობას და მისდამი დამოკიდებულება საკმაოდ არაერთგვაროვანია. მრავალი მეცნიერი საკმაოდ საინტერესო განმარტებებს აკეთებდნენ ბრალის შესახებ და სწორედ ბრალი გახლდათ ის საკითხი რაზეც დღესაც საუბრობენ და არანაკლებ საინტერესო განმარტებებს გვთავაზობენ თანამედროვენი.

ჯერ კიდევ ნ. ტაგანცევი შენიშნავდა: “თანამედროვე სისხლის სამართალმა არ იცის არც ერთი ზოგადი ტერმინი ბრალეულობის ორივე ფორმის აღსანიშნავად”.(7) პროფ. ალ. ვაჩიშვილი წერდა: “მრავალი ავტორი შეეხო ბრალის საკითხს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს მხარე დანაშაულისა აქამდის გაურკვეველია, ბუნდოვანია”. (1) მართლაც, განზრახვა და გაუფრთხილებლობა, მათი სახეები ერთ მნიშვნელზე დაყვანილი დღემდე არ არის.

**საძიებო სიტყვები:** ბრალი, განზრახვა, გაუფრთხილებლობა, პასუხისმგებლობა, თეორიები.

**Ketevan Supatashvili**

Grigol Robakidze University,  
School of Law, Ph.D. student

## Classical Theories about Guilt

### Summary

The article refers to the general idea of guilt and responsibility for the fault which is the guiding principle for civilization. There have been periods when there was no clear idea about guilt and a very shaky and abstract relationship was enough to indict a person. Gradually, reasonable and convincing regulation became necessary. The issue of guilt does not lose its relevance and there is ambiguous attitude to it. Many scientists have made interesting explanations about guilt and

namely it is guilt issue which is much discussed. Our contemporaries also offer very interesting definitions.

Even N. Tagantsev said: “Modern criminal law knows no generic term to refer to both forms of guilt”. Professor Al. Vacheishvili wrote: “Many authors touched the theme of guilt, but it must be said that this aspect of crime has been unclear, vague so far”. Indeed, the Intent and negligence, their forms have not been brought down to a single denominator yet.

**Key words:** Guilt, Intent, negligence, responsibility, theories.

## ბრალის შესახებ კლასიკური თეორიები

### შესავალი

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია ბრალის შესახებ კლასიკური (ბურჟუაზიული) პერიოდის თეორიები, რომელთა განხილვის მიზანია იმის გარკვევა, შესაძლებელია თუ არა ბრალის ფორმებად წოდებული განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გვარეობითი ცნების დადგენა. ეს შესაძლებელია მხოლოდ ბრალის პრობლემის ახლებურად დასმისა და გადაჭრის თუ კლასიკური თეორიების გაზიარების შემთხვევაში. კერძოდ, “უპასუხისმგებლობა“ არის “ბრალეულობის” სინონიმი. ეს არის ტერმინი, რომელიც, ამავე დროს, ბრალის ფორმების გვარეობით ცნებას წარმოადგენს. იგი გამოხატავს არა მარტო ანტისაზოგადოებრივი ქმედების გამო შექმნილ ობიექტურ ვითარებას, არამედ ახასიათებს თვით სუბიექტსაც. მოვალეობისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, მისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების შესაძლებლობის ვითარებაში, მისი ბრალეულობის ნიშანია. ცხადია, მოვალეობისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება რაიმე ანტისაზოგადოებრივი ქმედებით ვლინდება. ესაა ამორალური ან მართლსაწინააღმდეგო ქმედება. აქედან გამომდინარე, ბრალი მოვალეობისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაა, რომელიც ანტისაზოგადოებრივი ქმედების ჩადენით ვლინდება. ეს არის ბრალის უზოგადესი, ანუ კატეგორიული განსაზღვრება, რომელიც ბრალის არსს გამოხატავს.

### ბრალის კლასიკური თეორიები

კლასიკური პერიოდის სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაბატონებულად უნდა ჩაითვალოს ის შეხედულება, რომლის თანახმად, ბრალის საფუძველს ნებისყოფა წარმოადგენს. ეს შეხედულება ახალი არ არის. უკვე კლასიკური პერიოდის რომის სისხლის სამართალი განსაკუთრებით ხაზს უსვამს დანაშაულის შინაგან მხარეს, სახელდობრ ნებისყოფას და ამ აზრს გამოთქვამს ცნობილ ფორმულაში: “დანაშაულში ყურადღება ექცევა ნებისყოფას და არა გარეგან შედეგს” (ადრიანეს რესკრიპტი).

რომის კლასიკური სამართალი იცნობდა *dolus*-ის ტექნიკურ-იურიდიულ ცნებას, რომელიც თავისი სიმარტივით სიზუსტით გამოირჩეოდა. იგი ემყარებოდა აზრს, რომ ნებისყოფა არის იურიდიული და ეთიკური პასუხისმგებლობის საფუძველი.

შუა საუკუნეთა კანონმდებლობა, გერმანული სამართლის ზეგავლენით, რაც ობიექტური შერაცხვის პრინციპის აღიარებაში გამოიხატებოდა, მკვეთრ წინააღმდეგობაშია რომის სამართლის საწყისებთან. ეს წინააღმდეგობა მკაფიოდ არის ასახული ფეოდალური პერიოდის იურისტის არეტინუსის დებულებაში: “მაგრამ სტატუტები იტალიაში სჯიან ფაქტს და არა სულიერ განწყობილებას”.

მომდევნო პერიოდში ბრალის, როგორც ნებისყოფის აქტის ცნება გვხვდება სხვადასხვა ავტორების, მაგალითად, კარპოვის, ბემერის შრომებში. იმავე შეხედულებას იზიარებს კანტი, რომელიც ბრალის ბუნების ცნებას სახელმწიფოს დასჯით პოლიტიკას უკავშირებს. კანტი უარყოფს იმ მოსაზრებებს, რომლებიც ბეკარიას მოჰყავს სიკვდილით დასჯის გაუქმების სასარგებლოდ. სასჯელი, - წერს იგი, - ეფარდება ადამიანს არა იმიტომ, რომ მას სურდა სასჯელი, არამედ იმიტომ, რომ მას სურდა დასჯადი მოქმედება, ვინაიდან არაა სასჯელი, როცა ვინმეს ემართება ის, რაც მას სურდა და შეუძლებელია ვინმეს ჰქონდეს სასჯელის სურვილი. (13) კანტი გამოთქვამს აზრს იმის შესახებ, რომ სასჯელის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადამიანის ნებისყოფა, რომელიც დანაშაულის ჩადენაზეა მიმართული.

კლასიკური სკოლა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გულმოდგინედ ამუშავებდა ბრალის ნებისყოფით კონცეფციას. მან მიზნად დაისახა ბრალის ორი ძირითადი ფორმის – განზრახვისა და გაუფრთხილებლობის – საერთო საფუძვლის გარკვევა. თანამედროვე დოქტრინის პირველ წარმომადგენლად ზოგიერთი თვლის მე-18 საუკუნის კრიმინალისტს კლეინს. ამ ავტორამდე მიღებული იყო დუალისტური კონცეფცია: განზრახვა მიჩნეული იყო ნებისყოფის ნაკლოვანებად, ხოლო გაუფრთხილებლობა – გონების ნაკლოვანებად. ფილოსოფოს მენდელსონის ზეგავლენით კლეინმა წამოაყენა დებულება, რომ რომელიმე მოქმედების შერაცხვა ყოველთვის გულისხმობს ნებისყოფის მანკს. ნებისყოფა მას ესმის არა როგორც ცალკეული ნებისყოფითი აქტი, არამედ, როგორც ადამიანის სულის მუდმივი ძალა, სულიერი ცხოვრების უნარი გადაწყვეტილების მეშვეობით განისაზღვროს მოქმედებისადმი. განზრახვა – ეს დადებით-ბოროტი ნებისყოფაა, გაუფრთხილებლობა – იმ უნარის უქონლობა, რომელიც საჭიროა კანონსაწინააღმდეგო მოქმედების თავიდან ასაცილებლად: უარყოფით-ბოროტი ნებისყოფა.

კლეინის ზემოთ აღნიშნული მოძღვრება ბრალის ბუნებისა და მისი ფორმების შესახებ საინტერესოა ორი სხვადასხვა თვალსაზრისით: ჯერ ერთი, გაუფრთხილებლობა კლეინს ესმის როგორც უარყოფით-ბოროტი ნებისყოფა და შემდეგ, კლეინი ცდილობს, რომ ამ გზით გამოწახოს საერთო საფუძველი ბრალის ორივე ფორმისათვის, დაასაბუთოს, რომ განზრახვაც და გაუფრთხილებლობაც ერთი და იმავე წყაროდან გამომდინარეობენ. მაგრამ ყველასათვის ცხადია ამ კონსტრუქციის გადაჭარბებული ხელოვნურობა: ნებისყოფის ნეგატიურობა ფაქტიურად ნებისყოფის არარსებობას ნიშნავს. გარდა ამისა, ამ თეორიის წინააღმდეგ შეიძლება წამოყენებულ იქნას ის მოსაზრება, რომ მავნე შედეგების თავიდან აცილების სურვილის უქონლობა არის იქაც, სადაც მოქმედების შედეგი შემთხვევას (casus) წარმოადგენს, რამდენადაც ადამიანი მათზე არ ფიქრობდა, ვინაიდან აქაც მას არ ჰქონია მათი აცილების სურვილი. თუმცა, კლეინის შეხედულება ბრალზე, როგორც ნებისყოფის ნაკლოვანებაზე, შეთვისებული იყო მრავალი კრიმინალისტის მიერ.

საინტერესოა ანსელმ ფოიერბახის შეხედულება ბრალეულობაზე. იგი ითვლებოდა კლასიკური სკოლის ფუძემდებლად ჩეზარე ბეკარიასთან ერთად. მან აიღო რა ამოსავალ წერტილად მოძღვრება სასჯელის შესახებ, განავითარა იგი და ლოგიკური თანმიმდევრობით

მივიდა ბრალეულობის საკითხის გამოკვლევამდე. ფოიერბახი განზრახვასა და გაუფრთხილებლობას შორის განსხვავებას ხედავს იმაში, რომ პირველი შეადგენს ნებისყოფის მართლსაწინააღმდეგო მიმართულებას, ხოლო მეორე გონების ან საერთოდ, შემეცნების ძალის ნაკლოვანებას. იგი ეწინააღმდეგებოდა მოსაზრებას, რომ გაუფრთხილებლობა არის გონების ნაკლი. გაუფრთხილებლობა რომ მარტოოდენ გონების სფეროს მიეკუთვნებოდეს, წერს იგი, მაშინ როგორ განვასხვავებდით გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულს შემთხვევით ჩადენილისაგან? შემთხვევითია ისეთი დანაშაული, რომელიც წარმოიშვა მხოლოდ ბუნების კანონების ძალით პიროვნების გადაწყვეტილების ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე. როგორ შეიძლება დავუშვათ გაუფრთხილებლობის დასჯადობა, თუ მისი არსი უნდა ვეძებოთ გონების სფეროში და თუ სურვილი არ ღებულობს მასში არავითარ მონაწილეობას? გონების შეცდომები, როგორც ასეთი, არ შეიძლება დაისაჯოს არც მორალური და არც სამართლებრივი პრინციპების მიხედვით. მორალური გაუფრთხილებლობა ისჯება მხოლოდ იმიტომ, რომ ადგილი ჰქონდა მოვალეობის საწინააღმდეგო სურვილს. იგივე ითქმის სამართლებრივი დასჯადობის შესახებ. როდესაც ლაპარაკობენ გაუფრთხილებლობაზე, მხედველობაში აქვთ, რომ არსებობდა საწინააღმდეგო მდგომარეობის ე.ი. წინდახედულების მოვალეობა.

ფოიერბახის აზრით, არსებობს კანონი, რომელიც საზოგადოების ყოველი წევრისაგან მოითხოვს, რომ მან თავის ყოფაქცევაში გამოიჩინოს სათანადო ყურადღება და წინდახედულება. გაუფრთხილებლობით მოქმედი არღვევს ამ კანონს, თუმცა მას უშუალოდ არ სურს დანაშაულებრივი შედეგი, მაგრამ მან დაარღვია საერთო ნორმა, რომელიც წინდახედულ ყოფაქცევას მოითხოვდა და ამიტომ უნდა მოიხადოს სასჯელი. ამაში გამოიხატება გაუფრთხილებლობის ნებისყოფითი ხასიათი. საბოლოოდ, ფოიერბახის მოძღვრების მიხედვით, განზრახვა შეადგენს გაუფრთხილებლობის დასჯადობის წინაპირობას და ამგვარად ბრალეულობის ორივე ფორმა გაერთიანებულია და დამყარებულია ნებისყოფითი აქტის საფუძველზე. აღნიშნულით, ფოიერბახმა აღიარა “განზრახვი გაუფრთხილებლობის” არსებობა, თუმცა მისმა მოძღვრებამ ბრალის შესახებ ღრმა გავლენა მოახდინა სისხლის სამართლის შემდგომ განვითარებაზე.

ბრალის ნებისყოფით ბუნებას აღიარებდა ჰეგელიც. მისი სიტყვებით, ქმედება უნდა შეერაცხოს ადამიანის მხოლოდ როგორც “ნებისყოფის ბრალი”.

ბრალეულობის ბუნების საკითხის გასარკვევად სისხლის სამართლის მეცნიერებაში მნიშვნელოვანია კრიმინალისტიკის კლასიკოსის ბინდინგის შეხედულება. მართალია, მასაც ბრალეულობის საფუძველად მიჩნეული აქვს ნებისყოფა, მაგრამ ნებისყოფის ცნებაში მას შეაქვს ისეთი შინაარსი, რომელიც ფსიქოლოგიურისაგან ძალიან დაშორებულია. ის ფსიქიკური საფუძველი, რომლიდანაც იბადება ცალკეული ბრალეული გადაწყვეტილება, არ უნდა იქნეს გაიგივებული ბრალთან. ბინდინგის აზრით, ცალკეული მოვლენა, “წამიერი ქმედებაა”, რომელიც შესაძლოა სრულიად არ შეესაბამება ადამიანის ჩვევებს, მხოლოდ ამისთვის აგებს პასუხს ადამიანი და არა თავისი ხასიათისათვის, თავისი მუდმივი განწყობილებისათვის, თავისი ყოფაქცევისათვის დანაშაულის ჩადენამდე და მისი ჩადენის შემდეგ. ამიტომ, სასამართლოს განაჩენი არის მსჯელობა მხოლოდ იმ ცალკეულ მოქმედებაზე, რომელიც ბრალდების საგანს შეადგენს.

ბრალს ბინდინგ განსაზღვრავს შემდეგნაირად: “ბრალი ვიწრო მნიშვნელობით, არის ნებისყოფის მოქმედება, მოკლედ, ქმედუნარიანი პირის ნებისყოფა, როგორც მართლწინააღმდეგობის მიზეზი, ან ქმედუნარიანი პირის ნებისყოფა, მიმართული მართლწინააღმდეგობაზე”. ეს მართლწინააღმდეგობა შეიძლება გამოიხატოს მოქმედების ან

უმოქმედობის სახით; იგი მიზეზობრივად განპირობებულია ბრალით, რამდენადაც ხორციელდება მოქმედებით ან უმოქმედობით.

ყველა ეს თეორია ბრალის შესახებ აგებულია ნებისყოფის ისეთ ცნებაზე, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ფსიქოლოგიის დარგში შემუშავებულ ნებისყოფის ცნებასთან. სხვა პოზიცია უკავიათ იმ კრიმინალისტებს, რომლებიც ბრალეულობის შინაარსს “განწყობილებაში”, “ხასიათში”, პიროვნების ფსიქიკურ “თავისებურებაში” ხედავენ. ამ მიმართულების ერთ-ერთ წარმომადგენლად შეიძლება დავასახელოთ ფან კალკერი. მას “განწყობილების” ცნების განსაზღვრის მიზნით საჭიროდ მიაჩნია ნებისყოფის ცალკეული აქტის წარმოშობის განხილვა. ნებისყოფის ყოველი აქტი, - ამბობს იგი, - გამომდინარეობს მოტივიდან, განსახორციელებელი მიზნის წარმოდგენიდან, რომელიც დატვირთულია ემოციურად (სიამოვნების ან უსიამოვნების) გრძნობით და ზემოქმედებას ახდენს ნებისყოფაზე გარკვეული მიმართულებით. “განწყობილება” წარმოადგენს ნებისყოფის შედარებით მუდმივ მიმართულებას, მის ინდივიდუალურ მიდრეკილებას.

ფან კალკერი გამოჰყოფს “განწყობილებას” მონათესავე ცნებისაგან. განწყობილება განსხვავდება მოტივისაგან იმით, რომ განწყობილების მიხედვით უნდა იქნას გამორკვეული, თუ რომელი მოტივები არის გადაწყვეტი მოქმედების ამა თუ იმ დარგში. ყოველდღიურ ცხოვრებაში მოტივე და განწყობილება, ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, ხასიათი და განწყობილება, ხშირად იხმარება ერთი და იგივე მნიშვნელობით. “მამომრავებელი მიზეზის” ცნებას ერთნი იყენებენ მოტივის აზრით, მეორენი – “განწყობილების” მნიშვნელობით, მაგრამ “მამომრავებელი მიზეზი” არის მოტივე და არა “განწყობილება”. (14)

კალკერის შეხედულებასთან ახლოს დგას მეისნერი. მისი აზრით, ნებისყოფა წარმოადგენს განცდილ შთაბეჭდილებათა და ადამიანის სულიერი თავისებურების შედეგს. ამ ფსიქიკურ თავისებურებას იგი განწყობილებას უწოდებს. (15)

მეისნერი ბრალს შემდეგნაირად განმარტავს: დეტერმინისტული თვალსაზრისით ბრალი ნიშნავს იმას, რომ ადამიანი განისაზღვრა სამართლებრივი ბრძანების წინააღმდეგ თავისი არსიდან, თავისებურებიდან, თავისი განწყობილებიდან.

სამართლის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე სხვადასხვა ისტორიული ფორმაციები სხვადასხვა ზომით, ზოგჯერ ვიწროდ, ზოგჯერ კი უფრო ფართოდ აღიარებდნენ იმ შინაგან ელემენტს, რასაც ეწოდება ბრალი და ეს ელემენტი იჩნეულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლად.

სოციოლოგებმა ბრალის ნაცვლად წამოაყენეს “საშიში მდგომარეობის” ცნება. სოციოლოგიური მიმართულების ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი პრინსი წერს: ამგვარად, ჩვენ წინა პლანზე წამოვწიეთ ცნება, რომელიც ინათ ჩრდილში რჩებოდა: დამნაშავის საზოგადოებისათვის საშიში მდგომარეობის ცნება, წამოყენებული აკრძალული მოქმედების ცნების ნაცვლად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩადენილი ქმედება შეიძლება იყოს ცალკე აღებული ნაკლებად საშიში, ვიდრე მისი ჩამდენი სუბიექტი. ასეთი დამნაშავის დასჯა მოცემული დარღვევისათვის, სუბიექტის მუდმივი თვისებების მხედველობაში მიუღებლად, შეიძლება იყოს სრულიად ილუზორული ხერხი”. (8)

პროფესორი ა. ტანინი დასძენს, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად კონკრეტული დანაშაულებრივი მოქმედების მოთხოვნამ ადგილი უნდა

დაუთმოს “საშიში მდგომარეობის, მოქმედი პირის მუდმივი თვისებების” გათვალისწინებას. (9) იქვე ტაინის მოჰყავს კრიმინალისტ-კლასიკოსის ბირკ მეიერის შეხედულება, რომელმაც სპეციალურ შრომაში აღნიშნა, რომ ძველი და ახალი მიმართულების მთელი დავა გამოიხატება თეზისში: “არა ქმედობას, არამედ მოქმედს უნდა დაედოს სასჯელი”. ამ თეზისის ყოველ დამცველს ბირკმეიერი უყურებს, როგორც ახალი მიმართულების წარმომადგენელს.

“საშიში მდგომარეობის” ცნებამ დაიკავა ბრალის ადგილი, რითაც სოციოლოგებმა სრულიად წაშალეს ზღვარი დამნაშავესა და სულით ავადმყოფს შორის; მოიხსნა განსხვავება პირებისა, რომლებიც შეურაცხად მდგომარეობაში იდენენ რაიმე კონკრეტულ დანაშაულს, იმ პირთაგან, რომლებიც შერაცხად მდგომარეობაში არღვევენ მართლწესრიგით დადგენილ ნორმებს. ამით იკარგება საფუძველი, რომელზედაც დამყარებულია სასჯელის და სამკურნალო ღონისძიების არსებითი განსხვავება.

აღსანიშნავია იმ ავტორთა თეორია, რომლებიც სისხლის სამართლის მეცნიერებაში ცნობილნი არიან “სიმპტომატიკების” სახელწოდებით. ამ მიმდინარეობის მთავარ წარმომადგენლებად ითვლებიან ტეზარი და კოლმანი.

ტეზარი განიხილავს დანაშაულს ე.ი. საზოგადოებისათვის საწინააღმდეგო ყოფაქცევას, როგორც ფსიქიკური ნაკლოვანების სიმპტომს, მაგრამ რომლისას? ტეზარის სიტყვებით, როდესაც კულტურული საზოგადოების წევრი ჩადის აკრძალულ მოქმედებას, ეს “მოვალეობის გრძნობის ინტენსივობის ნაკლოვანების ნიშანს წარმოადგენს”. (11) ტეზარი ცდილობს გაარკვიოს და დაასაბუთოს თავისი აზრი ფსიქოლოგიის დარგიდან ამოღებული მოსაზრებებით. კულტურული თანაცხოვრების წევრი ასოციაციურად უნდა უკავშირდებოდეს კულტურული ნორმის წარმოდგენას, მაგრამ თუ მან ჩაიდინა დანაშაული, ეს მოწმობს, რომ მას არ ჰქონია ნორმის შესაბამისი გრძნობა, რომელიც მოვალეობის შესრულებას უკარნახებს. მაგრამ ეს ეხება განზრახვას. განზრახვის თავისებურებას ტეზარი ხედავს გრძნობაში, რომელსაც აქვს არანორმალური ხასიათი, ხოლო გაუფრთხილებლობას იგი განსაზღვრავს როგორც “ნაკლოვანებას წარმოდგენათა ასოციაციაში”. ამგვარად, მისთვის გაუფრთხილებლობა არის “გონების მანკი”. ტეზარი უარყოფს ტრადიციულ თვალსაზრისს ბრალეულობის საკითხში და განზრახვა გამოჰყავს ადამიანის ემოციური ცხოვრებიდან, მაგრამ იგი არ იძლევა ბრალეულობის ერთიან, მთლიან კონსტრუქციას, ბრალეულობის ფორმების ერთიანობა დარღვეულია იმით, რომ განზრახვა და გაუფრთხილებლობა სხვადასხვა დასაბუთებას ღებულობენ.

“სიმპტომატიკების” მიმდინარეობას ეკუთვნის აგრეთვე ჰორსტ კოლმანი, რომელიც უფრო თანმიმდევრულად და ენერგიულად ავითარებს იმავე შეხედულებას. მოქმედება, - წერს იგი, - არასოდეს არაა ბრალეული, ბრალეული შეიძლება იყოს მხოლოდ მოქმედი პირი. მოქმედება არასოდეს ისჯება, ისჯება მხოლოდ მოქმედი. ისჯება ბრალი, რომელიც გამოვლინდება სამართლის დარღვევის დროს. მაშასადამე, სამართლის ნორმის დარღვევას არ აქვს პირველადი მნიშვნელობა, მას ენიჭება მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა, როგორც ბრალის შემეცნების საშუალებას. (12)

ბურჟუაზიულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ვხვდებით თეორიას, რომელსაც ბრალეულობის საფუძვლად ემოცია მიაჩნია. ემოციის ცნებით ასაბუთებს ბრალის ორივე ფორმას – განზრახვასა და გაუფრთხილებლობას – გერმანელი კრიმინალისტი ექსნერი. მისი აზრით, ბრალეულობა მატერიალური მნიშვნელობით შეიცავს შეფასებით მსჯელობას დამნაშავის პიროვნების შესახებ. მოქმედება ისჯება იმდენად, რამდენადაც მისი მიზეზი



პირის განწყობილებაშია, მისგან გამომდინარეობს. მაგრამ ბრალეულობა არ ამოიწურება მხოლოდ ადამიანის ფსიქიკური დამოკიდებულებით დანაშაულებრივ შედეგთან: ფსიქოლოგიური ელემენტის გარდა არსებობს კიდევ ეთიკური ელემენტი.

თავის თეორიას ექსნერი გადმოგვცემს შემდეგნაირად: ძველ დოგმას, რომლის თანახმად, ყოველი ბრალი გამოხატავს ნებისყოფის ნაკლოვანებას, უნდა დაუპირისპირდეს დებულება: ყოველი ბრალის საფუძველს შეადგენს სათანადო ინტერესის ნაკლი სამართლით დაცულ სიკეთეთა შენარჩუნებისადმი. ეს ნაკლი შესაძლოა გამოვლინდეს ორი გზით: საზიანო მოქმედების განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენის სახით. თანასწორგარეგან პირობებში პირველი შემთხვევა უნდა ჩაითვალოს უფრო მძიმედ. აქედან ექსნერს გამოაქვს დასკვნა, რომ ბრალის ფორმები იმავე დროს ბრალის ხარისხებს წარმოადგენენ. (16)

ექსნერის თეორიის ნაკლი, ისევე როგორც ყველა განხილული ბურჟუაზიული თეორიებისა, მდგომარეობს იმაში, რომ მას აქვს განყენებული ხასიათი. მას არ აინტერესებს საზოგადოებრივი ცხოვრების ის შინაგანი სტრუქტურა, რომლის ნიადაგზე წარმოიშვა დანაშაული. ზემოთ განხილული თეორიები ბრალის საფუძველს სხვადასხვა ფსიქოლოგიურ ფაქტებში ეძებენ. ერთნი მას ამყარებენ ნებისყოფაზე და ესაა ყველაზე უფრო ძველი და გავრცელებული თეორია, მეორენი კი ბრალის შინაარსს ადამიანის სულიერი ცხოვრების ემოციურ განცდებში ხედავენ.

ზემოთ დასახელებული თეორიების გარდა, სისხლის სამართლის მეცნიერება იცნობს კიდევ ერთ თავისებურ მიმართულებას, რომელსაც ბრალის დამახასიათებელ თვისებად წარმოდგენა მიაჩნია, რის გამოც მას “წარმოდგენის თეორია” ეწოდება. ამ თეორიის ფუძემდებლად უნდა ჩაითვალოს გერმანელი იურისტი ბეკერი. იგი იძლევა დანაშაულის ანალიზს და ამბობს, რომ ყოველი დანაშაული შედეგა მოქმედებისა და შედეგისაგან. თუ გვსურს, ამბობს ბეკერი, მოქმედება გამოვყოთ შედეგისაგან, უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ მოქმედება ვიწრო მნიშვნელობით ვრცელდება იქამდე, სადამდეც თვით ადამიანის მოძრაობა, ხოლო ყველაფერი, რაც უკანასკნელის მეშვეობით არის გამოწვეული, შედეგს წარმოადგენს; ყველაფერი, რასაც იწვევს ადამიანი თავისი მოძრაობით, როგორც შედეგი, უნდა დაუპირისპირდეს მოქმედებას. (17)

შედეგი გულისხმობს გარკვეული ნივთების არსებობას, მოქმედება კი – ადამიანის ნებისყოფას. სხეულის მოძრაობა ყოველთვის არ შეადგენს ნებისყოფის შედეგს; დამბლამ ან სხვა გარემოებებმა შეიძლება შეაფერხონ ნებისყოფითი მოძრაობა. მაშასადამე, მარტო ნებისყოფა არ კმარა იმისათვის, რომ გამოიწვიოს მოძრაობა, ნებისყოფის გარდა საჭიროა კიდევ სხვა გარემოებების დახმარება. ბეკერი ამბობს: ჩვენ მოვითხოვთ მოქმედების სურვილს, შედეგის გათვალისწინებას და მოწონებას. ამგვარად, იგი აგებს თავის თეორიას შემდეგი სქემით: ნებისყოფა – მოქმედება, გათვალისწინება – შედეგი.

მაიერი უარყოფს როგორც “ნებისყოფის”, ისე “წარმოდგენის” თეორიებს და წამოყენებული აქვს საკუთარი კონსტრუქცია, რომელსაც იგი “მოტივის თეორიას” უწოდებს. მოტივე, მაიერის მიხედვით, აკავშირებს მოქმედი პირის ცოდნას და ნებისყოფას უმაღლეს ერთიანობაში. (18)

მაიერი განმარტავს ბრალის ცალკეულ ფორმებს მოტივის ცნების მიხედვით. მისი განმარტებიდან ჩანს, რომ მოტივის შინაარსში იგი მთავარ ადგილს უთმობს წარმოდგენის ელემენტს. “შედეგის წარმოდგენა” – ესაა მისი თეორიის მთავარი გადამწყვეტი რგოლი. თუმცა მის სიტყვებში, სადაც იგი განმარტავს ევენტუალური განზრახვისა და

თვითიმედოვნების ურთიერთდამოკიდებულებასა და განსხვავებას, ჩანს, რომ მოტივი, როგორც “შედეგის წარმოდგენა” კარგავს თავის მნიშვნელობას. მაიერი გამოსავალს ეძებს ამ მდგომარეობიდან და მსჯელობს შემდეგნაირად: როგორც ევენტუალური განზრახვის, ისე თვითიმედოვნების დროს არსებობს შედეგის ცოდნა, ორივე შემთხვევაში არ არის შედეგის სურვილი, მაშასადამე, წარმოდგენის და ნებისყოფის მხრივ ისინი ერთმანეთს ემთხვევა. განსხვავებას კი მაიერი პოულობს გრძნობების დარგში. სისხლის სამართლის ლიტერატურაში მაიერის შეხედულება არაერთხელ იქნა გაკრიტიკებული.

კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ლიტერატურაში დიდი გავრცელება ჰპოვა რასობრივმა და ბიოლოგიურმა თეორიებმა, რომლებსაც ბრალეულობის პრობლემა არ აინტერესებს, მათთვის იგი არ არსებობს. რასისტული დისკრიმინაციის თვალსაზრისით ცალკეული მოქალაქის სუბიექტურ განწყობილებას აღარ აქვს მნიშვნელობა. პასუხისმგებლობის სუბიექტებს წარმოადგენენ რასა, გარკვეული სოციალური ჯგუფი, კოლექტიური ერთეულები. ამგვარად, გამოცოცხლდა და ფართო გამოყენება მიიღო “ობიექტური შერაცხვის” ძველმა პრინციპმა.

საბჭოთა პერიოდში თავდაპირველად სისხლის სამართლის თეორია ბრალის ცნებას საერთოდ უარყოფდა. უფრო მეტიც, ზოგიერთი იურისტის მიერ გამოთქმული იყო სურვილი, რომ განზრახვის და გაუფრთხილებლობის ცნებებიც ამოღებული ყოფილიყო საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან. იმდროინდელი სისხლის სამართლის თეორიის თვალსაზრისით ბრალის ცნება საბჭოთა მეცნიერებისათვის მიუღებლად ითვლებოდა როგორც იდეალისტური მსოფლმხედველობის გამომსახველი.

საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებამ თავისი განვითარების შემდგომ საფეხურზე აღიარა, რომ ბრალის ცნებას შეიძლება არ ახასიათებდეს ის შინაარსი, რომლითაც იგი ცნობილია ბურჟუაზიული სამართლის მეცნიერებაში; იგი შეიძლება დამყარებული იქნას სულ სხვა საფუძველზე. კერძოდ, დანაშაულის შემადგენლობის ანალიზის დროს ცალკეულ ელემენტად გამოყოფილია შემადგენლობის სუბიექტური მხარე, რომელიც გაგებულია ბრალისა და მისი ცალკეული ფორმების მნიშვნელობით. მცირეოდენი ადგილი ეთმობა ასევე მოტივისა და ემოციის ცნებებს.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონის თანახმად, პირის ბრალეულად ცნობისათვის საკმარისი არ არის იმის დადგენა, რომ მან მიზეზობრივად გამოიწვია დანაშაულებრივი შედეგი. იგი არ ცნობს ე.წ. ობიექტურ შერაცხვას ე.ი. შერაცხვას მხოლოდ მიზეზობრივი დამოკიდებულების საფუძველზე. პირის ბრალეულად ცნობა საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით ნიშნავს იმის დადგენას, რომ მან განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა საზოგადოებრივად საშიში ქმედება. (10)

საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით, ბრალი შეიძლება გამოიხატოს ორი ფორმით: განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით. ეს ფორმები წარმოადგენენ პირის თავისებურ ფსიქიკურ დამოკიდებულებას მის მიერ ჩადენილ საზოგადოებრივად საშიში ქმედებისადმი. პირის ბრალეულად ცნობა საბჭოთა სასამართლოს მიერ ნიშნავს მის ბრალეულად აღიარებას სოციალისტური სახელმწიფოს და საბჭოთა ხალხის წინაშე.

## დასკვნა

სასამართლო ხელისუფლების სრულყოფისათვის და თითოეული სისხლისსამართლებრივი სუბიექტისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხია ზუსტი ცოდნა ბრალის არსის, თუ რა ადგილი

აქვს სამართლის სისტემაში, როგორია მისი სტრუქტურა და როგორ იღებს პრაქტიკულ მნიშვნელობას. ბრალის ცნება არის საკმაოდ რთული საკითხი, თითქმის ყველა ქვეყანას აქვს თავისებური მიდგომა ამ საკითხთან მიმართებაში, ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ ვერ ხდება მისი ცნების ჩამოყალიბება, შესაბამისად სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული მდგომარეობა უჭირავს სისხლის სამართლის ინსტიტუტებს შორის, ერთნი რასაც მიიჩნევენ მაგალითად მის ფორმებად განზრახვას და გაუფრთხილებლობას, მეორენი საკმაოდ ფრთხილად ეკიდებიან ამ საკითხს და სრულიად განსხვავებულ ვარიანტს გვთავაზობენ. მაგალითისთვის სწორედ ჩვენთან, სანამ ბრალი ფსიქოლოგიური თეორიის თანახმად აღიქმებოდა როგორც პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილ ქმედება და შედეგს შორის ამჯერად სრულიან განსხვავებული მიდგომით ხასიათდება ბრალის არსი, კერძოდ ბრალი შეფასდა როგორც მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ სამართლებრივი გაკიცხვა, ისმის მთავარი კითხვა როგორ ადგენენ ქართულ სინამდვილეში პირის ბრალეულობას, ის ხომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ელემენტია. ასევე უფრო ზოგადი კუთხით თუ მიუდგებით, ბრალი სისხლისამართლებრივი მნიშვნელობით ძალიან ფართო მნიშვნელობისაა და არ მოიცავს მხოლოდ იმას თუ ესა თუ ის მოძღვრება როგორ განმარტავს. ბრალი კავშირშია დანაშაულის სისტემის ყველა ელემენტთან, პირველ რიგში განხორციელებული ქმედება, როგორც აქტიური ისე პასიური ფორმით, ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობასთან, მართწინააღმდეგობასთან და საბოლოო ჯამში იქმნება სისხლისამართლებრივი საფუძველი რითაც უნდა მოხდეს პირის მიმართ კონკრეტული ქმედების ბრალად შერაცხვა.

## ბიბლიოგრაფია

1. ალ. ვაჩიშვილი, დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში, 1957 წელი;
2. ლაშა-გიორგი კუტალია, ბრალის ნორმატივისტული მოდელი, 2000 წელი;
3. გ. ნაჭყებია, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, 2001 წელი;
4. მ. უგრეხელიძე, *ბრალი საფრთხის დელიქტებში*, თბ. 1983 წელ;
5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
6. Рапог, *Вина в Советском уголовном праве*, г. 1987;
7. И. С. Таганцев, *Русское Уголовное Право*, Лекции, часть общая, 1902, т. 1, ст. 572;
8. Пирс. Социальная- защита и изменения уголовного права, 71-72;
9. Состав преступления по советскому уголовному праву, 32;
10. Советское угол, право, общая часть, 1952, 215
11. Tesar, *Die symptomatische Bedeutung des verbrecherischen Verhaltens*, 1907, 205;
12. Horst Kollmann, *Der Symptomatische Verbrechensbegriff. Zeitshr. fur die ges. strafwr.*; B. 28, Heft 5, 1908, 457;
13. Kant, *Metaphysik der Sitten*, hrsg. Von Kichmann, 1879, 177;
14. Van Calker, *Die Bestimmung der Strafart...* Vergl. Darst, Allgem. Teil B, III, 176-177;
15. Meissner, *Motiv und Gesinnung im Strafrecht*, 1903, 42;
16. Exner, *Das Wesen der Fahrlässigkeit*, 234;
17. Bekker, *Theorie des heutigen deutschen strafrechts*, B. I, 1859, 245;
18. Max E. Mayer, *Lehrbuch*, 1923, 240

**სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის შეზღუდვა  
ტურიზმის ხელშეკრულებაში**

**რეზიუმე:**

სტატიის შინაარსი ასახავს სამოქალაქო პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებებს ტურიზმის ხელშეკრულებაში, რაც მოიცავს 410-ე მუხლით გათვალისწინებულ მხარეთა უფლებამოსილებას შეთანხმდნენ ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივ შედეგებზე. კერძოდ:- შეზღუდონ და გამომრიცხონ თავიანთი პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის[1,162].

სტატიაში განხილულია თუ კონკრეტულად რა შემთხვევებს შეეხება სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლის დათქმა ტურიზმის ხელშეკრულებასთან მიმართებაში (სად არის კანონით გათვალისწინებული შემთხვევა და სად მხარეთა შეთანხმება) [1,162]. ყურადღებას გამახვილებული მოცემული სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ ბრალის ფორმებზე, როგორც პასუხისმგებლობის შემზღუდავ და გამომრიცხავ გარემოებებზე. აგრეთვე განხილულია ხელშეკრულებით ნაკისრი დათქმების თანხვედრის აუცილებლობა კეთილსინდისიერების, გულისხმიერებისა და სამართლიანობის პრინციპებთან, როგორც ხელშეკრულების ნამდვილობის პირობასთან.

**საძიებო სიტყვები:** პასუხისმგებლობის შეზღუდვა - გამომრიცხვა, ტურიზმის ხელშეკრულება, ზიანი, ბრალის ფორმა.

**Tamta Tabatadze**

Grigol Robakidze University  
Law School, Ph.D. Student

**Limitation of Contract Responsibility in Tourism Contracts**

**Summary**

The content of this article reflects limiting and excluding circumstances of civil responsibility in Tourism Contract, including parties' authority to agree on legal results of obligation default provided under the Article 410, namely the following: to limit and exclude their responsibility for obligation default.

The cases referred to applying the Article 410 of the Civil Code in relation with certain cases of Tourism Contract are discussed in the article (the case provided under legislation or parties' agreement); attention is paid to the forms of guilt as limited and excluding circumstances of the responsibility arising from the given legal relations; the necessity of coincidence of imposed liabilities under the Contract with the principles of honesty, sympathy and justice as the condition of the authenticity of the contract is discussed as well.

**Key words:** Limiting-excluding responsibility, Tourism Contract, damage, form of guilt.

## სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის შეზღუდვა ტურიზმის ხელშეკრულებაში

### შესავალი

ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპი უმთავრესი და ფუძემდებლური განაწესია, რომელიც იმპერატიულად ადგენს ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების შესრულების სავალდებულოობას და მათი დარღვევის შემთხვევაში განამტკიცებს პასუხისმგებლობის ზომებს. თუმცა სამოქალაქო სამართალი, კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე, უშვებს გარკვეულ გამონაკლისებს, როდესაც ხელშემკვრელ მხარეებს აძლევს შესაძლებლობას ხელშეკრულების დადებისას შეთანხმდნენ ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივ შედეგებზე, კერძოდ,- შეზღუდონ ან გამორიცხონ თავიანთი პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. ეს შესაძლებლობა კონტრაქტებს მინიჭა საკანონმდებლო სიახლემ, კერძოდ სამოქალაქო კოდექსის 410-მუხლის ახალმა რედაქციამ (2009 წლის 4 დეკემბრის ცვლილება), რომლის შესაბამისად „ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა დაიშვება თუ ეს გათვალისწინებულია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით.“[1,162.]

როგორც მოგახსენეთ, მოცემული სტატია ეხება საკანონმდებლო სიახლეს, რომელიც არსებითად ცვლის საკითხის გადაწყვეტის გზას, ვინაიდან სსკ-ის 410-ე მუხლის ძველი რედაქციით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე წინასწარ უარის თქმა დაუშვებლად იყო მიჩნეული. საკითხი აქტუალურია იმ თვალსაზრისით, რომ საჭიროებს მოცემული ნორმის გააზრებას და მისადაგებას იმ ვალდებულებით სამართლებრივ ნორმებთან ან სხვა საკანონმდებლო აქტებთან, რომლებიც უშუალო შემხებლობაშია აღნიშნულ საკითხთან. შესაბამისად, აუცილებელია ამ ნორმებთან კონკრეტულ ჭრილში განხილვა, სამართლებრივი რეგულაციების გზების, გადაჭრის ხერხების ძიება-შედეგად სხვა სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა და საკანონმდებლო ჰარმონიზაცია.

სწორედ აღნიშნული საკანონმდებლო სიახლესთანაა უშუალო კავშირში ტურიზმის ხელშეკრულების დადება-შესრულებასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები, სადაც ბრალის ფორმას ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამორიცხვის მექანიზმის ამოქმედებისათვის.

ამდენად, მოცემული ხელშეკრულების აღნიშნულ საკანონმდებლო სიახლესთან მიმართებაში დეტალური განხილვა სწორედ საკანონმდებლო ჰარმონიზაციის მნიშვნელოვან საფუძველს ჰქმნის.

## ძირითადი ნაწილი

### **პასუხისმგებლობის შემზღუდავი და გამომრიცხავი გარემოებები სამოქალაქო კანონმდებლობაში. სსკ-ის 410-ე მუხლის ძველი და ახალი რედაქციის ანალიზი.**

ზიანი - ზოგადად სამართლებრივი სიკეთის რღვევასთან, მართლწინააღმდეგობასთან, კანონით დაცულ სფეროში არამართლზომიერ ჩარევასთან ასოცირდება. ზიანი საპასუხო სამართლებრივი ზომების ამოქმედების საფუძველია. მაგრამ თვითონ ზიანის დადგენა, მისი ფარგლების განსაზღვრა თუ რა შემთხვევაში და რა რაოდენობით წარმოემოხა პირს ანაზღაურებადი ზიანი და რა წესით შეუძლია მას მოითხოვოს ზიანის აღმოფხვრა, თავადაა უდიდესი პასუხისმგებლობა, რადგან ეს დაკავშირებულია კონკრეტული სამართლებრივი შედეგების დადგომასთან, პასუხისმგებლობის დაკისრებასთან, ქონებრივ დანაკარგებთან და ასე შემდეგ, ვინაიდან არასწორად, არათანაზომიერად შერაცხული ზიანი შესაძლოა გახდეს ზიანის ნოვაციის - პასუხისმგებელი პირის მიმართ ახალი ზიანის წარმომშობი გარემოება.

სწორედ ამიტომ მოცემული საკითხი სამართლებრივი რეგულაციის თვალსაზრისით, ოდითგანვე პრობლემატური და აქტუალურია სამართლებრივი რეგულაციის თვალსაზრისით.

ვალდებულებით ურთიერთობებში ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპი უმთავრესი და ფუძემდებლური დანაწესია, რომელიც იმპერატიულად ადგენს ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების შესრულების სავალდებულოობას და მათი დარღვევის შემთხვევაში მოქმედებაში მოყავს შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომები. თუმცა, სამოქალაქო სამართალი, კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე, უშვებს გარკვეულ გამონაკლისებს, როდესაც ხელშემკვრელ მხარეებს აძლევს შესაძლებლობას ხელშეკრულების დადებისას შეთანხმდნენ ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივ შედეგებზე. კერძოდ, შეზღუდონ ან გამორიცხონ თავიანთი პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის [3, 292].

ერთი შეხედვით, სამართლებრივი თვალსაზრისით, ძნელად წარმოსადგენია, კანონი ხელშეკრულების დამდებ პირს წინასწარ, ხელშეკრულების დადების დროს აძლევდეს პასუხისმგებლობისგან თავის არიდების ერთგვარ საშუალებას. ამ მიდგომით, მსგავსი ხელშეკრულებები, შესაძლოა კაბალურად, არარეალურად, განუხორციელებლად ჩაითვალოს, რადგან თუკი ხელშეკრულების დადებისთანავე მხარე აღჭურვილია კანონისმიერი უფლებამოსილებით გაითვალისწინოს და ხელშეკრულების პირობად, დათქმად დააყენოს საკუთარი პასუხისმგებლობის შემზღუდავი და გამომრიცხავი გარემოებები, მოცემული შეხედულებით, ასეთი ტიპის ხელშეკრულებებს თითქოს განუხორციელებლობის დამდას ადებს და არათანაბარ პირობებში აყენებს მეორე ხელშემკვრელ მხარეს. მით უმეტეს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლის ძველი რედაქცია საკითხის მოწესრიგების აბსოლუტურად სხვაგვარ გზას გვთავაზობს. კერძოდ, ზემოხსენებული მუხლის შესაბამისად „დაუშვებელია ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა წინასწარი შეთანხმებით.“ ამ რედაქციით, ყველა ის შეთანხმება, რომელიც სამართლებრივ პასუხისმგებლობას წინასწარ ზღუდავს ან გამორიცხავს, დაუშვებლად, ბათილადაა მიჩნეული. თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 2009 წლის 4 დეკემბრის ცვლილების შესაბამისად, კონტრაჰენტებს უკვე შეუძლიათ ხელშეკრულების ცალკეული პირობის დაცვა - შესრულება თავიანთი ვალდებულების სფეროდან გამორიცხონ ან შეზღუდონ, ე.ი. ხელშეკრულებაში ჩადონ

პასუხისმგებლობის გამომრიცხავი დათქმები. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის ახალი რედაქციით - „ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა დაიშვება თუ ეს გათვალისწინებულია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით.“ მაგრამ მოცემული მუხლი არ უნდა იყოს გაგებული როგორც ანარქიული დებულება, რომელიც მხარეებს განუზომელ უფლებამოსილებას სთავაზობს საკანონმდებლო ჩარჩოს მიღმა დატოვებით, როგორც ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის და პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევის, ასევე ხელშემკვრელი მხარის არათანაბარ პირობებში ჩაყენების საშუალება. ეს ნორმა არ მოიცავს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების უპირობო საფუძვლებს.

აღნიშნული ნორმის დანაწესი გულისხმობს მოვალის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას განსაკუთრებულ შემთხვევებში: დაუძლეველი ძალა, შესრულების შეუძლებლობა\_ ეს ის შემთხვევებია, როდესაც, მიუხედავად მოვალის კანონშესაბამისი და გულისხმიერი მოქმედებისა, მოვალის ნებისგან დამოუკიდებელ ობიექტურ გარემოებათა გამო ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება. ამდენად, მოვალის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას კანონი მხოლოდ იმ შემთხვევაში უშვებს, როდესაც წარმოიშობა შესრულების ხელშემშლელი ისეთი გარემოებები, რომელთა გათვალისწინება და თავიდან აცილება მოვალისათვის შეუძლებელია [4,8]. ამასთან, დაუშვებელია მსგავსი შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობაზე, რომლის შეუსრულებლობა არსებით დარღვევას აფუძნებს. მხარეთა მიერ განსაზღვრული ან კანონით დადგენილი არსებითი პირობის დაცვა ხელშეკრულების მონაწილეთა ძირითადი ვალდებულებაა [3,292].

### **ბრალის ფორმის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის შეზღუდვისათვის და მისი გავლენა ტურიზმის ხელშეკრულებაზე.**

მოცემული საკითხის გადაწყვეტაში უდიდესი მნიშვნელობა ეკისრება ბრალის ფორმას. სკს-ის 395-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად „დაუშვებელია მხარეთა წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან მისი გათავისუფლების შესახებ“ [1,155]. იგივე თეზისს განამტკიცებს გერმანული სამოქალაქო კოდექსი, სადაც მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს წინასწარი სახელშეკრულებო შეთანხმებით უფლება აქვთ შეამცირონ ან გამორიცხონ პასუხისმგებლობა ისეთი მოქმედებისათვის, რაც ასეთი სახელშეკრულებო დათქმის გარეშე ვალდებულების დარღვევად ითვლება, მაგრამ ეს უფლება იზღუდება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 276-ე თავის მე-3 პარაგრაფით, რომელიც კრძალავს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის წინასწარ დაცვას ან გამორიცხვას ვალდებულების დარღვევისათვის [1, 295]. ხოლო რაც შეეხება უხემ გაუფრთხილებლობას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 348-ე მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად, ბათილია უფლება, რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს პასუხისმგებლობას იმ ზიანისთვის, რაც გამოწვეულია შემთავაზებლის ან მისი წარმომადგენლის მიერ უხემ გაუფრთხილებლობით ვალდებულების დარღვევის გამო“ [1,141]. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 309 მე-2 (ბ) პარაგრაფის ძალით ბათილად და მიჩნეული შეთანხმება მომხმარებლის ან წარმომადგენლის როგორც განზრახი ასევე გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის შეზღუდვის ან მისგან გათავისუფლების შესახებ [5,193]. სწორედ ბრალის ფორმა განსაზღვრავს პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამორიცხვის მექანიზმს ტურიზმის ხელშეკრულებაში და აღნიშნული ხელშეკრულების განხილვა, სამართლებრივი რეგულაციის თვალსაზრისით, საინტერესო სურათს ქმნის.

**პასუხისმგებლობის შეზღუდვის საფუძვლები ტურიზმის ხელშეკრულებაში- კანონით გათვალისწინებული შემთხვევები და მხარეთა შეთანხმებები.**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 657-ე მუხლის დეფინიცია განამტკიცებს ტურიზმის ხელშეკრულების ძირითად, არსებით დებულებას, კერძოდ ; აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე მოგზაურობის მომწყოები (ტურისტული საწარმო) მოვალეა გაუწიოს ტურისტს (მოგზაურს) შეთანხმებული მომსახურება. ტურისტი მოვალეა მოგზაურობის მომწყოებს გადაუხადოს შეპირებული ანაზღაურება გაწეული მომსახურებისათვის[1,227].

ტურიზმის ხელშეკრულება ორმხრივი, სასყიდლიანი და კონსესუალური ხელშეკრულებაა. მისი საგანია მომსახურება, მხარეებს კი წარმოადგენენ მოგზაურობის მომწყოები და ტურისტი[ 6,140]. მოც. ხელშეკრულების საფუძველზე მხარეებს ერთმანეთის მიმართ წარმოემობათ განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები, რომელშიც, თავისთავად, შესრულება მოიაზრება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, შესრულება ვალდებულებით- სამართლებრივი ურთიერთობის ფუნდამენტური ელემენტია და იგი ,რაღა თქმა უნდა, ვრცელდება ტურიზმის ხელშეკრულებაზეც, მაგრამ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი ტურიზმის ხელსეკრულებაშიც ანიჭებს მხარეებს უფლებამოსილებას განსაზღვრონ საკუთარი უფლება-მოვალეობები მოცემულ სამართლებრივ ურთიერთობაში, შეთანხმდნენ ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივ შედეგებზე- შეზღუდონ თავიანთი პასუხისმგებლობა ტურიზმის ხელშეკრულებაში. კერძოდ;- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 664-ე მუხლის შესაბამისად „მოგზაურობის მომწყოებს ტურისტთან შეთანხმებით შეუძლია შეზღუდოს თავისი პასუხისმგებლობა მომსახურების ღირებულების სამმაგი ოდენობით, თუ: ა) ტურიზმისთვის მიყენებული ზიანი არ იყო გამოწვეული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, ან ბ) მოგზაურობის მომწყოები ერთპიროვნულად მთლიანად არ აგებს პასუხს ტურისტის წინაშე იმ ზიანისთვის, რომელიც წარმოიშვა მოგზაურობის მომწყოების ვალდებულების შემსრულებელთაგან ერთ-ერთის ბრალის შედეგად[1,233-2334].

ანალოგიური გადაწყვეტა აქვს გერმანიის სამოქალაქო კოდექსით (651,„თ“ პარაგრაფი) აღნიშნულ საკითხს ტურიზმის ხელშეკრულებასთან მიმართებაში, სადაც აღნიშნულია, რომ „მოგზაურობის ორგანიზატორს ტურისტთან შეთანხმებით შეუძლია შეზღუდოს თავისი პასუხისმგებლობა ტურისტული მომსახურების საზღაურის სამმაგი ოდენობით იმდენად, რამდენადაც ტურისტისთვის მიყენებული ზიანი არ იყო გამოწვეული განზრახი მოქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით.“[2,496].

როგორც უკვე აღინიშნა, ბრალის ფორმას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ტურიზმის ხელშეკრულებაში პასუხისმგებლობის შეზღუდვის საკითხის გადასაწყვეტად (ამასთან, უნდა ითქვას, რომ ტურიზმის ხელშეკრულება პასუხისმგებლობის მხოლოდ შეზღუდვის ფორმას ითვალისწინებს, პასუხისმგებლობის გამორიცხვის საკითხი წინასწარი დათქმით ამ ხელშეკრულებაში არ დგება), რადგან ასეთ შეთანხმება დასაშვებია, თუ ტურისტისთვის მიყენებული ზიანი არ იყო გამოწვეული განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით. ( სწორედ ეს მოიაზრება სსკ 410-ე მუხლის დეფინიციაში „კანონით გათვალისწინებული შემთხვევა და მხარეთა შეთანხმება“, ვინაიდან მხარეთა შეთანხმებაც სწორედ მაშინ ექცევა სამართლებრივ ბადეში, როცა ის ლეგიტიმურია, კანონშესაბამისია)[1,162].

მოცემულ ნორმას ამყარებს ზემოთ უკვე განხილული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სპეციალური 395-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად იკრძალება მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება[1,155], ამავე კოდექსის 348-ე მუხლის „ვ“ პუნქტით, ბათილია დებულება, რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს პასუხისმგებლობას იმ ზიანისთვის, რაც გამოწვეულია შემთავაზებლის ან მისი წარმომადგენლის უხეში გაუფრთხილებლობით ვალდებულების დარღვევის გამო. მსგავსი საკანონმდებლო



დანაწესებით სამოქალაქო კოდექსი ბრუნვის მონაწილეს იცავს უსამართლო დათქმებისაგან [7,295].

ასე რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით 410-ე მუხლით განსაზღვრული დეფინიცია „კანონით გათვალისწინებული შემთხვევა და მხარეთა შეთანხმება“, როგორც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმის შესაძლებლობა, როგორც ყველა სხვა ხელშეკრულებაში, ასევე ტურიზმის ხელშეკრულებაშიც, დაშვებულია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში; ეს შეიძლება იყოს გარემოებები, რომელთა არსებობისას, ვალდებულების შეუსრულებლობა დარღვევად არ განიხილება. ასეთი გარემოებები, შესაძლებელია მხარეებმა წინასწარ გაითვალისწინონ ხელშეკრულებაში. ასეთი სახელშეკრულებო დათქმები ემიჯნება დათქმებს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ. პირველი კატეგორიის სახელშეკრულებო შეთანხმებები ემსახურება იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომელთა წარმოშობის პირობებში ვალდებულების შეუსრულებლობა დარღვევად არ განიხილება, ხოლო მეორე სახის დათქმები გამოიყენება სახელშეკრულებო ურთიერთობის იმ ეტაპზე, როდესაც ვალდებულება დარღვეულია, მაგრამ მათი განსაზღვრა ემსახურება მხარეთა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას უკვე დარღვეული ვალდებულების პირობებში [3, 293]. ხოლო უკვე დარღვეული ვალდებულების დროს პასუხისმგებლობის შეზღუდვას ტურიზმის ხელშეკრულებაში კანონი მხოლოდ იმ შემთხვევაში უშვებს, როცა არსებობს შესრულების ხელისშემშლელი ისეთი გარემოებები, რომელთა თავიდან აცილება მოვალისათვის შეუძლებელი ხდება – დაუძლეველი ძალა, შესრულების შეუძლებლობა, მარტივი გაუფრთხილებლობა...

### **კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპი და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის შეზღუდვა**

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ან მისგან გათავისუფლებისათვის აუცილებელია, რომ თავად პირველადი ვალდებულების შესრულება აფუძნებდეს მხარეთათვის უარყოფით სამართლებრივ შედეგს კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით, რადგან იმ შემთხვევაში თუ მხარემ ( მაგ: ტურიზმის ხელშეკრულებაში მოგზაურობის მომწოდებმა) გაცნობიერებულად განახორციელა ხელშეკრულების პირობის იგნორირება თუნდაც კონტრაჰენტისათვის (ტურისტისთვის) ზიანის მიყენების განზრახვის გარეშე, პასუხისმგებლობის განზრახვის პირობაც ძალას კარგავს და მისი გამოყენება მხარეთა შეთანხმების არსებობის, კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპის საწინააღმდეგოა [3,296].

### **დასკვნა**

ამდენად, სტატიაში განხილული სამართლებრივი ნორმების, მეცნიერული კვლევებისა და შეხედულებების შესაბამისად, სახელშეკრულებო ზიანის შერაცხვა, აგრეთვე პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამორიცხვის მექანიზმის ამოქმედება საკმაოდ ფაქიზი, პრობლემური და აქტუალური საკითხია სამართლებრივი რეგულაციის თვალსაზრისით, ვინაიდან ეს ის შემთხვევებია, როდესაც მიუხედავად მოვალის კანონშესაბამისი და გულისხმიერი მოქმედებისა, ვალდებული პირის ნებისაგან დამოუკიდებლად, ობიექტურ გარემოებათა გამო, ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება. ამიტომ ხელშემკვრელ მხარეთა კანონიერი ინტერესებისა და თანასწორუფლებიანობის დაცვის, კონტრაჰენტთა არათანაბარ პირობებში ჩაყენების თავიდან აცილების მიზნით, განხილულ საკითხებზე ყურადღების გამახვილება და აღნიშნული მექანიზმის მეტად გაკონტროლება ზიანის შერაცხვისა და სამართალშეფარდების დროს, ვფიქრობთ, რომ სწორ, გამართულ სამართლებრივ შედეგებამდე მიგვიყვანს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
2. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი.
3. ჩიტაშვილი ნ., 2015, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე., თბილისი, „ბონა კაუზა“.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 თებერვლის განჩინება #ას-908-856-2010.
5. კროპჰოლერი ი., 2014., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, საიას იურიდიული ხელშეწყობის ფონდი GIZ.
6. ნახვლედიანი ზ., 1998., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, „სამართალი“.
7. ჭანტურია. ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., 2001., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3., ვალდებულებითი სამართალი ზოგადი ნაწილი, თბილისი, „სამართალი“.
8. Lando O., Beale H., 2000., Principles of Eurofian Contract Low, part 1 and 2, Kluwer Low International, The Hague /London/ Boston.

ბექა ქებულაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
სამართლის სკოლა, დოქტორანტი

### მკვლევლობა მსხვერპლის თხოვნით და თვითმკვლევლობაში დახმარება

#### რეზიუმე

საქართველოში სიცოცხლის უფლება კონსტიტუციითაა გარანტირებული, სადაც აღნიშნულია, რომ სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი [9]. ქართულ სამართლებრივ სივრცეში ევთანაზია, როგორც ტერმინი განმარტებულია შემდეგნაირად: “ევთანაზია – უკურნებელი სენით დაავადებული, სიკვდილისწინა სტადიაში მყოფი ავადმყოფის სიცოცხლის განზრახ შეწყვეტა მისივე თხოვნით” [10]. „ევთანაზია” წარმოშობით ბერძნული სიტყვაა და პირდაპირი მნიშვნელობით გულისხმობს ტკბილ, უშფოთველ სიკვდილს [1]. იგი შედგება ორი ნაწილისგან – „ეუ“ და „თანატოს“. „ეუ” ნიშნავს კარგს, ხოლო „თანატოს“ - სიკვდილს. იგი გულისხმობს ადამიანის სიკვდილის განზრახ დაჩქარებას ან ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი მოურჩენელი ავადმყოფისათვის სიცოცხლის მოსპობას, მისი ტანჯვისაგან გათავისუფლების მიზნით.

ევთანაზია თანამედროვე მსოფლიოსთვის უცხო მოვლენას არ წარმოადგენს, თუმცა ეს შეიძლება ითქვას გარკვეული კატეგორიის ქვეყნებთან მიმართებაში. საზოგადოება მრავალფეროვანია, შესაბამისად თითოეული ადამიანის მოსაზრება სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით - განსხვავებული. ლოგიკურია, რომ აზრთა მრავალფეროვნება და პოლემიკის სიჭარბე, ზემოთხსენებულთან დაკავშირებით მოწმობს მის აქტუალურ ხასიათს და მასშტაბებს. აღნიშნული საკითხის აქტუალობა საფუძველიცაა პრობლემის გადაჭრის გზების პრევენციული მექანიზმების ძიების აუცილებლობისა.

წინამდებარე სტატიით - „მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით და თვითმკვლელობაში დახმარება“ ავტორი იზიარებს, რომ სჯობს დანაშაულის აღკვეთა მოხდეს წინასწარ, ვიდრე შემდგომში მისი ჩადენისათვის დასჯა. სტატიაში თანმიმდევრობითაა განხილული მთელი რიგი აქტუალური საკითხები, როგორებიცაა თანამედროვე მეცნიერების მიდგომა აღნიშნულ საკითხზე, საკანონმდებლო ბაზის არეალები საქართველოში და დანარჩენ მსოფლიოში, პრევენციული ზომები, მაგალითები, საკითხის განხილვა რელიგიის ჭრილში და დანაშაულის აღკვეთის სფეროში რა ცვლილებებს საჭიროებს ქართული პრევენციული პოლიტიკა უახლოეს მომავალში.

**საძიებო სიტყვები:** მკვლელობა, თვითმკვლელობა, მსხვერპლი, მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით

**Beka Kebuladze**

Grigol Robakidze University  
School of Law, PhD student

## **Termination of Life on Request and Assisted Suicide**

### **S u m m a r y**

The right to life in Georgia is guaranteed by the constitution, which clearly states that everyone has the inviolable right to life and this right is protected by law. [9] In Georgian jurisdiction, euthanasia as the term is defined as follows: “ Euthanasia – intentional termination of life on request of the patient who suffers from the terminal illness when the death is unavoidable”. [10] The word “euthanasia” comes from the Greek words and means “good, easy death”. [1] It consists of two parts – “eu” meaning “good” and “thanatos” meaning - “death”. It means a deliberate hastening of a person’s death or ending a life of the patient who is terminally ill and has incurable illness, in order to relieve intractable suffering. Euthanasia isn’t a strange phenomenon in the modern world, though one can say that for certain categories of countries it really is. Society is diverse. Accordingly each person has different opinion on different matters. It’s logical, that the diversity of opinions and plenty of controversies about abovementioned issue is caused by its actual nature and scale. Actuality of the problem creates the base of searching preventive mechanisms of the ways of its solution.

According to the previous article – “*Termination of Life on Request and Assisted Suicide*” the author accepts that it’s better to prevent the crime in advance , rather than thinking of a punishment after its commitment. A number of actual issues are discussed in sequence in the article, such as the modern

scientific approach on given issue, areas of the legislative base in Georgia and in the rest of the world, preventive measures, examples, discussion of the issue in the context of religion and what changes should be made in the field of crime prevention in Georgian preventive policy in the nearest future.

**Key words:** murder, suicide, victim, termination of life on request.

## მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით და თვითმკვლელობაში დახმარება

### შესავალი

მე-20 საუკუნის ევროპის ცივილიზებულ ქვეყნებში, მედიცინის განვითარების პარალელურად გაჩნდა აზრი, ე.წ. „იოლი სიკვდილის“ შესახებ, რამაც განსაკუთრებული მიმართულება აიღო განუკურნებადი დაავადებებისადმი. ევთანაზიის ლეგალიზაციის იდეას საფუძველი ოდითგანვე ეყრებოდა. ამის შესახებ მოხსენიებული ჯერ კიდევ თომას მორის „უტოპიაში“. თავად ევთანაზიის ცნების გაგება, როგორც განუკურნებელ ავადმყოფთა სიკვდილი - ტანჯვის შემსუბუქების მიზნით [3], მომდინარეობს მე-16 საუკუნიდან. მედიცინის მეცნიერებაში ევთანაზიის ნაირსახეობაზეც მსჯელობენ, კერძოდ ფართე მნიშვნელობით იგი უნდა გულისხმობდეს:

- ნებისმიერი ადამიანისთვის სიცოცხლის მოსპობას (სულით ავადმყოფი, ფსიქიკური ნაკლის მქონე)
- სიცოცხლის მოსპობის დაჩქარებას იმ განუკურნებელ ავადმყოფთა მიმართ, რომლებიც იმყოფებიან დაავადებათა ბოლო სტადიაში.
- წინასასიკვდილო ტანჯვის შემცირებას სიკვდილის დაჩქარების გარეშე [2].

### ისტორიული მიმოხილვა

ევთანაზია ნახსენებია ჰიპოკრატეს ფიცში, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 400-300წწ. დაიწერა. ჰიპოკრატე მის ფიცში აღნიშნავდა: „არავის გამოვუწერ სასიკვდილო წამალს ან მივცემ მას სასიკვდილო რჩევას, რათა მას მდგომარეობა შეეუმსუბუქო“ [4]. მიუხედავად ამისა, ანტიკურ ბერძნებსა და რომაელებს, ზოგადად არ სჯეროდათ, რომ სიცოცხლე ნებისმიერ ფასად უნდა შენარჩუნებულიყო და შედეგად, ტოლერანტულად იყვნენ განწყობილნი თვითმკვლელობის მიმართ ისეთ შემთხვევებში, როდესაც სიკვდილის პირას მყოფი პირის მდგომარეობის შემსუბუქება შეუძლებელი იყო ან გარკვეულ შემთხვევაში, პიროვნება საკუთარ სიცოცხლეზე აღარ ზრუნავდა. 1300 წლიდან გასული საუკუნის შუა წლებამდე ინგლისური საერთო სამართლის თანახმად თვითმკვლელობა ინგლისსა და უელსში ბრალეული ქმედება იყო. სხვა პიროვნების თვითმკვლელობაში დახმარება ამ ტერიტორიებზე კვლავ უკანონო აქტად რჩება.

თუ გადავხედავთ რომის სამართალს, იქ არსებული პრინციპის თანახმად, სიცოცხლის მოსპობად პირის პირდაპირი სურვილი და თანხმობა გამორიცხავდა ქმედების არამართლზომიერებას. შუა საუკუნეებში საზოგადოებრივი წყობის, მოვლენათა ცვალებადობისა და ეკლესიის როლის

გაძლიერებამ, გარკვეული გავლენა იქონია. ყალიბდება რწმენა იმის შესახებ, რომ სიცოცხლის უფლება ხელშეუხებელია და ადამიანი არ არის უფლებამოსილი თავად განკარგოს იგი, რომლის შესაბამისად, პირის პირდაპირი სურვილი და თანხმობა სიცოცხლის მოსპობისათვის, დანაშაულად ითვლება და მისი იურიდიული ანალიზი ხშირ შემთხვევაში მკვლელობის კვალიფიკაციასაც ითხოვს.

უფრო მოგვიანებით, მე-17 და მე-18 საუკუნეებში ჩნდება შეხედულებები, რომ ევთანაზიას, ე.ი. შემთხვევას, როდესაც ექიმი მიმართავს სიცოცხლის მოსპობის ზემოხსენებულ ფორმას, ავადმყოფთა ნებისა და სურვილის მიუხედავად, უნდა ითვლებოდეს დამოუკიდებელ, მკვლელობის სხვა ფორმებისაგან განსხვავებულ დანაშაულად. მე-18 საუკუნეში უკვე ჩამოყალიბდა აზრი, რომ ე.წ. „სურვილით მკვლელობის“ ფაქტები გაემიჯნოს განზრახ მკვლელობათა დანაშაულის სფეროს და ამ დროს გამოყენებულ იქნეს შედარებით მსუბუქი სასჯელი, თუმცა ეს აზრი არ გაიზიარა როგორც ევროპის, ისე ანგლო-საქსურმა სამართალმა, ანუ ევთანაზიის შემთხვევის ასეთი პრაქტიკა ვერ დაინერგა და მრავალ ქვეყანაში მსგავსი შემთხვევები დაკვალიფიცირდა მკვლელობის დანაშაულთა შემადგენლობად [2].

## ძირითადი ნაწილი

დღესდღეობით ევთანაზია მსოფლიოსათვის უცხო ხილი არაა. ის პირველად 1996 წელს ავსტრალიის სამხრეთ რეგიონში დაუშვეს. 2002 წლის აპრილიდან დააკანონეს ჰოლანდიაში, ხოლო 1997 წელს აშშ-ს შტატ ორეგონში. მაგალითად ნიდერლანდებში შეიძლება ექიმთა ბრიგადის გამოძახება, რომლებიც სახლიდან გაუსვლელად გაუკეთებენ პაციენტს ევთანაზიას. არსებობს ასევე ევთანაზიის ეკლესია, რომელიც დაარსებულია „კრის კორდეს“ მიერ. იგი ამტკიცებს, რომ დედამიწაზე სიცოცხლე საფრთხეშია. ადამიანების მეშვეობით, რომლებიც იმყოფებიან „მეორე განზომილებაში“. „გადაარჩინე პლანეტა“ მოიკალი თავი, ასე გაჩნდა ევთანაზიის ეკლესია.

ევთანაზიის უფლება დღეს მსოფლიო დისკუსიის საგანია, ვინაიდან ეს ერთ-ერთი ყველაზე საკამათო სამედიცინო, რელიგიური, პოლიტიკური, თუ ეთიკური ხასიათის საკითხია. ევთანაზიის პრაქტიკა ფართოდაა დანერგილი სკანდინავიის ქვეყნებში და წახალისებულია სახელმწიფოსაგან; ბევრ ქვეყანაში იგი კანონმდებლობითაა აკრძალული, ზოგან კი საერთოდ არ არსებობს ამ საკითხის დამარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა [7].

ევთანაზიის სხვადასხვა ფორმით გამოვლინებებს ადგილი ჰქონდა უძველეს ქალაქ-სახელმწიფოებშიც კი. მაგალითად, სპარტაში სიცოცხლის უფლება მხოლოდ “სრულფასოვან ადამიანებს” ჰქონდათ, ხოლო ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის მქონე ბავშვებს, რომლებიც უხუცესთა აზრით, კარგი მეომრები ვერ დადგებოდნენ, კლდიდან ჩეხავდნენ. ევთანაზიას სხვადასხვა ეპოქასა და სახელმწიფოებშიც მიმართავდნენ. მაგალითი უახლოესი ისტორიული წარსულიდანაც შეგვიძლია მოვიყვანოთ: გერმანიაში დიქტატორის „ევთანაზიის პროგრამად წოდებული“ „შემილილი გეგმა“ 1939 წლის 14 ივლისში იქნა დაკანონებული და მოჰყვა რასობრივი ჰიგიენისა და იძულებითი ევთანაზიის საშინელი პროცესი: სახელმწიფოს გაწმენდა იმ

ადამიანებისგან, რომლებიც მხოლოდ „ეკონომიკურ ტვირთს“ წარმოადგენდნენ და გამომდინარე ფიზიკურ-მენტალური არასრულყოფილებიდან არ შეეძლოთ უმაღლესი ნაციის რიგების შევსება. ფაშისტების დამარცხების შემდეგ მთელი მსოფლიოს საზოგადოებამ დაგმო იძულებითი ევთანაზიის საშინელი პრაქტიკა და დამკვირდა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ზოგადად ამ საკითხისადმი.

მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, ევთანაზიამ ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში დებატები გამოიწვია. მედიცინის ისტორიკოსის ეზეკიელ ემანუელის თანახმად, სწორედ ანესთეზიის ხელმისაწვდომობის შედეგად დაიწყო ევთანაზიის თანამედროვე ეპოქა. 1828 წელს, ნიუ იორკის შტატში შეერთებული შტატების პირველი ანტი-ევთანაზიური კანონი მიიღეს, რასაც მომდევნო წლებში მსგავსი ქმედებები სხვა მრავალ ადგილას და შტატში მოჰყვა. სამოქალაქო ომის შემდგომ, ადვოკატები და ზოგიერთი ექიმი მხარს უჭერდნენ ნებაყოფლობით ევთანაზიას. საუკუნის მიწურულს მხარდაჭერამ აშშ-ში დიდ მასშტაბებს მიაღწია და 1930-იან წლებში კიდევ უფრო გაიზარდა. 1935 წელს ინგლისში და 1938 წელს აშშ-ში ევთანაზიის საზოგადოებები ჩამოყალიბდა, რომლებიც აგრესიულ ევთანაზიას უჭერდნენ მხარს. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-სა და ინგლისში ევთანაზიის მომხრე კანონმდებლობა არ შემოიღეს, 1937 წელს ექიმის დახმარებით განხორციელებული ევთანაზია შვეიცარიაში კანონიერად გამოცხადდა იმ შემთხვევებში, როდესაც პიროვნების სიცოცხლის გაუმჯობესება შეუძლებელი იყო.

## კლასიფიკაცია

ევთანაზია არსებობს როგორც აქტიური, ასევე პასიური სახის. „აქტიური ევთანაზია“ გულისხმობს, უკურნებელი დაავადების ტერმინალურ სტადიაზე მყოფი ავადმყოფის მიმართ ისეთი პრეპარატის გამოყენებას, რომელიც დააჩქარებს მის სიკვდილს. „პასიური ევთანაზია“ ნიშნავს უკურნებელი სენით დაავადებული პაციენტისთვის დამხმარე თერაპიის შეწყვეტას, რაც შედეგად მის სიკვდილს იწვევს. ევთანაზია ერთგვარი არჩევანია სიცოცხლესა და სიკვდილს შორის, რომელსაც აკეთებს ინდივიდი და მისი თხოვნით აღასრულებს მესამე პირი.

- ნებაყოფლობითი ევთანაზია: როდესაც პიროვნებამ, რომელსაც აკვდინებენ, მოკვდინება ითხოვა.
- არანებაყოფლობითი ევთანაზია: როდესაც პიროვნებას, რომელსაც აკვდინებენ, მოკვდინება არ უთხოვია და მასზე თანხმობა არ განუცხადებია.
- იძულებითი ევთანაზია: როდესაც პიროვნებამ, რომელსაც აკვდინებენ, ამის საწინააღმდეგო სურვილი გამოთქვა. სრულიად დასაშვებია ის მოსაზრება, რომ იძულებითი ევთანაზიის ყველა შემთხვევა მორალურად გაუმართლებელი და დაუსაბუთებელი მკვლელობაა.
- თვითმკვლელობაში დახმარება: ვინმე სხვა პირი პიროვნებას აწვდის ინფორმაციას, მითითებებსა და საშუალებებს სიცოცხლის დასრულების თაობაზე, იმ მიზნით, რომ ეს ინფორმაცია, მითითებები და საშუალებები გამოყენებული იქნეს სწორად სიცოცხლის დასასრულებლად. როდესაც პიროვნებას საკუთარი თავის მოკვდინებაში ექიმი ეხმარება, ამას „ექიმის მიერ თვითმკვლელობაში დახმარება“ ეწოდება.

- ევთანაზია ქმედებით: პიროვნების გარდაცვალების განზრახ გამოწვევა ქმედების განხორციელების გზით, როგორცაა მაგალითად ლეტალური ინექციის გაკეთება.
- ევთანაზია მოუვლლობით: გარდაცვალების განზრახ გამოწვევა აუცილებელი და (მიღებული, ჩვეულებრივი) მოვლის განუხორციელებლობის ან საკვებისა და წყლის მიუცემლობის გზით.
- სიბრალულის გამო მოკვდინება: ხშირად ადამიანები ევთანაზიას "სიბრალულის გამო მოკვდინებას" ეძახიან, რადგან შესაძლოა ამ დროს განუკურნებელ პაციენტებსა და მათზე ფიქრობენ, ვინც ხანგრძლივი და გაუსაძლისი ტკივილისგან იტანჯება.

ხშირად ისმის კითხვა, თუ რატომ სურთ ადამიანებს ევთანაზია. ადამიანთა უმეტესობა ფიქრობს, რომ გაუსაძლისი ტკივილი არის ვთანაზიის ძირითადი მიზეზი. თუმცა, აშშ-სა და ჰოლანდიაში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ევთანაზიის მოთხოვნათა მხოლოდ მესამედზე ნაკლები იყო გაუსაძლისი ტკივილით გამოწვეული.

### აქტუალობა

საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც არსებობს რადიკალურად განსხვავებული პოზიციები და მიდგომები საზოგადოების სხვადასხვა შტოებს შორის. ევთანაზია სადავო საკითხია არა მხოლოდ იმიტომ, რომ მასთან მრავალი განსხვავებული მორალური დილემა ასოცირებული, არამედ მისი განსაზღვრებიდან გამომდინარეც. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევთანაზიის შესახებ დებატების ცენტრში დასავლეთის ქვეყნებში მოექცა ჯანმრთელობის დაცვის რეგულირებული სისტემების ფარგლებში მოაზრებული ნებაყოფლობითი ევთანაზია. ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილებების, კანონმდებლობისა და რეგულაციების შედეგად ნებაყოფლობითი ევთანაზია პაციენტებისა და მათი მეურვეებისათვის გახდა აშკარა არჩევანი.

რაც შეეხება ევთანაზიის მომხრეთა არგუმენტებს, შეგვიძლია შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ: პირველი, რომ სიცოცხლე უფლებაა და არა მოვალეობა, შესაბამისად იგი თავის თავში სიკვდილის უფლებასაც მოიაზრებს და ყველა ადამიანს აქვს უფლება, გააკეთოს არჩევანი მათ შორის. მეორე, რომ არ შეიძლება, ვაიძულოთ ადამიანი, იტანჯებოდეს გაუსაძლისი ტკივილებისგან. უფრო დიდი ცოდვაა ამ ყოველივეს ყურება, ვიდრე ამ ტანჯვისგან მისი გათავისუფლება. ობიექტური რეალობა, რომ ტანჯვა, რომელსაც ადამიანი ავადმყოფობის სტადიაში განიცდის, არ არის აღქმადი იმ ადამიანისთვის, ვისაც ეს პირადად არ გამოუცდია. მათი აზრით, ეს თანაგრძნობაა, რომელიც არ შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს მორალთან და მესამე - ადამიანს აქვს უფლება ააცილოს ახლობლებს ის ტკივილი, რასაც მისი ასეთი ყოფა იწვევს. ამასთანავე ევთანაზიის მომხრეები ამბობენ: ადამიანს აქვს არჩევანის უფლება. თუ ის სიცოცხლით დაიღალა, მაშინ ექიმები მას უნდა "დაეხმარონ", უმტკივნეულოდ მოკვდეს. მათი აზრით, ეს უფლება კანონმდებლობით უნდა იყოს განმტკიცებული. ნებაყოფლობითი ევთანაზიის მომხრეები აქცენტს აკეთებენ იმ ფაქტზე, რომ არჩევანი წარმოადგენს ლიბერალური დემოკრატიებისა და თავისუფალი საბაზრო სისტემების ფუნდამენტურ პრინციპს. ტკივილი და ტანჯვა, რომელსაც პიროვნება ავადმყოფობის სტადიაში განიცდის, ტკივილის შემამსუბუქებელი საშუალებების ფონზეც კი არ არის აღქმადი იმ ადამიანისთვის, ვისაც ეს პირადად არ გამოუცდია. დღესდღეობით მრავალ ქვეყანაში ჰოსპიტალური ფართის ნაკლებობაა. ექიმებისა და

ჰოსპიტალური ფართის რესურსი შეიძლება გამოყენებული იყოს იმ ადამიანთა საკეთილდღეოდ, რომელთა სიცოცხლის გადარჩენა შესაძლებელია, ვიდრე იმ ადამიანთა სიცოცხლის გასახანგრძლივებლად, რომელთაც სიკვდილი სურთ.

რაც შეეხება ზემოთხსენებულის მოწინააღმდეგეთა პოზიციებსა და არგუმენტებს, აქ არსებობს აგრეთვე პრაქტიკულ საკითხებზე დაფუძნებული მთელი რიგი არგუმენტები. ზოგიერთი ადამიანის მოსაზრებით ევთანაზია მორალურად გამართლებული რომც იყოს, მისი ლეგალიზება მაინც დაუშვებელია, რადგან მოხდება მისი ბოროტად და მკვლელობის ფაქტების დასაფარად გამოყენება, ხოლო საკითხის რელიგიურ ჭრილში განხილვის დროს, ევთანაზია ფაქტობრივად თვითმკვლელობაა, უფრო სწორად, მისთვის ხელის შეწყობა, ხოლო თვითმკვლელობა კი ყველაზე დიდი ცოდვაა. ადამიანს აქვს უფლება სიცოცხლეზე, ხოლო თვით სიცოცხლე და მისი წართმევის უფლება მას არ ეკუთვნის. მხოლოდ უფალს აქვს უფლება, როგორც მიანიჭოს, ისე წაართვას სიცოცხლე”.

ევთანაზიის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა რიგი არგუმენტები, შეეხებიან ევთანაზიის დასაშვებობა-არდასაშვებობის საკითხებს. მომხრეების ნაწილი აღნიშნავს, რომ სიცოცხლე მაშინაა სასარგებლო, როცა სიცოცხლით სიამოვნებას უპირატესობა ენიჭება ტანჯვით სიცოცხლესთან შედარებით. ასევე სიცოცხლე მანამაა სასიამოვნო, სანამ მას ადამიანური ფორმა გააჩნია [5].

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ევთანაზია აკრძალული და დასჯადია. ევთანაზიის განხორციელება იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და უთანაბრდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 110 მუხლს, რომლის თანახმადაც: “მკვლელობა მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად, ჩადენილი მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე” [11].

ქართულ კანონმდებლობაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ “სამედიცინო პერსონალს, აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს, ეკრძალება ევთანაზიის განხორციელება ან ამ უკანასკნელში მონაწილეობის მიღება” [2].

### **კვლევა/სიახლე**

არსებობს მოსაზრება, რომ სიცოცხლის უფლება სიცოცხლის ვალდებულებას არ გულისხმობს, რომ ყველას აქვს უფლება, ისე მოექცეს საკუთარ სიცოცხლეს, როგორც სურს, მაგრამ სამართლებრივად დაუშვებელია, ერთ ადამიანს იმის უფლება მიეცეთ, რომ ზემოქმედება მოახდინოს მეორის სიცოცხლეზე ან ვინმე დავავალდებულოთ გამოიყენოს ჩვენი „სიკვდილის უფლება“ და მოხდეს გათავისუფლება მტანჯველი ყოფისგან. იურისტები “სიბრალოდით” მკვლელობას დიდი უნდობლობით ეკიდებიან, რადგან ამ ტერმინის ქვეშ შეიძლება ჩამოიწეროს ბევრი სხვა რამ, მაგალითად: მშობლები ან ახლობლების მკვლელობა მემკვიდრეობის მიღების გამო. წერილობითი თანხმობა “მსუბუქ სიკვდილზე” არავითარი ძალის მქონე არ არის, რამეთუ ის შეიძლება ხელიდან იყოს გამოგლეჯილი ავადმყოფის გაუაზრებელი ან თუნდაც გააზრებული მდგომარეობის დროს.

აღსანიშნავია, რომ რომში 1950 წლის 4 ნოემბერს მიღებული კონვენციის მეორე მუხლი პირდაპირ გვეუბნება, რომ ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. ამ საკითხზე ყველაზე დიდი დავაა, თუ რას ნიშნავს სიცოცხლის უფლება. უპირველეს ყოვლისა,



უნდა ვიცოდეთ, რომ ეს არის ბუნებითი უფლება, რომელიც სახელმწიფოს მიერ არ არის მოცემული, ანუ თანდაყოლილია. დილემა სწორედ ამაშია, რომ თუკი ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება, ასევე გააჩნია სხვა უფლებები, როგორცაა ღირსებისა და პატივის უფლება. აქ არის კოლიზიური ვითარება. ადამიანს უფლება აქვს იცხოვროს ისეთ გარემოში, რომელიც მისი პატივისა და ღირსების შემლახველი არ იქნება. სახელმწიფო ადამიანს ევთანაზიის უფლებას არ აძლევს, რომელიც ტკბილ, უშფოთველ სიკვდილს ნიშნავს.

სხვათა შორის, სტრასბურგში ევთანაზიის საკითხზე რამდენიმე საქმე განიხილებოდა და სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში არ ჩანს, უნდა ჰქონდეს თუ არა ევთანაზიის უფლება კონკრეტულ პიროვნებას. ეს საკითხი სტრასბურგის სასამართლომ ღიად დატოვა და თქვა, რომ ყველა სახელმწიფომ თავისი შეხედულებიდან გამომდინარე კანონმდებლობაში უნდა ჩადოს, აქვს თუ არა უფლება მოქალაქეს სიცოცხლე ხელოვნური გზით შეიმოკლოს, იმის გამო რომ ეს არის ფილოსოფიური, რელიგიური და წმინდა სამართლებრივი პრობლემა. მიუღებელი აღმოჩნდა ევთანაზიის დაშვება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის (საქმე სიცოცხლის უფლების დარღვევას ეხებოდა) სტრასბურგის სასამართლომ ევთანაზიის ფაქტი სიცოცხლის ხელყოფად აღიარა [6].

საქართველო მართლმადიდებლური ქვეყანაა და ამიტომ რაც არ უნდა იყოს, არც ერთი მოტივით არ შეიძლება თვითმკვლელობა. ბუნებრივია, რელიგიური კუთხით ღვთისგან ნაბომები სიცოცხლე არ შეიძლება ადამიანმა ხელოვნურად შეაჩეროს.

თუ წმინდა სამართლებრივად დადგება საკითხი, შეიძლება ევთანაზია ბოროტად გამოიყენონ, განსაკუთრებით უმწიფობაში მყოფი პირების მიმართ. საერთოდ, ევთანაზია გაცილებით ფართო ცნებაა და ეს მარტო საავადმყოფოებში არ შეიძლება განხორციელდეს. მაგალითად, როდესაც დაჭრილია ჯარისკაცი და მისი გადარჩენის შანსი არ არის და შეიძლება ტყვედ ჩავარდეს, აქვს თუ არა მეგობარს უფლება მას სიცოცხლე მოუსწრაფოს? პრობლემატურია, რომ ამ უფლების ბოროტად გამოყენება არ მოხდეს.

მიმაჩნია, რომ ვერ გამოირიცხება სამედიცინო კუთხითაც - შეცდომა დიაგნოზში, რომელიც შესაძლოა ავადმყოფობის გვიან სტადიაში იქნეს გამოვლენილი და რასაც შესაძლოა მოჰყვეს მკურნალობის სხვაგვარი მეთოდებითა და ტექნოლოგიებით წარმართვა და ავადმყოფობა, რომელიც განუკურნებელ სენად იყო მიჩნეული, ძნელად, მაგრამ მაინც განკურნებადი აღმოჩნდეს, ასევე ვერ გამოირიცხება ექიმის ხელმრუდობა ან ქვენააზრები.

მსხვერპლის თხოვნით ევთანაზიის განხორციელებაში დახმარებისას, შესაძლოა დამხმარე პირმა, რომელიც თავისი მოსაზრებით ფიქრობს, რომ ის გაუსაძლისი ტკივილისაგან იხსნის მსხვერპლს, მისივე (მსხვერპლის) თხოვნით, უწყობს ხელს და აწოდებს სასიკვდილო ინექციას, რაც სისხლისსამართლებრივი კუთხით ჩაითვლება განზრახ დანაშაულად. მაგალითად: ლოგინად ჩავარდნილმა ბაბუამ გადაწყვიტა თავი მოეკლა. მან თავის შვილიშვილს სთხოვა, შეძლებისდაგვარად დახმარებოდა ამ საქმეში, თუ იგი სასურველ შედეგს მარტო ვერ მიაღწევდა. რამდენიმე დღეში ბაბუამ გაიკეთა სასიკვდილო ინექცია, რომელმაც უცბად კიარ გამოიწვია შედეგი, არამედ ჯერ ღრმად დააძინა. იმაზე ფიქრით, რომ შეიძლება ინექციამ დიდხანს არ გამოიწვიოს თვით მსხვერპლისათვის სასურველი შედეგი, შვილიშვილმა ბაბუას ღრმა ძილის მდგომარეობაში გაუკეთა მეორე სასიკვდილო ინექცია, რათა მსხვერპლის ნება დროულად ასრულებულიყო. ბაბუა შვილიშვილის მოქმედების გარეშე პირველი ინექციითაც მოკვდებოდა, მაგრამ ყველა შემთხვევაში რამდენიმე საათით გვიან. განზრახი მკვლელობის ობიექტური შემადგენლობა შვილიშვილის სასიკვდილო ქმედების შედეგად სახეზეა. მან მინიმუმ რამდენიმე საათით დააჩქარა შედეგი, რომელიც ისედაც აუცილებლად დადგებოდა. მამასადამე მან გამოიწვია მსხვერპლის სიცოცხლის ხანგრძლივობის შემოკლება [8].

## დასკვნა

ევთანაზიის პრობლემა, რა თქმა უნდა, არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ სამართლებრივ ან სხვა რომელიმე ჭრილში. ის მოითხოვს მის ძირეულ გაანალიზებას მორალურ-სამართლებრივი, სამედიცინო კუთხით. მათ შორის არის ერთადერთი მსგავსება – ერთიანი აზრი აღნიშნულ საკითხზე არ არსებობს. მორალურ ასპექტში ცხარე კამათი მიმდინარეობს იურისტ და მედიკოს მეცნიერებს შორის. სამედიცინო შემთხვევაში ერთიან აზრზე ვერ შეთანხმდნენ ექიმები, რომლებსაც მარტივად რომ ვთქვათ ეშინიათ და თავს არიდებენ “ზედმეტ პასუხისმგებლობას”, ხოლო სამართლებრივი კუთხით ვერ მიაღწიეს კონსენსუსს ეროვნულმა კანონმდებლებმა და საერთაშორისო პრინციპებმა. რაც მთავარია, ასევე ევთანაზიის პრობლემა საერთაშორისო დონეზეა ასული – დაპირისპირება სიცოცხლის უფლებასა და წამების აკრძალვას შორის. ისიც თვალნათელია, რომ საერთაშორისო საზოგადოება თავს იკავებს ცალსახა განცხადების გაკეთებისგან, იმის შიშით, რომ არ მოხდეს დაპირისპირება ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო ზოგიერთ პრინციპებს შორის, კერძოდ - სსკ-ის 110-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობის სწორი კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას - მკვლელობა ხდება პირდაპირი განზრახვით, თუმცა ნაკარნახევია მომაკვდავის თხოვნით, ხოლო დანაშაულის ჩადენის მოტივია დაზარალებულისადმი სინანულის გრძნობა, ხოლო ევთანაზიის დაშვება, მიუღებელი აღმოჩნდა ევროპული სასამართლოსთვისაც - სტრასბურგის სასამართლომ ევთანაზიის ფაქტი სიცოცხლის ხელყოფად აღიარა.

## ბიბლიოგრაფია

1. ქართული ენციკლოპედია. 1979. თბილისი. გვ.32
2. ბუაძე კ. ჟურნალი „სამართალი“. 2002. თბილისი. გვ.29
3. Killing of patients, British Medical Journal, 2, p. 4-5
4. Гиппократ. Избранные книги. М., 1994. С. 87-88
5. Гусейнов А. А., Апресян Р. Г. Эвтаназия / Этика. — М., Гардарики, 2000. С. 425—433.
6. ლექსიკონი-ცნობარი [ავტ.: ლ. ალექსიძე (რედ.), ლ. გიორგაძე, მ. კვაჭაძე და სხვ.] 2005. თბილისი. გვ. 283
7. ადამიანის უფლებათა ლექსიკონი. [შეადგინა ფრიდონ საყვარელიძემ; რედ.: ანა ჭაბაშვილი] 1999. თბილისი. გვ. 128
8. ტურავა მ. „დანაშაულის მოძღვრება“. 2011. თბილისი. გვ. 239-240
9. საქართველოს კონსტიტუცია. ხელმისაწვდომია: <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>
10. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“.
11. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

**ალექსანდრე გლონტი**  
მაცს პლანკის საერთაშორისო და უცხოეთის სისხლის სამართლის ინსტიტუტში (ფრაიბურგი,  
გერმანია)  
**გიორგი ალავიძე**  
კრიმინალური იუსტიციის ჯონ ჯეის კოლეჯი, ნიუ-იორკი, აშშ

### **ვადიანი თავისუფლების აღკვეთის კრიტიკული ანალიზი**

#### **რეზიუმე**

სტატიის მიზანია შეაფასოს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის თავისუფლების აღკვეთის სანქციის ეფექტიანობა. პირველ სექციაში ავტორები ამხვლიებენ ყურადღებას ზოგადად სასჯელის მიზნებზე. შემდგომ, ისინი აანალიზებენ თუ რამდენად ეფექტიანად უმკლავდებიან საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ნორმატიული აქტები ხელახალი დანაშაულის ჩადენის პრევენციას. მართლმსაჯულებას, რომელიც ვერ ახერხებს დამნაშავეს სათანადო რეაბილიტაციას, ავტორები განიხილავენ როგორც განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ერთერთ გამომწვევ მიზეზს. თავისუფლების აღკვეთის სანქციები დამნაშავეებს, განსაკუთრებით კი ნაკლებად მძიმე ქონებრივი დანაშაულის ჩამდენ პირებს, არ უტოვებენ სათანადო რეაბილიტაციის და კანონმორჩილ საზოგადოებაში დაბრუნების შესაძლებლობას. ავტორები ემხრობიან იმ აზრს, რომ მოქმედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში საჭიროა აღდგენითი სამართლის პრინციპების იმპლემენტაცია.

**Aleksandre Glonti**  
Max Planck Institute for Foreign and International Criminal Law, Freiburg, Germany  
**Giorgi Alavidze**  
John Jay College of Criminal Justice, New York, USA

### **Ineffectiveness of Penitentiary Sanctions for the Offenders who Committed Petty Crimes**

#### **Summary**

Primary objective of the article is to assess effectiveness of existing penitentiary sanctions for committing petty crimes (misdemeanors) in the criminal law code of Georgia. In first section of the article authors review the aims of punishment according to the Georgian legislative framework. Afterwards, they focus on the inability of current legislation in dealing with repetitive criminal behavior. Inefficient acting mechanisms of rehabilitation of the offenders are viewed as the main factors of rendering high recidivism rates. Sanctions that lead to imprisonment for petty crimes, especially for petty property crimes, deprive offenders from the possibility of rehabilitation, as well as, reintegration into law abiding society after they are released from prison. Based on Sutherland's differential association and Merton's strain theories authors explain why imprisonment is the least effective measure to combat recidivism. Authors adhere to an

assumption that implementation of the principles of restorative justice in the legislative framework will reduce the overall imprisonment rates, as well as, considerably lower the amount of recidivism in Georgia.

Keywords: penitentiary sanctions, rehabilitation, restorative justice.

## ვადიანი თავისუფლების აღკვეთის კრიტიკული ანალიზი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ვადიანი თავისუფლების აღკვეთა სასჯელის ერთერთ ფორმას წარმოადგენს. ამავე კოდექსში ჩამოთვლილია მიზნები, რომლებსაც უნდა ემსახურებოდეს ზოგადად სასჯელი. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით სასჯელის ერთერთი მიზანი – სამართლიანობის აღდგენაა, მაგრამ აქვე ჩნდება კითხვა, ვის წინაშე? თუ აქ იგულისხმება დაზარალებული, მაშინ ეს მოსაზრება მცდარია, რადგან იგი ხშირ შემთხვევაში რჩება დაკარგული „სამართლებრივი სიკეთის“ კომპენსირების გარეშე. ეს მსჯელობა განსაკუთრებით აქტუალურია ნაკლებად მძიმე ქონებრივი დანაშაულის მსხვერპლის არსებობის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, რჩება სამართლიანობის აღდგენის მხოლოდ ფილოსოფიური ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც დამნაშავე ისჯება მხოლოდ იმიტომ, რომ მან დაიმსახურა სასჯელი. ეს მიდგომა ნაწილობრივ მართებულია, მაგრამ აქვე უნდა გავითვალისწინოთ დანაშაულის ჩადენის მოტივი. სამწუხაროდ, საქართველოს დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, დანაშაულის მოტივს უმეტეს შემთხვევებში წარმოადგენს გაუსაძლისი, ან რთული სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა, აქედან გამომდინარე აკუმულირებული სიბრაზე და სხვა ფსიქო-სოციალური მიზეზები. შესაბამისად, ასეთი პირის პენიტენციულ დაწესებულებაში მოხვედრა, მხოლოდ და მხოლოდ არსებული პრობლემის გადავადებაა.

მას შემდეგ, რაც მსჯავრდებული მოიხდის სასჯელს იგი უბრუნდება ძველი ცხოვრების წესს. საქართველოს შრომის ბაზარი საკმაოდ შეზღუდულია; რიგით მოქალაქეებს, რომელთაც უმალესი განათლება და პროფესიული უნარ-ჩვევები აქვთ, უჭირთ შრომის ბაზარზე თავის დამკვიდრება. პატიმრების უმეტესობას შეზღუდული სამუშაო შანსების გარდა, კონკურენტუნარიანი საბაზრო მოთხოვნის შესაძლებლობებიც არ აქვთ. როგორ უნდა მოიქცეს ყოფილი მსჯავრდებული, რომელმაც საპატიმრო დაწესებულებაში გაატარა ის დრო, რომელიც შეედლო პროფესიული უნარ-ჩვევების შესაძენად გამოეყენებინა?! მეტიც, საქართველოში არსებული სამსახურების დიდი ნაწილი ითხოვს პოტენციური თანამშრომლისგან ცნობას ნასამართლეობის შესახებ და იმიტომ, ნასამართლეობის მქონე პირები გასაუბრებამდეც ვერ აღწევენ. რ. მერტონის ანომიის თეორიის თანახმად, ადამიანი სჩადის დევიანტურ ქმედებას, როდესაც იგი იღწვის საზოგადოებისთვის მისაღები საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად, მაგრამ ამისათვის არ გააჩნია ლეგიტიმური შესაძლებლობები. სწორედ ანომიის თეორიის გამოყენებით უნდა აიხსნას, თუ რატომ სჩადიან ციხიდან გათავისუფლებული პირები განმეორებით დანაშაულს.

აქაც შეგვიძლია დავვერდნოთ გასამართლებული პირის მიერ განმეორებით ჩადენილი დანაშაულის არასახარბიელო სტატისტიკას. რადგან დანაშაულის რეციდივის სტატისტიკური მაჩვენებლები საკმაოდ მაღალია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მსჯავრდებულის რესოციალიზაცია და კანონმორჩილ საზოგადოებაში რეინტეგრაცია არ ხდება. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი, ხანგრძლივი დროით ადამიანის ჯანსაღი სოციალური ჯგუფიდან

განდევნაა. ვგულისხმობთ პატიმრობას, რომლის ხანგრძლივობაც აღემატება ერთ წელიწადს. ე. საზერლენდის დიფერენცირებული ასოციაციის თეორიის თანახმად, დამნაშავეები ერთმანეთისგან სწავლობენ დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის წესს, ღირებულებებს, მოტივებსა და ზოგადად დამოკიდებულებას. ვინაიდან მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოხვედრისას აქვს კონტაქტი სხვა დამნაშავეებთან, ლოგიკურია, რომ ის ჯანსაღი საზოგადოების რეინტეგრაციის გზაზე კი არ დადგება, არამედ გახდება დანაშაულებრივი საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, ეცდება ამ საზოგადოებაში სოციალური სტატუსის დამკვიდრებას და შეისწავლის დანაშაულებრივ საქმიანობას მისი იმიტაციით. რაც უფრო ხანგრძლივია პატიმრობის ვადა, მით უფრო ხშირია კონტაქტი პრო-კრიმინალურად მოაზროვნე ჯგუფებთან და მით უფრო მაღალია დიფერენცირებული ასოციაციის ინტენსივობა. ასეთ ატმოსფეროში, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის შანსები საგრძნობლად იწევს ქვემოთ. ასეთი ზეგავლენა გაცილებით სავალალოა არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის, ვინაიდან მათი ფსიქიკა ამ დროს არის აქტიური შესწავლისა და განვითარების ფაზაში, ხოლო სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ისინი მეტწილად შეისწავლიან დანაშაულებრივ საქმიანობას. ერთერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება, რომელზეც დამყარებულია საკანონმდებლო ხელისუფლების სისტემის ფუნდამენტი, ეს არის ადამიანის რწმენა კანონის სამართლიანობისა. დამნაშავე როცა მოიხდის სასჯელს, მას უჩნდება ლეგიტიმური განცდა, რომ სასჯელის მოხდით გამოისყიდა კიდევაც დანაშაული, რომელიც ჩაიდინა. რეალურად კი, ეს ასე არ არის, რაც ძალიან სამწუხაროა. გათავისუფლებული მსჯავრდებული კვლავ აგრძელებს სასჯელის მოხდას, ვინაიდან კანონმორჩილი საზოგადოება არ ამღევს მას საშუალებას დაუბრუნდეს საკუთარ კონტინენტს. ამით იგი კარგავს სტატუსის მოპოვების შესაძლებლობას და აგრეთვე შესაძლებლობას, მიაღწიოს ქართული საზოგადოებისთვის მიღებულ საყოფაცხოვრებო პირობებს. ყოველივე ზემოაღნიშნულს ემატება მთელი რიგი ფაქტორები, რომელთა გაანალიზების შედეგად მივაღწევთ დასკვნამდე, რომ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირებისათვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთა არ წარმოადგენს ეფექტური სასჯელის სახეს და მითუმეტეს, ის არ ემსახურება საზოგადოების ინტერესებს. პატიმრის ასეთი მდგომარეობა ნეგატიურად აისახება მის ოჯახზეც, რადგან ოჯახის წევრები განიცდიან ემოციურ, მატერიალურ, ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ დანაკარგს. როგორც წესი, ეს ვითარება განსაკუთრებით ცუდად აისახება არასრულწლოვნებზე, რომელთა ერთ-ერთი მშობელიც ხვდება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. სოციო-კრიმინოლოგიაში სრულფასოვანი ოჯახური ურთიერთობები ითვლება არასრულწლოვნის დანაშაულობის პრევენციის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენეს, რომ თუ მოზარდი იმყოფება ორივე მშობლის მეთვალყურეობის ქვეშ, ის ნაკლებად ეტანება დანაშაულებრივ საქმიანობას. გარდა ამისა, მას აქვს ის გარანტირებული ფსიქოლოგიური და მატერიალური მინიმუმები, რომლებიც საჭიროა საცხოვრებლად. თუ ოჯახში სახსრების შემომტანი მოექცევა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მისი არასრულწლოვანი შვილი ნაწილობრივ დაკარგავს მშობლის მეთვალყურეობას და მზრუნველობას, აქედან გამომდინარე მოექცევა კრიმინოგენულად სარისკო მოზარდების ჯგუფში.

კრიმინოლოგიაში არსებობს დამაბულობის (Strain Theory) თეორია, რომლიც ასახავს ადამიანის ერთ-ერთ ნეგატიურ სოციალურ მდგომარეობას. როგორც წესი, არასრულწლოვანს, რომლის მშობელიც მოხვდება სასჯელაღსრულების სისტემაში, უყალიბდება აღნიშნული დამაბულობის მდგომარეობა. შესაბამისად, არასრულწლოვანში იზრდება უსამართლობის განცდის გრძნობა. გაუცხოების მდგომარეობის შედეგად, მოზარდი ხდება მიდრეკილი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისკენ. მშობლის იზოლირების შედეგად, არასრულწლოვანს, ფინანსური მხარდაჭერის

გარდა აკლდება მშობლის მორალური თანადგომაც. მეორე მშობელი ხდება მარტოხელა და ოჯახური მდგომარეობა საგრძნობლად რთულდება. შვილი დგება რისკის წინაშე აილოს საკუთარ თავზე მოულოდნელი პასუხისმგებლობა და გამოეთიშოს სასწავლო პროცესს ადრეულ ასაკში. აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ბავშვმა შეიძლება სულაც არ განიცადოს ასეთი ტიპის გრძნობა, თუ მშობლის დამოკიდებულება ბავშვისადმი შეურაცხყოფით და ძალადობით განისაზღვრებოდა. არსებობს შემთხვევები, სადაც მოძალადე და შეურაცხმყოფელი მშობლის დაპატიმრება და საზოგადოებიდან იზოლირება უფრო მეტ სარგებელს მოუტანს საზოგადოებას და კერძოდ ბავშვს, ვიდრე ზიანს. სამაგალითო პიროვნების ძიება, მშობელთა მეთვალყურეობა და სოციალური განვითარების პროცესი ყალიბდება ოჯახში. კონტროლს მოკლებული მოზარდი რჩება შემცირებული ზედამხედველობის, აღზრდის მონაწილეობის და ღირსეული საქციელის წახალისების გარეშე. აქედან გამომდინარე, თუ მშობლის ზრუნვა და ინვესტირებული დრო არასრულწლოვნის მიმართ მცირდება, მას უქვეითდება საკუთარი თავის კონტროლის შესაძლებლობა, რაც კვლევების შედეგად, ხელს უწყობს ბავშვის დანაშაულებრივი მიდრეკილების ჩამოყალიბებას. ფაქტობრივად, მოზარდი რჩება მარტოხელა მშობელთან, რომელშიც იგი ცდილობს იპოვოს ორივე მშობლის ფუნქცია. გარდა ამისა, ერთ-ერთი მშობლის თავისუფლების აღკვეთა კრიმინალური სანქციის ნიშნით ხელს უწყობს მოზარდის ასიმილაციის პროცესს, მას ინტენსიურად უვითარდება ურთიერთობა პრო-კრიმინალურად მოაზროვნე თანატოლებთან.

მშობლის თავისუფლების აღკვეთა არასრულწლოვანისათვის ასოცირდება ე.წ. მიმაგრებულ იარლიყთან (Labeling Theory). სტიგმატიზაციის (Stigmatization) პროცესს აქვს დამახასიათებელი ნიშანი – უარყოფითად აისახოს ბავშვის განვითარებაზე და მას თავი აგრძნობინოს საზოგადოებიდან გარიყულად. ეს ხდება მაშინაც, როდესაც გათავისუფლებული მსჯავრდებული/ბრალდებული მშობელი დგება შეზღუდული სამუშაო პერსპექტივების წინაშე. ამ შემთხვევაში მსჯავრდებულს უვლინდება რიგი სოციალური, მენტალური, სამედიცინო პრობლემები და თანდაყოლილი სტიგმა. ყოფილი პატიმრის მოუშვადებლობა გარდამავალი პროცესისთვის და საპატიმრო სანქციის გვერდითი მოვლენები ერთობლივად ქმნიან სტიგმის ხელისშემწყობ გარემოებებს როგორც გათავისუფლებული მშობლისთვის, ასევე მოზარდთათვის. აქედან გამომდინარე, ბავშვის გაუაზრებელი სირცხვილის გრძნობის გაღრმავება ხდება საგანგაშო. მშობლის საპატიმრო სასჯელი და მომდევნო სტიგმა, როგორც ერთ-ერთი ტრავმატული შემთხვევა, ილექება სტრესულ მოვლენად, რომელმაც შეიძლება დაამძიმოს ინდივიდუალური მდგომარეობა და სხვა ტრავმატული მოვლენების შეხვედრისას, ერთობლივად ხელი შეუწყობს ბავშვის არაჯანსაღ ფსიქოლოგიურ ჩამოყალიბებას: სტიგმატიზაციის საფუძველზე კი ბავშვს განუვითარდეს დელიკვენტურობა და სოციალური ნორმიდან გადაიხაროს პრო-კრიმინალური ცხოვრებისაკენ.

ქართული საზოგადოებისთვის ხშირი ყოფილა ემოციურ ფონზე მიღებული სისხლის სამართლის პოლიტიკის გაუაზრებელი ცვლილება, რომელსაც გრძელვადიან პერსპექტივაში დანაშაულის შემცირებაზე მარგინალური გავლენა ჰქონია. მოკლე-ვადაზე ორიენტირებულ, მხოლოდ-პოლიციურ კონტროლს, საჯაროდ განხორციელებულ რეიდებსა და მასობრივი დაპატიმრებების კამპანიებს ქართველი ხალხი არაერთხელ შეხვედრია. ამის საფუძველზე კი, უამრავ ადამიანს კრიმინალურ სანქციად ვადიანი თავისუფლების აღკვეთა მისჯია. ზოგჯერ, ადმინისტრაციული კანონ დარღვევის საფუძველზე მოხდა ბევრი ქმედების სისხლის სამართლებრივი გზით კრიმინალიზება. ყველა ტიპის დანაშაულის ერთმანეთთან ასიმილაციის შედეგად, სასჯელალსრულების დაწესებულებები ტოტალურ ინსტიტუტებად გარდაიქმნენ, გაიზარდა საპატიმრო მოსახლეობა და თავისთავად – საპატიმროში საცხოვრებელი ხარჯი თითოეული პატიმრისთვის.

ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტებიდან გამომდინარე ცალსახად ჩანს, რომ ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ნაკლებად მიმდინარეობს დანაშაულის ჩამდენი პირებისთვის წარმოადგენს არაეფექტურ ზომას. ის საფუძვლიანად არ ემსახურება სამართლიანობის აღდგენას, დანაშაულის პრევენციასა და დამნაშავის რესოციალიზაციას. უფრო მეტიც, მას თან სდევს ნეგატიური შედეგების მთელი სია, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაში უარყოფითად აისახება საზოგადოებაზე. აქედან გამომდინარე, კანონმდებელმა უნდა მოახდინოს შესაბამისი სამართლებრივი ნორმების რეფორმირება, რათა ისინი ეფექტურად ემსახურებოდნენ საზოგადოებრივ ინტერესებს. რეკომენდაციები აუცილებლად უნდა ეფუძნებოდნენ კვლევას და სათანადო შეფასებას. სამწუხაროდ კვლევის სიმწირე პენიტენციალური სისტემის გარშემო და მსჯავრდებულთა ირგვლივ, ართულებს ეფექტური რეფორმების გატარებას. პრობლემის გადასაჭრელად ყოველთვის არსებობს სხვადასხვა გზები, თუმცა ისინი უნდა იყვნენ ორიენტირებულნი ორი მიზნის შესრულებაზე – რეციდივის შემცირება და დამნაშავის ეფექტური რეინტეგრაცია კანონმორჩილ საზოგადოებაში. კარგი განზრახვა და კეთილი სურვილი როდია საკმარისი ამ შედეგის მისაღწევად; ამისათვის საჭიროა ფაქტების და მტკიცებულებების ერთობლიობა.

ნიშანდობლივია უახლოეს წარსულში ამნისტიის საფუძველზე გათავისუფლებული მსჯავრდებულების საერთო რაოდენობა. მას შემდეგ, რაც შეწყალების შედეგად 8,718 მსჯავრდებულმა დატოვა სასჯელაღსრულების დაწესებულება, რეციდივის სტატისტიკამ საგრძნობლად იმატა, რაც ჩვენი აზრით ლოგიკურია. აქედან გამომდინარე ვვარაუდობთ, რომ ეს უკანასკნელი პოლიტიკური გადაწყვეტილება პირდაპირ კავშირშია რეციდივის ასეთ კარდინალურ ზრდასთან. ჩვენი მოსაზრება გამყარებულია უამრავი საერთაშორისო კვლევის შედეგებით, სადაც აშკარად გამოიკვეთება რომ შეწყალების/ამნისტიის საფუძველზე გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა 30% პირველი 6 თვის მანძილზე განმეორებით სჩადის დანაშაულს. რეციდივიზმის რისკი როგორც წესი მცირდება მონაკვეთში 3-დან 5 წლამდე, მაგრამ ამის მიუხედავად გათავისუფლებულ პატიმართა საერთო რაოდენობიდან  $\frac{1}{3}$  საბოლოო ჯამში უბრუნდება დანაშაულებრივ საქმიანობას. შესაბამისად, ამგვარი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებამ საზოგადოება ჩააგდო გაზრდილი ვიქტიმიზაციის, ხოლო გათავისუფლებული მსჯავრდებულები რეციდივის ჩადენის რისკის ქვეშ. დასკვნა – მსგავს რწმენა-მითზე დამყარებული სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარება საზოგადოებისთვის სახიფათოა.

რეციდივი ხდება იმიტომ, რომ საზოგადოებაში დაბრუნებულთა დიდი ნაწილი სრულიად არ იყო მზად ახალი კანონმორჩილი ცხოვრების დასაწყებად. საქმე იმაშია, რომ ყოფილი მსჯავრდებული დგება უამრავი გამოწვევის წინაშე. კრიმინოგენული საჭიროებების ანალიზის შედეგად ჩვენ ვასახელებთ შემდეგ მიზეზებს:

- 1)სამუშაოს არ ქონა – სტაბილური სამსახურის პოვნა ამცირებს რეციდივიზმის ხარისხს. ასეთ შემთხვევებში, ყოფილი მსჯავრდებული ანგრევს სტიგმას, ახდენს ასოციაციას კანონმორჩილ მოქალაქეებთან და ერთვება პროდუქტიულ ცხოვრების წესში.
- 2)ოჯახური კავშირების შესუსტება – მტკიცე ოჯახის კავშირი რეალურად ამცირებს რეციდივიზმის საშიშროებას. ოჯახს შესწევს მორალური და სულიერი მხარდაჭერის უნარი.
- 3)ასაკი – კრიმინოლოგიურად დამტკიცებულია შემდეგი: ასაკის ზრდასთან ერთად, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის სურვილი ქვეითდება.

4) პრო-კრიმინალური კავშირები/კანონდამრღვევები – ასოციაცია ამ უკანასკნელი ტიპის ჯგუფთან ზრდის რეციდივიზმის საშიშროებას იმიტაციით და ფორსირებით.

ყოფილი პატიმრების დანაშაულისგან თავშეკავების წარუმატებლობის მიზეზებად ამერიკელი სისხლის სამართლის ექსპერტები ასახელებენ შემდეგ კრიმინოგენულ ფაქტორებს: ნაკლები ალბათობით ცხოვრობენ მეუღლეებთან ერთად ან არ არიან სტაბილურ ურთიერთობებში; მეტი ალბათობით ატარებენ დროს კრიმინალური წარსულის მქონე პირებთან ერთად; მეტი ალბათობით იყენებენ ნარკოტიკულ საშუალებებს და იღებენ ალკოჰოლს; არ გააჩნიათ სტაბილური სამსახური; არიან უკმაყოფილოები არსებული სამსახურით; ატარებენ უარყოფით დამოკიდებულებას სამსახურის ძებნის მიმართ და გააჩნიათ არარეალური მოლოდინები; ნაკლებად იღვწიან დაბალ-ანაზღაურებად სამუშაოს აღებაზე სითაკილის მიზეზების გამო; არ გააჩნიათ ჯანსაღი სტრესის მენეჯმენტის უნარები; მოქმედებენ იმპულსურად, კმაყოფილდებიან დაუყოვნებლივი სარგებლით და არ ითვალისწინებენ გრძელ-ვადიან შედეგებს; კანონ დარღვევას მიიჩნევენ ერთადერთ არჩევნად მოცემული სიტუაციისა; ახასიათებთ დაქვეითებული ემპათიურობის გრძნობა და ა.შ.

შედეგის მისაღწევად აუცილებელია შეირჩეს საკონტროლო და შედარებითი ჯგუფები, გაკეთდეს როგორც რიცხობრივი, ასევე ხარისხობრივი – გრძელ ვადაზე დამყარებული ინფორმაციის ანალიზი არსებული პროგრამების შეფასებისთვის. აგრეთვე, სპეციფიური ინტერვენციის იმპლემენტაცია აუცილებლად უნდა ისახავდეს მიზნად სწორ შეფასებას – გავიგოთ ვისი გამოსწორება მოხდეს და კონკრეტულად რა უნდა გამოვასწოროთ ინტერვენციისას. რეციდივიზმის შემცირებაზე ზრუნვა იწყება ინტენსიური ფოკუსით იმ მსჯავრდებულ/ზრალდებულზე, რომლებსაც განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ყველაზე მაღალი რისკი გააჩნიათ. მაგრამ უპირველეს ყოვლისა, მკითხველმა უნდა გაიგოს აზრი პატიმრის რეინტეგრაციის. რას ნიშნავს ეს ცნება? უმეტეს შემთხვევაში, თუ დამნაშავეს მისჯილი არ აქვს უვადო პატიმრობა და ის არ გახდა შიდა ძალადობისა, უბედური შემთხვევის თუ სუიციდის მსხვერპლი პატიმრობის პერიოდში, მაშინ ეს ფილოსოფია, არა არჩევანი, არამედ – სავალდებულო პროცესია. შესაბამისად, ეს პროცესი მიზნად ისახავს მსჯავრდებულის მომზადებას ინდივიდუალური სარეაბილიტაციო და ფსიქო- სოციალური პროგრამების და აქტივობების საშუალებით, რათა პატიმარმა შეძლოს თავისუფლად და შეუფერხებლად ხელახლა შეუერთდეს საზოგადოებას და განაგრძოს ცხოვრება კანონმორჩილ მოქალაქედ.

სახელმწიფოს და საზოგადოების პრიორიტეტია მაქსიმალურად განარიდოს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირი სასჯელაღსრულების დაწესებულებებს. დანაშაულის ხელახალი ჩადენის პრევენცია უნდა განხორციელდეს უფრო ეფექტური მეთოდების გამოყენებით. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში უკვე 25 წლის მანძილზე წარმატებულად გამოიყენება აღდგენითი სამართლის (Restorative Justice) პრაქტიკა. ამ პერიოდში ეს დოქტრინა მცირე ექსპერიმენტული პროექტიდან მასშტაბურ სოციალურ მოძრაობად გარდაიქმნა. დღეისათვის ის გამოიყენება არამარტო სისხლის სამართლის კუთხით, არამედ სამართლიანობის აღდგენის პრაქტიკულად ყველა სფეროში.

### **აღდგენითი სამართალი**

აღდგენითი სამართლის მიზანია ჩაანაცვლოს სახელმწიფო ინტერესები საზოგადოებრივი ინტერესებით. კერძოდ, მოცემული დოქტრინის ფარგლებში პრიორიტეტულად განიხილება ის გამოსავალი, რაც აჯობებს დაზარალებულისთვის და სრულიად საზოგადოებისთვის.



1) ეს შედეგი მიიღწევა დიალოგის საფუძველზე. დამნაშავეს უნდა მიეცეს შანსი აანაზღაუროს კონკრეტულად ის სამართლებრივი სიკეთე, რომლის ხელყოფაც მოხდა მისი დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად. თუ დამნაშავე არის მზად ამ გზით გამოისყიდოს თავისი ბრალი, სახელმწიფომ მას უნდა მისცეს ამის საშუალება. ამით დამნაშავე თავად აღადგენს სამართლიანობას.

2) ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთის ანაზღაურება არ არის საკმარისი ხელახალი დანაშაულის პრევენციისთვის. ამისათვის საჭიროა რომ დამნაშავემ ნათლად გაიაზროს ის ნეგატიური როლი, რომელიც მან ითამაშა საზოგადოების კეთილდღეობაზე. ამ მიზნის მისაღწევად ეფექტურ გადაწყვეტილებას წარმოადგენს – საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაო.

დამნაშავემ საკუთარ თავზე უნდა გამოსცადოს თუ რა რთულია სამართლებრივი სიკეთის აკუმულირება, რათა მას გაუჩნდეს მისი სათანადოდ შეფასების შესაძლებლობა და მისი არასამართლებრივი ხელყოფისგან დაცვის სურვილი. საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოების პრაქტიკის ფართო გამოყენება დამნაშავეს წარმოშობს ახალ სოციალურ ღირებულებებს, ხელს შეუწყობს მის პროფესიულ ზრდას იმ საქმიანობის სფეროში, რომელიც მას დაევალება, მოაშორებს მას დანაშაულებრივ სამყაროს და ააცილებს სახელმწიფოს და საზოგადოებას იმ ხარჯების გაღებას, რომლებიც მას უჯდება თითო პატიმრის შესანახავად. სამუშაოს შესრულებისას, დამნაშავეს უნდა გადაეხადოს გაწეული შრომის ღირებულების  $\frac{1}{3}$  ან  $\frac{1}{4}$ , რომელთა დაგროვების შედეგად ის შეძლებს ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთის ღირებულების ანაზღაურებას.

3) სასურველია, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოების გარდა, დამნაშავემ გაიაროს ე.წ. სარეაბილიტაციო კურსები. ამ კურსების მიზანი უნდა იყოს დამნაშავეს რესოციალიზაცია და მისი დაყენება სწორ გზაზე. ძალზე მნიშვნელოვანია ეს სარეაბილიტაციო კურსები შედგეს ინდივიდუალური სარისკო ჯგუფების და მათი კრიმინოგენული საჭიროებებიდან გამომდინარე. თუ დამნაშავეს ახასიათებს რეციდივის ჩადენის მაღალი რისკ ფაქტორი მას ეს კურსები უნდა ჩაუტარდეს მაღალი ინტენსიობით (მაღალი რისკის მატარებელი: 200+ საათი, საშუალო რისკის მატარებელი: 100 საათი).

დამნაშავე არ ითვლება მაღალი რეციდივის რისკის მატარებლად, თუ მას გააჩნია მხოლოდ ერთი რისკფაქტორი. ხშირ შემთხვევაში, მაღალი რისკის ჯგუფში ხვდებიან დამნაშავეები, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე რისკ ფაქტორის მატარებლები არიან. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ ჩამოყალიბებულ სარეაბილიტაციო სამოქმედო გეგმაში მოხსენიებულია საინტერესო პროექტები, რომლებსაც იყენებენ მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის. იმისათვის, რომ ეს პროექტები განხორციელდნენ წარმატებით, ისინი უნდა იქნენ მორგებულნი დამნაშავეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. იმ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირებისათვის, რომლებმაც აანაზღაურეს ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთე, ან მისი ღირებულების ექვივალენტი მატერიალური სახსრების სახით, ეს პროექტები უნდა ხორციელდებოდეს სასჯელაღსრულების დაწესებულების გარეთ – სასურველია საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოების პარალელურად.

4) ზოგ შემთხვევაში დამნაშავე პირები სათანადოდ ვერ მოიაზრებენ იმ ნეგატიურ შედეგებს, რომლების წინაშეც ისინი დადგებიან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრისას. თუ კონკრეტულ დამნაშავეზე წარმატებით მოხერხდა აღდგენითი სამართლის პრინციპების გატარება, მას აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს ლექციების ციკლი, სადაც მას განუმარტავენ თუ როგორია ცხოვრება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და რა ელის მას გათავისუფლების

შემდგომ. გარდა ამისა, ლექციების ჩატარების შემდეგ მან აუცილებლად უნდა მოინახულოს ეს დაწესებულება რათა გამოკვეთილად შეექმნას წარმოდგენა, თუ რა ელის მას ციხის კედლებს შიგნით.

5) ზემოაღნიშნული პროცედურები უნდა იყოს ნებაყოფლობითი. დამნაშავეს დეტალურად უნდა განემარტოს ის პირობები, რომელთა გატარების შედეგად დაზარალებული და სახელმწიფო აპატიებს მას ჩადენილ დანაშაულს და მისცემს შანსს, დაუბრუნდეს ჯანსაღ საზოგადოებას.

6) აღდგენითი პროგრამის დასრულების შემდგომ, მომდევნო სამი წლის განმავლობაში მას უნდა დაეკისროს ვალდებულება რამდენჯერმე შეხვდეს ჩატარებული პროგრამის ფარგლებში მოხვედრილ დამნაშავეების შემდგომ ნაკადს და გაუზიაროს მათ საკუთარი გამოცდილება.

თუ ზემოაღნიშნული აღდგენითი პროგრამა წარმატებულად გატარდება, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით გათვალისწინებული სასჯელის მიზნები აღსრულდება სრულფასოვნად. კერძოდ:

1) მოხდება დაზარალებულისთვის ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთის ანაზღაურება რის შედეგადაც აღდება სამართლიანობა.

2) ვინაიდან დამნაშავე ჩაერთვება საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოების შესრულებაში მას პრაქტიკულად არ ექნება დრო და ენერგია, რათა დაგეგმოს ან ჩაიდინოს ხელახალი დანაშაული. გარდა ამისა, იგი არ მოექცევა სასჯელის დაწესებულებაში არსებული საზოგადოების მაგნე ზეგავლენის ქვეშ – დიფერენცირებულ ასოციაციას არ ექნება ადგილი. ასევე, დამნაშავეს შეექმნება წარმოდგენა იმ ნეგატიურ სოციალურ შედეგებზე, რომლებიც მოყვება მის თავისუფლების აღკვეთას. ბოლოს, აღნიშნული ზომების ერთობლიობა კარდინალურად შეამცირებს დანაშაულის რეციდივის შანსებს.

3) ბოლოს, სარეაბილიტაციო კურსების გავლის შედეგად დამნაშავე შეიძენს პროფესიული უნარ-ჩვევებს. მათ გამოყენებას იგი შეძლებს აღდგენითი პროგრამის დასრულებისას. შედეგად, საზოგადოება უკან მიიღებს რესოციალიზირებულ ჯანსაღ წევრს და არა სტიგმატიზირებულ უპერსპექტივო ადამიანს, რომელიც ადრე თუ გვიან დიდი ვარაუდით დაუბრუნდება დანაშაულებრივ საქმიანობას. მკითხველს სავარაუდოდ გაუჩნდება კითხვა, ვინ გადაიხდის ყოველივე ამის საფასურს? პასუხი: ასეთი მიდგომა ფინანსური თვალსაზრისით გაცილებით უფრო მომგებიანია. პატიმართა დიდი რაოდენობა გადასახადების გადამხდელებს უჯდება თითქმის ორჯერ უფრო ძვირი ვიდრე დაუჯდებოდა შეთავაზებული აღდგენითი პროგრამა. ეს შესაძლებელია მეტ წილად იმის ხარჯზე, რომ დამნაშავე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით თავად გამოიმუშავეს პროგრამის ღირებულების საფასურს და სხვა დანარჩენ ხარჯებს.

აღნიშნული აღდგენითი პროგრამა არ არის გათვლილი ნარკოტიკულ საშუალებების მომხმარებლებზე. უკანასკნელი მოითხოვს სპეციალიზებულ მიდგომას, რომელზედაც ამჟამად ვმუშაობთ კოლეგებთან ერთად.

წყაროები:

- 1) Merton, Robert K. (1932). "Social Structure and Anomie". *American Sociological Review* 3 (5): 672–682.
- 2) Agnew, R. (1992). "Foundation for a General Strain Theory." *Criminology* 30(1), 47-87

- 3) Cohen, A. (1965). "The Sociology of the Deviant Act: Anomie Theory and Beyond." *American Sociological Review* 30: 5-14.
- 4) Scarpitti, F. R., Nielsen, A. L., & Miller, J. M. (2009). *A Sociological Theory of Criminal Behavior. Crime and Criminals Contemporary and Classic Readings in Criminology* (2 ed., p 211). New York: Oxford University Press.
- 5) Sutherland, Edwin Hardin. (1974). *Criminology* (9th ed.). Philadelphia: Lippincott.
- 6) Gaylord, Mark S., and John F. Galliher. (1988). *The Criminology of Edwin Sutherland*, New Brunswick, New Jersey: Transaction.
- 7) Matsueda, Ross L. (1988). "The Current State of Differential Dick Association Theory." *Crime and Delinquency*, 34(3), 277-306.
- 8) *Becker, H. (1973) [1963]. Outsiders. New York: Free Press.*
- 9) Émile Durkheim (1982). *Rules of Sociological Method* (1895) The Free Press
- 10) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
- 11) <http://www.cbsnews.com/news/once-a-criminal-always-a-criminal/>

**ნატო ჭითანავა**

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
სამართლის სკოლის დოქტორანტი

### **იპოთეკის მოწმობა**

#### **რეზიუმე**

წინამდებარე სტატიაში მსჯელობა შეეხება იპოთეკის მოწმობის მნიშვნელობას და მის პრაქტიკაში გამოყენების შემაფერხებელი გარემოებების ირგვლივ არსებულ პრობლემებს, რომლებიც ხშირად დგება კერძო სამართალეზრივ ურთიერთობებში, რაც საკითხის პრობლემატურობას და აქტუალობას განსაზღვრავს.

იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დათმობის გამარტივებული პროცედურის შექმნის მიზნით 2007 წელს შევიდა საკანონმდებლო ცვლილება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობაში, კერძოდ შემოღებული იქნა იპოთეკის მოწმობის მარეგულირებელი სამართალეზრივი ნორმები. თუმცა, დღემდე იპოთეკის მოწმობის ინსტიტუტმა ვერ დაიმკვიდრა ადგილი კერძოსამართალეზრივ ურთიერთობებში, რის შედეგადაც იპოთეკის მოწმობის მარეგულირებელი ნორმები საკანონმდებლო აქტებში მხოლოდ ინფორმაციულ ხასიათს ატარებს.

განხილული სამართლებრივი ნორმების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს, დავადგინოთ, თუ რატომ ვერ გაამართლა 2007 წელს საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობაში იპოთეკის მოწმობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების შემოღებამ? ამასთან ერთად, შესაძლოა, გამოიკვეთოს ისეთი განმარტებები, რომლებიც პრაქტიკული და თეორიული კვლევის საფუძველზე გასაგებს გახდის ქართულ რეალობაში იპოთეკის მოწმობის არსებობის აუცილებლობასა და მისი პრაქტიკაში დანერგვისთვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას, ასევე იპოთეკის მოწმობის და რეესტრის ამონაწერის კონკურენციის პირობებში მათი ერთდროულად არსებობის მიზნებსა და შედეგებს, ასევე იპოთეკის მოწმობის საჯარო რეესტრის ამონაწერით ჩანაცვლების შესაძლებლობას.

ამდენად, მიზანშეწონილია, ამ პრობლემის რეგლამენტაცია განხორციელდეს საკანონმდებლო დონეზე, რისთვისაც საჭიროა შესაბამის მარეგულირებელ ნორმებში შევიდეს საკანონმდებლო ცვლილებები.

**საძიებო სიტყვები:** იპოთეკის მოწმობა, ფასიანი ქაღალდი, საჯარო რეესტრის ამონაწერი.

**Nato Tchitanava**

Grigol Robakidze University,  
School of Law, Ph.D. Student

### **Notes about regulating legal norms of mortgage certification**

#### **Summary**

In the article represented above discussion is related to significance of mortgage certification and existing problems around hampering circumstances of its usage in practice, which often occurs in private legal relationships, that determines the challenging and actual character of the issue.

In 2007 there was made a legislative change in Georgian Civil Law in order to create simplified procedure for conceding of demand provided with the mortgage, In particular, there were made regulating legal norms of the mortgage certificate. However, up to now the mortgage certificate cannot be justified in private law relations, As a result, mortgage certificate regulations in Legislative acts has only informative character.

The Comparative legal analysis of discussed legal norms enables us to determine why the introduction of legal norms regulating mortgage certification in Georgian Civil law did not work in 2007. Besides, there may be expressed such explanations which, on the basis of theoretical and practical research, will make it clear the necessity of existence of mortgage certification in Georgian reality and realization of needed legislative changes for its implementation in practice, and also in the case of competitive conditions of having mortgage certification and registry's extract goals and results of their simultaneous existence, as well as possibility to replace the mortgage certification with extract from the Public Registry.

Thus, regulation of this problem should be done on the legislative level, that requires making legislative changes in corresponding regulatory norms.

**Keywords:** mortgage certificate, securities, public registry extract.

## იპოთეკის მოწმობა

### შესავალი

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობაში 2007 წლის 29 მაისს შევიდა საკანონმდებლო ცვლილება იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დათმობის გამარტივებული პროცედურის შექმნის მიზნით, კერძოდ შემოღებული იქნა იპოთეკის მოწმობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები.

აღნიშნული საკითხის აქტუალობას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ 2007 წლიდან დღემდე იპოთეკის მოწმობის ინსტიტუტმა ვერ დაიმკვიდრა ადგილი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, რის შედეგადაც მარეგულირებელი ნორმები საკანონმდებლო აქტებში მხოლოდ ინფორმაციულ ხასიათს ატარებს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, კვლევის საგანს წარმოადგენს კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში იპოთეკის მოწმობის ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრა, იპოთეკის მოწმობის პრაქტიკაში გამოყენების შემაფერხებელი გარემოებების შესწავლა. არსებული რეალობის საფუძვლზე, მთავარ ამოცანას წარმოადგენს მსგავსი შედეგების გამომწვევი მიზეზების შესწავლა და გაანალიზება.

სტატიაში განხილული იქნება ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესწავლის გზით იპოთეკის მოწმობის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა, ასევე იპოთეკის მოწმობის მარეგულირებელი ეროვნული ნორმების შედარება სხვა ქვეყნების სამართლებრივ ნორმებთან.

შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკაში ვაწყდებით იპოთეკის მოწმობის საჯარო რეესტრის ამონაწერით ჩანაცვლების ფაქტებს, რაც ადასტურებს იპოთეკის მარეგულირებელი ნორმების მხოლოდ საკანონმდებლო ტექსტის ფუნქციით დატვირთვას. საზოგადოების მიერ იპოთეკის მოწმობის უგულვებელყოფა მიუთითებს ნორმის საკანონმდებლო ცვლილების აუცილებლობაზე და აღნიშნულ საკითხს სძენს მეტ აქტუალობას.

### ძირითადი ნაწილი

იპოთეკის წარმოშობის პროცესი რამდენიმე ეტაპს მოიცავს. პირველ რიგში საჭიროა, უძრავი ნივთის მესაკუთრესა და იპოთეკარს შორის სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება. კოდექსის სიტყვებით რომ ვთქვათ, საჭიროა სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი, რომელსაც აღნიშნული პირები წარმოადგენენ. სწორედ, რომ აქ პირველ რიგში მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ივარაუდება. ხელშეკრულების ქვეშ კი მხედველობაშია ძირითადი ურთიერთობის უზრუნველყოფის ხელშეკრულება. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ სანოტარო წესით დამოწმდეს ძირითადი სავალო დოკუმენტი, რომელზედაც გაკეთებულია აღნიშვნა იპოთეკის შესახებ [8,68].

რეგისტრაცია ნამდვილი რომ იყოს, საჭიროა სანოტარო წესით დამოწმებულ საბუთებში აღნიშნოს უძრავი ნივთის მესაკუთრე, იპოტეკარი, სავარაუდო მოვალე მესამე პირი, ასევე უზრუნველყოფილი მოთხოვნის სიდიდე, სარგებელი და შესრულების ვადა. შეიძლება აღნიშნოს უზრუნველყოფილი ვალდებულებითი ურთიერთობაც[4,331].

იურიდიულ დოკტრინაში ძირითადად განიხილება მოთხოვნის დათმობის სამი ისტორიული სისტემა: სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მოთხოვნის დათმობა, საიპოთეკო მოთხოვნის დათმობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით და საიპოთეკო აქტის გზით მოთხოვნის დათმობა [6,146].

2007 წლის სსკ-ში ცვლილებების კანონპროექტზე თანდართული განმარტებითი ბარათიდან ირკვევა, რომ კანონმდებელი იპოთეკის მოწმობის შემოღებას ითვალისწინებდა შემდეგი შინაარსით: "იპოთეკის რეგისტრაციის შემდეგ კრედიტორის მოთხოვნით მოვალე გასცემს იპოთეკის მოწმობას, ანუ საორდერო და ინდოსირებად ფასიან ქაღალდს, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს, როგორც ძირითად, ისე აქცესორული უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს და მის მიმართ ვრცელდება ფასიანი ქაღალდებისთვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი. შესაბამისად ეს უკანასკნელი წარმოადგენს მასში აღნიშნულ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების დადასტურების მარტივ საშუალებას, მათ შორის განისაზღვრება მისი დაგირავების შესაძლებლობა. იპოთეკის გადაცემა რეგისტრირდება საჯარო რეესტრში. იპოთეკის მოწმობის გაუქმება უკავშირდება იპოთეკის მოწმობიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილებას ან მესაკუთრისთვის იპოთეკის მოწმობის ნებაყოფლობით გადაცემას."

ქართულ კერძო სამართალში იპოთეკის მოწმობის შემოღება შეფასდა, როგორც საერთო სამართლის სისტემისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტი, თუმცა მას არა ერთი ევროპული კანონმდებლობა იცნობს. შედარებისთვის სტატიაში განვიხილავ გერმანიის სამოქალაქო კანონმდებლობას.

გერმანულ კერძო სამართალში იპოთეკის მოწმობას (Hypothekenbrief) გასცემს საადგილმამულო წიგნის მწარმოებელი ორგანო, თუკი მხარეებმა განსაკუთრებული შეთანხმებით არ გამორიცხეს მისი გაცემა, ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს მხოლოდ რეგისტრირებულ იპოთეკას - იპოთეკის მოწმობის გაცემის გარეშე ე.წ. წიგნის იპოთეკას (Buchhypothek) [7].

რაც შეეხება, ქართულ კერძო სამართალში იპოთეკის მოწმობას, როგორც "საბარათე" იპოთეკის სახე, "წიგნის" იპოთეკის ალტერნატიულ სახედ განილება, იგი იპოთეკის უფლების მომეტებულ ბრუნვაუნარიანობას უზრუნველყოფს[9].

მიუხედავად იმისა, რომ იპოთეკის მოწმობას უნდა მოეხდინა იპოთეკის უფლების დადგენისა და გადაცემის გამარტივება, შეიძლება ითქვას, რომ ის ვერ გათავისუფლდა წიგნისმიერი იპოთეკისათვის დადგენილი საკანონმდებლო მოთხოვნებისაგან, რის გამოც მან ვერ გაუწია კონკურენცია ისეთ დოკუმენტს, როგორიცაა საჯარო რეესტრის მიერ გაცემული ამონაწერი.

საქართველოს კანონმდებლობით მარეგულირებელი ორგანოს მიერ იპოთეკის მოწმობის გაცემას წინ უსწრებს იპოთეკის უფლების წარმოშობა, როცა იპოთეკის უფლების წარმოშობა დამოკიდებულია არა იპოთეკის მოწმობის გაცემაზე, არამედ საჯარო რეესტრში იპოთეკის უფლების რეგისტრაციაზე[7]

სსკ-ის 289-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, "მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, კრედიტორის მოთხოვნით საჯარო რეესტრი გაცემს იპოთეკის მოწმობას. იპოთეკის მოწმობის გაცემა რეგისტრირდება საჯარო რეესტრში". აღსანიშნავია, რომ მხარეებში ამ შემთხვევაში იგულისხმება სანივთო გარიგებისა და არავალდებულებითი გარიგების მხარეები, ანუ უძრავი ქონების მესაკუთრე და იპოთეკარი.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად იპოთეკის უფლება წარმოიშობა რეგისტრაციის მომენტიდან. რაც შეეხება, იპოთეკის მოწმობის (იპოთეკის სერთიფიკატის) გაცემას, კანონმდებელმა გსკ-ის 1116-ე პარაგრაფის პირველ ნაწილში ჩაწერა "იპოთეკაზე გაცემა იპოთეკის სერთიფიკატი", ხოლო იპოთეკის სერთიფიკატის გაცემის გამორიცხვისთვის საჭიროა კრედიტორსა და მესაკუთრეს შორის შეთანხმება და საადგილამულო რეესტრში რეგისტრაცია[9].

ქართული სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი კანონმდებელი იმპერატიულად ადგენს "იპოთეკის სერთიფიკატის გაცემას", ხოლო სერთიფიკატის არ გაცემას უშვებს გამონაკლისის შემთხვევაში მხარეთა შეთანხმებით. რაც შეეხება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსს, იპოთეკის მოწმობის გაცემას იმპერატიულად არ ადგენს, და მხოლოდ მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, კრედიტორის მოთხოვნით მარეგულირებელი ორგანოს მიერ იპოთეკის მოწმობის გაცემას ითვალისწინებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 289-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იმ გარიგების ფორმას, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს იპოთეკის მოწმობის გაცემა, კერძოდ იპოთეკის ხელშეკრულება, რომელზედაც მხარეთა შეთანხმებით გაცემა იპოთეკის მოწმობა უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სამართლებრივი ქმედება, რომელიც მოითხოვს სანოტარო წესით დამოწმებას, უნდა დამოწმდეს იმავე ნოტარიუსის მიერ, რომელმაც დაამოწმა აღნიშნული იპოთეკის ხელშეკრულება[7]. ვთვლი, რომ ეს საკანონმდებლო მოთხოვნა ზღუდავს იპოთეკის უფლების დამდგენი ხელშეკრულების დამოწმების მარტივ ფორმას

კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში იპოთეკის მოწმობა დატვირთულია ორი მნიშვნელობით. კანონმდებელი განმარტავს, რომ "იპოთეკის მოწმობა არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მისი კანონიერი მფლობელის უფლებას:

- ა) მოითხოვოს იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება;
- ბ) ვალდებულების შესრულებლობის შემთხვევაში მოთხოვნა დაიკმაყოფილოს იპოთეკის საგნიდან."[1]

თუმცა კანონმდებელმა არ დააკონკრეტა თუ ვისზე გაცემა პირველადი იპოთეკის მოწმობა: მესაკუთრეზე თუ იპოთეკარზე?

განსხვავებით ქართული სამოქალაქო კოდექსისა, გერმანული სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მარეგულირებელი ორგანოს მიერ იპოთეკის მოწმობის გაცემას მესაკუთრეზე, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში კრედიტორზე, კერძოდ 1117-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის მიხედვით იპოთეკას, რომელიც დასტურდება მოწმობით, კრედიტორი იძენს მესაკუთრესთან შეთანხმებით, უფლების რეგისტრაციისა და გსკ-ის 1117-ე პარაგრაფის საფუძველზე მესაკუთრესგან იპოთეკის მოწმობის მიღების შემთხვევაში. გერმანული სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც მესაკუთრისაგან იპოთეკის მოწმობის მიღება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე კრედიტორს თავად ეძლევა შესაძლებლობა თავად მიიღოს სერთიფიკატი მარეგულირებელი ორგანოსგან, რაც დააჩქარებს იპოთეკის მიღებას, რომლის

არსებობა დასტურდება მოწმობით, ვინაიდან კრედიტორი გერმანული კანონმდებლობით იპოთეკას მოიპოვებს თუკი არსებობს შესაბამისი ჩანაწერი და ძალაში მყოფი მოთხოვნა, კერძოდ „თუ კრედიტორი ფლობს სერთიფიკატს, მაშინ ივარაუდება, რომ გადაცემა უკვე განხორცილდა“[9].

ის, რომ იპოთეკის მოწმობა დგება ერთ ეგზემპლარად, ნიშნავს, რომ მიუხედავად მოთხოვნის შინაარსისა და უზრუნველყოფის საგანთა სიმრავლისა, იპოთეკის მოწმობა გაცივმა მხოლოდ ერთ ეგზემპლარად. კანონმდებელმა საერთო იპოთეკაზე მხოლოდ ერთი იპოთეკის მოწმობის გაცივმა გაითვალისწინა, თუმცა საყურადღებოა ის, ფაქტი რომ გერმანული კანონმდებლობა დასაშვებს ხდის რამდენიმე ”იპოთეკის სერთიფიკატის” გაცივმას, კერძოდ მოთხოვნის გაყოფის შემთხვევაში თითოეული ნაწილისათვის ”ნაწილობრივი იპოთეკის სერთიფიკატის” გაცივმას, რომელიც იკავებს თავდაპირველი სერთიფიკატის ადგილს მოთხოვნის იმ ნაწილის მიმართ, რომელსაც იგი ეხება.

იპოთეკის მოწმობას, როგორც ფასიან ქაღალდს, ახასიათებს ორმაგი სამართლებრივი ბუნება, რომელიც გამოხატულია განუყოფელ ერთიანობაში და რომელიც განსაზღვრავს, რომ უფლება ქაღალდზე არის სანივთო უფლება, ხოლო უფლება ქაღალდში - ვალდებულებითი[6,149]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 289<sup>2</sup> მუხლით განისაზღვრა იპოთეკის მოწმობის შინაარსი და ასევე მისი, როგორც ფასიანი ქაღალდის რეკვიზიტები.

ფასიანი ქაღალდის რეკვიზიტი მისი შინაარსია, დოკუმენტის შინაარსი კი, ქონებრივი უფლებაა. ზოგიერთი მეცნიერის აზრით კი, დოკუმენტის შინაარსში იგულისხმება მისი შესრულების ტექნიკური მხარე, რეკვიზიტების ქვეშ კი ის ინფორმაცია, რომლითაც ერთი ფასიანი ქაღალდი განსხვავდება მეორესაგან[5,31]

სამოქალაქო კოდექსის 289<sup>2</sup> მუხლის მიხედვით იპოთეკის მოწმობა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- სათაურში აღნიშვნას ”იპოთეკის მოწმობა”;
- იპოთეკარის სახელს და მისამართს;
- მოვალისა სახელს და მისამართს;
- უძრავი ნივთის მესაკუთრის სახელს და მისამართს;
- იპოთეკით დატვირთული ქონების სარეგისტრაციო კოდს და იპოთეკის საგნის მისამართს;
- ინფორმაციას იპოთეკის მოწმობის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ, შესაბამისი რეკვიზიტების მითითებით;
- მითითებას არის თუ არა იპოთეკის საგანი ან მისი ნაწილი დატვირთული სხვა იპოთეკით ან სხვა სანივთო ან ვალდებულებითი უფლებით;
- იპოთეკის ხელშეკრულების შედგენის ადგილი და თარიღი;
- შესაბამის ხელშეკრულებიდან ვალდებულების შესრულების ვადას/ვადებს;
- იპოთეკის მოწმობის გაცივმის თარიღს.

როდესაც იპოთეკის მოწმობა ერთი სახის უფლების თაობაზე იძლევა ინფორმაციას, საჯარო რეესტრის ამონაწერი, მოიცავს ქონებაზე არსებულ მთელ სამართლებრივ სურათს. იგი ადასტურებს ქონებაზე უფლებების, ვალდებულებებისა და საჯარო შეზღუდვების არსებობის ფაქტებს ბოლო მდგომარეობით, კერძოდ შემდეგ ინფორმაციას:

- სათაურში აღნიშვნას ”ამონაწერი საჯარო რეესტრიდან”;



- მიწის (უძრავი ნივთის) უნიკალურ საკადასტრო კოდს;
- ამონაწერის მომზადების თარიღს და დროს;
- ამონაწერის მომზადების საფუძვლის, განცხადების რეკვიზიტებს;
- მიწის (უძრავი ნივთის ) მისამართს;
- მიწის (უძრავი ნივთის ) საკუთრების ტიპს და ფუნქციას;
- მესაკუთრის სახელს, გვარს , პირად ნომერს;
- საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის რეკვიზიტებს;
- იპოთეკარის სახელს და მისამართს;
- იპოთეკის ხელშეკრულების რეკვიზიტებს;
- იპოთეკის ხელშეკრულების რეგისტრაციის რეკვიზიტებს;
- ინფორმაცია საგადასახადო გირავნობის შესახებ;
- ინფორმაცია სხვა ვალდებულებების შესახებ: ყადაღა/აკრძალვა;
- ინფორმაცია მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის შესახებ;

საჯარო რეესტრი, სარეგისტრაციო წარმოების პროცესში, თითოეულ სარეგისტრაციო მოთხოვნის საფუძვლად ახდენს ამონაწერის შექმნა-განახლებას. ამონაწერი, როგორც ერთიანი დოკუმენტი, ინფორმაციას გვაწვდის სარეგისტრაციო ობიექტზე არსებული სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ[3]. იმ ფუნქციებს, რასაც კანონმდებელი იპოთეკის მოწმობას უკავშირებდა, წარმატებით ასრულებს ამონაწერის სახით გაცემული დოკუმენტი. გარდა გამონაკლისისა, იპოთეკის მოწმობის დაგირავების შესაძლებლობისა.

ცხადია, მხოლოდ იპოთეკის მოწმობის გადაცემით ახალ კრედიტორს ვერ შეექმნება წარმოდგენა, თუ რა სამართლებრივი ტვირთის მატარებელია მისი უზრუნველყოფის საგანი. კანონმდებელმა არ გაითვალისწინა დაეწესებინა საკანონმდებლო შეზღუდვა, რომ თუ გაიცემა იპოთეკის მოწმობა ქონებაზე, მასზე ყველა შემდგომი იპოთეკის წარმოშობა დამოკიდებული უნდა იყოს იპოთეკის მოწმობის გადაცემაზე, ხოლო წინა რიგის იპოთეკარები დაცული ყოფილიყვნენ შესაბამისი სამართლებრივი გარანტიებით.

მნიშვნელოვანია, ის გარემოება , რომ სსკ-ის 289<sup>2</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩაწერილია, რომ იპოთეკის მოწმობის ნამდვილობა დასტურდება საჯარო რეესტრის ბეჭდით. მაშინ , როცა ბეჭედი, როგორც საჯარო რეესტრის მიერ გაცემული დოკუმენტის ნამდვილობის რეკვიზიტი, ამოღებულია სარეგისტრაციო ბრუნვიდან. ცხადია, რომ გამონაკლისი სახით ვერ მოხდება იპოთეკის მოწმობასთან დაკავშირებით მისთვის სავალდებულო ძალის მინიჭება [3]. რაც მიუთითებს იპოთეკის მოწმობის ნამდვილობასთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსში საკანონმდებლო ცვლილების აუცილებლობაზე.

## დასკვნა

წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, რამდენიმე მნიშვნელოვანი თეზისის გამოყოფა შესაძლებელია. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღნიშნოს, რომ იპოთეკის მოწმობის მარეგულირებელ ნორმათა პრაქტიკაში გამოყენების საკითხი გარკვეულ სირთულეებთან და პრობლემებთანა დაკავშირებული, რაც კანონმდებლის მხრიდან შესაბამისი მოქმედებების განხორციელებას ითხოვს.

კვლევამ ცხადყო, რომ იპოთეკის მოწმობის სამართლებრივი ნორმების არსებული ფორმა ვერ უზრუნველყოფს მის დამკვირდებლას პრაქტიკაში და აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებების გატარება.

ის, რომ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში იპოთეკის მოწმობამ ვერ დაიმკვიდრა ადგილი, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არაფერს იტყობინება იმის შესახებ, თუ რამდენად სავალდებულოა იპოთეკის რეგისტრაციის შემდეგ შესაბამისი მოწმობის გაცემა. საჭიროდ მიმაჩნია, რომ კანონმდებელმა მისი სავალდებულობა უნდა დააწესოს და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 289-ე მუხლის მე-2 პუნქტი შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს:

”იპოთეკაზე გაცემა იპოთეკის მოწმობა. მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში შეიძლება გამოირიცხოს იპოთეკის მოწმობის გაცემა.”

ვთვლი, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დასაზუსტებელია რომ ერთ ერთეულ ქონებაზე გაცემა ერთი იპოთეკის მოწმობა, რაც დასაშვებს გახდის უზრუნველყოფის საგანთა სიმრავლის შესაბამისად იპოთეკის მოწმობის გაცემას. მიზანშეწონილად მივიჩნევ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 289<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის გაუქმებას, რომელიც ითვალისწინებს იპოთეკის მოწმობის გაცემას ერთ ეგზემპლარად. აღნიშნულის საფუძველზე, სასურველია ცვლილება შევიდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 289 მუხლის მე-4 პუნქტში და იგი შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

”თუ მოთხოვნა უზრუნველყოფილია რამდენიმე უძრავ ნივთზე თითოეული ნივთისთვის გაცემა ნაწილობრივი იპოთეკის მოწმობა.”

ჩატარებული კვლევა, გვადლევს იმის თქმის საშუალებას, რომ დღემდე იპოთეკის მოწმობის ინსტიტუტმა ვერ დაიმკვიდრა ადგილი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, რის შედეგადაც იპოთეკის მოწმობის მარეგულირებელი ნორმები საკანონმდებლო აქტებში მხოლოდ ინფორმაციულ ხასიათს ატარებს და აუცილებელია ამ პრობლემის რეგლამენტაცია განხორციელდეს საკანონმდებლო დონეზე, შესაბამის მარეგულირებელ ნორმებში ისეთი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ იპოთეკის მოწმობის დამკვიდრებას კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, რათა იპოთეკის მოწმობის და რეესტრის ამონაწერის კონკურენციის პირობებში მათი ერთდროულად არსებობა გამართლდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში უმჯობესია სამოქალაქო კოდექსში არ იყო პრაქტიკულად უმოქმედო ნორმები და უმჯობესია მოხდეს იპოთეკის მოწმობის მარეგულირებელი ნორმების გაუქმება და საკანონმდებლო დონეზე იპოთეკის მოწმობის რეესტრის ამონაწერით ჩანაცვლება.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
2. საქართველოს კანონი საჯარო რეესტრის შესახებ;
3. საქართველოს კანონი ნოტარიუსის შესახებ;
4. ზოიძე ბ. 2003. ქართული სანივთო სამართალი. თბილისი:”მეცნიერება”,
5. ზარნაძე ე. 1999. ფასიანი ქაღალდის იურიდიული ბუნება, ჟურნალი ”სამართალი”, N 4, 31;
6. შოთაძე თ. 2011. იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა;
7. შოთაძე თ. 2014. სანივთო სამართალი. თბილისი: მერიდიანი;
8. ჭანტურია ლ. 2011. საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება. თბილისი: სამართალი;
9. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი.

## მტკიცების სტანდარტი და ტვირთი პატივისა და ღირსების საკითხის განხილვისას

### რეზიუმე

1995 წლის კონსტიტუციის მიღების და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების რატიფიცირების საფუძველზე, საქართველოში პირველად შეიქმნა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით თანამედროვე დასავლურ ფასეულობაზე დაფუძნებული საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბების შესაძლებლობა. იმ სამართლებრივი რეფორმიდან, რომლებიც საქართველოში განხორციელდა ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი წარმოადგეს. ეს საკანონმდებლო აქტი ითვალისწინებს სამოქალაქო პასუხისმგებლობის ფორმებს ინფორმაციისათვის, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს, ლახავს პატივსა და ღირსებას. კოდექსი მე-18 და საქართველოს კონსტიტუციის მე- მუხლები ითვალისწინებს პირადი არაქონებრივი დაცვის სამართლებრივ საფუძველს. კონსტიტუციით გარანტირებულმა აზრის თავისუფლად გამოხატვის ღირებულებამ და კერძო ცხოვრების დაცვის უფლებათა შორის ღირებულებათა კონფლიქტმა ქართულ მართლმსაჯულების ისტორიაში გარკვეული ევოლუციური პროცესი განიცადა.

2004 წლის 29 ივნისს მიღებულმა საქართველოს კანონმა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ რადიკალურად შეცვალა, როგორც საკანონმდებლო ბაზა ასევე მართლმსაჯულებაში არსებული პრაქტიკა. თუმცა პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის საკითხი მრავალმნიშვნელობის შემცველი პრობლემაა და არ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომა, როგორც საკანონმდებლო ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

რატომ ხდება ერთი და იმავე საქმის განხილვისას სასამართლო ინსტანციების მიერ სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღება?

ამ კითხვაზე პასუხის ერთ-ერთ შემცველ კომპონენტს განვიხილავ მოცემულ სტატიაში, ეს გახლავთ „პატივის ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვის განხილვისას მტკიცების ტვირთი“.

სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ემყარება, როგორ მატერიალური სამართლებრივ, ასევე პროცესუალურ ნორმებს. შესაბამისად მნიშვნელოვანია მხარეთა მიერ მტკიცებულების წარდგენის უფლება-მოვალეობის საკითხის განხილვა, რაც მოგცემს შესაძლებლობას გავცეთ დასმულ კითხვას ნაწილობრივ პასუხი.

**საძიებო სიტყვები:** სამოქალაქო სამართალი, სტანდარტი, მტკიცება, ღირსება, საქმიანი რეპურაცია

## Standard of Evidence and Burden while Discussing the Issues Related to Honor and Dignity

### Summary

On the basis of the constitution adopted in 1995 and the ratification of international legal acts, Georgia was given the opportunity to establish legislative framework based on Western values connected with human rights. Out of the legal reforms that were implemented in Georgia, one of the major achievements is the Civil Code of Georgia. This legislative act considers forms of civil liability for information that is not in accordance with reality, humiliates honor and dignity. The Article 18 of the Code and the Article of the Constitution of Georgian consider the legal basis of personal non-property protection. Conflict between Freedom of speech guaranteed by the constitution and the protection of privacy rights exposed some evolution processes in the history of Georgian Justice.

Georgian Law “on freedom of speech and its expression” adopted on June 29, 2004, radically changed legislative base as well as practice existing in justice. Though, the issue related to honor, dignity and business reputation is a significant problem and there is no homogeneous approach from the legislative and practical viewpoint.

Why does it occur that while discussing one and the same issue, court instances make different decisions?

I will discuss one of the components of the answer to this question in given article; this is “the burden of evidence in the process of discussing honor, dignity and business reputation dispute”.

In the process of making decision, Court relies on material-legal as well as procedural norms. Accordingly, it is important to discuss the issue of rights and liabilities issues related to presentation of evidences by sides what will enable us to partially answer this question.

**Keywords:** Civil Law, Standard, Evidence, Dignity, Business Reputation.

## მტკიცების სტანდარტი და ტვირთი პატივისა და ღირსების საკითხის განხილვისას

### შესავალი

სამოქალაქო საპროცესო სამართლის უნიფიკაციის გზაზე, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის პრინციპის უარყოფის შედეგად, მივიღეთ სასამართლო ხელმძღვანელობის პრინციპი, რაც

გამოხატება „იმ გარემოების დამტკიცებაში, რომელსაც ემყარება მხარის მოთხოვნა“, „მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაში,“ „დაუმტკიცებელი გარემოების მეორე მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტაში“. მსგავსი კონცეფციებით შეიქმნა იურიდიული დებულებები, რომლებიც მოქნილობას ანიჭებს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებს. დღეს მოქმედ საპროცესო სამართალში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მოსამართლე.

საქართველოში სასამართლო რეფორმის შედეგად, რომელიც მიმდინარეობს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის შესაბამისად, მივიღეთ ის, რომ მართლმსაჯულება ხორციელდება შეჯიბრით ობისა და დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად.

დავების განხილვისას სასამართლო მთლიანად ეყრდნობა მხარეთა აქტიურობას, თვითინციატივას და მხოლოდ მხარეების მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ფარგლებში იხილავს ყოველ კონკრეტულ სამოქალაქო საქმეს და გამოაქვს არა სწორი გადაწყვეტილება, არამედ დასაბუთებული გადაწყვეტილება. შესაბამისად სასამართლოში საქმის განხილვისას მნიშვნელოვანია მხარეებმა წარმოადგინონ ისეთი მტკიცებულება, რომელზეც ამყარებენ თავიანთ სასარჩელო მოთხოვნას ან მოსაზრებებს.

### **ძირითადი ნაწილი**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი იცავს პირის არაქონებრივ სიკეთეს. კერძო სამართლით დაცული ინდივიდის „პიროვნული უფლებები“ არის აბსოლუტური უფლებები, რომლებიც ადამიანის პიროვნების პატივისცემისა და მისი ინდივიდუალობის (იდენტობის ) გამოხატველია. ეს უფლებები ადამიანის კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის, სტატუსს განამტკიცებენ. ამავე დროს, პიროვნული უფლებების მიზანია ადამიანის პიროვნების სფეროში არაკანონიერი ჩარევის აღკვეთა. ისინი უზრუნველყოფენ ადამიანის ღირსებისა და ინდივიდუალურობის ხელშეუხებლობას.

სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს სსკ 18 -ე მუხლით დაცული უფლებების დარღვევის ან სადაოდ ქცევის შემთხვევაში უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს, თუმცა მოსარჩელის ვალდებულება წარადგინოს სასამართლოში უტყუარი მტკიცებულება განსაზღვრულია საქართველოს კანონით „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“.

მნიშვნელოვანი სიახლეა სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილება. კანონის მიხედვით ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არსებობს სასამართლოში განხილვისას უნდა გადაწყდეს სიტყვასა და თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ. ეჭვი შეიძლება ეხებოდეს მათ შორის

- ა) კერძო ან საჯარო პიროს სტატუსის მინიჭების საკითხს;
- ბ) საზოგადოებრივი ყურადღების ან ცნობისმოყვარეობის სტატუსის მინიჭების საკითხს;
- გ) აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხს;

ადრე სსკ 18-ე მუხლის 2-ე ნაწილი მხარეებს შორის მტკიცების ტვირთს შემდეგნაირად ანაწილებდა: მოსარჩელე ვალდებული იყო დაემტკიცებინა მისი პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელების ფაქტი. ასევე ის, რომ გავრცელებული ცნობებით შეილახა მისი პატივი ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. ხოლო მოპასუხე ვალდებული იყო დაედასტურებინა მის მიერ გავრცელებული ცნობების ნამდვილობა. აღსანიშნავია, რომ დიფამაციის დეკრიმინალიზაციამდე სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები მტკიცების

ტვირთს რადიკალურად განსხვავებულად ანაწილებდა, ბრალმდებელი მთლიანად იყო ვალდებული ემტკიცებინა ბრალდების ყველა ელემენტი. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონმა მტკიცების ტვირთი მთლიანად მოსარჩელის მხარეს მოაქცია, რაც იმას ნიშნავს რომ სასამართლოში მოსარჩელეა ვალდებული და არა მოპასუხე ამტკიცოს:

- 1) მოპასუხის მიერ გავრცელდა სადაო განცხადება;
- 2) სადაო განცხადება ლახავს მის პატივსა და ღირსებას;
- 3) სადაო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს;
- 4) განცხადება არ გაკეთებულა პოლიტიკური ან სასამართლო სიტყვის თავისუფლების ფარგლებში.

საქართველოს კანონის „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ არსებობს ორი სახის მტკიცებულების სტანდარტი, რომელსაც დიფამაციის საქმეში იყენებენ, რიგითი მოქალაქის მიერ სარჩელის წარდგენისას, იგი ვალდებულია დაამტკიცოს მხოლოდ ორი გარემოება: 1. მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა მცდარი ფაქტების შემცველი განცხადებები; 2. აღნიშნული განცხადებები ზიანს აყენებს მის პატივს ღირსებას და საქმიან რეპუტაციას.

კანონს შემოაქვს „საჯარო პირის“ ცნება დიფამაციის საქმეებში საჯარო პირს ეკისრება გაცილებით მაღალი სტანდარტის მქონე მტკიცების ტვირთი, ვიდრე რიგითი მოქალაქეს მე-14 მუხლის თანახმად „საჯარო პირი“ ვალდებულია დაადასტუროს არა მხოლოდ ის რომ პირმა გაავრცელა ცილისმწამებლური ფაქტები, არამედ ფაქტების სინამდვილესთან შეუსაბამობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი, ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი განცხადების გავრცელება.

კანონით აღიარებული და დაცული უფლებების შეზღუდვისას ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ამ უფლებების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ. ხოლო კერძო ან საჯარო პირის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს პირისათვის საჯარო პირის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.

საზოგადოებრივი ყურადღების ან ცნობისმოყვარეობის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს მოვლენისათვის საზოგადოებრივი ყურადღების სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.

აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისთვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.

სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.

აღნიშნული ნორმები ჯეროვანი სიზუსტით ახდენს ფორმულირებას, რომ სასამართლოში საქმის განხილვისას მტკიცების ტვირთი მოსარჩელე მხარის ვალდებულებაა, რომელმაც სასამართლოში უნდა წარადგინოს უტყუარი მტკიცებულება.

ამ ფორმულირებით საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის შესახებ მიუახლოვდა იმ სტანდარტებს, რომელიც პირველად აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა საქმეზე „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სალივანის წინააღმდეგ. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ თუ სახეზე არ არის მედიის მხრიდან ბოროტი განზრახვა ან უხეში დაუდევრობა, არ შეიძლება, ჟურნალისტმა პასუხი აგოს საჯარო პირის შესახებ არასწორი და სახელის გამტეხი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაშიც კი.

თუკი ჟურნალისტს ან პუბლიკაციას გააჩნია კანონიერი მიზანი, იგი წარმოადგენს საჯარო ინტერესის საგანს და ფაქტების დასამტკიცებლად მიმართავენ გონივრულ მცდელობას. პრესა არ ჩაითვლება ბრალეულად იმ შემთხვევაშიც კი, თუ დამტკიცდება ფაქტების არასწორი შინაარსი (უზუსტობა).[5,6].

შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცება გადაუჭრელი ამოცანაა. ფაქტის არსი შეიძლება დემონსტრირებული იქნეს, მაგრამ შეფასებითი მსჯელობის სიმართლე არ შეიძლება მტკიცების საგანი იყოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცების მოთხოვნა წარმოადგენს იერიშის მიტანას აზრის თავისუფლებაზე (ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ). იმ დროს, როდესაც შესაძლებელია ფაქტების არსებობის დემონსტრირება, სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცება შეუძლებელია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე #ას-1052-1007-2014; 30. 09. 2015 წ. განმარტავს, რომ „სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცების მოთხოვნა შეუსრულებელია და ეს მოთხოვნა არღვევს თვით აზრის თავისუფლებას, როდესაც გამონათქვამი სუბიექტურ შეფასებას უთანაბრდება, შეზღუდვის პროპორციულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი განსახილველი გამონათქვამისათვის, ვინაიდან სუბიექტური შეფასებაც კი, ყოველგვარი ფაქტობრივი საფუძველით გამყარების გარეშე ზედმეტი იყოს“. [9,10].

ქართული მართლმსაჯულება მიჩნევს, რომ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებისათვის მხოლოდ ცილისწამებლური განცხადების გავრცელების ფაქტის დადგენა არ არის საკმარისი. გამოხატვის შეზღუდვის აუცილებლობის ხასიათი განისაზღვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული სტანდარტით. სხვადასხვად, რომ ვთქვათ, შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას. გამოხატვის შეზღუდვის საკითხის გადაწყვეტისას წარმოიშობა კერძო და საჯარო ინტერესების პრობლემა. გამოხატვის თავისუფლებას და სხვა პირთა უფლებებსა და რეპუტაციას შორის ბალანსი უნდა გადაწყდეს კონკრეტული დავის თავისებურებების გათვალისწინებით, თუმცა მხედველობაში უნდა იქნეს მორგებული დასაშვები კრიტიკის ფარგლები; პრესის თავისუფლების ინსტიტუტი; საზოგადოებრივი ინტერესი.

კერძო პირის ცილისწამების შემთხვევაში, პასუხისმგებლობის დაკისრების იურიდიულ შემადგელობას განსაზღვრავს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს მე-13 მუხლი და სავალდებულოდ მიიჩნევს შემდეგი ფაქტობრივი წინაპირობების არსებობას: ა) გავრცელებული ინფორმაცია უნდა ეხებოდეს მოსარჩელეს; ბ) გავრცელებული ინფორმაცია უნდა იყოს მცდარი ფაქტის შემცველი; გ) გავრცელებული ინფორმაცია აყენებდეს პირის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას. კანონი განმარტავს, რომ „ცილისწამება არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისათვის ზიანის მომყენებელი, მისის სახელის გამტეხი განცხადება.“ [2].

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, შესაბამისად მოსარჩელე მხარე ვალდებულია ამტკიცოს გავრცელებული ინფორმაციის შედეგად მიაღწა ზიანი და წარადგინოს ზიანის მიყენების დამადასტურებელი მტკიცებულება.

საქართველოში შეჯიბრითობის პრინციპის მოქმედების ფარგლებში სასამართლოს როლი მტკიცებულებათა შეგროვებაში საკმაოდ შეზღუდულია და იგი შემოიფარგლება მხოლოდ, მხარის დასაბუთებული განცხადების შემთხვევაში, მტკიცებულებათა გამოთხოვით. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ მხოლოდ მხარეები (მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და მესამე პირები დამოუკიდებელი სარჩელის მოთხოვნის გარეშე) არიან ვალდებულნი სასამართლოში წარმოადგინონ მტკიცებულებები. პირადი არაქონებრივი დავის განხილვისას რთულია „აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და კერძო ცხოვრების დაცვის უფლებას შორის ღირებულებათა შეფასება“, საკითხის სამართლიანად გადაწყვეტისათვის უმნიშვნელოვანესია მხარეთა მიერ მტკიცებულების წარდგენა. „მტკიცების ტვირთის“ განაწილებას აქვს არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც. შესაბამისად, როგორც მოსარჩელე ასევე მოპასუხე მხარემ თანაბრად უნდა გადაინაწილოს „მტკიცების ტვირთი“, რადგან სასამართლომ შეძლოს საქმეზე ობიექტური და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა.

ზოგადი წესის მიხედვით, ცივილისტიკაში გამოიყენება ზიანის მიყენების ბრალეულობის პრეზუმციის პრინციპი, რომლის თანახმად „ზიანის მომყენებელი მიიჩნევა ბრალეულად, თუ ის ბრალის არარსებობის მომენტს არ დაამტკიცებს“ ამიტომაც, რომ მტკიცების ტვირთი უნდა გადანაწილდეს მხარეებს შორის. [3,4].

## დასკვნა

პირადი არაქონებრივი დავის საკითხის განხილვისა სამართალწარმოებისას უნდა დაეფუძნოს კონსტიტუციის აზრის -24-ე , ასევე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპებს; ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლს, რომლის თანახმად „ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას“. ამ ინტერესთა კონფლიქტის გარკვევაში სასამართლოსთვის მნიშვნელოვანია წარმოდგენილი მტკიცებულება.

საქართველოში სასამართლო რეფორმის შედეგად მივიღეთ, რომ მართლმსაჯულება ხორციელდება შეჯიბრითობისა და დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად, რომელიც ინკვიზიციურობისაგან განსხვავებით, არ გულისხმობს სასამართლოს მიერ საქმეზე „ობიექტურ ქეშმარიტების“ დადგენას, არამედ დავის განხილვისას სასამართლო მთლიანად ეყრდნობა მხარეთა აქტიურობას და თვითინიციატივას და მხოლოდ მხარეების მიერ წარდგენილი მტკიცებულების ფარგლებში იხილავს ყოველ კონკრეტულ სამოქალაქო საქმეს.

თანამედროვე სამოქალაქო საპროცესო სამართალში დისპოზიციურობისა და შეჯიბრითობის პრინციპის მოქმედების პირობებში სწორედ „მტკიცების ტვირთის“ რეალიზებისა და მის ხარისხზე დამოკიდებული მხარეთა შორის წარმოშობილი დავის (კონფლიქტის) განხილვის საპროცესო შედეგი (საბოლოო რეზულტატი).

თუ პირადი არაქონებრივი დავის განხილვისას „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონმდებლობის საფუძველზე მხოლოდ მოსარჩელე დავალდებულდება „უტყუარი



მტკიცებულების” წარდგენით, სასამართლოს გაუჭირდება სწორი გადაწყვეტილების გამოტანა, რადგან მტკიცების ტვირთი არის სწორედ ის ხერხემალი სამართალწარმოებისას, რომლის გარეშეც არ დგება არც ერთი სამართლის შემაჯამებელი გადაწყვეტილება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ „მტკიცების ტვირთის” მხარეთა შორის თანაბრად უნდა გადანაწილდეს.

## **ბიბლიოგრაფია**

### **წიგნები და პერიოდული გამოცემები:**

1. ჭანტურია ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი - 2002 წ. გამომცემლობა სამართალი;
2. დ.კერესელიძე „სამოქალაქო კოდექსის უზოგადესი სისტემური ცნებები” -2009 წელი;
3. ლილუაშვილი თ, ხრუსტალი ვ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2007 წ;
4. ლილუაშვილი თ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005 წ;
5. ლილუაშვილი თ, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში პრაქტიკული სახელმძღვანელო, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2001 წ;
6. პ. მონიავა „პატივისა, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამართლებრივი პრობლემები, 2012 ;.
7. მ. ბიჭია „პატივი სამოქალაქო სამართლებრივი ცნების მოცულობა (ქართულ-ევროპული ) მიდგომები , 2012 წ;
8. 8. მ. ბიჭია „კერძო ცხოვრების ცნების მოცულობა საქართველოს კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით” , ჟურნალი სამართალი # 1 2011 წ;
9. Гражданское Право, под. ред. Суханова Е, А, Т.1, 3-е изд. Москва, 2010;
10. Комментарий к гражданскому процессуальному кодексу РФ под. ред. М. С. Шакарян. Москва, 2003;
11. J. Brassil, Technical Challenges in Location-Aware Video Surveillance Privacy, HP Laboratories, HPL-2008-213, Ed. Springer-Verlag, Computer Imaging, 2009;
12. C. Calvert, The Privacy of Death: An Emergent Jurisprudence and Legal Rebuke to Media Exploitation and a Voyeuristic Culture, 26 Loyla of Los Angeles Entertainment Law.
13. <https://www.psyreon.de/content/e480/Publikationen/persoenlichkeit.pdf>> [09.12.09 17:45]
14. <http://dissertations.ub.rug.nl/FILES/faculties/jur/2002/j.e.wichers/wichers.PDF>> [07.05.10 20:55]
15. <http://www.koeblergerhard.de/der/DERP.pdf>> [25.01.2010 13:30]
16. <http://www.vip-study.ru/files/8.doc>> [12.03.10 1
17. საქართველოს კონსტიტუცია 1995 წლის 24 აგვისტო. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>;
18. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. 1950 წლის 4 ნოემბერი;
19. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 1997 წლის 26 ივნისი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422>;
20. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. 1997 წლის 14 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422>;
21. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” 2004 წლის 24 ივნისი , ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422>;

დალი ჭანიძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
სამართლის სკოლა, დოქტორანტი

## სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები საქართველოს სასამართლო სისტემაში

### რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში მსჯელობა გვექნება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და პრობლემებზე, რომლებმაც უკანასკნელ პერიოდში მძაფრად იჩინა თავი და სადაო გახადა სამართალწაროებაში მისი გამოყენების აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის საკითხი. შესაბამისად საჭირო გახდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების, როგორც სამოქალაქო საპროცესო სამართლოს მნიშვნელოვანი ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნების გამოკვლევა და შესწავლა. მიმაჩნია, რომ სასამართლოებმა ერთგვაროვანი პრაქტიკა უნდა შეიმუშაონ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით. თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ წინამდებარე სტატიის მიზანს არ წარმოადგენს სარჩელის უზრუნველყოფის როგორც ინსტიტუტის ზოგადი დახასიათება ან მისი ცალკეული სახეების განხილვა.

წინამდებარე სტატიაში მცდელობა გვექნება საქართველოს კანონმდებლობაზე და საქართველოში არსებულ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით დავახასიათოთ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების კანონიერების კრიტერიუმები, მისი გამოყენების, გაუქმების და შეცვლის საკითხები.

**სადიებო სიტყვები:** სამოქალაქო, სარჩელი, უზრუნველყოფა, ღონისძიება

Dali Chanidze

Grigol Robakidze University  
School of Law, PhD Student

### Problematic Questions Related to Lawsuit Enforcement in the Georgian Jurisdiction System

#### Summary

The given article discusses the issues and problems related to the use of the lawsuit enforcement measures that have recently emerged. It became arguable whether it is necessary and expedient to use them in jurisdiction. Accordingly, it became necessary to research and study lawful nature of lawsuit enforcement measures as an

important institute of the Public Procedural Law. In our opinion, courts have to install a unanimous practice in regard to lawsuit enforcement methods. Although, we must note that it was not our aim to give general characteristics of the suit enforcement as an institute or to discuss its various methods.

Based on the Georgian jurisdiction and the existing law practice in Georgia, we will try to characterize the criteria of the lawfulness of the lawsuit enforcement measures. We will also discuss whether is it reasonable to use them, change or cancel them at all.

**Key words:** Public, lawsuit, enforcement, measures.

## სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები საქართველოს სასამართლო სისტემაში

### შესავალი

2006 წელს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილებები, რომლითაც თითქოს დაიხვეწა და სრულყოფილი გახდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, თუმცა აღნიშნულ ცვლილებას დიდი წინგადადგმული ნაბიჯი სამართლებრივად არ მოყვლია, რადგანაც დარჩა რიგი პრობლემური საკითხები, კერძოდ დღემდე პრობლემური და სადაოა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების კრიტერიუმები, სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნისათვის დასაბუთებული ვარაუდის საფუძვლები, დაკმაყოფილებული სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების გაუქმების საკითხები.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებული აქტი, რომელიც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების დაკმაყოფილებისთვის სხვადასხვა მოთხოვნებს უყენებს მხარეს.

კვლევის ფარგლებში სხვადასხვა ეტაპზე განხილული იქნება ზემოხსენებული შედეგის არსებობის ყველაზე ხშირი გამომწვევი მიზეზები და მათი ლეგიტიმური საფუძვლები.

**თემის აქტუალობა.** თემა აქტუალურია, ვინაიდან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამართალწარმოებაში და შესაბამისად მისი სწორად გამოყენებაც მნიშვნელოვანია შემდგომში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის.

დღეის მდგომარეობით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე საკითხს სასამართლოები სამართლებრივად სხვადასხვაგვარად ხედავენ, არ არსებობს ერთიანი ჩამოყალიბებული პრაქტიკა, არ არის განსაზღვრული და კონკრეტულად გაწერილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები და არსებობს მთელი რიგი პრობლემები მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით.

**მასალა და მეთოდები.** წინამდებარე კვლევის ძირითად მასალას წარმოადგენს 1997 წლის 14 ნოემბერს მიღებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (დამატებებითა და ცვლილებებით, ბოლო ვერსია) და სასამართლო აქტები (განჩინებები).

იმისათვის, რომ სამართლებრივად სწორად განვსაზღვროთ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არსებული პრობლემური საკითხები მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის გამოყენება, რომელიც დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით განსაზღვრას, თუ, რამდენად ხშირია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მთხოვნის დაკმაყოფილება ან უარი დაკმაყოფილებაზე, ასევე როგორ რეაგირებს მოცემულ აქტებზე (განჩინებებზე) მეორე ინსტანციის სასამართლოები.

თავად საკითხის პრობლემურობაზე უშუალოდ სასამართლო პრაქტიკა მიუთითებს, რომელიც არ არის ერთგვაროვანი, ამიტომ აუცილებელია სასამართლო პრაქტიკის არსებული ხარვეზების ანალიზი და მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბება.

**ძირითადი ნაწილი.** სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნება: განმარტებითი იურიდიული ლექსიკონის თანახმად, (1) *სარჩელის უზრუნველყოფა წარმოადგენს სასამართლოს წინასწარ გადაწყვეტილებას, რომლის მიზანია იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ შემდგომში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობას წარმოადგენს პირის ინდივიდუალური მოთხოვნის უფლება, ანუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არის სასამართლოს მიერ გამოყენებული დროებითი ღონისძიების სახე, ის მნიშვნელოვანი მექანიზმი, რაც საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურება ან მისი აღუსრულებლობა. ეს არის ერთადერთი სამართლებრივი ბერკეტი სასამართლოს მიერ მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების დაუბრკოლებლად აღსრულებისა. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფა თავისი შინაარსით პირდაპირ დაკავშირებულია გადაწყვეტილების აღსრულებასთან.*

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნის შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მოსარჩელეს ავალდებულებს დაასაბუთოს ფაქტობრივი გარემოება, რომლის გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და კონკრეტულად მიუთითოს თუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების რომელი სახის გამოყენება მიაჩნია აუცილებლად. დღევანდელი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ხშირად სასამართლოები სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას არ აკმაყოფილებენ იმ მოტივით, რომ მოსარჩელე უტყუარი მტკიცებულებით ვერ ადასტურებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას ან მოთხოვნა არ არის საპირწონე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისა. მაგ: პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელემ მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სამომავლოდ მის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების დასაცავად. (3) მოტივად მიუთითა, რომ მას მოპასუხე მხარის მოქმედების შედეგად მიაღდა ზიანი, კერძოდ დაუზიანდა საცხოვრებელი სახლი, რაც დადასტურებული იყო ექსპერტიზის დასკვნით, შესაბამისად მოსარჩელემ მოითხოვა სამომავლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით მოპასუხე მხარის სახელზე არსებულ ქონებას დადებოდა ყადაღა. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ნაწილობრივ დაკმაყოფილებული იქნა აღნიშნული მოთხოვნა, კერძოდ დავაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე აეკრძალა მოპასუხე მხარეს მის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება. მოპასუხე მხარემ პირველი ინსტანციის განჩინება გაასაჩივრა აპელაციაში იმ

მოტივით, რომ მოცემული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მას ადგებოდა მნიშვნელოვანი ზიანი. სააპელაციო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული იქნა მოპასუხე მხარის მოთხოვნა და გაუქმებული იქნა პირველი ინსტანციის მიერ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შემდეგი საფუძვლით, კერძოდ სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ უტყუარი მტკიცებულებით არ დასტურდებოდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა და ამასთან არ იყო დადგენილი ზიანის ოდენობა, რომელიც საპირწონე ანუ ადეკვატური იქნებოდა უზრუნველყოფის ღონისძიების.(4) ფაქტობრივად სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების საფუძველზე მოსარჩელე დარჩა უზრუნველყოფის ღონისძიების გარეშე.

მიმაჩნია, რომ აღნიშნული ნორმის იმგვარი გაგება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მომთხოვნი პირი ვალდებულია უტყუარი მტკიცებულების წარმოდგენით დაამტკიცოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, არ გამომდინარეობს არც მითითებული და არც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მარეგულირებელი სხვა ნორმებიდან. სასამართლოს დასარწმუნებლად საკმარისია მხოლოდ ალბათობის მაღალი ხარისხით იმ გარემოებების არსებობის ვარაუდი, რომელსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის შესახებ, სხვაგვარად აღნიშნული გარემოებების არსებობის ალბათობა უნდა გადასწონიდეს ვარაუდს მისი არარსებობის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში იმ გარემოებების არსებობა, რომ მოპასუხე მხარის ქმედებიდან გამომდინარე მიადგა მოსარჩელეს ზიანი გადასწონის ვარაუდს მისი არ არსებობის შესახებ და ასევე უადგილოა ზიანის ოდენობის განსაზღვრის სავალდებულოა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია ზიანის სანაცვლოდ თანხის გადახდა, ასეთი სარჩელი კი არის მიკუთვნებითი ანუ აღსრულებითი სარჩელი. ეს ნიშნავს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დადგომა დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ გადაწყვეტილების ძალაში შესვლაზე (როგორც ეს აღიარებითი სარჩელების შემთხვევაშია), არამედ ასევე მოპასუხის ნებაზე. მან უნდა განხორციელოს გარკვეული მოქმედება თანხის გადახდის თაობაზე. ასეთი ნების არარსებობის შემთხვევაში გადაწყვეტილებით განსაზღვრული შედეგის დადგომა დამოკიდებული ხდება ისეთ საშუალებაზე როგორცაა იძულებითი აღსრულება. შესაბამისად თუკი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის არ იარსებებს მოსარჩელის დაკმაყოფილების საშუალება, მაგალითად ქონების რეალიზაცია, ფულადი სახსრების განკარგვის გამო გადაწყვეტილება იქცევა აღუსრულებელ გადაწყვეტილებად. ბუნებრივია იბადება კითხვა როგორ მოახდენს მოსარჩელე სამომავლოდ მის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, როცა მეორე ინსტანციის სასამართლომ გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და არ არსებობს სამართლებრივი საშუალება იმისა, რომ მოსარჩელემ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე გაასაჩივროს ზემდგომ ინსტანციაში. ფაქტობრივად მოსარჩელე რჩება სამომავლოდ სასამართლოს მიერ მის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებასთან სამართლებრივად დაცული ბერკეტის გარეშე.

აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლოს ვალია არა მხოლოდ სწორად და ობიექტურად გადაწყვიტოს დავა მხარეებს შორის არამედ უზრუნველყოს მხარე სამომავლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობისგან და არ დატოვოს იგი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის დანიშნულებისა და მისი ოპერატიულობის მიზნებიდან გამომდინარე, კანონმდებელი განცხადების

დაკმაყოფილებისათვის ფაქტობრივი გარემოებების მითითებისა და მტკიცების მაღალ სტანდარტს არ ითვალისწინებს. (2) აღნიშნული მიდგომა დაფიქსირებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ განჩინებაშიც, რომელთა თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია მხარის მოთხოვნის საფუძველზე გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, თუმცა აღნიშნულისათვის საჭიროა მხარემ დაასაბუთოს ისეთი ობიექტური გარემოებების არსებობა, რაც მომავალში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას შეუშლის ხელს.(5) ნიშანდობლივია, რომ მხარეს ზემოხსენებული გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ ფარგლებში, რომ სასამართლოს შეუქმნას კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების აუცილებლობის რწმენა, ვარაუდი, ვინაიდან საქმე ეხება სამომავლო მოვლენებს, რაც წარსულში არსებული გარემოებებისაგან განსხვავებით შესაძლოა კონკრეტული მტკიცებულებების წარდგენის გზით ვერ დადასტურდეს.

აღნიშნული მიდგომა დაფიქსირებულია სამეცნიერო ლიტერატურაშიც. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სასამართლოს შეუძლია ისეთი ფაქტების საფუძველზეც, რომელთაც ვარაუდის ხასიათი აქვთ და არ არის საჭირო მტკიცებულებების წარდგენა ამ ფაქტების დასაბუთებლად, ამიტომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიღების საფუძვლები არ იძლევა პასუხს კითხვაზე, რა მტკიცებულებები და რა ეტაპზე უნდა წარადგინოს მხარემ.

შესაბამისად, კანონმდებლობის ჩანაწერის, სასამართლო პრაქტიკისა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსარჩელეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას ეკისრება მხოლოდ იმ გარემოებების მითითების ტვირთი, რომლებიც მოსარჩელეს შეუქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობა შემდგომში უარყოფითად იმოქმედებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე. შესაბამისად არ არის მართებული, როდესაც სასამართლო მხარეს უარს ეუბნება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე იმ მოტივით, რომ მან უტყუარი მტკიცებულებით ვერ დაადასტურა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. მოცემულ შემთხვევაში სავალდებულოა არ უტყუარი მტკიცებულება, არამედ ალბათობის მაღალი ხარისხი, რომელიც დასაბუთებულ ეჭვს უქმნის სასამართლოს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობა ხელს შეუშლის შემდგომში მხარის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოებმა ერთგვაროვანი პრაქტიკა უნდა შეიმუშავონ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით, ხელი შეუწყონ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას. მიუხედავად იმისა, რომ აღსრულების პროცესი სასამართლოს კომპეტენცია არ არის, სასამართლო დაინტერესებული უნდა იყოს იმით, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღსრულდება და არ დარჩება მხოლოდ ქაღალდზე.

მეორე ინსტანციის სასამართლომ ასევე უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტობრივი გარემოება, რომ თუკი ის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას გააუქმებს, მხარე დარჩება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე, რაც სამომავლოდ შეუქმნის პრობლემას სასამართლოს მიერ მის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაში. შესაბამისად მეორე ინსტანციის სასამართლოები უფრო მეტი სამართლებრივი ვალდებულებით უნდა მოეკიდონ აღნიშნულ საკითხს და არ უნდა დატოვონ მხარე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გარეშე, იმ სამართლებრივი ბერკეტის გარეშე, რომელიც იცავს მოსარჩელეს

სამომავლოდ გადაწყვეტილების აღსრულებელებისგან. დაუშვებელია სასამართლოების მიერ უარის თქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, იმ საფუძველით, რომ სასარჩელო მოთხოვნა არ არის საპირწონე, ადეკვატური სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არის გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების საშუალება. ის წარმოადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონებრივი უფლებების დაცვის გარანტიას და ემსახურება ამ უკანასკნელთა დარღვეული უფლებების სრულ და რეალურ აღდგენას ანუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ იგი იცავს მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს. ყოველგვარი აზრი ეკარგება უფლების აღიარებას თუკი ვერ მოხდება ამ უფლების რეალიზაცია ე.ი. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, სარჩელის უზრუნველყოფა კი ამის ერთ-ერთი რეალური გარანტიაა.

ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ სასამართლოებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან და მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით ერთგვაროვანი პრაქტიკა ჩამოაყალიბონ, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული საკითხების სამართლებრივად სწორად გადაჭრას და შემცირდება ის ხარვეზები, რაც მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით არსებობს სამართალწარმოებაში.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი; ავტორები ლევან თოთლაძე, გორგი თუმანიშვილი, პაატა ტურავა, ეთერ ჩაჩანიძე, გამოცემული 2012წ.
2. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ. 2007. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა სამართალი. თბილისი, ბონაკაუზა;
3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება, საქმე N 010217714623234;
4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საქმე N 010217714623234;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმე N ას-16-354-09.

**ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის სტატუსი საქართველოში**

**რეზიუმე**

სტატიაში - ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის სტატუსი საქართველოში საუბარია ქმედუნარიანობის სამართლებრივი ინსტიტუტის მოდიფიკაციაზე, რომელმაც ძირეულად შეცვალა ქმედუნაროდ აღიარებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა და მათი სტატუსი. რეფორმას წინ უძღოდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532, 533 გადაწყვეტილება საქმეზე „ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. სტატიის ფარგლებში განხორციელდება აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე მსჯელობა. რეფორმამდე არსებობდა პირის ქმედუნაროდ აღიარების მექანიზმი, რომელიც გულისხმობდა სასამართლოს მიერ პირის ქმედუნაროდ - სამართლებრივად აბსოლუტურად უუფლებო სუბიექტად აღიარებას. შესაბამისად, სტატიის ფარგლებში მნიშვნელოვანია რეფორმის განმაპირობებელი ფაქტორების იდენტიფიცირება და გამოკვლევა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საყურადღებოა, რომ განხორციელებული ცვლილებები შეესაბამება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს. წარმოდგენილი ცვლილებები თანხვედრაშია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან, რომელიც მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში - გაერო) ეგიდით. ცვლილებათა გათვალისწინებით, მხარდაჭერის მიმღები პირი მიიჩნევა ქმედუნარიანად და მხარდაჭერი ენიშნება მხოლოდ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში. ასეთ პირებს ახალი რეგულაციით ენიჭებათ ფართო უფლებამოსილებები. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სამართლებრივ ურთიერთობებში, კერძოდ: დებენ გარიგებებს, გააჩნიათ ქორწინების, არჩევნებში მონაწილეობის, მემკვიდრეობის მიღების უფლება და ა.შ. ამავდროულად მონაწილეობენ სამოქალაქო, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დამოუკიდებელ სუბიექტებად, რასაც აქამდე ვერ ახორციელებდნენ. სტატიის ფარგლებში დადგენილი იქნება, რამდენად სრულდება კონვენციის მოთხოვნები და შეესაბამება თუ არა მას საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები. სტატიაში ზემოთმოყვანილ საკითხების სისტემური ანალიზი საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს საკანონმდებლო რეფორმის დადებითი და უარყოფითი ასპექტები.

**საძიებო სიტყვები:** ქმედუნარიანობა; უფლებები, სტატუსი, სამოქალაქო სამართალი

**Ia Khurtsidze**

Grigol Robakidze University  
School of Law, PhD Student



## Resume

The article hereof – Status of a Person with Psychosocial Needs in Georgia – is about modification of the legal institute of competence, which has fundamentally changed the condition and status of the persons declared legally incompetent. The reform was preceded by the decision №2/4/532, 533 of the Constitutional Court of Georgia, dated October 8, 2014, concerning the case “*Irakli Kemoklidze and David Kharadze vs the Parliament of Georgia*”. The article hereof will focus on the above decision. Prior to implementation of the reform, there was the mechanism for declaration of a person as legally incompetent, which meant declaration of a person as legally incompetent - absolutely powerless subject by the court. Accordingly, determination of the factors attributing reform and their investigation in line with the applicable legislation of Georgia is considered as largely important in this article. It is a noteworthy fact, that the fulfilled amendments are in compliance with the international human rights standards. The provided amendments comply with the Convention on the Rights of Persons with Disabilities, adopted under auspices of the United Nations (hereinafter - UN). *Mutatis mutandis*, a beneficiary of support is considered to have legal competence and a supporter will be appointed by the court only in certain areas. Such individuals enjoy broad powers through the new legislative regulation. They actively participate in the legal (including material and moral) relations, in particular, enter into agreements, enjoy the right to get married, to vote, to receive inheritance, etc. At the same time, they directly take part in civil, administrative proceedings, which they failed to exercise so far. The article hereof will examine, how far the requirements of the Convention are met by the legislative amendments and whether they comply with the Convention. System analysis of the above issues provided for in the article allows outlining of the positive and negative aspects the legislative reform.

**Keywords:** legal competence, rights, status, civil law.

## ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის სტატუსი საქართველოში

### შესავალი

თანამედროვე სამოქალაქო კოდიფიკაციების არსებობის განმავლობაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია საკანონმდებლო ნოვაცია, რომელსაც საფუძვლად დაედო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532, 533 გადაწყვეტილება საქმეზე „*ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო ერთი მხრივ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და მეორე მხრივ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რიგი ნორმები, ასევე ცალკეული ნორმატიული აქტების დებულებები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით თვისებრივად მოდიფიცირდა ქმედუნარიანობის ინსტიტუტი და საჭირო გახდა ცვლილებების განხორციელება სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო აქტებში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით. ნიშანდობლივია, რომ განხორციელებული ცვლილებები შეესაბამება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს. წარმოდგენილი ცვლილებები თანხვედრაშია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან, რომელიც მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში - გაერო) ეგიდით.

საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე 2015 წლის 1 აპრილიდან ქმედუნაროდ აღიარებული პირის სტატუსი შეიცვალა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის სტატუსით - ე.წ. „მხარდაჭერის მიმღებით“, ხოლო მეურვის ნაცვლად ასეთ პირებს მეთვალყურეობას გაუწევს

ე.წ. „მხარდამჭერი“. მაშასადამე, საერთო სასამართლოების მიერ აღარ მოხდება იმ პირთა ქმედუწუნაროდ აღიარება, რომელთაც გააჩნიათ მყარი ფსიქიკური დარღვევები. შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე სასამართლო გადაწყვეტს თუ რა სფეროში შეეზღუდოს პირს მაგალითად გარიგების დადების შესაძლებლობა და არ იქნეს აღიარებული სრულიად ქმედუწუნაროდ, რაც გულისხმობს სამოქალაქო ურთიერთობებში მონაწილეობის უფლების აბსოლუტურ ჩამორთმევას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არსებული დებულებებით საფუძველი ჩაეყარა სისტემურ ცვლილებას, რომელიც მასშტაბურ ხასიათს იღებს იქიდან გამომდინარე, რომ ე.წ. მხარდაჭერის მიმღებ პირებს კანონმდებლობა აძლევს ქორწინების, არჩევნებში მონაწილეობის, მემკვიდრეობის მიღებისა და სხვა არაქონებრივი თუ ქონებრივი ხასიათის უფლებათა განხორციელების შესაძლებლობას [5, გვ. 14-15].

მიუხედავად იმისა, რომ პირის ქმედუწუნაროდ აღიარებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებებით გარდაიქმნა ხსენებული ინსტიტუტი, განხორციელდა ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული სისტემის სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბება, არსებობს სხვადასხვა ტიპის სამართლებრივი პრობლემები, პრაქტიკული ხარვეზები, რომლებიც საფრთხეს უქმნის რეფორმის ეფექტიანად განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ პირის ქმედუწუნაროდ გამოცხადების მომწესრიგებელი ცალკეული ნორმები კოლიზიაშია. ამასთან, პირის ქმედუწუნაროდ გამოცხადების მარეგულირებელი პროცესუალურ-სამართლებრივი დებულებები სრულყოფილად, ამომწურავად არ აწესრიგებს ასეთი პირისთვის მხარდამჭერის დანიშვნასთან დაკავშირებულ საკითხებს. შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევებში არსებობს სამართლებრივი ვაკუუმის პრობლემაც.

სტატიის მიზანია ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა ქმედუწუნარიანობის შეზღუდვის კონსტიტუციური, სამოქალაქო და სამოქალაქო პროცესუალურ-სამართლებრივი ფარგლების გააზრება და ანალიზი, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა ინსტიტუტის რეფორმის საკანონმდებლო ცვლილებების გააზრება, შეფასება და ანალიზი.

სტატიის მეორე ნაწილში განხორციელდება მსჯელობა შემდეგ საკითხებზე: ქმედუწუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმის გენეზისზე, რომელიც უკავშირდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532, 533 გადაწყვეტილებას. მესამე ნაწილი დაეთმობა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ე.წ. მხარდაჭერის მიმღების ცნებას, სახეებს, ქმედუწუნარიანობის შეზღუდვის ფარგლებს და მხარდამჭერის სტატუსს, უფლება-მოვალეობებს. მეოთხე ნაწილში საუბარია ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის როგორც უფლებამოსილი სუბიექტის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობაზე. მეხუთე ნაწილში მიმოხილულია პირის ქმედუწუნაროდ აღიარების ინსტიტუტის მიმდინარე რეფორმა - დადებითი და უარყოფითი მხარეები, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები. დასკვნაში შეჯამებულია სტატიაში დასმული საკითხები, განხილულია ერთიან კონტექსტში და წარმოდგენილია სისტემურად.

## **ქმედუწუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმის გენეზისი**

ქმედუწუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმას საფუძველად დაედო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532, 533 გადაწყვეტილება საქმეზე - „ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. წინამდებარე საქმეში მოსარჩელე მხარე სადავოდ მიიჩნევდა როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცალკეული ნორმებს, ასევე „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგიერთ დებულებებს, რომლებიც არეგულირებდნენ და განსაზღვრავდნენ სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში იმ პირთა

სამართლებრივ მდგომარეობას, რომლებიც „ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის“ გამო სასამართლოს მიერ გამოცხადნენ ქმედუუნაროდ [22, მე-6 პარაგრაფი]. მოსარჩელებმა განმარტეს, რომ აღნიშნული საფუძვლებით პირთა ქმედუუნაროდ აღიარება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს ვინაიდან, ქმედუუნარიანობის შემზღვეველი ბლანკეტური ნორმა არ ახდენდა დიფერენციაციას პირთა ინდივიდუალური გონებრივი შესაძლებლობების კუთხით და ქმედუუნაროდ აღიარებულ პირს არაკანონიერად უზღუდავდა ყველა სფეროში ნების გამოვლენას [22, მე-10 პარაგრაფი]. ამასთანავე, მათი აზრით, საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით პირთა დისკრიმინაციას და არსებული რეგულაციებით არათანასწორი მოპყრობა ხორციელდება იმ პირთა მიმართ, ვინც სასამართლოს მიერ აღიარებულია ქმედუუნაროდ და შესაბამისად სამოქალაქო ურთიერთობებში ვერ მონაწილეობს, როგორც სამართლის სუბიექტი, ხოლო იმ პირებს, რომელთაც ასევე აქვთ ჯანმრთელობის მკვეთრად გამოხატული პრობლემები, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილებით ისინი არ არიან აღიარებული ქმედუუნარიდ, კანონი სრულად აძლევს საშუალებას განახორციელონ თავიანთი უფლება-მოვალეობები [22, მე-11 პარაგრაფი]. მოსარჩელეთა შეფასებით, გამომდინარე იქიდან, რომ შესაძარბელი კატეგორიები თანაბარი მდგომარეობით ხასიათდებიან, თუმცა მაინც ხორციელდება ქმედუუნარო სტატუსის მქონე პირების მიმართ დიფერენცირებული მოპყრობა, არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც გამომდინარეობენ პირის ქმედუუნაროდ აღიარების ძირითადი ნორმის შინაარსიდან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა მოსარჩელეთა არგუმენტები და არაკონსტიტუციურად სცნო სადავო ნორმები (ზოგიერთი ნორმის ნორმატიული შინაარსი) და განაცხადა, რომ „შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირების მიერ უფლებების განხორციელების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონსტიტუციურ სტანდარტებს და არ უნდა ემყარებოდეს მხოლოდ პირის გონებრივი დაავადების ფაქტს“ [22, 23-ე პარაგრაფი]. საკონსტიტუციო სასამართლო ქმედუუნარიანობას არ განიხილავს აბსოლუტურ კატეგორიად. მისი აზრით, „პირის ქმედუუნაროდ ცნობა, თავისთავად, არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მოთხოვნებს, ვინაიდან, პირველ რიგში, მიმართულია ამ პირების კანონიერი უფლებების და ინტერესების დაცვისკენ, იმავდროულად, კოგნიტური უნარების შეზღუდვა, მათ შორის სერიოზულიც კი, არ შეიძლება წარმოადგენდეს პირის ქმედუუნარიანობის სრულად შეზღუდვის თვითკმარ მიზეზს“ [22, მე-12 პარაგრაფი]. სასამართლოს შეფასებით, იქიდან გამომდინარე, რომ პირი ფორმალურად განუსაზღვრელი ვადით ითვლება სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების დადების უნარის არმქონედ, პრაქტიკულად, სრულად ხდება დამოკიდებული თავის მეურვეზე და ერთმევა უფლება, დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა სამოქალაქო ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის, ისეთ სფეროებში, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული მის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებასთან, არსებობასა და განვითარებასთან. იგი ვერ დებს თუნდაც ისეთ წვრილმან გარიგებებს, როგორცაა საკვების, საყოფაცხოვრებო ნივთებისა თუ სამგზავრო ბილეთის შეძენა, შეზღუდული აქვს უფლება, აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი, ასევე შეზღუდული აქვს მგზავრობის, შრომის და სხვა უფლებები. მისი ნება ჩანაცვლებულია მეურვის ნებით, რომელიც სამეურვეო პირის სახელით დებს ყველა აუცილებელ გარიგებას [22, მე-9 პარაგრაფი].

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით 2015 წლის 1 აპრილიდან ძალადაკარგულად იქნა ცნობილი ზემოთმოყვანილი აქტების ნორმები, შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს როგორც ნეგატიური კანონმდებლის უფლებამოსილების საფუძველზე საქართველოს პარლამენტმა კანონმდებლობაში განახორციელა სისტემური

ცვლილებები. როგორ აისახა ქმედუნარიანობის ინსტიტუტის მოდიფიკაცია სამოქალაქო სამართალში, რა შედეგები და განვითარება ჰპოვა ახალმა რეგულაციებმა ე.წ. „მხარდაჭერის მიმღების“ რეგულაციის ნოვაციამ, შემდეგ თავებში იქნება მიმოხილული.

### **ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის სტატუსი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით**

ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ე.წ. მხარდაჭერის მიმღების ცნებასა და სახეებს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომლის თანახმად, „ქმედუნარიანად ითვლება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი, ანუ პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში, თუ ეს პირი არის სრულწლოვანი ან იქორწინა 18 წლის ასაკამდე“ [16, მე-12 მუხლის მე-4 ნაწილი]. ამასთანავე, „აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში“ [16, მე-12 მუხლის მე-4 ნაწილი]. გარდა ამისა, მხარდაჭერის მიმღებად სასამართლომ შეიძლება სცნოს არასრულწლოვანი იმ ფარგლებში, რომლებშიც, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მას თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა არ სჭირდება [16, მე-12 მუხლის მე-5 ნაწილი]. მაშასადამე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ახდენს დიფერენციაციას მხარდაჭერის მიმღებ პირთა მიმართ. კერძოდ, მხარდაჭერის მიმღები შესაძლოა იყოს როგორც სრულწლოვანი, ან ემანსიპირებული პირი, ასევე არასრულწლოვანი პირი, რომელსაც არ მიუღწევია 18 წლის ასაკამდე. ქმედუნარიანობის ინსტიტუტის სისტემური ნოვაციის მთავარ მიღწევად მიიჩნევა ის ფაქტი, რომ აღარ განხორციელდება მყარი ფსიქიკური, გონებრივი, ინტელექტუალური დარღვევების მქონე პირების ქმედუნარიანად აღიარება. აღნიშნული პირების ინდივიდუალური შეფასებას, ექსპერტის დასკვნის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრულია „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ საქართველოს კანონით, სასამართლო მოახდენს მათ ცნობას ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირად, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი პირები სრულად შეინარჩუნებენ სამართალსუბიექტობას და აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას სამოქალაქო სამართალწარმოებაში, გარდა იმ სფეროსი, სადაც სასამართლო მათ დაუწესებს მხარდაჭერას. რაც შეეხება არასრულწლოვანი პირის ე.წ. მხარდაჭერის მიმღებად ცნობას, უნდა განისაზღვროს, რომ კანონი ასეთ შეზღუდვას ითვალისწინებს იმ უფლება-მოვალეობათა განხორციელებისას, სადაც არ არის საჭირო კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. მნიშვნელოვანია თუ რა იგულისხმება კანონის იმ დანაწესში, სადაც კანონმდებელი მიუთითებს არასრულწლოვანის უფლება-მოვალეობათა შეუზღუდავ ხასიათზე. ამ კითხვაზე პასუხს პირდაპირ არ ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თუმცა სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების სისტემური ანალიზისას შესაძლებელია მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ კანონმდებელი ამაში გულისხმობდა არასრულწლოვანის მიერ ისეთი გარიგებების დადებას, რომლითაც იგი იღებს სარგებელს. შესაბამისად, სარგებელი უნდა განვმარტოთ, როგორც ისეთი სამართლებრივი სიკეთე, რაც მხოლოდ არასრულწლოვანს აღჭურვას უფლებებით, ხოლო სანაცვლოდ ვალდებულებებს არ აკისრებს [7, გვ. 49]. აღნიშნულის კლასიკური მაგალითია, ჩუქების ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც არასრულწლოვანი გვევლინება როგორც დასაჩუქრებული, თუ ცხადია მჩუქებელი მიზნად არ ისახავდა ჩუქების ხელშეკრულებით რაიმე ზიანის მიყენებას მეორე მხარისადმი [15, 527-ე მუხლი]. მეორე მხრივ, ისეთი სახის ხელშეკრულებები, რომლებიც ორივე მხარისათვის უფლება-მოვალეობების წარმომშობია, თუნდაც იგი თავისი შინაარსით მეტად ხელსაყრელი იყოს

არასრულწლოვანი პირისათვის, არ უნდა მივიჩნიოთ მისთვის სარგებლის მომტან გარიგებად [7, გვ. 49].

მცდარი იქნება ნებისმიერი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში აღნიშნული ცვლილებებით განხორციელდა ქმედუუნარობის ინსტიტუტის გაუქმება. ქმედუუნარობის ინსტიტუტი წარმოიშვა და განვითარდა ჯერ კიდევ რომის სამართალში [8, გვ. 151]. იგი შინაარსობრივად გულისხმობს, შესაბამისი ასაკისა და ჯანმრთელობის მქონე ადამიანის უნარს, საკუთარი ნებით, მოქმედებით დამოუკიდებლად შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები [6, გვ. 179]. შესაბამისად, შესაძლოა პირი არ იქნეს ახალი რეგულაციით ქმედუუნაროდ აღიარებული, თუმცა 7 წლამდე ბავშვი, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი უფლებების განხორციელების საშუალება, მიიჩნევა ქმედუუნაროდ [9, გვ. 42-43] [10, გვ. 122] [11, გვ. 91]. აქედან გამომდინარე, ამ ინსტიტუტის სრულად გაუქმება შეუძლებელია მისი ზოგადი, ფუნქციონალური შინაარსიდან გამომდინარე. ჩნდება კითხვა, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს ინდივიდუალური შეფასების შემდეგ დადგინდა, რომ პირს ყველა სფეროში დაენიშნოს მხარდამჭერი, იწვევს თუ არა იგი მის სრულიად ქმედუუნაროდ ცნობას? ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი არ არსებობს. თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი პირი მართალია კანონის მიერ ჩაითვლება ქმედუუნარიანად, ხოლო ფაქტობრივად იგი იქნება ქმედუუნარო, ვინაიდან შეზღუდული ექნება ყველა სფეროში გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

ზემოთაღნიშნული ახალი საკანონმდებლო რეგულაცია ე.წ. მხარდაჭერის მიმღებ პირებთან დაკავშირებით აკმაყოფილებს ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა იმ ფუნდამენტურ სტანდარტებსა და პრინციპებს, რომლებიც განმტკიცებულია საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით, კერძოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით, რომლის ნორმებიც იცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დისკრიმინაციისაგან და ამკვიდრებს ასეთ პირთა კანონის წინაშე თანასწორობას, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას და ა.შ. [14, მე-5 მუხლი, პირველი პარაგრაფი] კონვენცია წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მაქსიმალურ ინტეგრაციასა და საზოგადოების სრულფასოვან წევრებად, სამართალსუბიექტებად აღიარებას [14, პირველი მუხლი].

ე.წ. მხარდაჭერის მიმღების ანალოგიურ ინსტიტუტს ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კანონმდებლობა [20, 1896-ე - 1908ი მუხლები] [4, გვ. 126]. გერმანული სამართლის მიხედვით, ასეთ პირებს აგრეთვე ენიშნებათ მხარდამჭერები (Betreuer) [12, გვ. 21] [13, გვ. 49-54].

მხარდამჭერის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები. მხარდამჭერი წარმოადგენს პირს, რომელიც ეხმარება მხარდაჭერის მიმღებს კონკრეტულ სფეროში გადაწყვეტილების სწორი ფორმით ჩამოყალიბებასა და ფორმირებაში [15, 1289-ე მუხლის მე-2 ნაწილი]. მხარდამჭერი ვალდებულია თვალყური ადევნოს მხარდაჭერის მიმღების მუდმივ სამედიცინო მომსახურებას, დაადგინოს მისი სურვილები/არჩევანი და დაეხმაროს მას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში, რაც გამოიხატება გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ინფორმაციის მხარდაჭერის მიმღებისათვის გასაგები საკომუნიკაციო ფორმით მიწოდებაში [15, 1289-ე მუხლის მე-2 ნაწილი]. მხარდამჭერი აგრეთვე ვალდებულია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს, აღნიშნულ ორგანოს მიაწოდოს სასამართლოს გადაწყვეტილებით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების შესახებ ინფორმაცია. ამ ინფორმაციაში მხარდამჭერი მიუთითებს მის მიერ მხარდაჭერის გაწევასთან დაკავშირებულ თავისებურებებს [15, 1289-ე მუხლის მე-2 ნაწილი]. კანონი ასევე განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, ვინც შესაძლებელია

დაინიშნოს მხარდამჭერად. მხარდამჭერად შეიძლება დაინიშნოს პირის ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი ან სპეციალისტი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს [15, 1280-ე მუხლის მე-2 ნაწილი]. მხარდამჭერის არჩევისას სასამართლო ითვალისწინებს მის პიროვნულ თვისებებს, მხარდამჭერის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების უნარს, მხარდამჭერისა და მხარდაჭერის მიმღების ურთიერთდამოკიდებულებას, მხარდაჭერის მიმღების ინტერესებს და ნებას, ხოლო მხარდაჭერის მიმღების არასრულწლოვანების შემთხვევაში – აგრეთვე მისი მშობლის მითითებას [15, 1280-ე მუხლის მე-3 ნაწილი]. პირი მხარდამჭერად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მისი თანხმობით [15, 1280-ე მუხლის მე-4 ნაწილი]. თუ მხარდამჭერის არჩევა ვერ მოხერხდა დადგენილი პირთა წრიდან, სასამართლო მხარდამჭერად ნიშნავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ პირს, ხოლო თუ მხარდაჭერის მიმღები სპეციალიზებულ დაწესებულებაშია მოთავსებული – ამ დაწესებულების წარმომადგენელს [15, 1280-ე მუხლის მე-5 ნაწილი]. სამოქალაქო კოდექსის ნორმები ასევე ამომწურავ საფუძვლებს შეიცავს მხარდამჭერად დანიშვნის აკრძალვისა და მხარდაჭერის შეწყვეტის საფუძვლების შესახებ [15, 1304<sup>1</sup> მუხლი]. მნიშვნელოვანია ზემოთმოყვანილი მატერიალურ სამართლებრივი ნორმების პროცესუალურ სამართლებრივ ნორმებთან ურთიერთმიმართებაში განხილვა.

### **ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის მონაწილეობა სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში**

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის“ პრინციპი გულისხმობს მათი უფლებამოსილი სუბიექტების აქტიურ მონაწილეობას სამართალწარმოების პროცესში, რაც ნიშნავს, იმას, რომ ასეთი პირებს არ ეზღუდებათ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება [14, მე-12 მუხლის მე-4 პარაგრაფი]. განხორციელებულ რეფორმამდე, ქმედუუნარო პირს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ანიჭებდა სასამართლოში როგორც სარჩელის შეტანისა, ასევე პროცესში აქტიურ მონაწილე მხარედ ჩართვის უფლებამოსილებას [3, გვ. 13-17]. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რიგი ნორმების ის ნორმატიული შინაარსი, რომლებიც უკრძალავდნენ ქმედუუნაროდ აღიარებულ პირს განცხადებით მიემართა სასამართლოსათვის ქმედუუნარიანად აღიარების შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საფუძვლად დაედო სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების განხორციელებას. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ცვლილება განიცადა რამდენიმე ნორმამ, რომელიც შეეხებოდა ქმედუუნაროდ აღიარებული პირების სამოქალაქო სამართალწარმოებაში მონაწილეობას. განხორციელებულ ცვლილებებამდე მოქალაქის შეზღუდულ ქმედუუნარიანად და ქმედუუნაროდ აღიარება რეგულირებული იყო უდავო წარმოების კარში, ხოლო ახალი რედაქციით აღნიშნული ცალკე წარმოების კარად არის წარმოდგენილი. შესაბამისად, ჩამოყალიბდა სრულიად ახალი ინსტიტუტი, რომელიც არ განიხილება არც უდავო ან გამარტივებული წარმოების წესით, ვინაიდან ამომწურავი ჩამონათვალის პრინციპი მოქმედებს, ხოლო ასევე ზემოთხსენებული არ წარმოადგენს სასარჩელო წარმოების საგანსაც. კანონმდებელმა გადაწყვიტა, რომ პირის შეზღუდულ ქმედუუნარიანად აღიარება და მხარდაჭერის მიმღებად ცნობა მისი აქტუალობიდან გამომდინარე ცალკე კარად ჩამოყალიბებულიყო. აღნიშნული განპირობებული იქნა ამ თანამედროვე, ნოვაციური ინსტიტუტის მნიშვნელობით. რაც შეეხება პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცედურას, იგი ხორციელდება თითქმის უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმეების ანალოგიურად, თუმცა მცირე პროცესუალური განსხვავებებით. კერძოდ, სასამართლოს მიერ განცხადების წარმოებაში მიღებისთანავე სასამართლო ნიშნავს სავალდებულო ექსპერტიზას, საკითხი

განიხილება მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობით და ა.შ.

2015 წლის 1 აპრილამდე ქმედუუნაროდ ცნობილ პირს ინდივიდუალურ შეფასებამდე არ ეზღუდება სასამართლოსადმი მიმართვის უფლება [17, პირველი მუხლის მე-11 პუნქტი], თუმცა ამავე მუხლის შემდეგი ნაწილები გვაუწყებს იმის თაობაზე, რომ სასამართლო 5 დღის ვადაში არ მიიღებს ისეთი პირის სარჩელს, ვინც ცნობილი იყო ქმედუუნაროდ 2015 წლის 1 აპრილამდე და არ მომხდარა მისი ინდივიდუალური შეფასება [17, პირველი მუხლის მე-11 პუნქტი]. აღნიშნული ნორმების შინაარსი შემდეგნაირად უნდა იქნეს გაგებული. კანონი არ უკრძალავს ასეთ პირებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას, თუმცა შეზღუდულია განცხადების შემდგომი განხილვა, რასაც სასამართლო აპრიორი არ მიიღებს წარმოებაში. ცხადია, აღნიშნული ნორმები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, ვინაიდან, როდესაც კანონის ერთი ნორმა აღმჭურველი ხასიათისაა, ხოლო მისი შემდეგი ნაწილი იმავე სამართალურთიერთობის გაგრძელების შემთხვევაში შემზღუდავ ხასიათს ატარებს, უფლების მინიჭების განხორციელებას აზრი ეკარგება. ინდივიდუალური შეფასების გონივრულ ვადად მითითებულია 2015-2019 წლები, რაც საკმაოდ ხანგრძლივია იმისათვის, რომ ქმედუუნაროდ აღიარებული პირებს ეზღუდებოდეთ ახალი რეგულაციებით დადგენილი უფლებები.

### **პირის ქმედუუნაროდ აღიარების ინსტიტუტის მიმდინარე რეფორმა - ნეგატიური მხარეები**

მიუხედავად მხარდაჭერის მიმღების ინსტიტუტის იმ დადებითი ასპექტებისა, რომელზეც სტატიის ფარგლებში იქნა ყურადღება გამახვილებული, საკანონმდებლო რეფორმა ხარვეზების გარეშე ვერ იქნა განხორციელებული. კერძოდ, საკითხი ეხება მხარდაჭერის მიმღებისათვის მხარდამჭერის ნებაყოფლობით დანიშვნას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1280-ე მუხლის შესაბამისად, მხარდამჭერის დანიშვნა ორმხრივად გამოვლენილ ნებაზეა დამოკიდებული. იმისათვის, რათა პირს დაენიშნოს მხარდამჭერი, ნება უნდა გამოხატოს როგორც მხარდაჭერის მიმღებმა პირმა, ასევე მხარდამჭერმა. კანონი არ ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ახლობელთა წრიდან ყველა უარს აცხადებს იყოს მხარდამჭერის მიმღები სუბიექტის მეურვე და ამასთანავე უარს აცხადებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილი პირი. ცხადია, აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ მხარდამჭერისა და მხარდაჭერის მიმღების ურთიერთდამოკიდებულება. აღნიშნული მეტად პრობლემური საკითხია სამოქალაქო საპროცესო სამართლისათვის, ვინაიდან რიგ შემთხვევებში წარმოიქმნება საკანონმდებლო ვაკუუმი, იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლო იძულების წესით ვერ დანიშნავს მხარდამჭერს. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 995-ე მუხლის ახალი რედაქციით, მხარდაჭერის მიმღების მიერ მიყენებული ზიანისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მხარდამჭერს. თუ ახლობელთა წრიდან ყველამ უარი თქვა ასეთი პირის მხარდაჭერაზე და ასევე არ განხორციელდა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილი პირის მხარდაჭერად დანიშვნა მისი სურვილით მხარდაჭერის მიმღებს არ ეყოლება მხარდამჭერი, იბადება კითხვა თუ ვინ უნდა აანაზღაუროს მის მიერ მიყენებული ზიანი? სასამართლო როგორც ზემოთ აღინიშნა, იძულებით ვერ დანიშნავს მხარდამჭერს, რადგან მხარდამჭერის დანიშვნა ემყარება ნებაყოფლობითობის პრინციპს. შესაბამისად, საკანონმდებლო სივრცეში ამ კუთხით წარმოშობილია ვაკუუმი - არ არის ნორმა, რომელიც ამ ურთიერთობას მოაწესრიგებდა. დასახელებული პრობლემატიკა ასევე კავშირშია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტთან და ამავე კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა<sup>1</sup>“ ქვეპუნქტთან, რომელიც გულისხმობს სასამართლოს მიერ საქმის წარმოების შეჩერებას როდესაც მხარე მხარდაჭერის მიმღებია, ხოლო სასამართლოს მიერ დაუწესდა საპროცესო წარმომადგენლობა, მაგრამ მხარდაჭერა არ იქნა მიღებული და შესაბამისად სასამართლო

შეაჩერებს საქმის წარმოებას შესაბამისი მხარდაჭერის მიღებამდე. თუმცა წარმოიშობა პრობლემა მხარდამჭერის დანიშვნის ნებაყოფლობითობის საკითხიდან გამომდინარე. ასევე, ცვლილებების შედეგად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლს დაემატა 3<sup>1</sup> ნაწილი, რომლის თანახმადაც, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით მხარდაჭერის მიმღებ პირს დაუწესდა მხარდაჭერა საპროცესო წარმომადგენლობის განსახორციელებლად, სასამართლო ვალდებულია ასეთი საქმე განიხილოს მხარდაჭერის მიმღები პირისა და მისი მხარდამჭერის სავალდებულო მონაწილეობით. ზემოთაღნიშნული ნორმა ცალსახად ავალდებულებს მხარდაჭერის მიმღებს სასამართლო პროცესში სავალდებულო მონაწილეობას, თუმცა კანონში არ არის დარეგულირებული საკითხი, ასეთი პირის ჯანმრთელობის მიმე მდგომარეობის გამო პროცესზე გამოუცხადებლობის შედეგებთან დაკავშირებით, რაც წინამორბედის მსგავსად საკანონმდებლო ვაკუუმის პრობლემას ჰქმნის. არანაკლებ მნიშვნელოვანი ხარვეზია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 451-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის კოლიზია, რომელიც საჭიროებს ცალსახა დაკვირვებასა და ანალიზს. პირველ ნაწილში საუბარია 2015 წლის 1 აპრილამდე ქმედუუნაროდ ცნობილ პირთა მათ ინდივიდუალურ შეფასებამდე სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეუზღუდავ ხასიათზე. ამასთან, ამავე მუხლის მესამე ნაწილი პირდაპირ განმარტავს, რომ 2015 წლის 1 აპრილამდე ქმედუუნაროდ აღიარებულ პირთა მიერ სასამართლოში სარჩელის შეტანიდან 5 დღის ვადაში სასამართლო არ მიიღებს სარჩელს, თუ არ მომხდარა ასეთ პირთა ინდივიდუალური შეფასება. ცხადია, აღნიშნულ მუხლთა კოლიზია, რომელიც მეტად გაუგებარი, ორაზროვანია და ნორმის კეთილსინდისიერ წამკითხველს ცალსახად შეიყვანს შეცდომაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 451-ე მუხლის 1-ლი ნაწილი უფლებით აღჭურვას შესაბამის სუბიექტს, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილი კი არ იძლევა მისი რეალიზაციის სრულფასოვან საშუალებას, რაც ილუზორულს ხდის უფლებას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მხარდაჭერის მიმღები პირების ინდივიდუალური შეფასება, რომლებიც 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლომ სცნო ქმედუუნაროდ, 2019 წლამდე უნდა განხორციელდეს [17, პირველი მუხლის პირველი პუნქტი]. ამ პერიოდამდე, ისინი კვლავ მიიჩნევიან უუფლებო სუბიექტებად [2, გვ. 25]. უდავოა, რომ 4 წელი არაგონივრული ვადაა, იქიდან გამომდინარე, რომ ამ საკითხის არსებული, ახალი საკანონმდებლო მოწესრიგება ბევრად უფრო ამსუბუქებს ასეთ პირთა ყოფას. ამგვარად, საჭიროა მხოლოდ ინდივიდუალური შეფასების პროცესის დაჩქარება იმისათვის, რომ ეს პირები მიჩნეულ იქნენ სამართლის სრულფასოვან სუბიექტებად.

## დასკვნა

სტატიაში განხილული საკითხების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შედეგად ქმედუუნაროდ აღიარებული პირები სამართლებრივი თვალსაზრისით აღარ მიიჩნევიან აბსოლუტურად უუფლებო სუბიექტებად. ასეთ პირებს რეფორმის დასრულების შემდეგ მიენიჭებათ ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა საკუთარი ნების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, არსებობს პრობლემატური საკითხები, რომლებიც უკავშირდება 2015 წლის 1 აპრილამდე ქმედუუნაროდ ცნობილი პირების მიერ სასამართლოსადმი მიმართვის უფლების პრაქტიკულ რეალიზაციას. ამ პირების ინდივიდუალურ შეფასებამდე თუ ქმედუუნაროდ აღიარებული პირი მიმართავს სასამართლოს, სასამართლო უარს განაცხადებს საქმის განხილვაზე. შესაბამისად, ქმედუუნაროდ აღიარებული პირებს პრაქტიკულად არ გააჩნიათ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. ამასთან, ინდივიდუალური შეფასების პერიოდად 2015-2019 წლების განსაზღვრა წარმოადგენს არაგონივრულ ვადას.



მნიშვნელოვანია ითქვას, რომ არასრულყოფილად არის დარეგულირებული მხარდაჭერის მიმღებისათვის მხარდამჭერის დანიშვნის საკითხი. კანონმდებლობა არ განსაზღვრავს იმგვარ შემთხვევებს, როდესაც მხარდამჭერის კანდიდატები უარს აცხადებენ მხარდამჭერად დანიშვნაზე. შესაბამისად, ხსენებული სფერო არის მოსაწესრიგებელი. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ამ მიმართულებით არსებული სამართლებრივი ვაკუუმის აღმოფხვრა და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებისათვის მხარდამჭერის დანიშვნასთან დაკავშირებული საკითხების ამომწურავად, მკაფიოდ ფორმულირება.

### ბიბლიოგრაფია

1. *ამირანაშვილი, ნ.*: ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმა საქართველოში - ახალი მიდგომა და ცნებები, ჟურნალი ლიბერალი, თბილისი, 2015;
2. *გუგავა, ა.*: მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტის სუბიექტები, ჟურნალი სამართალი, N6, თბილისი, 2001, გვ. 25-29;
3. *იმნაძე, დ.*: მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად და ქმედუნაროდ აღიარება, ჟურნალი სამართალი, N6, თბილისი, 2001, გვ. 13-17;
4. *კერესელიძე, დ.*: კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009;
5. *ჯანელიძე, გ.*: ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმა, ყოველთვიური ჟურნალი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, თბილისი, 2015, გვ. 14-15;
6. *ჭანტურია, ლ.*: სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2013;
7. *ჭანტურია, ლ. (რედ.)*: სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 2002;
8. *ჭანტურია, ლ.*: შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2002;
9. *Jaensch, M.*: Grundzüge des Bürgerlichen Rechts: mit 63 Fällen und Lösungen, Berlin, 2012;
10. *Leipold, D.*: BGB I: Einführung und allgemeiner Teil: ein Lehrbuch mit Fällen und Kontrollfragen, freiburg, 2008;
11. *Klunzinger, E.*: Einführung in das Bürgerliche Recht, München, 2002;
12. *Ließfeld, H.*: Betreuungsrecht in der Praxis: Geschichte, Grundlagen und Planung rechtlicher Betreuung, Köln, 2012;
13. *Seichter, J.*: Einführung in das Betreuungsrecht: Ein Leitfaden für Praktiker des Betreuungsrechts, Heilberufe und Angehörige von Betreuten, Heidelberg, 2013;
14. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია;
15. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
16. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი;
17. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი;
18. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
19. „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
20. „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე, ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
21. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი;
22. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532, 533 გადაწყვეტილება საქმეზე „ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

**ხათუნა ჯინორია**  
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*  
*სამართლის სკოლის დოქტორანტი*

**სამართლიანი ფასის შეთავაზების პროცედურული გარანტიები აქციათა იძულებით  
გასხვისებისას ქართული კანონმდებლობის მიხედვით**

**რეზიუმე**

სამართლიანი ფასი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მცირე აქციონერებისაგან აქციების გამოსყიდვის პროცესში. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს სავალდებულო სატენდერო შეთავაზებისა და აქციების სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტებს ამ კონტექსტში. ორივე ინსტიტუტი სავალდებულო კონტრაქტების მაგალითია და თავისი არსით, აქციონერების საკუთრების უფლების შეზღუდვას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ღირებულების ანაზღაურება, ერთადერთი საშუალებაა მცირე აქციონერების დასაცავად, რის გამოც, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა უზრუნველყოფდეს სათანადო კომპენსაციას აქციონერების მიერ თავიანთი საკუთრების მათი ნების საწინააღმდეგოდ განკარგვის სანაცვლოდ.

**საძიებო სიტყვები:** სამართლიანი ფასი, აქციონერების უფლებები, აქციათა გამოსყიდვა

**Khatuna Jinoria**  
*Grigol Robakidze University*  
*School of Law Ph.D. Student*

**Procedural Guarantees of Offering Fair Price in Squeeze-out Acquisitions According to Georgian  
Legislation**

**Summary**

Fair price is the important criterion in squeeze-out acquisitions. Entrepreneurs law of Georgia unites mandatory tender offer and mandatory acquisition of shares under this hood. Both institutions are examples of compulsory contracting and with their essence are interruptions into shareholders property rights. In those cases, redemption is almost only measure offered to minority shareholders, which is exactly why it is vital to ensure, that shareholders receive adequate compensation for the unwilling disposal of their property.

The term ‘squeeze-out’ is considered as a situation, where a controlling shareholder exercises his legal right to oblige the minority shareholders of a targeted listed company to sell their shares of the target to him. In those cases, redemption is almost only measure offered to minority shareholders, which is exactly why it is vital to ensure, that shareholders receive adequate compensation for the unwilling disposal of their property.

The article overviews lapses in the process of assessment fair price under Georgian legislation and based on international experience offers some modified approaches in order to protect minority shareholders interests.

## სამართლიანი ფასის შეთავაზების პროცედურული გარანტიები აქციათა იძულებით გასხვისებისას ქართული კანონმდებლობის მიხედვით

### შესავალი

სამართლიანი ფასი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მცირე აქციონერებისაგან აქციების გამოსყიდვის პროცესში (ე.წ. squeeze-out). სტატიის მიზნებისათვის, აქციების გამოსყიდვა გულისხმობს სიტუაციას, სადაც საკონტროლო პაკეტის მქონე აქციონერი ახორციელებს კანონით მინიჭებულ უფლებას, რომ აიძულოს სამიზნე საწარმოს უმცირესობაში მყოფი აქციონერები მიჰყიდონ თავიანთი აქციები. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი ითვალისწინებს სავალდებულო სატენდერო შეთავაზებისა და აქციების სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტებს ამ კონტექსტში. ორივე ინსტიტუტი სავალდებულო კონტრაპირების მაგალითია და თავისი არსით, აქციონერების საკუთრების უფლების შეზღუდვას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ღირებულების ანაზღაურება, როგორც წესი, ერთადერთი საშუალებაა მცირე აქციონერების დასაცავად, რის გამოც, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა უზრუნველყოფდეს სათანადო კომპენსაციას აქციონერების მიერ თავიანთი საკუთრების მათი ნების საწინააღმდეგოდ განკარგვის სანაცვლოდ. აუცილებელია, სწორი ბალანსის დადგენა აქციონერთა ამ ორი ჯგუფის ინტერესებს შორის, ვინაიდან შეუსაბამოდ მაღალი კომპენსაციის დადგენა შეაფერხებს საწარმოს დაუფლების პროცესს და შესაბამისად, ინვესტორების მოზიდვას ქართულ ბაზარზე, ხოლო შემცირებული კომპენსაცია დაარღვევს წვრილი აქციონერების ინტერესებს (10, 770).

სტატია მიმოიხილავს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ საკანონმდებლო რეგულაციებს აქციათა გამოსყიდვის პროცესში მცირე აქციონერებისათვის სათანადო კომპენსაციის შეთავაზებასთან დაკავშირებით, აგრეთვე შესაბამის სასამართლო პრაქტიკას და გამოყოფს იმ ხარვეზებს, რაც საკანონმდებლო დონეზე ხელყოფს აქციონერების უფლებებს, მათი საკუთრების უფლების შეზღუდვის სანაცვლოდ სათანადო კომპენსაციის შეთავაზების გაუმჭვირვალე, დაუბალანსებელი პროცედურების დადგენის გზით. სტატია აგრეთვე გამოყოფს საკანონმდებლო ცვლილებების იმ ძირითად მიმართულებებს, რაც აუცილებელია, ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

## **კვლევის მეთოდები და მასალები**

კვლევა ემყარება ზოგად სამეცნიერო მეთოდოლოგიას. აბსტრაქტულ-ლოგიკური მეთოდი ფართოდ არის გამოყენებული, რაც მოიცავს ანალიზსა და სინთეზს, ინდუქციას და დედუქციას. კვლევის კომპარატივისტული მეთოდი ასევე გამოიყენება.

ნორმატიული მასალისა და სასამართლო პრაქტიკის გარდა, სტატია მიმოიხილავს საკვლევ თემატიკაზე ხელმისაწვდომ სამეცნიერო ლიტერატურას. ქართველი მეცნიერებიდან სტატიაში დასმულ პრობლემებს შეეხება ი. ბურდული, ასევე აქციათა სავალდებულო მიყიდვის პროცესულურ საკითხებს სადისერტაციო ნაშრომში იხილავს რ. ხურცილავა. სტატიაში განხილულია აგრეთვე უცხოელი მეცნიერების Miliutis F. Dollinger M. Boyle A. Thamm C. Krebs C. ნაშრომები.

## **სამართლიანი ფასის დადგენის პრობლემა ქართულ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში**

### **ზოგადი მიმოხილვა**

სამართლიანი ფასის პრინციპი ბევრ სამეწარმეოსამართლებრივ ურთიერთობაში გამოიყენება, მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აქციათა გამოსყიდვის პროცესში, რადგანაც, გარკვეულ შემთხვევებში, სამართლიანი ფასი ერთადერთი საშუალებაა უმცირესობაში მყოფი აქციონერების ინტერესების დასაცავად. სავალდებულო სატენდერო შეთავაზებისაგან განსხვავებით, აქციათა სავალდებულო მიყიდვისას უმცირესობაში მყოფ აქციონერებს არ აქვთ საშუალება, აქციათა გასხვისება თავიდან აიცილონ. ერთადერთი სიკეთე, რასაც ისინი გარიგებიდან იღებენ არის სამართლიანი ფასი, მაგრამ საკითხავია, რამდენად სამართლიანი იქნება ეს ფასი.

აქციების გამოსყიდვის ინსტიტუტები შედარებით ახალია ქართულ კანონმდებლობაში. ისინი საერთო სამართლის სისტემაში წარმოიშვა და ევროკავშირის სამართლის გავლენით მოხვდა ქართულ კანონმდებლობაში. აქციათა სავალდებულო მიყიდვის ინსტიტუტი ცხარე კამათის საგანია მეცნიერებსა და პრაქტიკაში, თუმცა, რაც არ უნდა ითქვას მის უპირატესობებსა თუ ნაკლოვანებებზე, მნიშვნელოვანია, რომ მცირე აქციონერებმა მიიღონ სათანადო კომპენსაცია, რათა არ მოუწიათ საკუთარი საკუთრების გასხვისება არაფრის სანაცვლოდ. „სწორი ბალანსის მიღწევა უმცირესობაში/უმრავლესობაში მყოფი აქციონერების ინტერესებს ან სხვა შემთხვევაში, მცირე აქციონერებსა და საწარმოს შესყიდვის ეფექტური ბაზრის განვითარებას შორის არის ყველაზე რთული ამოცანა კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკისათვის აქციების გამოსყიდვის პროცესთან დაკავშირებით. ეს განსაკუთრებით შეეხება განდევნილი აქციონერებისათვის გადასახდელ კომპენსაციას (10, 770).“

### **სავალდებულო სატენდერო შეთავაზება**

აქციათა სავალდებულო მიყიდვისა და სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შემთხვევაში, მიდგომა განსხვავებულია. როგორც უკვე აღინიშნა, სავალდებულო სატენდერო შეთავაზება უტოვებს მცირე აქციონერებს შესაძლებლობას გარიგებაზე უარი თქვან, თუ შეთავაზებული ფასი შეუსაბამო აღმოჩნდება. ამ დასკვნის საფუძველს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ (ფქმკ) კანონის 15.3 მუხლი იძლევა, რომლის თანახმადაც ნებისმიერი წინადადება ან რეკომენდაცია ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის სატენდერო შეთავაზების უარყოფის ან მასზე თანხმობის შესახებ, აგრეთვე სატენდერო მიწვევა უნდა გაკეთდეს საქართველოს ეროვნული

ბანკის მიერ დადგენილი წესის მიხედვით. ვინაიდან მეწარმეთა შესახებ კანონის (მშკ) ფქბმკ-ზე მიუთითებს, 15.3 მუხლი სავალდებულო სატენდერო შეთავაზების დროს უნდა იქნას გამოყენებული(4, 24).

მშკ-ის 53<sup>2</sup>-ე მუხლი შეეხება სავალდებულო სატენდერო შეთავაზებას. საწარმოს დაუფლების ერთ-ერთი ასპექტი არის ის, რომ მყიდველმა სამართლიანი ფასი უნდა შესთავაზოს უმცირესობაში მყოფ აქციონერებს.

მშკ-ის 53<sup>2</sup> მუხლის თანახმად შეთავაზებული გამოსასყიდი ფასი უნდა დაადგინოს აუდიტორმა ან საბროკერო კომპანიამ. შეთავაზებული გამოსასყიდი ფასი თითოეული კლასის აქციისათვის არ უნდა იყოს იმ უმაღლეს ფასზე ნაკლები, რომელიც გამოსყიდვის განმახორციელებელმა აქციონერმა ბოლო 6 თვის განმავლობაში გადაიხადა საზოგადოების ამ კლასის აქციაში. აუდიტორმა ან საბროკერო კომპანიამ უნდა შეადგინოს ანგარიში, რომელშიც მითითებული იქნება დოკუმენტურად დადასტურებული გარემოებები, რომელთა საფუძველზედაც შეთავაზებული გამოსასყიდი ფასი დადგინდა. აუდიტორის ან საბროკერო კომპანიის ხარჯებს ანაზღაურებს მყიდველი. იგი ასევე ვალდებულია, თავის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია აქციების ყიდვის თაობაზე მიაწოდოს აუდიტორს ან საბროკერო კომპანიას. აუდიტორი ან საბროკერო კომპანია მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს იმ ზიანისთვის, რომელიც მან მიაყენა აქციონერს დაუდევრობით ან განზრახ არასწორი შეფასებით.

აღნიშნულ ნორმაზე დაყრდნობით, შესაძლებელია, აქციათა გამოსყიდვის რამდენიმე მნიშვნელოვანი პრინციპის გამოკვეთა:

1. ფასი უნდა იყოს სამართლიანი. თავად მუხლი არ იყენებს ამ ტერმინს, მაგრამ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ფასის არასწორად დადგენა შემფასებლის პასუხისმგებლობას იწვევს, ნათელია, რომ შეთავაზებული ფასი ორივე მხარის ინტერესებს უნდა შეესაბამებოდეს;
2. სამართლიანი ფასის დეფინიციას კანონმდებლობა არ ადგენს;
3. ფასს განსაზღვრავს აუდიტორი ან საბროკერო კომპანია;
4. მინიმალური ფასი დადგენილია მშკ-თი და უტოლდება აქციაში ბოლო ექვსი თვის მანძილზე შემძენის მიერ გადახდილ მაქსიმალურ ფასს.

ამ მოწესრიგების პრობლემა ისაა, რომ უმცირესობაში მყოფ აქციონერებს არანაირი საშუალება არ აქვთ, შეედავონ შეთავაზებულ ფასს. არ ის ფაქტია დამამშვიდებელი, რომ მშკ მინიმალურ ფასს ადგენს, რადგანაც ეს ფასი უტოლდება ბოლო 6 თვის მანძილზე საწარმოს წილის მყიდველის მიერ გადახდილ მაქსიმალურ ფასს. საწარმოს შთანთქმას კი, როგორც წესი, წინ უსწრებს დაბალი აქტივობა ბაზარზე, რაც აქციების ფასზე გავლენას ახდენს. მიუხედავად იმისა, რომ მშკ მინიმალურ ფასზე მიუთითებს, რეალურად, ეს არის სამართლიანი ფასის გამოთვლის ერთადერთი პრინციპი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობა გვთავაზობს და არ არსებობს მოთხოვნა, სხვა მეთოდოლოგიის გამოყენების, მაშინ როდესაც, ევროპის ქვეყნების პრაქტიკა ცხადყოფს (საფრანგეთი, ნიდერლანდები), რომ სამართლიანი ფასის გამოთვლის რამდენიმე მეთოდოლოგია არსებობს, რომლებიც, საკმაოდ ხშირად ერთდროულად გამოიყენება.

შემდეგი პრობლემა ისაა, რომ შეფასებას აუდიტორი ან საბროკერო ფირმა ახორციელებს, მაშინ, როდესაც ბროკერობა საქართველოში სრულიად განუვითარებელია. გასაზიარებელია ქართულ მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრება, რომ უმცირესობაში მყოფ აქციონერებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლება უნდა ჰქონდეთ, თუ შეთავაზებულ ფასს არ ეთანხმებიან. ამ შემთხვევაში მშკ-ის 53<sup>1</sup>.6 მუხლი ანალოგიით უნდა იქნეს გამოყენებული (4, 24-25). თუმცა, მაინც გაურკვეველია, რა როლს შეასრულებს სასამართლო სამართლიანი ფასის დადგენაში. აქციის ფასი, თავისთავად, სამართლებრივი კატეგორია არ არის და შეფასება სპეციალურ ცოდნას

მოითხოვს, რაც ექსპერტის/სპეციალისტის ჩართვას მოითხოვს. რა საკვირველია, საკითხის რაღაც დონეზე მაინც საკანონმდებლო წესით მოწესრიგება აუცილებელია.

### აქციათა სავალდებულო მიყიდვა

მიდგომა უფრო მკაცრია აქციათა სავალდებულო მიყიდვისას. მშკ-ის 53<sup>4</sup>.2 მუხლი ადგენს, რომ აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს კოდექსით დადგენილი წესით. აქციათა გამოსყიდვის სამართლიან ფასსა და თარიღს განსაზღვრავს კოდექსით დადგენილი წესით აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებით.

აუცილებელია, გავითვალისწინოთ, რომ აქციათა სავალდებულო მიყიდვის პირველი რედაქცია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2007 წელს არაკონსტიტუციურად მიიჩნია. საკონსტიტუციო სასამართლოს არ უარუყვია თავისთავად აქციათა გამოსყიდვის ინსტიტუტი, მაგრამ ძირითადი არგუმენტი იყო, რომ კანონი არ უზრუნველყოფდა სამართლიანი ფასის შეთავაზებას წვრილი აქციონერებისათვის. ამ რედაქციით მშკ ითვალისწინებდა აქციის ფასის გამოთვლას წესდებით გათვალისწინებული წესით. საკონსტიტუციო სასამართლომ მხარი დაუჭირა აქციათა შეფასებას დამოუკიდებელი ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის მიერ. აღნიშნული გადაწყვეტილების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, შეფასდეს, რამდენად უზრუნველყოფს სამართლიანი ფასის შეთავაზებას კანონის ის რედაქცია, რომელიც შემდგომში იქნა მიღებული.

მართალია, მშკ აცხადებს, რომ სამართლიან ფასს სასამართლო ადგენს, მაგრამ სასამართლო პრაქტიკა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (სსკ) შესაბამისი თავი განსხვავებულ შთაბეჭდილებას ქმნის.

სსკ-ის 309<sup>12</sup> მუხლის თანახმად აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასის დადგენის მიზნით სასამართლო განცხადების მიღებიდან 7 დღის ვადაში ნიშნავს დამოუკიდებელ ექსპერტს ან საბროკერო კომპანიას. დამოუკიდებელმა ექსპერტმა ან საბროკერო კომპანიამ უნდა შეადგინოს გამოსყიდვის ანგარიში, რომელშიც მითითებული იქნება გამოსყიდვის დოკუმენტურად დადასტურებული გარემოებები, აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასის დასადგენად გამოყენებული მეთოდი და ამის საფუძველზე განსაზღვრული აქციათა ფასი. დამოუკიდებელი ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის ხარჯებს ანაზღაურებს მყიდველი.

მხარეთა მონაწილეობა უზრუნველყოფილია ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის დანიშვნის დროს. დამოუკიდებელი ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის შერჩევის დროს სასამართლო უფლებამოსილია გაითვალისწინოს მხარეთა მოსაზრებები. მხარეებს უფლება აქვთ, შესთავაზონ სასამართლოს დასანიშნი პირის კანდიდატურები. საბოლოოდ საკითხს იმის შესახებ, თუ ვის მიენდოს გამოსყიდვის ანგარიშის შედგენა, წყვეტს სასამართლო. მხარეებს უფლება აქვთ, აცილებას მისცენ დამოუკიდებელ ექსპერტს ან საბროკერო კომპანიას.

სსკ არ ანიჭებს მცირე აქციონერებს დადგენილი ფასის შედავების ან ალტერნატიული შეფასების წარდგენის შესაძლებლობას. რეალურად, სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სსკ-ის 309<sup>12</sup> მუხლის შესაბამისად შეთავაზებული ფასის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309.<sup>14</sup> მუხლის საფუძველზე სასამართლომ აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასის დადგენისას უნდა გაითვალისწინოს:

ა) ამ აქციების ღირებულება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე;

- ბ) საზოგადოების მიერ მომავალში მისაღები სავარაუდო შემოსავლები;
- გ) საზოგადოების აქტივები (მათ შორის, საწარმოს რეზერვები, საწარმოს საქმიანი რეპუტაცია, გამოცდილება, პერსპექტივები და საქმიანი კავშირები) და პასივები.

ზოგადად, როგორ უნდა იქნეს დადგენილი სამართლიანი ფასი, არ ადგენს არც ერთი ქვეყნის კანონმდებლობა, თუმცა გარკვეული მიდგომები შემუშავებულია სასამართლო პრაქტიკაში. გერმანიის პრაქტიკით, შეთავაზებული ფასი არ შეიძლება იყოს აქციის საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები (11, 961) დაახლოებით იგივე განმარტებას ვაწყდებით დელავერის შტატის სასამართლო პრაქტიკაში. თუმცა არსებული მდგომარეობით, კვლავ კამათის საგანია, უნდა იქნეს გამოთვლილი მთლიანად კომპანიის ფასი და აქციონერებს მიეცეს ამ ფასის ნაწილი მათი წილის პროპორციულად, თუ უნდა შეფასდეს აქცია ინდივიდუალურად? ასევე კითხვას ბადებს, უნდა იღებდნენ თუ არა, მცირე აქციონერები მოგებას ტრანზაქციის შედეგად? თეორიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქცია არ უნდა შეფასდეს განცალკევებულად, რადგანაც ცალკე აღებულ აქციას შეიძლება განსხვავებული ღირებულება ჰქონდეს, რის შედეგადაც აქციონერების თანასწორი მოპყრობის პრინციპი ილახება (11, 964). დელავერის შტატის სასამართლო პრაქტიკით დამკვიდრებული იყო პრინციპი, რომ დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ დადგენილ სამართლიან ფასს, სასამართლო უმატებდა გარკვეულ ფიქსირებულ თანხას, ვინაიდან ითვლებოდა, რომ აქციების ფასი შემცირებული იყო კომპანიის მართვაში მონაწილეობის უფლების გაუთვალისწინებლობით. ეს მიდგომა გაკრიტიკებულია და მიიჩნევა, რომ მცირე აქციონერების კომპენსაციას შეუსაბამოდ ზრდის (10, 786).

აქციათა ფასის გამოთვლის ყველაზე გავრცელებულია მიდგომებია:

- ა. აქციის საბაზრო ღირებულების მიხედვით, რაც გულისხმობს აქციის კომპენსირებას ბაზარზე მისი იმწუთიერი ღირებულების შესაბამისად. ეს მიდგომა მცირე აქციონერების ინტერესებს არ შეესაბამება, ვინაიდან ბაზარზე ღირებულება კონკრეტული დროის მონაკვეთში შეიძლება არ ასახავდეს აქციის რეალურ ფასს, ამასთან, ბუნებრივია, მსხვილი აქციონერები აქციათა გამოსყიდვისთვის შეარჩევენ დროს, როდესაც აქციის საბაზრო ღირებულება ყველაზე დაბალია (10, 780);
- ბ. მესამე პირისათვის მიყიდვის ფასი, ანუ აქციის ღირებულება გამოითვლება სხვა, წინმსწრებ ტრანზაქციებში გადახდილი ფასის მიხედვით. ეს მიდგომა პირდაპირაა უარყოფილი დელავერის შტატის სასამართლოს მიერ. ამ მიდგომის რისკი ისაა, რომ პოტენციურ ინვესტორს, მსხვილ აქციონერს აქციის ფასის ხელოვნურად დაგდების ცდუნების წინაშე აყენებს (10, 782)
- გ. საზოგადოების აქციების შეფასება, როგორც მიმდინარე, მოქმედი საწარმოს ღირებულების. ეს მიდგომა ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებულია და ცხადყოფს, რომ სწორი მენეჯმენტის პირობებში მოქმედი საწარმოს ღირებულება მეტია, ვიდრე მთლიანი აქციების საბაზრო ღირებულება (10, 783);
- დ. დ) „ბლოკის წესი“, ანუ აქციის ფასის გამოთვლის მეთოდი, რომელიც რამდენიმე კრიტერიუმს ემყარება და გულისხმობს ისეთი მაჩვენებლებიდან, როგორცაა საბაზრო ღირებულება, წილების ღირებულება, წარსულ მდგომარეობა ბაზარზე, კომპანიის ვალდებულებები, პასივები და აქტივები, გარკვეული საშუალო არითმეტიკულის გამოყვანას. საინტერესოა, რომ დელავერის შტატის სასამართლო პრაქტიკით, ბლოკის წესი მოძველებული მიდგომაა. პირველად ბლოკის წესი ვაინბერგერის საქმეზე იქნა გამოყენებული (იხ. 16), თუმცა ამჟამად დელავერის შტატის სასამართლოები უპირატესობას დისკონტირებული ფულადი სახსრების

მოდრაობის პრინციპს ანიჭებენ, რაც გულისხმობს სამომავლო ფულადი სახსრებს მოძრაობის შეფარდებას ამჟამინდელ თანხის ბრუნვასთან (10, 784-785).

ქართულ კანონმდებლობაში გარკვეულ დუბლირებას აქვს ადგილი. სსსკ არ ზღუდავს ექსპერტს ან დამოუკიდებელ შემფასებელს, რომელი მეთოდით უნდა გამოთვალოს აქციის ფასი, ხოლო სსკ-ის 309.<sup>14</sup> მუხლი ბლოკის წესის ელემენტებს შეიცავს, თუმცა სსსკ არ ადგენს, რომელ მონაცემებზე დაყრდნობით უნდა გამოიკვლიოს სასამართლომ ზემოაღნიშნული მაჩვენებლები. პასუხგაუცემელია კითხვები, თუ ექსპერტიზა ჩატარებულია სხვა მეთოდით, საიდან უნდა მიიღოს სასამართლომ საჭირო ინფორმაცია? უნდა მოახდინოს თუ არა საკუთარი ინიციატივით გამოთხოვა ამ ინფორმაციის საზოგადოებისაგან? სამოქალაქო პროცესის ზოგადი პრინციპების შესაბამისად, სასამართლო ამგვარი ფუფუნებას მოკლებულია, ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, ეს მონაცემები სამართლებრივი კატეგორია არ არის და სპეციალურ ცოდნას საჭიროებს, შესაბამისად, საკითხავია, ვინ ახდენს საჭირო ინფორმაციის სისტემატიზაციას სასამართლოსათვის. რა არის იმის ალბათობა, რომ დომინანტი პარტნიორი ამომწურავ ინფორმაციას წარადგენს? სამწუხაროდ, პასუხს ვერც სასამართლო პრაქტიკა გვთავაზობს, რადგანაც თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების ის რამდენიმე გადაწყვეტილება, რომელიც საკვლევ თემატიკაზე მოიპოვება, ამ ნაწილში არავითარ დასაბუთებას არ შეიცავს და მხოლოდ დეკლარირებით „ფასი სამართლიანია“ შემოფარგლება (იხ. 7-9).

რაც შეეხება თავად ექსპერტის დასკვნას, ზოგადად, სსსკ ყველა მხარეს ანიჭებს საშუალებას, შეედავონ მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და წარმოადგინონ ექსპერტიზის ალტერნატიული დასკვნა ან შეფასება. მათ გააჩნიათ უფლება, დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზა მოითხოვონ, მაგრამ აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმეების განხილვისას მხარეები ამგვარი შესაძლებლობებით არ სარგებლობენ. შეჯიბრობითობის პრინციპის ამგვარი შეზღუდვა გაუმართლებელია. თავისთავად ის ფაქტი, რომ კომპენსაციის პროცესის მონიტორინგს სასამართლო ახორციელებს, დადებითად უნდა შეფასდეს, მაგრამ საკითხის სათანადოდ მოწესრიგების გარეშე, მხარეთა ინტერესები დაუცველი რჩება. „მხარეებში“ იგულისხმება როგორც მცირე ისე მსხვილი აქციონერები, ვინაიდან შესაძლებელია როგორც შემცირებული, ისე გაბერილი ფასის შეთავაზება.

როდესაც კანონმდებლობა ასეთი ბუნდოვანია, სასამართლო პრაქტიკამ უნდა მოახდინოს გარკვეული მითითებების შეთავაზება სამართლიანი ფასის დადგენის პროცესში. ამგვარი პრაქტიკა არ არსებობს. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სულ რამდენიმე გადაწყვეტილება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ და სასამართლო უბრალოდ ახდენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>14</sup> მუხლის კოპირებას, ყოველგვარი მითითების გარეშე, თუ რატომაც შეთავაზებული ფასი სამართლიანი. გასათვალისწინებელია, რომ აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმეებზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრების შესაძლებლობის, შესაბამისად, გაუქმების რისკის არარსებობა, როგორც წესი, გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ხარისხზე ცუდად აისახება.

### **კვლევის შედეგები**

თუ შევაჯამებთ განხორციელებულ კვლევას, შესაძლებელია რამდენიმე ძირითადი პრობლემის გამოკვეთა, რაც ხელს უშლის მცირე აქციონერების მიერ სამართლიანი ფასის მიღებას ქართულ რეალობაში:



- სავალდებულო სატენდერო შეთავაზების დროს გარანტირებული არ არის სასამართლოსადმი მიმართვა, იმ შემთხვევაში, როდესაც შეთავაზებული ფასი მხარისათვის მიუღებელია;
- კანონმდებელი აღიარებს სამართლიანი ფასის გამოთვლის მხოლოდ ერთ პრინციპს, სავალდებულო სატენდერო შეთავაზების დროს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პრინციპის გამოყენება სავალდებულო არაა და მხოლოდ მინიმალურ ფასს ადგენს, პრაქტიკაში სხვა მიდგომის გამოყენება არ ხდება;
- აქციათა სავალდებულო მიყიდვისას შეუსაბამოდაა შეზღუდული აქციონერების მონაწილეობა სამართლიანი ფასის დადგენის პროცესში. სსსკ გაუმართლებლად კვეცავს შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზებას ამ ტიპის საქმეების განხილვისას;
- არც კანონმდებლობა ითვალისწინებს და არც სასამართლო პრაქტიკაშია ჩამოყალიბებული რაიმე მიდგომა, როგორ უნდა მოხდეს სამართლიანი ფასის გამოთვლა. მართალია, სსსკ ბლოკის წესის ელემენტებს ითვალისწინებს, მაგრამ ეს მეთოდი არაა სავალდებულო, ექსპერტის ან საბროკერო კომპანიისათვის;
- ქართული სასამართლო პრაქტიკა აქციათა სავალდებულო მიყიდვის საქმეებზე დაუსაბუთებელი და არაარგუმენტირებულია. სამართლიანი ფასის გარშემო ის მცირერიცხოვანი გადაწყვეტილებები, რაც მოიპოვება ამ თემაზე, არავითარ დასაბუთებას არ შეიცავს და ბრმად იზიარებს ექსპერტის ან ბროკერის შეფასებას.

## დასკვნა

საბოლოოდ, შესაძლებელია რამდენიმე საკანონმდებლო-პრაქტიკული ცვლილების გამოკვეთა, რაც ხელს შეუწყობს მცირე აქციონერების ინტერესების უფრო ეფექტიანად დაცვას.

პირველ რიგში, აუცილებელია, რომ სავალდებულო სატენდერო შეთავაზებისას აქციების კომპენსაციის საკითხის მონიტორინგი სასამართლოს გადაეცეს, როგორც ამას, მაგალითად, ავსტრიის კანონმდებლობა ითვალისწინებს.

აუცილებელია, კანონმდებლობით თუ არა, სასამართლო პრაქტიკით დამკვიდრდეს გარკვეული მიდგომები სამართლიანი ფასის გამოთვლის პრინციპებთან დაკავშირებით. გასაზიარებელი უნდა იყოს დელავერის შტატის სასამართლოების პრაქტიკა, რომლის საფუძველზე, სპეციალისტების მიერ გამოთვლილ აქციის ფასს ემატება ფიქსირებული თანხა. მართალია, ეს პრაქტიკა გაკრიტიკებულია და მიიჩნევა, რომ მცირე აქციონერებს „ზედმეტად ახეირებს“, მაგრამ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ აქციონერები თმობენ არა მყარი საბაზრო ფასის მქონე ნივთს, არამედ უფლებათა და მოვალეობათა პაკეტს, რაც აქციის კუთვნილებიდან გამომდინარეობს, მათ შორის - სტაბილური შემოსავლის მიღების შესაძლებლობას. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია გარიგების მორალური მხარეც: სამართალურთიერთობის შედარებით სუსტი მხარე სხვა კერძო პირის ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ თმობს საკუთრებას. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, მცირე გადახვევა წვრილი აქციონერების სასარგებლოდ დასაშვები და გამართლებულია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ თავი უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარი რედაქციით, რომ არ ზღუდავდეს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის ისეთ ელემენტებს, როგორცაა საკუთარი ინტერესების

სასარგებლოდ მტკიცებულების წარდგენის შესაძლებლობა, განმეორებითი, დამატებითი ან ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარება.

ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის შეფასების საბროკერო კომპანიისათვის მინდობა, ვინაიდან ბროკერობა ქართულ სივრცეში სათანადოდ განვითარებული არ არის.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი სწორი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხის ზრდის მნიშვნელობას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994. [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 06.2015 წ;
2. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1(8), 14/01/1999, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 06.2015 წ;
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 06.2015 წ;
4. ბურდული ი. სავალდებულო სატენდერო შეთავაზება, აქციათა სავალდებულო გაყიდვა: აქციით მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენება თუ კაპიტალის ბაზრის განვითარების სავალდებულო წინაპირობა?! *მართლმსაჯულება*, 2007, N2 10-39;
5. ხურცილავა რ. *გამარტივებული წარმოება საქართველოს სამოქალაქო პროცესში*, თბილისი: მერიდიანი, 2009
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის N2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, [www.constcourt.ge](http://www.constcourt.ge);
7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 თებერვლის N2ბ/1115-09 განჩინება, [www.cmp.court.ge](http://www.cmp.court.ge);
8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის №2ბ/1749-10 განჩინება, [www.cmp.court.ge](http://www.cmp.court.ge);
9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 7 აპრილის №2/88-10 გადაწყვეტილება, [www.cmp.court.ge](http://www.cmp.court.ge);
10. Miliutis F. Fair Price in Squeeze-out Transactions, *Societal Studies, Mykolas Romeris University Publishing*, 2013, 5 (3) 769-792;
11. Krebs C.A. Freeze-Out Transactions in Germany and the U.S.: A Comparative Analysis, *German Law Journal*, 2008, vol.13, 941-978;
12. Dollinger M. *The Fair Squeeze-out Compensation*, 2008, [https://books.google.ge/books?id=QSp7dekYvpAC&dq=fair+price+principle+squeeze+out&source=gbs\\_navlinks\\_s](https://books.google.ge/books?id=QSp7dekYvpAC&dq=fair+price+principle+squeeze+out&source=gbs_navlinks_s);
13. Boyle A.J. *Minority Shareholder's Remedies*, Cambridge, Cambridge Studies in Corporate Law, 2002
14. Thamm C. *Minority Shareholder Monitoring and German Corporate Governance: Empirical Evidence and Value Effects* Corporate Finance and Governance, Academic Research, 2013
15. Case of *Kahn v. Lynch*, 638 A.2d 1110 (Del. 1994), <http://www.invispress.com/law/corporations/lynch.html>;
16. Case of *Weinberger v. UOP, Inc.* 457 A.2d 701 (1983), <http://law.justia.com/cases/delaware/supreme-court/1983/457-a-2d-701-4.html>

